

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები
ღ ა
სახალხო მასწავლებლები

კრებული პირველი

ვ. ქაჯაიას კომპოზიციით

წინასწავაობა

წინამდებარე კრებული „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“ დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმმა.

სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრილია მდიდარი მასალები, რომლებიც ასახავს სახალხო განათლების ისტორიას საქართველოში. მუზეუმში დაცულია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების ნიკოლოზ ცხევედაძის, ლუარსაბ ბოცვაძის, სილოვან ხუნდაძის, იაკობ ზედგინიძის, ალექსანდრე მიქაბერიძის და სხვათა პირადი არქივები, აგრეთვე სხვადასხვა პირთა საყურადღებო მოგონებები, რომლებშიც გაშუქებულია რევოლუციამდელი სკოლის ვითარება ჩვენში, სწავლა-აღზრდის მდგომარეობა და დახასიათებულია ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა თვითმპყრობელობა განათლების დარგში საქართველოში.

ზემოაღნიშნული მასალებისა და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა და არქივში დაცული წყაროების, პერიოდული პრესისა და გამოქვეყნებული ლიტერატურის საფუძველზე დამუშავდა წინამდებარე კრებულში შესული მოკლე ნარკვევები, რომლებშიც გაშუქებულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და სახალხო მასწავლებლების საქმიანობა სახალხო განათლების დარგში. ეს საქმიანობა მიმდინარეობდა XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი შესვებურების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მათი პროგრესული იდეების საფუძველზე. ამის გამო, ბუნებრივია, რომ ამ კრებულში ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში შედარებით ვრცლად არის განხილული.

კრებულში წარმოდგენილი სხვა მოღვაწეები უმთავრესად დახასიათებულნი არიან, როგორც პედაგოგები, თუმცა ბევრი მათგანი ფართო საზოგადოებრიობისთვის უფრო ცნობილია თავისი მეცნიერუ-

ლი (სოლ. დოდაშვილი, დ. ჩუბინიშვილი, დიმ. ბაქრაძე, თ. ეორ-
დანია, მოსე ჯანაშვილი და სხვ.) და ლიტერატურული (დ. კონქაძე,
სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური და სხვ.) საქმიანობით.

წარმოდგენილი სახით ეს კრებული სრული არ არის, რადგან
მასში არაა შეტანილი ნარკვევები ისეთ თვალსაჩინო პედაგოგებზე,
როგორც იყვნენ პეტრე მირიანაშვილი, არისტო ქუთათელაძე, სერ-
გი გორგაძე და სხვ., რომელთა შესახებ მუზეუმში ამზადებს მასა-
ლებს შემდეგ კრებულში განოსაქვეყნებლად.

**საქართველოს ხსრ განათლების ხამინისტროს სახალხო
განათლების სახელმწიფო მუზეუმი.**

სახალხო განათლების მოღვაწეები



სოლომონ დოლაბიძე

(1805—1836)

I

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პედაგოგიკური აზროვნების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენელი სოლომონ დოლაბიძე დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროში¹ 1805 წელს. მამა მისი მღვდელი იოანე (ივანე) 9 შვილის პატრონი იყო და ძალიან უყირდა ოჯახის მოვლა. სოლომონი პირველად სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში, ხოლო 1818 წლიდან სიღნაღის ახლადგახსნილ სამრევლო-სასულიერო სასწავლებელში. 1820 წლის 15 სექტემბერს სოლომონ დოლაბიძე ჩამოვიდა და ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამაზრო სასულიერო სასწავლებელში. აქ კურსის დამთავრების შემდეგ ს. დოლაბიძე გადავიდა სასულიერო სემი-

¹ აქედან ფსევდონიმი Магарский — მადაროელი.

ნარიაში რიტორიკის (სიტყვიერების) განყოფილებაზე, ხოლო 1822 წლის 15 მარტს, როდესაც სემინარიის კურსი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, ის დანიშნეს სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სასწავლებლის უფროსი (მეორე) კლასის მასწავლებლად მცირე ხელფასით (120 მან. წელიწადში)¹. 1823 წლის 26 ივლისს სოლ. დოდაშვილი თავისი თხოვნით განთავისუფლდა ამ თანამდებობიდან. მას ჯერ განზრახვა ჰქონდა შესულიყო სამხედრო სამსახურში, მაგრამ მალე უარყო ეს განზრახვა და უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების მიღება არჩია. 1824 წლის ზაფხულზე სოლ. დოდაშვილი, ბოდბელი მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის დახმარებით, გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იმავე წელს ჩაირიცხა საიმპერატორო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად.

სოლომონ დოდაშვილის ყურადღება მიმართული იყო განსაკუთრებით ფილოსოფიურ მეცნიერებათა შესწავლისაკენ. ამის შედეგად მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე (1824—1827) დაწერა და 1827 წელს გამოსცა წიგნი: „Курс философии, часть первая, Логика“. თავისი ნაწარმოები მან მიუძღვნა ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორსა და ხარკოვისავე სასწავლო ოლქის მზრუნველს ალექსი პეროვსკის. ეს მიძღვნა არ აიხსნება მარტო პირადი ნაცნობობით. იმ დროს (1825—1840) საქართველოსა და მთელი კავკასიის სასწავლებლები ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ხარკოვის სასწავლო ოლქს და ამ მიძღვნაში წიგნის ავტორი მიმართავდა რა აღნიშნული ოლქის მზრუნველს: „კავკასიის ქაბუკ შვილთა გონება საზრდოს ეძებს და ამ წმინდა მისწრაფებაში ისინი მოგაპყრობენ თქვენ თავის თვალებს და ელიან ამ საზრდოს თქვენი აღმატებულებისაგან“, ფიქრობდა, რომ მზრუნველი მართლა იზრუნებდა კავკასიის სასწავლებელთათვის.

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“ დაშვებული იყო ფილოსოფიის სახელმძღვანელოდ. საქართველოში მას ხმარობდნენ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (შემდეგ — გიმნაზიაში) და თბილისის სასულიერო სემინარიაში. ის შეიცავს: ფილოსოფიის საერთო შესავალს, ლოგიკის შესავალს, ლოგიკის მოკლე ისტორიას, საკუთრივ ლოგიკას (გონება, აზროვნების კანონები, მსჯელობა, წესები წინადადებათა სხვადასხვა სახეებისათვის, ცნებები, დასკვნები, მტკიცება). ამ წიგნს, თავის მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, აქვს დიდი მეთოდოლოგიური ღირსებაც: მასალის განლაგება გარ-

¹ საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 112, ს. 6, ფ. 11.

კვეული სისტემით და თანამიმდევრობით, ნათელი მსჯელობა, განმარტებათა სიცხადე და ფორმულირებათა ლაკონურობა, მარტივი სტილი და გადმოცემის მაღალი ოსტატობა.

სოლომონ დოდაშვილის წიგნი მალე გავრცელდა მთელს იმპერიაში; მის შესახებ 1827 წელს დაიწერა რეცენზიები „Московский Телеграф“-ში (№ XVIII, 167-8), „Московский вестник“-ში (№ XXII, 201-6) და „Северная Пчела“-ში (№ 72). ეს რეცენზიები ერთხმად იწონებდნენ სოლ. დოდაშვილის „ლოგიკას“, თვლიდნენ მას „შესანიშნავ თხზულებად“ და „ახალ მოვლენად“ რუსეთის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მართალია, სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ კანტის „კრიტიკული“ ფილოსოფიიდან გამომდინარეობს, მაგრამ საკითხების დალაგებით და გაშუქებით ის არსებითად ორიგინალურ მეცნიერულ ნაშრომს წარმოადგენს.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში სოლ. დოდაშვილი მარტო მეცნიერებით არ იყო გატაცებული. ცნობისმოყვარე ქაბუკი ღრმად სწავლობდა ცხოვრების ყოველ მხარეს, განსაკუთრებით პოლიტიკურ ვითარებას. ის გაეცნო და შეიმხრო დეკაბრისტულ მოძრაობას; ავრცელებდა ამ მოძრაობის მეთაურთა წერილებს (მაგალითად, პოეტ რილეევის მიერ სიკვდილით დასჯის წინ ცოლისადმი მიწერილ ბარათს).

პეტერბურგში სოლ. დოდაშვილი დაუახლოვდა რუსეთის მწერლებსა და სხვა დარგის მოღვაწეებს. იოანე ხელაშვილისადმი 1827 წლის 15 ივნისის ბარათში ის აღნიშნავდა: „აქომამდე მაქვნდა ჩინებულსა პოეტთან და მწერალთან საუბრობა, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურლსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი. მათ მთხოვეს თბილისიდამ წერილისა შეერთება. ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს განათლებისათვის, მე ესთხოვე მუნითგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქვა“.¹

პეტერბურგში სოლ. დოდაშვილი დაუკავშირდა აგრეთვე საქართველოდან იქ გადასახლებულ ბაგრატიონთა გვარეულობის წევრებს და მეფის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ იმ ქართველობას, რომლის წრეშიც დაიბადა საქართველოში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მომავალი (1832 წლის) შეთქმულების აზრი და ისახებოდა მისი განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი.

¹) სოლ. დოდაშვილი, წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით (მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის, ნაკვ. II, გვ. 69).

1827 წელს სოლ. დოდაშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლიდან ის მიიწვიეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. ამის პარალელურად ის სათავეში ჩაუდგა აღნიშნული შეთქმულების მომწყობ „საიდუმლო საზოგადოებას“ და მის ხელმძღვანელ ჯგუფს (ა. ლ. ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი).

1828 წლიდან სოლ. დოდაშვილი დანიშნეს გაზეთ „Тифлисские Ведомости“-ს ქართული გამოცემის რედაქტორად. ამის შემდეგ მას უფრო დიდი შრომა უხდებოდა, რომ თავის მთავარ საქმეს — სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას არ ჩამოცილებოდა. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოთ ადამიანმა მისი ერთ-ერთი წერილის ასეთი ადგილი: „არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა ღლე მოსვენება არა მაქვს, მერწმუნეთ ყოველსა ამას და შემობრალეთ ესეოდენისა საქმისათვის, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჯერეთ, უმეტესად სხვა და სხვანი თხზულებანი კშთებიან შეუსრულებელად და დიდათ ექსწუხვარ“¹. მაგრამ ასეთი შრომის პირობებშიც შესძლო მან დაეწერა ქართული გრამატიკის ჩინებული სახელმძღვანელო: „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, რომელიც 1830 წელს გამოიცა, და შეედგინა ქართული წერის დედანი.

ამ ნაშრომებს გარდა, არსებული ცნობების მიხედვით, სოლ. დოდაშვილს ჰქონია კიდევ 14 პატარა თუ დიდი ნაწარმოები ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დარგიდან, მაგრამ ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ.

1832 წელს სოლ. დოდაშვილმა დააარსა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტყილისის უწყებათანი“, რომელსაც მან მიზნად დაუსახა ბრძოლა „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“. ეს ჟურნალი ეწეოდა აგრეთვე „საიდუმლო საზოგადოების“ იდეათა შენიღბულ პროპაგანდას.

* * *

რუსეთის ცარისტული ხელისუფლების მიერ ქართველი ხალხის სასტიკი შევიწროვების ფაქტები, განსაკუთრებით ნაციონალური დამონების ფაქტები, თანდათან ზრდიდა და აღრმავებდა ხალხის უკმაყოფილებას. „თუმცა ფორმალურად საქართველო ითვლებოდა არა დაპყრობილად რუსული იარაღის მიერ, არამედ რუსეთ-

¹ სოლ. დოდაშვილი, წერილები. გვ. 116.

თან ნებაყოფლობით შეერთებულ მხარედ, მაგრამ მას განაგებდნენ მეფის მოადგილენი თავიანთ მოხელეთა წმინდა რუსული აპარატით. გასაგებია, რომ ისინი არამცთუ მარტო არ იცავდნენ საქართველოს სახალხო ინტერესებს, არამედ არც ესმოდათ ეს ინტერესები. მათ ოპოზიციისაკენ მიჰყავდათ ქართველ დიდებულთა წოდებაც კი, რომელიც სინდისიერად, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, ემსახურებოდა მეფის თვითმპყრობელობას¹. ეს წოდება და საქართველოს მთელი მაღალი თავადაზნაურული არისტოკრატია, მიუხედავად მატერიალური პრივილეგიებისა, რომლებიც რუსეთის მეფის ხელისუფლებამ მიანიჭა, მწვავედ განიცდიდა თავის პოლიტიკურ და უფლებრივ შეზღუდულობას. მას არაფერს ეკითხებოდნენ არა თუ ქვეყნის, არამედ ადგილობრივი, თავისი პატარა კუთხის მართვის საქმეზეც კი, ალარ უწევდნენ ანგარიშს. არა თუ სახელმწიფოს მაღალი მოხელენი, არამედ უბრალო კაპიტან-ისპრავნიკები და პოლიციელები. ესენი საკიროდ არ თვლიდნენ მიემართათ ქართველი თავადებისა და აზნაურებისათვის მათსავე მამულში მცხოვრებ გლეხთა საკითხებზეც კი. ქართველ თავადაზნაურობას მწვავედ სჩაგრავდა აგრეთვე ქართული ენის განდევნა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებებიდან, რამაც ჩააგდო იგი უვიცი და უზნეო თარჯიმანების ხელში. ყოველივე ამან და საქართველოში რუსეთის მონარქიის ბატონობისა და მმართველობის ზემოაღნიშნულმა ტლანქმა ფორმებმა მიიყვანეს ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია იქამდის, რომ მან 30-იანი წლების დამდეგისათვის შექმნა „საიდუმლო საზოგადოება“, რომელსაც განზრახული ჰქონდა 1832 წლის დამლევეს მოეწყო საყოველთაო შეთქმულება რუსი მმართველების წინააღმდეგ საქართველოში.

ი. ბ. სტალინი წერდა, რომ „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედობალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას.

¹ М. Калинин, к 60-летию со дня рождения товарища Сталина, 4.

ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში¹. ერთ-ერთ ასეთ შეთქმულებად შეიძლება ჩაითვალოს 1832 წლის შეთქმულება.

1832 წლის შეთქმულების უახლოესი მიზანი — კავკასიის რუსული მმართველობის დამხობა, — უმაღლეს ქართველ არისტოკრატისთან აკავშირებდა საშუალო თავად-აზნაურობასა და ინტელიგენციას, რომლებიც არანაკლებად განიცდიდნენ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სასტიკ რეჟიმს. ერთ-ერთ მიზეზს, რამაც ქართველი ინტელიგენცია შეთქმულებამდე მიიყვანა, როგორც ჩანს სასამართლოში მათ წარმომადგენელთა მიერ მიცემული ჩვენებიდან, შეადგენდა მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი მოსახლეობის სახალხო განათლების ქსელის გაფართოებისადმი და, კერძოდ, ბიბლიოთეკების, სახალხო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლის უქონლობა საქართველოში.

ამიტომ 1832 წ. შეთქმულება მოტიქრებული იყო მისი ხელმძღვანელობის მიერ ფართო მასშტაბით. „საიდუმლო საზოგადოების“ (შეთქმულების) ასეთ „უოვლისგამაერთიანებელ“ მიზანთან დაკავშირებით, მის ხელმძღვანელობაში ჩვენ ვხედავთ როგორც მაღალი არისტოკრატის წარმომადგენლებს, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ისე საშუალო თავად-აზნაურობისა და დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, რომლებიც მის უმცირესობას შეადგენდნენ. „საზოგადოების“ ასეთ სხვადასხვაგვარ სოციალურ შემადგენლობას არ შეიძლებოდა კვალი არ დაეჩინა შეთქმულების საბოლოო მიზნის შემუშავებაზე. მას, მართლაც, არ გააჩნდა ერთიანი მიზანი. შეთქმულების მასალებიდან ჩანს, რომ წარმატების შემთხვევაში, ე. ი. თუ საქართველო განთავისუფლდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან, შეთქმულების ხელმძღვანელთა უმრავლესობას სურდა აღედგინა დამოუკიდებელი საქართველოს სამეფო; მთავრობა უნდა ყოფილიყო შედგენილი ორი პალატისაგან: ზედა პალატა ქართველი მეფის მეთაურობით და მთავარი მინისტრების შემადგენლობით და ქვედა პალატა, რომელიც იქნებოდა შედგენილი ყველა მაზრის დეპუტატებისაგან. ამგვარად, შეთქმულების ხელმძღვანელთა უმრავლესობა, ესწრაფვოდა რა დამოუკიდებელი საქართველოს სამეფოს აღდგენას, გამოხატავდა დიდ ფეოდალთა ინტერესებს და ხელახლა აბრუნებდა საქართველოს უკან, XVIII საუკუნის დასასრულის მდგომარეობისა-

¹ ი. სტალინი, თხზ., I, გვ. 32—33.

კენ და მით აფერხებდა საქართველოს სინამდვილეში ისტორიული განვითარების კანონზომიერ პროცესს.

1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელთა უმცირესობის წარმომადგენლები არ ფიქრობდნენ მოეწყვიტათ ქართველი ხალხი რუსეთისაგან, ხოლო საქართველოს სამეფოს აღდგენას შეუძლებლად თვლიდნენ. ისინი წარმომადგენდნენ 30-იანი წლების ქართველი საზოგადოების განათლებულ, პროგრესულ ნაწილს, კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებს — თავისუფლების, თანასწორობისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. ბევრი მათგანი კარგად იცნობდა აგრეთვე რუსი დეკაბრისტების 1825 წ. პროგრამას. ისინი თარგმნიდნენ და არჩევდნენ მომავალი სახელმწიფო წყობილების მათ (მაგ., პესტელის) გეგმებს, აკრიტიკებდნენ დეკაბრისტების სამხედრო-საოორგანიზაციო ხასიათის შეცდომებს, რომლებმაც გამოიწვიეს მათი დამარცხება, ავრცელებდნენ რილეევის წერილებსა და რევოლუციურ ლექსებს.¹

„საიდუმლო საზოგადოების“ უმცირესობის წევრმა სოლომონ რაზმიძემ გადმოთარგმნა ქართულ ენაზე სენის დეპარტამენტის პრეფექტის 1830 წლის 19 ოქტომბრის მოწოდება „თვისთა თანამოქალაქეთა მიმართ“. ამგვარად, 1832 წლის შეთქმულების უმცირესობა არა მარტო იცნობდა, არამედ გატაცებული იყო დეკაბრისტებისა და საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციის რესპუბლიკური იდეებით.

შეთქმულების უმცირესობის ასეთი განწყობილებები იცოდნენ სხვა ხელმძღვანელებმაც, კერძოდ, დიმიტრი ბატონიშვილმა, რომელიც ხშირად „ესაუბრებოდა მასთან მოსიარულეებს თავისუფლების შესახებ, უხსნიდა საფრანგეთის უფლებებს, მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდულ ძალა-უფლებას და იმას, თუ როგორი ხმა აქვს საფრანგეთის თითოეულ მოქალაქეს მეფეების არჩევის დროს, და, ბოლოს, რა აჯანყებებს ჰქონდა ადგილი საფრანგეთში“².

რუსეთისა და საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილება „საიდუმლო საზოგადოების“ უმცირესობის წევრებს, მიუხედავად ერთგვარი მერყეობისა, მაინც ერთნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: ისინი მხარს უჭერდნენ რესპუბლიკას. ასე, მაგალითად,

¹ ს. დოდაშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, თარგმნა რილეევის მიერ სიკვდილის წინ ცოლისადმი მიწერილი წერილი, პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა კი მისი „ნალივაიკოს აღსარება“, პოემიდან „ნალივაიკო“.

² „1832 წლის შეთქმულება“, გ. გოხალიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 62.

ოქროპირ ბატონი შვილმა „საზოგადოების“ ერთ-ერთ ყველაზე უფრო რადიკალურ წარმომადგენელთან, სოლომონ დოდაშვილთან საუბრის დროს, იცოდა რა მისი დადებითი დამოკიდებულება რესპუბლიკური წყობილებისადმი, განაცხადა: „ღიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებას, ამასთან მე მსურს საქართველოს თავისუფლება არა იმისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარიდან გამეფდეს აქ, არამედ მისთვის, რომ საქართველო გახდეს რესპუბლიკად“¹.

აჯანყების დასაწყისი შეთქმულების ხელმძღვანელებს უნდოდათ შეეფარდებინათ ირანთან, ოსმალეთთან და კავკასიელ მთიელებთან ომის მდგომარეობის უფრო შესაფერისი პერიოდისათვის და აგრეთვე პოლონეთის ამბების უფრო დაძაბული მომენტისათვის, რომელიც დასავლეთისაკენ მიიზიდავდა რუსეთის არმიის ნაწილს, მაგრამ კავკასიაში სამხედრო მოქმედებათა წარმატებამ და პოლონეთის აჯანყების ჩაქრობამ რამდენიმეჯერ გადაადებინა მათ აჯანყების ვადები. საბოლოოდ გადატრიალება (აჯანყება) დანიშნული იყო 1832 წ. 20 დეკემბრისათვის, მაგრამ 9 დეკემბერს „საიღუმლო საზოგადოების“ წევრმა თავადმა ფალავანდი შვილმა გასცა შეთქმულები, რომლებიც სასწრაფოდ იქნენ დატუსაღებულნი და მიცემულნი სამხედრო სასამართლოში.

1832 წლის შეთქმულება არ იყო დამყარებული მის ამოცანათა შესაბამის რეალურ ძალაზე და, მიუხედავად ფართო გეგმებისა და კარგი ორგანიზაციისა, მას არ შეეძლო წარმატების მოპოვება. მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ 1832 წ. „საიღუმლო საზოგადოება“ წარმოადგენდა საქართველოს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, თავდაზნაურული ეტაპის მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ის სრულიადაც არ მოგვაგონებს მასონურ საზოგადოებას და ოდნავადაც არ ჰგავდა კარბონარულ მოძრაობას, როგორც წერენ ზოგიერთი ისტორიკოსები, მაგრამ მას არ შეეძლო გამარჯვებისათვის შეიღწია, ვინაიდან მის ხელმძღვანელთა უმრავლესობის მიზანი — საქართველოს სამეფოს აღდგენა — უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენდა, ხოლო მისი უმცირესობის ანუ მოწინავე ფრთის იდეები — თანასწორობა და რესპუბლიკა — თუმცა არ იყო ნაადრევი XIX ს. პირველი ნახევრის სა-

¹ ინგლისის ეშინოდა რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოებისა ირანსა და აღმოსავლეთზე და ამიტომ სიამოვნებით უპერდა მხარს „კავკასიიდან რუსეთის განდევნის“ იდეას.

ქართველოსათვის, მაგრამ მათი განხორციელებისათვის ბრძოლას რუსეთის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის გარეშე არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა რაიმე რეალური შედეგი.

* * *

სოლომონ დოდაშვილს, ისე როგორც 1832 წ. შეთქმულების სხვა მთავარ ხელმძღვანელებს, სამხედრო სასამართლოს მიერ მისაჯა სიკვდილით დასაჯა (четвертование); მეფემ ეს სასჯელი შეუცვალა ქ. ვიატკაში 10 წლით გადასახლებით, მაგრამ საქართველოში დაბრუნების საშუალოდ აღკვეთით.

სოლ. დოდაშვილს ვიატკაში (ახლა ქ. კიროვი) ნება მისცეს ემსახურა გუბერნატორის კანცელარიაში, სადაც მაშინ მუშაობდნენ აგრეთვე იქ გადასახლებული რუსეთის დიდი დემოკრატი-რევოლუციონერი ალ. გერცენი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იოსებ მამაცაშვილი. ვიატკის გუბერნატორის კანცელარია, გერცენის სიტყვით, „საპყრობილეზე უარესი“ იყო, სავსე მექრთამე, ქურდი, თვალთმაქცი და გაიძვერა მოხელეებით. ამ ნოშხამულ და შავბნელ ატმოსფეროში მხოლოდ გერცენი და მამაცაშვილი იყვნენ, რომელთანაც სოლ. დოდაშვილს შეეძლო დაახლოვება და, მართლაც, მათ შორის მალე დანყარდა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ სოლ. დოდაშვილმა დიდხანს ვერ აიტანა გადასახლებულის მძიმე პირობებში ცხოვრება და ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა; დაავადმყოფდა, ფილტვების ტუბერკულოზის სწრაფი პროცესი გაეხსნა. დოდაშვილის დაავადების შესახებ ცოტა მოგვიანებით ალ. გერცენი იგონებდა: „მან ვერ აიტანა სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა ქლექმა შეიპყრო. მე ვინახულე იგი რამდენიმე დღით ადრე სიკვდილამდე. ის ძლივს-ლა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: ოღონდ გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ქლექი შემექნესო“¹.

1834 წ. ივლისში სოლომონ დოდაშვილმა ვიატკის გუბერნატორის საშუალებით სთხოვა მთავრობას სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში გადასახლება, მაგრამ ნიკოლოზ პირველმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა.

სოლ. დოდაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია: 1836 წლის 20 აგვისტოს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის ჰაბუკს, აღმოხდა მემამობე, მაგრამ ობოლი სული. ვიატკის ყრუ მიდამოს მიაბარეს მისი მგზნებარე გული, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ენთო სამშობლოს ცისა და თავისუფლების სიყვარულით.

სოლომონ დოდაშვილის საგანმანათლებლო და პედაგოგიური იდეები მისი საზოგადოებრივ-რევოლუციური მოღვაწეობისა და აზროვნების ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს. მისი იდეალი იყო თავისუფალი საქართველო. მეფის რუსეთის სუსხიანი, კოლონიური რეჟიმის პირობებში ამ იდეალის აშკარად გამჟღავნება მსევე ძნელი იყო, როგორც ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. მხოლოდ არალეგალური, ფარული გზით იყო საჭირო მისი დაწყება და სოლომონ დოდაშვილიც საჯარო გამოსვლებში დაწერილებში ხშირად მიმართავს ქარაგმასა და ალეგორიას თავისი სოციალურ-პოლიტიკური იდეების გამოსახატავად. კერძო წერილებში კი ახლობელ და საიმედო პირებთან ის რამდენადმე უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს და ადვილად მისახვედრი ტონით ამჟღავნებდა თავის ზრახვებს. 1826 წლის დეკემბერში, პეტერბურგიდან თბილისში კეთილშობილთა სასწავლებელში გამწესების წინ, წერდა ფილადელფოს კიკნაძეს, რომელიც პეტერბურგს აპირებდა გამგზავრებას: „ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არის თქვენი აქ დაახლოება, მე ვაზმნობდი სხვასა რა.ისამე, და ოდეს მთავრობასთან სრულეპყოფ, მაშინ ძალმძის ცნობად თქვენდა, რომელი აწცა მაქვს იგივე და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზნისათვის საქართველოსა შინა. არა შესახებელად მისსა, სადაცა მე მაწესებენ, არამედ სხვა აზმნობა არს სარგებელად მამულისა“¹.

ეს წერილი იწერებოდა „1832 წლის შეთქმულების“ მზადების დასაწყის პერიოდში და ახლა ჩვენთვის ნათელია, თუ რა აზმნობაჰქონდა მხედველობაში მის ავტორს, ხოლო გამოჩენილი ქართველი პატრიოტისა და ლიტერატორის ფილადელფოს კიკნაძის საქართველოში დარჩენა სურდა მას შეთქმულებაში მისი ჩაბმის მიზნით. მართლაც, ფილადელფოსი, როგორც ვიცით, არამც თუ ჩაება ფარული საზოგადოების შეთქმულებაში, არამედ გახდა მისი ერთერთი აქტიური წევრი.

სოლ. დოდაშვილისათვის ცხადი იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობისათვის უქმი იქნებოდა, თუ იგი არ დაუკავშირებდა ბრძოლას იმავე ხალხის განათლებისათვის. მისთვის ცხადი იყო, რომ გაუნათლებელი ხალხი შეგნებულად ვერ დაუქერდა მხარს პოლიტიკურ ბრძოლას თავისუფლებისათვის და ვერც ისარგებლებდა ამ ბრძოლის შედეგ-

¹ ს. დოდაშვილი, წერილები, გვ. 78.

გითა და მონაპოვართ. მისი აზრით, ყოველი საზოგადოების კეთილ-
დღეობა და შემძლეობა დამოკიდებულია ბალხის განათლებაზე, მის
(საზოგადოების) წევრთა კეთილ აღზრდაზე. სოლომონ დოდაშვილი
1832 წელს წერდა:

„განათლება არის უშუბტკიცესი და უუსაიმედო-
ესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოველისა
საზოგადოებისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება შემ-
დგარი კეთილალზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყა-
როდ საერთოთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლეობისა;
მას შინა სცნობს წმინდა ეკლესია — ქეშმარიტთა ძეთა, მოქალა-
ქეობა — მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი — თავისსა ნუგეშ-
სა“¹.

სოლ. დოდაშვილს ძალიან ფართოდ აქვს წარმოდგენილი გა-
ნათლებისა და აღზრდის როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს
ცხოვრებაში. მისი აზრით, საზოგადოების მორალი, ღირსება და,
საერთოდ, მომავალი პოტენციური შესაძლებლობანი განპირობე-
ბულია ამ საზოგადოების წევრთა განათლებით, მათი აღზრდით,
მათი ზნეობრივი და გონებრივი მდგომარეობით, მათი იდეალებით.
აქედან ნათელია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდა იგი ბალ-
ხის განათლებისა და ახალთაობის სწავლა-აღზრდის მიმართ.

* * *

როგორი იყო ახალი თაობის აღზრდა-განათლების მიზანი და
შინაარსი სოლ. დოდაშვილის მიხედვით?

სპეციალური პედაგოგიური ხასიათის ნაწერები ამ საკითხებზე
მას არა აქვს, მაგრამ მისი შრომებიდან საკმაოდ ნათლად ჩანს რო-
გორც აღზრდისა და სწავლა-განათლების, ისე სკოლის მიზნები და
ამოცანები.

ყოველი ადამიანის „საკუთრივ ადამიანურ“ თვისებას, სოლ. დო-
დაშვილის აზრით, წარმოადგენს ლტოლვა ჰარმონიისაკენ, მთლიანო-
ბისაკენ. ეს ჰარმონია და მთლიანობა დევს როგორც თვით მასში — სუ-
ბიექტში, ისე მის გარეთ — ბუნებაში. ადამიანში არსებული ჰარმო-
ნია არის ერთიანობა კანონებისა, რომელთაც მისი განვითარება
ექვემდებარება, ხოლო ჰარმონია ბუნებაში — ერთიანობა კანონები-
სა, რომელნიც სამყაროს მოვლენათა „უსაზღვრო ჯაჭვსა“ და მისი
განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. ადამიანის ლტოლვა ანუ
მისწრაფება ამ ჰარმონიისაკენ, დოდაშვილის აზრით, არის ადა-
მიანის განვითარების პროცესი, ხოლო წვდომა ანუ შეცნობა

¹ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაჲსა“. 1832, № 2.

აღნიშნული ჰარმონიისა — გენვითარების მიზანი. „ვინც ადამიანს დაკვირვებია, — წერს დოდაშვილი, — მან იცის, რომ იგი მიილტვის რა ჰარმონიისაკენ თავისი ბუნებით, შეუწყვეტლად ეძებს მას აგრეთვე გარე ბუნებაშიც“¹.

სოლ. დოდაშვილი გრძნობს ადამიანის ერთიანობას მატერიალურ ბუნებასთან. ის ფიქრობს, რომ ადამიანის შინაგანი, საკუთარი ბუნების გასაღები, საერთოდ, გარეშე ბუნებაში ძევს; აქვე უნდა ვეძიოთ წყარო, კერძოდ, მისი სულიერი ცხოვრებისა: „გრძნობაში არაფერია ისეთი, რაც არ არის ნივთიერ ბუნებაში; გამოცდილება ცხადად ამტკიცებს ამ ქეშმარიტებას“². ეს ცნობილი მატერიალისტური დებულება, რომელიც დოდაშვილს სრულიად მართებულად მიაჩნია გამოცდილებით დამტკიცებულ ქეშმარიტებად, წარმოადგენს, მისი აზრით, ადამიანის და ბუნების ერთიანობის საფუძველს და ამავე დროს განაპირობებს ადამიანის მისწრაფებას მთლიანობისაკენ.

ლტოლვა ჰარმონიისაკენ, როგორც აღნიშნეთ, ყველა ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა და ამდენად ყველა ნორმალური ადამიანი ექვემდებარება გენვითარების პროცესს; მაგრამ მიზნის მიღწევა ყველას ხვედრი არაა. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის წვდომა მოითხოვს „გარკვეული ადამიანური ცოდნის „სისტემას“ ანუ მეცნიერებას, ფილოსოფიას, რომელიც „არავისათვის არ არის თანდაყოლილი; ის შეძენილ უნდა იქნეს საკუთარი გონების ძალით, საკუთარი მოღვაწეობით“³. აი, ეს პროცესი „ადამიანური ცოდნის სისტემის“ შეძენისა ესმის სოლომონ დოდაშვილს როგორც პროცესი აღზრდა-განათლებისა.

რა შეადგენს „ადამიანური ცოდნის“ ანუ მეცნიერების შინაარსს, რომლისაკენაც უნდა მივყავდეთ სწავლა-განათლებას? ადამიანი და ბუნება. მაგრამ რას გულისხმობს ადამიანის ან ბუნების წვდომა? სოლ. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ: „ჩავწვდეთ საკუთარ თავს (ხაზი ავტორისაა, გ. თ.), ნიშნავს ბეჯითად გავსაჯოთ ჩვენს შინაგან მოვლენათა შესახებ, გავხადოთ რა ჩვენი თავი კვლევის უშუალო საგნად. შეცნობა საკუთარი თავისა სხვა არაფერია, გარდა უნარისა მართებულად ვიმსჯელოთ მთელი ჩვენი მოქმედი ძალის შესახებ, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მა-

¹ С. Додашвили-Магьрскии, Курс философии, т. I, Логика, 1827, 83-1.

² იქვე, 24.

³ იქვე, 111

შინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, მათი საზღვარი და მიზანი“...¹

ამგვარად, ადამიანის არსის შეცნობისათვის საჭიროა მისი შინაგანი მოვლენების, მისი ბუნების კანონების ცოდნა, მისი ფსიქოლოგია. ეს არის ერთი მხარე ადამიანის სწავლა-განათლებისა. მეორე მხარეს წარმოადგენს გარეშე ბუნების ანუ მატერიალური სამყაროს შეცნობა.

განათლების შინაარსს, სოლომონ დოდაშვილის მიხედვით, როგორც ვიცით, მეცნიერული ცოდნა განსაზღვრავს, ხოლო თვით მეცნიერული ცოდნის ანუ, უკეთ, მეცნიერების შინაარსს კი — მისი საგანი. „სამყარო, როგორც მოვლენა, — წერს დოდაშვილი, — არის ურიცხვი სხვადასხვაობა მრავალი საგნისა მათი ურთიერთობით; მათი მრავალგვარობა უექველად წარმოშობს მრავალგვარობას აზროვნების წესებისა, რომელნიც არიან რა რამდენადმე დამოკიდებული თვით საგნების კერძო თვისებათაგან, ბუნებრივად წარმოადგენენ ნაწილობრივს, შემთხვევითს (ხაზი ავტორისაა — გ. თ.), გამოსადეგს მხოლოდ გარკვეულ საგანთა გვარისათვის, მაგალითად, ისტორიულ, მათემატიკურ და სხვ. ვერებთ რა ამ წესებს, რომლებიც შეეფარდებიან შეცნობადის ცალკეულ დარგებს, შეგვიძლია მივიღოთ აზროვნების ცალკეული მეცნიერება თითოეული მათგანისათვის“²

რამდენადაც სოლ. დოდაშვილისათვის შეცნობადის ორი ძირითადი სამყარო — ადამიანი და ბუნება — წარმოადგენენ ჩვენი შემეცნებისა და სწავლების ორ ძირითად ობიექტს, იმდენად ის გულისხმობს მეცნიერებათა ორ ძირითად ჯგუფს: ჰუმანიტარულსა და საბუნებისმეტყველოს, მაგრამ „სიმრავლე და მრავალგვარობა“ დარგებისა, რომელნიც აღნიშნულ ორ ძირითად სამყაროში არსებობენ, თავის მხრივ, გულისხმობენ მრავალ სხვადასხვა მეცნიერებას ყოველი ამ ცალკე დარგის შესახებ.

მაგრამ მას ცალკე აქვს გამოყოფილი „ფილოსოფიური სწავლანი“ და ფილოლოგია. „ფილოსოფია ჩვენი, — წერდა დოდაშვილი, ... მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება; კვალად. იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს სწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა“. ამის მიხედვით თეორიაში ის გულისხმობს ლოგიკას, ფსიქოლოგიას და მეტაფიზიკას, პრაქტიკა-

¹ Логика, გვ. IV.

² იქვე, გვ. IV.

ში — „ზნეობითი სწავლას“ (ეთიკა), სამართალსა და რელიგიას, ეს-
თეთიკაში — გემოვნებას, მკვერმეტყველებასა და პოეზიას. „სადა-
არს სულისათვის სწავლა? კითხულობს დოდაშვილი, და უპასუხებს:
„იგი არს ფსიქოლოგიასა შინა“¹.

განსაკუთრებით ამხვილებდა ყურადღებას ენისა და საერთოდ
სიტყვიერების სწავლებასა და შესწავლაზე, ვინაიდან ამ გზით მდიდ-
რდება და ვითარდება ეს მეცნიერება, ხოლო „სიმდიდრე ენისა
არს სიმდიდრე გულის ხმის ყოფისა... და წარმატებანი ენისა და
სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა“². საერთოდ კი,
სოლომონ დოდაშვილის მართებული აზრით, მიდრეკილება განათ-
ლებისადმი და „წარმატებანი სწავლათაგან ჰმოწმობენ საზოგადოდ.
აღმატებასა კაცობრივისა“. ამის შედეგად „გამოცხადლებიან ხარის-
ხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, გავრცელდებიან სიმრ-
გვალენი გონებისანი შეხედვითა მოქმედებულთა მშვენიერება-
თადმი“³.

აი, ეს მეცნიერებანი წარმოადგენენ განათლების შინაარსს,
ხოლო მათი შესწავლა, დაუფლება — მიზანს.

სოლ. დოდაშვილის აზრით „ყოველი მეცნიერების შინაარსი
დაძოკიდებულია მის იდეასაგან“ და სწორედ ამ იდეის გამონახვა
მიაჩნია მას პირველ აუცილებელ პირობად მეცნიერების შესწავლის
(ან სწავლების) დაწყებისათვის და მისი შინაარსის ადვილად გაგე-
ბისა და გაგებინებისათვის.

* * *

აღზრდისა და სწავლა-განათლების მიზნების გარკვევასთან
ერთად სოლ. დოდაშვილს არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტო-
ვებინა თვით ობიექტი აღზრდისა ანუ ბავშვი. ჩვენ უკვე გვქონ-
და აღნიშნული, რომ ადამიანის შესწავლა ანუ „წვდომა“ — დოდაშვი-
ლის ტერმინი რომ ეხმაროთ — ნიშნავს „ჩვენი შინაგანი (ჩვენს ში-
გნი მიმდინარე) მოვლენების“, „მთელი ჩვენი მოღვაწეობის ძალის“,
„ჩვენი არსის მოქმედების კანონების“ ცოდნას. მხოლოდ ამის შემ-
დეგ მიაჩნია მას შესაძლებლად ლაპარაკი ადამიანზე (ბავშვზე) სათა-
ნადო ზეგავლენის ფორმებისა და მისი სწავლების მეთოდების შერ-
ჩევის შესახებ. აღნიშნული შინაგანი მოვლენები და მოქმედების
კანონები, დოდაშვილის სრულიად მართებული აზრით, თავს
იჩენენ ადამიანის მოღვაწეობაში, მის ქცევაში, ხასიათში. მაგრამ

¹ წერილები, გვ. 133.

² იქვე, გვ. 63.

დოდაშვილს, პირველ ყოვლისა, აინტერესებს ადამიანი (ან ბავშვი) არა საერთოდ, უკეთ, არა ზოგადკაცობრიული ხასიათი ადამიანისა, არამედ ქართველი ბავშვი და ეს საესებით გასაგებია: ის სახავს თავის თანამემამულე, ქართველი ბავშვების აღზრდისა და სწავლა-განათლების მიზნებს და უექველია მას ამავე ეროვნების ბავშვი და მისი შესწავლა აინტერესებს. მაგრამ ჯერ ვნახოთ როგორ თვისებათა მატარებელია ქართველი საერთოდ, რომ შემდეგ, ამის მიხედვით შეგვეძლოს ვიმსჯელოთ ქართველ ბავშვებზე:

„ბუნებამან არ უარგვეო ზნეობითა და ფიზიკურთა ნიქთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოუიერ არს. ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული. თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი (განუშორებელი—გ. თ.) ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველისა ელადისათა. გარნა არა განხმულ იყო ქურქელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგედვა სარგებლობა ნიქთა მიერ მისთა და გონებითთა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა. საპირობანი გარემოებათაგანი და არა იწარმოებდა თავისი უჯლებით სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნის მოყვარეობითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა“¹.

ამგვარად, სოლ. დოდაშვილი აღიარებს, რომ ჩვენი ხალხი დაჯილდოებულია მორალური, ინტელექტური და სენსუალური ნიქით და შემკულია ფიზიკური ღირსებით. მაგრამ თუ მას დახშული ჰქონდა თავისი მდიდარი ბუნების საგანძური, ვერ სარგებლობდა თავისი ნიქით, თუ მის გონებრივ მოღვაწეობას მუდამ თან სდევდა შემბორკავა საქობროტო გარემოებანი, არ ვითარდებოდა თავისუფლად მისი სული, წმინდა სიყვარული სწავლა-განათლებისადმი და სიბრძნისმოყვარული მისწრაფება ჩვენი ზნეობრივი ბუნების სისრულისადმი—ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ მას არ ჰქონდა ეს თვისებები და საამისო უნარი, არამედ იმიტომ, რომ მას „არა ძალედვა“, ე. ი. წარამეული ჰქონდა საამისო ძალა-უფლება (და თუ გავიხსენებთ, რომ სოლ. დოდაშვილი ამას წერდა 1832 წელს, შეთქმულების წინ, გასაგები ვახლება მისი სააგიტაციო, მოწოდებითი მნიშვნელობა).

აღნიშნული ეროვნული თვისებები ქართველი ხალხისა, სოლომონ დოდაშვილის აზრით, ახასიათებს ყველა ქართველს და, მაშასადამე, ქართველ ახალგაზრდობასაც. მაგრამ ჩვენს აღსაზრდელ და გასანათლებელ თაობას, ამას გარდა, სპირიდება კიდევ ისეთი თვისებები,

¹ „სალიტ. ნაწ. ტფ. უწყ.“. 1-2, № 2.

რომლებიც უზრუნველყოფენ მის მომზადებას მომავალი მოღვაწეობისათვის. ასეთი თვისებები სოლ. დოდაშვილის მიხედვით არის: „მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ძიებაკეშმარიტებისა და ცნობისათვის ნებისა“, ცნობის-მოყვარეობა ანუ ინტერესი და სურვილი. ეს თვისებები ყველა ახალგაზრდას გააჩნია და აიხსნება მათი შინაგანი მისწრაფებით ფიზიკური და სულიერი განვითარებისადმი, ესაა მისწრაფება ზრდისაკენ, და ბუნებრივია, რომ მოზარდს ჰქონდეს მისწრაფება ზრდისაკენ, სხვანაირად მოზარდი არ წარმოიდგინება, მაგრამ სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ ეს მისწრაფება აღსაზრდელისათვის ყოველთვის არ არის გაცნობიერებული და ხშირად სტიქიურად მიიმართება. ამ შემთხვევებში მოზარდის შინაგანი მისწრაფება განვითარებისადმი და მისი დანიშნულება ანუ მისი აღზრდის მიზანი არამც თუ არ არიან შესაბამისი, არამედ შეიძლება სრულებით ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, სოლ. დოდაშვილი მოითხოვს მოზარდის შესწავლას, მის გადაქცევას, როგორც თვითონ ამბობს, — „კვლევის უშუალო საგნად“, რათა გამოძეღავდეს მისი ყველა თვისება, გაცნობიერებულ იქნეს მისი შინაგანი, ბუნებრივი მისწრაფება განვითარებისადმი და ამის შედეგად მოხდეს ამ მისწრაფების მოწესრიგება და მიზანშეწონილი დაქვემდებარება აღზრდის მიზნებისადმი.

* * *

არ შეიძლება არ აღინიშნოს სოლომონ დოდაშვილის მოძღვრების კიდევ ერთი საუკეთესო მხარე. ეს არის თეორიისა და პრაქტიკის მკიდროკავშირის აღიარება. რამდენადაც ადამიანის ცოდნა მის მოღვაწეობაში ვლინდება და ისე მკაფიოდ, რომ უკანასკნელის მიხედვით ვმსჯელობთ მის შესახებ, იმდენად ეს მოღვაწეობა, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ადამიანის ქცევას, რომელშიც თავს იჩენს როგორც მისი ცოდნა, ისე ცოდნის გამოყენების შედეგი. სოლომონ დოდაშვილი არ ანსხვავებს ადამიანის ქცევას მისი მოღვაწეობის პრაქტიკისაგან: პრაქტიკა და ქცევა მისთვის ერთი და იგივეა, ვინაიდან ორივე მათგანი გამოყენებითი მნიშვნელობის მოქმედებას წარმოადგენს.

ერთ წერილში იონა ხელაშვილისადმი სოლომონი აღნიშნავს, რომ „ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულისა კეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა... პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდების... თვისად დროსა“¹. თეორიულ კეშმარიტებაზე,

¹ წერილები, გვ. 74.

დაფუძნებული მოქმედება ინტელექტური პროცესის, რადგანაც მისი უეჭველობა ჯერ კიდევ ცდით შემოწმებულ საზომს მოითხოვს. მაგრამ თეორიული მოქმედების კუმარითობის საზომი, სოლომონ დოდაშვილის აზრით, არის მისი პრაქტიკული დანიშნულება, რომელიც უნდა ჰქმნიდეს ან მორალურ ნორმას, ან მატერიალურ ღირებულებას. დოდაშვილი მოითხოვდა ახალგაზრდათა სწავლა-განათლების ისე წარმართვას, რომ მათი თეორიული ცოდნა მომავალში „პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდეს“.

* * *

ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას სოლ. დოდაშვილი უმთავრესად სკოლას აკისრებდა. ის აღნიშნავდა, რომ „სარწმუნო“ მეცნიერულ-ლიტერატურული ნაშრომების შექმნის უნარის მქონე ახალგაზრდობის მომზადება სწორედ სკოლამ უნდა შეძლოს, რადგანაც სკოლას უფრო მეტი საამისო საშუალებანი მოეპოვება, ვიდრე ოჯახს ან სხვა დაწესებულებას. მას ახარებდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სკოლების რიცხვის ოდნავი ზრდაც კი, ვინაიდან „მოწათფენი, რომელნიცა აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა აღგვითქვამენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მანულისა“¹, მაგრამ 20—30-იანი წლების საქართველოში სასწავლებლები რაოდენობით ისე მცირე იყო და ისე მოუწყობელი რომ სრულებით ვერ აკმაყოფილებდნენ სწავლის მსურველებს ვერც რიცხვით, ვერც სწავლების ხარისხით. ასე, მაგალითად, 1827 წელს. თბილისში დაბრუნებისთანავე, ერთერთ წერილში იონა ხელაშვილისადმი სოლომონი აღნიშნავდა: „...აქაური სასწავლებელი, თბილისისაც ჯერეთ უწესრიგობასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე. არაეინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სკვრეტენ სწავლათა“². ერთი წლის შემდეგ ისევ იონასადმი გაგზავნილ წერილში კვლავ მწუხარებით გამოთქვამდა სოლომონ დოდაშვილი, რომ „სასწავლებელი ჩვენი უწესოსა მდგომარეობასა შინა არს, არაეინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და დატეხულ არს თვინიერ ყურადღებისა“³. და თუ ასეთ მდგომარეობაში იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში იქნებოდა საქართველოს სამაზრო და სამრევლო სკოლები, რომლებიც მოკლებული იყო როგორც ღირსეულ მასწავ-

¹ წერილები, გვ. 74.

² იქვე, გვ. 101.

³ იქვე, გვ. 107.

ლებლებს, ისე სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს. სოლომონ დოდაშვილი იმავე წერილში იმედს გამოსთქვამდა, რომ „გარნა ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათვის სწავლათა, ვინაითგან ინება ღმერთმან მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განილტვენნ ძალისა გამო მხედრობითა ჩვენთა და საქურველთა“. მაგრამ არც მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ჩქარობდა მეფის ხელისუფლება საქართველოსა და კავკასიაში სკოლების რიცხვის გამრავლებას და 1832 წ. შეთქმულებისა და განზრახული აჯანყების ერთერთ მიზეზად სოლ. დოდაშვილი ასახელებდა ქართველთა უკმაყოფილებას სასწავლებელთა სიმცირის გამო და პედაგოგ ზ. ავთანდილაშვილთან ერთად მოითხოვდა დაბალი და საშუალო სკოლების გამრავლებას და ერთი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში.

* * *

აღვნიშნოთ კიდევ ერთი განსაკუთრებული ღირსება სოლ. დოდაშვილის პედაგოგიკური კონცეპციისა: აღმზრდელობითი სწავლების იდეა. მართალია, ეს იდეა ახალი არ იყო საქართველოსათვის, მართალია, XVIII საუკუნეში კარგად იყო იგი წარმოდგენილი ქართულ მწერლობასა და პედაგოგიაში, მაგრამ როგორც ოჯახის ამოცანა, სოლ. დოდაშვილმა აღმზრდელობითი სწავლების იდეა თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა და უმთავრესად სკოლის ამოცანად დასახა იგი.

ადამიანისა და მოქალაქის მაღალი ღირსება ყოველი პიროვნების კეთილშობილური იდეალია. სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ ეს ღირსება თანდაყოლილი არ არის. მართალია, ყოველი ადამიანი ადამიანად იბადება, მაგრამ ადამიანური ღირსება თან არავის დაჰყვება; ეს არის აღზრდით შენაძენი თვისება.

ადამიანისა და მოქალაქის ღირსების პირველი დამახასიათებელი ნიშანი, დოდაშვილის აზრით, არის მამულის სიყვარული. ეს გრძნობა ყველა დანარჩენზე უფრო ძლიერია და მაცოცხლებელი. სამშობლოსა და ხალხის სიყვარული ყოველი ადამიანის წმინდათა წმინდა მოვალეობაა; მაგრამ ამ მოვალეობის გადაქცევა ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად და მოწოდების საქმედ შეიძლება მხოლოდ აღზრდით. საკუთარ თავზე ჰქონდა სოლომონს გამოცდილი ამ გრძნობის ცხოველყოფილობა. ის სწერდა:

„სურვილი იმისა, რომ სასარგებლო ვიქნე ჩემთინამემულესათვის ყოველთვის იქნება ჩემი წმინ-

და მოვალეობა... და მამოძრავებელი შეძლებისდაგვარი შრომისათვის“¹.

სოლ. დოდაშვილის ყოველი ნაბიჯი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე მოფიქრებული და გაზომილი იყო სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით და მისი ინტერესების სადარაჯოზე დგომის აუცილებლობით. „მამულის დიდება“, „სიბრძნის შეძენა მამულისათვის“, „აღზრდა თანამემამულეთა“ და სხვა ამგვარი მოწოდების მმა ესმოდა მისგან ქართველ ახალგაზრდობას როგორც წერილობითს, ისე ზეპირსიტყვიერ გამოსვლებში. იგი მწარედ განიცდიდა თავისი დროის საქართველოს მძიმე საზოგადოებრივ-კულტურულ მდგომარეობას; 1828 წელს, თბილისის კეთილშობილთა სისწავლებლის მოწაფეთა გამოცდებზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, ეხებოდა რა საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ამბობდა:

„საყვარელი მამული ჩენი..., რომელიცა ჰბრწყინა ვედა ოდესმე მაგალითთა შინა განსხვავებულთა კაცთა-სა სიბრძნითა კეთილმოქმედებითა, შაირათ მთხზუ-ელობითა და მხნეობითა“—„მიიყვანეს... ესე ვითარ ხარისხამდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავის უფლებისა და თანადწარმწყმედელი მალალისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა კნინლა უკუე არა განემზადებოდა მსხუერპლად მომყმართა ბარბაროსთ შემძლებლობისა და კუალად უმეტეს უმეცრებისა, რომელიცა არს სარწმუნო თანამგზავ-რი მონებისა...“² უკანასკნელი, ჩვენს მიერ ხაზგასმული აზრი სოლ. დოდაშვილისა, რომ უმეცრება არის უეჭველი თანამგზავრი მონობისა—შეიცავს უალრეს სინამდვილეს, ნამდვილ პატრიოტულ და ამავე დროს რევოლუციურ მოწოდებას ეროვნულ-პოლიტიკური მონობის დასამხობად, განათლების უფლების მოსაპოვებლად და „დავიწყებული მოქალაქეობრივი თავისუფლების“ აღსადგენად.

სოლ. დოდაშვილი იმედით შესცქეროდა ქართველ ახალგაზრდებს „ზრდილთა ამათ სწავლათა მიერ ახალნერგთა სასო-ებათა საქართველოისათა“ და დარწმუნებული იყო, რომ მათი, შესაფერო აღზრდისა და სწავლა-განათლების შედეგად, „ძალგვიძს ჩენი დაიმედება თავთავისთა სახეობითა აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველისა ღირსებისა ჩვენისასა, ა(რამე)დ ყოფადცა ოდესმე ხა-რისხსა ზედა ევროპიელთა ერთასა“³.

¹ Логика, 6.

² „ივერია“, 1857, № 227; სრული ტექსტი საქ. მეზ. ხელნაწ. ბ, 333.

³ „ივერია“, 1857, № 227.

სოლომონ დოდაშვილის ქართული პატრიოტიზმი შორსაა ვიწრო-ნაციონალისტურ ტენდენციებისაგან. პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა იგი სხვა ერებსაც, მათ ღირსებასა და კულტურას. განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობით იხსენიებდა იგი „პატიოსან და მშრომელ“ რუს ხალხს და დიდად აფასებდა „მკვირცხლ მისწრაფებასა... როსიელთასა სწავლათა შინა“¹.

სოლომონ დოდაშვილი რუსი დეკაბრისტების იდეათა მიმდევარი და რესპუბლიკანელი, მთელი თავისი შეგნებით და შესაძლებლობით იღწვოდა ხალხის დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. სისწორით შესწავლილი და სამართლიანად დაფასებული მისი აზროვნება და მოღვაწეობა გვარწმუნებს, რომ ის იყო ქართველი ხალხის XIX საუკუნის ნაციონალურ გამათავისუფლებელი მოძრაობის დამწყები, მისი პირველი პერიოდის მოწინავე წარმომადგენელი. გამათავისუფლებელი მოძრაობით იყო განპირობებული მისი კეთილშობილი პატრიოტიზმი. ამ გრძნობას უნერგავდა იგი თავისი დროის ქართველ ახალთაობას და აღიარებდა როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე და საოჯახო აღზრდის ამოცანად. პატრიოტიზმი მიაჩნდა მას აღმზრდელობითი სწავლების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად.

არანაკლები მნიშვნელობის აღმზრდელობითი ხასიათის პრინციპად მიაჩნდა მას აგრეთვე დემოკრატიული პრინციპი სოციალური თანასწორობისა.

სოლომონ დოდაშვილი იყო მოქალაქეთა სოციალური თანასწორობის იდეის მქადაგებელი და მისთვის პრაქტიკულად მებრძოლი ადამიანი. „არა გვართა იქების კაცი, არამედ გონებითად მოკმედებითა ხელოვნად“, ამბობს იგი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი გამოხმაურება იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციისა. საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციისათვის თანასწორობის იდეა უფრო დეკლარაცია იყო, ვიდრე პრინციპი, ხოლო დოდაშვილისათვის არსებითი და რეალური. თანასწორობის იდეის გამოხატულებას მის პედაგოგიკურ მოძღვრებაში წარმოადგენდა სწავლა-განათლების აღიარება საყოველთაო, სახალხო საქმედ, მისი უზრუნველყოფა ყველასათვის, საზოგადოების როგორც გაბატონებული, ისე დამორჩილებული ფენებისათვის.

¹ „ივერია“, 1887, № 227.

„სწავლასა შინა¹ დიდის კაცისა და მცირისა (შვილები) ერთნი და იგივენი არიან, ე. ი. ერთად შესარიცხარიან მასწავლებლისთანა“¹.

ამით სოლომონ დოდაშვილი ამბობს, რომ სწავლა-განათლება არ უნდა იყოს პრივილეგია რომელიმე წოდებისა და მოითხოვს თანაბრად ანუ ერთნაირად და განურჩევლად ეპყრობოდნენ სწავლის ყველა მსურველს, მიუხედავად მათი შთამომავლობისა და აწმყო სოციალური მდგომარეობისა. თანაბარი მოპყრობა დიდკაცთა ანუ თავადაზნაურთა და მცირეთა ანუ გლეხების შვილებისადმი „სწავლასა შინა“ სოლ. დოდაშვილს ესმოდა, როგორც განათლების ერთნაირი უფლების მინიჭება ყველასათვის და სახელმწიფო საგანმანათლებლო ღონისძიებათა თანაბარი გავრცელება ყველა წოდების ახალგაზრდობაზე, ისე საერთო, უწოდებრიო—სკოლების გახსნა დაწყებითიდან უმაღლესამდე. ამასთან სოლ. დოდაშვილი მასწავლებელთაგანაც მოითხოვდა ყველა წოდების ბავშვები ერთნაირად „შეერიცხათ“ ანუ მიეჩნიათ სწავლების მთელი დროის განმავლობაში, ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონრდათ ყველა მოსწავლისადმი, როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი მუშაობის დროს. სოლომონ დოდაშვილს დიდ უსამართლობად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ მის დროს თბილისში არსებობდა „კეთილშობილთა სასწავლებელი“ და შემდეგ გიმნაზია მხოლოდ თავადაზნაურთა და მაღალი რანგის მოხელეთათვის. ის მოითხოვდა მთავრობისაგან, რათა დაბალი წოდების ახალგაზრდობასაც მისცემოდა საკმაო რაოდენობის სკოლა დაწყებითიდან უმაღლესამდე და ამ მოთხოვნილებას ის, როგორც ვიცით, არ ფარგლავდა მარტო თეორიული ბრძოლით.

სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ აღზრდის გზით შეიძლება ადამიანი იქცეს „სხუა ადამიანად“. აღზრდას შეუძლია გარდაქმნას იგი ყოველმხრივ. ერთ-ერთ წერილში იოანე ხელაშვილისადმი სოლომონი აღნიშნავს, რომ „განათლება გონებისა და განვითარება გულისა ხშირად შესცვლის ყოველ ადამიანსა კაცისასა“². გონების განათლება და გულის განვითარება მას ესმის, როგორც გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, რაც საკმაოდ მიაჩნია ადამიანის შეცვლისათვის. აღზრდის ეს ორი სახე, მართლაც, ძირითადია აღზრდის მთლიან პროცესში და ადამიანის, როგორც სოციალური არსის, გარდაქმნისათვის სწორედ ამ ორ სახეს აქვს ყველაზე მეტი მნიშვნელობა. მაგრამ სოლომონ დოდაშვილი ძალიან ფრხილად ეკიდება

¹ წერილები, გვ. 80.

² იქვე, გვ. 108.

აღზრდის გზით ადამიანის ყოვლად შეცვლის პრობლემას. ის აღნიშნავს, რომ აღზრდას შეუძლია ადამიანის შეცვლა ხშირად და, მასთანადამე, არა ყოველთვის და ყოველ პირობებში. ეს დამოკიდებულია, ერთი მხრით, აღზრდის ხასიათზე და აღმზრდელ გარემოზე და, მეორე მხრით, აღსაზრდელზე. ის რაც ხშირია — არის წესი, ხოლო არახშირი ანუ იშვიათი — გამონაკლისი. აღზრდას რომ ადამიანის შეცვლა შეუძლია, ამას წესად სთვლის სოლომონ დოდაშვილი, მაგრამ ზოგჯერ ამის შეუძლებლობაც დასაშვებად მიაჩნია მას, როგორც გამონაკლისი. მას არა აქვს პირობაპირი მითითება, რა პირობებში გვაქვს საქმე წესთან ანუ ხშირ მოვლენასთან და რა პირობებშია მოსალოდნელი იშვიათი მოვლენა ანუ გამონაკლისი, მაგრამ მისი საერთო მსჯელობიდან ამ საგანზე შეიძლება დავასკვნათ: როცა ადამიანის აღზრდის მიზანი და საზოგადოებრივი დანიშნულება სავსებით შეესაბამება მის შინაგან ლტოლვას ანუ მისწრაფებას ჰარმონიისაკენ (მთლიანობისაკენ), მაშინ შეიძლება მისი ყოვლადი შეცვლა და რამდენადაც ასეთი მოვლენა ხშირია, საქმე გვაქვს წესთან, ხოლო როცა ეს შესაბამისობა დარღვეულია, როგორც იშვიათი მოვლენა, — საქმე გვაქვს გამონაკლისთან.

მართალია, აღზრდის საზოგადოებრივი როლის გაგების საკითხში სოლ. დოდაშვილი, როგორც ირკვევა, გამოდიოდა ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებიდან აღზრდის ყოვლად შეშლელის შესახებ, მაგრამ შესამჩნევად გაუსწრო მათ წინ იმ კორექტივით, რომელიც მან შეიტანა ამ მოძღვრებაში აღნიშნული გამონაკლისის დაშვების სახით. მიუხედავად ამისა, სოლ. დოდაშვილი მაინც ვერ ამაღლდა ადამიანის როლის მატერიალისტურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც ავით ადამიანი წარმოადგენს თავისი აღზრდისა და გარდაქმნის ძირს, ანუ საფუძველს, რომ ადამიანი თვითონ ჰქმნის თავის აღზრდის გარემოებას და აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი სხვა ადამიანის მიერ, — პრინციპი, რომელიც შემდეგ ჩამოაყალიბა კარლ მარქსმა ფოიერბახის შესახებ მე-3 თეზისში. ამ პრინციპამდე ვერ ავიდა ს. დოდაშვილი და სწორედ ამით უნდა აიხსნას ნაკლი მისი შეხედულებებისა აღზრდის საზოგადოებრივი ფუნქციის გარკვევის საკითხზე.

ლიტერატურა: გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, 314—339; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1945 წ.; სოლომონ დოდაშვილი, ლოგიკა, ა. ქუთელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1949 წ., თბილისი.

პეტრიაშვილი¹

ალექსი პეტრიაშვილი, თვალსაჩინო ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა მე-18 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულში (ზუსტად მისი დაბადების წელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის). 1796 წელს დაასრულა ასტრახანის სასულიერო სემინარია და შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, მსახურობდა ყიზლიარში მღვდლად. 1798 წლიდან მუშაობდა იქვე ჯარის ერთ პოლკში იმავე თანამდებობაზე. 1803 წელს სინოდმა გაათავისუფლა იგი ბერად შესადგომად, მაგრამ იმავე წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ციციანოვმა წამოიყვანა თბილისს თავისი კანცელარიის მთარგმნელის თანამდებობაზე.

1804 წელს ალექსი პეტრიაშვილი დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წელს, მაგრამ ჩქარა დაიხურა იგი და კვლავ იქნა აღდგენილი 1804 წელს.

თუმცა ეს სასწავლებელი დაარსებული იყო მაღალი წოდების ბავშვებისათვის, მაგრამ პირველ ხანებში, ვინაიდან არ იყო ამ სასწავლებელში სწავლის მსურველთა ვადაზნაურთა საკმაო რიცხვი, იღებდნენ მოქალაქეთა და სასულიერო წოდების ბავშვებსაც. ამასთან, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ბავშვთა უფრო მეტი რიცხვის შიზიდვის მიზნით, მოწაფეთათვის დაწესებულ იქნა „წამახალისებელი ჯამაგირი“ („Подручительное жалованье“), თითოეულისათვის ხუთი მანეთის რაოდენობით ყოველთვიურად. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დასაწყისში იყო ორკლასიანი, და სასწავლო გეგმა ძირითადად არ განსხვავდებოდა 1802 წლის თბილისის სკოლის სასწავლო გეგმისაგან. სწავლა წარმოებ-

¹ ალ. პეტრიაშვილის სურათი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული—რედ.

და ქართულ და რუსულ ენებზე, ე. ი. ერთსა და იმავე საგნებს ასწავლიდნენ პირველად ქართულ ენაზე (ე. წ. ქართული კლასი), შემდეგ რუსულზე (ე. წ. რუსული კლასი)¹.

1806 წელს გადაწყვიტეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაეკეთებინათ. საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი 1805 წ. 28 ნოემბერს მოახსენებდა რუსეთის განათლების მინისტრს ზავეადოვსკის, რომ ქართველები ჯერ არ სარგებლობენ მოსკოვის უნივერსიტეტში ბავშვების გაგზავნის უფლებით, ვინაიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი არ იძლევა უნივერსიტეტში შესასვლელად საჭირო საშუალო საგიმნაზიო განათლებას; რაც შეეხება მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიაში ბავშვების გაგზავნას, ამაზე მშობლები უარს ამბობენ, ბავშვთა მცირე ასაკის გამო მათ მიერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრებისას. ამასთან დაკავშირებით ციციანოვი სთხოვდა ზავეადოვსკის მისთვის ნება დაერთო მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში გასაგზავენ ქართველ მოსწავლეთათვის განზრახული თანხიდან 2000 მ. წელიწადში „გამოეყენებინა მასწავლებელთათვის და აქვე შეესრულებინა უკვე მთელი საგიმნაზიო სწავლა“².

დადებითი პასუხის მოლოდინში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელის სასწავლო გეგმაში 1805 წლიდან შეიტანეს ლათინური და გერმანული ენები, როგორც გიმნაზიის სასწავლო საგნები, გათვალისწინებული 1804 წლის წესდებით³.

იმპერატორის ნებართვა მიღებულ იქნა ზავეადოვსკისაგან 1806 წ., საქართველოს მთავარმართველ გუდოვიჩის დროს, და გადაწყვეტილი იყო ამ წლიდან კეთილშობილთა სასწავლებლის პირველი ორი კლასისათვის შემდეგი კლასების თანდათანობითი მიმატებით აეყვანათ ეს სასწავლებელი გიმნაზიის სრულ კურსამდე. 1804 წლის დებულების მიხედვით, გიმნაზიები შესდგებოდა სამრევლო სასწავლებლის 1 კლასისა, სამაზროს — 2 კლასისა და „საკუთრივ საგიმნაზიო“ — 4 კლასისაგან, ასე რომ თბილისის კეთილშობილთა სას-

¹ რუსი მოსწავლეები თავისუფლდებოდნენ „ქართული კლასისაგან“, ე. ი. ქართულ ენაზე საგნების სწავლისაგან. მაგრამ ქართული ენის, როგორც საგნის სწავლა სავალდებულო იყო მათთვისაც.

² АКТЫ, II, 201.

³ ფრანგული ენა, გათვალისწინებული იმავე წესდებით, არ იყო შემოღებული თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ვინაიდან მის შემცველად აქ ითვლებოდა ყველა მოსწავლისათვის სავალდებულო ქართული ენა.

წავლებელი შეიძლებოდა გადაკეთებულიყო გიმნაზიად 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ საქმისადმი არასაკმაო ყურადღების გამო — ციციანოვის მომდევნო მთავარმართებელთა მხრივ — ეს გადაკეთება კარგა ხნით გადაიდო. მცირე ხნის შემდეგ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ორ კლასში შეიქმნა ორ-ორი განყოფილება სწავლების 1-წლიანი კურსით თითოეულ მათგანში. ერთ ხანს პირველი კლასი ითვლებოდა უფროს (მაღალ) კლასად, ხოლო მეორე — უმცროს (დაბალ) კლასად.

1813 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს მიუყენეს 1804 წლის წესდების § 52, რომლის მიხედვითაც სასწავლებლის სასწავლო გეგმაში შედიოდა „ისტორიული, მეტეოროლოგიური, ტოპოგრაფიული, სტატისტიკური ჩანაწერები (საქართველოზე), რომელშიც უნდა ყოფილიყო ცნობები მიწის დამუშავების, დათესვისა და მომკის დროის, მიწის თვისებების, მიწის მუშაობაში გამოსაყენებელი იარაღებისა და სხვა საგნების შესახებ, რომლებიც საჭიროა საერთო მეურნეობის ზუსტად გაცნობისათვის“.¹ ამ საგნების სწავლება, წესდების ხსენებული პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მასწავლებელთა „დამატებით ვალდებულებას, რომლისთვისაც მათ ჰქონდათ უფლება განსაკუთრებული ჯილდოს მოლოდინისა“, მაგრამ ამ საგნების სწავლებისათვის არ იყო დამზადებული ხსენებული „ჩანაწერები“, ე. ი. სასწავლო მასალა, და ამიტომ ეს ღონისძიება შეუსრულებელი დარჩა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თავისი არსებობის დასაწყისში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და პედაგოგიური პერსონალის გაუპჯობესებამ, ქართული ენის სწავლებისადმი ცოტად თუ ბევრად ღირსეულმა დამოკიდებულებამ და მისმა გამოყენებამ მეცნიერებათა სწავლების პროცესში და აგრეთვე მოსწავლეთა კარგმა წარმატებამ, აამალა კეთილშობილთა სასწავლებლის ავტორიტეტი. ასე, მაგალითად, სასწავლებლის აღდგენიდან 2 წლის შემდეგ, 1806 წ., 60 მოწაფისაგან შვიდგარი კონტინგენტი უკვე აღარ აკმაყოფილებდა სასწავლებელში შესვლის მსურველთ, და თბილისის მცხოვრებთა თხოვნით საქართველოს მთავარმართებელმა გუდოვიჩმა მისწერა საქართველოს მმართველს ლიტვინოვს გაედიდებინა კეთილშობილთა სასწავლებლის კონტინგენტი კიდევ 25 კაციით.

აღნიშნული სასწავლებლის ავტორიტეტს კმნიდა უმთავრესად სასწავლებლის დირექტორი ალ. პეტრიაშვილი, რომელიც ას-

¹ АБТБ, V, 275.

რწმუნებდა ამ თანამდებობას 1804 წლიდან 1811 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმი აეყვანა სათანადო სიმაღლეზე. კარგი ადმინისტრატორისა და მასწავლებლის სახელი ჰქონდა მას მოპოვებული. პეტრიაშვილმა, მართლაც, მშვენიერად ააწყო სასწავლებლის მუშაობა, გაზარდა მოწაფეთა კონტინგენტი, მოაწყო სტამბა სასწავლებელთან, შეადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათია, იოანე ქართველიშვილთან ერთად სთარგმნიდა რუსული ენიდან სახელმძღვანელოებს და ხელმძღვანელობდა მათ ბეკედვას სასწავლებლის სტამბაში. 1806 წელს მთავარმართებელ პ.ციციანოვის შუამავლობით სთხოვა მეფეს თავის თანამდებობიდან განთავისუფლება, ბერად აღკვეცის მიზნით. მაგრამ ალექსანდრე I, ნიილო რა ციციანოვისაგან საუცხოო დახასიათება პეტრიაშვილისა, როგორც ღირეპტორისა და მასწავლებლისა, არ გაათავისუფლა იგი. სამაგიეროდ, იმპერატორმა პეტრიაშვილი დააჯილდოვა წმ. ანას II ხარისხის ორდენით და პირადად მის სახელზე მოცემულ რეაკრიბტში სწერდა: „მე მსურს და მესიამოვნება, რომ თქვენ განაგრძოთ თქვენი მუშაობა სასწავლებლის მმართველად, მასში მოსწავლეთა განათლებისათვის“². 1810 წელს პეტრიაშვილმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა მეფის წინაშე ღირეპტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, ვინაიდან მას მხარი დაუჭირა მთავარმართებელმა ტორმასოვმა. ჟუანასკნელს განზრახვა ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი სამხედრო სასწავლებლად გადაეკეთებინა და მის სათავეში სასულიერო პირის გაჩერება აღარ შეიძლებოდა. განთავისუფლებისას პეტრიაშვილმა მიიღო ფულადი ჯილდო 2000 მანეთის რაოდენობით.

АКИМ, III, 25.

ლიტერატურა დიმ. ყიფიანი, მემუარები; იოანე ქართველიშვილი, მემუარები; კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები, ტ. III, გვ. 25; ტ. II, გვ. 201; ტ. V, 275. გ. თავ ხიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, 77-60, 167.



პლატონ იოსელიანი

(1809—1875)

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ისტორიკოსი — ჩვენი წარსულის დაუცხრომელი მკვლევარი პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წლის 18 (30) ნოემბერს ქ. თბილისში. მამა პლატონისა, ეგნატე ონისიმეს-ძე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის კარის მღვდელი იყო — მომსწრე და მცოდნე ერეკლე მეფის დროინდელი ამბებისა, მის კარზე აღზრდილი და მამის თანამდებობაზე დაწინაურებული.

პლატონ იოსელიანი იზრდებოდა და ვითარდებოდა მაშინდელი საზოგადოების იმ მაღალსა და განათლებულ წრეში, რომელშიც ტრიალებდნენ ქართველი მეფის-ძენი: დავით, იოანე, თეიმურაზ, ბაგრატ და სხვა გამოჩენილი მწერლები და მოღვაწენი: გრი-

გოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ალექსანდრე ქავკა-
ვაძე, სოლომონ დოდაშვილი და მრავალი სხვა.

ცხადია, ასეთ საზოგადოებაში პლატონს დიდი განათლება და
წარმატება მოელოდა. მან მართლაც ჩინებულად დაასრულა 1829
წელს თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი, სადაც მას ქარ-
თულ ენას, ლიტერატურასა და კალიგრაფიას ასწავლიდა ცნობილი
მწერალი-კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ერეკ-
ლე II დროს თელავის სემინარიის რექტორად მოღვაწეობის
გამო დავით რექტორად იწოდებოდა.

1829-32 წლებში პლატონი სწავლობდა პეტერბურგის სასუ-
ლიერო აკადემიაში, რომლის კურსის დამთავრების შემდეგ, 1835
წელს საქართველოში ბრუნდება მაგისტრის ხარისხით.

საქართველოში დაბრუნებულა ახალგაზრდა სწავლული პლა-
ტონ იოსელიანი, რომელსაც ფართო განათლება ჰქონდა მიღებული
ფილოსოფიაში, ისტორიასა და ლეთისმეტყველებაში, 1835 წელს.
ვე ინიშნება ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად თბილი-
სის სასულიერო სემინარიაში. ნაყოფიერი იყო პლატონის მოღვა-
წეობა ამ მასწავლებელში, როგორც მასწავლებლისა და სახელმძ-
ღვანელოს ავტორისა. მან ამ ხანებში შეადგინა ქართული ენის
გრამატიკა და სხვა წიგნების გამოცემისაც მიჰყო ხელი. ამავე ხა-
ნებში მან პირველად გამოსცა „ანბანი ქართული სასარგებლოდ
ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა“. 1840 წელს იგი სცემს
ქართულ კალენდარს და ქართული გრამატიკის პირველ-დაწყებით
კანონს, რომელიც განკუთვნილი იყო სასულიერო სემინარიის
მოსწავლეთათვის. 1844 წლის ზაფხულის არდადეგების განმავლო-
ბაში პლ. იოსელიანი სამეცნიერო მიზნით მოგზაურობს საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეებში და აგროვებს დიდძალ არქეოლოგიურ
და საისტორიო მასალას.

საექსპედიციო და სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმული და მრავა-
ლი საქმით დატვირთული პლატონ იოსელიანი სკოლასა და მასწავ-
ლებლობას მაინც არ ტოვებს. იგი განაგრძობს რა სემინარიაში მუ-
შაობას, ითავსებს მასწავლებლობას მაშინ თბილისში ახალგაზრდულ
ქალთა ინსტიტუტშიც.

პლატონ იოსელიანი როგორც განათლებული ინტელიგენტი,
ქვეყანი და სწავლული ქართველი, უკვე რამდენიმე საგულისხმოდ შრო-
მისა და გამოცემის ავტორი და რედაქტორი. იმდროინდელ მოწინა-
ვე ქართველ მწერალთა, ცნობილ მოღვაწეთა და მწერლობის მოყვა-
რულთა წრეების შუაგულში ექცევა. ის ხშირი და საპატიო სტუმარ-
ი ხდება მანანა ორბელიანის იმ განთქმული სალონისა, სადაც ხში-
რად იკრიბებოდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი საზოგადო მოღვა-
წეები და მწერლები.

1849 წელს პლატონ იოსელიანმა იმოგზაურა საბერძნეთში. ამ მოგზაურობიდან დაბრუნებული პლატონ იოსელიანი კვლავ განაგრძობდა მასწავლებლობასა და საგამომცემლო საქმეებს; ის რედაქტორობდა „ზაკაევკაჰსკი ვესტნიკს“ 1845-50 წლების განმავლობაში, წერდა და აქვეყნებდა ძრავალ სტატიასა და შენიშვნას საქართველოს ისტორიიდან.

საქართველოს წარსულის შესწავლით გატაცებულ პლატონ იოსელიანს დაღლა არ შეტყობია. იგი ინტენსიურად, ზედიზედ წერდა და აქვეყნებდა ერთიმეორეზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან შრომებს. მის უამრავ შრომათაგან, რომლებიც მან რუსულ ენაზე დაბეჭდა, აღსანიშნავია: „თბილისის სიძველენი“, „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“, „მცხეთის ტაძარი“, „დიდი მოურავის ცხოვრება“, „საქართველოს ძველი და ახალი ქალაქები“, „მთაწმინდა“, „ქალაქ დუშეთის აღწერა“, „მოგზაურობა დაღისტანში“, „შოთა რუსთაველი“, „მოგზაურობა თბილისიდან მცხეთამდე“, „ქართველები და მათი ძველი სახელწოდებანი“, „ქართული წელთაღრიცხვა“, „კაცხის ტაძარი იმერეთში“, „მოგზაურობა კახეთში“, „მარტყოფის მონასტერი“, „გელათის მონასტერი“, „კაბენის მონასტერი“ და სხვა შრომები, რომელთა გვირგვინად უნდა ჩათვალოს „ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა“. ეს ნაშრომი დაწერილია ავტორისათვის ჩვეული ამადლებული ტონით, ერთდროითა და ისტორიის ღრმა ცოდნით. შრომაში მოცემული ფაქტები, მასალები და მთელი რიგი მოსაზრებანი ანგარიშგასაწევ და ამოუწურავ წყაროდ დარჩება საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ამ პერიოდის მეისტორიეთათვის.

პლატონ იოსელიანმა გამოსცა რამდენიმე ლიტერატურული ძეგლი: ჩახრუხაძის — „თამარიანი“ (1838), შავთელის — „აბდულმესია“ (1838), იოსებ თბილელის — „დიდმოურავიანი“ (1851), ტიმოთე გაბაშვილის — „მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა“ (1852), იონა რუისის მიტროპოლიტის „მიმოსვლა ანუ მგზავრობა“ (1852), ანტონ კათალიკოსის — „წყობილ-სიტყვაობა“ (1853), არჩილ მეფის „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“ (1853) და ბოლოს მისი წინასიტყვაობით გამოვიდა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“ (1850).

პლატონ იოსელიანი ენის საკითხში ბოლომდე დარჩა არქაისტად და კონსერვატორად, რამაც ის სალიტერატურო და სხვა საკითხების გარშემო ატეხილ ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლების დროს „მამათა“ ბანაკში მოაქცია. ის თავის დიდებულ ნაშრომს — „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა“ — სწორედ ამ ცხარე

ბრძოლების პერიოდში წერდა და აყალიბებდა, მაგრამ მის ლიტერატურულ სტილზე არავითარი გავლენა „ახლისა“ არა ჩანს. ის კვლავ თავისი დიდი ბენტორის — ანტონ კათალიკოსის — ლიტერატურული სკოლისა და ენობრივი ნორმების მონა-მორჩილად დარჩა.

პლატონ იოსელიანი იყო მომხრე და მოტრფიალე საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისა და დამეგობრებისა; იგი არ თანაუგრძნობდა და არც არავითარი მონაწილეობა მიუღია იმ ცნობილ შეთქმულებაში. რომელიც 1832 წელს მოხდა. 1833 წელს მ. ბროსესადმი გაგზავნილ ერთ წერილში პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ გაზეთს „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებთან“ 1832 წ. აბექდევებდა ს. დოდაგი და უბედურსა ამახს მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექვს თვეზედ აკრძალეს. თვით იგი წარგზავნეს ვიატკას და მუნ გარდაიცვალა. მეცადინეობა მისი იყო ფრიად კეთილი. მაგრამ შეაცდინეს სხვათა უთუოდ და დაჰკარგა თავისი პატივი“...

ამგვარ მოსაზრებათა და მოქმედებათა შედეგად წარმოიშვა ყალბი შეხედულება პლატონ იოსელიანის მონარქისტობაზე და მეფის ტახტის ერთგულებაზე, მაგრამ ვინც კი პლატონ იოსელიანის ცხოვრებასა და ღვაწლს გაეცნობა, მისთვის ნათელი გახდება ამ მწველი თაობის გამოჩენილი მოღვაწის გულწრფელი ქართული პატრიოტობა.

მართალია, მსოფლმხედველობა. რომელსაც პლატონ იოსელიანი იცავდა, დღეს სავსებით მოძველებული და მიუღებელია, იგი განიხილება როგორც განვლილი ეტაპი. როგორც წარსულის კუთვნილება, რომელსაც თავის დროზე გარკვეული როლი ჰქონდა დაკისრებული. მას მაინც თავის მრავალრიცხოვანი წიგნებით, სახელმძღვანელოებით, წერილებით, გამოკვლევებით და პრაქტიკულ პედაგოგიური მოღვაწეობით გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართული საღბის წინაშე. იგი იცავდა ქართული კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებსა და ისტორიულ წყაროებს.

პლ. იოსელიანი გარდაიცვალა 1875 წლის 15 (27) ნოემბერს 66 წლის ასაკში. დაკრძალულ იქნა ქ. თბილისში, მის მიერ აგებულ ამბოლესის ტაძარში.¹

ლიტერატურა: სერგეი მესხი, ნაწერების I ტ. გვ. 320—322; პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწირელისა შესავალი წერილებით, ოდაქციითა და შენიშვნებით; გიორგი თავნიშვილი, სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801—1870 წ., გვ. 341, 453, 438, 439; იონა მეუნარგია. „ქართული მწერლები“. წ. I. გვ. 39, 185, 193; შოთა რუსთაველის სახელობის ბაუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული წიგნი I; პლატონ იოსელიანის წერილები მარი ბროსესადმი, სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით: და შენიშვნებით, გვ. 149—201.

¹ პლ. იოსელიანის ნეშტი შემდეგ გადასვენეს დიდუბის პანთეონში.



დავით ჩუბინაშვილი

(1814—1891)

დავით ჩუბინაშვილი იყო არა მარტო სახელოვანი პედაგოგი — ვულისხმებოდა ალმზრდელი და მასწავლებელი, არამედ თავისი დროის ღირსეული მეცნიერიც. ის იყო შესანიშნავი ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, არქეოლოგი, ისტორიკოსი და დიდი ქართველი მწიგნობარი — განმგრძობი იმ სახელოვანი ღვაწლისა, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევრიდან გააჩაღეს რუსეთში მცხოვრებმა გამოჩენილმა ქართველებმა.

დავით ჩუბინაშვილის ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის გზა მოკლედ ამგვარად აღინუსხება: იგი დაიბადა თბილისში, 1814 წლის 26 სექტემბერს სიონის კათედრალის დეკანოზ იესე

ჩუბინაშვილის საკმაოდ კულტურულ ოჯახში. თვითონ იესე თავის-
დროისთვის ჩინებულ პედაგოგი იყო და ერთი სახელმძღვანელოს —
ქართული ენის გრამატიკის — ავტორიც. ნარკვევებში „მცირე უწყება-
ქართველთა მწერალთათვის“, რომლის შედგენა მიეწერება იოანე
ბატონიშვილს (1768 — 1839), — „ახალ ქართველ მთარგმნელ“ მწერა-
ლთა შორის მოხსენებულია დავით ჩუბინაშვილის მამა იესე მღვდელ-
ლიც.

1825 წელს მამით დაობლებული დავითი მისმა ბიძამ პეტერ-
ბურგს წაიყვანა. 1835 წელს იგი შედის პეტერბურგის უნივერსი-
ტეტში, რომლის კურსს ჩინებულად ამთავრებს 1839 წელს. ნივთი-
ერი სიციწროვის გამო უნივერსიტეტის ახლადკურსდამთავრებულ-
დავითი ერთხანს მსახურობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტ-
როს სააზიო დეპარტამენტში, სადაც ის მრავალ საარქივო მასალას
ეცნობა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობიდან. შემდეგ ის
ამ მასალებს თავის სამეცნიერო მუშაობაშიც იყენებს.

მიუხედავად ამგვარ დაწესებულებაში მუშაობისა, დავითს არ-
ბეუწყვეტია სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა, რის შედეგად
1844 წელს მას იწვევენ უნივერსიტეტში ქართული ენის და ლიტე-
რატურის დოცენტად. 1848 წელს ის ხდება ადიუნქტი, ხოლო 1856
წლიდან — ექსტრა-ორდინატორი პროფესორი. დაუცხრომელმა შრო-
მამ და ამ შრომის დიდმა ნაყოფიერებამ დავითის სამეცნიერო კარი-
ერა მალე წასწია წინ. 1859 წელს ის უკვე ორდინატორი პროფესო-
რია, ხოლო 1870 წლიდან დამსახურებული პროფესორი. ამ დროი-
სათვის იგი მრავალი საყურადღებო შრომის ავტორი იყო.

სამეცნიერო ასპარეზზე მის ამგვარ წინსვლას ნიჭთან ერთად
ხელს უწყობდა ის საარაკო შრომისუნარიანობა, ბეჯითობა, ნების-
ყოფა და გამბედაობა, რაც მას მუდამ ახასიათებდა. მის ამ თვი-
სებათა საილუსტრაციოდ საკმარისია მისი ცხოვრებიდან ერთი ეპი-
ზოდის მოყვანა: სტუდენტობის დროს დავითს დასჭირდა მენინსკის
არაბულ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი. წიგნი რაკი ერთობ ძვირი
იყო და მისი შესაძენი თანხა მას არ აღმოაჩნდა, მან გადაწყვიტა — ეს-
უზარმაზარი, „ყამნგულანის“ მოცულობის წიგნი მთლიანად გადაე-
წერა. „რომ კარგად წარმოიდგინოს კაცმა თუ რა შრომაა ამ წიგ-
ნის გადაწერაში გაწეული, — გადმოგვცემენ დავითის თანამედრო-
ვნები, — უნდა იცოდეთ ყველამ, რომ ეს ნაწერი 4 რვეულად არის
in folio და თითოეული რვეული სისქით ორ გოჯს აღემატებაო“.
(„ივერია“, 1890, №99).

ასეთმა დაუშრეტელმა ენერგიამ და ბეჯითობამ შექმნა მისი
ეგზეომ ვრცელი და მნიშვნელოვანი შრომები, როგორცაა: ქართულ-

რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1837 წელს, 23 წლის ქაბუკმა წარუდგინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას და მით განაცვიფრა იმდროინდელი სამეცნიერო წრეები. ეს ლექსიკონი დიდად მოწონებულ და რეკომენდირებულ იქნა, რომლის შესახებ სითანადო აზრი გამოითქვა „Журнал министерства народного просвещения“-ში — და შემდეგ გაზეთ „Кавказ“-მაც შეათასა მისი მნიშვნელობა. ეს ლექსიკონი, რომელსაც ე. წ. დემიდოვის პრემია მიენიჭა, პირველად გამოიცა 1840 წელს პეტერბურგში — აკად. მ. ბროსეს წინასიტყვაობით.

ამას მოჰყვა დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, საყოველთაოდ ცნობილი და დიდად გავრცელებული პოპულარული წიგნი მთელ საქართველოში. იგი მრავალჯერაა გამოცემული (1857 წ., 1867 წ., 1901 წ.). პირველად კი იგი გამოიცა 1846 წელს პეტერბურგში. წიგნს დართული აქვს მოკლე გრამატიკა ქართული ენისა (ქართულ ენაზე შედგენილი).

იმავე 1846 წელს აგრეთვე პეტერბურგში გამოიცა დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ცნობილი სახელმძღვანელო „ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართველთა მწერალთაგან“ ორ ნაკვეთად — პროზად და პოეზიად, რომელთა გამოცემა შემდეგშიც განმეორდა (1863 წ.), როგორც სასკოლო სახელმძღვანელო. მათ მოყვა 1847 წელს პეტერბურგში გამოცემული დავით ჩუბინაშვილის მოკლე რუსული გრამატიკა, ხოლო 1855 წელს გამოაქვეყნა რუსულ ენაზე შედგენილი ქართული ენის გრამატიკა. ილია ქავჭავაძის ავტორიტეტული აზრით — ეს გრამატიკა პირველი და ერთადერთი ცდა იყო იმ დროს, რომ ქართული ენისა და მეტყველების კანონები თვით ამ ენის თვისებებსა და დაკვირვებაზე დამყარებულიყო და ამით საგრძნობლად ზაინც შეემციბებინა უთუოდ მავნე და შემბოკავი სქოლასტიკური გავლენა ხელოვნურად ბერძნულ-ლათინურისა და რუსულისაგან გამოკრილი ანტონ 1-ის, გაიოზის, იოანე ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის და პლატონ იოსელიანის გრამატიკებისა („ივერია“, 1890, № 98).

დავით ჩუბინაშვილი, როგორც ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოს-არქეოლოგი ხშირად რედაქტორობდა რიგ მნიშვნელოვან გამოცემებს. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ინიციატივითა და თანარედაქტორობით 1841 წელს პეტერბურგში გამოცემული შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება — „ვეფხისტყაოსანი“ — „ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსე, ზაქარია ფალავანიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა“. „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა პირველი ბეჭდური გამოცემაა 1712 წლის ვახტანგისეული

განოცემის შემდეგ. დ. ჩუბინაშვილმა იგი თავისივე რედაქციით გამოსცა აგრეთვე 1866 წელსაც.

დიდი ღვაწლი მიუძღვის დავით ჩუბინაშვილს საქართველოს უდიდესი და უმდიდრესი მატიახის „ქართლის ცხოვრების“ სრულად აღდგენასა და აკადემიურ გამოცემაში. მისივე რედაქციით გამოიცა 1854 წელს პეტერბურგში ეს მატიახე დასაბამითგან ვიდრე 1800 წლამდე, რომელშიც შევიდა, ძველ მემატიახეთა გარდა, სეხენია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებანი.

1859 წელს დ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სახელგანთქმული კრებული „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. დ. ჩუბინაშვილისავე მონაწილეობით დაბეჭდა 1846 წელს ცნობილმა ნუმისმატმა მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაშვილმა (1784—1856) თავისი კაპიტალური შრომა „Нумизматические факты грузинского царства“:

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით დავით ჩუბინაშვილის შრომებსა და მისი რედაქციით გამოცემულ წიგნებს, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. აქ მხოლოდ მისი ძირითადი მეცნიერული ნაშრომები დავასახელებთ, რომელთა რიცხვს უნდა მივმატოს აგრეთვე 1861 წელს მის მიერ გამოცემული საინტერესო წიგნი — რუსეთისა და საქართველოს მეფეების მიწერ-მოწერა, რომელშიაც მოთავსებულია 85 მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ვადალად.

ამ კაპიტალური შრომების პარალელურად დავით ჩუბინაშვილი წერდა მრავალ გამოკვლევას, საჭურნალო და საგაზეთო სტატიებს, ის იყო მუდმივი თანამშრომელი რუსული და ქართული პერიოდული პრესისა. ილია ქავკავაძის გაზეთ „ივერიაში“ დავით ჩუბინაშვილი ხშირად ათავსებდა ლიტერატურულს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულსა და სხვა სამეცნიერო ხასიათის ნარკვევებსა და სტატიებს.

საგულისხმოა და დღესაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული „ივერიაში“ დაბეჭდილი (1887) მისი ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „კაბადოკიისა და ქანეთის (ლაზიკის) გარშემო“. დავით ჩუბინაშვილის აზრით, მაშინდელი მცირე აზიის საფაშალიკოები — სივასი, ყარაშანი და ტრაპიზონი — თავიდანვე ქართველი ტომებით იყო დასახლებული და მათვე ეკუთვნოდა ის ადგილები, სადაც დღემდეც მკვიდრობენ ქართველი ტომები ქანების (ლაზების) სახელწოდებით.

ილია ქავკავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ „დავით იესეს-ძე ჩუბინაშვილი ისეთ დროს დაიბადა, ისეთ ვითარებასა და გარემოებაში აღიზარდა, ისეთს ოჯახში განატარა თავისი ყმაწვილობა და ისეთს

ჰაერში ტრიალებდა ქაბუკობაში, რომ თითქმის სიყრმიდანვე, დედის ძუძუსთან ერთად შეითვისა და შეიტკბო სიყვარული თავის სამშობლოსი, თავის დედა ენისა, მწერლობისა და ისტორიისა“ („ივერია“, 1891, №120).

მართლაც დავით ჩუბინაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ინტელექტუალური ძალა და ფიზიკური ენერჯია მთლიანად მოახმარა მშობლიური ლიტერატურის აღორძინებასა და გამდიდრებას. მისი ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები და სხვა შრომები „დიდი ღვაწლია ქართული მწერლობისათვის, დიდი სიმდიდრეა ქართული ენისათვის“, — წერს სილოვან ხუნდაძე (იქვე, 124).

დავით ჩუბინაშვილს დიდი შრომა აქვს გაღებული ქართული ხელნაწერების შეგროვების სფეროშიც. ვინ იცის, თურამდენი ძვირფასი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ძეგლი გადაურჩენია სახელოვან მეცნიერს გაჩანაგებისაგან.

აღსანიშნავია ამ მხრივ დ. ჩუბინაშვილის ღვაწლი, კერძოდ თეიმურაზ ბაგრატიონის შესანიშნავ შრომაზე „ისტორია დაწყებითიდან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა“, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ინიციატივითა და ნაწილობრივ რედაქციითაც დაიბეჭდა 1848 წ. პეტერბურგში. დასახელებული შრომის II ნაწილიც მის არქივებშია საძებარი. აქვე უნდა აღინიშნოს მისი სხვა დამსახურებაც, მაგ., მთელი რიგი საისტორიო ძვირფასი კოლექციებისა, რომელნიც ასე უხვად ამშვენებენ და ამდიდრებენ დღეს ჩვენს სიძველეთა საცავებს, მათი ერთი საგრძნობი ნაწილი დ. ჩუბინაშვილის ღვაწლითა და ნახევარსაუკუნოვანი შრომით არის მოპოვებული.

დავით ჩუბინაშვილმა მთელი თავისი წიგნთსაცავი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა.

ამგვარი დიდი ღვაწლისათვის რუსთა და ქართველთა მოწინავე საზოგადოებამ დავით ჩუბინაშვილს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადა 1890 წელს და კიდევ დიდხანს სიცოცხლე უსურვა მსცოვან ამაგდარს. მაგრამ ამ სურვილს მხოლოდ ერთ წელიწადს ჰქონდა ძალა. 1891 წლის „ივერიის“ (№ 119) ქრონიკა ქართველ საზოგადოებას აუწყებდა: „დიდად სამწუხარო ამბავი მოვიდა პეტერბურგიდან, ოთხშაბათს, 5 ივნისს იქ გარდაიცვალა 77 წლის მოხუცი, დამსახურებული პროფესორი ქართული ენისა და სიტყვიერება-ისტორიისა დავით იესეს-ძე ჩუბინაშვილი“.

საბჭოთა საზოგადოებრიობა, ნისი აღმავალი მეცნიერება და
მწერლობა მარად პატივისცემითა და სიყვარულით მოაგონებენ სა-
ხელოვან პატრიოტ ქართველ მეცნიერსა და მრავალ ბრწყინვალე
თაობათა აღმზრდელ-მასწავლებელს.

ლიტერატურა: გაზეთი „ივერია“ 1890 წ. № 98, 99; 1891 წლის
№ 119, 120, 124; Об ученых трудах Давида Иссе-
евича Чубинова, პეტერბურგი, 1890 წ., გაზეთი „სა-
აღბო განათლება“, 1916 წ., № 49; „ცისკარი“, 1865 წ.,
№ 4, 9, 11; 1857 წ., № 9, 5; „მწყემსი“, 1884 წ., № 10,
12, 17, 21; 1891 წ., № 11; 1885 წ., № 13; „ივერია“:
1892 წ., № 1; 1877 წ., № 14; 1878 წ., № 20; „თეატ-
რი“, 1886 წ., № 15; 1888 წ., № 17; „ველი“, 1900 წ.,
№ 26; 1902 წ., № 29; „დროება“, 1891 წ., № 21, 186,
209; 1875 წ., № 106; 1883 წ., № 117, 220; 1872 წ.,
№ 60, 61, 62; 1874 წ., № 431, 432; 1869 წ., № 52;
1889 წ., 107; 1885 წ., № 172.



დიმიტრი ყიფიანი

(1814—1887)

დიდი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და პედაგოგი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი დაიბადა სოფ. მერეთში, გორის მახლობლად, 1814 წლის 14 აპრილს. მისი მამა იყო იმერეთიდან გადმოსული ღარიბი აზნაურიშვილი ივანე ყიფიანი, რომელსაც ცოლად ჰყავდა სოფ. მერეთის მკვიდრი ბარბარე ფურცელაძე. დიმიტრის გარდა ივ. ყიფიანს ჰყავდა კიდევ სამი ვაჟი: ქაიხოსრო, გიორგი და იოსები. ძმებს შორის დიმიტრი ყველაზე უმცროსი იყო. ორი წლის დიმიტრის მამა გარდაეცვალა, ხოლო როცა 7 წლისა გახდა, დედითაც დაობლდა.

დიმ. ყიფიანის შვილის ნ. ყიფიანის ცნობით: „ქაიხოსრომ გაუწია თავის პატარა ძმას, ობლად დარჩენილს შვილი წლის დიმიტრის, მამობაცა და დედობაც და უკანასკნელ დღემდინ მათ შორის

ერთგული ძმობა და ნამდვილი მეგობრობა არ დარღვეულა“¹. ქაიხოსროს წყალობით შესძლო პატარა დიმიტრიმ სკოლაში მოწყობაც.

თავის მოგონებაში „სკოლა სულისა“ დიმ. ყიფიანი წერს: „მე-19 საუკუნის მეოცე წლების დასაწყისში, ბავშვის სასწავლებელში მისაბარებლად ტფილისში, მის მშობლებს იმ დროს იქ არსებულ მხოლოდ ორ სასწავლებელს შუა შეეძლოთ არჩევანი. აქ, რასაკვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ სად როგორ ასწავლიდნენ. ამაზე ძალიან ცოტას თქმა დაგვკირდება: როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიაც ერთს ადგენენ: ანიდან ბანამდე უაზროთ გაზეპირებას და რაიმე დანაშაულისათვის კი ხელის გულზე სახაზავით ცემას: ეს იყო მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე.“

მე ჯერ სემინარიაში მიმბარეს, შემდეგ კი საკირო დოკუმენტები შემიკრიბეს და კეთილშობილთა სასწავლებელში გადამიყვანეს“.²

სასწავლებელმა დიმ. ყიფიანზე არასახარბიელო შთაბეჭდილება დასტოვა. შემდეგში ის ამნაირად იგონებდა თავის მოწაფეობის წლებს: „გამოცდებს თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებლნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა, დემენტიევისა და არლუთინსკი-დოლოგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ.“

გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალითად, გამოცდის ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად: ერთს — შეეციაზე; — „არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ!“ — კარგი, პორტუგალია იყოს; — გეორეს — ისპანიაზე — ჰა? რაო? შეეციაზე გინდა? შეეციაზე იყოს! მესამეს — ინგლისზე და სხვადასხვა“.³

მასწავლებელთა შორის გამოირჩეოდნენ მხოლოდ ე. პ. მანასეინი, ნ. ტ. დემენტიევი და ი. ზ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი, რომლებიც არ მისდევდნენ კეთილშობილთა სასწავლებელში გაბატონებულ წესებს. ისინი ბავშვებს შეგნებულად ასწავლიდნენ საგნებს

¹ ვ. „მოამბე“, 1894 წ., № 4, გვ. 71.

² დიმ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 4. სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. სიმ. ხუნდაძის გამოანგარიშებით დიმ. ყიფიანის სწავლის წლები დაახლოებით ასეთი იქნება: 1822 წელს ის მიიბარეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1823 წელს გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში, ხოლო შვიდი წლის სწავლის შემდეგ, 1830 წელს მან სასწავლებელი დაამთავრა (იხ. მემუარები, გვ. 151). ამ საქმეში მშობლების მაგივრობა დიმიტრის ჭაუჭია მისმა უფროსმა ძმამ — ქაიხოსრომ.

³ „მემუარები“, გვ. 5.

და ჰუმანიურად ექცეოდნენ. ამიტომაც მათ დიშ. ყიფიანი დიდ-
პატივისცემით იგონებდა.

16 წლის დიმიტრიმ სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა და
ცოტახნით სამაზრო სისამართლოში დაიწყო სამსახური. როდესაც
კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა (1830 წ.)
ნ. დემენტიევის შუამდგომლობით სრულიად ახალგაზრდა დიშ.
ყიფიანი მასწავლებლად მიიწვიეს. ამ გიმნაზიაში ის დაახლოებით
მასწავლებლობდა 2 1/2, წლის განმავლობაში და ასწავლიდა: ქართულ
და რუსულ ენებს, გეოგრაფიას და არითმეტიკას. რასაკვირველია,
ის არ დაკმაყოფილებულა იმ ცოდნით, რომელიც მას კეთილშობი-
ლთა სასწავლებელმა მისცა და თავისი ნიჭისა და ენერჯიის მეოხებით,
სისტემატიური კითხვით და მეცადინეობით ფართო განათლება მი-
იღო და ამ ცოდნას, მასწავლებლობის დროს და შემდეგ სხვა დარ-
გში მუშაობის დროსაც, იყენებდა ჩვენს ხალხში სწავლა-განათლების
დასანერგავად.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის სიტყვა, რომელიც დი-
მიტრი ყიფიანმა წარმოთქვა 1865 წელს სენაკის სააზნაურო სკოლაში.

„ადამიანი ისეა დაბადებული, რომ რაკი შვილი მიეცემა, სულ
იმას ჰფიქრობს და იმას ზრუნავს, რა დაეუტოვო, როგორ დაეუმ-
კვიდრო უზრუნველი ცხოვრებაო. ზოგი იმით იოხებს გულსა, რომ
ფულებს უგროვებს, ზოგი იმით, რომ ადგილ-მამულს უშზადებს.
მაგრამ წარმავალია ეს ყოველივე: ფული ადვილად დაიხარჯება;
ადგილ-მამული შეიძლება სადავოდ გახდეს და სასამართლოში წაგე-
ბული იქნას... (საქიროა სხვა ხერხი), მაგრამ — სად არის ეს ხერხი?
აქ არის ამ სახლში, ამ სასწავლებელში. რა არის შერე ეს ხერხი?
ეს ხერხი არის სწავლა, — სწავლას დაჰყვება ცოდნა; და იპოვება
ვინმე ჩვენში ისეთი, რომ აღრიცხვას შეიძლებდეს, გამოიანგარიშე-
ბდეს, რა და რა საქმეში გამოიყენებს კაცი თავის ცოდნას, — რა
და რა გაქირვებასა და განსაცდელს გალივლებს თავიდან თავისი
ცოდნით?

სწავლას დაყვება მეცნიერება და მეცნიერება ის ხერხია, რომ-
ლის მოხმარებითაც შეიტყობენ და შეგვატყობინებენ, ამა და ამ
დროს, ამა და ამ ადგილს მზე და მთვარე ამა და ამ გვარად დაბ-
ნელდება და ამდენსა და ამდენს წამს შემდეგ ისევე განათლდებაო.
ის ხერხია მეცნიერება, რომლითაც კაცი განუზომელს ჰზომავს; გა-
ნუვალს განვლის; ზღვის ღელვას — არაფრად აგდებს; მზის სინათ-
ლეს იგდებს ხელში და თავის ნებიერად ამუშავებს: ზოგს ცეცხლით,
ზოგს ელექტრონის ძალით, ე. ი. ხელოვნებით ელვა-ქექის გამოყენე-
ბით და ზოგს ცალიერით ანგარიშით...

ერთი სიტყვით: სწავლა აპატაოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს. ეს დაჰყვება სწავლას და ამ სწავლისათვის არის ეს სკოლა გამართული¹.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დიმიტრი უფიანოვი ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს მას საქართველოში დაბრუნების ნება დართეს და მთავრობის დაწესებულებებში სამსახურით დიდ წარმატებას მიაღწია. იყო მეფის მორადგილის საბჭოს წევრად, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად, 12 წლის განმავლობაში (1852 წლიდან 1864 წლამდე) ასრულებდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატრიო მზრუნველის მოვალეობას, 1876-79 წ. იყო თბილისის თავად, 1885-86 წლებში ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად და ა. შ.

ამავე დროს დიმიტრი უფიანოვი ენერგიულად იბრძოდა თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. გულმხურვალედ იცავდა ქართულ ენას, ქართველ ხალხს და თავისი კალმით ჩვენი სამშობლოს წინმსვლელობას ემსახურებოდა.

მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ იმ ხალხს, რომელიც „თავის ენას გადაივიწყებს, ხალხის სახელი აღარა ჰქვია, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარ აქვს და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ იმის სახსენებელიც აღარა დარჩეს რა.“ ამიტომ დიმიტრი უფიანოვი თვითმპყრობელობის დროს ყოველთვის მოითხოვდა საქართველოს სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებას და ამ წესის მტკიცედ დაცვას.

დიმიტრი უფიანოვი გადმოგვცემს ერთ საინტერესო შემთხვევას, რომელიც კარგად გვიჩვენებს დიმიტრი უფიანოვის შეხედულებას ამ საკითხში. ვიღაც გენერალ ობოლენსკის სმოლნის ინსტიტუტიდან თბილისში გადმოუყვანია ორი თავისი ქალიშვილი და მოუბარებია თბილისის საქალაქო ინსტიტუტში.

„ერთხელ დიმიტრი უფიანოვი იჯდა ვორონცოვთან, როდესაც ობოლენსკი შევიდა მის კაბინეტში.

— კნიაზო მიხეილ სიმონიჩ! გთხოვთ ერთი უსიამოვნებისაგან გადაგვარჩინოთ მე და ჩემი შვილები. ქართული ენა უნდა ისწავლოთ, ეუბნებიან ინსტიტუტში და თუ არ ისწავლით შემდგომ კლასში ვერ გადახვალთ, რადგანაც ქართული ენა სავალდებულო საგანიაო. ჩემი შვილებისათვის რა საჭიროა, ნეტავი ვიცოდეთ, ქართული ენა, ან რაში გამოადგებათ როდისმე!

¹. მეგუარები, გვ. 20.

— რას იტყვი ჩემო დიმიტრი ივანიჩ? — მოუბრუნდა ვორონცოვი დიმ. ყიფიანს. დიმ. ყიფიანმა პირდაპირ მოახსენა:

— საქართველოს ინსტიტუტში ქართული ენა სავალდებულო საგანი უნდა იყოს ყველასათვის, კანონი ერთი უნდა იყოს ყველასათვის და ყველა კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. ერთი რომ გაანთავისუფლოთ კანონის ერთი მოთხოვნილებისაგან ამა და ამ მიზეზების გამო, წარმოსდგება ახლა მეორე და მოგახსენებს, მეც განმათავისუფლოთ კანონის ამა და ამ მოთხოვნილებისაგან ამა და ამ მიზეზითაო, მესამეც თავის მიზეზს იპოვის, მეოთხეცა და აშნაირად შორს წავალოთ.

— ბრავო ჩემო დიმიტრი ივანიჩ, ოღონდაც რომ ასეა! — დაიძახა ვორონცოვმა — დიად, ძვირფასო კნიაზო, თუ საქართველოში სწავლობენ თქვენი შვილები, ქართული ენა უნდა ისწავლონ. გამოიყენებენ შერმე ქართულ ენასა თუ არა, ეს ჩვენი საქმე არ არის.⁴¹

მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდობიანად არ მთავრდებოდა დიმ. ყიფიანის პირდაპირი გამოსვლები. მოხუცებულობის ეამს შეტაკება მოუხდა შავრაზმელ ეგზარქოს პავლესთან. 1886 წელს მოსწავლე იოსებ ლალიაშვილმა ხანჯლით მოჰკლა თბილისის სემინარიის რექტორი რეაქციონერი და ქართველების უსაზღვროდ მოძულე ჩუფეცკი. ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დასწყევლა: „ანათემა იმ ხალხს, რომელმაც ასეთი ბოროტმოქმედი შობაო“.

ქართველ ხალხში ეგზარქოსის ამ ხულიგნურმა გამოსვლამ უდიდესი მღელვარება გამოიწვია. აღშფოთებულმა დიმ. ყიფიანმა მას მისწერა:

„თქვენო მაღალუსამღვდელოესებაჲ!

განმიტევეთ შეცოდება ჩემი, უკეთუ დაუჯერებელი ხმით აღელვებული ამ შეცოდებას ჩავდივარ.

მაგრამ ეს ხმა გაწერთ წარმოთქმას შეჩვენებისა იმ ქვეყნის, რომლის მწყევლავს, ვითა მღვდელთავარი და ქრისტეს წარმომადგენელი, მოწოდებული ხართ.

თუ ეს სიმართლეა, მეუფევ, თქვენი ღირსების ერთერთი ხსნა იმაშია, რომ შემრცხვენელი შერცხვენილ ქვეყანას მოშორდეს“.

ამ წერილის გამო გაბოროტებულმა თვითმპყრობელობამ დიმ. ყიფიანი დააპატიმრა და ჩრდილოეთ კავკასიაში ქ. სტავროპოლს გადაასახლა.

ამასაც არ აკმარეს და 72 წლის მოხუცი ძილის დროს რკინის ჯოხის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს (1887 წ.).

1. ცხოვრება დიმ. ყიფიანისა, 2. „მოამბე“, 1891, № 4, გვ. 79-80.

დიმ. ყიფიანის ვერავლმა მკვლელობამ ქართველ ხალხში უდი-
დესი მწუხარება გამოიწვია. მისი ცხედარი გადმოასვენეს თბილის-
ში და მთაწმინდის მიწას მიაბარეს.

აკაკი წერეთელმა მას უძღვნა უმშვენიერესი ლექსი „განთიადი“.

დადუმებულა მთაწმინდა
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა.
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა ურჩსა მტრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

დიმ. ყიფიანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზო-
გადოებრივ ცხოვრებაში და მწერლობაში. იგი არის ერთ-ერთი
დამაარსებელი „ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“
და მისი გამგეობის პირველი თავმჯდომარე.

დიმ. ყიფიანმა, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა უცხოური ენები,
ქართულ ენაზე თარგმნა შექსპირის, შოლიერის, ბომარშეს, ჰიუგოს
და სხვათა თხზულებანი. დაწერილი აქვს მოთხრობები და მეცნი-
ერულ-პუბლიცისტური წერილები. ბევრ მათგანს მნიშვნელობა ამაყ-
ნილად არ დაუკარგავს.

ლიტერატურა: 1. დიმ. ყიფიანი, თურქმენული ცხენი, „ცისკარი“, 1863
წ. № 1: უცნაური ნადირობა (მოთხრობა ქართული
მართლწერის შესახებ). „ივერია“, 1880 წ., № 1; ახალი
ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამი-
საჯან შვილებისათვის პეტერბურგში 1882 წ.; იამბი-
კოს განმარტება, „ცისკარი“, 1860 წ., № 2. საქმის წარ-
მოების რიგი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოებაში, მიღებული განგებობის მიერ 1880
წელს. გამოც. 1894 წ., მემუარები, 1930 წ., პროფ. ს.
ხუნდაძის რედაქციით.

II. ვალ. გუნია, დიმიტრი ყიფიანი, 1887 წ.
(წიგნაკი ავტორის აღწერილხელად დაიბეჭდა); ნ. დ.
ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, „მოამბე“,
1894, № 4, გვ. 69-110; ვახ. თულაშვილი, შენი-
შენა, „მოამბე“, 1895 წ., № 5, გვ. 44-53; ალ. ორბე-
ლიანი, ქართული უბნობა ახლ წერა, „ცისკარი“, 1860
წ., № 6; ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა წერა-
კითხვის საზოგადოება.—ჭურ. „განათლება“, 1911 წ.
№ 2; არჩ. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „სახალხო
გახეთი“, 1913 წ., № 797; სიმ. ხუნდაძე, დიმიტრი
ყიფიანი (მოთხრობა), 1936 წ.; შ. ჩხეტია, მასა-
ლები დიმ. ყიფიანის მკვლელობაზე. საისტორიო მო-
აძე, III, 1947 წ.; შ. ჩხეტია, დიმ. ყიფიანი და
საგლეხო რეფორმა, საისტორიო მოამბე, IV, 1950 წ.



ივანე კახელიძე

(1827—1892)

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწე, მასწავლებელი, თეატრალი და დრამატურგი, ქართული ჟურნალისტიკის ერთი ფუძემდებელთაგანი ივანე კერესელიძე დაიბადა 1827 წელს ქალაქ თბილისში.

როგორც თვით ივანე კერესელიძე მოგვითხრობს, მას სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, მაგრამ სწავლა სასულიერო სემინარიაში არ გაუგრძელებია, რადგან, როგორც იგი წერს — „ესცან, რომე უდიდეს სასულიერო სემინარიისა არს საკეთილშობილოდ ღიმნაზია და უფლებაცა მქონდა მას შინა შესვლისა... გარდაველ მასშიგან და მუნცა სრულებით შევასრულე“.

ივ. კერესელიძეს გიმნაზიის კურსი 1850 წელს დაუსრულებია. რადგან მისი მუდმივი დამხმარე და ნიეთიერად ხელისშემწყობი თეკლე ბატონიშვილი იმ ხანებში უკვე გარდაცვლილი (1846) ყოფი-

ლა, მას უმაღლესი განათლების მიღება ვერ მოუხერხებია და იქვე დარჩენილა ბავშვების აღმზრდელ-მასწავლებლად. ცოტა ხნის შემდეგ, 1851 წელს კომერციულ სასწავლებელში გადაუყვანიათ, თუმცა დიდხანს არც აქ უმუშავია. იგი, როგორც ქართული და რუსული ენების კარგი მცოდნე, თავისი ნათლიის შეილების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების მიერ რეკომენდირებულ იქნა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინეს წინაშე მათი შეილების ნიკოლოზისა და სალომეს აღმზრდელ მასწავლებლად.

ნივთიერად ხელმოკლე ივანე კერესელიძისათვის ეს თანამდებობა მეტად ხელსაყრელი იყო. იგიც გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერად შეუდგა დავალებულ საქმეს და მალე როგორც თავისი აღსაზრდელების სიყვარული, ისე მთელი ამ დიდი ოჯახისა და თვით მთავრის პატივისცემა დაიმსახურა.

ივანე კერესელიძე ნივთიერად საკმაოდ მოღონიერებული დაბრუნდა დედაქალაქში, სადაც მაშინ გოორგი ერისთავს უკვე განეახლებინა ქართული თეატრი და ჟურნალ „ციცკრის“ გამოცემაც დაწყო. ივანე კერესელიძე ამ ახალ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მთელი თავისი გონებრივი და ქონებრივი შესაძლებლობით ჩაება.

1852 წელს ივანე კერესელიძემ გამოსცა წიგნი „ყრმათა მეგობარი“, რომელიც მან გადმოთარგმნა რუსულით მაქსიმოვიჩის ამავე სახელწოდების წიგნიდან, მაგრამ რაკი ეს გამოცემა მეტად ძველი და არქაული ენით იყო ნათარგმნი, 1853 წელს კვლავ გადააკეთა და ხელახლა გამოსცა „საკითხავი წიგნის“ სახელწოდებით, რომელსაც „ანბანი ქართული“ წარუშმძღვარა. შემდეგ ეს გამოცემა 1855 და 1861 წლებშიც გაიმეორა.

1856 წელს ი. კერესელიძემ გამოსცა პატარა სახელმძღვანელო სახელწოდებით: „ანბანი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის“. წიგნი, ცხადია, მეტად პრიმიტიული და მეთოდურად გაუმართავი იყო, მაგრამ იმ ხანებში, როცა მშობლიური ენის შესასწავლად სხვა უკეთესი სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა, იმასაც საკმაო სამსახურის გაწევა შეეძლო. ამ სამსახურისა და ხალხის მასზე მოთხოვნილების დამადასტურებელია ისიც, რომ ეს წიგნი სამჯერ ზედიზედ გამოიცა (1856, 1858, 1862 წ.წ.). ამ წიგნმა თავის დროზე საკმაოდ შეასრულა მასზე დაკისრებული როლი მშობლიური ენის შესწავლისა და განმტკიცების სფეროში.

1855 წელს ი. კერესელიძე სცემს თავის ორ პროზაულ ნაწარმოებს — „მწყემსის სიყვარული“ და „ნაოხარი სოფელი“, რომელ-

შიც საკითხავ წიგნთა შორის საკმაოდ პოპულარულად ითვლებოდა. 1859 წელს გამოდის აგრეთვე მისი „ლექსთა კრების“ I წიგნი, ხოლო 1878 წელს „ლექსების“ II წიგნი. მაგრამ რაც მთავარია ივანე კერესელიძის მოღვაწეობის მეორე პერიოდიდან, ე.ი. 1857 წლიდან დაწყებული, ეს არის მისი თეატრალური და ჟურნალისტური მოღვაწეობა.

გიორგი ერისთავის შემდეგ დახურული (1855) ქართული თეატრის კვლავ აღდგენა კერესელიძემ იკისრა. მან დაიჭირავა „დიდი მამაპაპური დარბაზი, მეფის ირაკლის დროს გაკეთებული, რომელიც სიდიდით ზაფხულის თეატრზე ნაკლები არ იყო“... ისესხა 200 თუმანი ფული, გააკეთებინა ერთი იარუსი, ლოქები, დაადგმევინა სკამები, დაახატვინა დეკორაცია და წარმოდგენებიც დაიწყო. ჩინებული მსახიობთა დასიც შედგაო, გადმოგვცემს თვითონ კერესელიძე (იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, II წ., გვ. 35-36), მაგრამ უსახსრობამ მალე ამ თეატრსაც მოუღო ბოლო. დასიც დაიშალა, განაგრძობს იქვე ივანე, „ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. მე დავრჩი ვალში ჩაფლული. გიმნაზიაში ვმსახურობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდა“ (იქვე). აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან დაბრუნებულმა მატერიალურად კარგა მოლონიერებულმა ივანემ სოფ. ბოგვეში საკმაოდ მოზრდილი მამულები შეიძინა, მეუღლედ შეიერთო მსახიობი ქალი ნ. უზნაძისა და კვლავ მასწავლებლობას განაგრძობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში. სწორედ ამ გიმნაზიიდან მიღებულ ფულს აძლევდა ის მისგან აღდგენილი თეატრის მევალეებს, რასაც შემდეგში საკუთარი მამულის ზოგი ნაწილიც მიაყოლა.

ქართული კულტურის, მწერლობისა და ლიტერატურის აღორძინებით გატაცებული ახალგაზრდა ივანე კერესელიძე მაინც არ ისვენებდა. თეატრის წარუმატებლობით მას გული არ გატეხია და არ აცრუებია საზოგადოებრივ საქმეებზე. 1854 წელს ის შეუდგა გ. ერისთავის ზიერ 1852 წელს დაარსებული და 1853 წ. შეწყვეტილი ჟურნალ „ცისკრის“ კვლავ აღდგენას. მთელი რიგი ოფიციალური მიწერ-მოწერისა, მოხსენებებისა და რჩევის შემდეგ, საცენზურო სამმართველომ და განათლების მინისტრმა აღუძრეს ივანე კერესელიძეს შუამდგომლობა იმპერატორის წინაშე, რომ, მსგავსად გიორგი ერისთავისა, გამოეცა ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი“.

1857 წლის იანვარს მართლაც გამოვიდა ივანე კერესელიძის „ცისკრის“ №1, რომელიც თვითონ რედაქტორის აღფრთოვანებული ლექსით („ავრორამ განხვნა სიბნელის კარი, რომლით გამოხდა კვალად ცისკარი“ და სხვა) იხსნება. აქედან იწყება ი. კერესელიძის

დაუცხრომელი შრომა ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის აღორძინებისა და გავრცელებისათვის. მეგობრებისა და გამოჩენილი ქართველების დახმარებით ი. კერესელიძემ საკუთარი სტამბაც გამართა, რითაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცა და გააუმჯობესა ჟურნალის გამოცემა, მისი გაფორმება და შინაარსი.

იმდროინდელს საქართველოში ერთადერთ ჟურნალსა და მის რედაქტორს სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო — ჟურნალის პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო. თითქმის ყოველი დარგი-ლიტერატურისა და მეცნიერებისა ჰპოულობდა მის ფურცლებზე, სათანადო ადგილსა და გამოხმაურებას.

ჟურნალის გარშემო შემოიკრიბნენ ისეთი ქართველი მწერლები როგორც იყვნენ: გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, ლ. არდაზიანი, დიმ. ყიფიანი, გრ. რჩეულიშვილი, რაფ. ერისთავი, დანიელ კონქაძე, მიხ. თუმანიშვილი, ბარბარე ჯორჯაძისა, დ. მაჩაბელი, კოლხიდეღი (გრ. დადიანი), მ. გურიელი, ანტ. ფურცელაძე, ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვა. პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე იხილეს სტამბური ნიშნები და მზის სინათლე ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ქავჭავაძისა და სხვათა ლექსებმა, რომელთაგან ამჟამად ასე დამშვენებულია მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა.

ამ ჟურნალს ივანე კერესელიძე სრული 18 წლის განმავლობაში ბეჭდავდა, რედაქტორობდა, ავტორობდა, კორექტორობდა, ასოთამწყობობდა და საკუთარივე ხელით ავრცელებდა კიდევ და იგი არ დაუხურავს მანამ, სანამ ყოველგვარი საკუთარი შეძლება — მამული, სახლკარი და სხვა მოძრავი სახსარიც ზედ არ შეალია.

მიუხედავად ამგვარი დამსახურებისა, „ცისკარსა“ და მის რედაქტორს მაინც ხვდა მრავალი წკიპურტი ახალი თაობის მწერალთაგან, ე. წ. თერგდალეულთაგან. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ჟურნალი, რომელიც ერთ დროს თვითონ უწყობდა ხელს წინ წასულიყო ცხოვრება (ამიტომაც ერქვა მას „ცისკარი“), ირგვლივ გამეფებული წყვდიადი გაეფანტა და ახალი ცხოვრებისაკენ მიზივალნი გზა გაეკვლია და გაეშუქებინა, ათეული წლის შემდეგ თვითონვე ჩამორჩა. ეს ჩამორჩენა პირველ რიგში, ცხადია, ახალმა თაობამ შეამჩნია და განგაშიც ატეხა. იგი ჟურნალის ყოველმხრივ დახვეწასა და მის გარკვეულ მიმართულებას ითხოვდა რედაქციისაგან.

ივანე კერესელიძეც კარგად გრძნობდა ამ „მიმართულების“ საპირობებას, მაგრამ რაკი სხვა გზა არ იყო, მას იგი ადვილად-

სთმობდა, ოღონდაც ჟურნალის ბეჭდვა არ შეწყვეტილიყო. ამ „მომართულების“ შესახებ თვითონ კერესელიძე შემდეგ მოგვითხრობს: „ზოგნი მაყვედრიდნენ, რომ კერესელიძეს მიმართულება არა აქვსო. რა დროს მიმართულება იყო. მე ვცდილობდი, რომ ხალხში წერა-კითხვა შემეტანა. 1858 წელს თბილისში ჩამოსულმა ალ. დიუმამ რომ მკითხა: ხელისმომწერი რამდენი გყავსო, ვუთხარი 60მ მეთქი. გაუკვირდა. იცოტავა. ამის ფულით როგორ ჰბეჭდავო? მე კი ამ დროს 60 ხელისმომწერი მყავდა. სირცხვილით ამას როგორ ვეტყვოდი. მოდი და აქ მიმართულება ეძიე. ჩემი მიმართულება ბეჭდვა იყო, რომ ქართველთა შორის ბეჭდვითი სიტყვა გაშვერცო“ (ზ.პ. ივანე კერესელიძე, 1902 წ.).

ეს სიტყვები უკომენტაროდაც ნათლად მოგვითხრობს იმაზე, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა იმ დროს ქართველ ჟურნალისტს, მაგრამ ჟურნალს მიმართულება მაინც ჰქონდა, რომელსაც აკაკი და მთელი მისი თაობის მწერლები, — „თერგდალეულთა“ ჯგუფი, წუნობდნენ. ეს იყო ჟურნალის ოდესღაც პროგრესული, მაგრამ აწ უკვე კონსერვატული — „მამათა“ ბანაკის მიმართულება, „შვილთა“ — თერგდალეულთა ჯგუფის წინააღმდეგ.

ჟურნალმა „ციცკარმა“ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. საქართველოს ამ ეპოქისა და პერიოდის მემატინანეს, რა დარგითა და საკითხითაც არ უნდა იყოს ის დანტერესებული, ივანე კერესელიძის ღვაწლისა და მისი 18 წლის „ციცკარის“ კომპლექტების გვერდის ავლა არ შეუძლია.

ჟურნალი „ციცკარი“ საბოლოოდ დაიხურა 1875 წელს. მას შემდეგ მისი რედაქტორი და სულისჩამდგმელი კიდევ კარგა ხანს ცოცხლობდა და მოქმედებდა „უციცკროდ“. უნდა აღინიშნოს, რომ 1862 წლიდან ივანე კერესელიძე „ციცკართან“ ერთად ბეჭდავდა ორკვირეულ გაზეთ „გუთნის დედას“. ეს იყო პირველი ქართული სამეურნეო-აგრონომიული ხასიათის ორგანო, რომელიც „ციცკარის“ დახურვის ერთი წლის შემდეგ, 1876 წელს დაიხურა და რომელმაც ერთხელ კიდევ გაიელვა გაზეთი „ციცკარის“ სახელწოდებით 1887 წელს კვლავ მსცოვანი მოღვაწის ივანე კერესელიძის რედაქტორობით, მაგრამ სულ რაღაც 23 ნომრის გამოსვლის შემდეგ იგი საბოლოოდ იხურება.

ნივთიერად მეტისმეტად ვალატაკებული ივანე კერესელიძე დღიური ლუკმის ძიებაში ვაციებუიყო, ფილტვების ანთება მიელოდა 1892 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა ქ. თბილისში. მადლი-

ერი ხალხის მიერ შესაფერი პატივნიგებით ის დაკრძალულ იქნა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურა: აკაკი წერეთელი, ჩემი თავდასავალი; ზაკარია კიკინაძე, ივანე კერესელიძე, 1902 წ.; პაატა გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, „იველია“, 1992 წლის 23-25 დეკემბრის №-ები; ვ. ვახანია, ივანე კერესელიძის ცხოვრება და თეატრალური მოღვაწეობა, თბილისის უნივერსიტეტის ატლანტიკა წიგნები; შ. რადიანი, ივანე კერესელიძის წერილები, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტ. I; გ. თავაძეშვილი, სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, წ.1, გვ. 264 — 269, 353 — 364.



დიმიტრი ბაქრაძე

(1827 — 1890)

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე, რომელმაც ჩვენი საისტორიო მწერლობა მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრა, ახალგაზრდობაში პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა.

შვიდი წლის განმავლობაში ის მასწავლებლობდა გორის სამაზრო სასწავლებელში, სადაც უფროსი კლასის მოსწავლეებს დიდი მონდომებით ასწავლიდა და სამშობლოს სიყვარულს გულში უნერგავდა.

დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე დაიბადა სოფ. ხაშში 1827 წლის 8 აპრილს. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა. 1836 წელს, 9 წლის ბავშვი, მამამ ჩამოიყვანა თბილისში და მიაბარა სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. აკადემია დიმიტრი ბაქრაძემ წარჩი-

ნებით დაამთავრა 1850 წელს. ნშობლებს სურვილი ჰქონდათ დიმიტრის სასულიერო სამსახური დაეწყო, მაგრამ მომავალში ისტორიკოსმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

1849-50 წლებში დიმიტრი ბაქრაძემ რამდენიმე საყურადღებო წერილი დაბეჭდა. ამ წერილებს ყურადღება მიაქცია სასწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა სემიონოვმა, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდა 1851 წლის 11 აპრილს დანიშნა გორის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლად.

დიმიტრი ბაქრაძე აღმზრდელ-პედაგოგის მოვალეობის შესრულებას დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა და მალე მოსწავლეებისა და გორის ქართველი საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა.

ამავე დროს ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლას და მიზნად ჰქონდა დასახული ისეთ სამსახურში მოწყობა, რომელიც დაეხმარებოდა მას სამეცნიერო მუშაობაში.

ამით აიხსნება, რომ 7 წლის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძე ტოვებს გორის სამაზრო სასწავლებელს და საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესწავლას ფართოდ ჰკიდებს ხელს.

1858 წელს დიმიტრი ბაქრაძე გადავიდა ქ. ქუთაისში და სამსახური დაიწყო იქაური გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. აქ სამსახურის დროს დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა სვანეთში და მოგვცა ამ კუთხის ისტორიულ-არქეოლოგიური და სტატისტიკური აღწერილობა. 1864 წელს მიწვეულ იქნა „ქრისტიანობის გაშავრცელებელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორად.

1888 წელს იმოგზაურა კონსტანტინეპოლში და იქაურ არქივში მუშაობდა იმ საბუთების შესასწავლად, რომლებიც სამხრეთ საქართველოს შეეხებოდა. დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს საეკლესიო მუზეუმი, რომელმაც მდიდარ მასალებს მოუყარა თავი და ამით ჩვენს მწერლობას დიდი სამსახური გაუწია. დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს.

პროფ. მ. ჯანაშვილი მის შესახებ წერს: „ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა დიმიტრი ბაქრაძე, საქმეს სიცოცხლის ელფერი ეღებოდა, რა დაწესებულებაშიც უნდა შესულიყო, ყველგან შეჰქონდა სიცოცხლე, საქმიანობა. საეკლესიო მუზეუმის არსებობა ხომ მთლად მისი უნარია“ („განათლება“, 1916 წ., № 7, გვ. 417).

დიმიტრი ბაქრაძე ჩვენი კულტურის დაუღალავი მოამბე იყო. მე-19 საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეებთან ერთად იგი სიკვდილამდე დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენს საზოგადოებას და საქართველოს ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

1873 წელს დიმ. ბაქრაძემ მოხსენებით მიმართა რუსეთის სა-
შეცნიერო აკადემიას და მოითხოვა მზრუნველობით მოპყრობოდ-
ნენ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, ხელნაწერებსა და სიგელ-
გუჯრებს, რომელთაც უყურადღებობისა და შემთხვევითი პირების
შეოხებით განადგურება მოელოდა.

დიმ. ბაქრაძე წერდა: „საქართველოს მეცნიერული შესწავლა,
რომელსაც დასაწყისი დაუდო მარი ბროსემ 25 წლის წინად, თით-
ქო მისი შრომითვე დასრულდა. მაგრამ თუ მოვიგონებთ მსოფლი-
ოში განთქმულ ე. სენ-მარტენს, დიუბუა დე-მონპერეს და ვივიან
სენ მარტენის აზრს, რომ ქართული სამწერლო ნაშთები შეადგენენ
სერიოზულ წყაროებს არა თუ მარტო კავკასიის, არამედ აზიის ის-
ტორიისათვისაც, არ შეიძლება მწუხარებით არ აღვნიშნოთ, რომ
ცხოვრება „უძველეს ქართველ გეარტომისა, უხსოვარ დროითგან
კავკასიის ყელის მცველისა და ყოველ ცნობილ ერებთან დამოკი-
დებულების მქონებლისა“, როგორც ამას გამოსთქვამს დიუბუა, აქ-
ნობაძდის არ არის საკმაოდ გამოკვლეული მის უკეთეს და უსარ-
წმუნოეს წყაროების მიხედვით, მის ტაძრების ჟამრავ წარწერებსა,
მის მანუსკრიპტების მინაწერებისა და მის უთვალავ სიგელ-გუჯრე-
ბის დახმარებით, მეტად საშიშია დროის დაკარგვა: კმარა, რომ
აქამდეც ბევრი დაიკარგა. თუმცა ხარტიები, ტფილისისა და ქუთა-
ისში შემოკრებულები, უზრუნველყოფილია გაფუჭებისა და დაკარ-
გვისაგან, მაგრამ ამისავე თქმა არ შეიძლება იმ უმრავლესთა შესა-
ხებ, რომელნიც, როგორც ჩვენ პირადად ვიცით, ჰკიან სამრევლო
ეკლესიებსა, მონასტრებსა და კერძო სახლებში და რომელნიც
სათანადო მოუწვლლობის გამო იკარგებიან და ღებებიან. ასეთივე
ხვედრი აღვია ძველ ხელნაწერებს მთელს საქართველოში. ამასთა-
ნავე უნდა შევნიშნოთ, რომ მრავალი მათგანი გატანილია საქარ-
თველოდან და, ალბათ, კვლავაც გაიტანენ და, მაშასადამე, უნდა
ჩაითვალნენ მეცნიერებისათვის დაკარგულად. რაც, შეეხება წარწე-
რებს, მათი ბედი უფრო სავალალოა. ამ მოხსენების ავტორს თა-
ვის მოგზაურობის დროს ამ მხარეში შემთხვევა ჰქონდა დარწმუნე-
ბულიყო, რომ წარწერათაგან ზოგი გადმოწერილი ბროსეს მიერ
1847—1848 წლებში, ან აღარ ირჩევა ან დაღუპულა სამარადისოდ.
ამ მხრივ მოქმედებენ დროცა და ადგილობრივი მკვიდრთა უმეცრო-
ბაც. ახალციხის მაზრაში მოსული მოსახლეობა ყოველ შემთხვევაში
სარგებლობს თავის შენობებისათვის ეკლესიების ქვებით და, რალა
თქმა უნდა, არ ინდობს მათ წარწერებსაც. დროით ზომების მიღე-
ბა, სამეცნიერო მიზნით, დასაცველად არქეოლოგიური მასალებისა
და მათი შესწავლა ევალება მთავრობას, ვითარცა თვით ქართველ
საზოგადოებას“.

დღმ. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი მეცნიერული შრომები, რომლებშიც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული და სათანადოდ გადაჭრილი.

ამიტომაც იყო, რომ მისმა გარდაცვალებამ გულწრფელად დაამწუხრა მოწინავე ქართველი საზოგადოება. ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა და სხვ. ღირსეულად შეათასეს დღმ. ბაქრაძის ღვაწლი.

ი. ჭავჭავაძე 1890 წლის „ივერიის“ მოწინავეში (№ 32) წერდა: „მარტო იყო, უამხანაგო, უმწეო, მარტომ გადასწმინდა გამოცდილის ხელით მტვერი ძველ ხელთ-ნაწერებს, ესტრატებს, ძველის-ძველ გუჯრებსა და სიგელებს და მკვდართა ამა მოწამეთა ხმა ამოაღებინა. ალაპარაკა მოსათბობელი ძველისა.“

... და აი როცა ღვაწლი მისი ზოიბწიფა, ამაგმა მისმა გამოიღო ნაყოფი ... როცა ყველამ დაინახეთ საქმეხი მისნი, თავდადება დიმიტრისა და აღვივსენით იმის სუყვარულით და პატივისცემით, როცა იგი ჯერ კიდევ მხნე იყო და მეტს იმედს იძლეოდა, სწორედ ეხლა დადუმდა, ახლა გადუტყდა კალამი.

... ჩვენ არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს ღვაწლს... არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ იმას შეუძლიან თვალი გაუსწოროს და უშიშრად უტკბიროს მერმისს, ვინც იცის წარსული და ეს წარსული შენ გვაცოდინეო.“

ასე დიდად აფასებდნენ დღმ. ბაქრაძეს თანამედროვენი, რომელნიც მასში ხედავდნენ გულწრფელ მამულიშვილსა და საქართველოს წარსულის კეთილსინდისიერ მკვლევარს.

ლიტერატურა: I. დ. იმ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები, „ცისკარი“, 1957 წ., № 2; საქართველოს ისტორიული მიმოხილვა, 1971 წ.; საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გაშოკლევა), 1977 წ.; ახალი გამოკლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე, 1981 წ. პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, 1984 წ.; ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე), 1989 წ.

II. მ. ჯანაშვილი, ისტორიკოსი დ. იმ. ბაქრაძე, ჟურნ. „განათლება“, 1916 წ., № 7, 8—9; მ. დუმბაძე, დიმიტრი ბაქრაძე (მონოგრაფია), ბათუმი, 1959 წ.



დანიელ ჭონჭაძე

(1830—1860)

პროფესიით მასწავლებელი, ქართული ეროვნული სახალხო განათლების გულწრფელი მუშაკი, ავტორი „სურამის ციხისა“ დანიელ ჭონჭაძე ჩვენი ქვეყნის შავბნელი წარსულის ის ბედნიერი მწერალია, რომელიც, მის შემდგომ თაობათა სიყვარულის შარავანდელით მოსილი, ამჟამადაც საამაყოდ იხსენიება ქართველი ხალხის რჩეულ ადამიანთა შორის.

დ. ჭონჭაძე დაიბადა 1830 წლის 6 (18) მარტს დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილში. მწერლის მამა, გიორგი, ჩამომავლობით არაგვის ერისთავთა ყმა-გლეხი, წინაპრების მამაპაპეულ ხაზს განაგრძობდა იმ მხრივ, რომ ასრულებდა დუშეთში მცხოვრებ არაგვის ხეობის უკანასკნელი გამგებლის ვახტანგ ბატონიშვილის სასახლის მოძღვრის თანამდებობას. როგორც იაკობ გოგებაშვილი გადმო-

გვეყმს, დანიელის წინაპრებს ბატონიშვილებისაგან საკმაო მამულე-
ბი ჰქონდათ „ნაბობები“, რომელთა უმეტესობა დანიელის ხელში
გადასულა, რაკი ის მშობელთა ერთადერთი შვილი ყოფილა.

ასე რომ, ჩვენი ბელეტრისტი მეგვიდრობით საკმაოდ შეძ-
ლებული და სასულიერო წოდებაშიც დაწინაურებული იყო, მაგრამ,
როგორც მისი ცხოვრების დოკუმენტები გვიჩვენებს, თავისი დრო-
ისათვის უკვე დიდად განათლებულმა პირმა, დანიელმა სასულიე-
რო წოდებას ისევ გლეხის წოდება არჩია და 1856 წელს „უწმინ-
დესი სინოდის“ საქართველოს კანტორაში განცხადება შეიტანა
სასულიერო წოდებიდან გამორიცხვის შესახებ, რაც დაკმაყოფი-
ლებული იქნა იმავე წლის 31 იანვარს.

პატარა დანიელს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა დედამ და-
აწყებინა, ხოლო 1839 წელს, მამის სამსახურის გამო კავკავში (ძაუ-
ჯიყაუ) გადასახლების შემდეგ, მშობლებმა დანიელი იქაურ სასუ-
ლიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1845 წელს, ამ სასწავლებლის
კურსის დასრულების შემდეგ, დანიელი შევიდა თბილისის სასული-
ერო სემინარიაში. 1851 წელს დ. ჰონქაძემ სემინარიის კურსიც
ჩინებულად დაასრულა და იმავე წლის 11 სექტემბერს გაგზავნილ
იქნა მასწავლებლად სტავროპოლის სასულიერო სკოლაში.

მაგრამ ახალგაზრდა დანიელს გული მუდამ მშობლიურ დედაქა-
ლაქისაკენ მოუწევდა, სადაც ის-ის იყო, რომ გიორგი ერისთავის მიერ
განახლებულმა ქართულმა თეატრმა და ახლად დაარსებულმა ჟურ-
ნალმა „ციცქარმა“ აღორძინება იწყო. სამწერლო სარბიელზე გამო-
სასვლელად დანიელისათვის აუცილებელი იყო თბილისში, ქართულ
პერიოდულ ბექდვით ორგანოსთან ახლო ყოფნა. მან ამ მიზანსაც
მიადწია. 1855 წლის ხუთი სექტემბრიდან დანიელი თბილისის სა-
სულიერო სემინარიაში გადმოდის მასწავლებლად. აქ ის დიდად და-
ტვირთული არ იყო გაკვეთილებით, რადგან ასწავლიდა მხოლოდ
ოსურ ენას, რომელიც მას კავკავში ყოფნის დროს შეესწავლა. ამი-
ტომ 1858 წლის 1 ოქტომბრიდან იგი შეთავსებით დანიშნულ იქნა
საქართველოს სინოდალურ კანტორაში მაგიდის უფროსად.

დანიელ ჰონქაძეს, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით ძლი-
ერ სუსტი აგებულებისა, მაგრამ მშვენიერი, განათლებული ინტე-
ლიგენტი იყო, მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი საზოგა-
დოების ზოწინავე ნაწილთან და მწერლებთან.

1859 წელს ჟურნალ „ციცქარის“ (№ 12) ფურცლებზე მოთავსდა
დ. ჰონქაძის „სურამის ციხე.“ ამ დღიდან დ. ჰონქაძემ მრავალი
მტერი შეიძინა მსხვილ მემამულე-თავადაზნაურთა ბანაკიდან, მაგრამ
რაკი ახალი თაობა და მშრომელები მის მხარეზე იყვნენ, ახალ-

გაზრდა ავტორი მტრებს არ უშინდებოდა. ამგვარი მხილებით მეტად აღშფოთებული გაბატონებული კლასის წარმომადგენლები მოთხრობის ავტორს სიკვდილითაც კი დაემუქრნენ.

ამ ძველი თაობისა და გაბატონებული კლასის ყველაზე უფრო მოღიბერალო, შემარიგებლური ხაზის მატარებელი პატრიოტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი ვითომ გულწრფელად აღიარებს: „მართალია, იყო ერთი საცოდაობა, მაგრამ არა ისე, როგორც ქონქაძე აღწერს, ცოტა კი მიემგვანება მას... მართალია, ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მეგობრებმა საგან ბევრჯერ მომხდარა ყუბის ძირიანად აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ამგვარი საქმეები არ მომხდარა... ამგვარ საქმეებს ძალიან კარგად გამოკითხვა უნდა და მას უკან შეუდგეს წერას. თუ არა და აჩქარებითა სოფელი არ აშენებულა“... („ნაწერები“, გვ. 89).

ამგვარ მოსაზრებათა წინააღმდეგ პირველად ინტონ ფურცელაძემ აიმაღლა ხმა („ცისკარი“, 1863 წ., № 1). მან, როგორც მესამოციანელთა ჯგუფის რადიკალურმა მოაზროვნემ, მკვეთრად ამხილა არსებული უკულმართობა და დისკრედიტაციის მიზეზები დ. ქონქაძის მიმართ, რომელმაც მკაფიოდ ააქმვეინა თავისი მოთხრობის გმირს: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“. ან. ფურცელაძემ პირველმა შესძლო „სურამის ციხის“ ობიექტური გარჩევა და სითანადო დასკვნების გამოტანა, ხოლო 15 წლის შემდეგ დ. ქონქაძის შესახებ გაზეთ „დროებაში“ (№ 118, 1875 წ.) მოთავსებულ სტატიაში გ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, „არა მგონია იმის (ქონქაძის — ს. ც.) მართლის თქმა სრულებით უნაყოფოდ დარჩენილიყო და არ გაემხნევებია ჯერ დაჩაგრული ჩვენი ახალგაზრდობა“.

თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღო „სურამის ციხემ“ ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის, ამაზე მიგვითითებს ის საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რაც ამ პატარა მოთხრობის გარშემო შეიქმნა.

დანიელ ქონქაძეს დიდხანს არ უტოცხლია. მისი მაჯისცემა ადრე, 30 წლის სიკაბუჯეში შეწყდა 1860 წლის 28 ივნისს, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქართული ბეჭდვითი სიტყვის გამომხატველი მხოლოდ ერთი „ცისკარი“ იყო, რომელმაც გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა შიშით თავის ფურცლებზე „სურამის ციხის“ უდროოდ გარდაცვლილი ავტორის შესახებ პატარა ნეკროლოგის მოთავსებაც კი ვერ გაბედა. მაგრამ ქართველმა ხალხმა გულში აღიბეჭდა მისი ხსოვნა. ქართველი მშრომელი მასების სი-

ყვარული და გატაცება „სურამის ციხით“ დღემდე შეუნელებელია. იშვიათია ისეთი ქართული წიგნი, ამდენი გამოცემა რომ განეცადოს და ამგვარი პოპულარობით ესარგებლოს.

გარდა იმისა, რომ „სურამის ციხე“ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებშია შეტანილი, მარტო საბჭოთა პერიოდში გამოიცა 10-ჯერ.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში მოხერხდა დ. კონჭაძის დეაწლისა და მისი „სურამის ციხის“ ფართო პოპულარიზაცია. ამ მოთხრობის მიხედვით არის დამუშავებული კინოსურათი „სურამის ციხე“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

ლიტერატურა: ფ. მახარაძე, თახულებანი, ტ. V; არკ. ხუნდაძე, დანიელ კონჭაძე: გახ. „დროება“, 1875 წ., № 118; იაკობ გოგებაშვილი, ტ. I. რჩეული ნაწერები: „სახალხო განათლება“, 1950 წ., № 11; „სურამის ციხე“, 1932 წ. გამოცემა, „ცისკარი“, 1863 წ., № 1; „დროება“, 1875 წ. № 119; ალ. ხახანაშვილი, ქართული ბატონყმობის ისტორია, „ივერია“, 1904 წ., № 106; ხ. კიკინაძე, ბატონყმობის მასალები, ტ. IV.



ბესარიონ ლოლობერიძე (1832 — 1879)

ბესარიონ ლოლობერიძე 60-ანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის, როგორც მოწინავე აზროვნების მატარებელი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, საკმაო ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასპარეზზე გამოჩენის დღიდან ბესარიონ ლოლობერიძეს „საკუთარი დროშა ეჭირა“, რომელზეც მისი მოქმედების უცვალებელი დევიზის გამომხატველი სიტყვები ეწერა: „ცოდნა, ცოდნა ყველაფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული განუქრობელი სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი“ („ივერია“, 1879 წ., № 3).

მეორე ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი ბესარიონ ლოლობერიძეს იმგვარ დედას ადარებდა, რომელიც „შავს დღეში ჩავარდნილა და თავისი გამწარებული შვილები გარს ეხვევიან, ის

კი მაინც არ დრკება და მხნელ მიიწევს წინ“ („დროება“, 1879, № 69).

იაკობ გოგებაშვილი მისთვის ჩვეული ბეჯითობით გადმოგვცემს, რომ „ბესარიონ ლოლობერიძეს დიდი სახელი ჰქონდა არამც თუ ქართულს საზოგადოებაში, არამედ თითქმის მთელ კავკასიელთა შორისაც“... („განათლება“, 1911, № 2).

რით დაიმსახურა ბესარიონ ლოლობერიძემ ამგვარი ავტორიტეტი, ღირსება და პატივისცემა იმ დროისათვის მოწინავე ქართველთა საზოგადოებაში?

ბესარიონ ლევანის-ძე ლოლობერიძე დაიბადა 1832 წელს სოფელ ჯიხიაში (ქუთაისის მაზრა). უსახსრობის გამო ის 17 წლის ასაკამდე ჯიხიაში არ გასცილებია და მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდა მიღებული. სწავლას მოწყურებული იგი მეჩვიდმეტე წლისა წვევიდა ქუთაისის I გიმნაზიაში. ხუთი კლასის კურსის გავლის შემდეგ, 1854 წ. ის გადავიდა თბილისის I გიმნაზიაში. აქ ის ხდება ილია ჭავჭავაძისა და მის მეგობართა წრის სკოლის ამხანაგად. ამავე დროს იმერეთიდან ჩამოსულ ცოდნისა და ცნობისმოყვარე ახალგაზრდა ბ. ლოლობერიძისათვის სულ სხვა ნიადაგი და ატმოსფერო იყო თბილისი, სადაც უკვე არსებობდა: თეატრი, იეკერესელისაგან ხელახლა აღდგენილი და გაცოცხლებული ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი“ და სხვა სულიერი საზრდო, რომლის დაწაფება გულმხურვალე ახალგაზრდას ყოველთვის შეეძლო.

ბესარიონ ლოლობერიძე ილიასთან ერთად ამთავრებს გიმნაზიას, მაგრამ მასთან ერთად ის ვერ მიდის პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი აქაც უსახსრობამ დააყოვნა. იძულებული შეიქნა 7 წლის მუშაობისა და მხოლოდ ამ გზით მოპოვებული სახსრებით 1863 წელს გამგზავრებულიყო რუსეთში, როცა მის მეგობარსა და სკოლის ამხანაგს ილია ჭავჭავაძეს, უკვე პეტერბურგიდან დაბრუნებულს, 3-4 წლის მოღვაწეობის ბრწყინვალე სახელი ჰქონდა მოპოვებული სამოციანი წლების საქართველოში.

როგორც ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს, ბესარიონმა იმდენად წარჩინებულად დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის კურსი, რომ მას პროფესორებმა უნივერსიტეტში დარჩენა სთხოვეს. „მაგრამ ბესარიონს, გარდა მეცნიერების სიყვარულისა, „გულში უღვივოდა კიდევ არანაკლები სიყვარული თავის სამშობლოსა... თავის ხალხისა — ჩავარდნილის სხვადასხვა ბოროტმოქმედთა ხელში... და დასტოვა სახელი, მალალი სამეცნიერო სამსახური და სამშობლოსაკენ გამოსწია“ (ილია ჭავჭავაძე. ტ. VII).

1868 წ. ბ. ლოლობერიძე ინიშნება თბილისის I გიმნაზიის მასწავლებლად. მისი ყოფილი მოსწავლეების მოგონებით, მაშინ გიმნაზიაში გამეფებული იყო „ყაზარმული რეჟიმი, მშრალი და უშინაარსო დისციპლინა, სადაც ყველაფერი მხოლოდ ფორმას ემორჩილებოდა“. ბესარიონი პირველი მასწავლებელი იყო, რომელიც „მოველინა გიმნაზიას ვით მოელვარე ზოლი მუქ ადგილზე, ვით მნათობი გარემოცულ წყვილადში“. ის იყო მოსწავლეთა მეგობარი, ნამდვილი მასწავლებელი და მშობლიური მზრუნველობით აღმზრდელი, რომელმაც „არა ერთ ახალგაზრდას აუთრაოლა გული, არა ერთი ყმაწვილი დააყენა სწორ გზაზე და აზიარა ცოცხალ სიტყვასა და მომავლის იმედს“ („ივერია“, 1879, № 3).

იმ პერიოდის გიმნაზიაში ბესარიონ ლოლობერიძე, როგორც ძველი მიმართულების მოწინააღმდეგე, მარტო იყო უცხო მასწავლებელთა შორის, უმეგობრო და უთანაგრძნობო. მისი მეგობრები და მახლობელი მისი მოსწავლეები იყვნენ. ბესარიონ ლოლობერიძეს კაცი ვერ ნახავდა ქუჩაში მარტო გავლილს, მას მუდამ გარს ეხვივნენ მისი მოყვარული მოსწავლეები, რომლებიც იმისი კეთილი გულითა და სწავლებით აღტაცებულნი იყვნენ („დროება“, 1879 წ., № 51). „ჩვენი მომავლის ბედნიერების საფუძვლად უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა და იმათს გულში სამშობლოს სიყვარულის ღრმად გაღვიძებაო“ (იქვე) — ურჩევდა ბესარიონი ყველა ქართველ მასწავლებელს. ამ მხრივ ბესარიონი თვითონ იყო მაგალითის მიმცემი, როგორც გ. წერეთელი აღნიშნავს, — „გულმოდგინე, შეგირდების მოყვარული და იმათი გონების გამღვიძებელი და მამულის სიყვარულის ჩამნერგავი“ („დროება“, 1879 წ., № 82).

ხუთი წლის შექმდეგ, 1873 წ. ბესარიონ ლოლობერიძე დაწინაურებულ იქნა თბილისის ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორად. აქაც იგივე მხნეობა, იგივე ნიჭი და ალლო ნამდვილი პედაგოგისა და აღმზრდელისა, რამაც უდიდესი სიყვარულით შემოსა იგი მოსწავლეთა მხრივ, ხოლო საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტით და გავლენით, რომელსაც კიდევ უფრო ფართო ასპარეზი უნდა გამოჩენოდა. ეს ასპარეზიც მალე გამოჩნდა.

1874 წ. შემოღებულ იქნა სახალხო სკოლების დირექტორობა და როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, — „კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა, რომელიც დიდად განათლებული პედაგოგი იყო და ხშირადაც ამბობდა: ქართველები ბუნებრივი პედაგოგები არიანო, — თავისი სიტყვის გულწრფელობა, სხვათაშორის, იმიტო დაამტკიცა, რომ კავკასიაში პირველად გამარ-

თული სახალხო სკოლების დირექცია მიიწოდო ქართველის — ბესარიონ ლოლობერიძის ხელმძღვანელობას“ (ტ. II, გვ. 329).

ამგვარად, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად ბესარიონ ლოლობერიძე შეიქნა, პირველი ქართველი ამ თანამდებობაზე — „მცოდნე თვისის ხალხისა, მისი საჭიროებისა და მიდრეკილებისა“. ილია ქავკავაძის ეს სიტყვები გაამართლა ბესარიონმა თავისი თავდადებული შრომითა და გულისხმიერებით სახალხო განათლებისადმი.

ბესარიონმა შემოიარა აღმოსავლეთი საქართველო; მთელ რიგს სოულებში: საგარეჯოს, ყვარელს, ენისელს, გურჯაანსა და სხვაგან გამართა სახალხო სკოლები, ძველთა მდგონარეობა გამოასწორა, მასწავლებელთა შესაფერი კადრი შეარჩია, რათა სწავლების სწორი პრინციპები გაეტარებინა. როგორც გაზეთი „დროება“ (1879 წ. № 51) გვაცნობს: „ქავკასიის აქეთა მხარის სასწავლო რჩევაში ბესარიონი მუდამ იმ აზრს იცავდა, რომ თუ გვინდა ხალხის განათლება მტკიცე ბურჯზე დავამყაროთ, ხალხს უნდა მივსცეთ პირველდაწყებითი განათლება თავის ენაზე“.

სამოციანი წლების რუსეთში განათლებამიღებული ბესარიონ ლოლობერიძე, რომელიც ღრმად იყო ზიარებული იმ დიდ ლიტერატურას, რომელშიც უპირატესობა „სოვერენნიკ“-სა და მის გარშემო დაჯგუფებულ მოღვაწეებს ეპყრა, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ის მარტო სახალხო სკოლების დირექტორი და ამ სამსახურებრივი მოვალეობის ამსრულებელი როდი იყო, არამედ ნამდვილი საზოგადო მოღვაწე და ხალხში გასული განმანათლებელი. ის მარტო სახალხო სკოლების გახსნასა და მოვლას არ კმარობდა. მან იცოდა, რომ ბატონყმობის უღლიდან ახლად გამოსულ გაძვალტყავებულ გლეხობას არ შეეძლო თავისი ბავშვების მასობრივად ჩაბმა სწავლებაში, თუ რაიმე ეკონომიური დახმარება და წახალისება არ ექნებოდა. და აი, ბესარიონმა ც მიჰყო ხელი სოფლებში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის ჩამოყალიბებას, რომელთა ხელმძღვანელობაც ყველგან იმავე სოფლის მასწავლებელთ დააკისრა და საქმეც ეფექტიანად მიდიოდა. მაგრამ ბესარიონი იძულებული შეიქნა, ამ მისთვის „გულით საყვარელ შრომასა და მოღვაწეობას“ ჩამოშორებოდა. ამის მიზეზი იყო დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა თხოვნა მისადმი — ეკისრა მეთაურობა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსებისა.

ბესარიონმაც ხალხის თხოვნას პატივი სცა და დიდი აღტაცებით შეუდგა ბანკის პროექტის შედგენასა და მის ჩამოყალიბებას. ამ მხრივ მისი უმთავრესი მრჩეველი და დამხმარე იყო ამავე ხანებ-

ში ახალჩამოყალიბებული თბილისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე ილია ქავჭავაძე. ბესარიონ ლოლობერიძემ მართლაც დააარსა ქუთაისის ბანკი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და გაამაგრა იგი საუკეთესო ქართველ მოღვაწეთა ჩაბმით, საკუთარი უანგარო შრომითა და სასოფლო ბანკებისადმი ხელისშეწყობით.

საბანკო საქმეებით დატვირთვის მიუხედავად, ბესარიონის გულისყური სახალხო განათლებისადმი ზრუნვას ერთი წუთითაც არ მოჰკლებია. როგორც ილია ქავჭავაძე აღმოგვცემს, იგი ურყევ ბურჯად და იმედად ედგა ღარიბ მოსწავლეებს. „ვისაც გროში არა ჰქონია სწავლისათვის — უშოვნია ბესარიონის შემწეობით; ვისაც წიგნები დაჰკლებია — იმავე ბესარიონს მიუწვდენია“ (ილია ქავჭავაძე, ტ. VII, გვ. 140).

ბესარიონ ლოლობერიძე აქტიური მონაწილე და ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო აგრეთვე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაში. მისი პირველი წესდების ხელმოსაწერად ჩამოტარება „მაღალ ქართულ საზოგადოებაში“ უკანასკნელ სხდომაზე ბესარიონს დაეკისრა, რაც ბეჯითად შეასრულა და ამით მყარი ნიადაგი შეექმნა მომავალ საზოგადოებას (ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 517).

სამწუხაროდ, იგი ამ საზოგადოების საზეიმო გახსნას, რომელიც 1879 წლის 15 მაისს მოხდა, ვერ მოესწრო, გარდაიცვალა იმავე წლის 6 (18) მარტს, 47 წლის ასაკში, მრავალი სიკეთითა და ხალხისათვის სასარგებლო ზრახვებით აღსავსე.

„15 (27) მარტს სოფ. ჯიხაიში დაასაფლავეს ერთი იმისთანა კაცი, რომელსაც სამართლიანად გლოვობენ მთელი საქართველოს საუკეთესო წარმომადგენელნი... დაასაფლავეს ბესარიონ ლოლობერიძე, კაცი თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებული“... ასე წერდა ეურნალ „ივერიის“ (1879 წ., № 3) მიმომხილველი, რომელიც გულისტკივილით დასძენდა, რომ ბესარიონ ლოლობერიძის სიკვდილით „საქართველოს უკეთესნი შვილნი ერთით ნაკლები“ ხდებოდნენ.

ილია ქავჭავაძემ ამ შემთხვევას ვრცელი ნეკროლოგი უძღვნა, სადაც აღნიშნავდა, რომ „იმისთანა კაცის დაკარგვა, როგორც იყო ბესარიონი, იმგვარი საზოგადო უბედურებაა, რომ ჩვენ ვალად ვრაცხთ ჩვენს თავს რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ განსვენებული და მით ჩვენი მწუხარებაც ჩაეურთოთ საზოგადო გლოვასო“... („ივერია“, 1879, № 3).

„ბესარიონ ლოლობერიძე იყო შესანიშნავი თავისი ძვირფასი ჭასიათებითო, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ჩვენს საუკუნეში, როდესაც

უველას შეძლების შეძენა უნდა, ის სიმდიდრეს სრულებით არ ეძებდა და სხეებივით თანამდებობებს არ ეხარბებოდა“ („ოზბორი“, 1880, № 392).

ასე მოკლედ დასრულდა ერთი მეტად ლამაზი და შინაარსიანი სიუკეტლე, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ასპარეზი ჰქონდა მოზომილი სამოქმედოდ მშობლიური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ლიტერატურა: გაზეთი „დროება“, 1869 წ., № 1; 1873 წ., № 25, 26, 28, 29, 30, 31, 35, 37; 1877 წ., № 61, 62, 63, 160; 1879 წ., № 51, 55, 69, 90, 92, 94, 77, 57, 87, 66, 80; 82, 83, 81, 85, 88, 95, 96, 97, 102, 103, 105, 106, 1880 წ., № 16, 18; 1882 წ., № 120, 123, 128, 137, 144, 149; „ივერია“, 1879 წ., № 3; საქართველოს კალენდარი, 1895 წ., გვ. 427; ნიკონიკოლაძე, თბულებანი, ტ. I და II; ილია ჭავჭავაძე, თბულებანი, ტ. I. VII; იაკობ გოგებაშვილი, თბულებანი, ტ. I და II; გიორგი თუმანიშვილი, Характеристика и воспоминания, I, 1913 წ.; სიმონ ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის, ტ. I და II; აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი.



მიხაილ ზაალის-ძე ყიფიანი (1833—1891)

დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის პროგრესული ჯგუფის აქტიური წევრი, სახელმძღვანელოების ავტორი და ქართული სკოლის ერთ-ერთი გულწრფელი მოამბე მიხაილ ზაალის-ძე ყიფიანი დაიბადა 1833 წლის 12 აპრილს სოფ. ქვიშხეთში. პირველდაწყებითი სწავლა მ. ყიფიანმა მიიღო გორის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1849 წელს, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო კავკასიის სამიჯნო სკოლაში და კარგად დაეუფლა ტოპოგრაფიას. ამიტომაც როგორც ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზრდა სამიჯნო დარგში სამუშაოდ მიიწვიეს.

იგი კავკასიის სამიჯნო სკოლაში პედაგოგიურ მუშაობასაც აწარმოებდა, ხოლო ამ სკოლასთან დაარსებული საკვირაო სასწავლებლის ქართველი მოსწავლეებისათვის, ვახ. თულაშვილთან ერთად, 1862 წელს შეადგინა არითმეტიკის სახელმძღვანელო.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც საქართველოში ილია ქავჭავაძის მეთაურობით ახალი, მოწინავე იდეების და საზოგადოებრივი მისწრაფებების ფართო გავრცელება დაიწყო, როდესაც ბრძოლამ ძველ კონსერვატულ და პროგრესულ შეხედულებებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი გვერდში ამოუდგა ი. ქავჭავაძეს და „საქართველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი გახდა. აღნიშნულ ჟურნალში მ. ყიფიანი წერდა: სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით, ხოლო 1886 წლიდან ამავე ფსევდონიმით ათავსებდა წერილებს ი. ქავჭავაძის „ივერიაში“.

1871 წელს მ. ყიფიანმა სამსახური დაიწყო თერგის ოლქში, სამიჯნო სამმართველოში. თავისი უანგარო შრომის მეოხებით მან ხალხის დიდი პატივისცემა დაიმსახურა და ამიტომაც მისმა გარდაცვალებამ 1891 წლის 2 მარტს გულწრფელი მწუხარება გამოიწვია არა მარტო ქართულ საზოგადოებაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა შორისაც.

ოსმა პოეტმა კოსტა ხეთაგუროვმა მის ხსოვნას გულთბილად ლექსი უქაღნა:

Умер!.. о, это холодное слово
Скорбью звучит безпредельной для нас!
Умер... и ты, обездоленный снова
Плачешь и стонешь, родимый Кавказ!

Много ль их было, способных народу
Также всецело отдаться, любя,
Также бороться за нашу свободу
Светоч познания в сакли внося?!..
Нет, их немного. И эту потерю
Наши потомки припомнят не раз...

ხოლო ილია ქავჭავაძე მ. ყიფიანის სხვა დამსახურებათა შორის აღნიშნავდა მის ზრუნვას ქართულ სკოლებზე და წერდა: „სულ ორი დღის წინათ, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუღუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსანს კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ-მიერ? გამოგზავნილი წიგნები ნივილეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. „დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. — სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია რომ თვით გაჰხარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ რომ, ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს,

რომ სხვისი სიხარულო გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღბეჭდავს“

ცხადია, საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მიხ. ყიფიანს სწავლების შესანიშნავი მეთოდიც ჰქონია, რის შეიხებშიაც შესძლო მოსწავლისათვის შეეყვარებინა მთელი რიგი საგნები და მასში აღედგა ამ საგნების შესწავლის დიდი ინტერესი.

მიხეილ ყიფიანზე, როგორც დახელოვნებულ და გულისხმიერ მასწავლებელზე, ჩვენ მოგვეპოვება ნ. დ. ყიფიანის მეტად მნიშვნელოვანი მოგონება, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1893 წლის „კვალის“ მე-15 ნომერში. ზართალია, ეს მოგონება უშუალოდ არ ეხება მ. ყიფიანის მასწავლებლობას სკოლაში, მაგრამ ის დახასიათება; რომელსაც ავტორი აძლევს მას, საკმაო ნათლად გვიხატავს, თუ რამდენად დაუფლებული იყო ის პედაგოგიურ ოსტატობას.

ნ. ყიფიანს ბავშვობაში დაქირავებული ფრანგი მასწავლებლები ასწავლიდნენ, მაგრამ ამ შრომას არაერთი დამაკაყოფილებელი შედეგი არ მოჰყოლია (მოგონების ავტორი ამ მდგომარეობას თავის დაუდგრომელი ხასიათით და გადაქარბებული ცელქობით ხსნის).

შეწუხებულ დიმიტრი ყიფიანს, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, დაუთხოვია „ფრანკუზები“ და შვილის მასწავლებლად მოუწვევია მ. ზ. ყიფიანი. „მიხაკო იქნებოდა მაშინ ერთი ოციოდე წლის ყმაწვილი კაცი. ვითომ გუშინ იყო ეს ამბავი, ისე მახსოვს პირველი გაკვეთილი მიხაკო ყიფიანისა.

...დამიწყო პირველად ფიზიკური გეოგრაფიის სწავლება. მიჰყო ხელი ამბავსა, რა და რა პლანეტები უვლის გარს მზესა, თან მიამბობდა, თან მიხატავდა ქალაღზე პლანეტების სავილს გზასა, თვით პლანეტებსა, მზის სისტემასა და სხვ.

თვლები გაეაქციტე: იმისთანა გულისყურით ვუგდებდი ყურსა, რომ ვერ შევიტყე საათნახევარი როგორ გავიდა. რომ გაათავა, ადგა და შითხრა, დღეისთვის კმარაო. მე კალთაში მოვკიდე ხელი, მოიცადე, ჯერ არ წახვიდე, კიდევ მიაბზე რამე, კიდევ მასწავლე-თქო.

მასწავლიდა მთელი ერთი წელიწადი, ან წელიწადნახევარი, სანამ თბილისში იდგა. რასაც გაკვეთილს მომცემდა მეორე დღისათვის სასწავლებლად, როგორ შეიძლებოდა რომ არ მესწავლა კარგად და საფუძვლიანად: კარგად რომ არ ვისწავლო, მიხაკოს ეწყინება-მეთქი, ვფიქრობდი და რომ მიხაკოს არ ეწყინოს, უნდა ვეცადო, რაც ჯანი და ღონე მაქვს, კარგად ვისწავლო მეთქი, ვამბობდი ჩემს გულში...

და წარმოიდგინეთ — არითმეტიკა, რომელიც მანამდის ქირივით მძულდა, შემეყვარდა მიხაკოს ხელში; შემეყვარდა გეოგრაფია, რომელიც მანამდის ყოველთვის მაძინებდა ხოლმე; შემეყვარდა ყოველისფერი, რასაც მიხაკო მასწავლიდა.“

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის. ყიფიანი თვალსა-
ჩინოების გააოყენებას სწავლების პროცესში. მის მიერ შედგენილი
გეომეტრიის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში ავტორი წერდა:
„ღიდად შედგოვდელია ის, ვინც შეგირდს არ გაიყვანს მინდორში
და იქ არ აჩვენებს გეომეტრიის ყოველ ასახსნელებსა და ნაკეთებ-
სა! ზამთარში შეიძლება იგივე აჩვენოს ოთახში, იატაკზე, ფიცარ-
ზე ან სტოლზე, სადაც რამდენიმე ქინძისთავე და რამდენიმე არში-
ნი ძაფი ძალიან ადვილად დაიჭერენ ჯაქვისა, თოკისა და პალოე-
ბის ალაგსა.“

ქართველი მოზარდი თაობის სიყვარულით მიხეილ ყიფიანმა
ხელი მოაქიდა სახელმძღვანელო წიგნების შედგენა-გადმოკეთებას.
ამ მხრივ აღსანიშნავია ფოჯელის წიგნის მიხედვით შედგენილი მი-
სი არითმეტიკის სახელმძღვანელო (ვახტანგ თულაშვილის თანავე-
ტროობით), რომელიც 1862 წელს დააბეჭდა. იგივე სახელმძღვანე-
ლო საფუძვლიანად გადაქმნავერებული და უკვე სავსებით ორგანიზა-
ციური გამოვიდა 1882 წელს. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე მ.
ყიფიანის გეომეტრიის სახელმძღვანელოები და სხვ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მ. ყიფიანი ი. ქავჭავაძის „საქართ-
ველოს მოამბის“ აქტიური თანამშრომელი იყო. აღნიშნული ჟურ-
ნალის დახურვის შემდეგაც იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა
ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1864 წელს მას სხვებთან ერთად შეუდგენია ის ქართული
შრიფტი, რომლითაც გაზ. „დროება“ იბეჭდებოდა და რომელსაც
„ვენურ შრიფტი“ უწოდებდნენ.

1871 წლიდან მ. ყიფიანი სამსახურის გამო ჩრდილოეთ კავკა-
სიაში მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა, მაგრამ ჩვენს საზოგადოე-
ბასთან კავშირი არ გაუწყვეტია და ი. ქავჭავაძის — „ივერიაში“
წერილების გამოქვეყნებას, თუძცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვანაგრ-
ძობდა.

მის. ყიფიანი ყოველთვის დაინტერესებული იყო ჩვენი საზოგა-
დოების საჭირობორტო საკითხებით და შეძლებისდაგვარად მათ
მოგვარებაშიც იღებდა გულწრფელ მონაწილეობას.

ლიტერატურა: მ. ყიფიანი (და ვ. თულაშვილი), არითმეტიკის სა-
ხელმძღვანელო, 1862 წ.: მ. ყიფიანი, სფიროდონის
და თადეოზის ბაასი, „საქართველოს მოამბე“, 1863 წ.,
№ 5, 6, 7, 8; არითმეტიკა, სახელმძღვანელო სთფლის
მასწავლებელთათვის, 1854 წ., გეომეტრია, ნაწილი I,
1888 წ.; გეომეტრია, ნაწილი II, 1891 წ.; წერილი
გადაღმითგა, „ივერია“, 1856 წ. № 260, 261; წერილები
სხვადასხვა რაგინდა—რაზე, „ივერია“, 1859 წ., № 85,
86, 273; წერილი მეგობართან, „ივერია“, 1890 წ., 170;
ნ. დ. ყიფიანი, მ. ხ. ყიფიანი (მოგონება), „კვალი“,
1893 წ., № 15; ი. ქავჭავაძე, მის. ყიფიანი (ნეკ-
როლოგი), „ივერია“, 1891 წ., № 53; ი. ქავჭავაძე, ნაწი-
რების სრული კრებული, 1927 წ., ტ. V, პაჟ. ინგო-
როყვას ზენიშენებით, გვ. 250—254; მ. ბერძენიშვი-
ლი, პირველი ბეჭდური ქართული არითმეტიკისათ-
ვის (იხ. კრებული—სწავლა-აღზრდის ისტორია საქა-
რთველოში, I, 1937 წ.).



ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე

(1837—1907)

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და მე-19 ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ილია ჭავჭავაძე ცნობილია ჩვენში თავისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით. ქართულმა ლიტერატურამ მასში ჰპოვა დიდი რეალისტი, მებრძოლი სოციალური მოტივებით გაელენთილი მხატვარი და ქართული სალიტერატურო მეტყველების განმაახლებელი. ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ის უნდა ჩაითვალოს ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგების უახლოეს წინამორბედად. ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისა და გარდაქმნის მიზნით ილია ჭავჭავაძე ენერგიულად უწყობდა ხელს საქართველოს ნაციონალური მრეწველობის განვითარებას, ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და საქალაქო წარმოების გაძლიერებას. ის ამავე დროს აძლიერებდა ჩვენში რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მტკიცედ იბრძოდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, აფართოებდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ზეგებს, თავდადებულად უწყობდა ხელს საქართველოში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას და ამ მხრივ განსაკუთრებული გატაცებითა და ერუდიციით იბრძოდა ჩვენი ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

ილია ჭავჭავაძის ამ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენენ მისი პედაგოგიკური იდეები.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1863 წელს განმარტა პედაგოგია როგორც „მეცნიერება ყმაწვილის აღზრდაზე“¹ და ზოგადად გაარკვია აღზრდის მიზნები და ამოცანები.

ახალთაობის აღზრდის მიზნებისა და ამოცანების გარკვევას ილია უდგება ისტორიული თვალსაზრისით. მისთვის არ არსებობს აღზრდის მუდმივი და უცვლელი შინაარსიან მიზანი. ის, როგორც განვითარების თეორიის წარმომადგენელი, აღზრდის მიზანს არკვევს ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე და სათანადო ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით. მისი დროის მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა, როგორც აღენიშნეთ, მდგომარეობდა რუსეთის ცარიზმთან ბრძოლით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენასა და ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. ამ ამოცანის გადაჭრისაკენ მოუწოდებს ილია ყველა მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ქართველს, ამ ამოცანით საზღვრავს იგი „შვილთა“ ბრძოლას „მამების“ წინააღმდეგ და ამავე ამოცანას უსახავს იგი თავისი დროის ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლებას. „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“², მიაჩნდა მას ახალგაზრდობის „მომზადების საგნად“ იმ დრომდე, სანამ, მისივე თქმით, „ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიკერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა“. ილია ჭავჭავაძე ამასთანავე დასძენს, რომ „სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაქიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს“. ეს მიაჩნია მას ჩვენი ყმაწვილკაცობის მომზადების საგნად, ანუ მიზნად.

რა გზით შეიძლება ამ საგნის (მიზნის) მიღწევა? უმთავრესი გზა, ილიას აზრით, მეცნიერული განათლებით შეიარაღებაში მდგომარეობს. ილია უსაყვედურებს თავისი დროის „ახალ გუნდს“, რომ „ჩვენის ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგად ქვეითობდნენ“³. აქედან ცხადია, ილია ჭავჭავაძე ზემოთ აღნიშნული მიზნის (საგნის) მიღწევისათვის მოითხოვს ფართო გონებრივ მეცნიერულ განათლებას.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, 49.

² თხზ., V], 127. ხაზი ილიასია.

³ იქვე, 127—128.

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნით ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“¹.

ამით ილიამ მოხაზა საგანი (მიზანი) და გზა (საშუალება) ახალთაობის მომზადებისა: „აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მთელს ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შექურვილი... ამაზე უკეთესს საგანს, ამაზე უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვექონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთი დრონი მეფობენ“². ილია ქავეკვაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო მიღწევს თავის ნაციონალურ განთავისუფლებას და დემოკრატიული მართვა-გამგეობის დამყარებას. ის ამ პერიოდისათვის, უეჭველია, ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების სრულიად ახალ მიზნებს წამოაყენებდა, ხოლო თავისი დროისათვის მის მიერ შემოხსენებული აღზრდის მიზნები და საშუალებანი უსათუოდ რევოლუციურ ხასიათს ატარებდნენ და ამასთან ისტორიულ მომენტს ზუსტად უპასუხებდნენ.

აღზრდა-განათლების პროცესი მას ერთიან პროცესად მიაჩნია, აღზრდაში იგი განათლებასაც გულისხმობს, ისე როგორც განათლებაში ადამიანის აღზრდაც იგულისხმება. ამიტომ გონებრივი აღზრდის მიზნები ილიას პედაგოგიკურ შეხედულებათა სისტემაში არ განსხვავდება განათლების მიზნებიდან, მაგრამ რამდენადაც აღზრდა საერთოდ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე განათლება — იგი საერთოდ აღზრდის უშუალო მიზნად სახავს არა მარტო გონებრივ განათლებას, არამედ გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ და ტექნიკურ განათლებას. ადამიანის ასეთ მრავალმხრე განვითარებას ილია ხშირად გამოსთქვამს პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილი და მის დროსაც ხმარებული ტერმინით: ჰარმონიული განათლება.

აღზრდა-განათლებამ, ილიას მიხედვით, ჰარმონიულად უნდა განვითაროს ადამიანში ყოველი მისი ნიქი და უნარი. მას დაუშვებლად მიაჩნია რომელიმე ერთი მათგანის განსაკუთრებული განვითარებით მეორის დაქვეითება.

¹ თხზ., VI, 130.

² იქვე, 130.

აღზრდა-განათლების პირველ სახელ ილია აღიარებს გონებრივ განვითარებას; გონების თავისუფლება და თვით-მოქმედება, მისი აზრით, „ერთად-ერთი ნიშანია ქვეშარტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“¹, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მას უნდა შეეწიროს ადამიანის აღზრდა-განათლების სხვა მხარეები. ილია მკვეთრად ილაშქრებს ცალმხრივი განათლების წინააღმდეგ და თავისი დროის პედაგოგიკის მიზნად ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას აღიარებს. ამის შესახებ ის წერს: „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებასა იგია, რომ ადამიანი, უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორციით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“². მართალია, ასეთი ჰარმონიული აღზრდა-განათლების პრინციპი ილიასათვის, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ახალი ამბავი არ არის“ და თვითონვე სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს, რომ ამ იდეით გამოვიდნენ პედაგოგიკის ისტორიაში „განახლების ეპოქის“ იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგები. მაგრამ ეს პრინციპი XIX საუკუნის დასასრულსაც კი არ იყო განხორციელებული და ილიას იგი მაინც ახალ პრინციპად მიაჩნდა თავისი დროისათვის.

ჩვენთვის ნათელია, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განათლების უზრუნველყოფა. ყოველმხრივ განათლებული ადამიანი მისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ცდილობს დაახშოს მისი ფართო განვითარების რეალური საშუალებანი. კაპიტალისტური საზოგადოება ქმნის „ნაწილობრივი ინდივიდუუმს, მარტოოდენ ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელს“ (მარქსი), რომელიც „ემორჩილება წარმოების ერთ რომელიმე დარგს, მიჯაჭულია მასზე, ექსპლუატირდება მისგან, ... ანვითარებს თავისი ნიჭის მხოლოდ ერთ მხარეს ყველა სხვა მხარის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების ერთი დარგი ან რომელიმე დარგის ერთი ნაწილი“ (ენგელსი). ეს ცალმხრივი განვითარება სპობს ადამიანის სრულყოფილი და მეცნიერული აღზრდის საფუძვლებს, სპობს პიროვნების მიერ ისტორიულად გამოიმუშავებული ცოდნის სისტემის დაუფლების შესაძლებლობას. ილია ჰავკავაძემ ეს ტენდენცია ნათლად შენიშნა XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილეში და აქტიურად გაილაშქრა მის წინააღ-

¹ VIII, 286.

² VIII, 334.

მდგ. ამ ტენდენციას მან დაუპირისპირა ადამიანის ყოველმხრივი და თავისუფალი განვითარების პრინციპი, ხოლო პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების დარგში ილიასათვის, როგორც ვნახეთ, მთავარი იყო გონებრივი განვითარება.

მეორე სახე ადამიანის აღზრდა-განვითარებისა, ილიას ხზრით, არის ზნეობრივი განვითარება. მტკიცე ზნეობრივი ნორმების შემუშავება მის მიაჩნდა ყოველი პიროვნების საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის რეგულირების საშუალებად. ადამიანმა უნდა იცოდეს წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ესმოდეს თავისი პირადი მოვალეობა ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. ილია გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ პიროვნებამ უნდა შეუფარდოს თავისი ინტერესი საერთო ინტერესებს ისე, რომ არც თავის საკუთარ ინტერესებს ევნოს და არც სივისას. მართალია, ადამიანის მორალისა და მორალური განვითარების მიზნის გარკვევის დროს ილია ქავჭავაძე არა დგას ამ მორალის და მისი მიზნის კლასობრივი განპირობების ნიადაგზე, მაგრამ საერთოდ ადამიანის მორალის საზოგადოებრივი ხასიათი მას კარგად ესმის. მან მრავალ მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილსა და მხატვრულ ნაწარმოებში გვიჩვენა, რომ ადამიანის ზნეობის შემუშავება საზოგადოებრივი ზეგავლენით ხდება: კარგი ზნე-ხასიათის ანუ კარგად აღზრდილი პიროვნება დადებითი საზოგადოებრივი წრის გავლენის შედეგია, ხოლო ცუდი ზნე-ხასიათის ან უზნეო პიროვნება უარყოფით საზოგადოებრივ გავლენას მიეწერება.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის სისრულის აჟუცილებელი მომენტია. გონებრივი განათლება თუმცა მთავარია ადამიანისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი მისი სრულყოფისათვის. „სავსება ერთობ ადამიანისა, წერს ილია, იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისა“¹. ამ სავსებით სწორ დებულებას ილია ქავჭავაძე იმით ასაბუთებს, რომ ადამიანის მოღვაწეობასა და აზროვნებაში ხშირად აქვს ადგილი გარკვეულ წინააღმდეგობას მის გონებრივსა და ზნეობრივ მდგომარეობას შორის. ქეშმარიტი ადამიანობისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ „სწავლულობა და განათლებულობა“, თუნდაც რომ ეს სწავლა-განათლება მაღალი ხარისხისა იყოს. „საკმაო არ არის, წერს ილია, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც

¹ VIII, 318.

ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მართო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს¹. ამ უკანასკნელ წინადადებაში ძალიან კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ კაი-კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათით ეძლევა ადამიანს. ამით ავტორს სურს მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზნეობრივი აღზრდის საკითხს, თორემ ქვეყნადის ყოველ მკითხველს მოეხსენება, რომ ილია ადამიანის კაცურ-კაცობას და ნამდვილ ადამიანურ ღირსებას მკიდროდ უკავშირებს მის სწავლა-განათლებას. აქედან აშკარაა, რომ ილია ქვეყნადე ადამიანის განათლებაში ზნეობრივ აღზრდასაც გულისხმობს. ამასვე ამტკიცებს მისი შემდეგი დებულება: „ქეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებბაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“²; ამასთან ილია დასძენს, რომ „ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულება სწავლასა და ცოდნაზედა“. გონებრივი და ზნეობრივი განვითარების ერთიანობა და განუყრელობა აქ მოცემულია, როგორც ქეშმარიტი განათლების საფუძველი და მისი მთლიანობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრით, მართებულადაა ხაზგასმული ცოდნის წამყვანი როლი ადამიანის განვითარების საქმეში და ზნეობრივი აღზრდის დამოკიდებულება ცოდნის ანუ გონებრივი განათლების მდგომარეობაზე.

ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, მართალია, მკიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, პარალელურად ვითარდებიან, მაგრამ ეს ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, ილიას აზრით, ერთი და იგივე ზეგავლენის მეთოდით მოუხერხებელია. ის ფიქრობს, რომ ზნეობრივი განვითარება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელობითი მუშაობით ბავშვთა შორის, ხოლო გონებრივი კი — სწავლის გზით. აღმზრდელობითი მუშაობა მას ხშირად ესმის როგორც „წურთვნა“ და ასხვავებს მას სწავლისაგან. „წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“³. ასე ასაბუთებს ილია მათ განსხვავებას. განსაკუთრებული მტკიცება არაა

¹ VIII, 318.

² იქვე

³ VIII, 318.

საქირო, რომ წვრთნა-ვარჯიშის მოწყვეტა სწავლებისა და სწავლის პროცესისაგან არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მათი გაიგივება, ხოლო მათი კავშირი რომ აუცილებლად აქვს ნაგულისხმევი ილიას, იმით მტკიცდება, რომ მათი საშუალებით გამოწვეული შედეგები: ზნეობრივი განვითარება და გონებრივი განათლება, როგორც ვნახეთ, მკიდრო კავშირსა და ერთიანობაში აქვს მოცემული და, თუ შედეგთა კავშირი ფაქტია, მათი გამომწვევ მიხეზ-საშუალებათა კავშირიც ნათლად დასტურდება.

ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივი განვითარების მიზნით წარმოებული აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას ილია ქაეკავაძე მოითხოვს როგორც სკოლაში, მასწავლებელთა მიერ, ისე ოჯახში, მშობელთა მიერ, და აგრეთვე იმ საზოგადოებრივ წრეებში, სადაც ბავშვსა და მოსწავლეს უხდება ყოფნა. ეს აღმზრდელობითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს აღნიშნული ზნე-ხასიათის თვისებათა შემუშავების გზით. ამისათვის ილიას სხვა პირად ღირსებათა შორის აუცილებლად მიაჩნია ზ რ დ ი ლ ო ბ ა, როგორც აღამიანის ყოფა-ქცევის მომწესრიგებელი თვისება; პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა — უფროსების, მასწავლებელთა, მშობლების და ამხანაგების მიმართ; ს ხ ვ ი ს ი და ფ ა ს ე ბ ი ს ს ა ქ ი რ ო ე ბ ი ს შეგნება; თ ა ვ მ დ ა ბ ლ ო ბ ა და ზ ო მ ი ე რ ე ბ ა მორიდების გრძნობასთან ერთად, რ ჩ ე ვ ა-დ ა რ ი გ ე ბ ი ს მიღება უფროსებისაგან და კარგი ამხანაგებისაგან, პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა დანაკისრი მოვალეობის შესრულების მიმართ, წ ე ს რ ი გ ი ს და დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს და ც ვ ა სკოლასა და სხვა აღმზრდელობითს დაწესებულებაში, საზოგადოების წრეებსა და ოჯახში.

განსაკუთრებულ აღმზრდელობითს მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის ილია აქუთენებს მასწავლებელთა მიმბაძველობასა და მაგალითს. კარგი ქცევისადმი მიბაძვა და კარგი მაგალითის გამეორება ზნეობრივი განვითარების დიდ ფაქტორებად მიაჩნია მას და ამისათვის ნოითხოვს სასკოლო და საოჯახო აღმზრდელობითი პროცესისა ისე მოწესრიგებას, რომ ყოველივე, რაც ბავშვს ზრდის, და ყველა, ვინც მის აღზრდას აწარმოებს, მისაბაძი და სამაგალითო იყოს აღსაზრდელისათვის.

ბავშვთა და მოზარდთა ყოველმხრივი აღზრდა-განათლების მესამე სახედ ილიას მიაჩნია ფ ი ზ ი კ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა.

სასკოლო აღზრდის ჩამორჩენილობისა და ცალმხრიობის ერთერთ მიზეზად XIX ს. მეორე ნახევარში ილია ასახელებს მის უყურადღებობას ფიზიკური განვითარებისადმი. „დ ა ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ა, წერს ილია, რ ო მ კ ა ც ს ტ ა ნ ი და ა გ ე ბ უ ლ ო ბ ა ც ა ქ ვ ს, რ ო მ ე ლ ი ც

წუროვნითა და გარჯიშობით უნდა გაღონიერდეს გაჯანიაანდეს, გამაგრდეს“¹. ჯანის სისალესა და სიმაგრეს ილია ჭავჭავაძე ადამიანის აღზრდის ერთ მთავარ მომენტად თვლის და მისი ჰარმონიული განვითარების აუცილებელ მხარედ აღიარებს. აღზრდის პროცესში სულიერ და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სხეულის განვითარებასაც. „განახლების“ პერიოდის სკოლის ერთ დადებით თვისებად ილია ასახელებდა მის მისწრაფებას ბავშვის გონებისა და სხეულის თანაბარი განვითარებისაკენ. „ეხლანდელი სკოლა, წერს ილია. ბევრით ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგანადა ჰქონდათ თანაბარი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა.“²

ამგვარად, ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნა აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც სკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. მის თანამედროვე სკოლას აღზრდის ეს მხარე არ იინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულითა და ხორციით იქანცება, არაქითი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორციით ღონიერი ადამიანის მაგიერ უძღური, უღონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ“². ილია ენერგიულად მოითხოვს ასეთი სკოლის გარდაქმნას „თანამედროვე პედაგოგიის თვალსაზრისით“. ეს თვალსაზრისი სხვა საჭიროებათა შორის მოითხოვდა ბავშვის ჰარმონიულ განათლებას, რომელიც ფიზიკურ განვითარების აღზრდა-განათლების სხვა მომენტების სიმალლეზე აყენებდა.

ჯანმრთელი, მხნე, ღონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა — აი რა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად.

ასეთია აღზრდის ძირითადი სახეები ილიას მიხედვით. ეს სახეები ამავე დროს აღზრდის მიზნებსაც წარმოადგენენ, მაგრამ აღზრდა-განათლების მიზნები ამით არ ამოიწურება. ილია დამატებით ეხება კიდევ ოთხ მომენტს:

1. ახალგაზრდობის ყოველმხრივი, ჰარმონიული აღზრდა-განათლების ერთ-ერთ მომენტად ილია ჭავჭავაძე თვლის პროფ-ტექნიკურ განათლებას.

საქართველოს საქალაქო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების რევოლუციური მნიშვნელობა XIX ს. მეორე ნა-

¹ VIII, 343.

² იქვე.

ხევარში, როგორც ვნახეთ, ილიასათვის აშკარა გახდა. ის ნათლად ხედავდა, რომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის გარდაქმნა დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის განვითარებაზე და, ცხადია, ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ პროცესისათვის.

მრწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება გადაუდებელ ამოცანად აყენებდა სათანადო ტექნიკური კადრების მომზადებას. ეს ტენდენცია, რასაკვირველია, არ გამოპარვია მხედველობიდან ილია ქავჭავაძეს და საზედიცინო და პედაგოგიური განათლების პარალელურად მოითხოვდა აგრონომიულ და საინჟინერო პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელებას როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის ხაზით.

რა არის საგანი სამეურნეო განათლებისა და სამეურნეო სკოლისა? ილია სამეურნეო განათლების საგნად თვლის, რომ „მუშა გლეხკაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. სახალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას საგნად ხომ მართო ესა აქვს“¹.

დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ქავჭავაძე სამეურნეო განათლების მატერიალური ბაზის ორგანიზაციას. ასეთი ბაზის შექმნის გარეშე, მისი აზრით, სამეურნეო განათლება ზეპირ-სიტყვიერ და სქოლასტიურ „განათლებად“ გადაიქცეოდა, რომელიც ჩვენს მეურნეობას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. წინამძღვარიანთკარში ილია წინამძღვარი შეიღის მიერ დაარსებულ სამეურნეო სკოლას, რომლის გახსნის დროს ილია ქავჭავაძემ მტკად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა (იხ. ტ. VII, გვ. 21), უკვე ჰქონდა ისეთი სამეურნეო და მატერიალური ბაზა, რომ ილია ქავჭავაძეს იგი. როგორც დასაწყისი, სავსებით აკმაყოფილებდა.

ილია ფართო მასობრივ პროპაგანდას ეწეოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. უხსნიდა ყველას, რომ ეს არის საშუალება, რომლითაც ხალხს ხელში ეძლევა „ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიღბგეს არ დაუჯარგავს“.

2. აღზრდა-განათლების უმაღლესი მიზანთა შორის ილია ქავჭავაძე ერთ-საპატიო ადგილს უთმობს სალიპატრიოტული გრძნობის გამოწვევას და განვითარებას. ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პრინციპი ილიას პედაგოგიურ ნოქღვრებაში განო-

¹ VIII, 165.

ზღინარეობს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანე-
ბიდან და ამიტომ ეს პრინციპი სავსებით თავისუფალია ყოველგვა-
რი ვიწრო ნაციონალისტური და შოვინისტური ელემენტებიდან.
უფრო ნეტიც. ჩვენ ვნახავთ, რომ ის შეესაბამება თავისებური ინ-
ტერნაციონალური სოლიდარობის იდეებს და მეცნიერების ზოგად-
კაცობრიული განვითარების ხასიათს.

ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა ილიას ესმის როგორც ერთი
გარკვეული ნაწილი ან მომენტი ბავშვის სოციალური აღზრდისა
საერთოდ. აღზრდის საერთო საზოგადოებრივ მიზნად ილიას, რო-
გორც უკვე გვქონდა აღნიშნული, XIX ს. მეორე ნახევრის ქართვე-
ლი ახალგაზრდობისათვის მიაჩნდა „ჩვენი დაცემული ვინაობის აღ-
დგენა“ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით. აღზრდას,
საერთოდ, ამ ბრძოლისათვის გამოსადეგი ახალთაობა უნდა მოემზა-
დებინა და ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა, როგორც მომენტი ამ
საერთო აღზრდისა, სწორედ აქეთკენ უნდა ყოფილიყო — და იყო
კიდევ — მიმართული.

ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პირველ მომენტად ილიას
მიაჩნდა სამშობლოსა და ხალხის სიყვარული.

ილია ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანს აძლევს
ძლიერ სულიერ ენერჯიას, მატებს სიმზნევის, სიმამაცისა და გაბე-
დულობის გრძნობას, ხდის მას საერთო საქმის ენთუზიასტად და
მისაბამ პიროვნებად. ყოველი ეს თვისება უნდა აღიზარდოს ბავშვ-
ში, რომ ის სამშობლო-ქვეყნისათვის თავდადებული და გამოსადეგი
პიროვნება გამოვიდეს.

ილია ქავექავაძე ახალგაზრდობის აღზრდას ხალხურობის პრინ-
ციპზე ამყარებს, რომ ამით აღუძრას მას (ახალგაზრდობას) თავისი
სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, რადგანაც ეს სიყვარული ადა-
მიანის გულის გასაღებად მიაჩნია. აღზრდის ამოცანაა ამ გასაღე-
ბით შეალოს მოზარდის გულის კარი, შეისწავლოს მისი ინდივიდუ-
ალური გრძნობების სამყარო და განავითაროს იმ მიმართულებით.
ხაითკენაც მას აღზრდის საერთო, საზოგადოებრივი მიზანი მოუწო-
ლებს.

სამშობლოს სიყვარული ილიასათვის თავისუფლების სიყვარუ-
ლის სინონიმია ყველგან, სადაც მამულისათვის თავდადებაზე ლაპა-
რაკობს, ლაპარაკობს აგრეთვე „ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის“
თავკანწირვაზე და ქართველ დედასაც მოუწოდებს შთაბავროს ბავშვს
„თავისუფლება — კაცთა ნავთსაყუდარი, ჩაგრულის, წვალებულის
წმინდა საფარი“.

ილია ქავჭავაძე ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს სრულიად ბუნებრივად უკავშირებს ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს.

ილია ქავჭავაძის პატრიოტიზმი თავისი დროისათვის საღი და რევოლუციური პატრიოტიზმი. ამასვე ამტკიცებს მის მიერ მეცნიერების ინტერნაციონალური გაგება და მისი დამოკიდებულება სხვა ეროვნებათადმი.

3. აღზრდა-განათლების ერთ-ერთ მიზნად ილიას მიაჩნდა აგრეთვე პირადი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარის შემუშავება ახალგაზრდობაში.

ინიციატივა აძლევს ადამიანს საკუთარი მოქმედების საშუალებას, აჩვენებს დამოუკიდებელი გზით მსვლელობას, უფითარებს მას ახალი საქმის თაოსნობის უნარს, აქტივობას და ახალი აზრის შემუშავების ძალას.

თვითმოქმედება — მთავარია ადამიანისათვის. ის აძლევს ადამიანს ცხოვრების აზრს, ათავისუფლებს სხვაზე დამოკიდებულებიდან და ანიჭებს არსებობის უფლებას.

ამასთან, თვითმოქმედება დიდ აღზრდელობით როლსაც თამაშობს. ილიას ეს როლი ესმის შემდეგნაირად:

„თვითმოქმედებას არაშეეძოთ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, სადა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, სადა მოზარდის, ახალი თაობის ძალ-ღონეს ნაქედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამქედლოში“.¹

ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე ახალგაზრდობას უფითარდება კრიტიკული აზროვნების უნარი და ზოგიერთი ავტორიტეტისადმი კრიტიკული დამოკიდებულებას შესაძლებლობა. „ყოველი აზრი, — წერს ილია, — მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“. კრიტიკული აზროვნება ამახვილებს ადამიანის აზრს, აძლევს მას უფრო მეტი შემოქმედების ძალას, აჩვენებს მას ახლის აღმოჩენის იმედს და რწმენას საკუთარ თაოსნობაში.

ძველი ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება აუცილებელია ქვეშეობის განვითარებისათვის. ძველი დოგმა და რუტინა, მიუხედავად მათი ავტორის დიდი სახელისა, უნდა იქნეს უკუღმდებელი. „ბრზად დაჯერება ყოველი იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურის-მგდებლის კეჟა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარყოფს, — მართლა დიდი ხა-

¹ „ივერია“, 1886, № 102.

ნია უგუნურებად არის მიჩნეული“.¹ აქედან გამოსვლით ილია მოუწოდებს ახალგაზრდობას თვით გამოიკვლიოს, შეამოწმოს „და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და საკუთარ რწმენად გარდაქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი“². ილია ყოველივე ამას ლაპარაკობს ძველი ავტორიტეტების შესახებ, რომელთაღმი რწმენა ჩვენში უკვე შეირყა და რომელთა ზეგავლენისაგან აუცილებელია ახალგაზრდების განთავისუფლება, რომ არ შეიბოროკოს მათი ინიციატივა და თვითმოქმედება,

ილია ქავქავაძის მოსაზრება ყალბი ავტორიტეტების გავლენისაგან ახალგაზრდების დახსნის შესახებ—საბრძოლო პროგრამაა XIX საუკუნის ქართული ახალთაობისათვის, ძველი დოგმებისა და რუტინის დაძლევისა და მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; ის მოწოდებაა ახალი შემოქმედებისა და აზროვნებისა. ახალგაზრდობა ენერგიულად უნდა მიჰყვეს მეცნიერების განვითარებას, იყოს მისი უკანასკნელი მიღწევების კურსში, „თორემ,—წერს ილია,—აქაო და ამ ოცდა-ათ წლის წინად ამა და ამ საგანზე ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ,—ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უქიათობა და ქირვეულობა ერთხელ და ერთხელ შებოროკილებულ და დატყვევებულ გონებისა“, ესეც რევოლუციური დებულებაა აზრის გასათავისუფლებლად ძველი იდეებისა და ტრადიციებისაგან.

4. ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების წინაშე ილია ქავქავაძე აყენებს აგრეთვე მომავლის პერსპექტივის შექმნის ამოცანას. ილია არცერთ საზოგადოებრივ ღონისძიებას არ ფარგლავდა მარტოოდენ დღიური ამოცანით. ყოველ მისაღებ და განსახორციელებელ ღონისძიებას ის განიხილავდა და აფასებდა როგორც აწმყო, ისე მომავლის თვალსაზრისით. ასევე თავის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ის ყოველთვის ფართო პერსპექტივით მოქმედებდა. ეს პერსპექტივა იყო მისი ქვეყნისა და ხალხის თავისუფალი მომავალი. ილია ქავქავაძე სრულებით არ იყო შეპყრობილი წარსულის კულტით, ისტორიული სიძველეების იდეალიზაციით. მან იცოდა, რომ საქართველოს წარსულში ბევრი რამ არის სანაქებო, მისაბაძი, სასიხარულო, საჭიროდ მიაჩნდა მისი ცოდნა, გამოყენება, მაგრამ მანვე იცოდა, რომ დარდი და მწუხარება ჩვენ-

¹ VIII, 119.

² VIII, 287.

კარგი წარსულის გამო ვერც აწმყოს გაგვიუმჯობესებს და ვერც კარგ მომავალს შეგვიქმნის.

მომავალი თაობის აღზრდელ დედას ილია აძლევდა შვილის აღზრდის გარკვეულ პერსპექტივას (ძმობა, ერთობა, თავისუფლება, მამულის სიყვარული, მამულისათვის ბრძოლა, ქვეშაობა და განათლებული კვალი) და ამასთანავე მოუწოდებდა:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს ღრით
ხელით დანთქმულა;

მოვიკლათ წარსულ ღროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა
სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომა-
ვლი ხალხს. („ქართველის დედას“).

ილია ქვეყნადეს ხშირად უყვარდა ხალხური ანდაზის გამო-
რება: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს
მამასა“, და ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის მართლაც არა-
ფერს ზოგავდა, ისე როგორც არაფერს ზოგავდა დაემტკიცებინა
ბოროტება და მავნებან კონსერვატული ანდაზისა: „ნუ დააგდებ
ძველსა გზასა“. მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა ახალი
გზების ძიებასა და ახალი სამყაროსათვის ბრძოლას წარმოადგენდა.
ილია ხშირად მიმართავდა ქართველ ხალხს: „ქართველობა... გაი-
საჯე, თუ გინდა, რომ მამათა ნათქვამისამებრ, შვილი მამასა სჯობ-
დეს და მომავალი — აწმყოს. დღევანდელის მომდურა-
ვებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ“¹...

ილიას სწამდა საქართველოს საიმედო მომავალი. ის ოპტიმის-
ტურად იყო განწყობილი ამ მომავლის მიმართ და მოუწოდებდა
თავის ქვეყანას უარყო ყოველგვარი მწუხარება, ვინაიდან მომავა-
ლი თაობა მას ახლად აღუდგენდა დიდების დღეებს.

სამშობლოს მომავალი დიდების დამკვიდრება ილიას მიაჩნდა
ახალგაზრდობის ისტორიულ ამოცანად. საჭირო იყო ახალგაზრდე-
ბის მეათური, გმირი, და სწორედ ასეთად შეიქმნებოდა ის ყრმა,
რომელიც სიმბოლურად „ბაზალეთის ტბის“ ძირას აკვანში იზრდე-
ბოდა:

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“.

მომავლის სალი პერსპექტივის შექმნის მიზნით ილია ქვეყნადე
მოითხოვს ისტორიის მეცნიერულ ცოდნას. მხოლოდ წარსულისა და
აწმყოს ანალიზით მიაჩნია მას შესაძლებლად მომავლის სწორი გა-

¹ VII, 293.

თვალისწინება. განვითარების თეორია ისტორიულ პროცესში მკლავ-
ნდება, ამ პროცესის საშუალებით ვგებულობთ ჩვენ როგორც მატე-
რიალური, ისე იდეური ცხოვრების გენეზისს, მის ცვალებადობას
ეპოქების მიხედვით.

ილიასათვის ცხადი იყო, რომ წარსულ დროში შექმნილი და
დაგროვილი კულტურული სიმდიდრე და გამოცდილება ჩვენ უნდა
შევისწავლოთ იმ მიზნით, რომ გამოვიყენოთ მათგან ყოველივე სასარ-
გებლო და გამოსადეგი, რათა ამით დავზოგოთ ჩვენი ენერგია და
დრო ახალის შექმნისათვის.

ასეთივე აქტუალური და თანადროებისათვის გამოყენების თვალ-
საზრისით უდგება ილია პედაგოგიკის ისტორიასა და პედაგოგიკის
კლასიკოსებს, განსაკუთრებით ჰუმანისტ პედაგოგებს. ის მოითხოვს:
„ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერ-
თი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგთაგან,
რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის
საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“.¹

ისტორიის შესწავლა ახალგაზრდობის მიერ ილიას საჭიროდ
მიაჩნდა არა მარტო წარსულის დიდი კულტურული სიმდიდრისა
და გამოცდილების დაუფლებისათვის აწმყო და მომავალ ცხოვრება-
ში მათი გამოყენების მიზნით, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ ამ
გზით ჩვენმა ახალგაზრდობამ უფრო გაათავოთ თავისი გონებ-
რივი ჰორიზონტი, შესძლოს მომავლის საღი პერსპექტივის შექმნა
და მისთვის ბრძოლა.

* * *

ადამიანის გონებრივი განვითარების დასაწყისად ილია ქვეყა-
ვადეს ენისა და აზრის აღმოცენება მიაჩნდა. მეტყველება და აზრო-
ვნება მოქმედების წინამორბედი და, სანამ ბავშვი მოქმედების და-
წყებას შესძლებდეს, მანამ მისი ადამიანობის მაჩვენებელი ენა და
აზრია. ამიტომ ბავშვის გონებრივი აღზრდა მეტყველების და აზროვ-
ნების აღმოცენებიდანვე უნდა დაიწყოს.

ენას და აზრს ილია ქვეყავადე მათი განვითარების არცერთ სტადიაში არ თიშავდა ერთმანეთი-
დან. ორივე მათგანი გონებრივი განვითარების ერთიან პროცესად
მიაჩნდა მათი აღმოცენების მომენტიდანვე. ენის განვითარების აუცი-
ლებლობას უმთავრესად აზროვნების განვითარების აუცილებლობით
ასაბუთებდა, ხოლო აზროვნების განვითარების აუცილებლობას კი —
უპირველესად ენის განვითარების აუცილებლობით.

¹ VIII, 344.

მეტყველების და აზროვნების აღმოცენება და შემდეგი განვითარება მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს ბავშვს გაადვილებული. ამიტომ მათზე ზრუნვა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს იმ საფუძვლისა და პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სიადვილეს. ილია ჭავჭავაძეს ბავშვის ენისა და აზრის ადვილი აღმოცენების უფრო საიმედო საფუძვლად მიაჩნდა ეროვნული გარემოცვა: მშობლიური კულტურა, მიწაწყალი, ხალხი; სამშობლოს ისტორია, ერის „განსხვავებული თვისება და განსაკუთრებული ხასიათი“, მისი „სულიერი ცხოვრების ფესვები“. ამიტომ, ილიას აზრით, ბავშვის პირველი ენა, რომელსაც ის ადვილად სწავლობს და რომელზედაც უადვილდება სწორი აზროვნება, არის მშობლიური ენა ანუ დედა-ენა. პირველად „გონების გახსნა“ სწორედ დედა-ენაზე ხდება, დედა-ენისავე საშუალებით ხდება მისი ჩამოყალიბება, ხოლო შემდგომი განვითარება კი აუცილებლად მოითხოვს სხვა ენების გამოყენებასაც. რამდენადაც უფრო მეტ ენებს სწავლობს ადამიანი და ამდიდრებს თავის ლექსიკონს, იმდენად უფრო აფართოებს და ამდიდრებს თავის აზროვნებას, მაგრამ აზროვნების აღმოცენება, მისი განვითარების დასაწყისი, — მარტო დედა-ენის საშუალებით უნდა მოხდეს. აქედან ილია დაასკვნის, რომ საოჯახო და პირველ-დაწყებითი სწავლების ენა უეჭველად დედა-ენა უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძე, მასთან იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ცხვედაძე და სხვები მტკიცედ და უკანდაუხეველად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ყოველი ეროვნების ბავშვს თავის დედა-ენაზე დაეწყო მეტყველება და მიეღო პირველდაწყებითი სასკოლო განათლება. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ გზით მიაჩნდათ მათ შესაძლებლად ბავშვთა გონებრივი განვითარების ნორმალურად დაწყება. ამის შესახებ ილია წერს:

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით. არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“¹.

ამ მოსაზრებას ილია ასაბუთებს პედაგოგიკის კლასიკოსების (კომენსკი, პესტალოცი, უშინსკი) ნაწერებით და პედაგოგიკის მეცნიერული მონაცემებით: „პედაგოგიის ძირეული კანონი კიდევ ამას

¹ VIII, 218.

ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდა ბავშვმა რამე ისწავლოს, ჯერ თავისი (ენა) კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო¹. ამნაირად, ილია ქავჭავაძე დედა-ენაზე ბავშვის აღზრდას სკოლამდელ ასაკში (ოჯახში) და პირველდაწყებით სკოლაში, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ბავშვის აზროვნების რეალური განვითარების თვალსაზრისით.

სკოლის დანიშნულებათა ბავშვს მისცეს ყოველმხრივი განვითარება, რომელშიც ძირითადი არის გონებრივი განათლება. გონებრივი განათლების უზრუნველყოფა შეიძლება მეცნიერული საგნების შესწავლით და, რადგანაც ეს საგნები დაწყებითი სკოლიდანვე ისწავლება, ხოლო დაწყებითი სკოლა კი დედა-ენის სკოლაა, საგნებიც, ცხადია, დედა-ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ეს გარემოება, უეჭველია, დედა-ენის კარგად ცოდნას მოითხოვს, მაგრამ რამდენადაც ბავშვი ოჯახში ვერ ასწრებს თავის დედა-ენის კარგად სწავლას, იმდენად ამ ენის შესწავლა სკოლაშიც უნდა გაგრძელდეს. ამ მოსაზრებიდან გამოსვლით ილია დაასკვნის:

„ზემოთ მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც: თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება ასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს“². ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ენის ცოდნაზე დამოკიდებული საგნების შეთვისების ხერხი, ხოლო მათ საფუძველზე ხდება „გონების გახსნა“ და განვითარება, ე. ი. აზროვნება. აქედან ნათელია: აზროვნების განვითარება მოითხოვს როგორც საგნების სწავლას დედა-ენაზე, ისე დედა-ენის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნას. ამიტომ ილიასათვის ცხადია, რომ „საერო (სახალხო, გ. თ.) სკოლა, როგორც პირველდაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელი სკოლისა, იმისდა მიუხედავად განგრძობილი იქნება მის შემდეგაც სწავლა თუ არა“².

დაწყებითი სკოლის შემდეგ შეიძლება და აუცილებელიცაა ბავშვმა დაიწყოს სხვა ენების შესწავლაც. ეს გაამდიდრებს მის სიტყვიერ მარაგს, ლექსიკონს — ამით ცნებებს და აზროვნებას. კარგად მეტყველი ბავშვი ისე, როგორც მთელი ხალხი, თავის ენას კიდევ უფრო გაამდიდრებს და ეს თავის მხრივ ერის აზროვნებას გააფართოებს:

¹ VIII, 223.

² VIII, 216—221.

ენის მრავალ-სიტყვაობა ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს“, წერს ილია, და მოითხოვს არა მარტო რუსული და უცხო (ახალი) ენების შესწავლას, არამედ უცხო ტერმინების შემოტანასაც ქართულ ენაში, როდესაც სათანადო ცნების გამოსათქმელად არ მოგვეპოვება შესაფერისი ქართული ტერმინი. მეაფე პატრიოტები უცხო სიტყვების შემოტანას ქართულ ენაში უკანასკნელის სიწმინდის შელახვად თვლიდნენ. ილია ქვეყნაძე მათ საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჭირო უცხო სიტყვების შემოტანა ქართულში დიდი ეროვნული საქმეა, ვინაიდან ენის გამდიდრება სხვისი სიტყვებითა ერს არ დაანდაბლებს; თუ არ აამაღლებს“, და იქვე, მათი მისაძარით, ირონიულად წერს: „ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, ნოდით და წინ გადაუდგეს ან ენა-წმინდა ქართველი, ან ენა-წმინდა სომეხი და დიუჟინოს, — ჩვენ გჯობივართო“¹.

ენა აზროვნების საშუალებაა, აზრი მეტყველებების შინაარსია. ილიას ეს პრინციპი მშვენიერად აქვს შეგნებული. დედა-ენის, როგორც საზოგადო ენის, შეცვლა სხვა ენით, ე. ი. აზროვნების საშუალებად სხვა ენის გამოყენება, დედა-ენის დაკნინებას და სრულიად მივიწყებას მოასწავებს. 1879 წელს ილია ქვეყნაძე აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ეგრედწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თავილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა“. ეს „მაღალი“ ნახევრადფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც, ქვეყნაძეს თევზის გახარწილ თავს მოაგონებდა, თავისი მავნე რუსიფიკატორული მისწრაფებებით გავლენას ახდენდა ჩვენ ხალხზე, აჩვევდა სხვა ენაზე აზროვნებას, ხოლო საკუთარ ქართულ ენას კი აკარგვინებდა. ილია ქვეყნაძე ნამდვილ, კონკრეტულ ჭეშმარიტებას აღიარებდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ შავრაზმული რუსული ბიუროკრატიისადმი შეზრდას და ქართული კულტურის დალატს სწორედ ის „ეგრედწოდებული მაღალი საზოგადოება“ ანუ ფეოდალურ-ბურჟუაზიული კლასი აწარმოებდა, რომელიც ყველაზე მეტად ჩხაოდა ქართველი ერის სიყვარულზე, დალუპულ მამულზე და წამებულ სულზე. სწორედ მისი საშუალებით ატარებდა ჩვენში მეფის მთავრობა საქართველოს მოსახლეობის გამარჯვებულ პოლიტიკას, სწორედ მასში ხედავდა იგი თავის საიმედო დასაყრდენს კოლონიური მონობის დამყარების საქმეში და აგრეთვე ქართული ენისა და ქართულად აზროვნების გაუქმების დარგში. გადაგვარდა აზროვნება და „გადა-

¹ „სომეხთა მეცნიერნი და ქათა ლალადი“, 53.

ვეფიწყდა ყოველივე, რაც ენის შეენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება¹.

როგორც ვნახეთ, ილია ქავექავაძეს ბავშვის დედა-ენა მისი აზროვნების საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ამავე დროს თვით აზროვნებას ენის განვითარების საშუალებად აღიარებდა. როგორც შეუძლებლად მიაჩნდა მას აზროვნება მეტყველების გარეშე, ისევე შეუძლებლად მიაჩნდა მეტყველება ანუ ენა აზროვნების გარეშე:

„სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე ირსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“²...

ასე მჭიდრო მთლიანობაში განიხილავს აზროვნების და მეტყველების პროცესს ილია ქავექავაძე და სკოლისა და ოჯახის ერთ მთავარ პედაგოგიურ პრინციპად აღიარებს მათ განვითარებას ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად.

* *
*

ილია ქავექავაძის პედაგოგიკურ მოძღვრებაში სკოლას და სასკოლო აღზრდა-განათლების სისტემას განსაკუთრებული ადგილი უქირავს.

სკოლის მიზანი არსებითად აღზრდის მიზნებით განისაზღვრება და ამდენად ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ამოცანების გარკვევის დროს ჩვენ არსებითად უკვე ვარკვევთ აღზრდის გამტარებელი მთავარი ორგანოს ანუ სკოლის ამოცანებსაც. სკოლის სათანადო საფეხური აღზრდის გარკვეულ პერიოდს შეიცავს და, მაშასადამე, პედაგოგიური პროცესის განსაზღვრულ ეტაპს წარმოადგენს.

აღზრდის პროცესისა და მიზნების შესახებ ჩვენ უკვე ვიცით ილიას აზრი. სკოლის როლისა და მიზნების შესახებ კი იგი წერს: „საერო (სახალხო, გ. თ.) სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ქკუა-გონება მართლმსაჯულობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ

¹ VI, 46.

² IV, 41.

უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი. ამდენად, რომ იგი საკუთარს ქვეით და გულით გაუქირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორციით იღწვის და მოქმედებს¹.

აქედან ნათელია, რომ ილია ქავექავაძე საერთოდ არ ასხვავებს სკოლის მიზანს აღზრდის მიზნებიდან, აქ ჩვენ ვხედავთ სკოლის დანიშნულებას ახალგაზრდობის როგორც გონებრივ, ისე ეთიკურ განვითარებაში და თვითმოქმედების უნარის შემუშავებაში, რომ ასეთი ახალგაზრდობა „საკუთარი ქვეით და გულით“ გაუძღვეს ერის უმრავლესობის მოქმედებას, რომ „ცნობიერად იცხოვროს დე გონიერად იმოქმედოს“. მოყავს რა კ. უშინსკის ეს აზრი სახალხო სკოლის შესახებ², ილია ქავექავაძე სთვლის, რომ აქ მოცემულია „თავი და ბოლო საერო სკოლისა“ და შემდეგშიც ხშირად მიმართავს უშინსკის ავტორიტეტს სკოლის სხვა ამოცანების გარკვევის შემთხვევებში.

ქართველი ხალხის ჩამორჩენის, უღონობისა და უბედურების მიზეზად ილია ქავექავაძე როგორც ვიცი, თვლიდა უმეცრებასა და უცოდინარობას და არ ზოგავდა არც ფიზიკურ და არც მორალურ-ინტელექტუალურ ენერჯიას ან უმეცრებისა და უსწავლელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხოლო ამ ღონისძიებათა შორის მას უპირველეს და უმთავრეს ღონისძიებად სამართლიანად მიაჩნდა სკოლა:

„ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი, სხვათა შორის, სკოლაა. სხვათა შორის მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიება სასწავლებელია“³.

სკოლას აქვს აგრეთვე სხვა საპატიო საზოგადოებრივი დანიშნულებაც. ეს დანიშნულება ბავშვის აღზრდაზე და მის მერმისზე გავლენასა და ზემოქმედებაში გამოიხატება. ჩვენ უკვე ვიცი, რომ ილია განსაკუთრებული სიცხადით ასაბუთებდა საზოგადოებრივი აღზრდისა და გარემოების გავლენის გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის მოპაველზე; აღზრდისა და გარემოების არც ამ ფუნქციიდან გამოურიცხავს მას სკოლა. ეხება რა სოციალური წრის ზემოქმედებას მოზარდი თაობის მერმისზე, ილია წერს:

¹ VI, 215—216.

² VII, 215—216.

³ VI, 156.

არის მეორე საგანიც, რომელსაც თუ არ მეტი, ნაკლები ზედმოქმედება არა აქვს ადამიანის ავკარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა¹.

აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი იდეებისა და მიზნების მთავარ გამტარებელ დაწესებულებად ილიას, როგორც ვნახეთ, მიაჩნია სკოლა. სკოლა ახორციელებს აგრეთვე აღზრდის უშუალო და პირდაპირ მიზნებს: არაერთხელ აღუნიშნავს ილიას, რომ გონებრივი აღზრდის („გონების გახსნის“) და სწავლა-ცოდნის შექმნის უმთავრესი სახსარი სკოლაა. მაგრამ სკოლა ამჟვე დროს უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ზნეობრივ აღზრდასაც. რაშდენადაც ზნეობრივი განვითარება მკვიდროდ არის დაკავშირებული გონებრივთან, იმდენად, ილიას აზრით, „თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩოს, ესე-იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების განახლებასაც შველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს“².

სკოლის დანიშნულებაში შედის აგრეთვე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა და გამაგრება. თავისი დროის სკოლის ცალმხრივობას ილია იმითაც ასაბუთებს, რომ ეს სკოლა არ ზრუნავს მოწაფეთა ფიზიკურ განვითარებაზე და „ტან-აგებულობას ადამიანისას არამც-თუ შველის, არამედ ჰღალავს“. სკოლამ უნდა შემოიღოს ტანთ-ვარჯიში და სისტემატური წრთვნა ბავშვის სხეულის გაჯანიანებასა და გაღონიერებისათვის. ფიზიკური აღზრდის მისაბაძ ორგანიზაციად ილიას მიაჩნდა იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგის ვიტორინო და-ფელტრეს მიერ მანტუას სკოლაში („სიხარულის სახლში“) შემოღებული ფიზიკური აღზრდის წესი და ნეთოდი. რაში მდგომარეობდა იგი: „სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაგინდ ტაროსიც ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სროლასა, კიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში. ზოგჯერ ნადირობისა და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა და კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიც“³. ილიას სურდა, რომ ქართულ სკოლაშიც ასევე ყოფილიყო დაყენებული ფიზიკური ვარჯიშის საქმე.

¹ VIII, 317.

² VIII, 319

³ იქვე, 331.

ტექნიკური განათლების გავრცელების მიზნით ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა სახელოსნო და სამეურნეო სკოლების დაარსებას. ასეთი სკოლები მას მიაჩნდა პროფესიული განათლების სკოლებად, რომლებიც აძლევდნენ ახალგაზრდობას სათანადო ცოდნას შრომის რომელიმე დარგში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის, როგორც აგრარული ქვეყნებისათვის, ილია უმთავრესად მოითხოვდა სამეურნეო განათლებას და მის შესაფერის სამეურნეო სკოლებს: „ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა, — წერდა ილია, — სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც... მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჭფერის — სამეურნეო სკოლაა“¹. ასეთი სკოლის სახედ და ნიმუშად მას მიაჩნდა წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლა.

ილია ჭავჭავაძე იცავს აგრეთვე ეროვნულ-პატრიოტული მოტივის გაძლიერებას ქართულ სკოლებში. ამ მიზნით ის მოითხოვს: „მოგვეციოთ მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამაღლებელი, გონების გამხსნელი. ნუ გაუჩვევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება“². განსაკუთრებული გრძნობით მოითხოვს ილია ახალგაზრდა ქართველ ქალთა პატრიოტული განათლების სკოლებს: „ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით“³. ილიას რომ ქართული ნაციონალიზმი არავინ დასწამოს და ისიც საქართველოს გარეშე; ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პატრიოტიზმი მას სურს ქართველებისათვის და ქართული პატრიოტული გრძნობების აღმზრდელი სკოლა კი მხოლოდ საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში უნდა აღიზარდონ იმ ქვეყნების პატრიოტები იმ ქვეყნების მკვიდრთაგან და იმათვე სკოლებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეს ეროვნულ-პატრიოტული სკოლის საჭიროება დასაბუთებული აქვს პედაგოგიკის იმავე კლასიკოსების მოსაზრებით, რომლებმაც ის დასაბუთებდა პატრიოტული აღზრდის საჭიროებას: პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი და სხვ.

ილიას ეროვნული სკოლა არ არის ვიწრო პატრიოტიზმით შეპყრობილი. ის შეიცავს ფართო მხარეთმცოდნეობის ელემენტების

¹ VI, 166.

² იქვე, 157.

³ იქვე.

სწავლებას. სკოლის პირველი ამოცანა (ეროვნული აღზრდის მხრივ) თუ საწმინდოების სიყვარულია, სამაგიეროდ „მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტა არის, ესე იგი ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს“¹... ასეთია ილია ქავჭავაძის ეროვნულ-პატრიოტული სკოლა.

გარდა ზემოაღნიშნული თვისებებისა, ილია მომავალი სკოლის წინაშე აყენებს პრაქტიკული ცოდნის გავრცელების ამოცანას, ოჯახთან უშუალო თანამშრომლობას მასზე პედაგოგიური ზეგავლენისათვის, ბავშვთა თვითმოქმედებისა და დამოუკიდებელი ჩვევების შემუშავებას და სხვ.

ილია ქავჭავაძე აყალიბებს ახალი, სასურველი სკოლის იდეებსა და ორგანიზაციას ძველი სკოლის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში. ილიას მკითხველმა იცის როგორი სისასტიკით აკრიტიკებს იგი ძველ, ფეოდალურ აღზრდას და მის დამღუპველ ზეგავლენას ახალგაზრდობის მომავალზე. ილიას მშვენივრად აქვს დახასიათებული ძველი და თავისი დროინდელი სკოლა, როგორც სკოლასტიკური, ცრუმორწმუნეობის, ფორმალისტური, ცემა-ტყეპის დალიბდვა-გინების, ცალმხრივი და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი განათლების დაწესებულება. „თუმცა ეხლანდელ სკოლას, — სწერს ილია, — განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შექმნა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამოდ ეზღაუქება და ვერა-გზით ვერ სწვდება“², და თუ ძველი სკოლა ვერც ამ თავის ძირითად მიზანს ასრულებს, ცხადი ხდება, რა ფასი ექნება მას ახალგაზრდობის ჰარმონიული განათლების საქმეში.

ილია თავისი გამოსვლებით სიტყვიერად თუ პრესის საშუალებით განუხრებლ ბრძოლას აწარმოებდა ამ ძველი სკოლის წინააღმდეგ, აორგანიზებდა მოწინავე საზოგადოებრივ აზრს და ამ მიმართულებით თვითონ ქმნიდა ამბოხების ტონსა და შეურიგებლობის განწყობილებას. აღსანიშნავია, რომ თავისი დროის საშუალო სასკოლო განათლების სისტემის გამანადგურებელი კრიტიკის დროს ილია არ იეიწყებს ამ სკოლაში გამეფებული ძველი (ეკლარია) ენების: ბერძნულსა და ლათინურის სკოლასტიკური სწავლების მიხედვით მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის. ბერძნულმა და ლათინურმა დაპყარგეს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა საშუალო სკოლისა-

¹ VI, 221.

VIII, 223.

თვის. ისინი ზედმეტ ბარგად აწვენ კისრად მოსწავლე ახალგაზრდობას და უნაყოფოდ ართმევდნენ იმ დროს, რომელიც მათ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისათვის უნდა მოეხმარათ.

როდესაც გადაწყდა (1896) სათავადაზნაურო სკოლა ტექნიკური განხრის სასწავლებლად გადაკეთების მაგიერად გიმნაზიად გადაკეთებულყო, ილია ირონიულად წერდა: „კარგი და პატიოსანი. ამ სახით გაიმარჯვა ბერძნულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ... ყველაფრით სავსენი ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინური-ლა გვაკლდა და ამასაც ხომ ვისწავლიათ“... და შემდეგ სამართლიანად დასძენს: „მკვდრების სუნით გვინდა მოვშხამოთ საღი ჰაერი სკოლისა“¹. სკოლასტიკურ და მოშხამულ ატმოსფეროს სკოლად ილიას მიაჩნდა თავისი დროის გიმნაზია და მისი ტიპის სასწავლებლები. „ჯერ თვით პროგრამა გიმნაზიისა იღეთ თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა,“² და სთვლის ამ ენების შესწავლას მძიმე ტვირთად და უნაყოფოდ ბავშვებისათვის.

სწორედ ამ სახის სკოლების წინააღმდეგ მიმართა მან თავისი მკვეთრი სიტყვა, ბასრი კალამი და რევოლუციური საქმე როგორც პედაგოგმა, მხატვარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ. ძველი სკოლის საპირდაპიროდ კმნიდა ილია ჰავეკავადე ახალ სკოლას, მაგრამ მისი ინიციატივით და თაოსნობით დაიარსებული სკოლები მაინც ძალიან შორს იყვნენ ისეთი სკოლებიდან, როგორიც თვითონ მას და მის სახელოვან თანამებრძოლებს სურდათ რომ შეექმნათ. ასეთი სკოლების შექმნა ძნელი საქმე იყო მონარქიული თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის გამო. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ XIX ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლები ახალი სკოლისათვის ბრძოლას აღიარებდნენ ამ მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად და სახავდნენ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ჩართული სწავლა-განათლების გარდაქმნის დარგში.

ილია ჰავეკავადე, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ახალ გიმნაზიას. ის, როგორც ვნახეთ, არ ყოფილა გიმნაზიისა და მისი ტიპის სკოლების მოტრფიალე, მაგრამ მათ მაინც მხარს უჭერდა, რადგანაც გიმნაზიის გარდა სამეურნეო სასწავლებლებში, სამასწავლებლო სემინარიებში და სხვა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში კურსდამთავრებულებს უფლება არ ჰქონდათ უმაღლეს სასწავლებ-

¹ IX, 77—8.

² VII, 290.

ლებში (მაგ., უნივერსიტეტში) შესვლისა, იმ დროს, როდესაც უმაღლესი განათლების მსურველთა რიცხვი საქართველოში სწრაფად იზრდებოდა და ამავე დროს დიდი ენერჯით სწარმოებდა ბრძოლა ჩვენში უნივერსიტეტის გახსნისათვის. უნივერსიტეტში რომ ქართველებსაც ჰქონოდათ შესვლის უფლება, საჭირო იყო საშუალო განათლება გიმნაზიებში მიეღოთ ან მათი კურსით ჩაებარებინათ სათანადო გამოცდები. ამიტომ უქერდა მხარს იღია გიმნაზიებს, თუმცა მათ არსებით რეფორმას კი მოითხოვდა. ამასთანავე მან იცოდა, რომ კავკასიის ოლქის მზრუნველის, იანოვსკის ხელში და, საერთოდ, მისი დროის განათლების სისტემაში გიმნაზიის გაუმჯობესება ძნელი და მიუწვდომელი იყო. ამიტომ იღია მოითხოვდა საკუთარ ახალ გიმნაზიას, ახალ საშუალო სასწავლებელს: „ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა“, წერდა იგი, „საჭიროა გაემართოს ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივსცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“¹. ეს ახალი საშუალო სკოლები უნდა მოეწყოს მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით და სანიმუშო, სამაგალითო სკოლებად გადაიქცნენ საქართველოში „როგორც გარეგანი მორთულობითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა... როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს“². მაგრამ შორსმჭვრეტელი იღია არც ამ მართლა აუცილებელ მეცნიერულ-პედაგოგიურ ღონისძიებებს სთვლის საკმარისად, რომ ხალხის ფართო მასები მიიზიდოს სასწავლებელმა. ჩვენი ხელმოკლე და ღარიბი ხალხისათვის მატერიალურად ის ხელმისაწვდომელი იქნება. ამისათვის საჭიროა ჩვენ საშუალო სასწავლებლებთან მოეწყოს სრული პანსიონები მოსწავლეებისათვის: „ჩვენ საკუთარი სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა, რომ ჩვენ შვილებს ბინაც ჰქონდეთ, საზრდოებაც და სწავლაც“³. ასეთ, მეცნიერულ-პედაგოგიურად და მატერიალურად მოწყობილ სკოლებს იღია უწოდებს „ახალ სკოლებს“. ისინი მართლაც ახალნი იყვნენ შედარებით მისი დროის სახელმწიფო და კერძო სკოლებთან, მაგრამ პრაქტიკული განხორციელება მათ არ ღირსებიათ ძველი რეჟიმის დროს.

* * *

ბავშვთა აღზრდის ცენტრალური ფიგურა — მასწავლებელი და მისი მაღალი დანიშნულება — არ შეიძლებოდა დარჩენილიყო და

¹ VII, 292, 209.

² იქვე, 298.

³ იქვე, 291.

არც დორჩენილა ილია ჭავჭავაძის ყურადღების გარეშე. იქ, სადაც ის ეხებოდა აღზრდის მიზნებს, სკოლის როლს, საზოგადოების ზეგავლენას ბავშვის აღზრდაზე და სხვა სასწავლო-პედაგოგიურ საკითხებს, — ყველგან აყენებდა მასწავლებლის საკითხს და აშუქებდა მის როლს ბავშვის აღზრდისა და სწავლა-განათლების მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად სთვლიდა მის ფართო განათლებას როგორც თავის სპეციალურ, ისე სპეციალურის მოსაზღვრე დისციპლინებში, შემდეგ — ღრმა დიდაქტიკურ განათლებას ანუ, როგორც ის აღნიშნავდა, „სასწავლო მეთოდების“ ზედმიწევნით ცოდნას, ბავშვის უსაზღვრო სიყვარულს, მასზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მისი ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლის უნარს, საზოგადოებრივი მუშაობით გატაცებას განსაკუთრებით გლახთა შორის, ბავშვის მშობლებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, პასუხისმგებლობის გრძნობას დაკისრებული მოვალეობისადმი და სხვა ისეთ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მასწავლებლისათვის, როგორც ჩვენი მთავალი ის აღმზრდელისათვის.

მასწავლებლის როლსა და ამოცანებზე ყველაზე უფრო ვრცლად ილია შეჩერდა თავის პედაგოგიურ და მხატვრულ-ლიტერატურულ ეტიუდში „უცნაური ამბავი“, რომლის პერსონაჟი სოლომონი, სემინარიაში კურსდამთავრებული, დიდი გატაცებით ლაპარაკობს ბავშვის აღზრდაზე და ცდილობს „წიგნით, ხილვით თუ სმენით“ ყრმის აღზრდა ისწავლოს. ესაა მისი „უდიდესი საქმე“, საოცნებო მიზანი და „ცხოვრების სიზმარი“. პედაგოგიური საქმის სიყვარული მას „სემინარიიდანვე დაყვა“ და მთელი თავისი ჭკუა და გონება ამ საქმისათვის აქვს განზრახული.

პირველი, რითაც პედაგოგი უნდა იწყებდეს თავის მოღვაწეობას, ეს არის მისი მოვალეობის სრული შეგნება. ილია ჭავჭავაძე ბავშვის აღზრდის სირთულის შესახებ, სოლომონის პირით, ლაპარაკობს:

„ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედი“¹.

პედაგოგობა ილიას მიაჩნია მეტად „დიდ პასუხსაგებელ საქმედ“, „მძიმე მოვალეობად“, და ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მეცნიერული სიღრმით აღნიშნავს მასწავლებლის როლს

მოზარდის აღზრდისა და სოციალური ჩამოყალიბების საქმეში. ილიას აფორიზმული დებულება: „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედი“ დიდი პრინციპული პედაგოგიური დებულებაა. ყრმის პირველ შემოქმედად ილია გულისხმობს მშობელს, რომელიც აძლევს ურმას ადრეულ ფიზიკურ აღზრდას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილია ბავშვს, როგორც ადამიანს, სოციალურ არსად, ხოლო მის აღზრდას სოციალურ პროცესად აღიარებს, და ამიტომ, მისი აზრით, „ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნასწავლანი“, რასაც პედაგოგი ანუ აღმზრდელი ახორციელებს, ე. ი. აქცევს ბავშვს სრულყოფილ, განათლებულ ადამიანად. და, მართლაც, მის მეორე შემოქმედად გვევლინება. რამდენადაც ამ მეორე შემოქმედებისათვის აღზრდის პროცესში ილიას „პირველი ადგილი“ აქვს დათმობილი, ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლა-განათლებაში პედაგოგის როლი მას პირველ და უმთავრეს როლად მიაჩნია.

ბავშვის მომავალი მის აღზრდაზეა დამოკიდებული. ეს დებულება ილიას ძირითად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრინციპად მიაჩნია, და რამდენადაც პედაგოგის როლი ბავშვის აღზრდაში პირველი ანუ ძირითადი, იმდენად ბავშვის მომავლის შექმნა ძირითადად პედაგოგზეა დამოკიდებული. ამგვარად, ბავშვის მომავლის შექმნა პედაგოგის უმთავრესი დანიშნულებაა.

ბავშვის აღზრდის სიმძიმეს ილია ხედავს, უპირველეს ყოვლისა, მისი უესწავლის სიძნელეში. ბავშვის აღზრდა მისი შესწავლითა და აღზრდის მიზნების ცოდნით იწყება, და, მართლაც აღზრდა აღსაზრდელის შესწავლით უნდა დაიწყოს. მაგრამ რატომ არის ძნელი ბავშვის შესწავლა? ილია უპასუხებს:

„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხი ქარაგმით არის დაწერილი, თუ ესე ითქმის, და არა სხვილი და სრული ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი“¹.

პედაგოგის მეორე დანიშნულებას წარმოადგენს გამოარკვევის ბავშვის ეს „საიდუმლოთა საიდუმლო“, ამოხსნას „ქარაგმით დაწერილი“ მისი შინაგანი სულიერი ვითარება, გრძნობა, აზრი, ნებდს-ყოფა, ინტერესი, მეტყველება და სხვ. ამისათვის ილიას საპიროდ მიაჩნია ჯერ ფართო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული განათლება, შემდეგ კი ბავ-

¹ III, 280.

შვის უსაზღვრო და გულწრფელი სიყვარული, მასთან, მშობლიური დაახლოება და მეგობრობა.

„თუ წრთენა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ“, აცხადებს ილია, და ეს ურთიერთ სიყვარული მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აღზრდის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ასე მიუდგა სოლომონი აღზრდის ობიექტს და „ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი“.

ბავშვს მოეწონა მასწავლებელი, მასწავლებელს ბავშვი, და „ძნელი დასაწყისი სწავლა-წვრთნისა ერთ დღეს მომიხერხდა: მე და ბავშვი დავმეგობრდით, ბეწვის ხიდი გავიარე“¹, — ამბობს სოლომონი.

საუცხოო მხატვრული შედარებაა; ბავშვთან დამეგობრება უქველად ბეწვის ხიდზე გავლაა. მართლაც, თუ ბავშვთან დამეგობრება მისი აღზრდის აუცილებელი პირობაა, და ამასთან მეგობრობის დამყარება ან დაუშვარებლობა კი სწვევებს საკითხს აღმზრდელად ვარგისობის ან უვარგისობის შესახებ — მაშინ უდავოა, რომ ბავშვთან დამეგობრობის ცდა იმდენად საფრთხილოა, რამდენადაც მისი დამყარებით მასწავლებლად ხდები და ბავშვის მომავალს ქმნი, ხოლო მის დაუშვარებლად კი ისპობა შენი პედაგოგობა, ისე როგორც ბეწვის ხიდზე გავლით სიცოცხლეს ინარჩუნებ, ხოლო მისი გაწვევით საეხებით ისპობი. ამიტომ, ილია ქავექავაძე ზემოთ მოყვანილი ლაკონიური ფრაზით ძალიან სხარტად და მკაფიოდ სწვევებს დიდ პედაგოგიურ პრობლემას, — ბავშვთან დამეგობრების აუცილებლობას მისი რაციონალური აღზრდის მიზნით.

რამდენადაც პედაგოგი ბავშვის აღზრდის მთავარი შემოქმედი ძალაა, იმდენად მის დამსახურებას მიეწერება ბავშვის კარგი მომავალი ანუ კარგად აღზრდილი ბავშვი, და ვერ ასცდება პასუხისმგებლობას ბავშვის ცუდი მომავლისათვის ანუ ცუდად აღზრდილი ბავშვისათვის. საქართველოს ცნობილი პედაგოგის ნ. ზ. ცხვრედაძის აღნიშნულ სახალწლო მიგებებაში ილია ქავექავაძეს „ბრძნობილი პედაგოგის“ პრინციპად მიაჩნია მასწავლებლის სასტიკი პასუხისმგებლობა ცუდად აღზრდილი ყრმის მიმართ:

„სწავლას ნურას დააბრალებთ, თუ ვერ იქმნა შეილი წვრთვნილი, ცემა გმართებს აღმზრდელისა რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი“.

გადაჭარბებულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ცუდი პედაგოგის ასეთი გაკიცხვა. ეს კიდევ უფრო აღიდებს პედაგოგის პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდის მიმართ და ავალებს გამუდმებით იზრუნოს საკუთარი თავის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სასკოლო აღზრდა-განათლების დარგში ილია ჭავჭავაძე პედაგოგის როლს საზღვრავს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ფუნქციით. პედაგოგის საგანმანათლებლო ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან უზრუნველყოს მოსწავლის აღქურვა მეცნიერული განათლებით, ცოდნის იმ მარაგის მიცემით, რომლის შედეგადაც მოსწავლე ადვილად შესძლებს შემდგომ განვითარებას თვითგანათლების გზით. პედაგოგის აღმზრდელი ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მოსწავლის ზნეობრივი სიმტკიცე, ადამიანობა და ჰუმანური გრძნობების შემუშავება, პიროვნების ღირსების დაცვა და პატივისცემა, ზრდილობა, მორიდება, თავმდაბლობა და სხვ. აღმზრდელი ფუნქციის ხაზით ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ აღზრდას და მასწავლებლისადმი მიბაძვა მას ამ მხრივ გადამწყვეტად მიაჩნია. ლაპარაკობს რა მოსწავლეთა ზნე-ხასიათის წარმატებაზე, ილია წერს, „ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულება, ყოფა-ქცევა, მაგალითი, სიფრთხილე-წინდახედულება“. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ძალაა მასწავლებლის (ოსტატის) მაგალითი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, ილიას მოაქვს შემდეგი ამონაწერი ერთი ავტორიდან (რომელსაც ილია არ ასახელებს). ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც პირველად შევიდა სკოლაში:

„გასაკვეთის ასნის დროს დასკირდა კლასის დაფაზე წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშეკეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა მხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააქდა დაღვილი ქალაღი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითომ-და საყურადღებო არა მოხდა რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვნებოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინდისსა... იქნება თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვლდე. ჭერ გამოცანით, გამოძადეთ და მერე გამოკითხეთ... მე არ შინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავეის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ — იქნება გულში მისი ჭავრი ჩავიყოლო და ჭავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევიოს“.

როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს „ნება მომეცით მე მოვიტხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები-გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“.¹

თავის მხრივ ილია ქავჭავაძე მასწავლებლის აღნიშნულ საქციელს შემდეგ სამართლიან შენიშვნას უკეთებს: „ერთი ასეთი ქვეყნიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გააღამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისათუ სხვა რისამე ამისთანისა“¹.

ილია განსაკუთრებით ჩერდება სოფლის მასწავლებლებზე. მათ, ილიას აზრით, ბავშვების აღზრდა-განათლებისა და სკოლის პატრონობის გარდა, ევალებათ სოფლის ღარიბთა შორის კულტურული მუშაობის წარმოება: წერა-კითხვის გავრცელება, პოპულარული საუბრებისა და ლექციების მოწყობა მეურნეობისა და კულტურის თემებზე, ბრძოლა ძველი და უარყოფითი ხალხური ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ, ბრძოლა ცრუ-მორწმუნეობასთან და სხვ. ასეთ მისიას სოფლის მასწავლებელი ასრულებს „ბევრჯერ მშინური, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს გაულახველად“²... ასეთ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს მასწავლებლებს ძველ დროში. ილიას დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია მათი ასეთი მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ყოველთვის იბრძოდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. კერძოდ, ის მოითხოვდა, რომ თვით საზოგადოება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დახმარებოდნენ მასწავლებლებს. ილია აღნიშნავს, რომ მის დროს სოფელში მასწავლებლობა დიდ მსხვერპლსა და თავგანწირვას მოითხოვდა:

„კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოველად უნუგეშო მდგომარეობა სოფლის მასწავლებლისა, — წერდა ილია 1886 წელს, — დააკვირდეს მის დაუღალავ ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზე არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული“³.

მიუხედავად ილია ქავჭავაძის ენერგიული ბრძოლისა სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რევოლუციამდელ რუსეთის მთავრობას მათი ბედი ნაკლებად აინტერესებდა. სახალხო მასწავლებელი რჩებოდა ეკონომიურად ლატაკი და პოლიტიკურად უფლებაყრილი.

¹ VIII, 321.

² იქვე, 321.

³ VII, 234.

ჩვენ ვნახეთ ძველი სკოლის დაუნდობელი კრიტიკა ილიას მიერ და მასთან ძველი მასწავლებლისაც. ძველი საზოგადოების წარმომადგენელი, როგორც ძველი გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები, უეჭველია, ძველი მასწავლებლის „შემიკმედების“ პროდუქტებიც არიან. ილია გვიხატავს რუსეთის ბიუროკრატიული სკოლის „ჩინონიკ“ მასწავლებელთა ცოცხალ სერიას: სწავლების დოგმატიკებს, „მასწავლებლებს“, რომლებიც ამახინჯებენ ბავშვის სულსა და ხორცს, რომლებსაც არა აქვთ ჯეროვანი განათლება, არ იციან სწავლების მეთოდები, მოწყვეტილი არიან საზოგადოების პროგრესულ ძალებს, ბრმად ემორჩილებიან მონარქიული რეჟიმის საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა პოლიტიკას. სდევნიან პატარა ერების კულტურას და ენას, სთიშავენ სკოლას ოჯახისაგან, მისდევენ მასწავლელთა ცემა-ტყეპას, გინებას, შეურაცხყოფას.

ძველი, უდიერი და უმეცარი მასწავლებლის სახის ჩვენებით არ დაკმაყოფილდა ილია ქავეკავაძე. მისი გამანადგურებელი კრიტიკის პარალელურად ილიამ მოგვცა, თუმცა დაუსრულებელი, მაგრამ მაინც გარკვეული სახე ახალი მასწავლებლისა. ესაა სოლომონი — „უცნაური ამბავის“ მთავარი მოქმედი ფიგურა, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ. ილიას მიხედვით, მასწავლებლის იდეალი, როგორც ვნახეთ, იყო ყოველმხრივ განვითარებული სახალხო მოღვაწე, მაღალი პედაგოგიური განათლების მქონე, ბავშვის კარგად მცოდნე და მოყვარული, თავის საქმეზე პასუხისმგებელი, შატერიალურად უზრუნველყოფილი და პოლიტიკურად უფლებამოსილი.

*
* *

სწავლების ზოგად პრინციპულ საფუძვლებსა და მეთოდურ საკითხებს ილია ქავეკავაძე ეხებოდა უფრო სპორადულად, ვიდრე სისტემატურად. თავისი დიდაქტიკური მოსაზრებანი მას გამოთქმული აქვს აღზრდა-განათლების საერთო საკითხებთან დაკავშირებით და უმთავრესად პოლემიკურ ფორმებში. დიდაქტიკური და მეთოდური პრობლემები ილია ქავეკავაძეს სპეციალურად არ დაუმუშავებია. მაგრამ მის პედაგოგიურ თხზულებებში ჩვენ გვხვდება შემდეგი ხასიათის მოსაზრებანი: აღზრდის მიზნებისა და სწავლების ამოცანების ერთიანობა, მეცნიერულ დისციპლინათა სწავლების მეთოდების დაკავშირება ბავშვის ასაკთან და მისი განვითარების დონესთან, მეთოდების სხვადასხვაობა შესასწავლი დისციპლინის სპეციფიკურობის მიხედვით, თვალსაჩინოებამს წაშყვანი მნიშვნელობა სწავლების

პროცესში, მოსწავლის აქტივობის, ინიციატივისა და თვითმოქმედების უზრუნველყოფა სწავლების დროს, სწავლებისა და პრაქტიკული შრომის კავშირი.

სწავლების კოლექტიური ფორმების გამოყენების დროს ილია არ იეიწყებს ბავშვის ინდივიდურ თვისებათა გათვალისწინების აუცილებლობას. რამდენადაც სასკოლო ჯგუფის ბავშვებს ბევრი რამ საერთო აქვთ თავისი ასაკობრივი მდგომარეობით, ცოდნის მარაგით, ყოფა-ქცევით, ზნე-ხასიათით, — იმდენად საჭიროა და აუცილებელი მათი კოლექტიური სწავლება საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზნით, მაგრამ ამავე დროს, რამდენადაც ბავშვთა ჯგუფში არ შეიძლება ყველას ჰქონდეს ზუსტად ერთგვარი ასაკი, ცოდნის ერთგვარი მარაგი, ერთნაირი ოჯახური წრის ზეგავლენა, ერთი და იგივე ყოფა-ქცევა და ზნე-ხასიათი, იმდენად საჭიროა და აუცილებელი მათი სწავლა-განათლება დიფერენცირებულ იქნეს ცალკეულ ბავშვთა ინდივიდურ თვისებათა მიხედვით; ამას გარდა, ილია ქვეყნავე ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და სპეციფიკური ზეგავლენის საჭიროებას ასაბუთებს აგრეთვე იმ განსხვავებულ წარმატებისა და სწავლის ტემპის მიხედვით, რომელსაც შეუძლია იჩენდეს ერთი ბავშვი მეორესთან შედარებით.

ილია ქვეყნავე არ ყოფილა ინდივიდუალური აღზრდის მომხრე. ის ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და მასზე ინდივიდუალურ ზეგავლენას მოითხოვდა საზოგადოებრივი აღზრდის მიზნით და ამიტომ ეს ინდივიდუალური მიდგომა და ზეგავლენა მხოლოდ აღზრდის ფორმად ან მეთოდად მიაჩნდა. პატარა პატიკოს ცალკე ზრდის მისი მასწავლებელი სოლომონი („უცნაური ამბავი“), ისე როგორც გაბრო სხვა შეგირდებიდან ცალკე გამოჰყო მისმა მასწავლებელმა მღვდელმა, ვინაიდან გაბრო სწავლის პროცესში შევარდენივით ჩქარი იყო, მეტს მუშაობდა, მეტ წარმატებას იჩენდა და მეტის გაკეთებაც შეეძლო („გლახის ნამბობი“), მაგრამ ორივე შემთხვევაში ამ ცალკე ინდივიდუალურ მიდგომას და სწავლების ფორმას საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზანი უძევს საფუძვლად.

სასკოლო განათლების დარგში გადამწყვეტ მნიშვნელობას ილია აკუთვნებდა სასწავლო გეგმებს და პროგრამებს. სასწავლო გეგმები საზღვრავენ იმ დისციპლინებს, რომლებიც მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ თავისი მეცნიერული განვითარებისათვის, ხოლო პროგრამები კი არკვევენ ამ დისციპლინათა შინაარსს და მოცულობას სათანადო სასკოლო კლასის ბავშვთათვის. ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდობის მეცნიერული განათლების ძირითადი ორგა-

ნო არის სკოლა, ხოლო მათი მეცნიერული განათლება დამოკიდებულია დისციპლინების შესწავლაზე, დისციპლინების შინაარსს კი პროგრამები განსაზღვრავენ. აქედან ნათელია სასკოლო პროგრამების განუზომელო მნიშვნელობა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში.

ილია ქავქავაძე სწორედ ასე აყენებს საკითხს. სკოლას მხოლოდ იმდენად შეუძლია მოუტანოს ხალხს სიკეთე, რამდენადაც მას მეცნიერულად გამართული პროგრამები მოეპოვება ყველა დისციპლინაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა ვნების მეტს არაფერს მოიტანს; ილია წერს:

„სკოლა, სასწავლებელი, ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც, ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სასწავლებისა“¹.

სასწავლო პროგრამები, ილიას აზრით, მეცნიერული დისციპლინის შინაარსისა და მოცულობის გარკვევის გარდა, უნდა აკმაყოფილებდნენ პედაგოგიკურ მოთხოვნილებებს, უნდა შეეფერებოდნენ ბავშვის განათლების დონეს და შესაძლებლობას, უნდა ითვალისწინებდნენ იმ ადგილობრივ საზოგადოებრივ და სასკოლო პირობებს, რომლებშიც ბავშვს უხდება სასწავლო მუშაობა. უამისოდ პროგრამა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას და სასწავლებელი კი თავის მიზანს. სასწავლებლებში მოწაჟეთა რიცხვის შემცირების ერთ მთავარ მიზეზად ილიას მიაჩნია სწორედ პროგრამების უვარგისობა, „უთაებოლობა და უმსგავსოება“.

„იმიტომ, რომ ის პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას, და არც ბავშვის ძალღონეზედ არის დეტუქნებული“².

ილია ქავქავაძე ხშირად მიმართავს კომენსკის და პეტალოციის თავის პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის და მშვენიერად იყენებს მათ. ილიას „პედაგოგიის ძირეულ კანონად“ მიაჩნია შემდეგი დიდაქტიკური დებულება:

„ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, მორეული მახლობლით, უცნობი ცნობილით“³.

ამ დებულებებს ილია განსაკუთრებით იყენებს დაწყებით სკოლებში ქართული ენის უფლების დაცვისა და რუსული ენის სწავლების უფროს კლასებში (მე-3—4) გადატანის დასაბუთების დროს.

¹ VI, 156.

² იქვე, 145.

³ VII, 224.

ახალის შესწავლა ძველის შემწეობით მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე შეიძლება, შორეული და უცნობი ახლობლად და ცნობილად მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით შეიძლება გადაიქცეს. რუსული ენის შესწავლა უნდა დაიწყოს, ილიას აზრით, მხოლოდ მაშინ, როცა მას, როგორც ახალს, გამაგრებული ექნება ძველი საფუძველი, ე. ი. მშობლიური ენა; ის გადაიქცევა მახლობლად და ცნობილად იმავე მშობლიური ენის შემწეობით. სხვა საგნების სწავლების დროსაც, რასაკვირველია, იგივე დებულებები უნდა იქნან გამოყენებული. ილიას ჭეშმარიტ პედაგოგიურ პრინციპად მიაჩნია, მისივე თქმით, პედაგოგიაში „გამოჩენილი და განთქმული კაცის“ პესტალოცის შემდეგი დებულება:

„ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ გაავარჯიშებულან იმაზედ ვარჯიშითა, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანიაო“¹.

აღსანიშნავია, რომ ქართული სალიტერატურო ენის და მართლწერის გარდაქმნის აუცილებლობას ილია ასაბუთებდა არა მარტო ენის განვითარების ინტერესებით, არამედ მათი ადვილად სწავლების თვალსაზრისითაც. ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ანბანიდან ძველი ასოების (ჟ, ც, კ, ჯ, ზ, ჭ) ამოგდებისათვის ილიას იმიტომაც მიაჩნდა საჭიროდ, რომ:

„ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გეჟადვილებდა წერას“².

სწავლის მეთოდებზე წერისა და ლაპარაკის დროს ილიას ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა მათი კავშირი საგნის შესწავლის მიზნებთან და სწავლებისა და სწავლის პირობებთან. მეთოდი, მისი აზრით, ბავშვს უნდა აძლევდეს თვალსაჩინო წარმოდგენას შესასწავლ თემაზე, ის უნდა იწვევდეს მოწაფის აქტივობას და თვითმოქმედებას. აღორძინების ხანის პედაგოგიკის მიმოხილვის დროს („პედაგოგიის საფუძვლები“) და სხვა არა სპეციალურ-პედაგოგიურ წერილებში ილია მკვეთრად იბრძვის ძველი ფორმალისტურ-დოგმატური და ზეპირსიტყვიერი მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვს სწავლების ისეთი მეთოდების დაშვიდრებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების მიერ მეცნიერებათა ნორმალურად შესწავლას, წიგნისა და ცხოვრების მტკიცე კავშირის დამყარებას, მოსწავლეთა აქტივობასა და თვითმოქმედებას.

¹ VII, 217.

² IV, 45.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეების მეცნიერული შესწავლა და მწყობრი დალაგება მეტად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს როგორც ქართული პედაგოგიკის ისტორიის შენების მიზნით, ისე თვით ილიას ყოველმხრივ შესწავლისა და ღირსეული დაფასების თვალსაზრისით. ამასთან, ილიას მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ბევრი „რაციონალური მარცვალი“ მოიპოვება, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს ჩვენი თანამედროვე, საბჭოთა სკოლა.

ლიტერატურა: ი. ჭავჭავაძე. პედაგოგიური თხზულებები, კრებული, 1938: ი. ვ. გ. მ. ე. ლ. ა. უ. რ. ი., „პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში“, ვ. „განათლება“. 1903, № 1; გ. თ. ა. ვ. ბ. ი. შ. ე. ლ. ი., სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, გვ. 475—56), 1945; შ. კ. ე. ე. ლ. ი. ა., ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობა და მისი ნაწარმოებთა სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1946 წ.



საკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი

(1840—1915)

ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის მწერლის სიდიადე პირველ-ყოველისა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ახლო დგას იგი ხალხთან, რამდენად ღრმად განიცდის ხალხის სიხარულსა და მწუხარებას. უკუდავი მწერლის სახელს ის იმსახურებს, ვინც თავის მაღალ პოეტურ ნიჭს ხალხის ინტერესებს ახმარს, ხალხს ესარჩლება, ჰგმობს და ჰკიცხავს უსამართლობასა და ძალმომრეობას; არ მალავს ცუდს და მას უპირისპირებს კარგს, თავისუფლებას უმღერის, მოწინავე, პროგრესულ აზრებს ქადაგებს.

ჰგმობს და ებრძვის რა წარმავალსა და დრომოკმულს, უმღერის და იზედით შესცქერის რა მოწინავესა და მომავალს, ყოველი დიდი მწერალი ხალხის დიდი აღმზრდელიც არის. ეს უკლებლივ ითქმის აკაკის შესახებაც. როგორც დიდი მწერალი აკაკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხალხის ცოცხალი მასწავლებელი, ცოცხალი მოძღვარი იყო.

აკაკის შემოქმედებას მეორე სპეციფიკური მხარე აქვს. აკაკი იყო დიდი საბავშვო მწერალი. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ რევოლუციამდელი მწერლებიდან საბავშვო ლიტერატურის ხაზით არც ერთ მწერალს. არ გაუკეთებია აკაკის ოდენი საქმე. ბავშვებისათვის აქტუალურ თემებზე აკაკის მიერ შექმნილ საუკეთესო ლექსებს, იგავ-არაკებს, ზღაპრებს, პოემებს დიდი ინტერესითა და სიხარულით კითხულობდნენ თავის დროზე ბავშვებიცა და მოზრდილებიც. ასეთი ნაწარმოებების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ ერთი და ორი ტომი ვერ დაიტევს. აქაც აკაკი გვევლინება, როგორც დიდი აღმზრდელი, მასწავლებელი.

მაგრამ აკაკიმ დაუფასებელი ამაგი დასდო ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს არა მარტო როგორც ბუმბერაზმა პოეტმა და ბელეტრისტმა, როგორც დიდმა საბავშვო მწერალმა, არამედ როგორც აღმზრდელმაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც. მართალია აკაკი პროფესიონალი პედაგოგი არ ყოფილა, მაგრამ იგი ილია ქავკავაძისთან ერთად უშუალოდ სწავლობდა აღზრდის პრობლემებს, ორგანულად იყო დაინტერესებული ამ საქმით, რადგან მის ქვეყანას, ქართველ ხალხს ეს სჭარბებოდა. სამოციანი წლებიდან სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე აკაკი ჩვენი ქვეყნის პედაგოგიური მოძრაობის ცენტრში იდგა. ეხებოდა საკითხი დედაენის უფლებებს, აღზრდა-განათლების შინაარსს, ქალთა განათლებას, მასწავლებლის მომზადებას და ღირსებას, სკოლაში გამეფებულ სიმახინჯეს, მეფის მოხელეთა თავგასულობას, ბავშვის ბუნების ცოდნას, აღზრდის წესებსა და მეთოდებს, თუ ერთის შეხედვით რომელიმე წვრილმან, კერძო, მაგრამ აღზრდისათვის არსებითად დიდი მნიშვნელობის მოვლენას, აკაკი მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა საქმეში აქტიურად ჩარეულიყო, გაბედულად ეთქვა თავისი სიტყვა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ გადაეწყვიტა საკითხი.

არც ერთ ქართველ მწერალს აკაკის თაობიდან, ი. გოგებაშვილის გამოკლებით, რომელიც უშუალოდ განათლების ფრონტს ემსახურებოდა, იმდენი არ დაუწერია აღზრდისა და განათლების საკითხების გარშემო, რამდენიც აკაკის. აკაკის შეხედულებანი მოზარდი თაობის აღზრდისა, განათლებისა და სწავლების შესახებ ჩართულია მის მრავალრიცხოვან ლირიკულსა და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ჟანრის ლექსებში, პოემებში, მოთხრობებში, ზღაპრებში, მემუარულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ წერილებში, სიტყვებში, ბევრი რამ კიდევ შემონახულია აკაკის შესახებ არსებულ სანდო მოგონებებში. მაგრამ, ამასთან, აკაკი არის ავტორი რამდენიმე ისეთი მოთხრობისა, ლექსისა, პოემისა და წერილისა, რომელთა ძირითად ამოცანას აღზრდის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, პოემა „გამზრდელი“. მოთხრობა „პატარა ტარიელი“, „მტირალი დედა“ და მრავალი ლექსი, გაზ. „დროებაში“ „ცხელ-ცხელი“ და „შავ-შავი“ ამბების სათაურით მოთავსებული რამდენიმე ფელეტონი, „ივერია“-სა, „თემში“ და სხვა გაზეთებში მოთავსებული ფელეტონები და ა.შ.

ისე როგორც აკაკის მთელი შემოქმედება, მისი პედაგოგიკაც ოპტიმისტური და მებრძოლი ხასიათისაა, მომავლის რწმენაზეა დამყარებული, ქმედითია და ბრძოლისათვის რაზმავს ხალხს.

აკაკის ღრმად სწამდა, რომ ახალგაზრდობა იხსნიდა ჩვენ ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისა და მონობისაგან, იგი იძიებდა შურს მტარვალეებზე და შეასრულებდა ქვეყნის წინაშე თავის ვალს: ხალხს მონობის მძიმე ბოროტობის მოხსნიდა, წყლულს მოუშუშებდა, ქვეყნად „ძმობას“, „ერთობას“ და „თავისუფლებას“ დაამყარებდა. ეს იმედი, ეს რწმენა ახალგაზრდობისადმი გასაოცარი ძალით არის შთაბეჭდილი 1905 წლის რევოლუციაში ახალგაზრდობის მონაწილეობისადმი მიძღვნილ ლექსში „თქვენი ქირიმე“:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..	ახლა-კი თქვენი ჯერია,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!	დაჰბარეთ თქვენი ქირიმე!
ახალგაზრდებო, აწ-კი თქვენ	კუბოს კარამდე მისული
გამოდით, თქვენი ქირიმე...	რალა ვარ განაწირი მე?
ბევრი ვეცადე, ძირმწარეს	მაგრამ თან თქვენი იმედი
ვერ გავუთხარე ძირი მე.	მიმყვება თქვენი ქირიმე“.

ახალგაზრდობის იმედი აკაკიმ მართლაც კუბოს კარამდე მიიტანა და ანდერძად დატოვა: სიკვდილის შემდეგაც მისი საფლავი ხშირად შეემკო ცოცხალი ჟივილ-ხივილით „მოზარდულ“ ახალგაზრდობას. ლექსში „ანდერძი“ პოეტს სურს უბრალოდ გაისვენონ, ყოველგვარი ცერემონიისა, სიტყვებისა და გვირგვინების გარეშე, მარტო დამარხონ ბაღში, რომ ზაფხულმა მწვანით შემოსოს და ზამთარი თოვლს აყრიდეს, დღე მზე სტყორცნიდეს სხივებს მის საფლავს და ღამე მთვარე დაქათქათებდეს, დილით შაში უსტვენდეს ზევსურს და საღამოს ვარდის ჩიტუნა, ბულბული ჩასკვნით ჩაჰკვნესდეს ნანას, რომ ამ მუსიკას სიკვდილიც უგდებდეს ყურს. და ამის გვირგვინად კი აკაკი შემდეგს ნატრობს:

„და ამდენ ნატვრის გვირგვინად
ერთსაც დაესახავ სხვა რამეს:
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,
ორივეს სოფლის სიამეს...
ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე-დღე ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას...
იქ თამიშობდეს, ცელქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს...
თავისებურად დამღერდეს
ძველებურ მრავალქამიერს.“

ასეთი სიყვარულით, გულის-ძგერით და იმედიტ შეტყურებდა აკაკი ბავშვებს, „მოზარდულ“ თაობას.

აკაკი თითქოს წარმოუდგენელია ახალგაზრდების გარეშე და მისი სიყვარული ბავშვებისა და მოზარდებისადმი საყოველთაოდ არის ცნობილი. მაგრამ ეს სიყვარული გვარის გაგრძელების ბიოლოგიურ ინსტინქტებზე დამყარებული ჩვეულებრივი ნამაშვილური სიყვარული როდი იყო. აკაკი ბავშვებს, მოზარდებს „სიყვილ-სიცოცხლის“ კავშირად თვლიდა, ახალგაზრდობა აკაკისათვის მომავლის სარკე, მომავლის იმედი იყო და ამიტომაც მგოსნის ეს სიყვარული იყო დიდბუნებოვანი, ბედნიერი მომავლის რწმენით განათებული და ღრმად იდეური. ამიტომაც იყო, რომ აკაკი წერეთელმა დაუფასებელი ამაგი დასდო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

*

დედაენისათვის ბრძოლას თვითმპყრობელობის პირობებში უაღრესად დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლის მიზანი იყო დედაენის სრულად აღდგენა თავის უკლებებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში, მისი შემდგომი განვითარება და განმტკიცება. დედაენისათვის ბრძოლის ერთ ცენტრალურ უბანს სკოლა წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძესთან ერთად დედაენის აღდგენისათვის ბრძოლაში საერთოდ, და, კერძოდ სწავლების საქმეში სკოლაში, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვას აკაკი წერეთელსაც.

სკოლაში დედაენის უფლებისათვის ბრძოლა, დედაენის უშუალო მოამაგეობა ისტორიამ ი. გოგებაშვილს დააკისრა. ხალხის გამარჯვებისა და ბედნიერი მომავლის რწმენა, დიდი საერთო და სპეციალური პედაგოგიური განათლება აძლევდა ი. გოგებაშვილს დაუშრეტელ ძალასა და ღონეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულ გუშაგად სდგმოდა დედაენას სკოლაში და მისი განვითარებისათვის განსაკუთრებული კვალი დაეჩნია. მაგრამ მას დამოუკიდებლად ამ როლის შესრულება, რასაკვირველია, არ შეეძლო. ამ საქმეში იაკობს მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში იდეურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდნენ ილია და აკაკი. მაგრამ ისინი მართა ამით არ კმაყოფილდებოდნენ, აღზრდის საქმეში დედაენის დაფუძნებისათვის ბრძოლაში ილია და აკაკი აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობდნენ. ყოველ რთულ მომენტში, როცა სკოლაში ისედაც შევიწროებულ დედაენას კიდევ მეტს დაუპირებდნენ, ილიასა და აკაკის ხმა მძლავრი პროტესტის სახით გაისმოდა.

სამოციანი წლების იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც დედაენის ფსიქოლოგიურ ბუნებას მიაქციეს ყურადღება, აკაკი ერთი პირველთაგანია.

1872 წ. დაწერილ თავის ერთ პატარა მოთხრობაში — „საუბარი ორთა შუა“ აკაკი დედაენის ფსიქოლოგიურ ბუნებას შემდეგი სახით გვისაბუთებს. დედაენა ადამიანებს ბავშვობიდანვე მოჰყვება თან, შესისხლბორცებულია მათთან ძალდაუტანებლად, უცხო ენა კი მესხიერების საშუალებით იღვამს ფესვს ადამიანის გონებაში. მეგზური გლების შეკითხვაზე, თუ რატომ ხდება, რომ, როცა გულით გინდა თქვა რაიმე, დედაენას მიმართავო, აკაკი პასუხობს: სხვისი სიტყვა დაქერილი გყავს, დამწყვედელი თავში, ისე როგორც ჩიტი გალიაში, გამოთქმის დროს ჯერ უნდა გაიხსენო, მერე გამოიღო თავიდან და ისე სთქვა. შენი სიტყვა კი შენი თანშობილია, ისე გაუჭირვებლად გამოდის გულიდანო. ენის ბუნების ფსიქოლოგიური დასაბუთება, რაც რუსეთში ბრწყინვალედ განახორციელა კ. უშინსკიმ, სამოცდაათიანი წლებიდან ფართოდ იყო გამოყენებული ჩვენი ინტელიგენციის მიერ მეფის რუსეთის გამარჯვებელი სასკოლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში აკაკი გაზ. „დროების“ ფურცლებზე მოთავსებულ ლექსებსა და ფელეტონებში ხშირად ეხება დედაენის სწავლების საკითხს: იბრძვის იმ რუსი მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც დედაენას კარს უბზობენ სკოლებში, სასტიკად ამათრახებს ქართველი ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც ალმაცერად უყურებს დედაენას და მისი შესწავლით თავს არ იტკივებს. 1868 წ. გამოქვეყნებულ ერთ უსათაურო ლექსში ასეთი ახალგაზრდების შემდეგ დახასიათებას ვხვდებით:

„ჯერ ქართულიც არ იცი,
 უცხოს რალას ედები?
 სიარული რომ გიქირს,
 მალლა რალაზე ხტები?“

აკაკი განსაკუთრებული გულისტკივილით მიუთითებდა იმ სამარცხვინო სენზე, რაც ვრცელდებოდა ქართველი ქალების ერთ ნაწილში და უცხოური კულტურით ზედაპირულ გატაცებაში, დედაენის დაუფასებლობასა და უცოდინარობაში გამოიხატებოდა. 1880 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ლექსში ასეთი ქალის სახეს აკაკი შემდეგი სტრიქონებით გვიხატავდა:

„თავმოხდილს, საკუთარ თმებში ამბობდა: „როგორ ვიკადრებ
 სხვებისაც ჰქონდა ჩართული, ქართულად ჩაცმა-ხურვასო“
 სხვა ენით ამიფლურტულდა, ნახევრად იყო ტიტველი..
 ეზარებოდა ქართული. თითქოს აპირებს ცურვასო“.

ქართული სკოლებისა და ქართული ენის სწავლების წინააღმდეგ მეფის მთავრობას თავიდანვე მკაცრი გეზი ჰქონდა აღებული.

გაზეთი „დროება“ 1881 წ. 25 მარტის ნომერში ამის შესახებ შემდეგ სწერდა: „არც ერთი ქართული სკოლა, რაც გინდ პაწაწინტელა იყოს, არ შეიძლება გაიხსნას თუ ამას არ წაუშმღვარეთ წინგრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და თუ ამაზე არ იქნა მიღებული უკანასკნელის ნებართვა, რომლის მიღებას დროზედ ძალიან იშვიათად ელირსებით... რუსული ენა სულ დაბალ ელემენტარულ ქართულს სკოლებშიაც კი სავალდებულო საგნად ითვლება და უსათუოდ პირველ წლიდგანვე უნდა იწყონ მისი შესწავლა, თუ ასე არა, სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა ელის“.

ასე მძიმე მდგომარეობა იყო ოთხმოციან წლებამდე, მაგრამ შემდეგ იგი კიდევ შეტად გაბრუნდა. 1881 წლიდან, მას შემდეგ როცა ალექსანდრე II მოკლეს და რეაქციამ კიდევ ერთი მკაცრი შეტევა განახორციელა დედაენის წინააღმდეგ ჩვენს სკოლებში, აკაკი ილიასთან ერთად სათავეში ჩაუდგა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას დედაენაზე სწავლების უფლებისათვის.

ქართული ენის, დედაენის შემდგომმა შევიწროებამ ოთხმოციანი წლებიდან ერთ-ერთ შედეგად ისიც მოიტანა, რომ სახალხო სკოლებს საკმაო დიდი რაოდენობით ჩამოსცილდა ახალგაზრდობა. გაზეთი „დროება“ ამ მოვლენას შემდეგი მიზეზით ხსნიდა: ჩვენი გლეხი პირიდან ლუკმას ირთმევს, წლებზე ფეხს იდგამს და შეილს სასწავლებელში აგზავნის, მაგრამ სკოლა ბავშვს არაფერს აძლევს. მაშინ როდესაც ბავშვს ჯერ კიდევ ძვალბრძილში არ გაჯდომია დედაენის ცოდნა, ანბანიც არ შეუსწავლია ხეირიანად, აწყებინებენ მეორე ენის შესწავლას. სწავლის ვადა მცირეა და ბავშვი ველარაფერს სწავლობს, მისი ტვინი ირევა და ჩლუნგდება, გლეხს შვილი თითქმის ისევ გაუთლელი მიუდის შინ, როგორც გაგზავნა სკოლაში, ანბანიც ნაგალითებს უჩვენებს ხალხს სკოლა. ეს არის პირველი მიზეზი, რომ ბავშვები სკოლას გაუბრძიანო.

ნდგომარეობის ამგვარი ახსნა, რასაკვირველია, არ აწყობდა მეფის მოხელეებსა და მათ ვეჭილებს. ისინი უკულტურობასა და ველურობას მიაწერდნენ ქართველ ხალხს და ამით „ასაბუთებდნენ“ ბავშვთა განთვისას სკოლებიდან. ქართველი ხალხის ცილისწამებით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ორლოვმა. გაზეთ „კავკაზის“ 1882 წლის 255 ნომერში მან მოათავსა კორესპონდენცია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების შესახებ. ორლოვი სწერდა: ის ფაქტი, რომ რაქისა, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრების მოსახლეობა არ თანაუგრძნობს სკოლებს, არ ცდილობს თავის ბავშვებს ასწავლოს, შეუცდომლად შეიძლება იქნეს ახსნილი სახელდობრ იმით, რომ დასახელე-

ბული მაზრების იმერლები უფრო ველურნი და უვიცინი არიან და ნაკლებად არიან გამსქველულნი სწავლის სარგებლიანობის შეგნებით, ვიდრე სხვა მაზრების მცხოვრებნიო.

ორლოვს რამდენიმე ფელეტონით უპასუხა გაზ. „დროებამ“ (იხ. „დროების“ 1882 წ. 209, 210, 221 ნომრები). პირველი წერილი აკაკის ეკუთვნის. „ჰაი გიდი, — სწერდა აკაკი, — უთქვამს და გაუთავე-ბია რალა... მშვიერი რომ პურს ითხოვდეს და თქვენ კი მხოლოდ ქვას აძლევდეთ და მთხოვარმა არ ჩამოგართვათ, ნუთუ ეს იმისი ხიშანი იქნება, რომ იმას მადა არა აქვს და ქამას ვერ მოახერხებს?... მაშ რაა მიზეზი, რომ თავიანთვე სოფელში გახსნილ სკოლებსაც კი ერიდებიან? ვისი ბრალია? ვისი და ავტორის ნზგავისი პირების, რომელნიც თავის პირდაპირ მოვალეობაზე ხელს იღებენ, გამოდიან საპოლიტიკო ასპარეზზე და თავისი სახედრობა მაკკიაველობა ჰგონიათ... მაგრამ მწყერის ბუღიღამ ხოხობი ვის აუფრენია?

რად უნდა შეიყვანოს სასოფლო სკოლაში გლეხმა შვილი, როდესაც დარწმუნებულია, რომ აქ მის შვილს გონება დაუჩლუნგდება, ზნეობა გაუფუქდება და განაცარქექიანებული ცარიელის „პეტუშოკისა“ და „კოზლიკის“ ძახილით ნახირს დაუფრთხობს?

ნუთუ ესეები არ იცის ბატონმა არლოვმა? იცის, მაგრამ იქ ოხერი ერთი ანდაზა აგონდება: „ბატონმა რომ გიბრძანოს: მუხას ვაშლი ასხია და ვაშლს რკოვო, ან უნდა დაეთანხმო და ან გაუჩუმდევო“. შავასაც იმედი აქვს, რომ გაუჩუმდებიან...“ (გაზ. „დროება“, 1882 წ., № 209).

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა „ჩემი თავგადასავალის“ პირველი ნაწილი. არა გაგონილისა ან ნახულის, არამედ უშუალოდ განცდილის გულწრფელად გადმოცემით უბრალო და ნათელი ენით, აკაკიმ არაჩვეულებრივი სიღრმით დახატა ის მძიმე დრამა, რასაც მოზარდის განვითარებაში აქვს ადგილი, როცა მას წყვეტენ დედაენის მკერდიდან. რად ღირს თუნდაც შემდეგი სტრიქონები: „იპდროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინაც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩნებდნენ ხოლმე და თანაც გრძელ ფიცარს — სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის. გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია. ხელის გულზე, ამგვარად ეს საცოდანობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავეების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ. ვინც რუსული არ იცოდა ახალ შემოსულობის დროს,

ბნის ანოლებას ვერ ბედავდნენ და მუნჯობდნენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყენელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდნენ რომ ერთმანეთი მოეტყუებინათ, გაებრიყვებინათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდნენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე, და ტბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე: ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზანქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. „რა გენაღვლება შენზე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს მეთქი“ — ვებეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიქირა: „მეთუ დამარტყეს, შენ რა კრელი პეპელა ხარო?“

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. დედის კალთას ახლადმოცილებულ ბავშვებს ძალით, ცემით გლეჯდნენ პირიდან დედაენას და ამ ძალადობასაც თვით ბავშვებსვე აკისრებდნენ, დედაენასაც ართმევდნენ და მათ ბუნებასაც რყენიდნენ, ცბიერებასა და ფარისევლობას აჩვევდნენ. ძნელია მოსძებნოთ შესაფერი სიტყვები ეს გახრწნილება რომ გამოხატოთ. როცა აკაკის „ჩემ თავგადასაყალს“ კითხულობთ, თავისთავად ცოცხლდება ხოლმე ცნობიერებაში დიდი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის სიტყვები: თუ ჩვენი სული შეძრწუნდება რომელიმე მომაკვდავი ადამიანის სიკვდილის გამო, რაღა უნდა იგრძნოს მან მაშინ, როდესაც ხელსყოფენ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პიროვნების სიცოცხლეს — დედამიწის ზურგზე ღვთის ქმნილებათაგან ყველაზე უდიდესი ქმნილების სიცოცხლეს — დედაენას?

დედაენის სწავლებისათვის ბრძოლა უდევს სარჩულად აკაკის „ორ სიზმარს“, რომელიც 1905 წელს იქნა გამოქვეყნებული. აქაც დიდი მგოსნის მიერ შემადრწუნებელი სურათებია დახატული. სკოლაში ბავშვებს დედაენას ართმევენ, მას ძალის ენას ეძახიან და თანაც ბავშვებსვე ბოდიშს ახდევინებენ — ქართულად წიგნს არ წავიკითხავთ, ქართულად არ ვილაპარაკებთო. ასეთ სკოლას აკაკი ჯოჯოხეთს აღარებს, ხოლო აღმზრდელ-მასწავლებლებს კერპთმსახურებს, რომელთაც იუდა და კაენი მეთაურობენ. „ორი სიზმარი“ მთავრდება ალეგორიული მნიშვნელობის სიზმრით: „სისხლიანი დანით ხელში ზიარბენინებენ სამსხვერპლოდ განწირულ ახალგაზრდებს ვიღაც გამხეცებულები... როგორ მოგავან ისინი იმ ჩვენ ნოდღერებსა და აღზრდელებს... ეს სამსხვერპლო ბავშვები... ესენიც“

ხომ ჩემი ამხანაგები არიან? რად მიპყავთ ძალით ჯოჯოხეთში? ცუცხლი შეკიდება, აგერ სადაც არის გული შემინწუხდება. მაგრამ დაძვლვა, ყოველი გაანათლა; დაიქუხა და გაეარდა მეხი, მოხვდა ანტიქრისტეს და ისიც თავისი თანამოაზრეებით ჩაეარდა შიწაში“... ამ ელვა-ქუხილის სახით პოეტი 1905 წ. რევოლუციას გულისხმობდა. აკაკი დარწმუნებული იყო, და სავსებით სწორადაც, რომ როგორც ხალხს მონობის ბორკილებიდან, ასევე დედაენას — გადაგვარებიდან საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ რევოლუცია იხსნიდა.

ცხრაასიან წლებში, როცა სამინისტრო სასწავლებლებში და საეკლესიო სკოლებში ფართოდ დაიწყეს ე. წ. „მუნჯური“ მეთოდის დანერგვა, აკაკიმ მძლავრად აიმაღლა ხმა ამ სიმახინჯის წინააღმდეგ. გაზ. „ივერიის“ 1903 წლის 2 სექტემბრის ნომერში აკაკიმ გამოაქვეყნა ფელეტონი. მისი სიუჟეტი რელიგიურ-იგავურ ფონზეა აგებული, მაგრამ „მუნჯური“ მეთოდის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოწოდებას შეიცავს. ფელეტონი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: როგორც პოეტი იმ აზრისა ვარ, რომ მუნჯური მეთოდი ჩვენს სკოლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს ნაყოფს, თუ რომ ჩვენც ჩვენის მხრით... როცა სხვები თითს გვიჩვენებენ, სამ თითს შეგკონავთ ერთად და როცა ხელის გულს გაგვიშლიან, ჩვენც თითებს დავმუქნით და მუშტს ვუჩვენებთ...“

მუნჯური მეთოდის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, ქართული ენის მოძულე, დეკანოზის მანტიაში გახვეული პოლიციის აგენტის ვოსტორგოვის წინააღმდეგ აკაკიმ 1909 წ. შესანიშნავი პასკვილი დასწერა ლექსად: ერთხელ ანგელოზები აუჯანყდნენ ღმერთს და სამოთხე მიატოვეს. გამოირკვა, რომ აჯანყების მიზეზი ბნელეთის მოციქული ვოსტორგოვი იყო, რომელიც თურმე ანგელოზთა გუნდში შეიპარა:

„პოლიციის პასპორტითა
იქ შემოდგრა ერთი სული
და ისეთი დააყენა
უჩვეულო, მყრალი სუნი...“

ვერ გავიგეთ, ის მოსული
მოყვარეა. თუ მტერია?
პასპორტში რომ ჩაუფხედეთ
ვოსტორგოვი უწერია“.

დედაენის სწავლების უფლებებისათვის ბრძოლის დარგში აკაკის მემკვიდრეობიდან ჩვენ აქ მხოლოდ მცირედის შესახებ აღვნიშნეთ. წერილის მოცულობა მეტის საშუალებას არ იძლევა. ბოლოს აუცილებლად ვთვლით ხაზგასმით მიუთითოთ იმის შესახებ, რომ დედაენისა და სამშობლოს სიყვარული აკაკის მაღალბუნებოვნად ესმოდა, მისთვის უცხო იყო შოვინიზმი, აკაკი უმღეროდა ხალხთა ერთობასა და ძმობას. ბევრგან და ბევრგან აქვს აკაკის

გამოთქმული ეს აზრი, მაგრამ ნიმუშად აქ ჩვენ მხოლოდ ერთ სიტყვაზე მივაჩქევთ მკითხველის ყურადღებას.

სიკვდილის წინ ორი წლით ადრე, 1913 წელს, აკაკიმ სიტყვით მიმართა მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტებს; ამ სიტყვაში მან სამშობლოს სიყვარულისა და ერთა თანამშრომლობის შესახებ თავისი კრედიო შემდეგი სახით გამოხატა: „შოვინისტობა, ესე იგი, სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა, თავისი ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწრობა, ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს, ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ველარც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება“ (გაზ. „თემი“, 1913 წ., № 109).

*

* *

აკაკი ადამიანური ღირსებების საზომად ქვეყნის სამსახურს თვლიდა. იგი ხშირად იმეორებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილ სიტყვებს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არაა არგოს“ და ადამიანების დამსახურებას იმით ზომავდა, თუ ვინ რა არგო ქვეყანას, საზოგადოებას.

აკაკის ერთ საბავშვო ზღაპარში — „ვარდი და ეკალი“, თავის პატარა ბიჭუნას ღედა „მარცვალ-მარცვალ, თითო კაკლად“ აძლევს შემდეგ დარიგებას: ყოველი კაცი განსხვავდება პირუტყვებისაგან ზნეობის უზენაესობით, რომელიც უმეტეს ნაწილად სინდისში გამოცხადდება ხოლმე. მაგრამ თუ კაცმა ზნეობითი მხარე დასჩაგრა და სინდისი დაივიწყა, მაშინ ის პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქმნება. როცა სხვადასხვა უბედურობის გამო ხალხის ზნეობა ძირს ეცემა, შვილებმა უნდა უშველონ ხალხს, თავისი პირადობა დასთმონ და სული ჩაუდგან მას. ამგვარ კაცთაგანს ეკუთვნოდა მამაშენი-ცო, — განაგრძობდა ღედა, — ის თავის პირადობასა და კერძო პედნიერებას საზოგადოს სწირავდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „საზოგადო უბედურების დროს კაცი არ უნდა ეძებდეს თავის კერძო ბედნიერებას. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისო.“ .. არ იყო შემთხვევითი, რომ აკაკიმ ეს ზღაპარი სხვა მსგავს მასალებთან ერთად, შეიტანა ბავშვთათვის საკითხავ წიგნაკში „საყმაწვილო ამბები“.

ხალხის სამსახური, თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს და ახალგაზრდობა საამისოდ მზად უნდა იყოს. იწავე „საყმაწვილო

კრებულში“ მეორე საღამოს საუბრად მოთავსებულია ზღაპარი სამი ძმის შესახებ. უმცროს ძმას, რომელიც მზად არის მსხვერპლად მიუტანოს თავისი ბედნიერება ხალხის ინტერესებს, შემდეგნაირად ესმის თავისი მოვალეობა: „ყოველი ქეშმარიტება მსხვერპლსა თხოვლობს, როგორც თესლისათვის წვიმა საჭიროა რომ ნაყოფი გამოიღოს, ისე ზნეობითი თავისუფლებისათვის — მსხვერპლი“. ახალგაზრდობას სახეში თავისი ვინაობა კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდეს, ხალხს სწირავდეს თავს. უამისოდ კეთილი გაზაფხული არ მოვა, საზოგადოებრივი ბედნიერება არ დამყარდება. ასე ესმოდა აკაკის ახალგაზრდობის მოვალეობა, ამას შთააგონებდა იგი პატარა მკითხველებს.

აკაკის ადამიანის იდეალი არ იყო ზოგადი და განყენებული სქემა, მებრძოლი მოქალაქე იყო მისი სარჩული, მისი კონკრეტული შინაარსი. აკაკის მოქალაქის იდეალი სრულ თანხმობაშია რუსული რევოლუციური დემოკრატიის დიდი წარმომადგენლების ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მიერ მებრძოლი მოქალაქისადმი წაყენებულ მაღალ მორალურ მოთხოვნებთან. ქვეყნის სამსახურმა არ იცის წვრილმანისა და სხვილმანის გარჩევა, შავი და პატარა, სხვილმანი და წვრილმანი ორთავე აუცილებელია ხალხის წინსვლისათვის. „თესლი რომ პატარაა, საიდუმლოდ მიწაში იფარება და ნამყოფი კი დიდი და გამოცხადებულია, ნუთუ მითი გგონია, რომ ერთმანეთზე ნაკლები იყვნენ?... ხშირად პატარა ქახრაკი იმაგრებს მთელს მანქანას და ნუთუ მისთვის, რომ ქახრაკი პატარაა, ქახრაკის მუშას წვრილმანი მუშა დაერქვას? მე მინდა ვიყო დღიური მუშა და რასაც დღევანდელი დღე მოითხოვს სამუშაოდ, გინდ წვრილი იყოს, გინდ სხვილი შეძლებისდაგვარად დაუზოგველად ხელსა ვკიდებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქნებოდი პირადობის მიმყოლი და თავმოყვარე“. ასეთ სიტყვებს ათქმევინებს აკაკი თავისი დაუმთავრებელი მოთხრობის „იმერლები“ ახალგაზრდა გმირს (გაზ. „დროება“, 1875 წ., № 129). ჩვენი ახალგაზრდობა ვალდებულია, როდესაც ხალხში ხედავს უსინდისო და მაშასადამე უკანონო საქმეს, ვითარცა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრმა იყვიროს დაუფარავად... შეჩვენებული იყოს ის ახალგაზრდა, რომელიც ხედავს საზოგადოებაში ცუდს, მავენებელ რასმე მოვლინებას და არ ამხილებს უშიშრად და დაუფარავად“. ასე სწერდა აკაკი 1872 წ. გაზ. „დროებაში“ მოთავსებულ ერთ წერილში (იხ. 12 ოქტომბრის ნომერი).

ხალხის სიყვარული, მისთვის თავდადება, მჩაგვრელების სიძულვილი და პირდაპირობა, საკუთარი ინტერესების დამორჩილება

საზოგადო ინტერესებისადმი და უკეთესი მერმისისათვის უშიშრად ბრძოლა, აი, ამას მოითხოვდა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვთან ერთად აკაკი. ასეთი უნდა ყოფილიყო მომავლის გმირი, ასეთი გმირების აღზრდას ემსახურებოდა აკაკი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აზრითა და გულით, სიტყვითა და საქმით. მათზე, ამ გმირებზე ამყარებდა აკაკი იმედებს, მათთვის აქლერებდა თავის ქნარს, მათ უყიოდა აკაკის დაფი და ნალარა. დიდ ილიასთან ერთად აკაკის სწამდა კიდევ, რომ მალე წამოესწრებოდა ხალხს ახალ, მოქალაქეობრივ საფუძველზე დაზრდილი შვილები, სწამდა ღრმად, რომ ისინი მოჰბანდნენ მას წყლულსა და ქვეყანას განაახლებდნენ.

საყმაწვილო წიგნებსა და პუბლიცისტურ ფელეტონებს გარდა მოქალაქე-გმირის იდეალი აკაკიმ თავის მრავალ ლექსში დაგვიხატა. ლექსში — „პოეტის პროგრამა“ ქვეყნისათვის უსარგებლო ადამიანს აკაკი ფუჟ ბარგად თვლიდა და ნამდვილი ადამიანობის კანონად მოყვრისათვის თავდადება და მტრებისადმი სიძულვილი მიიჩნდა. ლექსში „პატარა ამბავი“ აკაკი გონების თვალთ წარმოიდგენდა მომავალს, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმულ ახალგაზრდებს, რომლებიც:

„რომომბენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვთ დიდადა
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზად და ხიდადა“.

აკაკი დაუზოგავედ ამხელდა და ჰგმობდა ადამიანებში ყოველივე იმას, რაც მებრძოლი მოქალაქის იდეალს უპირისპირდებოდა: ჰკიცხავდა ანგარებისადმი მისწრაფებას, გაუმადლოებას, ცრუპატრიოტობას, ლიბერალობას და ნეიტრალობას. აკაკი მკაცრად ესხმოდა თავს იმათ, ვინც ცოდნასა და განათლებას პირადი გამდიდრებისა და ანგარებისათვის იყენებდა. მკაცრად ამათრახებდა ცრუპატრიოტებს, მათ ვინც ბევრს ჰყვიროდა მამულიშვილობის შესახებ, გადაქცეული იყვნენ „მხოლოდ სიტყვად და მხოლოდ ენად“ და ცარიელ სიტყვებს თავის გამოსაჩენად იყენებდნენ. ცრუპატრიოტებზე არანაკლები ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის ლიბერალებსა და ნეიტრალებს, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამოთიშულ ობიექტლებს, რომელთაც არ სურთ, რომ მათზე ვინმე მწყურალი ან გარისხებული იყოს, არც აქვთ არიან, არც იქვთ და შუაში ტრიალებენ. გაუმადლობისა და სიხარბის, გაუტანლობისა და ორპირობის, ეგოიზმისა და მოძმისადმი უყურადღებობის, ცრუ პატრიოტობის, ლიბერალობისა და ნეიტრალობის მკაცრად ძაგებასა და მხილებას

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. იმიტომ ზიმართავდა მას აკაკი ასე დაუზოგავად მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

მალალი მოქალაქეობრივი თვისებების აღზრდა აკაკის დამოუკიდებლად როდი. ჰქონდა წარმოდგენილი. მოზარდის ჩამოყალიბება. მოქალაქედ აკაკის წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც სრულფასოვანი მეცნიერული ცოდნის მტკიცედ შესწავლისა და მალელ-ზნეობრივი ადამიანური თვისებების შემუშავების ერთიანი პროცესი. ეს აზრი დასრულებული სახით არის გამოთქმული გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფელეტონში — „შავ-შავი ამბები“. ჩვენი აწმყო რომ უსაშველოა ამაში იქვი არ უნდა ვიქონიოთო, — სწერს აკაკი, — „მაგრამ იმდენს მაინც ვეცადოთ, რომ მომავლისათვის ვიფიქროთ და იმ ახალთაობას, რომელიც დღეს სახეშიდაც არა გვყავს, ხელი მოვემართოთ და მასალა მაინც კეთილი დაუტეოთ მომზადებული. რა იქნება ეს მასალა? რასაკვირველია განათლება, მაგრამ განათლება ნამდვილი, ქეშმარიტი და არა ისეთი ცრუ, რომელიც ჩვენ მიგვიღია, უმცროსებზედ ამაყოფა, უმფროსების წინ სულმდაბლობა და ტოლებში ფარისევლობა ჩვენი — არის იმ ცრუ გაზრდის მიზეზი“ (გაზ. „დროება“ 1872 წ., № 40).

ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად აკაკის ადამიანის გონების გახსნა, გონებრივი განათლება მიაჩნდა. იგი ღირსეულად აგრძელებდა იმ ტრადიციას, რაც განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შემდეგ შემუშავდა ჩვენს მწერლობაში საერთოდ ცოდნისადმი, სწავლისადმი, სინათლისადმი მძლავრი მისწრაფების სახით. უმცროსი ასაკის ბავშვთათვის საგანგებოდ შედგენილ კრებულში — „გადია“ მოთავსებულ აკაკის ერთ პატარა ლექსში გურამიშვილისებურ მოტივებს ვხვდებით:

„სიბრძნე, ქეუა და გონება
ქვეყნად ედემის ბაღია,
სწავლა და გამოცდილება
ხელსაწყო იარაღია“ და სხვ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „გადიაში“ ცოდნისა და სწავლის მნიშვნელობის შესახებ მოთავსებული გამოცანაც: „არც ისმება, არც იქმება, არც ხელით დასაქერია, თვითონვე აქმევს და ასმევს, კაცისთვის ყველაფერია“.

როცა სწავლის შესახებ ლაპარაკობდა და სწერდა, აკაკის მხედველობაში ჰქონდა არა საერთო ცოდნა, არამედ ისეთი ცოდნა, რაც თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებთან იქნებოდა შეხამებული. ჯერ კიდევ 1859 წელს პეტერბურგს დაწერილ ლექსში „ქართლის სალამი“ ქართლის განახლების, ხსნის ერთ მთავარ პი-

რობად პოეტი ბუნებისა და ტექნიკის საფუძვლიანად შესწავლას ათვლიდა.

„აღსდგე სამშობლო! ბევრი გეძინა!
ვინც კვალში გდევდენ, გაგისწრეს წინა!
შენის ბუნების მექონი, მითხარ,
რამ დაგალონა, რამ შეგაშინა?
აღსდგე მამაცად და გაიმართე,
თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართე!
ცეცხლის გემები, რკინისა გზები
და ტელეგრაფი თამამად მართე!
როგორც შეფერის შენსა ბუნებას,
ისე აძლევდე შრომასა ნებას,
ხარბის თვალითა მიიტაცებდე
და ავრცელებდე მანდ განათლებას“.

განათლებას რეალური შინაარსი უნდა ჰქონდეს, ამ შემთხვევაში იქნება იგი ხალხისათვის გამოსადეგი. თანამედროვე სკოლა რეალურ საწყისებზე არ არის დამყარებული. ამიტომ იგი მოწყვეტილია ცხოვრებასა და ხალხს და თუთიყუშებსა და კაქკაქებს ზრდის. ეს სკოლა განათლების გარეგნული მხარით კმაყოფილდება, განათლების შინაგან სიმდიდრეს უურადლებას არ აქცევს და ამიტომ არის, რომ:

„არიან ჩვენში დღეს სწავლულები,
შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი, დალოცვილები,
როგორც ფუტურო ვერას გვარგებენ“.
(ლექსი „ფუტურო“).

მისი დროის ახალგაზრდობის განათლების იდეალი აკაკიმ დაგვიხატა საყმაწვილო მოთხრობაში „ტარიელი“. — ერთი საუკუნე შეორეს აღარა ჰვავს, დრო სხვადასხვა არის და ამიტომც გმირებიც თავ-თავის შესაფერი ჰყავთ: ადრინდელი, რუსთველის დრო სხვა იყო და ახლანდელი, ჩვენი კიდევ სულ სხვაა, ერთმანეთს იღარ ჰგვანან ფერშეცვლილობით; დღეს სწავლა-მეცნიერებაზეა ყოველიფერი დამოკიდებული, მკლავის ძალი გრძნობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდ-ისრისა — საწერკალამმა. „თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოედანი სასწავლებელია, თქვენ მეცნიერება უნდა დასძლიოთ, მეცნიერება დაიუფლოთ“, მოერიოთ — სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონებები და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში სავარჯიშო-საგმიროდ, რომ თქვენი

ცოდნა ერთმანეთთან ხელიხელჩაქიდებულებმა ხალხის კეთილდღეობას მოახმაროთო. — ასეთ დარიგებას აძლევს მოწინავე მასწავლებელი ამ მოთხრობის პატარა გმირს.

აკაკი აღზრდა-განათლების მხრივ თანაბარ მოთხოვნილებას უყენებდა ვაჟსაცა და ქალსაც, მაგრამ იგი საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალთა აღზრდას უფრო პასუხსაგებ საქმედ თვლიდა და მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. რევოლუციური დემოკრატიის იდეებზე აღზრდილი აკაკი-სათვის ქალი სრულუფლებიანი ტოლი იყო მამაკაცი-მოქალაქისა და იგიც, მისი აზრით, იმგვარ აღზრდას საჭიროებდა, როგორც მამაკაცი. მაგრამ ამასთან აკაკი ქალთა აღზრდის საკითხს მეორე კუთხიდანაც უყურებდა. ქალს — მოქალაქეს, საზოგადოების სრულუფლებიან წევრს, განსაკუთრებული მოვალეობა აქვს დაკისრებული. იგი არის დედა და პირველი აღმზრდელი ბავშვებისა, მასზე, როგორც დედაზე, არის დამოკიდებული როგორ მიმართულებას მისცემს ბავშვის სულს, ბავშვის განვითარებას მკერდის ასაკიდანვე. ძალიან ბევრ ლექსსა და სტატიასი ამუშებებს აკაკი ქალის, როგორც მოქალაქისა და დედის საკითხს. მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ამხელს აკაკი ზედაფენების ქალთა წრეებში გავრცელებულ ფუქსავატობასა და უსაქმურობას, დედაენის უპატივეცემლობას, მოღებით გატაცებას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაზ. „თემში“ მოთავსებულ მრავალ წერილში ეხება აკაკი ქალთა საკითხს. ეროვნულ სარბიელზე დედას, ქალს დღეს ჩვენთვის დიდი ნაყოფი მოაქვს და მის საფუძვლიან განათლებაზე განსაკუთრებულად უნდა ვიზრუნოთ, სწერს აკაკი (გაზ. „თემი“ 1912 წ., № 86).

აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ მთელს იმედებს აკაკი მშრომელი ფენებიდან გამოსულ ქალთა ახალგაზრდობაზე ამყარებდა. 1912 წ. 23 თებერვალს აკაკი ქართველ ქალთა ერთ-ერთი პროფესიული სკოლის მიერ განმართულ დილას დასწრებია და თავის შთაბეჭდილებას შემდეგი სახით უზიარებს საზოგადოებას: „მამინ როდესაც მაღალი წოდების ქალები, მდიდრულად გამოზრდილები, გარეწრები არიან სამშობლოსი, აქ ყველა სწორ გზაზე დგას. მერე ვინ? სულ ღარიბ-ლატაკები, უბრალო მუშებისა და დედ-მამის შვილები... ნუთუ ამათ თავისი მაგალითით უნდა აღბეჭდონ კვალი მომავლის? დიან, სწორედ და მაგალითიც ამას გვიჩვენებს“ (გაზ. „თემი“ 1912 წ., № 112).

ფართო გონებრივ განათლებასთან ერთად აკაკი მეტროპოლი სულისკვეთების მქონე მოქალაქის აღზრდის ძირითად პირობად თვლიდა შრომას, მაგრამ არა ყოველგვარ შრომას, არა კუნთების

ფიზიკური ენერჯის ყოველგვარ ხარჯვას. აკაკი თავისუფალი შრომის მომღერალი იყო. დიდი ილიას მსგავსად აკაკი იბრძოდა შრომის გამომხსნისათვის მძიმე ტვირთიდან, ტანჯვისა და მონობის საშუალებიდან. რასაც შრომა კლასობრივ საზოგადოებაში წარმოადგენდა. იგი აღამიანთა ბედნიერი ცხოვრების პირობად უნდა ქცეულიყო, ეს იყო აკაკის იდეალი. აკაკის მოთხოვნის „მტრული დედა“ პატარა გვირმა დიტომაც კი იცის, რომ „იძულებითი შრომა, აბა, რა არის თუ არა ტანჯვა“ და ასეთი შრომიდან აღამიანის დახსნა მისი გადარჩენაა.

შრომითი აღზრდა აკაკის აზრით აღრეული ასაკის ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს. სანამ ბავშვი ფიზიკურად არ არის მომწიფებული პროდუქტიული შრომისათვის, მისი შრომითი საქმიანობის სარბიელს თამაში უნდა წარმოადგენდეს. ქართული ხალხური თამაშობანი და სათამაშოები ამის სრულ შესაძლებლობას ქმნიან, დაასვენის აკაკი. სათამაშოებისა და თამაშობათა ავკარგიანობას აკაკი სამი ძირითადი ნიშნის მიხედვით აფასებდა: რამდენად ავარჯიშებენ ისინი ყმაწვილის კეთა-გონებას, რამდენად აწრთობენ და ანვითარებენ ბავშვის სხეულსა და რამდენად გამოსადეგნი არიან მისათვის, რომ ბავშვს შრომა შეაყვარონ და იგი შრომისათვის მოამზადონ. შრომით ელემენტს აკაკი თამაშის წამყვან ელემენტად თვლიდა, მხოლოდ ის თამაშია კარგი, რომელიც ხერხემლად, საყრდენად შრომას იყენებს. ბავშვს ის სათამაშო იზიდავს და აინტერესებს, რომელშიც ბავშვის შრომა პოულობს გამოხატულებას, ასეთი სათამაშო ბავშვს არ სწყინდება, მასში ბავშვი სულიერ კმაყოფილებას პოულობს, წერდა აკაკი „ჩემ თავგადასავალში“.

აკაკი თამაშობათა წარმოშობის შრომით ახსნას გვაძლევს და პრინციპულად უპირისპირებს თამაშობათა წარმოშობის შესახებ არსებულ იდეალისტურ თეორიებს. აკაკის აზრით თამაშის დროს სიამოვნებას ის კი არ იწვევს, რომ ბავშვის ფიზიკურმა ენერჯიამ გაზოსავალი ნახა, არამედ იმის განცდა, რომ მან შრომა დახარჯა, საქმე გააკეთა, თამაში კუნთების სიამოვნება კი არ არის, არამედ გულია და გონების სიამოვნებაა, დასახული მიზნის მიღწევით გამოწვეული.

შრომა თავის გართობის მიზნით მოძრავი სათამაშოების გაკეთებიდან, ბავშვის ზრდასთან ერთად, მოზრდილების შრომა-საქმიანობაზე დაკვირვების შედეგად, თანდათან სრულფასოვანი, პროდუქტიული ხდება და დიდი მნიშვნელობის მორალური ზეგავლენის საშუალებად იქცევა. შრომა დიდი მნიშვნელობის ფაქტორია ბავშვის ცხოვრებაში, იგი ბუნებრივი ძაფებით იზიდავს ბავშვს, აზინაარსებს, აესებს, საინტერესოს ხდის მის ცხოვრებას. აღზრდა იმ შემთხვევაში მოგვეცეს შესაფერ ნაყოფს, თუ იგი კარგად გამოიყე-

ნებს შრომას, როგორც ბავშვის ადამიანად, მოქალაქედ ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, თუ სკოლა სათანადო პირობებს შექმნის იმისათვის, რომ ბავშვის მიდრეკილება შრომისადმი შრომითი მოთხოვნისადაც იქცეს, შრომითი სიამოვნება კი შრომის ღრმა სიყვარულში გადაიზარდოს.

დასასრულს, აქ ისიც აღსანიშნავია, რომ აკაკი შრომას თვლიდა ფიზიკური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებად. ბავშვის ძალღონესთან შეხამებული საინტერესო შრომა არა მარტო აყალიბებს ადამიანის ხასიათს, ზრდის და ამაღლებს მის დადებით ზნეობრივ თვისებებს, ზრდის მოქალაქეს, არამედ, ამასთან ერთად, იგი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მოზარდის სხეულის გამოწრობისათვის, ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

ადამიანის შეხედულებებისა და თვალსაზრისის, ზნეობრივი თვისებებისა და ხასიათის ჩამოყალიბების საქმეში აკაკი აღზრდას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ იგი ფრანგი განმანათლებლებისა და სოციალისტ-უტოპისტების მსგავსად საზოგადოების ერთადერთ მამოძრავებელ ძალად აღზრდას არ თვლის. აღზრდა აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანებში მონური სულისკვეთება, თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებამ შესცვალოს, რომ მონობაში გადიდკაცებას, თავისუფლების ძებნაში სიკვდილი არჩიო, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის გარეშე, აღზრდა მონობის ბორკილებს ვერ დასწყვეტს და ხალხს დიდი ხნის გასაქირს ბედნიერებით ვერ შეუცვლის. ის, რასაც აღზრდა დასთესს ადამიანების გონებასა და გულებში, უნდა დააგვირგვინოს რევოლუციამ. ამიტომ ეტრფიალება აკაკი ხანჯალს, როგორც რევოლუციის სიმბოლოს.

„შენი ქირიმე ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო.

გლესაე და გლესაე ხანჯალო,
იმოგიფერაე გულსაო,
შენ უნდა ეძმო და ეუმო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო“.

აკაკის პოეზიის, მთელი მისი შემოქმედების ძირითადი მიზანი და მისწრაფების საგანი ეს არის „უმართლოდ დაჩაგრულების“ აღზრდა მებრძოლი სულისკვეთებით, ხოლო „დაჩაგრულების“ მტრისაგან გამოხსნის“ ერთადერთი იმედი, მათი ხსნისა და განთავისუფლების იმედი, მტკიცე რკინისაგან ნაქვდი ბასრი ხანჯალია. ასეთნაირად წყვეტს აკაკი აღზრდისა და რევოლუციის ურთიერთობის საკითხს. მაგრამ ხანჯალი თავისთავად არ აიღესება, კარგი ნაყოფი მთესველისა და თესლის გარეშე არ ამოვა და მოუვლელად არ გაიხარებს, რევოლუცია თავისთავად არც მოხდება და ვერც ვაიმარჯვებს. აღზრდამ უნდა მოაწადოს საამისო პირობები.

აღზრდას გადაწყვეტი გავლენა აქვს ადამიანებზე. აკაკი ხშირად ინიერებს ხალხში გავრცელებულ აზრს, რომ ერთი ხისაგან ჯვარიც გამოვა და ბარიც. „ერთი ხიდან გავითდება, როგორც ჯვარი, ისე ბარი, ხშირად ერთ და იმავე საქმეს მტერიც ჰყავს და მეგობარი...“ (ლექსი „ნიკო დიასამიძის სახსოვრად“). იგივე აზრია გამოხატული ლექსში „მოხუცის აღსარება“, სადაც გლეხი „უხეირო თავადს ურჩევს: გადადექი გზიდანაო, ჯვარიცა და ბარიც — ვიცი — გამოდის ერთ ხიდანაო“. ცუდი აღზრდა გამრყენელ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე. ასეთი აღზრდა, უმანკო, მშვენიერ და ნიკიერ ქმნილებას — ბავშვს მონად აქცევს, ჰკლავს მასში ბუნებით შესაძლებლობას და მას უქუღმართ გზაზე აყენებს. აკაკის მოთხრობის „სამგვარი სიყვარული“ ერთი მთავარი გმირი ამის გამო სასოწარკვეთილებამდეც კი მიდის. „როცა ჯერ უმანკო, ბუნებისაგან საიმედოდ და საქებრად გაჩენილი ახალგაზრდა შემხვედმა ხოლმე ჩვენში, მე გულზე ნაღველი მენტხევა და მის სიკვდილს ვნატრობ, რადგანაც ვიცი, რომ ეს ჩვენი მონებითი საზოგადო ცხოვრება უექველად გააუქუღმართებს მის ადამიანობას... და ნუთუ სპეტაკად საფლავში ჩასვლა არა სჯობია ცოცხლადვე ზნეობითად მკვდრობას“.

აკაკიმ კერძოდ აღზრდისა, გარემოსა და მემკვიდრეობის ურთიერთობის პრობლემის გადაწყვეტას რამდენიმე ნაწარმოები უძღვნა. სოციალური ჩაგვრის ერთი ფორმის — ბატონყმობის შეცვლას, ჩაგვრის მეორე ფორმით — კაპიტალიზმით, როგორც ბუნებრივი შედეგი, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თან მოჰყვა ბევრი უქუღმართობა. ხალხის დოვლათი და სიმდიდრე თანდათანობით თავს იყრია მრეწველებისა და ჩარჩ-ვაქრების ხელში. დღით-დღე იზრდებოდა ქუჩაში გამოყრილი, უსახლკაროდ დატოვებული მშრომელების რიგები. დაეცა ხელოსნობის ფასი, ამან კიდევ მეტად გაამრავლა ბედის ანაბრად დარჩენილი ადამიანების რიცხვი. ხალხის ჩაგვრას აორკეცებდა მეფის რუსეთის მკაცრი ნაციონალური პოლიტიკა. ყველა თანამდებობა სახელმწიფოებრივი, თუ სხვა დაწესებულებებში რუს ჩინოვნიკებს ექირათ ხელში. ნაციონალური უუფლებობა ყველგან და ყველაფერში იჩენდა თავს. თავის მხრივ სკოლასაც მკიდროდ ჰქონდა დახშული კარები მშრომელი ქართველი ახალგაზრდობისათვის. სოფლიდან წამოსული უმიწაწყლო ახალგაზრდობის ნაწილი იმ დროს ახლად აღორძინებულ მრეწველობას აფარებდა თავს და მძიმე შრომით დღიურ ლუკმა-პურს პოულობდა. ბევრნი ხელზე მოსამსახურეობას, მზარეულობას და სხვა წსკავს საქმეს ჰკიდებდა ხელს. ახალგაზრდობის გარკვეული ნაწი-

ლი, უფრო უშიშარი და განძლე, ცისა და ზიწის შუა თავის ანაბე-
რად დატოვებული, ფართო შარავნაზე გამოდიოდა და ძარცვა-
ავაზაკობას ჰკიდებდა ხელს.

ოთხმოციანი წლებიდან კავკასიაში მნიშვნელოვნად იმატა
შეიარაღებულმა თავდასხმებმა — ყაჩაღობამ. ამას თან მოჰყვა მო-
ნარქიული რუსეთის ოფიციალური და არაოფიციალური ქომეგების
ცილისმწამებლური ქადაგება ქართველების ველურობის, ბოროტმოქ-
მელებისა და სისხლისდამი ბუნებრივი მიდრეკილების შესახებ. კა-
პიტალისტური ცხოვრებას ფსკერმა ამ დროს ამოატივტივა და
განსაკუთრებით პოპულარული გახადა თბილისელი ასალგაზრდა ყა-
ჩაღის, ტატო წულუკიძის სახელი. თავისი ასაკისათვის საკმაო გა-
მოცდილი, ფიზიკურად გამძლე, გამჭრიახი და მოხერხებულ-
ლი, საუკეთესო გარეგნობის მქონე ჯერ კიდევ 20-22 წლის ტა-
ტო შიშის ზარს სცემდა ვაჭრებს, პოლიციის მოხელეებს, ჩინოვნი-
კებს. მისი ბელძღვანელობით და მის გარეშე, მისი სახელით,
როგორც ეს ხდება ხოლმე მარჯვე ყაჩაღის ცხოვრებაში, გახშირდა
ძარცვა-ავაზაკობის შემთხვევები. 25 წლის ტ. წულუკიძე 1880 წლის
იანვარში ხოჯევანქის სასაფლაოს მოედანზე, სამხედრო საველე სა-
სამართლოს განაჩენით, თოკზე ჩამოჰკიდეს.

ქართულმა პრესამ, აკაკი წერეთლის თაოსნობით, ეს შემთხვევა
უნარიანად გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, თუ მორალურად რო-
გორ ხრწნის თანამედროვე საზოგადოებრივი წყობა ახალგაზრდობას,
აუტანელ სოციალურ პირობებსა და განათლების უქონლობას რო-
გორ მიჰყავს ახალგაზრდობა საღრჩობელის ბოძებამდე. ჩინოვნიკობამ
და მასთან ახლომდგომმა წრეებმა კი, ტატო წულუკიძის სახით კი-
დეე ერთი „ნივთიერი“ საბუთი აღმოაჩინეს იმ „თეორიის“ დასასა-
ბუთებლად, რომ ქართველი ბუნებით ბოროტმოქმედი, სისხლის-
მსმელია, ველური ინსტინქტების მქონეა. მეუის მთავრობის ერთგუ-
ლი მოხელეების ეს თვალაზრობისი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი
გულახდილობით არის გატარებული „კავკასიის იურიდიული საზო-
გადოების“ თავმჯდომარის, შავრაზმელი ვეჟილის ა. ს. ფრენკელის
წიგნში ტატო წულუკიძის შესახებ. ფრენკელი მოკლედ განიხილავს
„ავაზაკობის ისტორიას“ საქართველოში თითქმის XIX საუკუნის და-
საწყისიდან, ჩამოთვლის ქართულ „სისხლისმსმელ“ ყაჩაღთა გვა-
რებს, ახასიათებს ტატო წულუკიძის ცხოვრების გზას და თავის 7-8
თაბახიან წიგნს შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „Группируя ска-
занное нами, необходимо прийти к убеждению, что причина
множества преступлений, совершенных Цулукидзе лежит,

прежде всего, в самой личности разбойника, которого кипучая и нестрашившая ничего натура направлена была преимущественно на дурное, а также грубости и неразвитости среды, в которой существовал Цулукидзе“. (А. С. Френкель, К истории разбоя на Кавказе, Т. Цулукидзе, ст. 121, 1892 г. Тифлис).

აკაკი მკაცრად გაილაშქრა ცილისმწამებელთა წინააღმდეგ. ვინ მიიყვანა ტ. წულუკიძე ამ ზომამდე? კითხულობდა აკაკი, — ნურვინ იფიქრებს, რომ ეს მისი თანშობილი, ბუნებითი მოთხოვნილება ყოფილიყოს!! — პასუხობდა იგი. ის ვინაც საქმეს ამგვარად წარმოიდგენს ცილს წამებს ქართველ ხალხს, რომლის მთელი ისტორია არის სანიმუშო მაგალითი დარბევა-აწიოკების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისა, თავისი თავის დაცვისა და არა სხვისი ძარცვაგლეჯისა და შევიწროებისა. ცილისმწამებელია ის, ვინც ქვეყანასა და ხალხს, რომელმაც შ. რუსთაველი წარმოშვა, ველურობასა და უკულტურობას აბრალის. ტ. წულუკიძის დანაშაულში არაფერა შეაშია მისი მახლობელი გარემო — მისი ოჯახი, მისი მშობლები. ახალმა ყოფა-ცხოვრებამ, ახალმა საცხოვრებო პირობებმა ოჯახი განაიარაღა, ეს ძველად იყო, რომ ოჯახი აგებდა პირველ რიგში პასუხს ზვილზე. დღეს სახელმწიფოს, საზოგადოების, სკოლის ხელშია აღზრდის სადავეები. ბოროტებას სთესს არსებული საზოგადოებრივი წყობა. საქმე სათავეში უნდა შეიცვალოს: „ეკალი არ უნდა ითესებოდეს და როცა დაითესება, მერე თითო ძირძირათ მისი ამოთხრა ველარას გაარიგებსო“, დაასკვნის აკაკი (გაზ. „დროება“, 1880 წ. 1 თებერვალი).

ამავე თემას უძღვნის აკაკი თავის ერთ-ერთ ფელეტონს „ცხელი ამბები“ გაზ. „დროების“ 1882 წ. 156 ნომერში.

„აი ახლაც ეს არის ჩვენს კარზედ ჩაატარეს ბოროტების ჩხრიალით ავაზაკები, პოლკოვნიკ ირტელს რომ დაესხენ, ისინი; სამს მათგანს დღეს თუ ხვალ ჩამოაღრჩობენ... რა ამპარტავნები ყოფილან! ვიღაცამ ფული აჩუქა და ერთმა მათგანმა თავში ახალა მარტყბელს:

— აი ოხრად დაგრჩეს მაგ ფულებიო! სულ შენით მემართება დღეს რაც მემართებაო. შენ არ იყავ, რომ სასწავლებლიდან გამომაგდე ცუდი გამოთქმისა და ლათინურის უცოდნელობისათვის? დამინაშე გზა, გამაუბედურე, ამ დღემდე მიმიყვანე და ახლა კი დამცინიო...

მეორემ კიღევ უარესი ქნა:

— შენი უსამართლობით ვარ დაჩაგრულიო: რაც მქონდა წამართვი, გამაუბედურე და ხელის ძალად მიმიყვანე განძრახ ამ დღემ-

დიო და ახლა სეირს გინდა უყუროვო? რა გენაღვლებათ! „სხვათა კირი თქვენთვის ლხინიო... მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია, ერთხელ, თქვენ კურდღელსაც ნახვენო“.

როგორ მოედება ასეთ მდგომარეობას ბოლო? კითხულობს აკაკი და პასუხობს: ამას მხოლოდ წითელი წვიმა უშველის, წითელი წვიმა ანუ რევოლუცია, იგი გამოიყვანს ქალსა და კაცს ალესილი ნამგლით ხელში, იგი გასწყვეტს ქვეყნის დამამბობელ კია-ლუას. ფელეტონი მთავრდება აკაკის ცნობილი ლექსით:

„ღმერთო წვიმა მოიყვანე
წითელი და შხაპუნაო,
რომ გავიდეთ სამუშაოდ
და დავძახოთ „ოპუნაო“.

ამავე საკითხს აკაკი კვლავ მიუბრუნდა 1886 წელს, მაგრამ არა როგორც პუბლიცისტი, არამედ ბელეტრისტი. მას უძღვნა აკაკიმ თავისი პატარა მოთხრობა „მტირალი დედა“ და საკითხი იმგვარადვე გადაწყვიტა, როგორც ზემოხსენებულ ფელეტონებში.

აღზრდისა, გარემოსა და მემკვიდრეობის ურთიერთობის პრობლემა დიდი და მრავალმხრივი პრობლემაა. მას ბევრი თავისებური მუხლი და დეტალი აქვს. ასეთია მაგალითად, ბიოლოგიური ფაქტორების, ინსტინქტების, საუკუნეობრივი ადათ-წესების და აღზრდის ურთიერთობის საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტას უძღვნა აკაკიმ „გამზრდელი“. აქ მან აღზრდის, გარემო წრისა და მემკვიდრეობის ურთიერთობის ერთერთი რთული შემთხვევა აიღო ქარგად. ადამიანის ხასიათის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობის მქონე საძი დაუპირისპირდა ერთმანეთს: ერთის მხრივ აღზრდა, აღმზრდელის ზედამხედველობით, როგორც იდეური ძალა და ადათი თავისი კარგი მხარეებით, მეორეს მხრივ მემკვიდრეობა ადამიანში მოცემული ბიოლოგიური ინსტინქტების სახით და მესამეს მხრივ სოციალური წრე მისი ცუდი მხარეებით.

როგორ გადაწყვიტა აკაკიმ საკითხი „გამზრდელში“?

ერთის შეხედვით თითქოს აღზრდის გავლენის ძალას და კარგ ადათს ამარცხებს ცხოველური, წუთიერი ბიოლოგიური დატკობით გამოწვეული ბრმა ინსტინქტი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით. ხოლო თუ საკითხის გულში ჩავიხედავთ სხვა არსებითი ხასიათის მოტივებს დავინახავთ.

საფარ-ბეგი ფეოდალური საზოგადოების ზედაფენის წარმომადგენელია და ამ ფენაში, ამ ატმოსფეროშია აღზრდილი. საფარ-ბეგზე გაქლენას ახდენს ყველა ის ცუდი, რაც ამ საზოგადოებისათვის

ასე ორგანულად არის დამახასიათებელი — შინაგანი სიცრუე და სი-
ყაღბე, სტესობრივი აღვირახსნილობა და მრუშობა. საფარ-ბეგი
ბიბლიური უბიწო სამსონი როდია, იგი ფეოდალური საზოგადოების
წვილია და მისთვის ამ საზოგადოებისა არც ავია უცხო და არც
ქაღვი. ქალისადმი, როგორც ნივთისადმი დამოკიდებულება, ქალის-
დამორჩილების სურვილი ისევე მძლავრად არის გარემოს გავლენ-
ით აღზრდილი საფარში, როგორც მის სხვა თანამოდმე ბეგებში.
ქიქიწვილის ბათუსადმი ლალატის სარჩული არის არა ბიოლოგი-
ური ინსტინქტი, არამედ იმ საზოგადოების მორალი, რომლის შვი-
ლი საფარ-ბეგია, ამ საზოგადოების პრაქტიკის საფუძველზე საფარ-
ბეგი ღებულობს გადაწყვეტილებას დაიბრუნოს ნაზიბროლა-
აღზრდას ამ შემთხვევაში ამარცხებს არა ბიოლოგიური ინსტინქტი,
არამედ უკუღმართი საზოგადოებრივი წყობა, ბნელი გარემო.

ამის გამო იღუბება იდეალური მოძღვარი ჰაჯი-უსუფი. მას თან-
შიაქვს საფარ-ბეგის მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე,
მაგრამ არა როგორც საფარ-ბეგის დანაშაულისა, არამედ საფარ-
ბეგის წრის, მისი გარემოს დანაშაულისა. საფარ-ბეგის ტრაგედია,
ეს საზოგადოებისა და მისი ცალკე, მოწინავე წევრების იდეურ-მო-
რალური შეუთანხმებლობის ტრაგედიაა, მძიმე და სასტიკი, აუცი-
ლებელი და გარდაუვალი იმ საზოგადოებაში, სადაც ბატონი და-
ცმა არის, ბეგი და გლეხია, კაპიტალისტი და მუშაა.

ცნობილია, რომ აკაკის განსაკუთრებით უყვარდა თავისი „გა-
მზრდელი“. სიკვდილის ღამეს მგოსანს მასთან მყოფ პოეტი ქალის
ა. იურკევიჩისათვის უთხოვნია ჩემი ნაწერები წაიკითხეო. „ბევრი
რამ წაუკითხე იმ ღამეს, — მოგვითხრობს ა. იურკევიჩი, — და სხვა-
თა შორის „გამზრდელის“ კითხვაც დავიწყე, როდესაც დასასრულს-
წახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე:

„მაგრამ უსუფ ეუბნება:

— შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ

რომ კაცად ვერ გამიზრდინხარ!“

საყვარელმა მოძღვარმა ტირილი დაიწყო... მე შეშინებულმა
მოვახსენე, რომ კითხვას თავს დავანებებ მეთქი. მან აღელვებით
ნიბრძანა: „არა, არა, მე არა ესტირი, მაგრამ ეს მართლა კარგად
დაიწერია“. ასე ღრმად განიცდიდა აკაკი ჰაჯი-უსუფის, ამ იდეა-
ლური აღზრდელის იმედების დაღუპვას.

გ. თავიზივთილი „გამზრდელის“ შესახებ სწერს: „ისტორიამ თითქ-
ვის არ იცის აღზრდელის როლის ასე მკვეთრად განცდის ფაქტი. აკა-
კის ნარტივი სტილით გადმოცემული ამ დიდ ადამიანურ ტრაგედიას

ჰალალი მორალის ბეჭედი აზის. ცივია ეს მორალი, მაგრამ მეტად მახვალი და ბასრი. კუჭითა და გონებით ცნობილი აღმზრდელი თავის საზოგადოებრივ შრომას შესტყერის ისე, როგორც საკუთარ სიცოცხლეს. მან ნახა თავისი შრომის უქმი ნაყოფი და სიცოცხლე ვაიუქმა. მეტად უღმობელია ეს განაჩენი საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ, საპავეროდ, ეს არის აღმზრდელის სიბრძნე, მისი პასუხისმგებლობის დიდი მწვერვალი“. („აკაკი წერეთელი“, საიუბილეო კრებული, თბილისის უნ-ტის გამოცემა, გვ. 151). ამ სავეებით სწორ შეფასებას, ჩვენის მხრივ შემდეგი გვინდა დავუბატოთ: აკაკისა და მის საყვარელ გმირს ჰაჯი-უსუფეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სწამდათ აღზრდის ძალა; არც ჰაჯი-უსუფის მიერ შუბლში მიკვდილი ტყვია და არც აკაკის ცრემლები სიკვდილის წინ აღზრდის უძღურებით არ იყო გამოწვეული; ეს ტყვია და ცრემლი მძლავრი, მკვეთრი პროტესტი იყო და გამოხატავდა იდეების, აზრის, აღზრდის განთავისუფლების აუცილებლობას უკუღმართი საზოგადოებრივი წყობის ბორკილებიდან, სიმბოლიურად მიუთითებდა ამ წყობის დამხობის გარდუვალობაზე.

*

აკაკი დიდ ინტერესს იჩენდა ბავშვის ბუნების შესწავლისადმი, თავალყურს აღევნებდა ბავშვთა ფსიქოლოგიის მონაპოვარს, იცნობდა ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს და სწორ ახსნა-განმარტებას აძლევდა მათ. აკაკი მოითხოვდა აღმზრდელებს კარგად შეესწავლათ ბავშვის ბუნება, რადგან სწორად თვლიდა, რომ ამის გარეშე აღმზრდელი და აღსაზრდელი ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, მათ შორის ნორმალური ურთიერთობა ვერ დამყარდებოდა. ნახევრად ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ორი სიხპარი“ აკაკი მრავალმნიშვნელოვნად სწერდა: „ახალგაზრდის გულის გატაცებას ბევრი არა უნდა რა და ამიტომაც, თუ მოძღვარ-მოწაფე ვერ შეთვისებულან, ბრალი ყოველთვის პირველს უნდა დაედვას.“ „ჩემ თავგადასავეალში“ იმის აღწერას, თუ ერთი სრულე-ბით უბრალო შემთხვევის გამო (ლოტარეაში მონაწილეობის მიღება) როგორ მკაცრად დასაჯეს მარცხენა და მარჯვენა ხელზე „ლინეიკის“ ცემით და ხელი საბოლოოდ გაუფუჭეს, აკაკი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკი მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე“.

„ჩემ თავგადასავალში“, ადამიანისა და კერძოდ ბავშვის სულიერი საწყაროს ღრმა მცოდნე აკაკის — მწერალს, მხარს უმშვენივრებს აკაკი მკვლევარი — ფსიქოლოგი, ბავშვის ბუნების ობიექტური დამკვირვებელი.

აკაკი ყურადღებას აქცევს ადრეული ასაკის ბავშვების ქცევისათვის დამახასიათებელ შემდეგ ტიპიურ მხარეს: „ძალიან ხშირად ყმაწვილი... უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, უკავილს, ბალახს და სხვა პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნებით მუხაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება“. აქ საინტერესოა არა იმდენად ფაქტი, იგი საკმარისად იყო ცნობილიც და აღწერილიც აკაკის „ჩემ თავგადასავლამდე“.

საინტერესოა როგორ ხსნის ამ ფაქტს აკაკი.

აკაკი ბავშვის აზროვნებისა და მეტყველების ჩასახვა-განვითარებას სოციალური ფაქტორებით ხსნის და მკვეთრად უპირისპირდება ს. ხოლს, ე. პიაჟეს და კაპიტალიზმის სხვა რეაქციონერ ლაქიებს, რომლებსაც ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი ბიოლოგიური ფაქტორებით უნდათ გაამაგრონ. ნიშანდობლივია, რომ ბავშვებისათვის დამახასიათებელ ზევითაღწერილ თვისებას აკაკი მოხდენილად აღნიშნავს ცნებით — „ბუნებათანაზიარობა“ და მის მოტივად, გამომწვევ მიზეზად მიიჩნევს ბავშვების მისწრაფებას ტოლები მოსძებნონ, ამხანაგები გაიჩინონ, კოლექტივი შექმნან, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებანი, გრძნობები, სურვილები, ინტერესები. „ყმაწვილი ბუნებათანაზიარია, — ამბობს აკაკი, — ყოველთვის სურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე და ეს მხოლოდ შეუძლია თავის ტოლებთან“.

ამგვარად, ბავშვის მისწრაფება საუბრობდეს უტყვე ცხოველებთან და საგნებთანაც კი „ბიოლოგიურად შენახული ანიმიზმის“ გამოვლინებით კი არ აიხსნება, ეს ფაქტი ეგოცენტრიზმის გამოვლინება კი არ არის, არამედ პირიქით, — მასში განსახიერებულია ლტოლვა კოლექტივისაკენ, გულისპასუხის გაზიარების დაუცხრომელი სურვილია. ხესა და ბალახს რომ ესაუბრება, განაგრძობს აკაკი, ეს იმიტომ ხდება, რომ ბავშვს ყოველთვის არა ჰყავს ტოლი და იძულებული ხდება საუბარი გაუმართოს ხესა და ცხოველს, ქვასა და ყუავილს, რადგან დიდებთან ყმაწვილები ვერ ახერხებენ სიტყვა-პასუხსა და გულს არ უხსნიან მათ. აკაკის ის უფროსები ჰყავს ნხედველობაში, რომელთაც ბავშვებისათვის თავისგატოლება, ბავშვების აყოლა, ბავშვებთან მეგობრობა საკუთარი თავისა და ღირსების დანციკებად მიაჩნიათ და ზევით დაცქერიან მათ ქედმალურად და მედიდურად.

„ჩემ თავგადასავალში“ ყურადღებას იპყრობს უმცროსი ასაკის ბავშვის ემოციების, ინტერესის და აზროვნების უნარიანობის ფსიქოლოგიური დახასიათება. საინტერესოა, რომ დახასიათებისას აკაკი ყველა ძირითად ნიშანზე მიუთითებს და თანაც ზუსტად იყენებს ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას. აი სათანადო ადგილიც: „ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხმოუქიდელები კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფეროვნობა მალე ბეჭდდება და საგნიდან საგანზე გადადის: ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც რაც კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია, თვალი შეჩვეული აქვს და ველარ პროტობს მის გრძნობა-გონებას: ის გარბის ბინდვრად და ცა და მიწას შუა საღაც სანახაობა უთვალავი და მრავალფერია მისთვის“.

აკაკიმ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ბავშვის მიერ ცოდნა-ჩვევების ათვისებისას გარემოსა და ფიზიოლოგიურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. მან გვიჩვენა, რომ არახელსაყრელ პირობებში შემუშავებული ესა თუ ის ჩვევა ბავშვის არსებაში ღრმად იღვამს ფესვს. ეს ჩვევანი განსაკუთრებულ დაღს აჩვენებენ ბავშვის ფსიქიკას და მათი აღმოფხვრა ძალიან ძნელია, რაკი ისინი ჩვეულებებად იქცევიან.

ერთი გაბაშვილი იყო ჩვენს კლასში, — მოგვიტორობს აკაკი, — სოფლიდან დადიოდა სკოლაში, სისტემატურად იგვიანებდა და ყოველთვის აჩოქებდნენ კუთხეში, მერხზე მჯდარი იგი იშვიათად გვინახავს კლასშიო. ერთხელ გაბაშვილი ნათესავთან დარჩენილიყო ქუთაისში, გაკვეთილიც კარგად ესწავლა. მე მასწავლებლის თანაშემწედ ვიყავი გამოყოფილი, წინასწარ უნდა შემემოწმებინა მოსწავლეების ცოდნა, ნიშნებიც უნდა დამესვა მათთვის და მასწავლებლისათვის წარმედგინა. გაბაშვილმა გაკვეთილი კარგად იცოდა და ოთხი დაწერე. გაკვეთილი დაიწყო, გაბაშვილი ჩვეულებრივ კუთხეში გავიდა და დაიჩოქა. ეს არც გაკვირვებია ვისმეს, რადგან გაბაშვილს ყოველთვის კუთხეში ხედავდნენ დაჩოქილს, მასწავლებელმა ჩემს მიერ დაწერილი ნიშნები გადაათვალიერა, გაუკვირდა გაბაშვილის ოთხი, ფეხზე ააყენა გაბაშვილი, გამოჰკითხა და თქვენს მტერს, გაბაშვილმა ერთი სიტყვაც ვერ მიუგო. მასწავლებელმა გადააქნია თავი და გამიხმო, დამტუქსა — რად დაუსვი დაუმსახურებლად ნიშანიო და მეც დამაჩოქა კუთხეში.

— შე შეჩვენებულო, რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? — დავეკითხე ჩუმად კუთხეში რომ გავედით.

— ეხლაც ვიცი, — მიპასუხა ტირილით.

მამ რატომ არ სთავაზობენ.

— ფეხზე ვიდგე და ვერ მოვახერხებ, ეს რამდენი ხანია დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვიძლევა. აი, თუ არ ვიცი — მოჰყვანე პირად. — რომ ავდგე დამებნევა — მასწავლებელმა მოგვაცანა თვალი და მოვეყვარა: — რას ჩურჩულებთო? მე გავედი და მოვახსენე ყოველიფერი. გამოიყვანა ვაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარვად ნიუგო. რაადგენჯერმე გაიჩეორა ეს ამბავი და ისე გაუყვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ. იქ რა ნაიღინა. ვინ იცის? მაგრამ ამ დღესაც: ეს ვაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს. ასეთი ადგილები სხვაც ბევრია. „ზე“ თავკადანსავალში

ნეუძლებელია ს ადვილი ვულდამშვიდებით წაიკითხოთ. ძნელად თუ მოიძებნება სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაწარმოები, ასე მჭევრმეტყველურად და დამაჯერებლად რომ იყოს აღწერილი ბავშვის პიროვნების, მისი ღირსების გათელვისა და აბუჩად აგდების ის აღნაშთოთებელი პრაქტიკა, რასაც ფართოდ ჰქონდა გადგმული ფესვები ძველი სკოლის ცხოვრებაში.

აკაკის დაინტერესებას ბავშვის შესწავლით, ბავშვის ბუნების ღრმა ანალიზს, რაც ძველი სკოლის კრიტიკის ფონზეა გაშლილი, გარკვეული პრაქტიკული აზრიც ჰქონდა. იგი მიზნად ისახავდა ნმობლებსა და მასწავლებლებს აღზრდას. აკაკი მათ ბავშვის ბუნების შესწავლისაკენ მოუწოდებდა, დამაჯერებლად უმტკიცებდა, რომ სწავლა-აღზრდის პროცესი ბავშვს ბუნების ცოდნას უნდა დაეფუძნოს, სააღმზრდელო საშუალებანი ზუსტად უნდა იყოს შეხამებული ბავშვის ფსიქიკურ თავისებურებებთან.

ლიტერატურა: აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებულნი, სტალინი სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ.: ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა. 1940



იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი

(1840—1912)

იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილს, როგორც ქართული პედაგოგიური აზრის კლასიკოსს, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტსა და საბავშვო მწერალს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის იმ საამაყო შვილთა შორის, რომლებმაც დიადი ქმნილებებითა და სამშობლოსადმი თავდადებულმა სამსახურით უკვდავჰყვეს თავიანთი სახელი.

იაკობ გოგებაშვილი აღიზარდა მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული კულტურის ნიადაგზე. მასზე დიდი გავლენა მოახდინა რუსი ხალხის დიდმა კულტურამ და, განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, დობროლინისა და ჩერნიშევსკის მოწინავე იდეებმა.

იაკობის წმიდათა წმიდა მისწრფებას, მისი სიცოცხლის აზრსა და საგანს შეადგენდა თავდადებული სამსახური ქართველი ხალხის განათლებისა და მისი მდიდარი კულტურის აღორძინებისათვის, და თავისი ეს დიდი და დიადი ვალი მან ღირსეულად მოიხადა; ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ძალები, ტალანტი და ცოდნა უმწიკლოდ მოახმარა თავის საშობლოს, თავის საყვარელ ხალხს.

იაკობ გოგებაშვილმა ღრმად შეითვისა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პროგრესული პედაგოგიკის კლასიკოსების, განსაკუთრებით დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მოძღვრება. მან საესებით სამართლიანად დაიმსახურა „ქართველი უშინსკის“ სახელი.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ილიასთან და აკაკისთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი აფხიზლებდა ქართველი ხალხის საზო-

კადრებრივ ახრს, მის ეროვნულ შეგნებას. ი. გოგებაშვილი თავის პრაქტულ მალანტიკურ სტატიებს ათავსებდა თავისი დროის მრავალ ქართულ და რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში. ეს სტატიები უმთავრესად ეხებოდა იმ დროისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა ხალხურობისათვის ბრძოლა განათლებაში, მშობლიური ენისა და მშობლიური კულტურის დაცვა ცარიზმის კოლონიზატორულ-გამარუსებელი პოლიტიკისაგან, ქართველ ხალხში რუსული ენისა და რუსი ხალხისადმი სიყვარულის გაღვივება, სახალხო მასწავლებელთა ყოფაცხოვრებისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.

მაგრამ მარტო კალმით როდი იბრძოდა იაკობ გოგებაშვილი ხალხის კეთილდღეობისათვის: იგი პრაქტიკულადაც დაულაღვად იღწვოდა თავის სამშობლოს აღორძინებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და სიკვდილამდე ამ საზოგადოების ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი იყო. მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა საქართველოში სახალხო სკოლების ქსელი მოწყობისა და განვითარებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი ქეშმარიტი მოქალაქე იყო ამ სიტყვის სრული და უკეთესი მნიშვნელობით. მისი მაღალი ადამიანური ღირსებები — სიმართლე და პატიოსნება, პირდაპირობა და გულწრფელობა. პრინციპულობა და გულითადობა, თავმდაბლობა და საკუთარი ღირსების შეგნება ჰხიზლავდა ყველას, ვინც მას იცნობდა. გოგებაშვილს მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი; იგი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ყველაფერი ხალხმა მომცა, და ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს“.

ი. გოგებაშვილის ნამდვილი დაფასება მოხდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. საბჭოთა პედაგოგიკა გულდასმით სწავლობს ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1940 წელს სახელოვანი პედაგოგის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავი იუბილე გადაიხადა. ეს იუბილე მთელი ქართველი ხალხის საყოველთაო ზეიმად გადაიქცა.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს სოფელ ვარიანში, რომელიც ქ. გორიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. 8 წლამდე იგი მშობლიურ ოჯახში იზრდებოდა.

8 წლის იაკობი ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს და წალე თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს.

ეს სასწავლებელი იაკობმა დაამთავრა 1855 წელს პირველ მოსწავლედ. ამავე წელს შედის იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ის 1861 წელს პირველ მოსწავლედ ამთავრებს. იმავე წელს იაკობ გოგებაშვილი უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება ქალაქ კიევის, სადაც შედის სასულიერო აკადემიაში. გოგებაშვილს არ აკმაყოფილებდა აკადემიის საღვთისმეტყველო მიმართულება და ის სისტემატურად ესწრებოდა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით იზიდავდა მას საბუნებისმეტყველო დისციპლინები და საფუძვლიანად სწავლობდა დარვინის თხზულებებს. განსაკუთრებით „სახეთა წარმოშობას“.

ამასთან ერთად იაკობ გოგებაშვილმა თავისი ცოდნისა და თავისი საზოგადოებრივი შეხედულებების უმდიდრესი წყარო იპოვა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების—ბელინსკის, გერცენის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკისა და სხვათა თხზულებებში. როდესაც მათ ნაწერებს გაეცნო და მათი ძირითადი იდეები შეითვისა, გოგებაშვილი ამ დიდ პიროვნებათა თაყვანისმცემელი გახდა. ყოველივე ამის შედეგად გოგებაშვილი, რომელმაც ხალხის სიყვარულით სავსე გული სამშობლოდანვე წამოიღო, პროგრესისტი-დემოკრატი ხდება და ასეთივე რჩება ბოლომდე როგორც თავის საზოგადოებრივ-ლიტერატურული, ისე მეცნიერულ-პედაგოგიკური მოღვაწეობის სფეროში.

სუსტმა ჯანმრთელობამ იაკობ გოგებაშვილს აკადემიის დასრულების საშუალებაც არ მისცა. ექიმების დასკვნის განო ის იძულებული გახდა დაეტოვებინა აკადემია და გამგზავრებულიყო სამშობლოში. მან დაამთავრა ორი კურსი აკადემიისა.

1853 წელს ი. ს. გოგებაშვილი ბრუნდება თბილისში და ინიშნება გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში. პირველი დღეებიდანვე ი. გოგებაშვილმა, როგორც მასწავლებელმა და როგორც აღწვრდელმა, მოსწავლეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი ყოფილი მოწაფეებს, შემდგომში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა მრავალ მოგონებაში აღნიშნულია იაკობ გოგებაშვილის მაღალი პედაგოგიური თვისებები.

1868 წელს ი. გოგებაშვილი დანიშნეს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ამ თანამდებობაზე ის 6 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილმა გაატარა მრავალი ენერგიული ღონისძიება სასწავლებლის გარდასაქმნელად იმ დროის მოწინავე პედაგოგიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ნანსასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებლის მკაცრს რეჟიმს, დას-

მენებს, ბაკშვთა ფიზიკურ დასჯას და ფართო გასაქანი მისცა მოსწავლეთა ინიციატივას და თვითმოქმედებას. იაკობ გოგებაშვილი მოსწავლეთათვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი პედაგოგი გახდა.

სრულიად საწინააღმდეგო აზრი და შეფასება დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილმა სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციისა, სინოდისა და მეფის მოხელეების მხრივ. არა ერთი დასმენა დაიწერა მის შესახებ; მას ბრალად სდებდნენ დარვინიზმის გავრცელებას, ანტი-სახელმწიფოებრივი შეხედულების პროპაგანდას და სხვ. თბილისის სემინარიის რექტორმა ვალენტინმა გოგებაშვილის გამო არაერთხელ გაუგზავნა დასმენა ეგზარხოს ევსეის, საქართველოს ეგზარხოსი ევსეი მწყრალად ეუბნებოდა იაკობ გოგებაშვილს: „შენ დარვინისა და კარლ ფოხტის მოწაფე ხარ! სამწერლო მაგიდაზე გიდევეს „სახეთა წარმოშობა“ და არათუ შენ კითხულობ მას, არამედ მცირეწლოვან მოსწავლეებსაც კი აკითხებო“. მალე თბილისში მოვიდა რევოზორი კერსკი, რომელსაც სინოდის მიერ სპეციალურად ჰქონდა დავალებული შეემოწმებინა და თანამდებობიდან მოეხსნა ი. გოგებაშვილი. კერსკის რევიზიას ი. გოგებაშვილი არ ესწრებოდა; ის ამ დროს საავადმყოფოში იწვა. რევიზიის შედეგად გოგებაშვილი მოიხსნა მე-3 მუხლის მიხედვით, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება და ამის შემდეგ, სიკვდილამდე, 38 წლის განმავლობაში არაერთარ ოფიციალურ სამსახურში არ ყოფილა.

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში იაკობ გოგებაშვილმა კარგად შეიგნო სასწავლო ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა ხალხში წერა-კითხვისა და კულტურის გავრცელებისათვის, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. ბუნებრივია, რომ პირველ რიგში მისი ყურადღება მიიპყრო მშობლიური ენის საანბანო წიგნმა.

1865 წელს გამოიცა მისი პირველი სასწავლო-საანბანო წიგნი — „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც გამოდიოდა 1876 წლამდე. 1868 წელს გამოდის მისი ცნობილი „ბუნებისკარი“, საკითხავი წიგნი, სწავლების მე-3 და მე-4 წელი. 1872 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“. ოთხი წლის შემდეგ 1876 წელს, გამოდის მისი უბადლო საანბანო წიგნი „დედაენა“. 1944 წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ დაედვა საფუძვლად ჩვენი სკოლის სტაბილურ სახელმძღვანელოს „დედაენას“, რომელიც პირველი კლასისათვისაა განკუთვნილი.

1887 წელს იაკობ გოგებაშვილი სცემს რუსული ენის ცნობილ სახელმძღვანელოს — „რუსკოე სლოვო“-ს, რომელიც შემდეგში 2 ნაწილად გამოდიოდა.

1880 წლიდან იაკობ გოგებაშვილი სხვადასხვა დროს ადგენს და უშვებს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საკითხავ წიგნებს, როგორც იყო, მაგალითად, „კოკორი“ — ქართული საოჯახო ანბანი საკითხავი წიგნითურთ (1880), „ქუნწულა“ — დასავლეთ ევროპისა და რუსი მწერლების რჩეული მოთხრობების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის (1883), „აკიდო“ — მოთხრობების კრებული ბავშვთათვის (1901) და „კონა“ — საბუნებისმეტყველო ხასიათის ელემენტარული მოთხრობების კრებული.

იაკობ გოგებაშვილმა დაწერა დაახლოებით 150-ზე მეტი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა და სასწავლო ხასიათის წერილები, მათგან 10 მოთხრობა გამოვიდა ცალკე გამოცემებად.

მთელი ეს სასწავლო-პედაგოგიური და მხატვრულ-დიდაქტიკური ლიტერატურა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეადგენდა უხვ სულიერ საზრდოს მრავალი ქართველი ახალი თაობისათვის.

იაკობ გოგებაშვილის, როგორც პედაგოგ-თეორეტიკოსის, კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა აღზრდის, განათლებისა და სწავლების საკითხებზე.

ბევრი დაწერა იაკობ გოგებაშვილმა ქართულ დაწყებით სკოლებში მშობლიური და რუსული ენების სწავლების საკითხებზე რუსულ ენაზეც. მის მრავალრიცხოვან შრომათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: „Как улучшить Кавказскую народную школу“, „Методическое руководство для учителей и учительниц к преподаванию по книге „Русское слово“, „Разбор учебных руководств по русскому языку“, „Наставление учителям о том, как они должны вести обучение грузинскому языку по азбуке и книге для чтения“, „Государственный язык в грузинских народных школах“, „О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения“ და სხვა.

ი. გოგებაშვილის ეს პედაგოგიური შრომები შესრულებულია დიდი ერუდიციითა და საქმის ცოდნით. ისინი მკითხველებს და, პირველ რიგში, სახალხო მასწავლებლებს აცნობდნენ ბავშვთა აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრინციპებს, უშუქებდნენ საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის გზას, უნერგავდნენ ბავშვებისა და პედაგოგიური შრომის სიყვარულს. ამ შრომათა საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით შრომები მშობლიური და რუსული ენების

წავლების მეთოდის საკითხებზე, დღესაც ინარჩუნებს თავის ცხოველყოფილობას.

ი. გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ჯერ კიდევ 1890 წელს მან მთელი თავისი ბეჭდვითი შრომები, გარდა „დედაენის“ I და II ნაწილისა და „Русское слово“-სი, გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ხოლო სიკვდილის წინ მთელი თავისი დანაზოგი — ფულად, ყველა სახელმძღვანელო, ბეჭდვითი შრომები და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება შესწირა ამავე საზოგადოებას. იგი დიდად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ცალკეულ საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს და სხვებს.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 (14) ივნისს, 72 წლის ასაკში.

1912 წლის 10 (23) ივნისს ი. გოგებაშვილის ნეშტი დასაფლავებულ იქნა ქალაქ თბილისში, დიდუბის პანთეონში, ხოლო 1940 წლის 27 ოქტომბერს იგი გადასვენებული და დასაფლავებული იქნა მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის საფლავის მახლობლად.

*

ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური იდეები მთლიანად გამომდინარეობენ მისი სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებებიდან. ამ შეხედულებებში მთავარი ადგილი უჭირავს, ერთის მხრით, ცარიზმის უღლისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხს, და, მეორეს მხრით, თავისი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, უფლებების მოპოვებისა და ქვეყნის კულტურის ამაღლების საკითხებს.

უწინარეს ყოველისა უნდა აღინიშნოს, რომ ი. გოგებაშვილი, ისე როგორც ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩაქადემელთა მთელი პლეადა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. ამ საკითხების გადაწყვეტისას გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ ქართველ ხალხს შეუძლია თავისი ბედნიერება და კეთილდღეობა ზოიპოვის მხოლოდ დიდ რუს ხალხთან ერთიანობისა და თმობის ვითარებაში. ამიტომ, მოუწოდებდა რა ქართველ ხალხს განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ, ი. გოგებაშვილი ცრუპატრიოტად თვლიდა იმას, ვინც თავისი სამშობლოსა და თავისი ხალხის ხანას არ უქავშირებდა დიდი რუსი ხალხის ბრძოლას ბრწყინვალე ნონაფლიანთვის.

ამავე დროს ი. გოგებაშვილი კარგად არჩევს მტერსა და მოყვარეს, მისთვის ცარიზმი თავისი სატრაპებით, რომლებიც ძალადობისა და უმეცრების მოციქულებს წარმოადგენდნენ, იყო ქართველი მშრომელი ხალხის მტერი და მჩაგვრელი ძალა. მეორე მხრით, მთელი მშრომელი რუსი ხალხი, რომელიც აგრეთვე ცარიზმის მძიმე უღლის ქვეშ ჰგმინავდა, გოგებაშვილისათვის იყო ნამდვილი ზეგობარი ქართველი ხალხისა. დიდ რუს ხალხთან ერთიანობის გარეშე მას არ წარმოედგინა საქართველოს ბედნიერება და კეთილდღეობა.

ი. გოგებაშვილი მტკიცედ იცავდა თავისი ქვეყნის პროგრესს და წარსულისადმი ყოველგვარი გამოდევნება მიაჩნდა ისეთ რამედ, რასაც ხალხისათვის დიდი ზიანი მოაქვს.

ეროვნული უფლებისა და ეროვნული კულტურის დაცვის და ხალხის ყოველმხრივი გახვითარების მთავარ საშუალებად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა დედაენა. ი. გოგებაშვილი ქვეშარიტი პატრიოტის ერთ-ერთ ძირითად თვისებად სთვლიდა ხალხისა და წისი ენის სიყვარულს.

ი. გოგებაშვილის სოციალ-პოლიტიკური კონცეფციის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ იგი აღფრთოვანებით შეხვდა 1861 წლის ეგრეთწოდებულ საგლეხო „რეფორმას“. მაგრამ ამავე დროს, მისი იმედები არ გაზარტლდა. რამდენიმე წლის შემდეგ ი. გოგებაშვილი პირდაპირ აცხადებდა, გლეხოზა მოტყუებული დარჩაო, გლეხოზამ მიწა ვერ მიიღო, მისი ეკონომიური მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ ზოგიერთ რაიმე-ში კიდევაც გაუარესდაო.

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის გათვალისწინებისათვის აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, ხელავედა რა ქართველი ერის მომავალს, მის ხსნას მშრომელ ხალხში, იაკობი ბრძოლას უცხადებდა თავადაზნაურულ არისტოკრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილი რევოლუციონერი არ ყოფილა, და არ ჰქონდა შეგნებული კლასთა ბრძოლის აუცილებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, — თავისი დროისათვის პროგრესულ-დემოკრატიული სოციალური იდეების მატარებელი იყო. ეს აძლევდა პროგრესულ-დემოკრატიულ ხასიათს მის პედაგოგიკურ იდეებსა და შეხედულებებს.

ი. გოგებაშვილი. გამომდინარე თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებიდან, მსგავსად კ. დ. უშინსკისა, თავის პედაგოგიკურ მოძღვრებას საფუძვლად უდებს ხალხურობის პრინციპს. ამ პრინციპით არის გამსჭვალული ყველა მისი მეცნიერულ-პედაგოგო-

10. სახალხო მასწავლებლები

გიკური შრომა, მისი პუბლიცისტური სტატიები, სახელმძღვანელოები და მთელი მისი მოღვაწეობა.

ხალხურობის იდეაში ი. გოგებაშვილი ასახავდა თავისი მშობლიური ქვეყნის მშრომელი ხალხის ეკონომიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებს. გოგებაშვილს სწამდა, რომ მშრომელი ხალხი არის ეროვნული ორგანიზმის; მისი ისტორიის, მისი აწმყოსა და მომავლის შემქმნელი და მატარებელი. იგი დარწმუნებული იყო, რომ უმშრომელი თავადაზნაურობა ერის გამხმარ ტოტებს წარმოადგენდა და ამბობდა: „რაც უფრო ადრე გადაჭკაფავს ცხოვრების ჩარხი ამ გამხმარ ტოტებს, მით უფრო სარგო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის“.

აღზრდის ხალხურობის პრინციპში ი. გოგებაშვილი პროგრესულ შინაარსს სდებდა. ხალხურობის ძირითად ელემენტებს გოგებაშვილის აზრით წარმოადგენს: საყოველთაო სახალხო სწავლების უზრუნველყოფა და რეალური განათლების მიცემა მოზარდი თაობისათვის, ქალთათვის განაძლებების უზრუნველყოფა, სწავლება მშობლიურ ენაზე, ქართული ხალხის მიერ რუსული ენის დაუფლება და ინდიდარი რუსული კულტურის შეთვისება, სამშობლოსადმი სიყვარულის აღზრდა, შრომითი აღზრდის განხორციელება, ჰუმანიზმი, დემოკრატიზმის ეს ელემენტები ხალხურობაში აძლევს გოგებაშვილის შემკვიდრეობას ცხოველყოფელ ძალას ჩვენი სკოლისა და ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერებისათვის.

როგორ ესმოდა ი. გოგებაშვილს აღზრდის ამოცანები და რა ძირითად გზას სახავდა ის აღზრდის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად? ი. გოგებაშვილი აღზრდის მთავარ მიზანს ხედავს იმაში, რომ მოწინააღმდეგე იქნას ყოველმხრივ გათვითცნობიერებული და სრულფასოვანი მოქალაქე, რომლისათვისაც პატიოსანი შრომა შეადგენს ბუნებრივ მოთხოვნილებას, მისცეს სამშობლოს „ახალი ტიპის ქართველი“ პატრიოტი, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად, შეუპოვრად, დაუღალავად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რონელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის წისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს წას თავის სიცოცხლე“.

ი. გოგებაშვილს მიაჩნდა „აღზრდისა და სწავლების იდეალად აღანიანის კარმონიული განვითარება“. ახალგაზრდა თაობის — „ხა-

ლხის ამ ფესვების“ — აღზრდა და განათლება, ი. გოგებაშვილის აზრით, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და საერთო-სახალხო საქმეა.

ი. გოგებაშვილი უდიდესი ჰუმანიტი იყო. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანში ადამიანურობისა და ჰუმანიურობის აღზრდას. სწორედ ამ თვისებებით არის გამსჭვალული მისი პედაგოგიური შრომები; პიროვნების ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობით არის გამთბარი ყველა მისი სასწავლო წიგნი.

იაკობ გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ იმეამად არსებული განათლების სისტემა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. სახალხო სკოლების ქსელის გაფართოების მოთხოვნასთან ერთად ი. გოგებაშვილი გადაჭრით ილაშქრებს სქოლასტიკური და დოგმატური სწავლების წინააღმდეგ, რაც იმ პერიოდში გამეფებული იყო სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში.

ი. გოგებაშვილი გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა განათლების ახალი სისტემის, სახალხო სკოლების შინაარსის, სასწავლო გეგმების, სასწავლო პროგრამებისა და სხვათა შესახებ. მისი ეს მოთხოვნები ყოველთვის გამომდინარეობდნენ იმ დებულებიდან, რომ სქოლასტიკურსა და კლასიკურ განათლებას არ შეუძლია სამსახური გაუწიოს ხალხს და რომ სწორედ რეალურ განათლებას მოაქვს ხალხისათვის საკირო სარგებლობა, რომ ასეთი ცოდნა დიდად ამადლებს ხალხის ეკონომიურ, გონებრივ და ზნეობრივ დონეს.

აღზრდის ხალხურობის პრინციპის საფუძველზე იგი მოითხოვდა ისეთ სკოლებს, რომლებიც მოსწავლეებს მისცემდნენ ნამდვილ ცოდნას ბუნებისა და საზოგადოების, ცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მისთვის ღირებულება ჰქონდა არა ზუთხვით შეძენილ აბსტრაქტულ, განყენებულ ცოდნას, არამედ ისეთ ცოდნას, რაც ერთი მხრით, „პირდაპირ ცხოვრებას ეხება“, და, მეორე მხრით — „ანვითარებს მოსწავლეთა ფორმალურ ნიქს“. ამისდამიხედვით სწყვეტს ი. გოგებაშვილი სპეციალური და საერთო განათლების საკითხს.

*

იაკობ გოგებაშვილი იცნობდა სწავლების ყველა მოწინავე ზოგად-დიდაქტიკურ პრინციპებს. იგი თავის მეცნიერულ-პედაგოგიკურ შრომებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლების ისეთი პრინციპების შემდგომ გაუმჯობესებისა და კონკრეტიზაციის საკითხებს, როგორცაა შეგნებულობის, თვალსაზიროების და სხვა პრინციპები.

სწავლების ეს ზოგად-დიდაქტიკური პრინციპები მან თავისი სახელმძღვანელოების შედგენისას გამოიყენა ისეთი ცოდნითა და ოსტატობით, ისეთი სიფაქიზითა და სწავლების დიდაქტიკური წესების ყველა უმკირესი ნიუანსის გათვალისწინებით, რომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით — ამ მხრივ იგი უბადლო დიდაქტიკოსია.

ძირითად დიდაქტიკურ პრინციპად ი. გოგებაშვილი თვლიდა შეგნებულობასა და აქტივობას სწავლებაში. ამ საკითხში იგი მთლიანად იდგა კ. დ. უშინსკის პოზიციაზე, რომელიც წერდა, რომ „მერი სინათლის გამეფებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს ყოველი სწავლება“. ი. გოგებაშვილის აზრით, სწორედ ეს „სინათლე“ მოსწავლის შეგნებაში უნდა წარმოადგენდეს ყოველგვარი სწავლების საძირკველსა და საგანს. იგი წერდა: „სწავლებას, რომ ის პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს, ყოველ ნაბიჯზე და ყოველ სიტყვაზე თან უნდა ახლდეს სრული გავება; სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიმაგრისა და სიმტკიცის აღზრდა“, ურომლისოდაც არ არსებობს წარმატება სწავლებაში, რადგან „მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა ღრმა, შინაგან მხარეებს“.

ი. გოგებაშვილის მართებული აზრით მხოლოდ გასაგებ და რეალურ მასალას შეუძლია შექმნას მოსწავლეში ინტერესი და მისწრაფება გაიგოს და შეითვისოს მისი შინაარსი, დასძლიოს სასწავლო სიძნელე. აკრიტიკებდა რა ამ მხრივ თავის თანამედროვე სკოლას, ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ სკოლა ამზადებს არა შეგნებულ ადამიანებს, არამედ „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ თუთიყუშებს“. იგი წერს: „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევეუდგეთ შეძენას ნამდვილის, ქეშმარიტი ცოდნისას“.¹

თუ მხედველობაში ვიკონიებთ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების საერთო ხასიათს, მაშინ გასაგები იქნება, რატომ იძლეოდა ის უდიდეს მნიშვნელობას თვალსაჩინოებებს პრინციპს სწავლებაში. იგი არა ერთხელ მიუთითებდა, რომ აღზრდასა და სწავლებაში არ შეიძლება დაცული იქნას შეგნებულობა, თუ თვალსაჩინოებით არ არის გამსჭვალული მთელი სწავლება. მაგრამ მისთვის ეს პრინციპი არ არის თვითმიზნობრივი. მისი აზრით, თვალსაჩინოების გამოყენება უნდა ხდებოდეს ბავშვების ასაკის, სასწავლო მასალის თავისებურებისა და იმ პირობების შესაბამისად, რა პირო-

1. ჩანელი ნაწერები, ტ. II. გვ. 276.

ბებშიც მიმდინარეობს სწავლება. „ამრიგად, — წერს გოგებაშვილი, — ჯერ საგანი, შემდეგ მისი სახელწოდება; ჯერ მხედველობითი შთაბეჭდილება, შემდეგ სმენითი აღქმა. თუ არ შეგიძლიათ უჩვენოთ თვით საგანი, უჩვენეთ ბავშვებს ნახატი. თუ ხელთ არც ერთი გაქვთ და არც ნეორე, ან სიტყვა გამოდის მხედველობის სფეროდან, მაშინ მოიშველიეთ ცოცხალი სიტყვა“. ამ იდეას იცავს იგი თავის მრავალ მეთოდურ შრომაში.

სწავლების თანმიმდევრობა და თანდათანობა, გოგებაშვილის აზრით, სწავლების წარმატების აუცილებელ პირობას და მის „ურყევ კანონს“ წარმოადგენს. ამ თანმიმდევრობასა და თანდათანობას იგი გასაოცარი ოსტატობით იცავს თავის სახელმძღვანელოებში.

სხვა დიდაქტიკურ პრინციპებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების მიერ სრულფასოვანი ცოდნის შეძენას, ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ პედაგოგიურ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეების მიერ ცოდნის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლებას. ამ ღონისძიებათა სისტემაში გოგებაშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა განმეორებას, — როგორც გზადაგზა, ისე სპეციალურ განმეორებას. იგი ხშირად ამბობდა ხოლმე — „განმეორება სწავლის დედაა“ და მოითხოვდა სწავლების ისეთ წარმართვას, რომ გავლილი მასალა განმტკიცებული ყოფილიყო ახალი, მომდევნო მასალებით და ხშირი განმეორებით.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიხედვით სწავლების ითელი სისტემა გამსკვალულია აღმზრდელობითი სწავლების პრინციპით ისე, როგორც კ. დ. უშინსკისა, რომელიც ამბობდა, „სწავლა აღზრდის უძლიერესი ორგანოა“, ი. გოგებაშვილსაც ვერ წარმოედგინა აღზრდისაგან მოწყვეტილი სწავლება. ხალხურობის პრინციპის შესაბამისად, აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების აღზრდა ბავშვებში.

სწორედ ამ მაღალ აღმზრდელობითმა მიმართულებამ არგუნა წილად ბრწყინვალე წარმატება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, აქცია ისინი საყვარელ წიგნებად არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ დიდებისთვისაც, რომლებიც ოდესღაც ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ.

* * *

ი. გოგებაშვილი საერთო განათლების სისტემაში უდიდეს როლს მშობლიურ ენას ანიჭებდა და მას მთელი სწავლების ქვაკუთხედად თვლიდა.

ი. გოგებაშვილი სავსებით იზიარებდა კ. დ. უშინსკის აზრებს იმის შესახებ, რომ სკოლა, რომელიც აგებული არ არის დედაენაზე, „პირველ დღიდანვე, და ერთობ გულცივად, მოაგონებს ბავშვს, რომ იგი თავის სახლში არ არის... ასეთი სკოლა ხალხის ცხოვრებაში ვერ გაიდგამს ფესვებს და ვერ მოუტანს მას სასარგებლო ნაყოფს“. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ი. გოგებაშვილიც: „სადაც კი ქვეყნის განათლების ლაშქარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა, სწავლება დედაენაზე, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა... რომელს ქვეყანაშია კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ, განათლების მაგიერ — დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და აწალღების მაგიერ — მისი დაცემა“.

თავისი მრავალი პედაგოგიკური და პუბლიცისტური შრომებითა და სტატიებით, რომლებიც ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე, ი. გოგებაშვილი ენერგიულად იღწვოდა იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრი შემოეკრიბა დედაენის დასაცავად. მისი შესანიშნავი შრომა „ბუჯი ეროვნებისა“ ამ მხრივ ფრიალ საყურადღებო მეცნიერულ-პედაგოგიკური და პუბლიცისტური ხასიათის შრომაა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვივებაში.

მაგრამ მშობლიური ენის შესწავლის დარგში ი. გოგებაშვილის ყველაზე დიდი ისტორიული დამსახურებაა მისი სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით მისი „დედაენა“. მართო ის ფაქტი, რომ ეს სახელმძღვანელო მთელი 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველ ხალხს და ახლაც დაწყებითი სკოლის სტაბილური სახელმძღვანელოს „დედაენის“ საფუძველს წარმოადგენს, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ი. გოგებაშვილი უკვდავი იქნებოდა მაშინაც კი, ამ სახელმძღვანელოს ძეტი რომ არაფერი შეექმნა.

განსაკუთრებით დიდია ი. გოგებაშვილის „დედაენისა“, „ბუნების კარისა“ და მისი საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების როლი ახალი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში.

*
*

ი. გოგებაშვილს სწამდა, რომ მშობლიურ ენის ცოდნასთან ერთად, ქართველი ხალხისათვის აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ი. გოგებაშვილი რუსულ ენას თავის მეორე მშობლიურ ენად თვლიდა. ის სავსებით იზიარებდა საქართველოსათვის რუსული ენის მნიშვნელობის იმ შეუასებას, რასაც იძლეოდა ი. კავკაზაძე. „თქმა არ უნ-

და, — წერდა ი. ჯავახიანი, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავტორიანობა: არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადოდ საქმეში სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ თითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

ილია ჯავახიანისთან ერთად ი. გოგებაშვილი სთვლიდა, რომ რუსული ენის, ამ „ყოველი კავკასიელისათვის დიდი სიკეთის“, ცოდნის გარეშე... შეუძლებელია გახდეს დიდი სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქე.

ი. გოგებაშვილს ახასიათებდა თავისი სამშობლოს ინტერესებისადმი უანგარო თავდადება, სალი და სრული შეგნება იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რაც ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის ჰქონდა, აქვს და ექნება რუსული ენის ცოდნას. ყოველივე ეს კი მისთვის იქცა იმ დაუშრეტელ წყაროდ, საიდანაც მოდის მისი უმდიდრესი მეცნიერულ-პედაგოგიური მემკვიდრეობა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების საკითხებზე. ამ მემკვიდრეობის საგანძურში, თუ არ ჩავთვლით მის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ პედაგოგიკურ შრომებს, შედის: „Русское слово“ ч. I (1906), „Русское слово“, ч. II (книга для чтения), „Методическое руководство для учителей и учительниц грузинских школ к преподаванию по книге „Русское слово“ (98 გ.), „Как улучшить Кавказскую народную школу“ (60 გ.), „Государственный язык в грузинских начальных школах“ (98 გ.), „Разбор учебных руководств по русскому языку“ (96 გ.), „О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения“ (30 გ.), „Нормальное письмо“ (32 გ.) და მრავალი სტატია, მოთავსებული რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში.

იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს I და II ნაწილი ფრიად მღალახარისხოვანი სახელმძღვანელოები იყო, ისინი 40 წლის განმავლობაში დარჩნენ რუსული ენის უცვლელ სასწავლო წიგნებად საქართველოს სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ სდევნიდნენ კავკასიის სასწავლო ოლ-

ქის შავრაზმელი მესვეურნი. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მანც წარმატებით უძლებდნენ ასეთ შემოტევებს და თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოებად რჩებოდნენ საქართველოს ყველა დაწყებით სკოლაში.

„Русское слово“-ს მალალ ხარისხზე, მის მეთოდიკურ გამართულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეს სახელმძღვანელო ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიაში და მის გარეთაც. „Русское слово“-ს ორივე წიგნს იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ოსურ სკოლებში, და ყაზანის გუბერნიაში, კერძოდ ჩუვაშითა სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელოები სხვა ეროვნებათა სკოლებისათვის არ იყო გათვალისწინებული და მათ თავისი შინაარსითაც და ბასიათითაც არ შეეძლოთ სავსებით დაეკმაყოფილებინათ აღნიშნულ ეროვნებათა სკოლის სახელმძღვანელოების საერთო-პედაგოგიური მოთხოვნები.

როგორც აღვილობრივი, ისე ცენტრალური პრესა დადებით შეფასებას აძლევდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ რუსული ენის საიელმძღვანელოებს. ასე, მაგალითად, ჟურნალი „Филологическая библиотека“ წერდა: „რუსული ენის შესასწავლად სხვა ეროვნების პირთა მიერ შედგენილ მრავალ სახელმძღვანელოთა შორის იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ისეთ საუცხოო და ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს, როგორც ბ-ნ გოგებაშვილის შრომაა. ავტორი, ცნობილი ქართველი პედაგოგი, ეკუთვნის სწავლების ევრეთწოდებულ საგნობრივ-თვალსაჩინო მეთოდის დაჯერებულ მომხრეთა რიცხვს, იმ მეთოდისა, რაც ესოდენ აუცილებელია, როდესაც საქმე გაქვთ ისეთ ბავშვებთან, რომელთათვისაც სრულიად უცნობია ის ენა, რომლის შესწავლა ჩვენ გვიხდება არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც; უკვე არას ვიტყვით იმაზე, რომ ასეთ შემთხვევებში მასწავლებლის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მისწრაფება, რაც შეიძლება გაუადვილოს თავის მოწაფეებს ასეთი ენის შესწავლა. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველ მოსახლეობაში ფრიად გავრცელებული აზრი, რომ რუსული ენა მეტისმეტად ძნელი ენაა, ბ-ნ გოგებაშვილის მიერ წარმოდგენილი მისალა მეტად უხვი და საინტერესოა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, დალაგებულია მკაცრი თანმიმდევრობით“.

ანალოგიურ შეფასებას იძლევა აგრეთვე ჟურნალი „Началное обучение“: „გამოსცა რა თავის სასწავლო სახელმძღვანელო საქართველოსათვის, ბ-ნმა გოგებაშვილმა გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის თითოეული ხალხისათვის ფრიად აუცილებელია ჰქონდეს რუსული ენის განსაკუთრებული სახელმძღვანე-

ლო. კავკასიელი პედაგოგის აზრი უმეკველად სწორია; მისი პრაქტიკული ვანხორციელება სასურველია არა მარტო კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ, არამედ საერთოდ მთელი რუსეთის ყველა სხვა ტომების მიმართაც. „რუსკოე სლოვო“, გათვალისწინებული საქართველოსათვის, ჯერჯერობით რჩება ერთადერთ სახელმძღვანელოდ, რომელიც შედგენილია უახლოესი მეთოდის შოთხონების თანახმად... რუსული ენის შესასწავლად მასალები შერჩეული და განლაგებულია კარგად მოფიქრებული სისტემის საფუძველზე, რომლის აზრი და მნიშვნელობა ბ.მა გოგებაშვილმა განმარტა თავის შრომაში „სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის“ და ნიჭიერად დაწერილ სხვა ბროშურებში... „რუსკოე სლოვო“ მართლაც წარმოადგენს კარგ და სასარგებლო სახელმძღვანელოს ქართულ სკოლებში“. გაზეთ „კავკაზში“ ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“-ში მიიღო ასეთივე მაღალი შეფასება: „ძიუხედავად იმისა, რომ ფრიად ავტორიტეტულ და სასწავლო უწყებაში დიდი გავლენის მქონე პირთა მიერ (მხედველობაში ჰყავთ ფ. ლევიცი — დ. ლ.) აგრეთვე შედგენილია სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის, აქ გამოცემებმა ვერ შესძლეს მეტოქეობა გაეწიათ ბ.ნ გოგებაშვილის წიგნებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს სწორედ თავისი ცხოველყოფილობით და, მაშასადამე, მათი ავტორის პედაგოგიკური შეხედულებების სისწორით“.

გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დასახასიათებლად განსაკუთრებით საგულისხმოა ისიც, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის ოფიციალური ორგანოები იძულებული გახდნენ, თუმცა „რუსკოე სლოვო“-ს პირველი გამოცემიდან 27 წლის შემდეგ, ელიარებიანთ ამ სახელმძღვანელოების ღირსებები და ეცნოთ ისინი „რუსული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოებად“.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მოსწავლეებს აძლევდა მტკიცე ცოდნას რუსულ ენაში. ამავე დროს ეს სახელმძღვანელოები ხორცს ასხამდნენ თვით ი. გოგებაშვილის იმ აზრს, რომ „სხვა ეროვნებათა ბავშვებში რუსული ენისადმი სიმპათიისა და სიყვარულის გაღვიძებას, აღზრდასა და განმტკიცებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით წარმატებებს, განსაკუთრებით ეფემერულ წარმატებებს ამ ენის შესწავლაში, რადგან, ჯერ ერთი, წარმატებების საფუძვლიანობა და ზრდა დამოკიდებულია ამ სიმპათიაზე, და, მეორეც, რაც უმთავრესია, — თუ გეყვარებათ რუსული ენა, არ შეიძლება არ გიყვარდეთ მისი შემქმნელი ხალხი“.

1938 წელს საქართველოში შეიქმნა სპეციალური კომისია მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკებისა და რუსულ.

ენის საუკეთესო მასწავლებლების შემადგენლობით. ამ კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა იმ უმდიდრესი მემკვიდრეობის შესასწავლად, რაც დაგვიტოვა ი. გოგებაშვილმა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების დარგში. ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების საკითხებზე ი. გოგებაშვილის მეცნიერულ-მეთოდური შრომებისა და განსაკუთრებით მისი „რუსკოე სლოვოს“-ს (I და II ნაწ.) ძალადი ღირსებები წარმატებით არის გამოყენებული დღევანდელ ქართულ დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების საქმეში.

*
* *

მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის საერთო სისტემაში ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა აგრეთვე საბუნებისმეტყველო ცოდნას. იგი ბუნებას უყურებდა, როგორც დაუშრეტელ წყაროს ბავშვთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარბიელს ბავშვთა მოსამზადებლად მომავალი შეგნებული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ბუნებისა და მისი განვითარების კანონების ცოდნა მას მიაჩნდა ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ პირობად. ამ დარგშიც იგი აღზრდის ხალხურობის პრინციპის ერთგული რჩება.

გამოდინდა რა ადაპიანისა და ბუნების ურთიერთობის ამ სწორი გაგებიდან, ი. გოგებაშვილი დაუღალავად ქადაგებდა ხალხის მიერ საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენის აუცილებლობას. იგი წერდა: „დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები. სწორედ ამისთანა აღზრდის მეოხებით მოხდა ისა, რომ ევროპიელმა კაცობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითი დღე ზრდის თავის კეთილდღეობას მათ შემწეობით“.

ამ პრინციპულ დებულებათა საფუძველზე ი. გოგებაშვილი სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდა საბუნებისმეტყველო ცოდნის იმ უჯულებელყოფას, რაც გამეფებული იყო როგორც საოჯახო აღზრდის სისტემაში, ისე სკოლაშიც.

გარდა ამ დიდი საგანმანათლებლო და პრაქტიკული მნიშვნელობისა, რასაც ი. გოგებაშვილი აძლევდა საბუნებისმეტყველო ცოდ

ნას, ბუნების შესწავლაში იგი ხედავდა აგრეთვე დიდ პატრიოტულ აღმზრდელობით ძალას. მას სწამდა, რომ სამშობლო ქვეყნის ბუნების შესწავლა დიდად უწყობს ხელს სიყვარულის გაღვივებას სამშობლოსადმი, სამშობლო მიწაწყლისადმი, კიდევ უფრო ამაღლებს ხალხის უნარს იბრძოლოს სამშობლოსათვის, არვის დაუთმოს თავისი მიწაწყალი, რაც... „ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერიც იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“.

თავის ამ შეხედულებათა საფუძველზე, ი. გოგებაშვილმა არა მარტო ბევრი შესანიშნავი მოსაზრება გამოთქვა ბუნებისმეტყველების სწავლებისა და ხალხში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საკითხებზე, არამედ, რაც მთავარია, ყველა თავისი სახელმძღვანელო გაამდიდრა საბუნებისმეტყველო სასწავლო მასალებით. ეს მასალები ბუნებასა და მის მოვლენებს ხსნიან დარწმუნებით თვალსაზრისით და, როგორც საწართლიანად მიუთითებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ნ. ქეცხოველი „დამუშავებულია დიდი ყურადღებით და მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენებით“.

ი. გოგებაშვილი საკმაო ადგილს უთმობს თავის სახელმძღვანელოებში გეოგრაფიის მასალებსაც: „დედაენაშიც“ (II ნაწ.) და „ბუნების კარშიც“ არის სპეციალური განყოფილება გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მასალებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი სამშობლო ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლას, ვინაიდან, მისი აზრით, „სამშობლოს შესწავლა საძირკველია მისი სიყვარულისა, ნამდვილი მამულიშვილობისა“.

* *

მოსწავლეებში პატრიოტული გრძნობის აღზრდისა და მათი ყოველმხრივი განათლებისათვის ი. გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას აძლევს ისტორიის შესწავლას. თავის სახელმძღვანელოებში მას შეაქვს მასალები უმთავრესად სამშობლოს ისტორიიდან. იგი მიზნად ისახავს თვალწინ გადაუშალოს მოსწავლეებს თავისი ხალხის წარსული, გააცნოს მათ დიდი ისტორიული მოვლენები და შესანიშნავ ისტორიულ პიროვნებათა მოღვაწეობა, უჩვენოს შთამაგონებელი ეპიზოდები იმ გმირული ბრძოლებისა, რასაც ხალხი ეწეოდა თავისი დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და კულტურის დასაცავად. „მასწავლებლებს და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, — წერდა ი. გოგებაშვილი, — რომ სამშობლო ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება არ აქვს

პიზნად. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარია ერისაო. ბოლო მოძღვრებას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუწევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და რა უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მალდებოდა და ძალ-ღონით იესებოდა... რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რათა აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოამზადოს.

ასრულდა გოგებაშვილის სანუკვარი ოცნება: ქართველმა ხალხმა დიდი ოქტობროის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით შექმნა „თავისი უკეთესი მომავალი“, თავისი ნათელი და ბედნიერი ცხოვრება. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინური მოძღვრების სულსკვეთებით აღზრდილი ქართველი ხალხი სიამაყით, პატივისცემით და ღრმა სიყვარულით მოიგონებს და საუკუნოდ შეინახავს თავისი სახელგანთქცილი — დიდი პედაგოგისა და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სახელს.

ლიტერატურა: იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, თბილისი, 1913; იაკობ გოგებაშვილი, სიბუბიძეო კრებული, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1940; იაკობ გოგებაშვილი, ბიბლიოგრაფია, საქ. სსრ დაწ. და საშ. სკოლების სამეცნიერო-საყვლედი ინსტიტუტი, 1910; აბულაძე ს., იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები: კასრადე დ., იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, თბილისი, 1910; თავუჩიშვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952; ლორთქიფანიძე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1948 წ.



გერასიმე კალანდარიშვილი

(1836—1874)

ჩვენი სახალხო განათლების ისტორიაში გერასიმე კალანდარიშვილი შესანიშნავი ფიგურაა. ის იყო პირველ ყოვლისა აღმზრდელი, მასწავლებელი, — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — და შემდეგ განათლებული პედაგოგი, უანგარო საზოგადო მოღვაწე და დაკვირვებული პუბლიცისტი.

გერასიმე სიმონის-ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1836 წლის 4 (16) მარტს გურიაში, ყოფ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოთში (ამჟამად ლანჩხუთის რაიონი). მამამისს, წვრილშვილსა და სოფლის ღარიბ და თითქმის მკირემცოდნე მღვდელს, იმდენი ღონე გაჰყოლია, რომ ნიკიერ შვილს „სწავლის ძირიდან კენწერომდე“ ასდევნებოდა. კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული 25 წლის ახალგაზრდა გერასიმე კალანდარიშვილი „1861 წელს დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად“.

ლად და მას აქეთ აქამოზღღე ნიადაგ იმის ზრუნვაში იყო, რომ სასწავლებლისათვის წარმატება მიეცა; ბოლო დროს ის ცდილობდა, რომ ქუთაისში სასულიერო სემინარია დაფუძნებულყო და ეს თავისი სურვილი ეპისკოპოსის გაბრიელის გავლენით კიდევ აღასრულა... მთავრობამ დაამტკიცა სემინარიის დაფუძნება ქუთაისში“... („დროება“, 1874 წ., № 411).

მისგან ფუძედადებული ამ დიდი საქმის საბოლოო დაგვირგვინებას ის არ მოსწრებია, ხოლო იმ სასწავლებელში, რომლის ღირსეული მასწავლებელი და ზედამხედველიც ის იყო, სულ 13 წელიწადი დასცალდა მუშაობა.

1872 წ. გ. კ.-ის ეულლება, აგრეთვე ღირსეული აღზრდისა და განათლების მქონე ადამიანი, გაბრიელ ეპისკოპოსის ძმის ათანასე ქიქოძის ასული ნინო... მაგრამ მათი შინაარსიანი ცხოვრება მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა. იონა მეუნარგიას ცნობით გ. კ.-ლი 1873 წ. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გამხდარა მძიმე ავად. 14 იანვარს საავადმყოფოში გადაუყვანიათ, სადაც 1874 წლ. 27 იანვარს (ძვ. სტ.) საღამოს 11 საათზე გარდაცვლილა „შემდეგ საინჟინერის წვალებისა და შუოთვისა“ და იქვე, ქუთაისში დაუკრძალავთ.

ამ ცნობით შეშფოთებული სერგეი მესხის გაზეთი „დროება“ (№ 411) გულსტკივილით იტყობინება „სამწუხარო ამბავს. ჩვენი ქვეყანა მოაკლდა ერთს სასარგებლო კაცს. იანვრის დამლევს ქუთაისში გარდაიცვალა გერასიმე სიმონის-ძე კალანდარიშვილი, რომელიც 12-ის თუ 13-ის წლის განმავლობაში შეძლებისამებრ შრომობდა ჩვენის ხალხის განათლებისათვის. ხალხში წერა-კითხვისა და სწავლის გავრცელება იყო მისი მიზანი, რომელსაც შესწირა იპან თავისი ჯანმრთელობა“.

გაზეთი მკითხველის ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ გ. კ. ნარტო კარგი მასწავლებელი და გამოცდილი მეთოდისტი როდი იყო, არამედ დროის მოთხოვნილების სიმალღეზე მდგარი თეორიული ცოდნით აღქურვილი პედაგოგი და ავტორი რიგი პუბლიცისტური სტატიებისა და პოლემიკური წერილებისა („დროება“, „ნათობი“, „კრებული“), რომ მან „თავის სახსოვრად ერთი სახელმძღვანელო წიგნიც დაგვიტოვა. ყოველი იმისი ნაცნობი კეთილად მოიხსენიებს ამ კაცის დაუღალავ შრომას და განუდრეკლად აღნიშნული ნიზნისადმი მსვლელობას“ (იქვე).

ცხადია, ეს სახელმძღვანელო წიგნი აქვს მხედველობაში მის ღირსეულ მოწაფეს ი. მეუნარგიას, როცა ის თავის დღიურში ნუ-

გეშით წერს: „გერასიმეს რაღაც დარჩა ამ სოფლიდ, იგი სულ არ დაკარგულა“.

აღნიშნული წიგნი, „რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ“ პირველად 1866 წ. გამოიცა თბილისში, მეორედ — 1868 წ., მას შემდეგ ის ავტორის სიცოცხლეში არ გამოცემულა. საბაგიეროდ მას ისეთი მზრუნველი და რედაქტორ-გამომცემელი გამოუჩნდა, როგორც იაკობ გოგებაშვილი იყო, — დიდი მეგობარი და პატივის მცემელი გ. კ-ლის უზადო პიროვნებისა.

გ. კალანდარიშვილი ი. გოგებაშვილისათვის რამდენადმე უფროსი იყო, მათი სულიერი კავშირი იმდენად შინაარსიანი, ღრმა და მომავლის იმედებით აღსავსე იყო, რომ გ.კ. „უღვთო სიკვდილმა“ ახალგაზრდა გოგებაშვილს სასოწარკვეთილი და მწუხარე ღირიზმით აღსავსე სიტყვები ათქმევინა:

„გერასიმე და სიკვდილი, ეგ ორი საგანი აქამდის ვერ თავსდება ჩემს გონებაში, — წერს გოგებაშვილი, — ვერც გული და ვერც გონება ვერ შეჯერებია ამ საძაგელ ფაქტს. მხოლოდ ახლა მაგრძნობინა სიკვდილმა თავისი საშინელი, შეუბრალებელი და საზიზღარი ძალა, თუმცა ახლო ნათესავი ბევრი მყავს დახოცილი. როცა სიკვდილი სცელავს ჩვეულებრივ პირთა, მისს მოქმედებაში ვერ ვპოვებ განსაკუთრებულ ამალელებელ საბუთსა. მაგრამ როცა ის უდროოდ ეხება მაღალ ჭკუას, ღრმა გრძნობას. ენერგიულ და გონიერ შრომას, მტკიცე და პატიოსან ხასიათს, როცა ის ეხება იმ იშვიათ პირსა, რომელიც შეადგენს ცხოვრების მარტოს, როცა ის შეუბრალებლივ უსვამს ცელს ყმაწვილ სიცოცხლეს, რომელსაც ჰქონდა სრული უფლება ხანგრძლივი ბედნიერებისა, მაშინ, მხოლოდ მაშინ, ცხადად მიდგება თვალწინ სიცოცხლის უაზრობა“...

ამ სიტყვებს თუ დავუმატებ რამდენიმე ამონაწერი მაშინდელი თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კურსის მოსწავლის იონა მეუნარგიას დღიურიდან, გ. კალანდარიშვილის მნიშვნელობა ისედაც მცირერიცხოვან იმდროინდელს ქართველ ინტელიგენციაში, რამდენადმე წარმოგვიდგება. „გერასიმე კალანდარიშვილის გავლენამ, — წერს ი. მეუნარგია 1874 წლის ერთს თავის დღიურში, — დიდი და შესანიშნავი გზა მიჩვენა. ამ გზით უნდა იაროს ყველა ადამიანი, თუ არ უნდა, რომ ადამიანის სახელი ტყუილ-უბრალოდ არ ერქვას. ეა გზა არის ენერგიული და გონიერი შრომა, მტკიცე და პატიოსანი ხასიათი.“ რამდენიმე ამგვარი მსჯელობის შემდეგ დღიურის ავტორი დაასკვნის: „ამ პატიოსანმა და გონიერმა კაცმა შემაყვარა მე პატიოსნება და დამჯდარი ხასიათი.

მე მსურს იმას მივბაძო ყველაფერში, მინდა ყოველთვის თვალწინ მედგას იმისი ყოფა-ქცევა“. არა მარტო მისი მოსწავლეები: სააივის, არაინედ ყველა გონიერი და მოწინავე ქართველისათვის მისაბაძი იყო გ. კალანდარიშვილის უანგარო ღვაწლი და სასარგებლო შრომა. იგი არ მოსწონდა მხოლოდ ეკლესიის მაშინდელ მეთაურს, ბობოლა ბერს, საქართველოს ეგზარხოსს, რომელსაც გ. კალანდარიშვილის უდროო გარდაცვალებამ სასიამოვნო ღიმილი მოჰგვარა თურმე.

გ. კალანდარიშვილის ხანმოკლე ღვაწლი ერთგვარი სათავე გახდა ქართული პედაგოგიკური აზროვნების იმ მტკიცე მაგისტრალინა, რომელიც შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა გაავლო.

ქართველი „საზოგადოებისათვის ზრუნვა“ გ.კ-ლმა თავიდანვე მტკიცედ დანერგა. იგი სიტყვითა და საქმით ემსახურებოდა სახალხო განათლების დიდ საქმეს. იყო მედგარი დამცველი სწავლისა, სასწავლებლისა და მასწავლებელთა. როცა ვინმე „შორაპნელმა ბლალოჩინმა“ თავის სტატიაში („მნათობი“, 1869 წ., №9-10) უმართებულად გააკრიტიკა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და ზოგიერთი ბრალდებაც კი დასდო მასწავლებლებს, გ.კ-მა მას სასტიკი პასუხი გასცა („დროება“, № 41), სადაც ანხილა ავტორის ულოგიკობა, ცილისმწამებლური გამოსვლა, დემაგოგია და კონსერვატიზმი. „შ.ბლ.“ აზრით, რაკი ამ სასწავლებელში ცემა-ტყეპა აღარ არის და „შიში არა აქვთ, მოსწავლეები აღარ ისწავლიანო“. „საკნარისად ბევრია ამისთანა პირები, — წერს გ.კ-ლი, — რომელნიც აძაგებენ სასწავლებელს ამისათვის, მაგრამ მეტიცმეტად არ უნდა დაქრახოს კაცმა ეს უმეტარნი; ხშირად ისინი გულწრფელად მაინც ამბობენ, მეტი არ იციან და რა ჰქნან? მაგრამ განა შეიძლება კაცმა გულგრილად უყუროს, როდესაც ამას ამტკიცებს კაცი, რომელიც სწავლის ერთგვარ პრეტენზიებს იჩენსო?“ („დროება“, №41).

ამ ვრცელ სტატიაში კ-ლი ძირფესვიანად აბათილებს რა „შ.ბ.“ მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და ბრალდებებს, დაასკვნის: „ამისთანა ფრაზებს დომტკიცება უნდა, და თუ თქვენ ამ ჩვენს მოთხოვნილებას არ აღასრულებთ, მაშინ ვიხმართ თქვენს წინააღმდეგ იმ ზომას, რთმელიც ჩვეულებრივ ქორის გამავრცელებლებისა და ცილისმწამებლების წინააღმდეგ იხმარებაო“ და წერილს ამთავრებს, ამ შემთხვევისათვის მეტად მოხდენილ, ჰეინცს შემდეგი სიტყვებით: „ყველა კაცს აქვს უფლება როგორც უნდა ხეპრე იყოს, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, რომ ეს უფლება ბოროტად მოიხმაროსო“.

ამ მცირე ამონაწერიდან საკმაოდ იგრძნობა სტალი გ. კალანდარიშვილის პუბლიცისტიკისა, რომელიც მუდამ სკოლისა და სახალხო განათლების საკითხებს დასტრიალებდა.

გ. კალანდარიშვილის სახელის უკვდავყოფას ყველაზე მეტად იაკობ გოგებაშვილმა შეუწყო ხელი და კერძოდ იმით, რომ იგი რედაქტორობდა და სცემდა ხსენებულ სახელმძღვანელოს ავტორის გარდაცვალების შემდეგ. და არამც თუ მარტო რედაქტორობდა და ბეჭდავდა ამ წიგნს ი. გოგებაშვილი, არამედ თეორიულადაც იცავდა მას. როცა ვინმე „ქუთათურმა ბორამ“ (1883 წ., „ივერია“, №2) აღნიშნული სახელმძღვანელო მოძველებულად სცნო და მოითხოვა მისი ან გადაკეთება, ან სულ გაუქმება და ახლის შედგენა, გოგებაშვილმა თავის ვრცელ სტატიაში „უკუღმართი ნაბიჯი“ (1883 წ., „ივერია“, №3), კორესპონდენტს მეტად დასაბუთებული პასუხი გასცა და ამით დაიცვა გ. კალანდარიშვილი და მისი სახელმძღვანელოს ღირსება და დამსახურება ქართული სკოლის წინაშე.

ამ სტატიაში ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა: „განსვენებული გერასიმე კალანდარიშვილი—იყო იშვიათის ნიქის, მხნეობის და პატრიოსნების კაცი, ამასთან იგი თვითონ ასწავლიდა რუსულ ენას 14 წლის განმავლობაში სასწავლებელში, რომლის მმართველად იგი იყო დანიშნული. როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით მას კარგად ჰქონდა შესწავლილი საგანი, რომლის სწავლება სწორე, ნაყოფიერ გზაზედ სურდა დაეყენებინა. ამიტომაც სახელმძღვანელო მისი აღმოჩნდა სისტემატურად შემუშავებული და პედაგოგიურად დალაგებული. ვინც კი გულდადებით გაიცნობს ამ სახელმძღვანელოს და თავის მსჯელობას სინდისზე დაამყარებს, არ შეუძლიან არა თქვას, რომ პედაგოგიის მოთხოვნილებანი: ადგილიდან—ძნელზედ, მარტივიდან—რთულზედ, ნაცნობიდან უცნობზედ, ახლობელიდან შორეულზედ, მეტნაკლებობით არ იყოს დაცული ამ სახელმძღვანელოში“ (ტ. 1. გვ. 466).

მართალია, დრო გადიოდა, 60-ანი წლების სახელმძღვანელო 80-ანსა და 90-ანი წლების მოთხოვნილებას ყოველმხრივ ვერ დააკმაყოფილებდა, მაგრამ ი. გოგებაშვილიც ხომ ამ დროს კვალდაკვალ მისდევდა, წიგნში ახალი შესწორებები და დროის შესაფერი მასალები შეჰქონდა და ამით ორ, მისთვის საყვარელ საქმეს აკეთებდა, — გ. კალანდარიშვილის ბრწყინვალე ხსოვნა თაობიდან თაობაში გადაჰქონდა და, რაც მთავარია, ქართველ მოსწავლეებს რუსული ენის შესაფერ სახელმძღვანელოს აწვდიდა.

თუ რამდენად ძწირი იყო იმ ხანებში ნიადაგი სახალხო განათლებისა და რამდენი წყურვილიც სუფევდა აღნიშნული სახელ-

მძღვანელოსადმი. ამის ნიშნულად გამოდგება „დროების“ (1874 წ., № 433) ის კორესპონდენცია სოფ. სკანდელან, საცა ნათქვამია, რომ „განწვევბულის გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელო აქ 200-ამდე კაცს უნდა, მაგრამ შოვნა კი ძნელია. თუ არ არის დაბეჭდილი. იკისროს ვინმემ იმის დაბეჭდვაო“.

ეს „მაკისრებელი“ ი. გოგებაშვილი აღმოჩნდა და ისიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ. სისტემატურად ბეჭდავდა ამ წიგნს, ვიდრე მართლაც დრომ არ დააძველა და საჭირო არ გახდა ახალის შედგენა. ეს ახალი ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ იყო, რომელიც ნაწილობრივ გ. კალანდარიშვილის „პირველდაწყებითი კურსიდან“ მომდინარეობდა და ორივე კი, რუსეთის გამოჩენილი პედაგოგის უნიჩსკის ძირითადი პედაგოგიკური დებულებიდან მშობლიური ენის სწავლების შესახებ.

ააქართველოს სახალხო განათლების ისტორია არ დაივიწყებს გერასიმე კალანდარიშვილის სახელს.

ლიტერატურა: განეთი „დროება“, 1869 წ., № 41; 1870 წ., № 1, 12; 1871 წ., № 1; 1873 წ., № 18, 21, 22, 32; 1874 წ., № 411, 433; „მნათობი“, 1869 წ., IX—X; 1870 წ., № 1, II № 1; იაკობ გოგებაშვილი, „უკუღმართი ნაბიჯი“, ივერია, 1883 წ., № 2, 3, 4; „სასოფლო ვახაი“, 1870 წ., № 6; სოლომონ ცაიშვილი — „გერასიმე კალანდარიშვილი“, მონოგრაფია, 1947 წ., ვახეთ „სახალხო განათლების“ გამოცემა; „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი № 4: ი. მეუნარჯიას დღიურები; იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I. 1952



პეტრე უმიკაშვილი

(1838—1904)

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის თავისი დაუცხრომელი ენერგიით, შრომისმოყვარეობით და საზოგადოებრივ-სალიტერატურო დარგში მოღვაწეობით პეტრე იოსებისძე უმიკაშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია.

იგი დაიბადა თბილისში 1838 წლის 23 ოქტომბერს. ხუთი წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და მამით დაობლებული პეტრეს აღზრდა მთლიანად დედას დააწვა ტვირთად.

პირველდაწყებითი სწავლა პეტრემ მიიღო კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში. ამის შემდეგ სწავლობდა კომერციულ გიმნაზიაში, რომელიც 1854 წელს პირველ გიმნაზიას შეუერთდა. გიმნაზიის კურსი პეტრე უმიკაშვილმა დაასრულა 1859 წელს და გადასწყვიტა უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ სიღარი-

ბის გამო ეს განზრახვა პირველ ხანებში ვერ განახორციელა. 1860 წელს თავის დღიურში პეტრე ნაღვლიანად წერს: „წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვახერხებ... არ ვიცი რა ექნა, არ ვიცი რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება იმისკენ თავი მეკრა; სულ არაფერი, თუ მოვეკვდები, კეთილი საქმისათვის მოვეკვდები მაინცა“.

დედა-შვილი დიდ გაქირვებაში ჩაეარდნენ. პეტრეს სამსახური უნდა დაეწყო და ასეთი ადგილიც, როგორც იქნა გამოძებნა ვინმე აკოფოვის პანსიონში. ის მეთვალყურე მასწავლებლად დანიშნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ სამსახურს თავი გაანება, მაგრამ მალე იმავე პანსიონში მიიწვიეს ქართული ენის მასწავლებლად. 1864 წელს პეტრე უმიკაშვილი ნასესხები ფულით გაემგზავრა პეტერბურგში და შევიდა უნივერსიტეტში, სადაც 1867 წლის შემოდგომამდე სწავლობდა.

პეტრე უმიკაშვილის ბიოგრაფი პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი ამ პერიოდის შესახებ წერს: „უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე მან ჩააბარა გამოცდა ქართული ენის მასწავლებლისა (იმ დროებაში ქართული ენის მასწავლებლობისათვის უნივერსიტეტის მოწმობა იყო საჭირო). 1867 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა ტფილისში და შემდეგი წლიდან დაინიშნა ქართული ენის შტატის მასწავლებლად პირველ გიმნაზიაში. იმ დროს ყველა კლასში ქართული ენა სავალდებულო საგნად ითვლებოდა. ეს წესი შეიცვალა 1874 წელს, როდესაც ქართული ენა „არასავალდებულო საგნად“ იქნა გამოცხადებული და განიდევნა საგიმნაზიო პროგრამიდან. ქართული ენის მასწავლებელსაც ჯამაგირი გაუნახევრეს. ამ დროიდან დაწყებული ქართულ ენას ასწავლიდნენ მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში, ხოლო უმაღლეს კლასებში — მაშინ, თუ მშობლები და მოწაფეები მოისურვებდნენ. და პეტრე უმიკაშვილი უკვე მოხუცებაში შესული, გულის ტკივილით მოიგონებდა ხოლმე იმ ქართველ მშობლებს და მოწაფეებს, რომელთაც, რაბან ქართული ენა სავალდებულო აღარ იყო, არ სურდათ ქართულის სწავლა და მას წერილობით თუ სიტყვიერად უცხადებდნენ: ქართულს მერეც მოვესწრებით“¹.

გიმნაზიაში ქართულ ენას პეტრე უმიკაშვილი 25 წლის განმავლობაში ასწავლიდა (1868-1893 წ.წ.). ქართული ენის გაკვეთილები მას ჰქონდა აგრეთვე ქალთა ინსტიტუტშიც და ცოდნასა და ენერჯიას არ იშურებდა, რათა საგნის სწავლება სათანადო დონეზე ყოფილიყო დაყენებული.

¹ პეტ. უმიკაშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 15.

1893 წლიდან მან თავი დაანება მასწავლებლობას და მუშაობა დაიწყო ნიკ. ლოლობერიძესთან, რომელიც მარგანეცის დამუშავებას აწარმოებდა.

1897 წელს დაბრუნდა ისევ თბილისში და ამის გამო მეტისმეტად გახიზრებული ერთ კერძო წერილში წერდა: „რა პაერია ტფილისში! ველარ გაემძღარეარ სუნთქვით და ჰამით. ვხელავ გზაზე ჩემს ნამოწაფრებს პირველი გიმნაზიისას. პატარები დავტოვე. ახლა დავაეკაცებულან ამ 4 წელს და სიყვარულით, პატივისცემით ნებვევიან გარს. ეს დიდი საჩუქარია ჩემთვის“.

სიკვდილის წინა წლებში მსახურობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკში. იგი გარდაიცვალა 1904 წლის 28 მაისს.

პეტრე უმიკაშვილმა მწერლობა გიმნაზიის დასრულებისთანავე დაიწყო. მისი პირველი ლიტერატურული ნაშრომი (თარგმანი) „მწერალს რა ეჭირება“ დაიბეჭდა 1850 წელს „ცისკრის“ დეკემბრის ნომერში. 1864 წელს მან შეადგინა და დაბეჭდა „ქართული ანბანი“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. 1866 წელს თბილისში გამოქვეყნდა პეტრე უმიკაშვილის წიგნი: „ძველი ხალხების ცხოვრება. ინდოელები და ეგვიპტელები.“

მაგრამ ნამდვილი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა პეტრე უმიკაშვილმა რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო.

წერდა ორიგინალურ პიესებს, პუბლიცისტურ წერილებს, გამოკვლევებს, აგროვებდა და ბეჭდავდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სცემდა ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს. რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“ 1874 წლიდან 1880 წლამდე, აწარმოებდა შთარგმნელობით მუშაობას და სხვა.

მისი რედაქტორობით (ზოგჯერ თანარედაქტორობით) დაიბეჭდა დ. გურამიშვილის „დავითიანის“ I ნაწილი (1870 წ.), 1894 წელს გამოვიდა „დავითიანის“ სრული კრებული, რომელსაც პ. უმიკაშვილის საუუძვლიანი გამოკვლევა აქვს დართული („დავით გურამიშვილი და იმის წინა დროება“), „ვისრამიანი“ (1884 წ.), „დასტურლამალი“ (1886 წ.), ალ. ქავკავაძის, ნ. ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის და სხვათა ლექსების კრებულები და ა. შ.

თავის წერილებში, შენიშვნებში და წიგნებში პეტრე უმიკაშვილი ეხებოდა ქართული კულტურისათვის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს (ისტორია, პოლიტიკური მდგომარეობა, ლიტერატურა, სასოფლო მეურნეობა, თეატრი, სწავლა-განათლება და სხვ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის ქართული ენის მდგომარეობას, სკოლებს და, საერთოდ, სახალხო განათლების საკითხებს.

მას უაღრესად უყვარდა თავისი სამშობლო საქართველო. 1860 წლის 31 დეკემბერს „დღიურში“ აღნიშნავდა: „ზარზან ამ დროს მთაზე გაეცა ცილე ძველი წელიწადი და ახალს დაუფუხედი... ლხინივით მაკონდება მაშინდელი მგზავრობა, მთაზე რომ მივიდიოდი ღულღუნით, რომ გულიანად ვლოცულობდი საქართველოსათვის“. სამშობლოს წინმსვლელობისათვის იმედს კი მამულიშვილები წარმოადგენდნენ. „თუპცაკი ჯერ ცოტანი არიან მამულის სიკეთისათვის მზათა. განათლება ჩვენთვის საჭირო, სახალხო განათლება“, წერდა პ. უშიკაშვილი.

1900 წელს მან ეურნალ „ჰომამის“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ქართული თეატრი და ლიტერატურა“. ავტორი მიმოიხილვას უკეთებდა განვლილი წლების მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს და ნაკლოვანებებს და აღნიშნავდა: „ყველაზე წინ ამ საერთო გამოლაპარაკებაში სწავლა-განათლების სურვილია. გადაათვალიერეთ გაზეთები. რა რიგად დრტეინავს ხალხი უმეცრებაზე, უსკოლობაზე...“

.. პედაგოგიურ და პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურამ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისეთი ადგილი ვერ დაიკვია, როგორც ეურნალ-გაზეთებმა.

... ეს ფრიად დიდი ნაკლია და ამის შევსება ერთი დიდად საჭირო. საგანია მოპაელის შრომისათვის“.

თვითონ პეტრე უშიკაშვილი ახალგაზრდობიდანვე შეძლებისდაგვარად ცდილობდა არსებული ხარვეზის შევსებას. ამ მიზნით შეადგინა მან „ქართული ანბანი“ (პირველად გამოაცა 1864 წ., მეორედ—1865 წ., მესამედ—1866 წელს). „დედანი ქართული წერისა“ (სხვათა შორის ეს არის ქართული წერის პირველი დედანი) და სხვა. რასაკვირველია, ამ წიგნებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც ახლდა, მაგრამ თავის დროზე მათ საკმაო სამსახური გაუწიეს ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას.

წიგნების გამოცემებისა და ბეჭდვის დაუცხრომელი მქადაგებელი იყო პეტრე უშიკაშვილი. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ლიტერატურის სისტემატური კითხვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების საერთო დონის ამაღლებას და ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესებას. იგი მოსწავლეთა მშობლებს ურჩევდა თავიანთი შვილების აღზრდაში მეტი მონაწილეობა მიეღოთ და, კერძოდ, მიუთითებდა კითხვის დიდ სარგებლობაზე.

„რიგიან ოჯახებში, — წერდა პეტ. უმიკაშვილი, — შვილებისათვის წლოვანების მიხედვით ყიდულობენ შესაფერის წიგნებს, თანდათან უმატებენ ამისთანა სამკითხველოებს, ინახავენ და ერთი შვილისათვის ნაყიდი მეორეს გამოადგება, მეორე—მესამეს და ამგვარად ერთხელ დაფუძნებული ნელ-ნელა შეუძნეველად დიდდება, საოჯახოდ მთელი კრება წიგნებისა გროვდება, არ იფანტება. დედამა ყმაწვილებს წიგნების მოვლას და შენახვას ასწავლის, წიგნების შერჩევასა და კითხვას აჩვენებს. ამგვარი ხელის შეწყობა ყმაწვილებს უღვივებს თვითმოქმედების, თვითგამჭირიახობის ძალას და ეხმარება, რომ ყმაწვილმა სასწავლებელშიაც უმეტესი მზნეობა, გასჯა და ხალისი გამოიჩინოს“¹.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც პეტრე უმიკაშვილი იჩენდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი“. როგორც ცნობილია, ეს საზოგადოება ძირითადად არსებობდა საწევრო ანარიცხებითა და სხვადასხვა პირთა ნებაყოფლობითი შემოწირულებებით. ქართველ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ის გარემოება, თუ რა უდიდეს საქმიანობას აწარმოებდა თვითმპყრობელობის მძიმე და სულისშემბუთველ პირობებში ჩვენი მოზარდი თაობის სწავლალზრდისათვის წერა-კითხვის საზოგადოება.

ამიტომაც იყო, რომ პეტრე უმიკაშვილი ყოველ შესაძლებლობას იყენებდა, რათა პირადად თვითონ, ან სხვისი შემწეობით ზეგავლენა მოეხდინა ამა თუ იმ შეძლებულ პირზე და წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეღწირობა გამოეთხოვა.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა პ. უმიკაშვილის ის წერილი, რომელიც პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა გამოაქვეყნა და მიმართულია 1903 წელს ფლორენციაში მიმავალ ნ. ლოლობერიძისადმი. „მანდ ფლორენციაშია, როგორც გამიგონია, ალექსანდრე ზუბალოვი. თუ მანდ არის, შეეკვლია, ნახავ. რას შერება ეგ კაცი? ამბობენ, კარგი დიდი კოლექცია შეუკრებია ანტიკვარული. რა ოხრად უნდა, თავისი მდიდარი ძმისწულებისათვისა? ეგები სიტყვა გაუტარო და ანდერძი გააკეთებინო „წერა-კითხვის“ მუზეუმის სასარგებლოდ... ცუდი არ იქნება შენი ანდერძიც გააცნო მაგ პირქუშს, ეგებ რამე გამოდნეს. აქედამ მანდ მდიდარ ქვეყანას უნდა შემატოს და ჩვენ ლარიბ ქვეყანას უნდა გამოაკლოს აქ ნაშოვნი? აქ ყოფნის დროს ვითომ რაღაცაებს ფიქრობდა „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ შენობაზე და მერე კი მიჩუმდა. ეგ ცოტა დუნე კაცია და კარგი ჩიჩინი უნდა. ეცადე, კარგა მოელაპარაკე შენებუ-

¹ „კვალი“, 1893 წ., № 5, გვ. 2.

რად, ეგებ ოამე გააკეთოს. ცოტა რბილი ლაპარაკის შუა სუსხა-
დაც რომ ელაპარაკო, ცუდი არ იქნება“.

მისი უმწიკვლო მოღვაწეობის გამო პეტრე უმიკაშვილი გულ-
წრფელად უყვარდა ქართველ საზოგადოებას.

კერძოდ. დიდად აფასებდა მას ილია ქავკავაძე. ჩვენი სახელ-
ვანთქმული მწერალი 1890 წლის 31 მარტს პ. უმიკაშვილს სწერდა:

„ძპაო პეტრე! ჩემდა საოცრად მე შევატყვე, რომ შენ რაღა-
ცაზე ხარ ჩემზე გაჯავრებული და ეს მით უფრო შესაწუხებელია
ჩემთვის, რომ ვერ მომისაზრებია რა უნდა იყოს ამის მიზეზი, შენ-
გან მიკვირს, რომ თუ რამ მიზეზი გაქვს. აქამომდე პირდაპირ არ
ნიუხაბი. აშას თხოულობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა, თუ გიყ-
ვარდე და ჩემი მცირეოდენი პატივისცემა შეკრჩენია. ამაღამ ჩემ-
თან მოდი გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებიან, „იფერიაზე“
გვექნება ლაპარაკი და მინდა რომ შენც დაესწრო და შენი რჩევა
გავაცნო. თუ სამუდამოდ ჩემი შემოწყრომა და ჩემზე ხელის აღება
არ გინდა, გვხვეწები უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდე“

ეს პირალი წერილიც ერთხელ კიდევ ადასტურებს. თუ რამ-
დენად საპატიო ადგილი ეკავა ქართველ მოღვაწეთა შორის პეტრე
უმიკაშვილს, რომელიც თვითმპყრობელობის დროს 30 წლის
განმავლობაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ჩვენს
ნორჩ თაობას.

ლიტერატურა: პეტრე უმიკაშვილი, ქართული ანბანი, 1864
წ., დედანი. მრგვალი ხელი, ნუსხური ხელი, 1878 წ.;
წეწრუბული ნრომა ლიტერატურისათვის, „კრებული“,
1872 წ. № 5-9; ძველი წიგნების გამოცემის შესახებ,
„ნათობი“, 1869 წ., № 11-12; სამეცნიერო ნუსხობა,
„ნობაზე“, 1900 წ., № 2; ანტონოვისა და ერისთავის
ურთიერთობა, „კვალი“, 1898 წ., 9; ქართული
თეატრი და ლიტერატურა, ყურ. „ნობაზე“, 1900 წ.,
№ 1; ქართული მწერლობა, საქართველოს კალენდარი,
1901 წ.; ქალი და ძივი განათლება, საქართველოს კა-
ლენდარი, 1903 წ.; კრებული „პეტრე უმიკაშვი-
ლის სასაფრად“, 1904 წ.; პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი.
პეტრე უმიკაშვილი (ერცელი ბიოგრაფია), რომელიც
დაკრებული აქვს პ. უმიკაშვილის „ხალხურ პოეზიას“,
1937. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1935 წ.



ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილი

(1842—1890)

იმ ქართველ ქალთა შორის, რომელთაც თავი გამოიჩინეს ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანა ბესარიონის ასულ ლოლობერიძე-მუსხელიშვილისას.

თავის პრაქტიკული საქმიანობით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი განათლების ასპარეზზე, მან უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა თანამედროვეთა შორის.

ცნობილი ქართველი მოღვაწე ქალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა მის შესახებ წერდა: „ზოგჯერ არიან ისეთნი პირნი, მართალია იშვიათნი, რომელნიც თუმცა ვიწრო წრეში მოქმედობენ, მაგრამ მათი გავლენა ისეთნაირად აღიბეჭდება ყველა ადამიანზედ, რომ რაც უნდა დრო გავიდეს დაუვიწყარი რჩება და უკრო

ბევრი სარგებლობა მოაქვს, კიდრე ღიდ ნიქს, რომელსაც ხშირად: კაცი ბოროტებით ხმარობს¹. ასეთ მოწინავე და სასარგებლო ადამიანად მიაჩნდა ანა მუსხელიშვილისა ბევრ სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესაც, რომელთაც კი ურთიერთობა ჰქონიათ მასთან და მის საქმიანობას საფუძვლიანად იცნობდნენ².

ანა ბესარიონის ასული ლოლობერიძე-მუსხელიშვილისა დაიბადა 1842 წელს ქ. ქუთაისში. მისი ხასიათის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა მშობლიურმა ოჯახმა. მშობლები პატარა ანას გულში უნერგავდნენ კაცთმოყვარეობას და ფაქიზ გრძობებს. გარკვეული გავლენა მოახდინეს მასზე აგრეთვე მისმა ძმამ ნიკო ლოლობერიძემ და ბიძაშვილმა ბესარიონ ლოლობერიძემ—შენიღეგში ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა.

ანა მუსხელიშვილმა დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელსაც ან. წერეთლის სიტყვით, ბავშვებს საფუძვლიან ცოდნას ვერ აძლევდა, მაგრამ ანამ დანაკლისის შევსება შესძლო თვითგანვითარებით; მისთვის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები შეიქნა საუკეთესო და განუყრელი მეგობარი. სისტემატური კითხვით, ბეჯითი და ენერგიული მეცადინეობით მან შესძლო სათანადოდ მონაზღებულებიყო საზოგადოებრივი მუშაობისათვის.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გადასწყვიტა ახალციხეში დაეარსებინა ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლა უფასოდ უნდა ყოფილიყო. ეს კეთილშობილური განზრახვა ანა მუსხელიშვილმა განახორციელა ვასული საუკუნის 70-ან წლებში და სკოლის შენახვის მთელი ხარჯები თვითონ იკისრა.

1873 წლის ჟურნალ „კვალის“ 27-ე ნომერში ანასტ. წერეთელმა ასეთი გულთბილი სიტყვები უძღვნა მას: „ახალციხის დედათა სკოლა თუ არსებობს აქამდის, სულ მისი მეცადინეობით და მისი გულწოდგინე შრომით არის და ეს სკოლა ისეთ ზნეობითს საფუძველზეა დაარსებული, რომ იქიდან ბევრი ნმრომელი მამულიშვილები გამოსულა და ახლაც ამგვარი სკოლების გამართვა სანატრელია. ამ სკოლის მოწაფეებს ბევრს დაუთმავრებია გიმნაზიაში სწავლა კიდევ და ანა მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით საუკეთესო მასწავლებელნი გამოსულან... ეს გულმოდგინე მშრომელი თვითონ იყო სკოლის გამძღოლი, თვითონ იყო მატერიალური საშუალების მომპოვებელი, თვითონ იყო მასწავლებელიცა.

1. სხვათა შორის ჩვენმა დიდებულმა პოეტმა აკაკი წერეთელმა ანა მუსხელიშვილს უძღვნა თავისი ცნობილი ლექსი „ვარდის ხმაზე“ („მე ჩონგური მისთვის მინდა“).

სკოლა ახლად დაარსებული იყო, როდესაც მე მომიხდა გავლით ახალციხეში ყოფნა და ძნელი წარმოსადგენია, რა გამტაცებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ, თხუთმეტი წლის ქალზედ, როდესაც ანა ბესარიონის ასული თავის სკოლაში ხან გაკვეთილს აძლევდა, ხან გარშემორტყმული ყმაწვილებით, უამბობდა იმათ რასმე და უკითხავდა“.

1875 წელს ანა მუსხელიშვილისა დროებით ქუთაისში გადასახლდა და იქაც ენერგიულად განაგრძობდა საზოგადოებრივ საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა ღარიბ მოსწავლეთა ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად.

1885 წელს ისევ დაბრუნდა ახალციხეში საცხოვრებლად და გარდაცვალებამდე მზრუნველობა და ყურადღება არ მოუკლია მის მიერ დაარსებული სკოლისათვის. იგი გარდაიცვალა 1890 წლის მაისში.

მისმა სიკვდილმა გულწრფელად დაამწუხრა ქართველი საზოგადოება. მაშინდელმა ქართულმა პრესამ ფართოდ აღნიშნა ანა მუსხელიშვილის უანგარო ღვაწლი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის ზრუნვას ახალციხის სკოლის მოსწავლეთა მიმართ.

1890 წლის გაზ. „ივერია“ (№ 112) ანა მუსხელიშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერდა: „დიდი უმრავლესობა ამ სკოლის მოსწავლე ქალთა ეკუთვნოდა ახალციხის უღარიბეს წრესა. ეს ღარიბი მოსწავლე ქალები თავისავე ხელსაქმით ირჩენდნენ თავსა და ხშირად ეხმარებოდნენ თავის ღარიბ ოჯახსაც. გულის დამატკბობელს სანახავს წარმოსადგენდა მაშინდელი ღარიბ ქალთა სკოლა ახალციხისა, დაუძინებელი ქვეშარიტ სიყვარულზე და გონიერ შრომაზე. ხსოვნა იმ ხანში იქ გატარებულის დროისა მთელს თავის სიცოცხლეში ცხოვრების მანათობელ სანთლად ენთება თითოეულ იმ ღარიბ ქალთათვის, რომელნიც ანა მუსხელიშვილისამ გამოიყვანა სიბნელიდან და მისცა შეძლება სწავლა-ცოდნის შეძენისა. ასეთი სამაგალითო სკოლის დაარსება შეეძლო მხოლოდ ისეთს იშვიათს აღამიანსა, როგორც იყო განსვენებული ანეტა, რომლისთვისაც არ არსებობდა არაფერი კერძო, საკუთარი ინტერესი. იმის ცხოვრება მთლად ეკუთვნოდა მის სკოლას, რომლითაც განახორციელა თავისი საზოგადო მოღვაწეობა“.

ანა მუსხელიშვილი გულწრფელად უწყობდა ხელს ყველას, ვისაც კი ცოდნის შეძენის სურვილი ჰქონდა. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა დაწესებულება-საზოგადოებაში, რომლებიც კი ჩვენი ქვეყნის კულტურულ წინსვლელობას ენახებოდა.

ან მხრივ აღსანიშნავია ის მხურვალე თანაგრძნობა, რომელიც ანა მუსხელიშვილმა გაუწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამაარსებელთა წრეს.

იაკობ გოგებაშვილი ამის გამო წერდა: „ამაყე წრეს ამშვენებდა ხანდახან ახალციხიდან ჩამოსვლის დროს ანა ბესარიონის-ასული მუსხელიშვილისა, ღვიძლი და ნიკოლოზ დოლობერიძისა. ეს იმე-რეთის ასული მაშინ საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელს შვედნებულს საქართველოში თავისი იშვიათი კუჭით, მომზიბლავი გულკეთილობით. დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწი-ლეობით ყველა საზოგადო საქმეში. მან სხვათა შორის დააფუძნა იმ დროს საქველმოქმედო საზოგადოება ახალციხეში და დააარსა საქალებო სკოლა, რომელიც დღემდე არსებობს“.

ხოლო მეორე წერილში ჩვენი დიდი პედაგოგი ანა მუსხელი-შვილისა და მისი სკოლის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა: „მისი მე-ცადინეობით ქ. ახალციხეში გაიხსნა ქართველთა მოზარდი თაობი-სათვის პირველდაწყებითი სკოლა, წმინდა პედაგოგიურ გეგმაზე აშენებული და ჩანებულად წარმოებული მისი სიცოცხლის დროსა“ „განათლება“ 1912 წ., №1, გვ.49).

ანა მუსხელიშვილმა ბევრი მოსწავლე აღზარდა და ცხოვრების ვხაზე დააყენა, ბევრი ახალგაზრდა მასწავლებელი მისი ხელმძღვა-ნელობით ეფუძლებოდა პედაგოგიურ ხელოვნებას, სწავლობდა ბაე-შვიტისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას და ხალხისადმი სამა-სურს.

ანა მუსხელიშვილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი შეჰანიშნავი მასწავლებელთაგანი იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ბაეშვთა აღზარდას საქმეს მოახლოება და ბევრ ახალგაზრდა ქართველ ქალს გაუხსნა გზა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწი-ლეობის მიხალეხად.

ლიტერატურა: I. ან. თუმანიშვილი - წერეთლისა, ანა მუსხელიშვილი, „კვალი“, 1933 წ., № 27;

II. ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა ქ.შ. წ. ქ. გამავრცელებელი საზოგადოება, „განათლება“, 1912 წ. № 2; მეგობართაგანი, მასწავლებელი ნინო ნიკოლაიშვილი, „განათლება“, 1912 წ., № 1; კახა-ბერი, სამწერლო აპარატზე მოღვაწე ილ. აღმახი-შვილი. „განათლება“, 1916 წ., № 1;



ნიკო ტხვეტაია

(1845—1911)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ნიკო ცხვედაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ილია ჭავჭავაძის თაობის დიდ საზოგადო მოღვაწეთა ბრწყინვალე პლედის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნიკო ცხვედაძე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაუღალავად და უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენში საერთოდ კულტურისა და, განსაკუთრებით, სახალხო განათლების დანერგვისა და განვითარება-გაუმჯობესების საქმეს.

ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე დაიბადა 1845 წლის 8 იანვარს სოფელ სოკინში. ბავშვობის პირველი წლები მან სოფელ კავთისხევში გაატარა. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში; საშუალო ცოდნა — თბილისის სასულიერო

სემინარიანი, ხოლო უმაღლესი განათლება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში (1865—1869 წ. წ.).

1869 წელს შეუდგა ნიკო ცხვედაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი დარინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდა სახელგანთქპული ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. ნ. ცხვედაძე სემინარიაში პედაგოგიური მუშაობის დაწყებისთანავე დაუშვებობდა ი. გოგებაშვილს და მისი ერთ-ერთ საიმედო და ბოლომდე მტკიცე თანამებრძოლთაგანი გახდა. ამ სემინარიის ცნობილი რევიზიის შედეგად, რომელიც სინოდის მიერ სპეკიალურად, საგანგებო დანიშნულებით გამოგზავნილმა რევიზორმა კერსკიმ ჩაატარა (1873—1874 წ. წ.), სემინარიიდან მოხსნილ იქნა ჩვენი სასიქადულო პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი იმ პროგრესული იდეების გამო, რომლებსაც იგი მოსწავლეებს შთააგონებდა, და ნიკო ცხვედაძეც იძულებული შეიქნა სამუდამოდ დაეტოვებინა სემინარია.

სასულიერო სემინარიიდან გამოძევებული და ექსორიაქნნილი ნიკო ცხვედაძე ერთ ხანს კერძო გაკეთილებით ცხოვრობდა. ბოლოს იგი დარინიშნა ისტორიისა, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად თბილისის საქალებო ინსტიტუტში, სადაც ინსპექტორად ბესარიონ ლოლობერიძე მუშაობდა. ამავე დროს ნ. ცხვედაძე მასწავლებლობდა თბილისის ყოფ. წმინდა ნინოს სასწავლებელშიც. ამ სასწავლებლებში პედაგოგიურ სარბიელზე ნიკო ცხვედაძემ სრული 27 წელი (1874—1901 წ. წ.) იმუშავა კეთილსინდისიერად და ამ დანსახურების საფუძეველზე მიიღო კუთვნილი პენსია და თავი გაანება მთავრობის სკოლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ნიკო ცხვედაძე თავიდანვე დაუახლოვდა ილია ქავქავაძეს, დიმიტრი ყოფიანს, იაკობ გოგებაშვილს და მე-19 საუკუნის 60—70-ანი წლების სხვა ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და მათთან ერთად ჩაება დიდი მასშტაბის საზოგადოებრივ საქმიანობაში. დასახელებულ პირებთან ერთად იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, საზოგადოების გამგეობის მუდმივი წევრი 1879 წლიდან და თავმჯდომარის (ილია ქავქავაძის) უცვლელი ამხანაგი (მოადგილე) 1907 წლამდე. ამ საზოგადოების მრავალმხრივად ნაყოფიერი საქმიანობის ძირითადი სიმძიმე ნიკო ცხვედაძეს აწვა, რადგან ფაქტიურად მას უზღებოდა საზოგადოების მთელი მუშაობის წარმოება, და იგიც ამ ნოვალოებას უმწიკვლოდ და პირნათლად ასრულებდა ათეული წლების განმავლობაში. ნიკო ცხვედაძის უშუალო წინაშეიღებოი იქნა დაარსებული საზოგადოების ქართული

აკოლები მაშინდელ პერიოდში ისეთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილებში, როგორც იყო კავკავი, ბაქო და ბათუმი, სადაც ქართველი მოსახლეობა სრულიად მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების ყოველგვარ საშუალებას და უსასტიკეს ეროვნულ შევიწროებას განიცდიდა. შემდეგშიაც არ მოკლებია ამ სკოლებს ნიკო ცხვედაძის მზრუნველობა და მეგობრული დახმარება.

იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით ნიკო ცხვედაძემ შეუდგინა პირველი სასწავლო პროგრამები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვარიშვილის ინიციატივით 1883 წელს სოფელ წინამძღვარიანთკარში დაარსებულ სამეურნეო სასწავლებელს, რომელსაც საკმაო ისტორიული დამსახურება მიუძღვის ჩვენში დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების საქმეში.

ნიკო ცხვედაძე ითვლებოდა თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის წევრად, თავმჯდომარის (კ. მამაცაშვილის) აშხანაგად და მრავალი წლების მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ამ სასწავლებლის მთელს მუშაობას. აქაც იგი სასწავლებლის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო. იგი უაღრესად მეგობრულ და გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდა გიმნაზიის პედაგოგებისა და მოსწავლეების მიმართ და მათ ერთგულ მფარველად ითვლებოდა ყველა საჭირო შემთხვევაში. ცნობილია, რომ ნიკო ცხვედაძემ დროულად დაათვა საგიმნაზიის მასწავლებლის ზაქარია ფალიაშვილის დიდი მუსიკალური ნიჭი და, თუქცა სასწავლებელს თანხები ისედაც საკმარისად არ გააჩნდა, მაგრამ მას სტიპენდია მაინც დაუნიშნა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად. ამის გამო მასწავლებლების საყვედურის საპასუხოდ, — როგორც პედაგოგი აღ. შიქაბერიძე გადმოგვცემს თავის მოგონებაში, — ნიკო ცხვედაძეს უთქვამს: „ზაქარია ფალიაშვილს ისეთი ბუნებრივი ნიჭი შესწევს, რომ იგი დიდ საქმეს შექმნის საქართველოში. ვინ იცის, შეიძლება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის წყალობით ჩვენი მოზარდი თაობა ერთ დროს დასტკბეს ქართული სიმღერებისა და მუსიკის სცენიდან მოსმენით. მე ღრმად მრწამს, რომ ეს ასე მოხდება და კიდევაც ამიტომ დაუნიშნეთ სტიპენდიაო“. ასე აფასებდა და ეხმარებოდა იგი ყოველ ნიჭიერ და შრომა-საქმიანობის მოყვარულ ადამიანს.

ნიკო ცხვედაძე ქართველი საზოგადოებისაგან 1889—92 წ.წ. არჩეული იყო თბილისის ქალაქის ხმოსნადაც, აქტიურად მონაწილეობდა მის სასკოლო კომისიაში, რომელმაც მიიღო განსახორციელებლად ნ. ცხვედაძის მიერ შედგენილი პროექტი თბილისის საქალაქო სკოლების რეორგანიზაციისა, რითაც საფუძველი ჩაეყარა

ოვითმმართველობის (საქალაქო) სკოლების მუშაობის გარდაქმნის საქმეს. თავის მოხსენებაში „Записка о положении городских начальных школ и Тифлисского городского Михайловского ремесленного училища и о мерах к наилучшей постановке в них учебного дела“, რომელიც 1892 წელს ცალკე წიგნაკად გამოქვეყნდა, ნ. ცხვედაძემ მდიდარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე ყველასათვის უდავო ფორმებში ჩამოაყალიბა ქალაქის დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის მუშაობის გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებანი: სასკოლო შენობების ჰიგიენურად მოწყობა, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური ვარჯიშობანი, ქალ-ვაჟთა საერთო სწავლა, მოსწავლეთა გადაუტეირთველობა სასწავლო საგნებით, საწარმოო პრაქტიკის სწორ ნიადაგზე დამყარება, სასწავლო საგნების პრაქტიკის საშუალებით შეთვისება, თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენება სწავლებაში და სხვ. ქალაქის საბჭომ ნ. ცხვედაძის პედაგოგიურად ყოველნაირ დასაბუთებულ მოხსენება ერთხმად მიიღო და მის შედეგად ქალაქის თვითმმართველობის სკოლების მუშაობა 1892 წლიდან ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე ნ. ცხვედაძის მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე წარმოებდა.

ყველაზე დიდი სამსახური სამშობლოსა და ხალხს თავის პრაქტიკულ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ნიკო ცხვედაძემ გაუწია იმით, რომ მან 1898 წლიდან თავს იღვა თბილისის ქართული გიმნაზიისათვის საკუთარი ახალი შენობის აგების უძნელესი და ურთულესი საქმე და მისი მეტად ნაყოფიერი სიცოცხლის უკანასკნელი 12—13 წელი ამ საშვილიშვილო წამოწყების განხორციელებას შესწირა. ნიკო ცხვედაძემ წინასწარ დაისახა მიზნად, რომ თბილისის ქართული გიმნაზიის შენობის საფარქვეშ ისეთი ბინა აეგო, რომელშიაც თავისუფლად მოთავსდებოდა მომავალი ქართული უნივერსიტეტი, რომელსაც იგი უახლოეს დროში მოელოდა. ნიკო ცხვედაძე თავისი სამართლიანი და ქართველი საზოგადოებისათვის საჭირო საქმის (იღვის) უდიდესი ენთუზიასტი და ფანატიკოსი იყო. „საწყალი ნიკო! — წერდა თავის „მოგონებებში“ იაკობ მანსვეტაშვილი — ფანტაზიორს ეძახდნენ, გიჟს, კვუაზე შემოიღეს. რად? რად და იმად, რომ ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე. თავადაზნაურობა გაიძახოდა: „სწორედ გიჟია ეგ ვილაც ცხვედაძეა, გადაარეჯლა, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ იმ შენობაში ჩავაყოფენოს“. ილიას უსაყვედურებდნენ: შენ აქვბ იმ ვილაც ცხვედაძეს და ისიც რასაც უნდა, ჩადის. ჩვენ ათასი გაქირვება გვაქვს, ჩვენ ყველაფერზე უარს გვეუბნები და იქ კი უანგარიშოდ აბნევთ

აუარებელ ფულს. ილია ცოტა არ იყოს შეკრთებოდა ხოლმე და გასაგლეჯად გამჟაღებულ თავადაზნაურობას ცხვედაძეს მიუგდებდა.

— ნიკო! მოდი კრებაზე, შენ თითონ მიეცი პასუხი და ანგარიში, — ეტყოდა ხოლმე ილია ცხვედაძეს.

ცხვედაძე უარისუთქმელად გამოვიდოდა, თუმცა კარგად იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოელოდა გაბრაზებულ ყრილობისაგან. მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს აღელვებული ხალხი ერთბაშად მიჩუმდებოდა ხოლმე, როდესაც თვალწინ წარმოუდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო, მუდამ მომღიზიარი კაცი და დაიწყებდა ლაპარაკს ტკბილად, როგორც მოკეთე, თანაც გატაცებული იმ აღმაფრენის რწმენით, რომ ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა მთელი ქართველებისათვის და ხარჯს არ უნდა შეეუშინდეთ, საქმეს არ ელაღატებო... დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მალე მადლობასაც გვეტყვიო. აგერ ხმები ისმის და იქნებ კიდევ გამართლდეს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევენო. დეე, შენობა მზად გექონდეს, იქნება როდისმე ქართულ უნივერსიტეტსაც ველირსოთ“ (ი. მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 220). ასე ამშვიდებდა ნიკო ცხვედაძე მისი დიდებული წამოწყების წინააღმდეგ აჯანყებულ პირებს და თვითონ კი თავის საქმეს ენერგიულად და შეუწინაღებლად განაგრძობდა. ნიკო ცხვედაძე ამ შენობის მშენებლობას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ამ ხნის განმავლობაში ამ დიდი იღვის განხორციელების უზრუნველყოფისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით მას არ დაუტოვებია არც ერთი სახელმწიფო დაწესებულება, საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და კერძო შეძლებული ქველმოქმედი პირები (სარაჯიშვალი, ზუბალაშვილები და სხვ.), რომელთათვისაც არ მიემართა და რომელთაგანაც ფაქტიურად მნიშვნელოვანი თანხები არ მიეღო. ამის გამო ხშირად მას თავისებურ ბანდიტსაც უწოდებდნენ. „მართალია, მას არა ჰქონდა თან რევოლვერი და ჯერ ვერ შეჩვეოდა გამოთქმას — „ხელეები ზევით!“, მაგრამ დანარჩენს სხვას ყველაფერს, რაც ხმარებაში ჰქონდათ ნამდვილ ბანდიტებს, ნიკოლოზ ზებედეს-ძე მათზე ნაკლებად არ იყენებდა. მან შექმნა „ბანდიტიზმის“ ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავდა მხოლოდ ბედნიერებასა და სიხარულს“ (საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 5—78). მართლაც ნიკო ცხვედაძე ასე რომ არ მოქცეულა, იგი მარტო ბანკის დახმარებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ამ უზარმაზარი შენობის აგებას. ნიკო ცხვედაძემ აიტანა მრავალი გაკირვება, დაცინვა და ბრძოლები, მაგრამ მუშაობა მაინც არ შეიანელა და ეს

დაწყებული საქმე თავის სიცოცხლეშივე თაბაქაის პოლიანად ბოლომდე მიიყვანა. და დღეს, როდესაც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ნიკო ცხვედაძისა და ზოფლ ქართველ მშრომელთა იდეალი აღსრულდა და იმ შენობაში, რომელიც მისი დაულალავი და შეუწინაღებელი მოღვაწეობის შედეგად არის აშენებული, უდიდეს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას აწარმოებს მთელს საბჭოთა კავშირში საკმაოდ ცნობილი დიდი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაღლიერი ქართველი ხალხი დიდის პატივისცემით იხსენიებს ამ თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს.

ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში მართო პრაქტიკულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობით არ ანაოწურებოდა. მას თავისი წვლილი შეჰქონდა ქართულ სამეცნიერო მწერლობასა და პედაგოგიურ აზროვნებაშიაც. იგი 70—80-იან წლებში ჩვენი პრესის აქტიური თანამშრომელი იყო. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო საეჟურნალო და საგაზეთო სტატია-ნარკვევი. ნიკო ცხვედაძის საისტორიო ხასიათის ნარკვევი „მისცლა-მოსელა რუსეთს და საქართველოს შორის 1492—1664 წლამდის“, რომელიც დაიბეჭდა ნ. ავალიშვილის ეჟურნალ „მნათობის“ 1871 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის პრობლემას ეხება და იმ უდავო დებულებას ადასტურებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება და ქართველი ხალხის გადარჩენა შეუძლებელია რუსეთთან და დიდ რუს ხალხთან მკიდრო კავშირისა და ურთიერთობის გარეშე.

ნიკო ცხვედაძის მეორე საისტორიო ნარკვევი „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზნებით მე-16 საუკუნეში“, რომელიც გ. წერეთლის „კრებულის“ 1872—1873 წ. წ. ნომრებშია დაბეჭდილი, არკვევს ამ საუკუნეში ევროპის ეკონომიური და გონებრივი გამოცოცხლების მნიშვნელობას საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის.

ნიკო ცხვედაძეს ეკუთვნის ფრიად მნიშვნელოვანი პედაგოგიური ხასიათის ნაშრომი „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, რომელიც ი. ქავჭავაძის „ივერიაში“ დაიბეჭდა 1877 წელს და რონელნიც ავტორი, ანიკებს რა უდიდეს მნიშვნელობას ზოგადი შ ნაარსის სახალხო განათლებას ჩვენი ხალხისათვის, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მის საფუძველზე ჩვენს ახალგაზრდობას უნდა მიეცეს სპეციალური სამეცნიერო ცოდნა-მომზადებაც. ნარკვევი მთავრდება ავტორის შემდეგი სიტყვებით: „ღწო არის თვითონ ჩვენ ჩაეკადოთ ხელი განათლების, ხელოსნობის და მეურნე-

ობის გავრცელებას და ყოველ ნაბიჯზე ვიგულისხმობთ, რომ ცოდნა არის საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურის წაყრუება და სხვისი იმედი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის“ („ივერია“, 1877 წ., № 37).

ასე აფასებდა ნ. ცხვედაძე სწავლა-განათლების მნიშვნელობას ჩვენი ხალხისათვის და ამიტომ დაწერა დიდმა ილია ქავჭავაძემ ნიკო ცხვედაძის მისამართით თავის „ორ-ხმიან სახალწლო ოპერეტში“ შემდეგი:

„საქირო არის წრთენა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლისა,
სჯობს ყოლა უწრთენელის ძაღლის
უწრთენელი შვილის ყოლასა“.

სწავლა-აღზრდის დაყენების მდგომარეობის საფუძვლიანად შესასწავლად ნიკო ცხვედაძემ 1878 წელს საგანგებოდ იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში და თავისი მოგზაურობის შედეგები დაწვრილებით აღწერა „ივერიის“ ამავე წლის ნომრებში სათაურით: „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდან“.

ნიკო ცხვედაძემ თავიდანვე აღიარა თავისი ჯერდო და გულწრფელად აღნიშნა: „მე ისეთი სიყვარული მაქვს ქვეშემართებისა და პატივისცემა კაცისა, რომ უმჯობესად შევრაცხავ მარჯვენა ბოვიკრა და წყალში გადაუძახო, მანამ განგებ რამ ტყვილი გამოურთო ჩემს ნაწერებშიო“ და მართლაც მის არც ისე მრავალრიცხოვან, მაგრამ ფრიად საყურადღებო თხზულებებში გამოთქმულია ის აზრი, რასაც მათი ავტორი გულწრფელად გრძნობდა და განიცდიდა; ამავთა მათი ძალა და ღირსება.

ნიკო ცხვედაძე თავისი ქვეყნისა და ხალხის უდიდესი პატრიოტი იყო. მას ღრმად სწამდა ქართველი ხალხის ნიქა და ძალა, მისი დიდი მომავალი და ღირსება და ამიტომ იგი ენერგიას და თვით სიცოცხლესაც არ ზოგავდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის. იგი მტკიცე ხასიათის და შეუღრეკელი ნებისყოფის მქონე ადამიანი იყო და ამის შედეგია ის, რომ მან მის მიერ დაწყებული საქმეები ყოველთვის გამარჯვებით დააგვირგინა.

ნიკო ცხვედაძე ფართო ჰორიზონტისა და პერსპექტივის მატარებელი საზოგადო მოღვაწე იყო. საზოგადოებრივი მუშაობა იყო მისი სტიქია. ამ გარემოებამ იგი ნაადრევად იმსხვერპლა. ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობით დაქანცული ნიკო ცხვედაძე გარდაიცვალა 1911 წლის 30 ოქტომბერს. ქართველმა



მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი
(1846—1916)

მე-19 საუკუნის 70-ანი წლებიდან საქართველოში საკმაო უაროდ იწყებს გავრცელებას ხალხოსნური მოძრაობა. ჩვენი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც უმაღლეს განათლებას რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში და ინსტიტუტში იღებდა, განიცდიდა გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ზეგავლენას და პროგრესული იდეებით აღჭურვილი ხალხის საკეთილდღეოდ იწყებდა მოღვაწეობას.

1861 წლის მანიფესტმა ბატონყმობის გაუქმების შესახებ გლეხებს მხოლოდ უმიწოდ განთავისუფლება მოუტანა და ეკონომიურად ისევ მებატონეთა კლანკებში მოაქცია. ეს გარემოება რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობაში დიდ დრტვინვას იწვევდა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა საბრძოლველად ნიადაგს ამ-

ზადებდა. განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიიღო ხალხოსნურმა. მოძრაობამ, რომლის მონაწილეთა წინააღმდეგაც მეფის მთავრობა სასტიკი რეპრესიებს, ციხეს და გადასახლებას მიმართავდა.

მთელ რიგ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც რევოლუციონერთა წინააღმდეგ მოეწყო, ბევრი ქართველი სტუდენტი და ინტელიგენტი იღებდა მონაწილეობას. მათი მეოხებით ხალხოსნურ მოძრაობას საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი.

ცნობილი მწერალი და პედაგოგი სოფრომ მგალობლიშვილი ა: საკითხს ეხება თავის საინტერესო მოგონებაში და წერს: „1872 წლიდან უკვე ეწყობა ქ. ტფილისში აქა-იქ კრებები, ესწრებიან ნოსწავლე ახალგაზრდანი, კითხულობენ სხვათა შორის არალეგალურ წიგნებს. სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება „სოკრემენნიკი“, „ველიკორუსი“, დობროლუბოვი, პისარევი, ისტორიული წიგნები, განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციისა, ლასალი, პრუდონი და სხვ. ვინაიდან გვაქდა განვითარება, შესწავლა ისტორიისა, სოციალური მეცნიერებისა, მიზნად დავისახეთ თვითგანვითარება და შემდეგ ხალხში გასვლა საქადაგებლად მონარქიული წესწყობილების წინააღმდეგ. რუსეთიდან ჩვენში ჩამოვიდნენ გამორიცხული ქართველი სტუდენტები, რომელიც ინტელიგენციაში ავრცელებდნენ ახალ აზრებსა“¹.

ასეთ მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიმიტრი ყიფიანის ძმის შვილს, პედაგოგ მიხეილ (მიშო) ქაიხოსროსძე ყიფიანს. იგი იყო საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებელი და ხალხისათვის უაღრესად თავდადებული პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა.

მიხეილ ყიფიანი დაიბადა სოფ. ქვიშხეთში 1846 წელს. ბავშვობაში დიდ ნიქსა და ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც იგი ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1875 წ. სამსახური დაიწყო ქუთაისში და აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში.

დასავლეთ საქართველოში ხალხოსნების მუშაობის შესახებ საიდუმლოდ მიღებული ცნობების საფუძველზე ჟანდარმთა შტაბს-კაპიტანი ხრისტოფოროვი თავის მოხსენებაში (1876 წლის სექტემბერი) აღნიშნავდა: „აღნიშნულმა საზოგადოებამ დაიწყო არსებობა საექი-

¹ ს. ო. მ. გ. ა. ლ. ო. ბ. ლ. ი. შ. გ. ი. ლ. ი., მოგონებანი. 1938 წ., გვ. 71.

მო აკადემიის სტუდენტის ისილორე ქიქოძის პეტერბურგიდან და ტფილისიდან შარშან მიხეილ ყიფიანის ჩამოსვლის შემდეგ.

23 მაისს, 1876 წელს, ქუთაისში ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე შეიკრიბნენ სათათბიროდ: მიხეილ ყიფიანი, ილიკო ბახტაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ნათაძე (მასწავლებელი), ანტონ ლორთქიფანიძე და ლოლა ყიფიანი.

... 20 ევლის მიხ. ყიფიანი იაგორა იოსელიანის¹) ხელით წერილებს უგზავნის გორში სოფრ. მგალობლიშვილს, დათ. ფურცელაძეს, ვას. დეკანოზიშვილს და სტუდენტ რომინოზ ფავლენიშვილს წერილებში მიხ. ყიფიანი ამხანაგებს თხოვს მუშაობის გაძლიერებას.⁴

როგორც ამ საიდუმლო მოხსენებიდან ჩანს, მიხეილ ყიფიანი, ეგნატე იოსელიანთან და ისილორე ქიქოძესთან ერთად, ყოფილა ხალხოსნური მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელთაგანი.

1876 წლის მეორე ნახევარში სხვა ხალხოსნებთან ერთად მიხეილ ყიფიანი დააპატიმრეს და გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, შემდეგ კი ორენბურგში.

სასჯელის მოხდის შემდეგ მიხეილ ყიფიანი 1881 წელს გაათავისუფლეს და ნება მისცეს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

იმავლე წელს მან მასწავლებლობა დაიწყო თბილისის მეორე გიმნაზიაში. ამ დროს გორის სამასწავლებლო სემინარიაში განთავისუფლდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი (ამ საგანს ასწავლიდა ცნობილი ქართველი პედაგოგი არისტო ქუთათელაძე, რომელიც ხონში გადავიდა სამუშაოდ).

მიხეილ ყიფიანმა განთავისუფლებულ ადგილზე დანიშვნის შესახებ სათანადო თხოვნით მიმართა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს დ. სემიონოვს, რომელმაც ამის შესახებ შუამდგომლობა გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.

მზრუნველმა თბილისის გუბერნატორს საიდუმლო ცნობები მოსთხოვა მ. ყიფიანის შესახებ და 1881 წლის 22 სექტემბერს ასეთი პასუხი მიიღო:

„საგუბერნიო სამმართველოს საქმეებიდან ჩანს, რომ ს. პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი უმაღლესი განკარგულებით, რომელიც გაიცა 1878 წელს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში დანაშაუ-

¹ იაგორა იოსელიანი, პროვოკატორი, ჯაშუში, რომელმაც გასცა ხალხოსნური ორგანიზაცია, რასაც მოჰყვა თითქმის ყველა ხელმძღვანელის და აქტიური მომუშავის დაპატივება და გადასახლება (1876).

ლებრავე პროპაგანდისათვის, გადასახლებული იქნა პირველად აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში, მისდამი დაქვემდებარებული მხარის ერთ-ერთ ადგილზე საცხოვრებლად, ხოლო შემდეგ ორენბურგის მხარეში. მაგრამ უმაღლესი განკარგულებით 1880 წელს, ის, მიხეილ ყიფიანი, განთავისუფლებულ იქნა პოლიციის ზედამხედველობიდან აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით და ნება მიეცა ქ. თბილისში დაბრუნებისა, ამიტომ „ხომ არ ცნობთ თქვენ, ზემოაღნიშნული ცნობების საფუძველზე სარისკოდ მიანდოთ ქართული ენის მასწავლებლობა მიხეილ ყიფიანს, ისიც სამასწავლებლო ინსტიტუტში.“

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორს სემიონოვს მისწერა: „მე არ შემიძლიან შესაძლებლად ვცნო მისი, ყიფიანის, დანიშვნა ქართული ენის მასწავლებლად თქვენდამი რწმუნებულ სამასწავლებლო სემინარიაში.“

მაგრამ სემიონოვი მ. ყიფიანის პოლიტიკურმა წარსულმა ვერ შეაშინა და დაჟინებით მოითხოვა მისი მასწავლებლად დანიშვნა და მზრუნველს მისწერა:

„მე პირადად მივიღე თბილისის მეორე გიმნაზიის ბ. დირექტორისაგან საუკეთესო შეფასება ყიფიანის წინანდელი მუშაობის შესახებ აღნიშნულ გიმნაზიაში, სადაც ის კლასის დამრიგებლის თანაშემწედ ითვლებოდა, რომ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ჩემდამი რწმუნებულ სემინარიაში სამსახურით მან შესძლო დაემსახურებინა სიმპატია ამხანაგებისა და მოსწავლეებისა... და რომ ყიფიანი ნამდვილად გრძნობს პედაგოგიურ მუშაობისადმი მისწრაფებას.“

ამასთან ერთად სემიონოვმა თვითონ იკისრა სრული პასუხისმგებლობა მიხ. ყიფიანის მომავალი საქმიანობის შესახებ.

განმეორებითმა შუამდგომლობამ გასკრა და მ. ყიფიანი 1881 წლის ოქტომბრიდან უკვე ოფიციალურად დაინიშნა ამიერ-კავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ზედმიწევნით განათლებულს, ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს, სათნო ბუნებისა და ენერჯით სავსე მ. ყიფიანს მოსწავლეთა და პედაგოგთა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია. მისი გაკვეთილები მოსწავლეთა აღტაცებას იწვევდა და ცოდნასთან ერთად მათ სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულს ასწავლიდა.

სოფ. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში წერს: „მაშინდელი სემინარიის დირექტორი დიდი ლიბერალი იყო. ქართული ენის მასწავლებელი სრული თავისუფლებით სარგებლობდა.

მიხ. ყიფიანმა თავისი ლაპარაკით, მქეკრმეტყველებით გაიტაცა მოწაფენი. იგი გადიოდა ქართული ლიტერატურის ისტორიას. მოწაფეები ამზადებდნენ რეფერატებს სხვადასხვა ისტორიულ ხანაზე, მწერლობაზე. ყიფიანის ხელმძღვანელობით კითხულობდნენ წიგნებსა, იღებდნენ მონაწილეობას ქართულს წარმოდგენაში.

მოწაფენი დაიარებოდნენ ოჯახებში: ყიფიანთან, კერესელიძესთან, ჩემთან. შემოდგომის მიწურულიდან გაზაფხულამდე გორს ჩამოდრიოდნენ სოფლებიდან ამხანაგები. ამ დროს ოჯახებში იმართებოდა საღამოები. იყო სჯა-ბაასი თანამედროვე და წარსულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიიდან შესანიშნავ ეპოქებზე, რუსეთის სოციალ-რევოლუციონურ მოძრაობაზე და სხვა. აი ამ წრეში აღიზარდნენ ჩვენი დიდებული პოეტები ლუკა და ნიკო რაზიკაშვილები, თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე ნათაძე, ნიკო ლეონიძე, საბა ციმაკურიძე, რომელთაც თავი ისახელეს ცხოვრებაში მწერლობით და საზოგადო მოღვაწეობით.“¹

სამასწავლებლო სემინარიაში მასწავლებლობასთან ერთად მიხეილ ყიფიანი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა გორის ქალთა პროგიმნაზიაშიც. მას აქაც დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაუშსახურებია მოსწავლეთა შორის.

ცნობილი მწერალი ქალი ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, რომელიც დასახელებულ პროგიმნაზიაში სწავლობდა, იგონებს მ. ყიფიანის მიერ გაკვეთილებზე ახსნილ ილია ქავეკავაძის ლექსებს და წერს: „ვისმენდი ამ მომაჯადოებელ სიტყვებს ძვირფასი მასწავლებლის მიხეილ ყიფიანის და ნიკო ლომოურის გაკვეთილებზე და ვგრძნობდი ჩემთან ერთად მღელვარება მრავალ ათასთა გული.“²

მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მიხ. ყიფიანს პედაგოგიურ დარგში მოღვაწეობა. 1883 წლის 4 მარტს მას მე-3 კლასში გაკვეთილი შეაწყვეტინეს და რევოლუციური მუშაობისათვის დააპატივრეს.

სხვა ქართველებთან ერთად ის გადაასახლეს ქ. უსტკამენოგორ-ჩკში. რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან გაემგზავრა მისი ცოლ-შვი-

1 „მოგონებანი“, 1938 წ. გვ. 91.

2 იხ. ლიტერატურის მატინე, 1940 წ., № 1—2, გვ. 146.

ლიც. იმ დროს ციმბირში სასჯელს ბევრი ქართველი იხდიდა. (გ. ზდანოვიჩი, ალ. ნანეიშვილი, სტ. კრელაშვილი, ივ. ჯაბადარი, ნიკ. ჩიკოძე და სხვა.), რომლებთანაც მ. ყიფიანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

1887 წ. მიხ. ყიფიანი გაათავისუფლეს, და ის სამშობლოში ჩამოვიდა.

მიხ. ყიფიანი გარდაიცვალა სოფ. ქვიშხეთში 1916 წლის 10 დეკემბერს.

ლიტერატურა: I. მ. ქ. ყიფიანი, ქართული ხმის ძირითადები და იმათი კანკლედობრივი ჩამომავლობა, შურ. „განათლება“, 1911 წ., № 5; ეტიმოლოგიური შენობა და წარმოება ქართული სიტყვიერებისა, „განათლება“, 1912 წ., № 3; ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, „განათლება“, 1912 წ., № 7, 9, 10; პასუხი იუსტ. აბულაძეს, „განათლება“, 1912 წ., № 8; აკაკი გარდაიცვალა, შურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 5.

II. სოფრ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ.; შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ.; ა. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937 წ.



გიორგი იოსელიანი

(1847—1919)

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის გულითადი მეგობარი, შესანიშნავი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლოზის-ძე იოსელიანი დაიბადა 1847 წელს სოფ. წყალტუბოში.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის სრული კურსიც დაასრულა 1865 წელს. ამ დროს გიორგი იოსელიანს უკვე ჰქონდა ნაცნობობა იაკობ გოგებაშვილთან, რომელთანაც ხშირად დადიოდა, მიჰქონდა წიგნები, ეწაფებოდა თვითგანვითარებას, ისმენდა დიდი ქართველი პედაგოგის პროგრესულ აზრებს სხვადასხვა საკითხებზე და ნიკო ცხვედაძესა და სხვა მოწინავე ქართველ ახალგაზრდებთან ერთად საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობისათვის ემზადებოდა.

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ის და ნიკო ცხვე-
დაძე, როგორც წარჩინებული მოსწავლენი, სახელმწიფო ხარჯით
ვაჭავენეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი ცოდნის
შისაღებად.

გ. იოსელიანი და ნ. ცხვედაძე აკადემია დაასრულეს თუ არა
დანიშნულ იქნენ მასწავლებლებად თბილისის სასულიერო სემინა-
რიაში. ახალგაზრდა მასწავლებლებმა მკიდრო ურთიერთობა დაამ-
ყარეს იაკობ გოგებაშვილთან, რომელიც 1868 წლიდან სემინა-
რიასთან არსებულ სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად მუშა-
ობდა. შემდეგ გიორგი იოსელიანი თბილისის სასულიერო სემინარი-
ის ინსპექტორადაც მუშაობდა. ის ხანა, როდესაც სემინარიაში
მუშაობდნენ ი. გოგებაშვილი, თ. ტურიაშვილი, გ. იოსელიანი, ნ.
ცხვედაძე და სხვა ქართველი პედაგოგები, მოსწავლე სემინარიელთა
მხსოვრობაში აღიბეჭდა როგორც ყველაზე უფრო ნაყოფიერი
პერიოდი მათი გონებრივი განვითარებისათვის.

სოფრ. მგალობლიშვილი, რომელიც 1868—1873 წლებში სემი-
ნარიაში სწავლობდა, „მოგონებებში“ წერს: „თომა ტურიაშვილის
შემდეგ გამოამწესეს ჩვენს სემინარიაში მასწავლებლად გიორგი
იოსელიანი და ნიკოლოზ ცხვედაძე... ამათ მოსვლიდან სრულიად
ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად,
შეგირდებს აღამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ
წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას, მით
უმეტეს, რომ ლიტერატურაში ყველა ისინი მხურვალე მონაწილე-
ობას იღებდნენ. განსაკუთრებით დიდი ზნეობრივი გავლენა იქო-
ნია მოსწავლე ახალგაზრდობაზე იმ გარემოებამ, რომ გ. იოსელიანი
დაინიშნა სემინარიის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებ-
ლად, რომელსაც იგი თითქმის ერთ წლამდე ასრულებდა ივ. კუე-
შინსკის დანიშვნამდე. მაშინ სემინარია სრულიად ქართულს სასწავ-
ლებელს წარმოადგენდა, ქართული სული ედგა, ქართულად ჰფეთ-
ქდა.“

1873 წლის დეკემბრის 9-ს თბილისის სასულიერო სემინარიის
გამგებლობისადმი კავკასიის მეფისნაცვალს გამოუგზავნია „სია იმ
არაკეთილსაიმედო პირთა, რომლებიც საზოგადოებრივ სამსახურში
არ გამოდგებოდნენ.“ ამ პირთა შორის დასახელებულია: თომა
ტურიაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, კონსტ. ცხვედაძე, გიორგი იოსე-
ლიანი და იაკობ გოგებაშვილი.

ამ დოკუმენტში სხვათა შორის წერია:

„გიორგი იოსელიანი. დაამთავრა სასულიერო აკადემიის კურსი
1870 წლის ივნისში და იმავე წლის სექტემბერში დაინიშნა თბილი-

სის სასულიერო სემინარიაში ლოგიკის, რუსული სიტყვიერებისა და რუსული ლიტერატურის ისტორიის მასწავლებლად. 1873 წლის ივლისიდან დათხოვნილია სემინარიიდან. ამჟამად ასრულებს საღვთო სჯულის მასწავლებლის მოვალეობას თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში¹ (იხ. „საისტორიო მოამბე“, 1950 წ., № 5, გვ. 37—38).

1873 წლიდან გიორგი იოსელიანი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გადავიდა მასწავლებლად, სადაც დაჰყო 1889 წლამდე. ინსტიტუტში ის ასწავლიდა რუსეთისა და მსოფლიო ისტორიას, რუსულ სიტყვიერებას, ლოგიკას და სლავურ ენას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ალ. მირიანაშვილი გადმოგვცემს ერთ ეპიზოდს გიორგი იოსელიანის სამასწავლებლო ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდიდან, რაც კარგად ახასიათებს მას როგორც პატრიოტს და რუსიფიკატორთა წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს.

ერთხელ სამასწავლებლო ოთახში ინსტიტუტის დირექტორს დ. კოლოვიჩს, იანოვსკის ქვისლს, დაუწყია ქართველების ძაგება და მტკიცება, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო. ძლიერ აღელვებული გ. იოსელიანი სასტიკად შეკამათებია დირექტორს და მასწავლებელთა თანდასწრებით ყველა მისი „მოსაზრება“ გაუქარწყლებია. ალ. მირიანაშვილის სიტყვით „ეს გაჰხდა მიზეზი, რომ დირექტორსა და გიორგის შორის კეთილი განწყობილება შეირყა, ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ გიორგის დიდად ემძიმებოდა ინსტიტუტში ყოფნა. მალე პენსიაც მიიღო და სამსახურიც სრულიად მიატოვა.“¹

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან გამოსვლის შემდეგ გ. იოსელიანი მასწავლებლობდა სათავადაზნაურო სასწავლებელში და თბილისის პირველ გიმნაზიაში, სადაც ქართულ ენას ასწავლიდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან ხაშურში გაატარა და იქაურ გიმნაზიაში განაგრძობდა პედაგოგიურ მუშაობას.

იგი გარდაიცვალა ხაშურში 1919 წელს.

გიორგი იოსელიანი, შესანიშნავი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი იყო. მოსწავლეები, რომლებიც მხურვალედ უყვარდა მას, მოხიბლულნი იყვნენ გ. იოსელიანის გაკვეთილებით.

მისი ყოფილი მოსწავლე ს. მამალაძე შემდეგს გადმოგვცემს: „1883 წლის ენკენისთვე იყო. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები გათავდა.

1. ალ. მირიანაშვილი, მოგონება გ. იოსელიანზე, ე. „განათლება“, 1916 წ., № 8—9.

...გაკვეთილების ცხრილი როცა გამოირკვა, აღმოჩნდა რომ სასწავლებელში ქართულ ენას ადგილი არ ჰქონდა.

მოვილაპარაკეთ ქართველებმა მაღალი კლასის მოწაფეთა თანდასწრებით და გადავწყვიტეთ გვეთხოვა გ. იოსელიანისათვის, ესწავლებინა ჩვენთვის ქართული ენა ან ნიექვესე გაკვეთილებზე ან ნასადილევს, რაკი სხვა დრო არ გვრჩებოდა და აეხსნა ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“ მაინც, თუ სხვა მასალისათვის დრო აღარ დაგვრჩებოდა.

...იმვე დღეს გავმართეთ გაკვეთილი და შევუდექით მართლაც „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას. მისი, პედაგოგისათვის შესანიშნავი დინჯი ხასიათი, ლმობიერი მოპყრობა ბავშვებისადმი, გაკვეთილების დალაგებით და მეთოდური ახსნა და ბევრი სხვა ღირსეზანი გვაგრძნობინებდნენ, რომ ის იყო ჩვენთვის საუკეთესო მასწავლებელი, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩვენი სიამოვნება. ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებული გაგხდით ჩვენი სამშობლო ენის შესწავლის სურვილი ჩვენსავე გულში ჩაგვეხშო და დავკმაყოფილებულიყავით „დროებისა“ და „ივერიის“ ქურდულად კითხვით“, რადგანაც ანსტიტუტის დირექტორმა დ. კოლოვიჩმა ასეთი მეცადინეობა აკრძალა.

ღრმა განათლება გიორგი იოსელიანს ხელს უწყობდა სასწავლო პროგრამის ჩარჩოებით არ შეზღუდულიყო და მოსწავლეებისათვის საფუძვლიანი ცოდნა მიეცა, მათი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და გონებრივი ჰორიზონტი გაეფართოებინა.

„მის მუდამ შინაარსიან და წამახალისებელ გაკვეთილებს თან სდევდა ერთი ფრიად შესანიშნავი და საოცარი თვისება—სამაგალითო დისციპლინა, ეს ნამდვილი სული და გული ყოველი სასკოლო მეცადინეობისა. საკვირველი ის იყო, რომ დისციპლინისათვის გიორგის არასოდეს არ სჭირდებოდა არც მრისხანე სახის გამომეტყველება, არც ბრძანების კილო, არც, მით უმეტეს, მუქარა და არც სხვა პოლიციური საშუალებანი: იგი მის გაკვეთილზე მყარდებოდა თავისთავად, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად“¹.

ამიტომაც იყო, რომ ყველა მოსწავლეს განურჩევლად ეროვნებისა უყვარდა გიორგი იოსელიანი და პატივს ცემდა მას, მაგრამ „ქართველების სიყვარული, რასაკვირველია, სჭარბობდა, რადგან იგინი მანში ხედავუნენ განსაკუთრებულ მფარველს, დამრიგებელს და ეროვნული იდეალების მატარებელს და მქადაგებელს“.

1916 წელს ეურნალმა „განათლებამ“ (№ 8—9) აღნიშნა „გიორგი იოსელიანის პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი.

¹ იხ. „განათლება“, 1916 წ., № 8—9. გვ. 531—535.

ეურნალში დაიბეჭდა მსკოვანი პედაგოგის ბიოგრაფია, რომელიც ლ. ბოცვაძის კალამს ეკუთვნოდა და გიორგი იოსელიანის მოსწავლეთა წიგონებანი თავიანთ ღვაწლმოსილ მასწავლებელზე.

ის გულთბილი სიტყვები, რომლებიც გ. იოსელიანს უძღვნა მისმა მადლიერმა ნამოწაფარმა ალ. მირიანაშვილმა, შეიძლება ყველა იმათ გრძნობად ჩავთვალოთ, რომლებსაც წლების მანძილზე გ. იოსელიანის ტკბილი სიტყვები მოუხმენიათ გაკვეთილებზე და სამშობლოს სიყვარული და ადამიანის დაფასებაც მისგან უსწავლიათ.

„როცა გონების თვალთ შუან მოვიხედავ და გავითვალისწინებ ჩემს წარსულს, ბავშვობას, ყმაწვილობას, სწავლა-აღზრდას, გავიხსენებ ვის რა ჩაუნერგავს ჩემს არსებაში, ვის რა კეთილი უჩვენებია და გაუგონებია, ვინ იყო უწარჩინებულესი ჩემ ხელმძღვანელთა შორის—უნებლიედ წინ მეხატება გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანის ახალგაზრდობის მშვენიერი, სათნოიანი სახე.“

ამბობენ, ეხლა თოვლივით გათეთრებულიაო. რა ძალიან მინდა ამ წუთს მის სიახლოვეს ვიყო, რომ წრფელი გულით ვეამბორო მის სპეტაკ კალარას.“

გ. იოსელიანი ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. წერდა წყალტუბელის ფსევდონიმით. რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობაში, ამოწმებდა ამ საზოგადოების სკოლებს და მასწავლებლებს უზიარებდა თავის პედაგოგიურ გამოცდილებას და უჩვენებდა იმ მეთოდურ გზებს, რომლებითაც შესაძლებელი იყო უკეთესი წარმატებების მოპოვება.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დავალებით გ. იოსელიანი და ალ. ქყონია პირადად ხელმძღვანელობდნენ ჩვენი უდიდესი მგონის ნ. ბარათაშვილის საფლავის გათხრას განჯაში და უკვდავი პოეტის ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს 1893 წლის 25 აპრილს.

ვანსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. იოსელიანის მონაწილეობა საბავშვო ეურნალებში, სადაც ათავსებდა პოპულარული ხასიათის წერილებს და საყმაწვილო მოთხრობებს.

გ. იოსელიანმა ბავშვებისათვის გადმოაკეთა აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. სხვათაშორის, 1893 წლის „ივერიაში“ (№44) დაიბეჭდა ვინმე ლალიაგორელის რეცენზია ამ ნაშრომზე სათაურით „პედაგოგიური შეცდომა“, რომელშიც გ. იოსელიანის ამგვარი მუშაობა უარყოფითად არის შეფასებული იმ მოტივით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზე დაწერილი, ყველას ესმის და შრომა ტყუილუბრალოდ არის გაწეულიო.

რეცენზენტს გ. იოსელიანმა სრულიად სამართლიანად უპასუხა: „ბ-ნი კრიტიკოსი გვეცხავს ჩვენ იმისათვის, სხვათაშორის, რომ მივბაძეთ ზოგიერთ რუსი მწერლებს და გადმოვიღეთ გასაგები ენით მოზრდილი ყმაწვილებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. თუნდაც ასე იყოს, მაინც კიდევ ჩვენ აქ არავითარ პედაგოგიურ შეცდომას არ ვხედავთ... ამგვარ საყმაწვილო წიგნების შესახებ პედაგოგიურ ჟურნალებში ქება ბევრჯერ წაგვიკითხავს და უარყოფა კი არასოდეს. მაშ რა ცოდვა და შეცდომა უნდა იყოს, რომ ასეთი საყმაწვილო წიგნები ქართულ ენაზედაც გამოიცეს თუ გინდ მიბაძვითაც იყოს ეს გამოწვეული? თუ კი იმ ქვეყნებში, სადაც ყმაწვილებს პატარაობიდანვე ასწავლიან დედა ენას ოჯახებში და სკოლებში, საკვიროდ მიაჩნიათ ასეთი წიგნების შედგენა და გამოცემა, ჩვენი ყმაწვილებისათვის ხომ უფრო საკვირო უნდა იყოს, რათა ამ საშუალებით მაინც შევაჩვიოთ დედა ენაზე წიგნების კითხვა“¹.

გ. იოსელიანი თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას („მნათობი“, „სასოფლო გაზეთი“, „ჯეჯილი“, „კვალი“, „მოამბე“, „ივერია“, „ნობათი“, „დროება“, „განათლება“ და სხვა..)

გ. იოსელიანი ცნობილია აგრეთვე როგორც ავტორი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც თავის დროზე ჩვენს სკოლებში იხმარებოდა.

გ. იოსელიანის სახით ჩვენ გვყავდა მოწინავე მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც სიკვდილამდე უანგაროდ ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს.

ლიტერატურა:

გ. იოსელიანი, თამარ დედოფლის პირველს მეუღლეს, „მნათობი“, 1871 წ., № 2; ჩვენი უზოუნველობის ზოგიერთი ნიშნები, „მნათობი“, 1871 წ., № 6, იმერლები თბილისში, „მნათობი“, 1872 წ., № 1; ნიმუშები საზოგადო ისტორიის მოთხრობებიდან, „ივერია“, 1879 წ., № 7—8; პედაგოგია, : დამიანის ალბრდის საკვიროება და სიძნელე, „ნობათის“ დამატ. 1889 წ., № 1.2; ფიზიკური აღზრდა, „ნობათის“ დამატ. 1884 წ., № 4, 5—6, 7—8, 10—11—12; მოკლე ფორმალური, ლოლიკა, 1897 წ., „ვეფხისტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილისათვის, 1896 წ.: „უკვდავთა გასამართლება“, თ. „განათლება“, 1916 წ., № 1; ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, 1940 წ., ლალი აგორელი, პედაგოგიური შეცდომა, „ივერია“, 1933 წ., № 44; სოფრ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1935 წ.; ლ. ბოტვაძე (ლას-ბან), გ. იოსელიანის ბიოგრაფია, თ. „განათლება“, 1916 წ., № 8—9; ალ. მირიანაშვილი, მოგონება გ. იოსელიანზე, იქვე; სერ. მამალაძე, მოგონება გ. იოსელიანზე; იქვე; Г. М. К а л а х и д а р и ш в и л и, Очерки по истории Логик в Грузии, 1952.

¹ „კვალი“, 1893 წ., № 11.

მოსე ნათაძე¹

(1851 — 1890)

სახალხო მასწავლებელი, შესანიშნავი ადამიანი და სწავლა-განათლების დარგის ერთ-ერთი უმწიკველო მუშაკი მოსე ნათაძე ეკუთვნოდა ქართველ ხალხოსან მასწავლებელთა იმ ჯგუფს, რომელიც თავის მიზნად თვითმპყრობელობის დამბობასა და ხალხის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისახავდა.

მოსე ივანეს ძე ნათაძე დაიბადა 1851 წელს, სოფ. ალევში, ყოფ. დუშეთის მაზრაში. პირველდაწყებითი კოდნის მიღების შემდეგ მას 70-ან წლებში სწავლა განუგრძია თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ სხვა მოსწავლეებთან ერთად აკრძალული ლიტერატურის კითხვისა და რევოლუციური სულისკვეთების გამოქვეყნების გამო სემინარიიდან გამოურიცხავთ. ეს უნდა მომხდარიყო სასულიერო სემინარიაში კერსკის მიერ რევიზიის ჩატარების შემდეგ (1874 წელს).

1874-75 სასწავლო წელს მოსე ნათაძე მასწავლებლად მოეწყო სოფ. პატარძელში. ზუსტად არ ვიცით, თუ რამდენხანს დარჩა იგი სოფ. პატარძელში. იქ ყოფნის პერიოდში მ. ნათაძემ თავი გამოიჩინა როგორც ხალხის ერთგულმა შეილმა, იგი ყოველშხრივ ეხმარებოდა გლეხობას.

1876 წელს მ. ნათაძე მასწავლებლობს სოფ. მეჯვრისხევის სკოლაში. ეანდარმთა შტაბს-კაპიტანის ზრისტოფოროვის საიდუმლო მოხსენებიდან ჩანს, რომ ის ქუთაისში წასულა ამხანაგებთან სათათბიროდ. „23 მაისს, 1876 წელს, ქუთაისში ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე შეიკრებნენ სათათბიროდ: მიხეილ ყიფიანი, ილიკო ბახტაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ნათაძე (მასწავლებელი), ანტონ ლორთქიფანიძე და ოლღა ყიფიანი“.

¹. მოსე ნათაძის სურათი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. (რედ.)

რევოლუციურ მუშაობასთან ერთად მოსე ნათაძემ თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა პედაგოგმა, რომელმაც ბავშვებს სკოლა შეაყვარა და სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლებისადმი დიდი ინტერესი აღძრა. მიზინდელ ქართულ პრესას უყურადღებოდ არ დარჩენია ახალგაზრდა მასწავლებლის თავდადებული მუშაობა პედაგოგიურ ასპარეზზე.

1878 წლის ეურნ. „ივერიაში“ (№ 10) „ქართველის“ ხელმოწერით შემდეგი კორესპონდენციაა დასტამბული: „ორი საცოდავი სასოფლო შკოლა გვაქვს: სოფ. მეჯვრისხევში და ხოვლეში. ს. მეჯვრისხევის შკოლაში წერა-კითხვას გარდა ასწავლიან დურგლობას და ხარაზობას, მაგრამ როგორღაც ვერ თავსდებიან ერთმანეთში, ე. ი. თავს არ მოდის სახელოსნო ნაწილის შეერთება წიგნის სწავლასთან.“

უფ. მ. ნათაძეს სვინდისიანად მიჰყავს საქმე. ის ნიჭიერი ახალგაზრდაა და უფრო რომ ბეჯითად მოჰკიდოს საქმეს ხელი, ვინემ ეხლა, ძალიან დაგვაეალებს. სწავლის გარდა შესანიშნავია ამის შეგირდებთან ქცევა: ისე უჭირავს ბავშვებთან თავი, როგორც თავის ტოლთან, ბავშვის თვალში იმას ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მამას, დედას და და-ძმას. ისეთის ხალისით მიდიან ბავშვები სასწავლებელში, რომ რალა მოგახსენოთ. ასე გასინჯეთ კვირა-უქმითაც კი შკოლის გარშემო დაცუნცულობენ ბავშვები, მასწავლებელიც კარს უღებს და ისინი წყნარად მეცადინეობენ: ზოგი სწერს, ზოგი სურათებს შინჯავს და ხატავს“.

სოფ. მეჯვრისხევის შემდეგ მ. ნათაძე რამდენიმე ხანს მასწავლებლობდა ხონის ორკლასიან სასწავლებელში.

განსაკუთრებული ამაგი დასდო მოსე ნათაძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლას ბათუმში. აღნიშნულ სკოლაში მასწავლებლობა მ. ნათაძეს დაუწყია 1882 წელს. ამ სკოლას ქართველი საზოგადო მოღვაწეები და „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მესვეურები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგანაც მისი მიზანი იყო ქართველ მაჰმადიანებში განათლების სხივის შეტანა და მათი სულიერი დაკავშირება დედამამშობლო საქართველოსთან. ამიტომაც იყო, რომ ივანე მაჩაბელი „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთ წლიურ კრებაზე, იმათ საპასუხოდ, რომლებიც დიდი ხარჯის გამო ბათუმის სკოლის დახურვას მოითხოვდნენ, ამბობდა: „ბათუმის სკოლის მნიშვნელობა ფულით არ გაიზომება. ის, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევიწარმოთ“.

ამ თვალსაზრისით მ. ნათაძეზე უკეთეს მასწავლებელს ბათუმის სკოლა ვერც იშოვიდა. ის გულწრფელად და ენერგიის დაუშურებლად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა მის შესახებ მხცოვანი საზოგადო მოღვაწე თ. სახოკია: „როცა ისტორია დაიწერება ჩვენისა და მაჰმადიან ქართველების დამოკიდებულებისა ამ ხნის განმავლობაში, მეისტორიემ არ უნდა დაივიწყოს ის უანგარო ღვაწლი და ამაგიც, რა ღვაწლი და ამაგიც დაგვდო მაშინ პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ“.

„მთავარი საზრუნავი მ. ნათაძისათვის ქართველ მაჰმადიან ბავშვთა სკოლაში ჩაბმა იყო. მან ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. შეჰკრიბა ბათუმის მოწინავე მაჰმადიანები და წერილობითი თანხმობა დაადებინა ბავშვების სკოლაში გაგზავნის შესახებ... მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ბათუმის სკოლაში მუშაობა გაუმჯობესებულა და უკვე 1883 წლის ზამთრის დასაწყისში მოსწავლეთა რიცხვი ერთი-ორად გადიდებულა“¹

მოსე ნათაძის მუშაობა ბევრჯერ შეუმოწმებიათ ი. გოგებაშვილს, ნ. ცხევიძეს, ი. მაჩაბელს, გრ. ვოლსკის და სხვებს და ყოველთვის მალალი შეფასება მიუძღიათ მისი საქმიანობისათვის.

1888-89 სასწავლო წლის ბოლოს ბათუმის სკოლა ინახულა გრ. უმწითარძე-ვოლსკიმ, რომელიც „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს:

„ყველა ეგზამენს დავესწარი, დავესწარი აგრეთვე ეგზამენის წინა დღეს ყველა განყოფილების გაკვეთილებსაც. როგორც გაკვეთილების დროს, ისე ეგზამენებზედაც ყვილაფერმა ჩემგან სკოლაში ნახულმა ჩემზედ იქონია სასიამოვნო შთაბეჭდილება. ყველაფერს ცხადად ემჩნეოდა, რომ სკოლას ჰყავს თავისი საქმის ერთგული და მცოდნე ოსტატი“.²

ბათუმში მასწავლებლობის დროს მოსე ნათაძეს ხშირად უხდებოდა შეტაკება თვითმპყრობელობის აგენტებთან და კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ბიუროკრატ თანამშრომლებთან, რომელთაც ვერ მოენელებინათ, რომ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა.

1888 წლის 31 მაისით დათარიღებულ მოხსენებაში, რომელიც მოსე ნათაძემ გ. იოსელიანს გადასცა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისათვის გადასაცემად, აღწერილია ის ინციდენტი, რომე-

1) ისტ. არქივი, ფონდი 481, საქმე № 208.

2) ისტ. არქივი, ფონდი 481, საქმე № 208.

ლიც მოხდა მოსე ნათაძესა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორ პერევეოზნიკოვს შორის. პერევეოზნიკოვი ნათაძეს გაკვეთილებზე დაესწრო. მის პედაგოგიურად გაუმართლებელ მოთხოვნას ნათაძე არ დაეთანხმა, რასაც მწვავე კამათი მოჰყოლია. მათ შორის წარმოებულ დიალოგი რუსულ ენაზე სიტყვა-სიტყვით აქვს აღწერილი თვითონ ნათაძეს. ეს მოხსენება ისე კარგად ახასიათებს რუსიფიკატორთა თავხედურ პოლიტიკას, რომ ინტერესს არ იქნება მოკლებული ერთი ადგილის მოყვანა:

„ბავშვებს მე ქართულად დავუწყე ლაპარაკი, — წერს მ. ნათაძე. — ამაზე სულ გადაირია და მითხრა: „კლასში როგორ შეიძლება ქართულად ლაპარაკი“. ამაზე მე ვუთხარი: „ქართულ სკოლაში, სადაც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდებით სწავლა ყველა საგნისა ქართულად წარმოებს, სადაც ქართული ენა უმთავრესი ენაა კლასში, აუცილებლად ქართულად უნდა ვილაპარაკოთ“.

ცხარე წალაპარაკების შემდეგ პერევეოზნიკოვი მ. ნათაძეს დაემუქრა დირექტორთან გიჩივლებთო და თან უთხრა: „შენმა მოწაფეებმა არაფერი არ იციანო“.

აღმფოთებული მ. ნათაძე თავის მოხსენებას ასე ამთავრებს: „სამწუხარო როგორ არ არის, ბატონო, ეს გარემოება, რომ ერთი ნახვით მინიავკრებს, მიბათილებს მთელი წლის შრომას, რომელშიც სისხლი ჩამიღვრია?! ძნელია, რომ კაცმა ასე ადვილად დასთმოს თავისი ნაამაგარის გაბათილება“.¹

რასაკვირველია, მ. ნათაძის მუშაობას პერევეოზნიკოვზე უკეთ ქართველი მოღვაწეები აფასებდნენ. საზოგადოება სპეტაკ მასწავლებელს მადლობის გამოცხადებასთან ერთად მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. ასეთი დახმარების ერთ-ერთი ინიციატორი, სხვათა შორის, ჩენი ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი იყო. 1885 წელს ის „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას სწერს: „მე ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვე, რომ ბათუმის სკოლის მასწავლებელი ბატ. ნათაძე ძალიან გაკირვებულს მდგომარეობაშია.

... რადგანაც თავის თანამდებობის აღსრულებაში ბატ. ნათაძე იჩენს სამაგალითო ერთგულებას და მხნეობას და ამის გარდა ყოველ წლივ სხვადასხვა ღონისძიებით შოულობს რაოდენიმე ასს მანეთსა და უგზავნის საზოგადოებას, ამიტომ სამართალი მოითხოვს, რომ წელსაც იგი დაჯილდოებული იქნას ათი თუმნით“.²

1) ისტორიული არქივი, ფონდი 481, საქმე № 164.

2) ისტორიული არქივი, ფონდი 481, საქმე № 79.

ასე ენერგიულად და მონდომებით მუშაობდა მ. ნათაძე პედაგოგიურ სარბიელზე. მასწავლებლობა მისი ნამდვილი მოწოდება იყო და ბავშვების სწავლა-განათლებლასა და ხალხის კეთილდღეობას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

იმ მცირერიცხოვან წერილებსა და კორესპონდენციებში, რომლებსაც მოსე ნათაძე დროდადრო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა, შესანიშნავად ჩანს მოსე ნათაძის მხურვალე სიყვარული სამშობლო-ადმი და ხალხისადმი.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის ქართველ მაჰმადიანებს, რომელთა აღზრდაც იმ დროს მაღიანად ფანატიკოსი ხოჯების ხელთ იყო და მოითხოვდა, რომ მესხეთ-აქარაში და საინგილოში სწავლის საქმე გაძლიერებულიყო.

მისი აზრით მხოლოდ განათლებას შეეძლო დარღვეული ეროვნული სხეულის აღდგენა და განპტკიცება.

„ყურანის“ ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით მოსე ნათაძემ ჟურნ. „მწყემსის“ 1888 წლის მე-16 ნომერში გამოაქვეყნა პატარა წერილი „შენიშვნა“, რომელშიც იგი წერდა: ერთადერთი საშუალება, რომ მესხელს თვალი აეხილოს ვინ არის და რა არის, წერა-კითხვის გავრცელებაა. ვინც კი ისწავლა წერა-კითხვა, დასწავთვბია გოგებაშვილის „ბუნების კარს“, ეს კარგად იცის.

რამდენიმე მაჰმადიანია დღეს ბათუმში, რომ გაკვირვებით იძახის: რა ამბები ყოფილა ქვეყანაზეო და მე კი არ ვიცოდით; ვინც წერა-კითხვა იცის და ქართულს წიგნებს კითხულობს, ან ვინც ძალიან გაერთო ცხოვრებაში, ის ძალიან ექვის თვალთ უყურებს თავის ხოჯას.

თუ წერა-კითხვა გავრცელდა, მაშინ აქაურები შეიტყობენ თავის წარსულს, აქაურებსაც გაეღვიძებათ ხალხის სწავლისა, ისწავლიან, განვითარდებიან და თავის უმეცარს ხოჯებს ექვით დაუწყებენ ყურებას. რაკი ასე წავა საქმე, მაშინ ქართველი მაჰმადიანები შეიგნებენ, რომ ეროვნება სხვა არის და სარწმუნოება სხვა, რომ დღეს ჩვენ ორივე ქართველები ვართ.

სწავლა, სწავლა: აი ჩვენის შეერთების წაჰალი, წამალი ჩვენი ქვეყნის აღდგენისა, რომელსაც „აღმოსავლეთით სპარსეთი სწიწკნიდა, დასავლეთით — ოსმალეთი“ და ბევრი ტანჯვა მოგვაყენაო.

ქართველი ხალხისადმი გულწრფელი სიყვარულის გრძნობით აღფრთოვანებული მასწავლებელი მოსე ნათაძე სიკვდილამდე სკოლას არ მოშორებია.

1887 წლიდან მ. ნათაძე ავადმყოფობდა და ადგილის გამოცვლას ითხოვდა, მაგრამ „ქ. შ. წ. კ. გამავერცელებელი საზოგადოების“

გამგეობას მისი მუშაობა ბათუმის სკოლაში აუცილებლად მიაჩნდა და ამის გამო მ. ნათაძე ადგილზევე დარჩა. მ. ნათაძე გარდაიცვალა თბილისში 1890 წლის დეკემბერში.

ლიტერატურა: მ. ნათაძე, შენიშვნა, ჟურნ. „მწყემსი“, 1898 წ., №16; ორიოდ სიტყვა სკოლებზე, 1899 წ., № 5; საყურადღებო ამბავი (მეთაურო), „ივერია“, 1899 წ., № 267; ჟურ. „ივერია“, 1878 წ., № 10; საქართველოს კალენდარი, 1894 წ.; ს. ო. ფ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ.; ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ.; ი. გულისაშვილი, ჩემი მოგონება „საქართველოს განათლების მუშაკი“; 1925 წ.; გ. ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, 1950 წ.



სოფრომ მგალობლიძე

(1851 — 1925)

ცნობილი ბელეტრისტი სოფრომ ზაქარაიას-ძე მგალობლიძე-ლი, რომელმაც ქართულ ლიტერატურას საყურადღებო მოთხრობები შესძინა, თითქმის 20 წლის განმავლობაში ქართულ ენას ასწავლიდა სხვადასხვა სასწავლებელში.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მან არა ერთსა და ორ ქართველ ახალგაზრდას ჩაუხერგა სამშობლოსადმი სიყვარული, გაუკვალა ცხოვრებაში გზა და ხალხისადმი უანგარო სამსახურს შეაჩვია.

სოფრომ მგალობლიძე დაიბადა 1851 წელს სოფ. დირბში (გორის მაზრა). 9 წლამდე სოფელში მშობლებთან იზრდებოდა. ნიჭიერი, ცნობისმოყვარე ბავშვის მეხსიერებას კარგად დაამახსოვრდა ყრმობისდროინდელი სოფლის ცხოვრების სურათებიდან ჩვე-

ნა გლეხების ზნე-ჩვეულება, რომელიც შემდეგ მოხერხებულად გამოიყენა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში.

მოწვეულ მწერალს საუცხოოდ ახსოვდა ის დრო, როდესაც „ჩაფრები მოედებოდნენ სოფელსა. სოფელი გაიკმინდებოდა; ყველას გული უძაგდავებდა. ეს ძაგდაგი შიშისა არ იყო. ეს იყო ძაგდაგი სისხლის ძიებისა, დაგუბებულის ბოღმისა, ჯავრის ამოყრისა, მაგრამ კირთებისაგან გათელილს გლეხს მარტო გული უთრთოდა, მარტო გული უძაგდავებდა. ძალა კი სულისა ჩაკლული ჰქონდა, ეს ძალა ვერ იშლებოდა. მხოლოდ რჩეულნი შვილნი სოფლისა, ძლიერნი სულითა, სარგებლობდნენ ამ ძალითა, იმათ ვერ აშინებდა მათრახი ჩაფრის; მათრახს იფნის სახრეს, ან შინდის კომბალს შეაშველებდნენ, ბევრჯერ გაუქრელებიათ ჩაფრები იფნის სახრით და თავი გაუჩეხიათ შინდის კომბალით“.

პატარა სოფრომს გულკეთილი და მზრუნველი დედა ჰყავდა. მამა, სემინარიის კურსდამთავრებული, პატივს სცემდა მწიგნობრობას და ზამთრის დიდ ღამეებში ოჯახის წევრებსა და მეზობლებს უკითხავდა „ფეფხისტყაოსანს“, დავ. გურამიშვილის ლექსებს; სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ და სხვა წიგნებს.

1860 წელს სოფრომი მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში. ბავშვზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებელში გამეფებულმა რევამმა. გულისხმიერებისა და პედაგოგიური ტაქტის ნაცვლად მოწონებაში ფიზიკური დასჯა, მოსწავლეთა აბუჩად აგდება და დაბეზლება იყო.

სკოლაში „პირველ შესვლაზევე ვიგრძენ ჯოჯოხეთის ალი, — წერს ს. მგალობლიშვილი, — კლასში იღვა გნიასი, ყვირილი, ტირილი, — ამას როზგს სცემდნენ ტიტუელა ტანზე, იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე, ან თავზე, ზოგს თმას აწიწენდნენ. ზოგს ყურებსა — ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა“.

იი ასეთ პარობებში სწავლობდა სოფრომ მგალობლიშვილი სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1867 წელს დაამთავრა და გაემგზავრა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლა-აღზრდის საქმე არც სემინარიაში იყო სახარბიელოდ დაყენებული. გარდა ზოგიერთი ქართველი მასწავლებლისა, რომლებიც სათუთად და ადამიანურად ეპყრობოდნენ მოსწავლეებს, სხვებს ჩაკლული ჰქონდათ კეთილშობილური გრძობები და აღსაზრდელებს უსაზღვრო სისასტიკით ექცეოდნენ.

ამიტომაც თავის მოსწავლეობის პერიოდს ასე იგონებს სოფ. რომ მაგალობლიშვილი: „ეხლაც კი, ამ მოზუცებულობის ჟამსა, ტანში გამაჟრქოლებს და ციებ-ცხელება ამიტანს ხოლმე, როდესაც წარმოვიდგენ ძველს სკოლასა თვისის განუშორებელი ატრიბუტებით: როზგი (წიქპლა), სახაზავი, ღუჭნის დარაბად წოდებული, დაჩოქება კენჭებზედ, სილა, ყურების წიწქა, თმის გლეჯვა და ათასი სხვა ჯანაბა, ხშირად ვხედავ არითმეტიკის ეგზაშენს: ვდგევარ ხესავით, იწი ბინჩი არა მესმის-რა, ჩამომდის ოფლი, მიშხაპუნებენ თავ-პირში როზგს და პანღურის ცემით მისტუმრებენ. მეღვიძება, ხვითქში ვცურავ და მადლობას ვწირავ შემოქმედსა, რომ ეს სიზმარი იყო და არა ცხადი.“¹

თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებმა სოფ. მაგალობლიშვილს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა. ამხანაგებთან ერთად ის გატაცებით კითხულობდა ქართულ-რუსულ მხატვრულ ლიტერატურას, პოლიტიკურ და მეცნიერულ წიგნებს, „საქართველოს მოამბის“, „ციცკრისა“ და „დროების“ ნომრებს.

განსაკუთრებით კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს მოსწავლეებზე და მათ შორის, რასაკვირველია, სოფრომხედაც, მასწავლებლებმა: თომა ტურიაშვილმა, გიორგი იოსელიანმა, ნიკოლოზ ცხვედაძემ და სხვ.

ერთ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს სოფ. მაგალობლიშვილი თომა ტურიაშვილის შესახებ. ტურიაშვილი განათლებული, სათნო და ძალიან კარგი პედაგოგი ყოფილა. ერთხელ შესულა ის მეზუთე კლასში, სადაც 80-მდე მოსწავლე იმყოფებოდა, უბიდან წიგნი ამოუღია და ახალგაზრდებისათვის ისე მიმზიდველად წაუკითხავს ილია ჭავჭავაძის „სცენები მომრიგებელ მოსამართლე-თან“, რომ მთელი კლასი აღტაცებაში მოხუყვანია.

„ის დღე იყო და ის დღე, — წერს ს. მაგალობლიშვილი, — გავიგეთ გემო ქართული წიგნების კითხვისა, შემოგვექონდა გარედან ქართული ეურნალ-გაზეთები და ვკითხულობდით ცხადად, დამშლელი ჯერ არაყინ იყო.“

ეს ის დრო გახლდათ, როდესაც სემინარიაში ქართული ენა და ლიტერატურა ჯერ კიდევ არ ისწავლებოდა და ქართველი მოსწავლეები მშობლიურ ლიტერატურას მხოლოდ კლასგარეშე კითხვით ეცნობოდნენ.

დიდი სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული აგრეთვე ს. მაგალობლიშვილის მასწავლებლებს გიორგი იოსელიანსა და ნიკოლოზ

¹ „მოგონებანი“, გვ 35.

ცხვედაძეს. „ამათი მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარკად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას“.

სემინარიაში ყოფნის დროს სოფ. მგალობლიშიღმა და მისმა ამაზნაგებმა დაიწყო ხელნაწერი ეურნალის „შრომის“ გამოცემა. ეურნალში მონაწილეობდნენ: გ. უთურგაული, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, მ. სანებლიძე, შ. შიუკაშვილი, ი. მეუნარგია, სოფ. მგალობლიშიელი და სხვ.

ამგვარმა მუშაობამ დასახელებული ახალგაზრდები ერთგვარად პოაზნადა სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის.

1873 წელს სოფრ. მგალობლიშიღმა დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და მასწავლებლობა დაიწყო გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა 1893 წლამდე.

გორში ცხოვრებისა და მასწავლებლობის დროს სოფრომ მგალობლიშიელი ხალხოსნურ მოძრაობაში ჩაება. ის ყოველმხრივ უწყობდა ხელს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის რევოლუციური აზრების გავრცელებას და სხვებთან ერთად (ეგ. იოსელიანი, მიხ. ყიფიანი, შ. დავითაშვილი, ვასილ დეკანოზიშიელი, მათე კერესელიძე, ვას. სამადაშვილი და სხვ.) ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებდა.

გორში მოღვაწეობის პირველ პერიოდს ასე იგონებს სოფ. მგალობლიშიელი: „სასწავლებელში ქართული ენის რვა გაკვეთილი იყო, ამისათვის ხაზინიდან არ იყო დადებული ფული და მასწავლებლები აგრე რიგად ქართული ენის სწავლებით თავს არ იტკივებდნენ. მე უსასყიდლოდ ვიკისრე სწავლება. ეს გარემოება ჩემთვის ძალიან ხელსაყრელი იყო: ქართულით მოწაფეებს დავაინტერესებდი და ნელ-ნელა შევიტანდი ახალგაზრდობაში, როგორც მამულიშიღმურს, ისე კიდევ ახალი მიმართულების აზრებსა“¹.

1876 წელს, როდესაც საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდა ხალხოსანთა დაპატიმრებანი, სოფრ. მგალობლიშიელი გაჩხრიკეს. დაატესალეს და შემდეგ თავდებქვეშ გაუშვეს. 1878 წელს კი ეანდარმთა შეფის, გენერალ მეზენცოვის მოკვლასთან დაკავშირებით, წინად შემზნეულ პირებს, რომლებიც თავდებქვეშ იყვნენ გაშვებულნი, კვლავ ჩხრეკა და დაპატიმრება დაუწყეს.

1. მოგონებანი, გვ. 71.

სოფრ. მგალობლიშვილმა სასწავლებლიდან შეებულება აიღო, ერთომ თბილისში სამკურნალოდ მიდიოდა, და ციხის უფროს ზაზა ყიფიანთან გამოცხადდა მაზრის უფროსის ერისთავის „სარეკომენდაციო“ წერილით, რომელშიც ციხის უფროსს თხოვდნენ, ს. მგალობლიშვილს დაპატიმრება მოეღოს და უმჯობესია, შენი ციხის კანცელარიის ოთახში მოათავსო.

ზაზა ყიფიანმა ეს სურვილი შეასრულა, მაგრამ მთლად გადაირია, როდესაც ამავე დროს დაპატიმრებულები კოტე ყიფიანი (დიმ. ყიფიანის ვაჟი), გიგო ავალიშვილი, დათ. ფურცელაძე და სხვ. მოუყვანეს. ყველანი თითქმის ზაზა ყიფიანის ნათესავეები და ნაცნობ-მეგობრები იყვნენ.

ზაზას მწარე ღიმილით მიუმართავს ტუსაღებისათვის: „ბიჭებო, შეიღებო, რა თქვენი საქმეა მეფის წინააღმდეგობა, იმ მეფისა, რომელმაც თათრობისაგან დაგვიხსნა... სხვა რა გინდათ? ე, ბატონ-ყმობაც ხომ გადააგდო ჰააა?“ მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან ახალგაზრდების ცხოვრების იდეალი სულ სხვა იყო და ამჟამად სხვადასხვა მოსაზრებებით არ სურდათ მოხუცი ყიფიანისათვის „ქადიგების კითხვა“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო სოფრომ მგალობლიშვილი გაათავისუფლეს და კვლავ გინაგრძო მასწავლებლობა. საერთოდ კი ის გორში ყოფნის დროს ხშირად განიცდიდა შევიწროებას. მაგალითად, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა უფროსი 1877 წლის 5 მარტს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უგზავნის შემდეგ მიმართავს: „ჩემ მიერ წარმოებულ კვლევა-ძიების დროს სახელმწიფოებრივი დანაშაულობის შესახებ, სხვათა შორის, დაკითხულ იქნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები, სახელდობრ: სოფ. ენისელის—ივანე როსტომოვი, კარდანახის—ნიკოლოზ მრეველოვი, საგარეჯოს—ალექსანდრე ცხვედაძე, ხოვლეს—იოსებ ცხვედაძე, ქ. გორის—სოფრომ მგალობლიშვილი, რომელთა შესახებ ჩემ მიერ, თანახმად სისხლის სამართლის წესდების 416 მუხლისა, მათ ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ არ დასტოვონ სიცხოვრებელი ადგილი“.

1893 წელს სოფრომ მგალობლიშვილი თავს ანებებს გორის სასულიერო სასწავლებელს და გადადის ქ. ფოთში. 1897 წელს სოფ. მგალობლიშვილი საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და მთლიანად ეძლევა ლიტერატურულ მუშაობას.

მწერლობას სოფრ. მგალობლიშვილი იწყებს 1872 წლიდან. ამ წელს ე. „მნათობის“ მეორე ნომერში მან გამოაქვეყნა როსელის „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღეების“ თარგმანი. შემდეგში მწერალი თანდათან დაუახლოვდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და დაიწყო ბეჭდვა კორესპონდენციებისა და მოთხრობებისა. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა „ყაყიტას ქული“, აგრეთვე „ჯორ-ზაქარა“, „წითელი სარჩული“, „ლამის მეხრე ცეცო“, „ღედა მათა“ და სხვ.

სოფრომ მგალობლიშვილი თავისი კალმითა და პრაქტიკული საქმიანობით ხალხის კეთილდღეობისათვის იღწვოდა. 20-21 წლის ახალგაზრდა იყო ის, როდესაც სემინარია დაამთავრა და ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა. თავის წებედულებებსა და მისწრაფებებს ის გადმოგვცემს შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „წარსულიდან“: „დიდი თავგანწირულება იყო, რომ ჩვენმა დიდებულმა მწერლებმა ახადეს ფარდა ბატონ-ყმობის დროს და დაგვანახვეს, როგორც სარკეში, ტანჯვა-ვაება ჩვენთა უმცროსთა ძმათა, დაგვანახვეს შელახვა კაცის ღირსებისა და ზნეობისა... ყველა ეს კარგი და პატიოსანი! ესლა აგერ ხალხი განთავისუფლდა... ამ ახლად განთავისუფლებულს ხალხსაც ეპირებოდა ამჟამად თავისი მზე, რომელმაც მას სული უნდა ჩაუდგას, აამოძრავოს მისი სისხლი, მისი მთელი არსება, გამოიყვანოს იგი იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არის. აი ეხლა უნდა მათ კაი პატრონი, რომ არ დაიქსაქსონ, რომ... არ ჩაფარდეს რკინის გალიაში, არ მიეცეს უარეს ბატონყმობის ბრვეალეპსა. ეალა საჭიროა ხალხში კარგი მთესველი, დამრიგებელი, მქადაგებელი. საჭიროა მას უსათუოდ იეცეს სწავლა განათლება, უსათუოდ გამართოს სკოლები... ჩვენ უნდა გავიდეთ ხალხში მოძღვრებად, დავაარსოთ სკოლები განსავეთარებლად ხალხის ქვეყანებისა.

... ნე მრწამს, რომ იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ იღწვოდა მართო იმიტომ, რომ დაეცვა თავისი წმინდა წმინდათა... ხალხი, რომელიც არ ეტოტინებოდა სხვებს დასამორჩილებლად. დასაყმობად, რომელმაც თავის კალთის ქვეშ შეიკრდომა ბევრი გაპირებულნი.... ღმერთი არ გასწირავს, მაგრამ ვულსელ დაკრეფილი ჯდომა კეთალს არ დაგვაყრის“.¹

ამ რწმენით გამოვიდა ცხოვრებაში სოფრომ მგალობლიშვილი და სიკვდილამდე მისთვის არ უღალატნია. წყდლებისდაგვარად მან პირნაჯლად მოიხადა მისი ვალი ხალხის წინაშე.

სოფრომ მგალობლიშვილი გარდაიცვალა თბილისში 1925 წლის 2 დეკემბერს.

ლიტერატურა: სოფრომ მგალობლიშვილი. დედა მამა, 1893 წ. თბილისი; ორი მოთხრობა, 1898 წ., თბილისი; დემეტრეს სახლობა, 1901 წ., გორი; საყმაწვილო მოთხრობანი, 1914 წ., გორი. მოთხრობანი, 1916 წ., გორი; ქართველების ვალი პოლტავაში, „კვალი“, 1894 წ., № 5; მოთხოვნები ოთ წიგნად, სასულგამი, 1925 წ., წარსულიდან, ტურნ. „ნოამბე“, 1898 წ., № 12; 1899 წ., 1, 2, 3, 4, 9, 10, 12; 1900 წ. № 2, 3; ნოკონება: 1903 წ., რბელი მოთხოვნები, 1901 წ., პროფ. ვ. თაღიანილის რედაქციით.

¹ სტრ. „ნოამბე“, 1900 წ. 3. გვ. 36-37.



ალექსი ბიჭინაძე (1851—1917)

ალექსი ბესარიონის-ძე ბიჭინაძე დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ მანდიკორში 1851 წლის 29 მარტს. ქართული წერა-კითხვა მან ოჯახში შეისწავლა. 1860 წელს 9 წლის ალექსი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. გიმნაზიის კურსი ალ. ბიჭინაძემ საუკეთესოდ დაამთავრა და 1870 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად.

რუსეთში ალ. ბიჭინაძე საფუძვლიანად გაეცნო სამოციანი წლების დიდ რევოლუციონერ-დემოკრატიკულ მოძღვრებას და, მათი მაღალი იდეებით აღფრთოვანებული, უნივერსიტეტის კურსის დამთავრებისთანავე სამშობლოში გამოემგზავრა იმ მიზნით, რომ პედაგოგიურ დარგში განეხორციელებინა რუსეთში შეთვისებული პროგრესული იდეა-მისწრაფებანი.

1875 წელს ალ. კიკინაძის ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა ქუთაისში (ორკლასიანი კერძო სასწავლებელი პანსიონით), რომელმაც უმოკლეს დროში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი საზოგადოებაში.

1880 წელს ქუთაისში დაარსდა სათავად-აზნაურო სასწავლებელი. უკვე საკმაოდ სახელმწიფოებრივი ალ. კიკინაძე მოწვეულ იქნა ამ სასწავლებლის ინსპექტორად. მან თავისი კერძო სასწავლებელი დახურა და მოსწავლეებიანად ახალ სასწავლებელში გადავიდა. „შვიდი წლის განმავლობაში ალექსი დაულალავი დარაჯი იყო სააზნაურო სასწავლებლის კეთილდღეობისა: დაიწყო I-II განყოფილებით და აიყვანა IV პროგრამაზე კლასამდის. ამ ხნის განმავლობაში აუარებელ ახალგაზრდას გაუთბო გული ნამდვილ ადამიანურ გრძნობათა გავლევებით; ბევრი გამოუცდელი გაიწვრთნა და განვითარდა მის ხელში“ („განათლება“, 1911 წ., № 1, გვ. 17).

1886 წელს ალ. კიკინაძე გადაყვანილ იქნა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად, სადაც 1894 წლამდე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1894-1900 წ. წ. ალ. კიკინაძე მუშაობდა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად.

1900 წელს ალ. კიკინაძე ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორად დაინიშნა. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ალ. კიკინაძემ 1905 წლამდე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მან მცირე ენერჯია როდი დახარჯა მის გამგებლობაში მყოფ სახალხო სკოლათა მუშაობის გარდასაქმნელად და ჯანსაღ პედაგოგიურ პრინციპზე დასამყარებლად.

იაკობ გოგებაშვილი ძალიან სწუხდა, რომ ისეთი გამოცდილი, ნიჭიერი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, როგორც იყო ალ. კიკინაძე, მეფის მთავრობამ სამშობლოს მოაშორა და სადღაც „სპარსეთის საზღვრების ახლოს“ გადაისროლა. ი. გოგებაშვილი 1905 წელს თავის წერილში „შევიწროვება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“ გულნატკენი წერდა: „საერო სკოლების დირექტორთა შორის მხოლოდ ერთია ქართველი და ისიც მსახურობს არა სამშობლო ქვეყანაში, საცა უმეტესის სარგებლობის მოტანა შეეძლო ხალხის სწავლა-განათლებისათვის, არამედ სადღაც შორს სპარსეთის საზღვრების ახლოს, მისთვის სრულიად უცხო წრეში, უცხო გარემოებათა შორის“.

ი. გოგებაშვილის სურვილი მალე ასრულდა. 1905 წელს ალ. კიკინაძე გადმოყვანილ იქნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად. აქ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მისი პედაგოგიური

მოღვაწეობის საბიძეო. იგი გულმოდგინედ შეუდგა სახალხო სკოლებისათვის ახალ პრინციპებზე აღზრდილი პედაგოგების მომზადებას. შემოიკრიბა თავის ირგვლივ საუკეთესო პედაგოგიური ძალები და დარაზმა ისინი მაღალი პედაგოგიური იდეების განსახორციელებლად.

ხონის საოსტატო სემინარია, სადაც ალ. ჭიჭინაძე 1914 წლამდე მოღვაწეობდა, მისი ენერგიული ხელმძღვანელობით საუკეთესო პედაგოგიურ სასწავლებლად გადაიქცა. იგი რევოლუციამდელ საქართველოში კვალიფიციური სახალხო მასწავლებლის სამკედლო იყო.

1914 წელს მხცოვანი პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე გადმოყვანილ იქნა თბილისში და დაინიშნა ქართული გიმნაზიის დირექტორად. მან საპროგრამო სიტყვით მიმართა გიმნაზიის მოსწავლეებს, რომელშიაც მკვეთრად ჩამოაყალიბა ქართული გიმნაზიის ძირითადი პედაგოგიური ამოცანები.

როგორც დირექტორი და მასწავლებელი, ალ. ჭიჭინაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართულ გიმნაზიას საუკეთესოდ განეხორციელებინა მისი ძირითადი ამოცანები, რომ გიმნაზიის მოსწავლეები საფუძვლიანი ცოდნა-მომზადებითა და სანიმუშო დისციპლინით საუკეთესოთა შორის მოწინავენი ყოფილიყვნენ. მიუხედავად ომიანობის მძიმე პირობებისა, ალექსი ჭიჭინაძის დაუღალავი და შეუწელებელი შრომამეცადინეობის მეოხებით, თბილისის ქართული გიმნაზია ბრწყინვალედ ახორციელებდა თავის ამოცანებს.

დიდებულ პედაგოგს არ დასცალდა მისი პედაგოგიური გეგმების ბოლომდე მიყვანა ქართულ გიმნაზიაში. სამშობლო ქვეყნის წინაშე საკმარისად ვალმოხდილი საზოგადო მოღვაწე, გამოცდილი და მაღალნიჭიერი პედაგოგი ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე უეცრად გარდაიცვალა 1917 წლის 9 თებერვალს.

ალ. ჭიჭინაძე არა მარტო დიდი პრაქტიკოსი მოღვაწე და სახალხო განათლების გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელი იყო, არამედ, ამავე დროს, პედაგოგიკის თვალსაჩინო თეორეტიკოსიც საქართველოში. ალ. ჭიჭინაძის მრავალმხრივ საინტერესო პედაგოგიკურ-დიდაქტიკური მოძღვრება ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპისა (კომენსკი, რუსო, პესტალოცი) და განსაკუთრებით რუსეთის დიდი პედაგოგ-მოაზროვნეების (ჩერნიშევსკის, დობროლუბოვას, უშინსკის) პროგრესულ პედაგოგიკურ შეხედულებათა საფუძველზე და უშუალოდ უპასუხებდა ჩვენში სწავლა-აღზრდის განვითარების აქტუალურ ამოცანებს.

აღ. ქიქინაძის პედაგოგიური თეორიის ძირითად ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა ბავშვთა ბუნებრივი ძალების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში და ამ გზით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა. „პირველყოფლისა საქიროა ადამიანისათვის, — წერდა იგი, — გონებრივ ძალთა განვითარება, გაღვიძება მის გულში და გაწვრთნა კეთილშობილურ გრძნობათა და მისწრაფებათა, რომ იგი შეიქმნეს ადამიანად“ (კრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ. 245).

ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ძირითადი მიზანი, აღ. ქიქინაძის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მიეცეთ მას „ნამდვილი განათლება, ქეშმარიტი გამდიდრება გონებისა მეცნიერულის ცოდნით და გაწრთვნა საქმიანობაში, შრომაში“ („განათლება“, 1914 წ., № 7, გვ. 553). აქედან გამომდინარეობს პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი ამოცანა: „აღზარდოთ ჯანსაღი, გონებაფიზიკური, შრომის მწყურვალე და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდობა“ („რჩევათა სთქმელი“, გვ. 7). ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიური შრომის ამ ძირითადი ამოცანის განხორციელება მხოლოდ სასკოლო პირობებში არის შესაძლებელი. „სკოლა, — წერდა აღ. ქიქინაძე, — ერთი უმთავრეს საშუალებათაგანია სალი სხეულის და გონების აღსაზრდელად და მტკიცე ხასიათის შესამუშავებლად“ (იქვე, გვ. 7).

სკოლაში უნდა მისცეს ახალგაზრდობას სრულყოფილი მომზადება და განვითაროს მისი ძალები. როდის შესძლებს სკოლა ამის მიღწევას? მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიზნად დაისახავს პირველ რიგში მოსწავლეთა შეიარაღებას ზოგადი განათლების საფუძვლებით. აღ. ქიქინაძე სასტიკად ებრძოდა ყველა იმას, ვინც ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში სპეციალურ-ტექნიკური ცოდნის მიღებას აძლევდა უპირატესობას.

სკოლა თავის დიდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დანიშნულებას, აღ. ქიქინაძის აზრით, მხოლოდ მაშინ განხორციელებს ხეირიანად და რაციონალურად, როდესაც სწავლება სკოლაში მშობლიურ ენაზე იწარმოება. „სამშობლო ენა არის ის წმინდა, მეტად ნაზი ძაფები სულისა, რომელიც მასზე მოლაპარაკეთ ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან, უხილავად აერთებს. სამშობლო ენაზე ნათქვამი ღრმად სწვდება მოსაუბრეთა გულს და იწვევს თანაგრძნობას და აზრთა თანხმობას“, — ამბობდა აღ. ქიქინაძე თავის მიწართვინი თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებისადმი („განათლება“, 1914 წ., № 7, გვ. 552).

მშობლიურ ენაზე სწავლება სწავლა-აღზრდის ძირითადი პირობაა. „თუ სწავლება მშობლიურს ენაზე იწარმოებს, — წერდა ალ. ჭიჭინაძე, — მაშინ ქართველ მოსწავლეებს დიდად შეუძლებუქდებათ მძივე ტვირთი სწავლისა. შეგნებულება იმატებს, იმატებს სწავლის ხალისიც და ეს გარემოება კეთილს გაელენას იქონიებს საერთოდ სწავლა-აღზრდის მსვლელობაზე“ და კერძოდ რუსული ენის შეთვისებაც („პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა“, გვ. III.), რადგანაც არამშობლიურ (რუსულ ენაზე) „საგნების ცოდნა დამყარებულია მხოლოდ მეხსიერების ვარჯიშობაზე და ამის გამო სასწავლებლო მასალის დამუშავებას არ აქვს ის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რომელიც უნდა ჰქონდეს ადამიანისათვის მეცნიერების საფუძვლების გაცნობას“ (იქვე; გვ. II).

შეგნებული სწავლების განხორციელების ერთ-ერთ არსებით საშუალებად და სწავლების ზოგად დიდაქტიკურ პრინციპად ალ. ჭიჭინაძე თვალსაჩინოებას თვლის.

შეგნებული სწავლებისა და თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელების ძირითად საშუალებად ალ. ჭიჭინაძეს ევრისტული მეთოდი მიაჩნია. სასკოლო სწავლების ამ პრინციპებისა და მეთოდების განხორციელება აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესსა და ყურადღებას, ხოლო „სადაც ინტერესი არ იყო, — წერდა ალ. ჭიჭინაძე, — ყურადღებაც სუსტდებოდა და სუსტი ყურადღებით, რასაკვირველია, ცოდნასაც ვერ შეიძენდნენ, ვერ შეითვისებდნენ მტკიცედ. სადაც ყურადღება არ იყო ცოდნის შეძენისათვის და აზროვნება არ წარმოებდა, იქ ხალისიც არ იღვიძებდა მოსწავლეთა სულში და იგინი ვერ იძენდნენ იმ ძვირფას თვისებას, რომელსაც ძიების წყურვილი ჰქვია და რომელიც ჰქმნის მისწრაფებას მეცნიერებისადმი“ („რიჟრა ფზე სათქმელი“, გვ. 35-36).

სწავლა-განათლების ამ ზოგადი თეორიის საფუძველზე აგებდა ალ. ჭიჭინაძე ცალკე სასწავლო საგანთა სწავლების ძირითად წესებს და არკვევდა ამ საგანთა მნიშვნელობას მოსწავლეთა საერთო განვითარებასა და აღზრდაში.

ალ. ჭიჭინაძე ზოგად განათლებასთან ერთად ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. მისი აზრით, ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენს. მასზეა დამოკიდებული მოსწავლის სულიერი ჩამოყალიბების მთელი პროცესი. ამიტომ არიან მასწავლებლები „პასუხისმგებელი შთამომავლობის წინაშე“. ამ დიდი ამოცანის განხორციელება შეუძლებელია, თუ „აღმზრდელთა და მოწა-

ფეთა შორის აღარ არის მშობლიური დამოკიდებულება“ („რიტ-რაჟზე სათქმელი“, გვ. 25).

აღ. კიკინაძე სწავლა-აღზრდის სისტემის საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის იბრძოდა ენერგიულად. იგი ქართული სკოლის ჯანსაღ პედაგოგიურ საფუძვლებს ამკვიდრებდა ქართულ რევოლუციამდელ პედაგოგიურ ლიტერატურაში და სხვებსაც მოუწოდებდა სახალხო განათლების დარგში ჩვენი ეროვნული უფლებების დაცვა-განმტკიცებისაკენ.

ყოველი საზოგადოებრივ-პედაგოგიური საკითხი აღ. კიკინაძეს პრინციპულ სიმაღლემდე აჰყავდა და თავისი დროის შესაფერის მეცნიერულ დასაბუთებასაც აძლევდა მათ თავის პრაქტიკულ შემოქმედებით პედაგოგიურს, საზოგადოებრივს და თეორიულ სამეცნიერო-პედაგოგიურს მუშაობაში. აღ. კიკინაძე დროულად ეხმაურებოდა ჩვენში მოწინავე საზოგადოების წინაშე მდგარ ამოცანებს და თავისი ზეპირი თუ ლიტერატურული გამოსვლებით ყოველთვის ააშკარავებდა როგორც იმათ ცდებს, ვისაც სურდა ჩვენი ეროვნული გადაგვარება, ისე სახავდა იმ ნათელ პერსპექტივასაც, რომელსაც იგი სჭერებდა და რომლისკენაც მოუწოდებდა თანამემამულეებს.

აღ. კიკინაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენთვის არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური პუნაობა და თეორიული პედაგოგიურ-დიდაქტიკური მოძღვრებაც ბევრ ისეთ ჯანსაღ პრინციპებსა და წესებს შეიცავს, რომ ისინი ამჟამადაც გამოდგება სახელმძღვანელო დებულებებად ჩვენი სკოლის სადღეისო აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად.

ლიტერატურა: I. აღ. კიკინაძე, რუსული ენა ჩვენს სასწავლებლებში, „ივერია“, 1978 წ., № 66 და 67; მოკლე ანგარიში ალექსანდრეს სათავად აზნაურო სასწავლებლისა, გაზ. „შორომა“, 1932 წ., № 38; რა გვარი სასწავლებელია აუცილებლად საჭირო?, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2479. პასუხად ბატონს იაკობ გოგებაშვილს, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № № 2913 და 2914; მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანრბეშო პროგრამით, 1907 წ.; მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა, 1913 წ., რიტრაჟზე სათქმელი, 1915 წ.

II. ქურ. „განათლება“, 1911 წ., № 1, გვ. 10-20; ქურ. „მნათობი“, 1945 წ., № 2-3, გვ. 164-165; სოლ. ცაიხვილი, ალექსი კიკინაძე, გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1935 წ., № 6; ვ. ძიძიგური, ალექსი კიკინაძე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 23, ვ. ქაჯაია, საზოგადოებრივი პედაგოგი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 23; ვ. ქაჯაია, ალექსი კიკინაძე, გაზ. „სახალხო განათლების“ გამოცემა, თბილისი, 1946 წ.



ივანე აქსენტოვი

(1852—1924)

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და მწიგნობარი ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი დაიბადა 1852 წლის 24 დეკემბერს (ძვ. სტ.) თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში. ივანეს მამა პავლე იოსების-ძე წარმოშობით გლეხი იყო, მაგრამ შამილის ბრბოებთან მანაცხური ბრძოლის გამო ობერ-ოფიცრობითა და პენსიით იყო დაჯილდოებული.

პატარა ვანოც თავიდანვე შრომისმოყვარე, ნიჭიერი და მეცადინე აღმოჩნდა. მშობლებმა იგი ჯერ თელავის სამოქალაქო სასწავლებელში მიიბარეს, მაგრამ რაკი მისი აღზრდა, როგორც ოფიცრის შვილისა, შესაძლებელი იყო სახელმწიფო ხარჯზე, ამიტომ 9-10 წლის ვანო მიბარებულ იქნა მაშინ დედოფლისწყაროში (ახლა წითელწყარო) არსებულ სამხედრო სკოლაში.

ამ სკოლაში ვანოს 6 წელიწადი გაუტარებია და, როგორც თვითონ იგონებს, არც ერთი სასიამოვნო წუთი მისგან არ გამოჰყოლია. მასწავლებლებად უმთავრესად ფელდფებელნი, ჯარისკაცები, ან უბერიო ოფიცრები იყვნენ, რომელთაც პედაგოგიკისა არაფერი ესმოდათ, მოსწავლეებს მხოლოდ ცემა-გვემითა და ლანძღვა-გინებით წრთვნიდნენ. ვანომაც ყველა ეს სატანჯველი გაიარა და მშობლიურენადავიწყებული დაბრუნდა შინ.

ცხადია, სამხედრო სკოლის კურსდამთავრებული, ქართული ენადავიწყებული და თითქმის გადაგვარებული 17-18 წლის ქაბუკი კვლავ ყაზარმას უნდა დაბრუნებოდა, მეფის ჯარის „კარგი“ ოფიცერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვანოს ბუნებაში სავსებით არ აღმოჩნდა გამქრალი თანდაყოლილი ზიდრეკილებანი. მისი გული სხვა სფეროსაკენ მიიწევდა. იგი სხვა ასპარეზისათვის იყო გაჩენილი, ამას ისიც ემატებოდა, რომ სამხედრო სკოლამ მას სავსებით შეაძულა ყაზარმული ცხოვრება, და გადაწყვიტა ამ სფეროს არ გაეკარებოდა.

1870 წელს ივანე როსტომაშვილი მაშინ თბილისში ახალგახსნილ საოსტატო სემინარიაში შევიდა. ეს სასწავლებელი მალე ე. წ. ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. ვანომ ეს ინსტიტუტი დაასრულა 1874 წელს და მასწავლებლად დაინიშნა საინგილოში, სოფელ კახში. ივანე თვითონ წერს ერთ თავის მოგონებაში, რომ „სამხედრო კარიერაზე ოცნებანი ძირფესვიანად დამეკარგა, მათი ადგილი დაიკავა ხალხის სამსახურმა და მათი შვილების სწავლამ. დაიკარგა უკვალოდ სამშობლო ენის დავიწყებაც, თუმცა სასწავლებელში ქართულს სრულიად არ გვასწავლიდნენ, მაგრამ მე თვითონ ვიწყე მისი შესწავლა... სასწავლებლის უფროსი (ნ. ზახაროვი) სასტიკად დევნიდა ქართულ ენას, ქართულ წიკს არ აქაქანებდა სასწავლებელში. ერთხელ გამჩხრიკეს კიდეც და ჩამომართვეს იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელსაც თავისუფალ დროს ვკითხულობდი... მაგრამ ტყუილად ხომ არ უთქვამს ქართველ ხალხს, „აკოძალული ხილი გემრიელია“... უაღრესად ვეტრფოდი ქართულ ენას... ვიწყე მასწავლებლობა თუ არა, მაშინვე გამოვიწერე ქართული გაზეთი „დროება“, კვირეული — „ივერია“ და მათი კითხვით იმდენად შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ თითონაც დავიწყე პატარ-პატარა იმბების წერა და გაზეთებში გზავნა“... (ს. გ. მ. 4574).

ამგვარად ივანე როსტომაშვილი ერთდროულად გამოდის პედაგოგიურ და სამწერლო სარბიელზე. 1874-5 წლებიდან ის ხდება ქართული პერიოდული პრესის თანამშრომელი და პრაქტიკუ-

ლი საზოგადო მოღვაწე როგორც სახალხო სკოლის მასწავლებელი, „ხალხში გასული“ და ხალხთან დაახლოებული.

კახის სკოლაში ივანე როსტომაშვილი მხოლოდ 4 წელიწადს მოღვაწეობდა. ამ მოკლე ხნის მანძილზე მან შესძლო სკოლის მუშაობა ძირფესვიანად გარდაექმნა. სკოლის ფართო ეზოში გააშენა ხეხილის ბაღი და ვენახი. სკოლის გარეთ დარჩენილ მოზრდილთათვის შემოიღო საკვირაო საღამოს კურსები. აქ თვითონვე უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას სოფლის ახალგაზრდობას. ამგვარი შრომით ივანემ დიდი ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა ადგილობრივი მშრომელებისა, რომელთაც „ევანო მასწავლებელი“ მაღაზროდ მოეწვინა.

ივანეს ეს სასარგებლო მოღვაწეობა კახში დიდხანს არ გაგრძელდა. საღეთო სჯულის შევიწროების ანგარიშზე სკოლაში ოფიციალური პროგრამის გარეშე მყოფი საგნის — ქართული ენის — სწავლების შემოღების გამო, ივანე მოხსნილ იქნა კახის სკოლიდან 1878 წელს და გადაყვანილი ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, სადაც ის სხვის უფროსობისა და მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მაგრამ მისმა დაუდგრომელმა ხასიათმა მას აქაც ხიფათი შეამთხვია. საინგილოს მაშინდელ მოწინავე და მთავრობის მიერ შენიშნულ მოღვაწეებთან — ა. ბაირამაშვილსა და კ. ბალაშვილთან მჭიდრო კავშირის გამო და ამავე დროს ქართულ პრესაში ადგილობრივი ბობოღების მხილებისათვის, ივანე მოხსნილ იქნა სასწავლებლიდან და ერთხანად დაპატიმრებულიც.

1880 წელს ივანე თავს აღწევს რა მომხდარ სკანდალს, ინიშნება თელავის საქალაქო სასწავლებელში მასწავლებლად. ის აქაც ვერ ისვენებს. იწყებს თავისებურ საქმიანობას: თელავში მოსვლის პირველ წელსავე აარსებს წიგნთსაცავსა და სამკითხველოს, სადაც მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ქართული და რუსული მოწინავე პერიოდული პრესა და სხვადასხვა ლიტერატურა. 1882 წელს ივანეს ინიციატივითა და დაუცხრომელი შრომით თელავში არსდება „დეპო“ — საზოგადოებრივი საეაქრო, რამაც დიდი აურზაური და ივანე როსტომაშვილის საწინააღმდეგო მოძრაობა გამოიწვია ადგილობრივ ვაჭრებში. მისივე მეთაურობით თელავსა და კურდღელაურში ჩამოყალიბდა აგრეთვე სახალხო ბანკები და დაარსებულ იქნა საკვირაო სკოლები, სადაც სწავლობდნენ წერა-კითხვას სკოლის გარეშე დარჩენილი გლეხის შვილები — მოზრდილი ასაკის ქალ-ვაენი. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ადგილობრივ მოხელეებსა და ვაჭრებს — კატეგორიულად მოეთხოვათ ივანე როსტომაშვილის თელავიდან მოშორება.

ხელისუფლებამაც ისმინა მისი დამქაშების ვედრება, ივანე როსტომაშვილი ინსპექტორში გამოიძახეს და ვითომც დაწინაურების მიზნით შესთავაზეს ახალქალაქის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორობა. ივანეს არ უნდოდა მშობლიური თელავიდან წასვლა, მაგრამ ხელავდა რა გამწვავებულ მდგომარეობას, სხვა გამოსავალი არ იყო და ისიც დათანხმდა. 1889 წელს ახალქალაქში გაემგზავრა.

ახალქალაქში ივანე როსტომაშვილის ღვაწლი დიდად ნაყოფიერი იყო როგორც მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწისა. ივანეს სახელთან არის დაკავშირებული ჯავახეთის ძველი ისტორიული ძეგლების გადარჩენა. ამ მიზნით მან, ფოტოაპარატმომარჯვებულმა შემოიარა საქართველოს ეს უძველესი ნაწილი, რომელიც იმ ხანებში, გარეშე და შინაური მტრებისგან გაძარცული, უნუგეშო მდგომარეობაში იყო, ინგრეოდა ქართული კულტურის არქიტექტურული ძეგლები. თვითმპყრობელობის მიერ ამ მხარეში ჩამოსახლებულ უცხო ტომთაგან ნადგურდებოდა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. ივანე როსტომაშვილმა, გარდა იმისა, რომ ბევრი იზრუნა მათი ნატურალურად გადარჩენისათვის, ყველა ძეგლის ფოტოგრაფირებაც მოახერხა. მთელი ეს მასალა მან გამოაქვეყნა კრებულში „Материалы для описания местностей и племен Кавказа“, (вып. 25, Тифлис, 1898 г.).

ცნობილმა ისტორიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა ივ. როსტომაშვილის ამ არქეოლოგიურ აღწერილობას მაღალი შეფასება მისცა და ის იმავე წელს ქართულ ენაზედაც გამოიცა. ასეთივე მაღალი შეფასება მისცეს ამ ნაშრომს გამოჩენილმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა და ცნობილმა ჟურნალისტმა ილია ალხაზიშვილმა.

1894 წელს ივანე როსტომაშვილი სხვადასხვა მიზეზთა გამო იძულებული ხდება დატოვოს ახალქალაქის სასწავლებელი. ის საბოლოოდ თბილისში იწყებს ცხოვრებას. ებმება საზოგადოებრივ და სამწერლო საქმიანობაში. ხდება ერთი შესამჩნევი ფიგურათაგანი როგორც პედაგოგი და პუბლიცისტი. ამავე დროს 1897 წლიდან 1905 წლამდე ის ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას წმ. ნინოს სახელობის ქალთა და კომერციულ სასწავლებლებში.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თავის სტატიაში — „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“ — ამტკიცებდა, რომ ქართველები ბუნებრივად არიან პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებულნი და იქვე ჩამოთვლიდა ინდროინდელ გამოჩენილ და ნი-

ქიერ ქართველ პედაგოგებს, რომელთა შორის ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილსაც თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული (ტ. II, გვ. 324). დიდი ილია ქავჭავაძე კი ივანე როსტომაშვილს „ჩვენს ფუტკარს“ უწოდებდა.

მართლაც, ივანე როსტომაშვილი თავისი შრომით ფუტკარს გავდა, მარად მოფუსფუსეს და მოუსვენარს. მისი კალმის ნამუშავევი უხვად ეფინებოდა იმდროინდელ ქართველ მკითხველს და მრავალგვარ რჩევა-დარიგებისა და სამეცნიერო ცოდნის გარდა მომავლის რწმენასა და იმედს უღვიძებდა. სად არ იბეჭდებოდა მისი წერილები, ნარკვევები, პედაგოგიური სტატიები, არქეოლოგიური გამოკვლევები, პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობები, ლექსები, გადმოკეთებული ზღაპრები და ფოლკლორული ნიმუშები. თითქმის ყველა ქართული პერიოდული ორგანო: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვა საკმაოდ გამდიდრებულია ივანე როსტომაშვილის (ფსევდონიმები: კახთ-კახოსი, ვანო, თქვენი ვანო, დიზჩაელი, რ. ივ. როსტ., და ა. შ.) მრავალფეროვანი ნაწერებით.

ივ. როსტომაშვილი ახერხებს ცალკე წიგნების გამოცემასაც. მათ შორის აღსანიშნავია 1876 წელს გამოცემული „არითმეტიკული ამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობელთათვის“, რომელსაც იაკობ გოგებაშვილმა დადებითი შეფასება მისცა. მას მოჰყვა ბავშვებისა და ოჯახში საკითხავი წიგნების სერია: „მრნაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოჰენება“ (1893 წ.), „ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში“ (1895 წ.), შესანიშნავი და ფრიად მნიშვნელოვანი ალბომი „ქართველთა ტომი“ (1896 წ.), რომელშიც მშვენიერი ილუსტრაციებითა და შესაფერო ტექსტით მოცემულია საქართველოს ყველა კუთხის (თურქეთის მიერ მიტაცებული ნაწილის შეტანით) ქართველთა ტიპები, მათი დამახასიათებელი კოსტუმით, საყოფაცხოვრებო ნიშნების აღნიშვნითა და ისტორიული ცნობებით. აშას მოჰყვა მის მიერ შედგენილი „ქართული კალენდარი“ 1897 წლასა, სადაც ბევრი საინტერესო და სასარგებლო ცნობების მიღება შეეძლო მაშინდელ მკითხველს.

საბავშვო ლიტერატურის სფეროდან ამ ხანებში ივ. როსტომაშვილმა გამოსცა „ქართული ანბანი, ოჯახში და სკოლაში სახმარებლად“, რომელმაც რამდენიმე გამოცემა განიცადა (1895, 1902, 1905, 1906 წ.წ.), „საყმაწვილო საჩუქარი“ 35 სურათით (1900 წ.) და ექვს წიგნაკად დაბეჭდილი სერია სათაურით — „გამოსადეგი ცნობანი“ (1902 წ.).

გარდა ამისა ივანე როსტომაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პოპულარული შრომა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამ მხრივ ის მართლაც ენციკლოპედისტი იყო. და როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ქართული ენციკლოპედიის გამოცემასაც მიყო ხელი. მის ამ სამეცნიერო-პოპულარული სერიიდან დასახელების ღირსია წიგნები: „რა არის გონებრივი გახსნა-განვითარება“ (1902 წ.), „რისგან სწეულდებიან და იხოცებიან ჩვენი ბავშვები“ (1902 წ.); „ხეხილის გამრავლება და მოვლა“ (1903 წ.), „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა“ (1903 წ.), „მეფე ლაშა“ (ზღაპარი—1903 წ.), „რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანიო?“ (1903 წ.), „სულით ავადმყოფნი მოსწავლენი“ (1903), „დიდი ნათელი ძველი ქვეყნისა, სოკრათი და მისი ფილოსოფია ცხოვრების შესახებ“ (1904), „სამეურნეო ოჯახი და საჰიგიენო სამკურნალო ნარკვევები“ (1904), „თვითნასწავლი სახალხო მოღვაწენი ჩვენში და რუსეთში“ (1904), „ბუდდა და მისი ცხოვრება — სწავლა სიცოცხლებზედ“ (1905), „თვითგანვითარება“ (1910), „თვითმოქმედება“ (1910), „პურის თესვა-მოყვანა“ (1910), „ამერიგო ვესპუჩი“ (1914), „როგორ უნდა ვასწავლიდეთ არითმეტიკა?“ (1914), „როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითვას სკოლებში და ოჯახში“ (სახელმძღვანელო მშობლებისა და მასწავლებელთათვის, თბილისი, 1914 წ.), „ზნებრივი აღზრდის საფუძვლები“ (1914), „ქრისტიანული კოლუმბი“ (1914 წ.), „პედაგოგია და ფსიქოლოგია, პრაქტიკული სახელმძღვანელო მშობელთა და მასწავლებელთათვის თუ როგორ ასწავლონ ბავშვებს და მოსწავლეებს შინ და სკოლაში“ და სხვა მრავალი, რომელთა რიცხვი 60-მდე აღის. ყველა ამათ უნდა მიემართოს მის მიერ შედგენილი და გამოცემული ქართული ენციკლოპედიის რამდენიმე ნაკვეთი, თარგმანები და მისივე წინასიტყვაობით გამოცემული გამოჩენილ მეცნიერთა და პედაგოგთა (პესტალოცი და სხვ.) თხზულებანი.

არც ამით ამოიწურება ივანე როსტომაშვილის საოცარი შრომისმოყვარეობის ნაყოფიერება. ის გამოჩენილი ჟურნალისტი და გამომცემელ-რედაქტორიც იყო. 1901 წელს, თბილისში, მან დაიწყო ჯოველთვიური, საკმაოდ სქელტანიანი ჟურნალის „მოგზაურის“ გამოცემა. 1905 წლიდან ეს ჟურნალი ყოველკვირეულ პოლიტიკურ გაზეთად გადაკეთდა.

მართალია, ეს ჟურნალი თავიდანვე ვითომ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ხასიათისა იყო, მაგრამ ივანე როსტომაშვილმა ის თანდათან გარდაქმნა და თითქმის პედაგოგიურ-პუბლიცისტური შინაარსისა გახადა. თავის მკითხველებს ის ყოველ ნომერში აწვდი-

და ახალ-ახალსა და პროგრესულ აზრებს მომავალი თაობის აღ-
ზრდისა და ახალი სკოლის პრინციპების შესახებ. 1903 წლას „მოგზა-
ურის“ № 1 ში როსტომაშვილი წერდა: „ჩვენი მომავლის განსამ-
ტკიცებლად აუცილებლად საჭიროა ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს
როგორც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მოქმედება, ისე ჩვენი
მოზარდი თაობის დღევანდელი ბურჟუაზიული სწავლა-აღზრდის
საქმე იმ დამატებით, რომ ყოველ სასწავლებელში, დაწყებული სა-
ხალხო სკოლიდან ვიდრე უნივერსიტეტამდე, საშუალო-სატექნიკო
საგნები ისეთივე უფლებით და პატივით ისწავლებოდნენ, როგორც
სხვა ყოველი საგანი, რათა ამით ყოველი მოსწავლე პატარობიდან-
ვე იწრთვნებოდეს და მტკიცდებოდეს სამეურნეო-ტექნიკური საგ-
ნების სიყვარულში და ტრფიალში“.

1910—1911 წლებში ივანე როსტომაშვილი იწუებს ყოველდღი-
ური, იაფფასიანი გაზეთის „სინათლეს“ გამოცემას. მაგრამ მეტად თა-
ვისუფალი აზრების გამოთქმისა და რევოლუციური იდეების გავრ-
ცელებისათვის ეს გაზეთი მთავრობის მიერ შეჩერებულ იქნა და პისი
რედაქტორი პასუხისმგებლობაში ნიციმული. ამის შესახებ თვითონ ივა-
ნე როსტომაშვილი წერს 1911 წლის „სინათლის“ № 86-ში. რომ
„ეს ნომერი უკანასკნელი ნომერი იქნება ჩვენი რედაქციით გამოცე-
მული. 26 აპრილს ჩვენ წარესდგებით სასამართლოში როგორც ერ-
თი უდიდესი დამნაშავე“... მაგრამ მუდამ მოძრაება უკვე მხცოვან-
მა ივანემ. პატივრობას თავი მალე დააღწია. მხოლოდ გაზეთი ჩა-
მოართვეს და გადასცეს ისეთ პირს, როგორც ჩვენი ცნობილი
ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი იყო. მან კვლავ განაახლა
„სინათლეს“ გამოცემა. შემოიკრიბა ცნობილ ქართველ მწერალ-
თა ჯგუფი და მათ შორის ივანე როსტომაშვილიც, რომელიც თან-
დათან კვლავ შეიქნა თავისი საყვარელი გაზეთის ფაქტიური რე-
დაქტორიცა და გამომცემელიც.

1917 წელს თვითმპყრობელობის დამხობას მხცოვანი მოღვაწე
აღფრთოვანებული შეეგება. რევოლუციის შემდეგ ახალქალაქის სა-
მოქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, ახალქალაქელებმა
მის პირველ დირექტორად ძველი მოამაგე და მზრუნველი ივანე როს-
ტომაშვილი მოითხოვეს. ივანემაც ისმინა ხალხის თხოვნა, დროებით
მიანება თავი დედაქალაქს და ჯავახეთში გაემგზავრა. აქ ის ახალ-
გაზრდული ენერგიით შეუდგა ახალი გიმნაზიის ჩამოყალიბებას,
მისთვის ნორმალური პირობების შექმნას, რისთვისაც მან მთელი
სამი წელიწადი დაჰყო ამ სასწავლებელში. 1920 წელს ის კვლავ
თბილისის დაბრუნდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ივანე აღორთოვანებით შეხვდა. ის პირველ ხანებში გაემგზავრა კახეთში; თავის მშობლიურ სოფელში და იქაც ახალგაზრდული ენერჯით იწყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

უკანასკნელ ხანებში ის თბილისში დაბრუნდა. აქ, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა წრეებში კვლავ აგრძელებდა ქართული კულტურის სამსახურს, წერდა მოგონებებს, რემუარებს, აწესრიგებდა თავის არქივს და დაუბეჭდავ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

72 წლის ასაკში მყოფი მხცოვანი მოღვაწე ჯერ ისევ შრომის პირობით იყო აღჭურვილი. მისი დაუდგრონელი ბუნება კიდევ ბევრ ახალ უმზადებდა განახლებულ სკოლას, როცა 1924 წელს 27 აგვისტოს განეთმა „კომუნისტი“ (№ 195) ქართველ საზოგადოებას აღწერა „ძველი საზოგადო მოღვაწის“ ივანე პავლეს-ძე როსტომიშვილის ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალება.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სრამისი დაკრძალვის სარგები, ხოლო განსვენებულის ოჯახს დაინიშნა მუდმივი პერსონალური პენსია. მადლიერმა ქართველმა მოოცნებებმა თავის მოამბავს სამღლადმო განსავენებელი დიდუბის მოკვლ მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინეს.

უ* საქართველოს სსრ საბალსო განათლების მუხეუმი, № 167/10, 4574; საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუხეუმი. № 1699/4; გაზ. „დროება“. 1895 წ., № 149; „ივერია“ 1905 წ., № 140; „კვალი“, 1896 წ., № 5; ყუბ. „შობებ“, 1895 წ., № 3; განვითი „ცხოხის ფურცელი“. 1897 წ., 89, 178, 193, 201, 203, ე. თაყაიშვილი „Сборник материалов“, Вып. 25, 1898 г.

„ივერია“, 1898 წ., 161, 105; 1902 წ., 2; 1903 წ., № 146, 150, 151; შოა 1903., № 12; „მოვხაური“, 1903 წ., „ივერ“ 1909 წ., № 206; „თეატრი და ეხოგრაფია“, 1925 წ., № 5; განვითი „კომუნისტი“, 1924 წ., 115, „მუშა“, 1924 წ., 531



ნიკო ლომოვი

(1852—1915)

„მე შინდა სოფლად დაესახლდე. სოფელი შეწუხებულია გაუნათლებლობით, სხვა დასხვა სნეულებით და ორუცხა წურბელა ნადირებით. სკოლითა და ადვილათ გასაგები ლექციებით შევებრძოლები პირველთა; სამკურნალო მეცნიერებით შევასუსტებ მეორეთა; სამართლის კოდნით, პურის მაღაზიებით, საზოგადო დებოების დაარსებით და სხვა, გარემოებაზე დამოკიდებული მოქმედებით წინ დაფუძვები მესამეთ.“

იმედი მაქვს, ერთი მეც ბევრ რასმე გავაკეთებ, მაგრამ ისიც კი მტკიცედა მწამს, რომ მე მარტოკა არასოდეს არ დავრჩები დიდხანსა: მალე სხვებიც მომეშველებიან¹. — ამბობს ნიკო ლომოვი მოთხრობის ერთი გმირი.

1 ნ. ლომოვი, მოთხრობები, 1926, გვ. 141.

და შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც მოთხრობის ავტორი, ნიკო იოსებისძე ლომოური ცხოვრებაში გამოსასვლელად ემზადებოდა, ისიც ასეთივე აზრით და მისწრაფებებით იყო გამსჭვალული.

ქართული საზოგადოება ნიკო ლომოურს იცნობს, როგორც საუკეთესო პროზაიკოსსა და შესანიშნავ მასწავლებელს, რომელმაც თავისი ტყბილი ქართული ენით ბავშვებს სამშობლოს წარსული გააცნო, წინაპართა აჩრდილებზე ესაუბრა, აწმყოს დუხჭირი და მძიმე ცხოვრების სურათები ნათლად დაუხატა და ხალხისადმი სამსახურისაკენ ყველა პატიოსან, გულმართალ ადამიანს მოუწოდა.

ნ. ლომოურის გაკვეთილებს მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც შემდეგში დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგნენ, ყოველთვის სიამოვნებით იგონებდნენ.

ნიკო ლომოური დაიბადა 1852 წლის 19 თებერვალს სოფ. არბოში. მისი მამა იოსები წარმოშობით გლეხი იყო. იმ ცოტადენი განათლების მეოხებით. რომელიც მას ჰქონდა, შეძლო მღვდლად კურთხევა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახის გაძლოა. (იოანეს, ნიკოს გარდა, კიდევ ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი). თუმცა იოსებ ლომოურის ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ მაინც შეძლო ვაჟებისათვის განათლების მიცემა.

ნიკო ლომოური, როდესაც 8 წლისა შესრულდა, გორში წაიყვანეს და იქ სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ იგი არ დაუშთავრებია. მეორე კლასიდან თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადავიდა და აქ სწავლა განაგრძო. სწავლაში პატარა ნიკომ შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა და მოსწავლეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ერთადერთი, რაც მას ამ დროს აწუხებდა, თუ სასწავლებელში გამეფებულ მძიმე რეჟიმს არ მივიღებთ მხედველობაში, იყო მშობლიური სოფლის ნოგონება. არაჩვეულებრივად უყვარდა ბავშვს სოფელი, მისი ყოველი ხე, ბუჩქები, სახლი, ნაცნობი გოგო-ბიჭები, ტოლ-ამხანაგები და მთა-ველები, სადაც ნიკოს თავისი ყრმობის არა ერთი და ორი სასიამოვნო წუთი გაუტარებია, მძიმე ცხოვრებისაკან დანადგლიანებული გლეხების საუბრისათვის ყური დაუგდია. ხშირად ბავშვურად უცელქნა და გმირად გახდომის სურვილი გულში აღძვრია. მაგრამ მშობლიურ სოფელზე სევდას ერთგვარად აქარებდა ნიკო ლომოურის დიდი მისწრაფება სწავლისადმი.

სასულიერო სასწავლებელში მას ასწავლიდა სახელგანთქმული ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის გაკვეთილებმაც

ნიკო ლომოურზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვეს. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიკომ სწავლა განაგრძო სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1875 წელს და გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი კოდნის ნისალეზად.

სტუდენტობის დროს ნ. ლომოური ძლიერ ბევრს კითხულობდა, აკეთებდა მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, შემოკრებილი ჰყავდა თავის გარშემო ქართველი ახალგაზრდობა და მათ შორის დიდ საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებდა, სამშობლო ქვეყანას აყვარებდა და უსამართლობისადმი სიძულვილს უნერგავდა.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ის ეპიზოდი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მწერალი დავ. კლდიაშვილი გადმოგვცემს თავის მოგონებებში „ჩემი ცხოვრების გზაზედ.“

დავ. კლდიაშვილი იმხანად კიევის სამხედრო გიმნაზიაში სწავლობდა, ძალიან დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით და ლიტერატურით. მისი ყოფნა სამხედრო გიმნაზიაში კ. ლორთქიფანიძემ (უნივერსიტეტის სტუდენტმა) აცნობა ნ. ლომოურს, მიხაილურიძეს და ივ. გაფრინდაშვილს (სამივე სწავლობდა სასულიერო აკადემიაში).

„ერთ დღეს, — მოგვითხრობს დავ. კლდიაშვილი, — სამივენი მოვიდნენ გიმნაზიაში ჩემ სანახავად. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ამათ გაცნობის გამო. განსხვავებულად მომესიყვარულენ და წასვლისას დამპირდნენ შემდეგ კვირისათვის აკადემიაში წაყვანას. დაპირება შეასრულეს და შემდეგ უკან გიმნაზიაში მომიყვანეს ისევ სამთავემ. ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკმა ლომოურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე გატაცებით მოლაპარაკე ილურიძემ. მომიყვანეს გიმნაზიაში და თან წამოიღეს საკითხავად კვირეული გაზ. „ივერიის“ მთელი წლის ნომრები, რომლებშიაც იყო დაბეჭდილი ილიას „დინიტრი თავდადებულნი“. ლომოურმა ამიხსნა ეს პოემა, მომიყვა დინიტრის ისტორია და გახელებული სიხარულით დამტოვეს. იმ ღამეს არ დამძინებია.“

...ხშირად მეც დავდიოდი აკადემიაში და აქ თავის ოთახში ლომოური გვიკითხავდა თავის ახალ დაწერილ ლექსებს; ერთხელ მახსოვს თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა მოთხრობა „ალი“, რამაც აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩვენში. ლომოურს არა თუ მისი

ორი ამხანაგი ესიყვარულებოდა და პატივს სცემდა, არამედ დიდ პატივს სცემდნენ აკადემიის რუსი სტუდენტებიც¹.

1879 წელს ნიკო ლომოურმა დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და საქართველოში დაბრუნდა. პირველ ხანებში ის დანიშნეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორად და დიდი სიყვარულით შეუდგა მოსწავლეებთან მუშაობას. მასწავლებლობა, პირდაპირ, ნიკო ლომოურის სტიქია იყო, მაგრამ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ნ. ლომოურმა, შედარებით, ცოტა ხანს დაჰყო.

1883 წლიდან ნ. ლომოურმა სამსახური დაიწყო გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად და მოკლე დროში გორის ინტელიგენციისა და მოსწავლეების გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა.

სანამ მის მასწავლებლობას შეეხებოდნენ, საინტერესო იქნება მოკლედ გავეცნოთ მწერლის ავტობიოგრაფიას, რომელშიც მკაფიოდ არის ნაჩვენები ის ნიშანსვეტები, რომელთაც განსაზღვრეს ნ. ლომოურის სამოქმედო გზა.

„... ქართული წერა-კითხვა მასწავლა ერთმა დიაკვანმა. შემდეგ დავიწყე სწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ არ გამითავებია. მეორე კლასიდან თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადავედი. მეოთხე კლასში მასწავლებლად იაკობ გოგებაშვილი იყო. გეოგრაფიას გვასწავლიდა. პირველად ქართულად აგვიხსნიდა, შერმე რუსულად და გაკვეთილს იქვე კლასში ვსწავლობდით. ესეთი გაკვეთილი პირველი და უცნაური ხილი იყო ჩვენთვის. კაქ-კაქურ ზეპირობას, ტევასა და ცემა-ტყეპას დაჩვეულნი, მოხსენებულ გაკვეთილებს სარწმუნოებრივი თაყვანისცემით შევცქეროდით.

...ეს იყო პირველი სხივი ჩვენს სიბნელით მოცულ ბურსაკულ ცხოვრებაში. შემდეგ ეს სხივი გააძლიერეს ნ. ცხვედაძემ და გ. იოსელიანმა. ამ დროს ი. ჭავჭავაძემც გავიცანიით. ენით გამოუთქმელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე ამისჟა „გლახის ნაამბობმა“, რომელშიც ისეთის ალტაცებულის გრძნობით არის აწერილი გლეხკაცი. ჩვენებური გლეხები ხომ პატარაობისასვე მიყვარდნენ როგორც ნათესავები, ჩვენი ოჯახის წევრნი. მოხსენებულმა წიგნმა ახლა პატივისცემაც აღძრა ჩემს გულში გლეხებისა. ამავე დროს წავიკითხე დობ-

¹ დავ. კლდიაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 11 ტ. 1935 წ., გ. 116.

როლებოვი, გლ. უსპენსკი, ნეკრასოვი. ამათ ერთიათად გააფართოეს ჩემი შეხედულებანი, გრძნობანი, რწმენანი გლეხის შესახებ. შესდგა ერთგვარი, გამორკვეული მიმართულება, რომლის გზა და კვალს დაეადექ და მას აქეთ ამ გზისათვის აღარ გადამიხვევია: ავით თუ კარგად ვემსახურები გლეხკაცის ფეხზე წამოყენებას. ხალხოსნობა, სახალხო მიმართულება გარდაიქცა მთელი ჩემი სიცოცხლის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად.⁴¹

მართლაც, თავისი მოთხოვნების უმრავლესობა ნ. ლომოურმა ქართველი გლეხკაცის ტანჯვა-ვაებით სავსე ცხოვრების დახატვას მიუძღვნა. ჩვენი გლეხკაცობა ყოველი მხრიდან შევიწროებული იყო: ჩარჩი, ვაქარი, თავადი და აზნაური, ბერი და მღვდელი, მამასახლისი და იასაული, ყველა როგორც წურბელა ისე წოვდა სისხლს ალალ-მართალ, გულწრფელ, მაგრამ ეკონომიურად და უფლებრივად დაჩაგრულ მშრომელ გლეხებს. მწერლის თანაგრძნობა და სიყვარული დაჩაგრულთა მხარეზეა. მისი მსოფლმხედველობის ცენტრში, მსგავსად სხვა ხალხოსნებისა, გლეხი დგას, და მწერალი თავისი კალმით, თუ პრაქტიკული საქმიანობით, ცდილობს შეუმსუბუქოს მას მძიმე ხვედრი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართველ ხალხოსნებს (მათ შორის ნიკო ლომოურსაც) ეროვნული საკითხი მუდამ აწუხებდათ და თვითმპყრობელობის კლანკებისაგან საქართველოს განთავისუფლებას ნატრობდნენ.

მართალია, ის ხალხოსნური მოძრაობის აქტიურ მონაწილედ არა ჩანს, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ამ მოძრაობის აღმავლობის წლებში ნ. ლომოური კიევში იმყოფებოდა. ხოლო საქართველოში დაბრუნებისას ხალხოსანთა ორგანიზაცია თვითმპყრობელობის მიერ, თითქმის მთლიანად განადგურებული იყო. ვინც ციხესა და გადასახლებას გადაურჩა, ის ვიწრო ფარგლებში, კვლავ განაგრძობდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში, ინტელიგენციასა და გლეხობაში არაღვინჯილი წიგნების გავრცელებასა და კითხვაში გამოიხატებოდა.

ასეთ საქმიანობას მხურვალედ აწარმოებდა ნიკო ლომოურიც გორში მასწავლებლობის დროს.

ერთი მისი ყოფილი მოწაფეთაგანი ილ. რუხაძე წერს: „იმ წლებში ნ. ლომოური მარტოდ ცხოვრობდა იქვე სემინარიის ახლოს. ერ-

¹ „ლიტერატურული მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 513—514.

ბუნელ ჩუმად გავიხმო, ნითხრა თავისი მისამართი და დამიბარა სახლში. კვირა დღე იყო. დიდი განცდებით მივუახლოვდი მისი ბინის კარებს და გაუბედავად შევეხე მას.

კარები გამიღო ნიკომ და შემიპატიჟა. რამდენიმე ახლად გამოსული წიგნი მომცა გადასათვალიერებლად. ცოტა სიჩუმის შემდეგ ბაასი გამიმართა. ბაასის საგანს რატომღაც თედო რაზიკაშვილი შეადგენდა. თედოზე იმ დღეს ბევრი მელაპარაკა, დამაინტერესა და ძალზე მომინდა თედოს ნახვა-გაცნობა. მაშინ თედო ხელთუბანშიცხოვრობდა. მეორე კვირას მე ხელთუბანში ამოვყავი თავი და თედოს მივადექი. თედო ებოში საქმიანობდა. მიმიპატიჟა, კარგად ვისაჯხმეთ. შემდეგ შემსვა ცხენზე და გამომგზავნა. თან ერთი პატარა წიგნი მომცა— „ოთხი ძმა“. წაიკითხე და შენს ამხანაგებს წააქითხეო. ამის შემდეგ თედო ხშირად ჩამოგვიქროლებდა თავისი ცხენით, მოავლებდა ცხენს ფანჯარასთან, გამოგვიძახებდა, შემოგვიგდებდა კართულ წიგნს და ვაძკროლავდა ხელთუბნისაკენ.¹

ასე შექმონდა მოსწავლე ახალგაზრდობაში ნიკო ლომოურს დამოუკიდებელი აზროვნების სხივი. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცოდნის შეძენით დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ მარტო სემინარიაში ჩატარებული გაკვეთილებით. ნიკო ლომოურის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო. გულბილი მასპინძელი თავის ახალგაზრდა სტუმრებს აძლევდა წასაკითხავად წიგნებს, ესაუბრებოდა ჩვენი ხალხის გაკირვებაზე და მათ გულში კეთილშობილურ, ადამიანურ გრძნობებს აღვივებდა.

პლ. ლეჟავა აღნიშნავს: „ნიკო მუდამ გვასწავლიდა: შეიყვარეთ წიგნი, ადამიანის ეს ყველაზე უფრო ერთგული მეგობარი, შეიყვარეთ გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა და თქვენი სულიერი სამყარო გაუართოვდება, გადიდდება, გასცდება თავის ვიწრო რკალს და შეუერთდება საკაცობრიო კულტურის ცხოველმყოფელ კერას. ჩვენი ეპოქის უდიდესი ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხები გათიშული არიან ერთი მეორისაგან, თითქოს გაურბიან ერთი ნეორეს, გაურბიან სოლიდარობას. მოწინავე კაცობრიობის წმინდა ვალია დაახლოება სხვადასხვა ერების, ხალხთა შორის სათნოებისა და სიყვარულის დამყარებაო.“²

¹ ზოგონება ნიკო ლომოურზე, 1944 წ. (ბელნაწერი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, №9).

² ზოგონებანი ნ. ლომოურზე, 1949 წ. (საგარეოელოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, № 8).

შეუდარებელი ყოფილა ნიკო ლომოური როგორც მასწავლებელი. არაჩვეულებრივი გულთბილი დამოკიდებულება მოსწავლეებთან, პედაგოგიური ოსტატობა და ფართო განათლება მას საშუალებას აძლევდა სიკვდილამდე ნაყოფიერი მუშაობა ეწარმოებინა სასწავლებლებში.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის დამსახურებული პედაგოგი ბ. ჩიქობავა „ქაჯანას“ ავტორის შესახებ. „სემინარიის პედაგოგთა შორის მოსწავლეთა, განსაკუთრებით ქართველ მოსწავლეთა, პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვან როლს ასრულებდა ქართული ენისა და ლიტერატურის ოქროპირი მასწავლებელი, ნამდვილი აღმზრდელი, ცნობილი ქართველი მწერალი და მგზნებარე პატრიოტი ნიკო ლომოური.

თავისი მაღალი ზნეობით, ფართო ცოდნით, იშვიათი პედაგოგიური ტაქტით ნიკო ლომოურს მოსწავლეთა შორის მშობლიური სიყვარული და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. არც ერთ მოსწავლეს ისე გულით არ ვცემდით პატივს და არ ვუყუარებდით იმდენად სრული ნდობით. როგორც ლომოურს და განა მართო ქართველი მოსწავლეები, რომლებსაც ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. თუმცა მათი მასწავლებელი არ იყო, მაგრამ რუსი, ბერძენი თუ სომეხი — ყველა სემინარიელი ხედავდა მასში თავის საუკეთესო მეგობარ აღმზრდელს, რომელიც უსათუოდ დაიცავდა თითოეული მათგანის ინტერესებს.

შეუდარებელი იყო ნიკო ლომოური ლიტერატურის გაკვეთილებზე. კეთილშობილი სახე ერთთავად გაუსხივოსნდებოდა, მშვენიერი ტემბრის ხმა მომაჯადოებლად აელერდებოდა და მთელი არსებით აღფრთოვანებული ისე გაგვიტაცებდა გულიდან ამონახეთქი სიტყვებით გამოთქმული ნათელი აზრებით საშობლოსა და ხალხის სიყვარულზე, რომ ზარის დარეკვას ვერ ვგებულობდით ხოლმე“¹.

ასევე აღტაცებულ შეფასებას აძლევენ მას სხვა მოსწავლეებიც, რომელთაც ნიკო ლომოურთან უსწავლიათ, და მისი ნაცნობ-მეგობრები.

¹ ბენ. ჩიქობავა, მოგონებანი, 1949 წ., (საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, № 212).

ნიკო ლომოური გარდაიცვალა 1915 წლის 17 აპრილს, დასაფლავებულია ქ. გორში, იმ ქალაქში, რომელიც მას სულით და გულით უყვარდა და სადაც გაატარა თავისი სიცოცხლის ყველაზე უფრო ნაკოვნიერი წლები.

ლიტერატურა: I. ნ. ლომოური, აღი, 1883 წ., წინასიტყვაობა ზ. ქ. კვიციანიძისა; ქაჯანა, 1885 წ.; ბედი უბედურთა, 1889 წ.; ყოველი მხრიდან, 1901 წ.; ქაჯანა, 1913 წ., ავტორის სურათით და ბიოგრაფიით; წინაპართა აჩრდილნი, 1914 წ., გორი; პაწია მეგობრები, 1920 წ.; თხზულებანი, 1926 წ.

II. საქართველოს კალენდარი, 1896 წ.; „მომბე“, 1896 წ., № 11, გვ. 109—112; პროფ. ა. იახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მე-19 საუკ., 1917 წ. „ლიტერატ. მატრიანე“, № 1—2, 1940 წ.; ერ. ქართველიშვილი, ნიკო ლომოური (მონოგრაფია), 1948 წ.



თევზოგი ქობიაძე

(1854—1916)

ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჩვენი წარსული ცხოვრების მკვლევარი, სახელოვანი ისტორიკოსი-არქეოლოგი და ლიტერატორი თევზორე დავითის ძე ქობიაძე დაიბადა 1854 წლის 20 აპრილს (ძვ. სტ.) სოფელ მოქცში, სადაც მამამისი (სოფელ მარტვილის მკვიდრი) მღვდლად იყო გამწესებული.

1868 წელს დაასრულა თედომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის კურსიც წარჩინებულა მოსწავლის ხარისხით დაამთავრა 1875 წელს.

როგორც ფრიადოსანი მოსწავლე, თედო ქობიაძე იმავე წელს სახელმწიფო ხარჯით იგზავნება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელსაც წარმატებით ასრულებს 1879 წელს.

25 წლის ახალგაზრდა თედო ქორდანია მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. ამ თანამდებობას ის მისთვის ჩვეული ბეჯითობითა და გულმოდგინებით ასრულებდა 1884 წლამდე და მოსწავლეთა შორისაც დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა.

1884 წელს თედო ქორდანია გადაჰყავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული სიტყვიერების მასწავლებლად. ამ თანამდებობაზე იგი 1896 წლამდე მუშაობდა. მაგრამ აბა რა უნდა ყოფილიყო ეს თანამდებობა და ან მისი სიყვარულით შესრულება—სწავლება იმ საგნისა, რომელსაც სასწავლებელში არც კათედრა ჰქონდა და არც შტატი ეკირა და იმდენად აბუჩად იყო აგდებული, რომ კვირაში მხოლოდ ორი უკანასკნელი საათი ჰქონდა დათმობილი.

სემინარიაში ქართული ენის დევნასა და შევიწროებას სისტემატური და თანმიმდევრული ხასიათი ჰქონდა, რასაც გაბედული და აქტიური სემინარიელები მედგარ ბრძოლას უცხადებდნენ.

ცხადია, თედოს სხვა რა იარაღი და საშუალება გააჩნდა ბრძოლისა, თუ არა ისევ თავისებური ტაქტი, სტოიკური მოთმინება და დიპლომატიური ურთიერთობის წარმოება.

ამგვარი ტაქტითა, თუ თანმიმდევრული საქმიანობით თედო ქორდანიამ, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც ძიალწია მიზანს. თბილისის სემინარიაში აბუჩად აგდებული და შტატს გარეშე დარჩენილი ქართული სიტყვიერების კათედრა აღადგინა, მისი საკმაოდ ვრცელი პროგრამაც ჩამოაყალიბა და სათავეშიც თვითონვე ჩაუდგა როგორც გამგე და მასწავლებელიც. ამით მან ნიადაგი გაიმაცრა, სამოქმედო ისპარეზი გაითვართოვა, რომ უფრო ნაყოფიერი ეოფილიყო მისი ეგზომ სანუკვარი საქმიანობა—ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება, და ძველი ხელნაწერებისა და ისტორიული ძეგლების (სიგელები, გუჯრები) შეგროვება. რასაც ის ერთიმეორეს უკავშირებდა, ეს დიდი ეროვნული საქმე—ქართულ ხელნაწერთა დაგროვება—მას დიდი ხანია დაწყებული ჰქონდა და ამ მხრით თავის ბეჯით და სანდომოსწავლეებსაც იყენებდა.

ამგვარ და კიდევ სხვა ღონისძიებათა საშუალებით შეაგროვა ამ დაუცხროველმა მოღვაწემ ის უამრავი ისტორიული და ლიტერატურული ძეგლი, რომელთა უმეტესობა აშკამად ჩვენი საარქივო ფონდების ძვირფას და უნიკალურ მასალათა საცავებს ამდიდრებენ.

სემინარიის ადმინისტრაციამ და მეუღის რუსეთის მმართველ-
ობამ თედო ჟორდანიას აპგვარი ნაყოფიერა ღვაწლი „უნაყოფოდ“
მიიჩნიეს. ყოველ შემთხვევაში ის მოწონებას არ იმსახურებდა, და
საჭიროდ ცნეს მისი სემინარიიდან მოშორება.

1896 წელს თედო ჟორდანია „დააწინაურეს“. მისი სურ-
ვილის წინააღმდეგ ის გადაყვანილ იქნა გურიი-სამეგრელოს ეპარ-
ქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ. ის აქაც ენერგიულად
მოქმედებდა სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დაც-
ვისათვის. მართალია, თედო მეტად შევიწროებული იყო თვით-
მპყრობელობის ისეთი გავლენიანი აგენტების მიერ, როგორც
იყენენ მაშინდელი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ცნო-
ბილი რუსიფიკატორი იანოვსკი და შემდეგ შავრაზმელი დეკანოზი
ვოსტორგოვი, მაგრამ თავისი მდგომარეობითა და მოთქმებულ-
ობით სასურველ მიზანს მაინც აღწევდა.

დიდი ბრძოლა და კაპანწყეცა დასჭირდა თედო ჟორდანიას,
რომ ეს უღავეო ქემშარიტება დაედასტურებინა და ცარიზმის
შკაცრი შემოტევა შეეჩერებინა, — სამეგრელოს სამრევლო სკოლებ-
ში ქართული ენის სწავლება დროებით მაინც დაეტოვებინა, სანამ
ამ მიმართულებით შექმნილი ავტორიტეტული კომისია თავის სიტ-
ყვას იტყოდა.

ეს კომისია უკვე მოქმედებდა ზესარიონ დადიანის თემჯდო-
მარეობით და გრიგოლ დადიანისა და თედო ჟორდანიას მონაწი-
ლეობით. კომისიამ საბოლოოდ უარყო საღვთო წერილის წიგნე-
ბის მეგრულ ენაზე თარგმნა, როგორც შეუძლებელისა და მწვალე-
ბლობის გამოვლინება და მასთან, ცხადია, სკოლებში მეგრული ენის
შემოღებაც უარყოფილ იქნა.

როგორც სახალხო მასწავლებელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე გა-
დმოგვცემს, თედო ჟორდანიამ „ერცელი მოხსენებით დაუმტკიცა
იანოვსკის ლოცვების მეგრულად თარგმნის შეუსაბამობა და უხამ-
სობა, რასაც მოჰყვა ამ საკითხის საბოლოო ლიკვიდაცია“ (იხ. გა-
ზეთი „ახალი ქართლი“, 1912 წ., № 41), თუმცა მეფის გაქნილმა
აგენტმა ვოსტორგოვმა ეს „წყვეული“ კითხვა კვლავ წამოჭრა და
რუსეთის „უწმინდეს სინოდსაც“ ახალი სასწავლო გეგმა დაამტკი-
ცებინა.

მაგრამ თედო ჟორდანიამ ამ უკუღმართი გეგმის შესრულება-
საც თავისი კვიციანური მოქმედებით და მოხერხებულობით მალე და-
აღწია თავი და ქართული ენის სწავლება სამეგრელოს სამრევლო
სკოლებში კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როცა ე. წ. სამინის-
ტროს სკოლებში ეს საგანი სრულიად აღკვეთილი იყო.

თედო ჟორდანიას ტაქტიკურ მოქმედებასა და საქმიან ბრძოლას ზოგმა საკმაოდ გამოიხენილმა ქართველმა მოღვაწემაც ვერ მიატანა დაკვირვებელი თვლი და ყური. ცილი დასწანეს, ვითომ „დედაენას“ არ იცავეს... და ეს იმ დროს, როცა, თედო ჟორდანიას რომ არ ყოფილიყო, „დედაენა“ სამრევლო სკოლებში სრულებით აღკვეთილი იქნებოდა“ (ლიტ. მუზეუმი, თ. სახოკიას მოგონებები). მაგრამ იყო კაცი, რომელსაც ესმოდა თედო ჟორდანიას გულის ძვერა, იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა. ეს იყო ბრძენი, ყველაფრის გააგები და დიდბუნებოვანი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და დიდი მოქალაქე ილია ქავკავაძე; იგი ბოლომდე თანხმდებოდა იცავდა და უქერდა მხარს თედო ჟორდანიას, რომ ხალხის სამსახურისათვის გული არ გასტეხოდა.

საქართველოს საისტორიო საბუთების დაულალავ შემგროვებელსა და აღმწერს, ქართული „მართლუბნობისა“ და მართლწერის კანონების შემმუშავებელს — გრამატიკის შემდგენელსა (1889) და მისი სწავლების ბოლომდე დამცველს, ქართველი ერის გენიალური პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველ მკვლევარს, კრიტიკოსსა და შემფასებელს, საქართველოს წარსული ცხოვრების უმთავრესი ქრონიკების დამდგენსა და ავტორს იმ დიდტანიანი ტომებისა (I და II), რომელთა განსაკუთრებული და უაღრესი მნიშვნელობა უდავოა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რასაკვირველია, ილია ქავკავაძე დიდ პატივსა სცემდა და მის ყოველ ახალ და ახალ ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის შრომებს ფართო ადგილს უთმობდა თავის გაზეთ „ივერიაში“.

მრავალფეროვანმა და განუწყვეტელმა მძიმე შრომამ, უსამართლობასთან ბრძოლამ და ნერვიულობამ ადრე გატეხეს თედო ჟორდანიას ერთდროს რკინისებური ჯანმრთელობა. 1916 წელს მას აღმოაჩნდა გაძლიერებული სკლეროზი და ნაწილობრივ დამბლა, რაც თანდათან გაუძლიერდა და 1916 წლის 4 ნოემბერს (ახ. სტ.) ის ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი განზრახვა — დაეთავრებინა „ქრონიკების“ ძესამე ტომი და, თუ, დაბეჭდილი არა, გახსადებული მაინც ეანდერდა ქართველი ხალხისათვის, წესურსულებელი დარჩა.

მადლიერმა ხალხმა ღირსეულად შეათასა მისი ამაგი და სამუდამო განსასვენებელი დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა.

ლიტერატურა: თედო სახოკია — „თედო ჟორდანია — დამიანი და მოქალაქე“, — მოგონებანი (დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში); იპოლიტე ვართაგავა, მემუარები (დაცულია სახალხო განათლების მუზეუმში); გაზეთი „ახალი ქართლი“, 1912 წ., № 41; ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ.; ნიკო დადიანი, საანდროვო გამოცანები, 1896 წ.; გაზ. „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 53; „ცნობის ფურცელი“, 1997 წ. და „ივერია“ იმავე წლისა.



მოსე ჯანაშვილი

(1855—1934)

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მოსე გიორგის-ძე ჯანაშვილი დაიბადა 1855 წლის 11 მარტს (ძვ. სტ.) საინგილოს სოფ. კახში. იგი ღარიბი მშობლების შვილი იყო და 13 წლამდე დედ-მამას საოჯახო საქმიანობაში ეხმარებოდა.

1865 წელს მიაბარეს ის კახის სამრევლო სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში. მშობლებს სურდათ მისთვის სასულიერო განათლება მიეცათ და ამ მიზნით ჩამოიყვანეს თბილისში, სადაც სასულიერო სემინარიაში შეიყვანეს.

სემინარიაში ყოფნის დროს მოსე ჯანაშვილი დაახლოებული იყო მოწინავე ქართველ მასწავლებლებთან და რევოლუციურად განწყობილ მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ის გატაცებით დაეწაფა

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული აკრძალული ლიტერატურის კითხვას, რაშაც ხელი შეუწყო მასში პროგრესული მსოფლ-ხედველობის გამომუშავებას.

პ. ჯანაშვილი სემინარიაში სწავლისა და მომდევნო პერიოდის შესახებ თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „1874-75 წლებში ტფილისის ჩამოვიდა ეგნატე იოსელიანი და ჩამოიტანა სკივრებით აღკრძალული ლიტერატურა. ამ ლიტერატურამ შეგვბოროკა რამდენიმე სემინარიელი. ბლომა მისი ნაწილი მივაწოდეთ კახში ივ. როსტომაშვილსაც. განსაკუთრებით გვიზიდავდა „ოტჩებენცი“. შთაერობამ სუნით იგრძნო, რაშიაც იყო საქმე და გამორიცხვა დამიპირა. თინდარმმაც პასუხი მოგვთხოვა მე, დ. ჯანაშვილს და როსტომაშვილს, რომელიც „კარეტით“ ტფილისის ციხეში ჩამოიყვანეს. ბოლოს გამოველ სემინარიიდან „ოთხით“ ყოფაქცევაში, ჩავებარე გამოცდები გიმნაზიაში და შევეუდექი საპედაგოგო და სამწერლო-ბო საქმეს.

საპედაგოგო შრომა დაეიწყე ქუთაისში, სადაც ვმსახურობდი ჯერ მ. პეტრიაშვილის პანსიონის გამგეთ და მერე იქაურ პროგიმნაზიაში. 1878 წელს გამოვეთხოვე ქუთაისის და დაეზინავდი ტფილისში. აქ ვმასწავლებლობდი სასულიერო სასწავლებელში, მერე რეალურსა და წმ. ნინოს სასწავლებელში, ქალთა მეხუთე და ვაჟთა მეხუთე გიმნაზიებში, მიწის მზოქელთა სასწავლებელში და ბოლოს 1920 წ. ქართული ენის ლექტორად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში¹.

მ. ჯანაშვილი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი კვლევის საგანს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ენა, ეთნოგრაფია, სიქართველოს ისტორია, ნუმისმატიკა და სხვ.

მ. ჯანაშვილის ბევრი ნაშრომი გადათარგმნილია ევროპულ ენებზე. მის სამეცნიერო მუშაობას დიდად აფასებდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევარები.

თავის ავტობიოგრაფიას მ. ჯანაშვილი ასე ამთავრებს: „არც კაცი ვარჯა იყოს სოფელში და სოფელს არარა არგოს“, ბრძანებს ნ. ბარათაშვილი. მეც, იფიქრობ, „უსარგებლოდ სოფლისა“ არ გავატარე ჩემი 73 წლია მანძილიო“². ღვაწლმოსილ მეცნიერს ამის თქმის სრული უფლება ჰქონდა.

¹ ეურ. „ჯანაშვილის მუშაკი“, 1927 წ., № 4, გვ. 27.

² იქვე, გვ. 29.

მ. ჯანაშვილს ეკუთვნის ცნობილი „საქართველოს ისტორია“, რომელიც, ავტორის თქმით, პირველ სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს ამ დარგში.

1900 წელს, პარიზის გამოფენისათვის დაწერილ ნარკვევში იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „საშუალო სკოლებისათვის იხმარება: სალიტერატურო ქრესტომატია პროფ. ჩუბინაშვილისა, ისტორიული ქრესტომატია ალ. კუონიასი, საქართველოს ისტორია ცნობილის სწავლულის დიმ. ბაქრაძისა, სახალხო სახელმძღვანელო ქართული ისტორიისა მ. ჯანაშვილისა, საქართველოს ეკლესიის ისტორია მისივე, სიტყვიერების თეორია აუარებელი ნიმუშებით, შედგენილი ცნობილი ეპისკოპოზის კირიონისა და ლიტერატორის გრიგოლ ყიფშიძის მიერ. ქართული გრამატიკები: ჩუბინაშვილისა, დ. ყიფიანისა, თ. ეორდანიასი, პ. კვიციანიძისა, ა. ქუთათელაძისა და სხვა. ეს თხზულებანი, ყველა მცოდნე კაცების აზრით, შემკულნი არიან ჯეროვანი ღირსებითა და იხმარებიან ზოგნი როგორც სამოსწავლო, ზოგნი როგორც სახელმძღვანელო წიგნები ქართულის სწავლის დროს¹.“

როგორც ვხედავთ, ჩვენი დიდი პედაგოგი ძნიშვნელოვან ქართულ სახელმძღვანელოთა შორის მ. ჯანაშვილის წიგნებსაც ასახელებს და მათ სათანადო შეფასებას აძლევს.

მ. ჯანაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში. აღნიშნული საზოგადოების სიძველეთა ფონდმა მისი ინიციატივით არა ერთი და ორი შესანიშნავი ძეგლი შეიძინა და შეუნახა შთამომავლობას.

ის იყო ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის გულსხმიერი აღმზრდელი, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის დროს ქართველ სტუდენტობას გულში უნერგავდა მეცნიერების სიყვარულსა და ქართული კულტურის უდიდეს პატივისცემას.

მ. ჯანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის მშობლიურ კუთხეს—საინგილოს და ყოველი შესაძლებლობის დროს ქართველ ინტელიგენტციას მოუწოდებდა იქ სკოლების გახსნითა და ქართველ მასწავლებელთა გაგზავნით შეემსუბუქებინათ ბედი ჩვენი მოძმე ინგილოებისა, რომლებიც თვითმპყრობელობის დროს მრავალნაირ შევიწროებას განიცდიდნენ.

როგორც პირაუ ცხოვრებაში, ისე სამეცნიერო მუშაობაში პროფ. მ. ჯანაშვილი უაღრესად დიდ თავმდაბლობას ამჟღავნებდა

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული პუბლიცისტური და პედაგოგიური ნაწერები, 1910 წ.

და თითქმის ყოველი თავისი ნაშრომის შესახებ ამბობდა: „მართლის სინაოთლით ჩვენის გამოცემის გაჩხრეკისა და თუნდ ქარცეცხლში გატარების უფლება ყველას აქვს, — აქ ჩვენ ირა თუ საწინააღმდეგო, მადლობის ნიქტი არა გვეთქმის რა“ - ო. მაგრამ ეს თავმდაბლობა ბევრმა ცუდად გაიგო და მის მიერ მეცნიერებაში წამოყენებული მთელი რიგი დებულებანი, რომელთაგან ბევრი ამჟამად სავესებით დადასტურებულია. თავის დროზე უსამართლოდ უარჰყო.

მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ კი სავესებით ცხადყო, რომ ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენების ახსნა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე შეიძლება, რასაც ყოველთვის მკვეთრად აღნიშნავდა სახელოვანი მკვლევარი.

ამაშია ერთი დიდი დამსახურება მოსე ჯანაშვილისა, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე სკოლებშიც მიუშაობდა მასწავლებლად და ჩვენს მოსწავლეებს მშობლიურ ქართულ ენას ასწავლიდა.

მოსე ჯანაშვილი გარდაიცვალა ღრმად მოსუცებული, 80 წლის ასაკში, 1934 წლის 19 აპრილს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურა: I. მ. ჯანაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია. 1834 წ.: საქართველოს ისტორია, 1894 წ.: მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, 1898 წ., შოთა რუსთაველი, 1898 წ.: მეფე ერეკლე, 1898 წ.; საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, 1899 წ.; ქართული მწერლობა, I, 1900 წ.; ქართული მწერლობა, II, 1909 წ.; ქართული გრამატიკა, 1906 წ.; საინგილო, 1910 წ. ანტობიოგრაფია, უკრ. „განათლების მუშაკი“, 1927 წ.

4.

II. ვახუშტი, აღწერა საქართველოსა, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, 1892 წ.; ნ. მთვარელიშვილი, რეცენზია მ. ჯანაშვილის საქართველოს ისტორიაზე, უკრ. „მოამბე“, 1895 წ. № 5; მ. სიდიგური, მოსე ჯანაშვილი, „მნათობი“, 1914 წ. № 4—5.



პასილ ბარნოვი (1856—1934)

„დიდ შემოქმედს თვის არსებაში ყოველი ქმნილების სამარადო სახეები ანატული აქვს“-ო, — ამბობს ე. ბარნოვი ერთს თავის მშვენიერ ნოველაში — „ძვირფასი თვალი“. ჩვენ ამ „ძვირფას თვალად“ და „დიდ შემოქმედად“ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულისა და მე-20 საუკ. ორათეულის ქართულ პროზაში ვასილ ბარნოვი მიგვაჩნია.

მართალია, ე. ბარნოვის პოეზიამდე აყვანილმა პროზამ და ჯადოსნურმა კალამმა მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეულის მიჯნაც გადმოაბიჯა, მაგრამ იგი თავისი განწყობით, სამწერლო სამკაულებითა და სუნთქვით მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას ეკუთვნის.

მისი პოეზია ძველი დიდების „ნაშთების“ გამოცოცხლებას დასტრიალებს თავს, ის წარსულის „განასკვილი სიმის“, „ისნის ცის-

კარისა“ და „არქეოლოგიური ნაშთების“ რომანტიკოსია. მაგრამ ეს რომანტიზმი მარტო წარსულით არ სულდგმულობს. მწერლის ფილოსოფიური კვრეტა წარსულიდან მომავლისაკენ ჰფენს სხივებს.

ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული რომანები ქართველი ხალხის გმირულ წარსულს ჰხატავენ შეუდარებელი ფერებითა და პოეტური სახეებით. ფაქტიური მხარე ბარნოვის რომანებში ყოველთვის და ყოველგან ურყევად არის დაცული; როგორც ფაბულარულად, აგრეთვე სიუჟეტურადაც, ხოლო მათი კომპოზიციური აღნაგობა ისეა შეკრული, რომ მკითხველი განცვიფრებაში მოყავს მწერლის თვალსა და გრძნობას. ასე გგონიათ, მწერალი ამ ისტორიულ გმირთა გალერეას პირადად იცნობდა, მათთა ხუსაუბრია, უმოქმედია, მათი ცხოვრების ყოველი დეტალი შეუსწავლია და შემდეგ დიდი ხელოვანის კალამს „ფერად-ფერად“ ტილოზე გადაუტანია.

მაგრამ ეს გადატანა უბრალო ლაბორატორიული და მარტო ისტორიისა და ფილოსოფიის დიდ ცოდნაზე დაყრდნობით როდია შესრულებული. ვ. ბარნოვი არ არის ისტორიულ ამბავთა ციკლის ჩვეულებრივი პროზაიკოსი, ამბის მხატვრულად გადმომცემი,—იგი პოეტია. მისი პროზა რიტმულ წყობილსიტყვაობით არის ნაგები, უფრო სწორად,—ურითმო ლექსით დაწერილია. ამ მხრივ ვ. ბარნოვი თავისი განსაკუთრებული ჟანრი, წერის მანერითა და გეოგნებით თითქმის განმარტოებულად დგას ქართულ მწერლობაში.

ასეთივე გრძნობით გამთბარი, უანგარო და დაულალავი იყო ის, როგორც პედაგოგი. ვინ მოთელის, თუ რამდენი ახალგაზრდა გამოუზრდია, კეთილ გზაზე დაუყენებია და მეგობრული გრძნობით გაუთბია. ვისაც ვ. ბარნოვი მასწავლებლად ჰყოლია, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ წუთებს, როცა შემოქმედების ცეცხლით აგზნებული მწერალი-მასწავლებელი ლიტერატურის გაკვეთილებს უხსნიდა. ვინ იქნებოდა ისეთი, რომ მისი გაკვეთილი ბეჯითად არ ესწავლა? ასევე ვირტუოზულად და ცეცხლოვანი განცდებით შლიდა და ამუშავებდა ის სასკოლო გაკვეთილების ყოველ წვრილმანსაც, როგორც თავის საყვარელ რომანებსა და ნოველებს.

მართლაც საკვირველია ისეთი დიდი სიყვარული და გატაცება მხატვრული სიტყვისადმი და შემოქმედების ცეცხლის ასე ბოლომდე შენარჩუნება, როგორც ეს ვ. ბარნოვმა განიცადა. მან სამარის კარამდე მიიტანა თავისი საყვარელი კალამი და უანგარო შრომისმოყვარეობა. სიცოცხლის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ვულის მანკით დაავადებულმა მსკოვანმა მწერალმა, რომელსაც ხე-

ლები უკანკალებდა და წერა არ შეეძლო, მთელი რიგი ახალი და დიდად საინტერესო ისტორიული რომანები („ალექსანდრე ბატონიშვილი“, „გიორგი სააკაძე“, „თამარ მეფე“ და სხვ.) დაასრულა-კარნახით.

ამ მრავალმხრივი და მრავალხეობიანი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გზის მოკლედ მაინც აღნუსხვა ასეთი იქნება: ვასილ ზაქარიას-ძე ბარნოვი დაიბადა 1856 წ. მაისში, სოფ. კოდაწი (ქვემოქართლი, თბილისის მაზრა), მღვდლის ოჯახში. მწერლის წინაპრები მესხეთიდან (სოფ. ბარნავი) გადმოსახლებულან. მათი ნამდვილი გვარი ბარნაველი რუსეთის ცარიზმის დამყარების შემდეგ ბარნოვად გადაკეთებულა. — ამგვარად, ფორმით გარუსებული გვარი მეც ბოლომდე შემრჩაო, — სწუხს მწერალმა ერთს თავის მოგონებაში. დედა თავის დროისათვის შესაფერად განსწავლული ქიზიყელი იაშვილის ქალი ყოფილა, რომლისგან ისწავლა პატარა ვასომ ქართული წერა-კითხვა. 8 წლის ვ. ბარნოვი მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც აუტანელი ატმოსფერო იყო შექმნილი მოსწავლეების მიმართ. მიგრამ უკანასკნელ წლებში, — იგონებს მწერალი, — სასწავლებლის ზედამხედველად ჩვენი დიდი პედაგოგის ი. გოგებაშვილის დანიშვნის შემდეგ აღამიანური მოპყრობაც ეღირსათ მოწაფეებს.

„იაკობ გოგებაშვილი სასწავლებლის ზედამხედველად რომ მოვიდა, მესამე კლასში ვიყავი. — გადმოგვეცნეს ვ. ბარნოვი. — მაშინ ჯერ შხებლა ისევ შეფობდა. დაბალ კლასებში, საცა წვრილფეხობა იყო, ყველა გაკვეთილზე გამოისმოდა ბლავილი და ღრიალი. დღის განმავლობაში ნახევარი კლასი მაინც დაიშხებლებოდა. რაც კლასი უფრო ზევით იყო, იმდენად იშვიათად იცემებოდა, თუმცა სულ ზემო კლასსაც დანაშაულის დროს არ ასცდებოდა ეს. კონების მოტანა დაეალებული ჰქონდა იმ შეგირდებს, რომლებიც განაპირა ცხოვრობდნენ, ბალების ახლო. იმ ბალებიდან იპარავდნენ წკეპლებს და კლასში მოჰქონდათ, იქვე ინახებოდა მერხებში. შიშით ვინ ახლებდა ხელს, ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცემა, რომ თუნდ ეგზარხი მოსულიყო კლასებში დასაველელად, მასწავლებლები თავისას არ იშლიდნენ.

— გოგებაშვილი! გოგებაშვილი! — გაისმა ხმა, — ჩენს ზედამხედველად რომ დანიშნეს, ისა! წამოსადეკი კაცი გამოდგა. ბეწვის საყელოიანი გვაბანაკი ესხა. ჩამოიარა ყველა კლასი, ხელი ჩამოართვა მასწავლებლებს, შეგირდებსაც გადმოუგდო ზოგი რამ სიტყვა.

— კაცო! კაცო! ახალ ზედამხედველს შხებლა და შიმშა გადაუგდია. უთქვამს, ვერ მოვითმენ, რომ შეგირდებს ლახავდნენო.

მართლაც და იმ დღიდან შეწყდა კლასში მოსწავლის გალახვა, ჯაჩოქებით დასჯასაც უკვე ერიდებოდნენ მასწავლებლები, ალბათ, ამასაც არ იყაბულებსო. ისე ერთბაშად გადავიარდა ფიზიკური დასჯა, როგორც წისქვილს წყალი გადაუგდო და ბორბალი შედგეს... ესე დალოცვილი გახდა მისი შემოსვლის დღე“... („ლიტერატურის მატრიანე“, წ. 1-2, გვ. 66).

ეს გრძელი ამონაწერი ნათლად ახასიათებს იმდროინდელ სკოლას, როცა ვასილ ბარნოვი სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა (1864-72 წლები), და ამ სკოლაში გაბატონებული აღზრდის უბეში მეთოდების წინააღმდეგ აშკარად გამოსულ ახალგაზრდა პედაგოგ ი. გოგებაშვილსაც, რომელმაც მისი ამ პირველი ნაბიჯებიდან დაწყებული მთელი ნახევარი საუკუნე იბრძოდა პედაგოგიკის მოწინავე იდეების განხორციელებისათვის. ეს სიტყვები ნათელი გამოხატულებაა აგრეთვე თვით ვასილ ბარნოვის განწყობილებისა, რომელიც აგრეთვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქართულ სკოლას, როგორც საუკეთესო მასწავლებელი, შეუღარებელი მეთოდისტი და გულსხმიერი აღმზრდელი.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებულად დასრულების შემდეგ ვასილ ბარნოვი ჩაერიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იმ ხანებში, როგორც თედო სახოკია გადმოგვცემს, აბუჩად აგდებული იყო მშობლიური ქართული ენა და შექმნილი იყო აუტანელი ატმოსფერო. მხოლოდ „ერთი ნათელი სხივი, რომელიც შემოანათა მის მოსწავლეობას, სასულიერო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში ყოფნის დროს, იყო ჩვენი დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი“, მაგრამ. ეს სხივი სემინარიაში კვლავ მიმქრალი დახვდა ახალგაზრდა ბარნოვს, რომელსაც მთელი 5 წლის გატარება მოუხდა ამგვარ ატმოსფეროსა და ვითარებაში. მაგრამ მტკიცე ნებისყოფა, სწავლის შეძენის სურვილი და პედაგოგიურ სარბიელზე მომზადებული გამოსვლა ვასილ ბარნოვს უმატებდა ძალას ბეჯითად მოეთმინა სასწავლებელში გამეფებული რეჟიმი.

1877 წ. ვ. ბარნოვმა სასულიერო სემინარიაც წარჩინებულად დაამთავრა, რის გამოც ის აკადემიაში უნდა მიეღლინებინათ, მაგრამ რაკი ქართველი იყო, მისი კანდიდატურა მოხსნილი იქნა. ვ. ბარნოვი ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლობს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1878 წ. ის თვითონ გაემგზავრა მოსკოვს და სასულიერო აკადემიაში მისაღები გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ ჩაერიცხა ისტორიულ ფაკულტეტზე.

1882 წ. აკადემიის კურსიც წარჩინებულად დაამთავრა და კვლავ თავის საყვარელ საქმეს — პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდ-

გა. მასწავლებლობდა ახალსენაკში (ცხაკიაში), თელავში და საბოლოოდ თბილისში — სასულიერო სემინარიაში. 1918 წ. მიწვეულ იქნა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორად.

ვ. ბარნოვი, როგორც ბელეტრისტი სამწერლო სარბიელზე 1879 წ. გამოჩნდა გაზეთ „დროებაში“. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მას თავიდანვე ლექსებშიც უცდია კალამი. მისი 1875 წ. დაწერილი. ლექსი „ქართველ ქალს“ 1879 წ. დაიბეჭდა „დროებაში“ (№ 149). ეს პოეტური განწყობილება მწერალმა შემდეგ თავის უზარმაზარ პროზაში გადაიტანა, რისი ურყუარი ფაქტიც მთლიანად მისი შემოქმედებაა.

ვ. ბარნოვის ხანგრძლივი მოღვაწეობაცამ შემოქმედების განუწყვეტელი ჯაქვია. მას დარჩა 96 სახელწოდების ნოველა, ისტორიული რომანი (ნაწილი ჯერაც დაუბეჭდავია), მონოგრაფიები, ქართული ლიტერატურის გაკვეთილები (ორ ნაწილად), საქართველოს შესახებ ევროპელ მოგზაურთა (შარდენი, დიუბუა, გამბა) ნაწერების თარგმანები და სხვ.

ვ. ბარნოვის ნაწერების დღემდე გამოცემულთა შორის აღსანიშნავია: „საკვირველი ბე“ (1888 წ.), „მიმქრალი შარავანდელი“ (1915 წ.), „გველის ზეიმი“ (1919 წ.), „არსენა“ (მონოგრაფია — 1921 წ.), „ამქრის მშენება“ (1923 წ.), „არმაზის მსხვერვეა“ (1926 წ.), „ვარდ-ფანჯები“ (1929 წ.), „ტფილისის აჩრდილები“ (1929 წ.), „ფერად-ფერადი“ (1934 წ.) „სახიფათო სიყვარული“, „ხაზართა სასიძლო“, „ნათელმოსილნი“, „ტრფობა წამებული“, „ისნის ცისკარი“ და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავის შემოქმედებაში მუდამ წარსულით შთაგონებული, წარსულში მყოფი, საქართველოს „გარდასულ ჟამთა“ განსაკუთრებული პათეტიურობით მხატვარი, საბჭოთა ხელისუფლებას, საქართველოში მისი დამყარების პირველ დღეებიდანვე გვერდით ამოუდგა როგორც მწერალი და პედაგოგი. ის პირველი და ენთუზიაზმით სავსე შევიდა პირველ მუშათა ფაკულტეტში და მუშებსა და მუშის შვილებს მისებური ხალისით უკითხავდა ქართული ლიტერატურის ლექციებს. თავის საყვარელ საქმეს ვ. ბარნოვი უკანასკნელ დღეებამდე არ მოსცილებია. 1929 წ. ქართველმა მშრომელმა ხალხმა მისი სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი ზეიმით გადაიხადა.

ვ. ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წ. 4 ნოემბერს, ქ. თბილისში.
დაკრძალულია დავითია შთაზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.
ლიტერატურა: „ლიტერატურის მატრიანე“, წ. 1—2, გვ. 37—39;
შ. რადიანი. „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანე-
ბი“, 1945 წ.; გახ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938
წ. № 10; თ. სახოკია, „მოკლე ბიოგრაფია ვასილ
ბარნოვისა— თბილისის აჩრდილები“, 1929 წ.; გერონ-
ტი ქიქოძე, „ვასილ ბარნოვი“. (ი.ვე).



აკიქსანდრე ნანეიშვილი

(1857—1904)

აკიქსანდრე თეიმურაზის-ძე ნანეიშვილი დაიბადა 1857 წელს სოფ. ორპირში (ქუთაისის მაზრაობლად). საშუალო განათლება მან მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც იგი ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალ. ნანეიშვილმა სწავლა გააგრძელა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, საიდანაც კურსის დაფინანსებლად იძულებული შეიქნა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ეს უნდა მომხდარიყო 1880 წლისათვის.

სამშობლოში დაბრუნებული ა. ნანეიშვილი აქტიურად ებმება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობაში. მან თავისი სამსახური მშობლიური ხალხისადმი პედაგოგიური მოღვაწეობით დაიწყო.

:878 წლის ივლისის შენდევ თურქეთის ბატონობისაგან გამო-
ხსნილი აქარლები, რომელთაც მშობლიური ქართული ენა და ბევ-
რი ნაშაპაპური ადათ-წესი ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ,
დახარებას ითხოვდნენ დედა სამშობლოსაგან — საქართველოსაგან.
მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ მწვავედ დააყენა საკითხი ქარ-
თული სიტყვისა და ქართული კულტურის აღდგენის შესახებ აქარაში.

ეროვნულ-განათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მებრძოლი —
ილ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1879 წლის აპრილში წერდა: „თუ ჩვენ-
სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო,
თუ ჩვენგან წარმოთქმულს მსურველს სატყვეებს მკვიდრი საფუძვე-
ლი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს
საზოგადოებას და ვალად დაესდოთ, რომ აქარაში და ქობულეთში
რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები
სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერ-
ებენ აქარისა და ქობულეთის ერსა და ისევე-ისე ძმურს სიყვა-
რულს ჩამოადგებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალს ხელში
ჩაყარდნის დრომდე ყოფილა“¹.

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სკოლების
გახსნას საქმეს თურქეთისაგან გამოხსნილ აქარაში. ამიტომ სავე-
ბით გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც გამოი-
ჩინა ახლად დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა-
ვრცელებელმა საზოგადოებამ“ აქარაში ქართული სკოლის გახსნი-
სადმი.

აქარელი ახალგაზრდობისათვის ქართული სკოლის გახსნის სა-
კითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას „წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების“ გამგეობა 1880 წლიდან შეუდგა. ი. ჭავჭავაძის, ი.
გოგებაშვილის, ნ. ცხევიძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დაულა-
ლავი შრომის შედეგად გადაწყდა ბათუმში ქართული სკოლის გახ-
სნის საკითხი. ამ სკოლის მასწავლებლად საზოგადოებამ მოიწვია სი-
მედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალ. ნანე-
იშვილი.

ბათუმში ჩასული მასწავლებელი ალ. ნანეიშვილი ყოველგვარ
ზომას მიმართავს იმისათვის, რომ დროულად შეასრულოს გამგეობი-
საგან მიღებული დავალება სკოლის გახსნის შესახებ. 1880 წლის
21 დეკემბერს ილ. ჭავჭავაძე დეპეშას უგზავნის მასწავლებელ ალ.
ნანეიშვილს და ავალებს მას დამქარებით აცნობოს, როდის იქნება
სკოლა მზად. ალ. ნანეიშვილი ჯერ დეპეშას უგზავნის და შემდეგ
წერილით აცნობებს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ილ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI. 1927, გვ. 56.

ქვეყნადეს, რომ სკოლის გახსნა დაგვიანდა, რადგან არ მქონდა სკოლის პროგრამა სამხედრო გუბერნატორ კომაროვისთვისო. ეს უკანასკნელი ითხოვს რუსული ენის სწავლებას პირველი განყოფილებიდანვე ქართულის პარალელურად: „უპროგრამოდ რომ დაძეწყო, კომაროვი იმდენად უგუნურია, რომ შკოლას უსათუოდ დამიხურავდა“.

ამავე წერილში ნანეიშვილი ატყობინებს ილიას, რომ სკოლა მზად არის და სთხოვს მას ჩავიდეს ბათუმში 25 ან 26 თებერვლისათვის. გამგეობას სკოლის გახსნის ეს თარიღი არ მიუღია და ი. ქვეყნადე ნანეიშვილს დეკემბით ატყობინებს, რომ სკოლის გახსნის დღეს ჩვენ დაენიშნავთ და გაცნობებთო.

როგორც ჟურნალი „ივერია“ იტყობინება, „ბათუმის სკოლა გამართა საზოგადოების მმართველობამ 23 მარტს 1881 წ.“ და ამ სკოლის პირველი გამგე-მასწავლებელი იყო 24 წლის ახალგაზრდა, ხალხოსნური იდეებით გატაცებული, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე თეიმურაზის-ძე ნანეიშვილი, რომელმაც თვით მიიღო მხურვალე მონაწილეობა ბათუმის ქართული დაწყებითი სკოლის დაარსებაში.

ბათუმის სკოლაში ალ. ნანეიშვილს უხდებოდა სწავლება ყველა საგნისა, როგორც პირველ განყოფილებაში (პირველ წელს), ისე მეორე განყოფილებაშიც (მეორე წელს). კერძოდ ალ. ნანეიშვილი ასწავლიდა ქართულ ენას, არითმეტიკას, საღვთო სჯულს და სუფთა წერას.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებისა და ალ. ნანეიშვილის ენერგიული მუშაობის შედეგად სწავლება ახლადგახსნილ ბათუმის სკოლაში დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. 1881 წლის 12 სექტემბერს, ე. ი. როცა აქ მუშაობდა ა. ნანეიშვილი, ბათუმის სკოლა ინახულა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა პ. კ. იანოვსკიმ და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ორლოვმა. ხსენებულმა პირებმა, როგორც ჩანს, ეს სკოლა ინახულეს არა რევიზიის მიზნით. მათ ბათუმში, ალბათ, პირველ რიგში აინტერესებდათ ბათუმის ახალგახსნილი საქალაქო სასწავლებელი. „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლაში მათ „ვიზიტს“ მხოლოდ გაცნობის ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ალექსანდრე თეიმურაზის-ძე ნანეიშვილმა ბათუმში მუშაობით დაამტკიცა ინტერესი პედაგოგიური საქმისადმი, კარგი პატრიოტობა, დავალებული საქმისადმი ერთგულება და მუშაობაში პრინციპულობა. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა წელიწადნახევარი და 1882 წლის 15 ივლისს იგი ბათუმის ქართული სკოლიდან განთავისუფლდა.

პათუნში მუშაობისას და მის შემდეგ ალ. ნანეიშვილი აქტიურად: თანაწირობდა ქართველ ხალხოსანთა ეურ. „იმედში“, აგრეთვე „ივერიაში“, გაზეთ „დროებაში“, ჟურნალ „მოამბეში“, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ და სხვა.

ალ. ნანეიშვილი, როგორც ხალხოსანი, აქტიურად ეხმარებოდა მრავალ საკირბოროტო პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიურ საკითხს. 1884 წელს სხვა ქართველ ხალხოსნებთან ერთად ალ. ნანეიშვილი ციმბირში გადაასახლეს და იმყოფებოდა სემიპალატინსკში. 1887 წელს ის კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

განუქრნებელი სენით დაავადებული ალ. ნანეიშვილი გარდაიცვალა 1904 წელს, 25 აგვისტოს (ახ. სტ.).

მის კალანს ეკუთვნის მრავალი წერილი სხვადასხვა საკირბოროტო-რთულ საკითხზე. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წერილებს ქართული ენისა და სწავლა-განათლების შესახებ. ამ წერილებში ალ. ნანეიშვილი ძირითადად ავითარებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელთა—ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, აგრეთვე გამოჩენილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის შეხედულებებს.

კერძოდ ალ. ნანეიშვილი თავისი პედაგოგიური ხასიათის წერილებში ეხება მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობას, ზოგად (—) საგანმანათლებლო სწავლების ზვედრითი წონის გაზრდას სკოლაში, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკირბობას, უმაღლესი განათლების მდგომარეობას, ქალთა სწავლა-განათლების საკითხებს, საბუნებისმეტყველო დისციპლინების შემოღებას სკოლაში და სხვ.

ალ. ნანეიშვილი „ივერიაში“ ათავსებს მეთაურ წერილს, რომელშიც ეხება მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობას საქართველოს სკოლებში. ავტორის რწმენით „სამშობლო ენა ქვა-კუთხედია სწავლა-განათლებისა და წარმატებისა“. მშობლიური ენის ცოდნა არის პირობა საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურისათვის.

ალ. ნანეიშვილი გარკვეულად რეალური განათლების მომხრე და მისი დამცველი იყო. იგი საერო განათლებას გაძლიერებას მოითხოვდა სამრევლო სკოლებშიც. ერთ-ერთ თავის წერილში ალ. ნანეიშვილი სპეციალურად შეეხო ამ უკანასკნელ საკითხს და მოწინავე მოსაზრება გამოსთქვა. მისი აზრით ე. წ. სამრევლო სკოლები, სადაც სასულაერო განათლებას მთავარი ადგილი ეჭირა, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ საეკლესიო სკოლები, არამედ მათში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადი სწავლა-განათლების საქმესაც.

აღ. ნანეიშვილი მოწინავე პედაგოგების შეხედულებათა მიხედვით წინააღმდეგია, რომ გიმნაზიებში ახალგაზრდა ყმაწვილებს თავს უბრუნებენ ლათინურისა და ბერძნული ენის სწავლებით და სრულებით არ ასწავლიან საბუნებისმეტყველო საგნებს. ამავე დროს „საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება რომ ლათინურს და ბერძნულ ენებზე უფრო გამოსადევია ადამიანის გრძობა-გონების სავარჯიშოდ, საწვრთნელად, ამაში ექვი არ არის“ („ივერია“, 1889 წ., № 158).

თავისებურ შეხედულებას ავითარებდა აღ. ნანეიშვილი ქალთა განათლების შესახებაც. ერთ-ერთ თავის მეთაურ წერილში იგი შეეხო ქართველ მოზარდ ქალთა სწავლა-განათლების საკითხს. ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ქუთაისში გაიხსნა უფასო სკოლა, სადაც იზრდებიან და სწავლობენ ლარობ ქუთათურთა პატარა ქალები.

აღ. ნანეიშვილის აზრით, იმის გამო, რომ ქალები სათანადო განათლებას ვერ იღებენ, „ჩვენი ოჯახი შოუვლელი და ნიეთიერად დაცემულია, ჩვენი ყმაწვილები ჯეროვნად გაწვრთნილი და მონზადებული არ არიან და ამას რამდენი უბედურობა მოსდევს, ვინ მოსთვლის“ (იქვე).

რევოლუციამდელი სკოლის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს ისიც შეადგენდა, რომ ის თითქმის უყურადღებოდ ტოვებდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს. მაშინდელ სკოლაში მოსწავლეს ტვირთავდნენ გონებრივი მუშაობით, მაგრამ არაეინ ზრუნავდა მის ფიზიკურ ჯანსაღობაზე; ამასთან ცნობილია, რომ პედაგოგიკაში თანდათან იკაფავდა გზას შეხედულება მოსწავლეთა პარმონიული აღზრდა-განვითარების შესახებ.

ძველი სკოლა რომ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას უყურადღებოდ ექცეოდა, ეს იწვევდა მოზარდის ორგანიზმის დაუძლურებას. აღ. ნანეიშვილი ამ მდგომარეობასაც გამოეხმაურა და აღნიშნა ის ფაქტი, რომ „სკოლის დღევანდელი ვითარება აუძლურებს მოზარდის ყმაწვილის სულსა და ხორცს, რადგან სისტემა სწავლებისა არ შეჰფერის ყმაწვილის გონების ძალასა და აგებულებას“ („ივერია“, 1889, № 177).

ზემოგანხილულ საკითხებთან ერთად აღ. ნანეიშვილი თავის წერილებში შეეხო აგრეთვე მასწავლებელთა, კერძოდ, სოფლის მასწავლებელთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და მისი სავსებით რეალური სურათი დაგვიხატა. რევოლუციამდელ სოფელში მასწავლებლის აუტანელი უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა გამოიწვევდა ქართველ მოღვაწეთა ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, რადგან სოფლის მასწავლებელი — სახალხო მასწავლებელი იყო პირველი მებრძოლი და პროპაგანდისტი მშობლიური ენისა და კულტურისა.

აღ. ნანეიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

ლიტერატურა: I. აღ. ნანეიშვილი, ორიოდ სიტყვა გ. თ.-ის სტატიის „მაშინდელ რუსეთის“ თაობაზედ, ჟურ. „ივერია“, 1881 წ., № 3; ლიტერატურული შენიშვნები—ქართველი ახალგაზრდობის უმაღლესი განათლების შესახებ, ჟურ. „ივერია“, 1881, № 10; ლიტერატურული შენიშვნები. გაზ. „დროება“, 1883 წლის № 101 და № 202; ლიტერატურული შენიშვნები, გაზ. „დროება“, 1883 წლის № 225 და № 226; „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ათი წლისთავის შესახებ. გაზ. „ივერია“, 1889, № 5; მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ სკოლებში, გაზ. „ივერია“, 1889, № 13; ქართველ მონარქ ქალთა განათლების შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 47; სასწავლო წლის დამთავრებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ სოფლად არდადეგების გატარების შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 98; სამრევლო სკოლებში საერო-ხოვადი განათლების შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 101; სკოლებში ფიზიკური ვარჯიშობის შემოღების შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 117; სოფლის მასწავლებელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 137; სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაზე, გაზ. „ივერია“, 1889, № 158; სალიტერატურო შენიშვნები, ჟურ. „მოამბე“, 1895 წ., № 3; სასწავლო დღის რეჟიმის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1889, № 221.

II. გ რ ყ ი შ ი ძ ე, ხუდადოვის პასუხად (პასუხი მიმართულია აგრეთვე ა. ნანეიშვილისადმი ქართველი ახალგაზრდობის უმაღლესი განათლების შესახებ), ჟურ. „ივერია“, 1882 წ., № 6; ს ი კ ო მ უ ხ ი ა ნ ე ლ ე, დაგვიანებული პასუხი ბ-ნ ნა-ლს, გაზ., „კვალი“, 1895, № 10; P. M. T y a n o v, характеристика и воспитание, кн. II. Тифлис, 1905 г.; ი. მ ა ნ ს ე ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბილისი, 1937 წ.; ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, ტფილისი, 1938 წ.; გ. ლ ა ს ა ი შ ვ ი ლ ე. მეშუარები, ტფილისი, 1934; ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1931 წ., ტ. ხ უ ნ დ ა ძ ე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), თბილისი, 1951 წ., გ. ნ ი ო რ ა ძ ე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში. ბათუმი, 1950 წ.



ალექსი მირიანაშვილი (1860 — 1925)

ცნობილი პედაგოგი, სახალხო მასწავლებელი, პუბლიცისტი-მწერალი, ბავშვთა საყვარელი ბელეტრისტი, ხალხური შემოქმედების ნიმუშთა გულისხმიერი შემკრები და საზოგადო მოღვაწე — ალექსი მირიანაშვილი ეკუთვნის ქართველ პატრიოტთა იმ თაობას, რომელსაც მტკიცედ სწამდა: რაც არ იწვის, არ ანათებს, რაც კი იწვის — ანათებს, მაგრამ თვითონ კი იფერფლებათ.

ამ ფერფლისაგან ქართული კულტურის საგანძურში არა ერთი და ორი ღირსსაცნობი ქმნილება დარჩა ალექსი მირიანაშვილის უხადო სახელის მატარებელი. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურა ეს იშვიათი და ჩუმი მუშაკი ქართულ მწერლობას, სახალხო განათლებასა და ქართულ სკოლას და ნანატრ დღეებსაც შიალწია მით, რომ მოიპოვა საბჭოთა სკოლის, ნამდვილი

ქართული ეროვნული სკოლის, მასწავლებლისა და ხელმძღვანელის სახელი.

ალექსი ივანეს-ძე მირიანაშვილი დაიბადა 1860 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში დიდი შრომისმოყვარე და წერა-კითხვის წიკოდნე გლეხის ოჯახში. „6-7 წლისა თუ ვიქნებოდი, — იგონებს ალექსი, — როცა მამამ ვაჭირის დაწყებით სკოლაში მიმაბარა, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელ-ბლადოჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა ღვთის ანაბარად ჰქონდა მიტოვებული. ბავშვები მოვიდოდნენ დილით ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას წავიდოდნენ შინ... აქ ყოველგვარ საძაგლობას ჰქონდა ადგილი. არ იყო მხოლოდ წიგნის სწავლა. მღვდელ ხატიაშვილს თვალს მოვკრავდით ხანდახან და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელთა რიცხვი 50—60 აღემატებოდა, ებრძანებინა ზინდორ-ვენახებში წასვლა და იმის სადილისათვის სატაყურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს გასუფთავება, ან მატყლის წეწვა, ქათმის ბუშბულის რჩევა და სხვა ამგვარები“...

ცხადია, ამგვარ პირობებში იმ დროს არა ერთი სკოლა იყო სოფლად. ცოტათი მაინც გათვითცნობიერებულმა ივანემ ნიჭიერი და მკვირიცხლი პატარა ალექსი მეორე წელსავე მოაშორა ამ თავგასული ხუცის სამსახურს და ქ. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანა. 1873 წელს ალექსი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში შევიდა. 1877 წელს ინსტიტუტში ჩაირიცხა და 1881 წელს ინსტიტუტის სრული კურსი წარმატებით დაამთავრა საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებით.

ამავე ხანებში ის, როგორც სამწერლო ასპარეზზე უკვე გამოსული და საიმედო მომავლის მქონე, უახლოვდება ცნობილ ქართველ მწერლებსა და პედაგოგებს სერგეი მესხს, ი. გოგებაშვილს, ნ. ცხვედაძეს, ნ. ლომოურსა და სხვებს. მათი დახმარებით ალექსი მირიანაშვილი დანიშნულ იქნა მასწავლებლად თბილისის ქართულ სკოლაში, რომელიც იმ ხანებში ახალჩამოყალიბებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა. რამდენიმე წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ალექსი გადაეყვით თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში. 1900 წელს ის მიწვეულ იქნა თბილისის კონერციულ სასწავლებელში, სადაც მან ნაყოფიერად და ხანგრძლივად იმოღვაწივა 1923 წლამდე, ე. ი. ვიდრე აქედ არ გახდებოდა და შრომის უნარს არ დაჰკარგავდა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და საკმაოდ დაქანცულობისა, ამავდარი პედაგოგი და მწერალი აღფრთოვანებული შეეგება დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამათავისუფლებელ დღეებს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებასა და ნამდვილი ეროვნული საბჭოთა სკოლის ჩამოყალიბებას. ის ახალგაზრდული ენთუზიაზმით იღებდა მონაწილეობას ახალი სკოლის მშენებლობასა და საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. ყველგან ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას, იგი ცოდნას, გამოცდილებასა და ენერჯიას არ იშურებდა მისთვის საყვარელი საქმიანათვის, მაგრამ მასში უკვე კარგა ხნიდან დასადგურებულმა ავადმყოფობამ — გულის ასტმამ — 1925 წლის 24 აპრილს ის სამუდამოდ მოაშორა სანუკვარ საქმიანობას. მადლიერმა ქართველმა მშრომელებმა ალ. მირიანაშვილი შესაფერი პატივით დაკრძალეს ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ქართული მწერლობისადმი სიყვარული ალექსის ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში აღეძრა. ის ინსტიტუტის მოსწავლეთა ფარული წრის აქტიური წევრი, გაზეთი „დროების“ ფარული გამავრცელებელი და თანამშრომელიც გახდა.

ალექსი მირიანაშვილი სამწერლო ასპარეზზე 1879 წელს გამოვიდა გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული კორესპონდენციით, სიღნაღის მაზრის ცხოვრებიდან. მას შემდეგ ის „ანაგელის“, „ლილიპუტის“, „ან-მანის“ ფსევდონიმებით და პირადი ხელმოწერითაც შეუწყვეტილად და ინტენსიურად თანამშრომლობს ქართული პერიოდული პრესის თითქმის ყველა ორგანოში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მოამბე“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.). მის კალამს ეკუთვნის მრავალი, ქართულ პრესაში უხვად გაბნეული, პედაგოგიური და პუბლიცისტური სტატიის, სამეცნიერო-პოპულარული შრომა და საბავშვო მოთხრობა — (ა) და იგავ-არაკი.

ალექსი მირიანაშვილის სხვადასხვა დროს გამოცემულ 7 წიგნიდან აღსანიშნავია: 1907 წელს გამოსული „ქართული წერის დედანი“ და ჟურნალ „ნაკადულის“ მიერ თავის ხელისმომწერთათვის საჩუქრად გამოცემული „იგავ-არაკების კრებული“.

პირველი (დედანი) საინტერესოა იმით, რომ ავტორი ცდილობს ქართული წერის პირდაპირი ხელისა და ნუსხური გადაბმული ჩქარი წერის დანერგვას, რაც, ავტორის აზრით, ძლიერ სკირდება ახალ დროს, რადგან, თუ წარსულში სტამბა არ არსებობდა და მის მაგივრობას ადამიანის ხელი ასრულებდა, დღეს ყველა

საქირო წიგნი ათასობით ისტამბება და ბეჭდური ხელით წერა კ. არაა საქირო. არანედ ნუსხური გადაბმული ჩქარი წერა, რაც ძველ ქართულს არ ახასიათებდაო“. ამ მხრით ალ. მირიანაშვილის „ქართული წერის დედანი“ დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ალექსი მირიანაშვილის „იგავ-არაკების კრებული“, როგორც ბავშვების საყვარელი წიგნი, თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია მისი მეორედ გამოცემა 1923 წელს — უკვე საბჭოთა პერიოდში. სწორი იყო გაზეთი „ჩვენი დროება“ (1913 წ., № 17), როცა წერდა, რომ დიდი მადლობის ღირსია „ნაკადულის“ რედაქცია, რომ ასეთი საჩუქარი უძღვნა თავის პატარა მკითხველებს... ის მდიდარია შინაარსით, აზრით და დაწერილია საუცხოვო ქართული ენით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვსო“...

ასეთივე დადებითი შეფასება მისცა მას „სახალხო გაზეთმა“ (1913 წ., № 85), ხოლო გაზეთი „თემი“ (1913 წ., № 105) მას პატარა მკითხველებისათვის „ფასდაუდებელ საჩუქარს“ უწოდებდა.

ალექსი მირიანაშვილის ნათელი სახე, მისი გულწრფელი დეაქლი და შემოქმედებითი პროდუქტი შესამჩნევ ადგილს იკავებს, როგორც სახალხო განათლების, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ლიტერატურა: სახალხო გაზეთი—1913 წ., № 25; „თემი“. 1913 წ., № 105; ნინო ნაკაშიძე, მოგონებანი; „სახალხო განათლება“, 1950 წ., № 24. ი. გოგებაშვილი, „წიპურტის ნიმუში“, ტ. I; გაზეთი „დროება“. 1988 წ. № 68.



სილოვან ხუნდაძე

(1860—1928)

ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. დაუფასებელია ქუთაისელ პედაგოგთა მოღვაწეობა სწავლა-განათლების დარგში. ვალმოხდით მასწავლებელთა ამ კორპორაციაში სილოვან ხუნდაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი არამარტო შეუდარებელი პედაგოგი იყო, როგორც მისი კოლეგა იოსებ ოცხელი, არამედ თვალსაჩინო გრამატიკოსი-ფილოლოგი, კრიტიკოსი-პუბლიცისტი, მრავალმხრივ ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე და პოეტიც.

სილოვან თომას-ძე ხუნდაძე დაიბადა 1860 წლის 3 (15) აპრილს ოზურგეთის მაზრის სოფელ კალაგონში. დაწყებითი განათლების მისაღებად პატარა სილოვანი მშობლებმა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიიბარეს, საიდანაც მალე ოზურგეთში

ვადაიყვანეს „სამხედრო მოსწავლეთა პანსიონში“, ხოლო 1871 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის კურსი ნიჭიერმა ახალგაზრდამ წარჩინებით დაამთავრა 1880 წელს. იმავე წელს ჩაერიცხა იგი ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მაგრამ იმის გამო, რომ მას ფილოლოგიური განათლება იზიდავდა თავიდან. პეტერბურგს (ლენინგრადს) გაემგზავრა და რუსეთის მაშინდელი დედაქალაქის სახელგანთქმული უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტად ჩაერიცხა. საუნივერსიტეტო კურსი სილოვანმა 1884 წელს დაასრულა და დაუყოვნებლივ სამშობლოში გამოემგზავრა სანოღვაწეოდ.

1884 წლის შემოდგომიდან სილოვან ხუნდაძე ძველი სენაკის ქართულ სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად, ხოლო მალე ქუთაისის ქართულ სკოლაში (შემდეგ ქართული გიმნაზია) იქნა გადმოყვანილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც შეუწელებლად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას 1920 წლამდე, ვიდრე ჯანმრთელობა პედაგოგიური შრომის საშუალებას აძლევდა.

სილოვან ხუნდაძე იყო ქუთაისის ქართული გიმნაზიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. ამ სასწავლებელში მოღვაწეობის მთელი ხნის მანძილზე იგი უდიდესი პედაგოგიური ოსტატობით უნერგავდა მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს და პატივისცემას. ს. ხუნდაძე არა მარტო დაუფასებელი მასწავლებელი იყო, არამედ ახალგაზრდობის შეუდარებელი აღმზრდელი-პედაგოგი და თავის კოლეგა-მასწავლებლების გამოცდილი ხელმძღვანელი. იგი დიდხანს ასრულებდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის ინსპექტორის მოვალეობას და უკანასკნელად (იოსებ ოცხელის გარდაცვალების შემდეგ) ამ გიმნაზიის დირექტორის თანამდებობასაც. ყველა ამ პოსტზე იგი გამოირჩეოდა როგორც თავისი საქმის საუკეთესო ოსტატი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე და უანგარო, პატიოსნებით სავსე მუშაკი, რომელიც მუდამ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ღრმამეცნიერული ცოდნით შეიარაღებული და მაღალი პატრიოტული ღრძნობით აღჭურვილი თაობები აღეზარდა.

სილოვან ხუნდაძე მებრძოლი ბუნების ადამიანი იყო. იგი ვერ ურიგდებოდა ადამიანთა აბუჩად აგდებას. განსაკუთრებით მრისხანე და შეურთხებელი იყო იგი მეფის მოხელეთა ნაციონალურ-კოლონიურ საგანმანათლებლო პოლიტიკის ყოველგვარ გამოხატულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცნობილია მისი ინცინდენტი 1914 წელს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამოსაშვებ გამოცდებზე კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ გამოგზავნილი დეპუტატის შავრაზმელ

კორიციისთან. სილოვან ხუნდაძემ ვერ მოითმინა ამ კარიერისტის საქციელი, რომლის მიზანსაც გიმნაზიის მოსწავლეთა უმრავლესობის „ჩაფლავება“ და ამ გზით ქუთაისის ქართული გიმნაზიის სახელის გატება შეადგენდა. მან უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა მეფის მთავრობის ამ ბიუროკრატ მოხელეს და აიძულა იგი უკანვე გაქცეულიყო. სილ. ხუნდაძე არც იმას შეუშინდა, რომ ამის შედეგად იგი მისი საყვარელი გიმნაზიიდან მოხსნეს და უმუშევრად დასტოვეს რამდენიმე წლის განმავლობაში. საპასუხო დეკემბით მან აცნობა კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველს რუდოლფს, რომ მალე დადგება დრო და თქვენც გაგაძევებთ კავკასიიდანო. და, მართლაც აღსრულდა მისი ნატერა. 1917 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, უდანაშაულოდ დასჯილი პედაგოგი მადლიერმა განთავისუფლებულმა ხალხმა ისევ მოიწვია ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ინსპექტორად.

ქართველი ახალგაზრდობის არა ერთი და ორი თაობა აღუზრდია სილოვან ხუნდაძეს. მის მოსწავლეთაგან მრავალი ამჟამად ეწევა ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა კულტურის, განათლებისა და მეურნეობის დარგებში. მის უმწიკვლო და დაუფასებელ პედაგოგიურ შრომას, მის მამობრივ მზრუნველობას ახალგაზრდობაზე, მის ოსტატურ დარჩევებს და სურვილებს, მის დახმარებას და მზრუნველობას ვერასდროს დაივიწყებენ მისი ყოფილი მოსწავლეები და აღზრდილები. ქეშმარიტად შემოქმედი პედაგოგი იყო სილოვან ხუნდაძე და ამით აღწევდა იგი ასეთ შედეგს თავის მუშაობაში და ამითვე იმსახურებდა უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას თავის მოსწავლეებში, ამხანაგებში და საზოგადოებაში.

მეტად დიდია სილოვან ხუნდაძის დამსახურება ქართული გრამატიკის დამუშავების დარგში. იგი სამართლიანად ითვლება სალიტერატურო ქართული ენის კანონებისა და ნორმების ერთ-ერთ პირველ დამდგენთაგანად. სილოვან ხუნდაძე არის ავტორი მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე ან ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი: „ქართული ზმნები“ (1891 წ.), „სალიტერატურო ქართული“ (1901 წ.), „ქართული გრამატიკა“ (1904 წ., გამოიცა 7-ჯერ), „ქართული გრამატიკა პირველდაწყებით სკოლებისათვის“ (1912 წ., გამოიცა 5-ჯერ), „ქართული მართლწერა“ (1913 წ.), „ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები“ (1927 წ.) და სხვ. დაუღალავად იცავდა სილ. ხუნდაძე ქართული ენის სიწმინდესა და ღირსებას. დაუზოგავად ებრძოდა იგი ყველას, მათ შორის ზოგიერთ გამოჩენილ მოღვაწესაც, თუ დარწმუნებული იყო იმაში, რომ სიმართლე

პის მხარეზე იყო. რასაკვირველია, ყოველთვის და ყველაფერში არ იყო იგი მარაული. მაგრამ მისი ძირითადი ტენდენცია სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა-დამუშავებისა, ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ხალხური ნეტყველების მონაცემების საფუძველზე. აბრითადად სწორი იყო.

დღის ქართული საენაშენებლო კვლევა-ძიება იმდენად შორს წავიდა, რომ სილ. ხუნდაძის გრამატიკა უკვე განვლილი ეტაპია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ისტორიული ღვაწლი მეტად და ეჭვასებელია და მეცნიერული და სასკოლო გრამატიკის ისტორია მას ვერასოდეს დაივიწყებს.

თავისი ნიჭი და უნარი სილოვანმა პოეზიაშიც სცადა. იგი აკაკის მიმდევართა თაობას ეკუთვნოდა. მისი ლექსების მრავალი კრებულია გამოცემული.

სილოვან ხუნდაძე მუდმივი თანამშრომელი იყო ჩვენი პერიოდული გამოცემებისა: „დროებისა“, „ივერიისა“, „კვალისა“, „ცნობის ჟურნალისა“, „წიგნისა“, „განათლებისა“ და მრავალ სხვათა.

სილოვან ხუნდაძე ენერგიულად მუშაობდა ყოველ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყება-დაწესებულებაში: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილებაში. წიგნის გამომცემლობაში, ბიბლიოთეკების დაარსებაში, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში და სხვ.

სილოვან ხუნდაძე შეუდარებელი ადამიანი იყო. სისპეტაკე, პატიოსნება. სასიათის სიმტკიცე, პრინციპულობა, კატმოყვარეობა. წრონა და ხალხის სამსახური — იგი, მისი დამახასიათებელი თვისებები.

ღვაწლმოსილი პედაგოგი გარდაიცვალა 1928 წლის 12 მაისს და მისი ანდერძის თანახმად დასაფლავებულ იქნა ქუთაისში უბრალოდ და უცერემონიოდ.

სილოვან ხუნდაძის მრავალმხრივად ნაყოფიერ შრომასა და ამაგს არასდროს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ხალხი.

ლიტერატურა: I. სილოვან ხუნდაძე, ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, 1887 წ.; ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი სკოლებისათვის, 1912 წ.; ქართული მართლწერა, 1913 წ.; ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1914 წ., გრ. ორბელიანი, 1917 წ.; აკაკი წერეთელი, 1917 წ., ვახტანგ ორბელიანი, 1918 წ.; რაფიელ ერისთავი, 1918 წ.; ილია ჭავჭავაძე, 1919 წ.; ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძველები, 1927 წ.

II. პროფ. გ. ახვლედიანი, სილოვან ხუნდაძის გარდაცვალების გამო (მოხსენების თეზისები), ჟურ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ.; ლ. ა.—სილოვან ხუნდაძე (იჭვე); ე. უკ. ბერიძე, სილ. ხუნდაძე, ჟურ. „განათლების მუშაკი“, 1929 წ., № 7; ვ. ქაჯაია, სილოვან ხუნდაძე, გახ. „საბალხო განათლება“, 1948 წ., № 22.



პეპე ჭიკაბია (1861—1919)

წარსული საუკუნის მიწურულსა და ამავე საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ვისაც ქართულ სკოლაში უმუშავია, ან კიდევ ქართული აზროვნების განვითარებისადმი გულისხმიერება გამოუჩენია და ქართული პერიოდული პრესისათვის თვალყური უდევნებია, მისთვის უეჭველად ნაცნობი და მახლობელი იქნება პეტრე ჭიკაბიას სახელი.

პირველ ყოვლისა ის იყო ერთი საუკეთესო მოწინავე ქართველი მასწავლებელთაგანი, თავის დროისათვის საკმაოდ გამოჩენილი პედაგოგი — დაუცხრომელი მებრძოლი მშობლიური ენის უფლებებისა და სიწმინდის დაცვისათვის, რამდენადაც ეს ცარიზმის წამლევავ ატმოსფეროში იყო შესაძლებელი. ამავე დროს, პეტრე ჭიკაბია იყო მწერალი, ჟურნალისტი, ნიჭიერი მკვლევარი ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიისა, ქართული ლიტერატურის

კრიტიკოსი და საქმაოლ კულტურული და გავლენიანი მოქალაქე:
დიდი საზოგადო მოღვაწე.

პეტრე გიორგისძე ქარაია დაიბადა 1861 წლის 12 (24) ივნისს,
სოფელ ეწქეთში (ახლა ოჩამჩირის რაიონი).

მშობლების ადრე გარდაცვალების გამო პეტრე იძულებული
შეიქნა თბილისის სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასიდან გამო-
სულიყო. როგორც მისი ამ პერიოდის საბუთები მოწმობენ, ის მუ-
დამ ბეჯითი და წარჩინებული მოსწავლე ყოფილა.

ასეთივე ბეჯითობითა და წარჩინებით განაგრძო ნიჭიერმა ახალ-
გაზრდამ თვითგანვითარება და მუშაობა. ის განუწყვეტლივ მასწა-
ვლებლობდა სამურზაყანოს სკოლებში (მოქვი, გუფუ, ფოქვეში, გა-
ლი და ა. შ.). ამ სკოლებში ის ყველგან იცავდა ქართულ ენას.

პეტრე, როგორც ნოწინავე პედაგოგი და ნიჭიერი ურნალის-
ტი, ბევრჯერ მიუწვევიათ ქუთაისში ან თბილისში სანუშაოდ. მა-
გრამ ის მუდამ სამურზაყანოში არჩევდა დარჩენასა და მუშაობას.
რადგან დარწმუნებული იყო იქ მეტს ვააკეთებდა, მისი შრომისმოყვა-
რეობა და ენთუზიაზმი იქ იყო საქირო, როგორც ადვილობრივი
და მკვიდრი ავტორიტეტული სახალხო მასწავლებელი. რომელიც
იმ ხანებში გლეხისათვის იყო არა მარტო მასწავლებელი მისი შეი-
ლებისა, არამედ მრჩეველი, დანცველი, ყოველგვარი გაკირვების
დროს დანხარე და მისი უნუგეშო მდგომარეობიდან გამომყვანი.

როგორც მასწავლებელი, იგი იაკობ გოგებაშვილის ერთგული
მოწაფე იყო. მოწინავე იდეებით აღჭურვილი და ახალი, ეროვნული
სკოლისათვის მებრძოლი. მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანებში აფ-
ხაზეთის ეპარქიის ფარგლებში ქართული ენის სწავლება ყველგან
და ყველა ტიპის სკოლაში სასტიკად აკრძალული იყო. პეტრე მაინც
თავისას არ იშლიდა. მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის განა-
ვრცელებელი საზოგადოებიდან“ მოსდიოდა წიგნები და მათ შორის
ი. გოგებაშვილის „დედაენა“ რომელსაც ის უფასოდ ურიგებდა
თავის მოსწავლეებსა და აგრეთვე ახლობელ სკოლებსაც აწვდიდა.

პეტრე ქარაიას, როგორც მასწავლებელსა და აღმზრდელს,
კლასში არასოდეს დასციპლინის დასამყარებლად სხვა პალიატივი
არ უხმარია, გარდა მოსწავლეთა შეგნებისა. მისი ყოველი გაკვე-
თილი იყო ინტენად მიზიდველი. დამაინტერესებელი და ყურა-
დლების გამტაცებელი, რომ მოსწავლეებს წუთიც კი არ რჩებოდათ
წესრიგის დარღვევისათვის. ამავე დროს პეტრეს დამოკიდებულება
ბავშვებისადმი ინტენად სათუთი, შთაშავონებელი და გაყენითილი
იყო ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობებით, რომ მოსწავლეები

ერთიმეორეს არიგებდნენ და უსწორებდნენ საქციელს იმ მოტივით, რომ „პეტრეს ეწყინებაო“.

ამგვარი დისციპლინის შედეგად პეტრე აღწევდა იმას, რომ მის კლასში ყველა მოსწავლე გაკვეთილს კარგად ამზადებდა, ყველა ბეჯითობდა და ყველა კარგად სწავლობდა, რაც საექვო გაკვირებას იწვევდა ზოგიერთ „მოჩინონიკო“ პედაგოგებსა და მათს მესვეურებში, რომლებიც ცდილობდნენ ხშირად დასწრებოდნენ და „გაესინჯათ“ მისი გაკვეთილი.

ერთ-ერთი მისი ყოფილი მოსწავლის გადმოცემით, პეტრე ქარაიამ გალის სკოლის მოსწავლეებისათვის, წინააღმდეგ სკოლის ადმინისტრაციისა, ქართული ბიბლიოთეკა ზოაწყო. ის მარტო ამასაც არ სჯერდებოდა, რეგულარულად იძენდა ქართულ გამოცემებს და უგზავნიდა ალექსანდრო-გრუშევსკის სასწავლებლის ქართველ მოსწავლეებს. ამგვარად, ქართველ მოსწავლეებს პეტრეს დახმარებით რუსეთშიაც კი ჰქონდათ საშუალება არ მოსწყვეტოდნენ მშობლიურ მწერლობას, სამშობლო ქვეყნის ვითარებათა მიმდინარეობას.

პეტრე ქარაია მრავალჯერ ხერხს მიმართავდა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოღონდაც ქართული საქმე გაკეთებულყო. 1900-ანი წლების ერთ პერიოდში, როცა მეფის მოხელეებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს ნიჰანს მით, რომ სუბჟმის ოლქის (აფხაზეთ-სამღურზაყანო) ფარგლებში სავსებით გააუქმეს ქართული ენის სწავლება, პეტრე დასაბუთებულ მოხსენებას უდგენს „ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც უმტკიცებს, რომ საქმის შემოვლა კიდევ შეიძლება. იმგვარ აღვილას უნდა გაიხსნას ქართული სკოლა, სადაც სამღურზაყანოელ ბავშვებსაც შეეძლებათ მისვლაო. მაგალითისათვის იგი ასახელებს ზუგდიდის მაზრის, ინგურის პირად მდებარე რომელიმე სოფელს, სადაც პატარები ადვილად შეძლებდნენ გაღმიდან გამოსვლას, თუკი სათანადო ხიდიც იქნებოდა მდ. ინგურზე გადებული („კვალი“, 1901 წ., № 50).

„წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მეცადინეობით 1915 წლის შემოდგომიდან საზოგადოების ხარჯით გალის სკოლაში შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება, როგორც საჯნისა. მასწავლებლად გამწესებულ იქნა ქართული ლიტერატურაში ცნობილი პეტრე ქარაია“ (ანგარიში, 1915 წ., გვ. 123).

„ქართულ ლიტერატურაში ცნობილი“ ეს პეტრე ქარაია სიცოცხლის უკანასკნელ დღებდე არ მოშორებია დასახელებულ სკოლას

ჯერ კიდევ ამ სასწავლებელში მუშაობის დაწყებამდე პეტრემ საჯაროდ გაილაშქრა სუხუმის ოლქის სკოლებში ქართული ენის დევნის წინააღმდეგ („განათლება“, 1914 წ., № 1). მან ამხილა ეპარქიის ხელმძღვანელთა და სამოქალაქო უწყების ადმინისტრაციის შეთანხმებული უმართებულო საქციელი მშობლიური ენისადმი.

პეტრე ქარაია მარტო პრაქტიკულ საქმიანობასა და სახალხო განათლების გავრცელებისათვის მოღვაწეობაში როდია გართული. იგი დაუცხრომელი თვითგანვითარების გზით იძენს და იყვებს ცოდნას.

პეტრეს კალმით მოღვაწეობაზე აქ არ შეეჩერდებით, ის ცალკე თემის საგანია, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი მისი ნაშრომი „დედაენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება“, რომელსაც შესათფერი წვლილი აქვს შეტანილი სახალხო განათლების საქმეში დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთის პირობებში.

წიგნი, რომელიც გამოცემულია 1910 წელს, ჯერ კიდევ „დედა ენის“ ავტორის იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლის დროს, ცხადია, დიდი ქართველი პედაგოგის მიერ მოწონებულია. ეს ნაშრომი, მოკლედ რომ ვთქვათ, „დედა ენის“ ლექსიკონია, მასში მოთავსებულ ზოგიერთ სიტყვათა განმარტება.

ეს „განმარტებითი ლექსიკონი“ რომ „დედა ენას“ ესაქიროებოდა, ამას ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანება, მისი ენის კილოკავური სიუხვე და დიალექტების განსხვავებულება ადასტურებს.

„დედა ენა“ შეიცავს დიდ ლექსიკურ მასალას, და ეს გარემოება, წერს პ. ქარაია, უნდა ჩაითვალოს ამ სახელმძღვანელო წიგნის უმთავრეს ღირსებად.

1895 წლის ეურნალ „მოამბეში“ (IX) პეტრე ქარაიამ დასვა საკითხი „ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერის“ ჩამოყალიბების შესახებ. ის ამ საკითხის დასმას მომწიფებულად თვლიდა იმ ქვეყანაში, სადაც გაზეთი „დროება“ 20 წელიწადს გამოდიოდა, შემდეგ გაზეთი „ივერია“ და ეურნალები „კვალი“ და „მოამბე“ სისტემატურად იბეჭდებოდა.

პეტრე ქარაია კატეგორიულად მოითხოვდა: „საქიროა „კვალის“, „ივერიისა“ და „მოამბის“ წარმომადგენლები და ენის სხვა მცოდნენი შეიკრიბნენ, დაივიწყონ ყოველგვარი პირადი ანგარიშები და მიიღონ ერთი, ახლანდელი ქართული ენის მდგომარეობის შესათფერი ორთოგრაფია“ („მოამბე“, 1895, № 9). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჩვენს მწერლობაში, ე. წ. „მამათა და შეილთა“ პაექრობის შემდეგ, ლიტერატურული ენის ნორმების ხელახლა გა-

დასინჯვის საკითხის დასმის საქიროება პირველად პ. ჭარაიას ეკუთვნის.

1901 წელს ქუთაისში გამოიცა ცნობილი პედაგოგისა და გრამატიკოსის სილოვან ხუნდაძის ვრცელი ნაშრომი „სალიტერატურო ქართულის“ სახელწოდებით. ამ შრომამ საკმაო გამოხმაურება ჰპოვა პრესაში პროფ. ალ. ხახანაშვილისა და პეტრე ჭარაიას რეცენზიების სახით.

პეტრე ჭარაია თვლიდა რა სილოვან ხუნდაძეს ქართული ენის დიდ მცოდნედ, არ იზიარებდა მის ზოგიერთ დებულებას. მას პირველ რიგში მიუღებლად მიაჩნდა ხუნდაძის მიერ სახელმძღვანელოდ მიღებული ორი პრინციპი სიტყვებისა და სიტყვის ფორმის ამორჩევისა — კეთილხმოვნება და სიტყვის უმართებულოდ გამარტივება.

„კეთილხმოვნება—წერს პ. ჭარაია, მეტად განუსაზღვრელი რამ არის. რაც ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს კეთილხმოვნად მიაჩნია, ის შეიძლება სხვას არაკეთილხმოვნად მოეჩვენოს. ენის გამარტივება-გაუბრალოება ძირითადად მისაღები კრიტერიუმია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ენა აზროვნების ორგანოა და მისი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს აზრთა გადაცემა-გაგებინებაში, ამ მიზნის მისაღწევად კი ენა არა ყოველთვის ადგია გამოთქმის გაადვილებისა და გამარტივების გზას“ („ივერია“, 1901 წ., № 142).

როგორც ვხედავთ პ. ჭარაია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკითხთა გაშუქებაში სწორ პოზიციაზე დგას. მისი ზოგიერთი მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას.

რამდენიმე მოხდენილი და დამაჯერებელი ილუსტრაციის შემდეგ ის დაასკვნის, რომ „ჩვენი ნებით არ ძალგვიძს ერთი ფორმა მოვსპოთ და მეორე გავაერცელოთ (იგულისხმება კეთილხმოვანი და არაკეთილხმოვანი სიტყვები—ს. ც.), მაგრამ ენობრივ მოვლენებში, როგორც სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებშიც, ერთი რაიმე კი შეგვიძლია, თუ ვიცით რომელი საიდან მოდის და რომელი გზით საითკენ მიილტვის, ჩვენ ეს მსვლელობა ცოტად თუ ბევრად დავაჩქაროთ“ (იქვე).

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავის კაპიტალურ შრომაში („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“) საკმაო ადგილი დაუთმო პეტრე ჭარაიას, რომლის მთელი რიგი მოსაზრებანი შეიწყნარა და ღირსეულადაც შეაფასა.

პეტრე ჯარაიას (ფსევდონიმი — გიორგიძე) ეკუთვნის აგრეთვე მრავალი ლიტერატურული ნარკვევი, გამოკვლევა და კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატია, რომლებიც ქართულ პერიოდიკაშია გაფანტული.

გახუწყვეტელი წრომიტა და ბრძოლით გატეხილი პეტრე ჯარაია გარდაიცვალა 1919 წლის დეკემბრის 2-ს.

ლიტერატურა: გაზეთი „ნაწე სლოვო“, 1919 წ., № 276; „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 698; ივანე ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და წათესაობა, გვ. 5; გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 254; „ივერია“, 1894 წ., № 159; მოსე ჯანაშვილი, „აფხაზეთი და აფხაზნი“ (რუსულ ენაზე); „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 28; „ქართველთა შორის წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების“ 1915 წლის ანგარიში, გვ. 123.



ივანე ავალიშვილი

(1862—1950)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე ივანე გიორგის-ძე ავალიშვილი შვიდი წლის განმავლობაში სოფელ მარტყოფისა და რუისის სკოლებში ასწავლიდა ბავშვებს და შემდეგ მეფის ბიუროკრატმა მოხელეებმა აიძულეს იგი თავი დაენებებინა ამ სპეტაკი საქმიანობისათვის.

ივანე ავალიშვილი დაიბადა 1862 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ბრეთში. რვა წლისას დედამ, რომელსაც მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, დააწყებინა ქართული წერა-კითხვის შესწავლა. ასოების ცნობა პატარა ეანომ მალე ისწავლა, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს „მოგონებაში“, „ასოების ერთმანეთთან გადაბმვას, მარცვლების შედგენას და სიტყვის აშენებას დედა

ავგიანებდა. ამასობაში ჩემი სკოლაში მიბარების დრო ახლოვდებოდა. ამიტომ რუსულის სწავლებაც უნდა დაეწყებინებინათ ჩემთვის. ეს იკისრა სამაზრო სკოლაში სწავლა მიღებულმა ბიძამ*, რომელმაც დანაპირები ვერ შეასრულა თავისი უცნაური მოთხოვნებისა და მასწავლებლობაში გამოუცდლობის გამო. ბიძასთან უშედეგო სიარულის შემდეგ მშობლებმა თავიანთი პატარა ვაჟი მიიბარეს ქ. გორში ვიღაც ხრუშჩოვების ოჯახში რუსული წერა-კითხვისა და ენის შესასწავლად. არავითარი სისტემა მის მასწავლებელს ვარჯიხა ირუშჩოვას არ გააჩნდა. გარდა ვ. ავალიშვილისა ხრუშჩოვებთან 30-მდე მოსწავლე სწავლობდა აგრეთვე რუსულ ენას. მასწავლებლისაგან ყველას სასტიკად ჰქონდა აკრძალული ქართულ ენაზე ლაპარაკი, რადგანაც მისი აზრით ეს ხელს უშლიდა რუსული ენის სწრაფად დაუფლებას.

ხრუშჩოვებთან ორი წლის ყოფნის შემდეგ 1876 წელს მამამ ის წაიყვანა თბილისში პირველ გიმნაზიაში მისაბარებლად, მაგრამ პირველ გამოცდაზევე არითმეტიკაში ჩაიქრა, რადგანაც მასწავლებელს რუსულად ვერ გასცა პასუხი.

როცა გიმნაზიაში ვერ მოეწყო. მამამ ის მიიბარა ავლაბრის დაწყებით სკოლაში, რის დასრულების შემდეგაც 1880 წელს გორის საზესწავლებლო სემინარიაში შევიდა. ამ დროს სემინარიის დირექტორად იყო შესანიშნავი პედაგოგი დიმიტრი დიმიტრის-ძე სემიონოვი, ხოლო ქართულს მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანის დაპატიმრების შემდეგ ასწავლიდა ცნობილი ქართველი მწერალი ნიკოლოზი.

სემინარიაში ყოფნის დროს ივ. ავალიშვილთან ახლო მეგობრობა ჰქონდათ ლუკა რაზიკაშვილს, ნიკო ლეონიძეს, ალ. ციმაკურიძეს, ლადო აღნიაშვილს და სხვ. გორის საოსტატო სემინარიაში დიმიტრი სემიონოვის დირექტორობის ხანა შესანიშნავი იყო თავისი ჰუმანურობით და მოსწავლეებთან გულთბილი დამოკიდებულებით.

სემიონოვს გულწრფელად უყვარდა ქართველობა და ქართველ მოსწავლეებსაც განსაკუთრებით უყვარდათ და აფასებდნენ მას.

ივ. ავალიშვილი ერთ ასეთ ეპიზოდს იგონებს: სემიონოვს შეუკრებია ქართველი მოსწავლეები და ასეთი საუბარი გაუმართავს მათთან: „დიდი ხანი არ არის, რაც თქვენში ვარ; მაინც მოვალე ვიყავი აქამდე გამეცნო ქართველობა. სხოლოდ წუხელის მომეცა შემთხვევა ეს სურვილი რამდენიმედ შემსრულებოდა. ამ რამდენიმე დღის წინ გორის ქართველობისაგან მოსაწვევი ბარათი მომივიდა, ერთ პატივსაცემ ოჯახში მიპატივობდნენ... ყოველ სადღეგრძელოს მისდევდა „მრავალყამიერ“, რუსულადაც იმღერეს — „ენიზ

პოსმატუშეკე“. ამის შემდეგ ვთხოვე ქართულად ემღერათ რამე... და რა აღმოჩნდა? ქართული სიმღერა ვერ მოაწყეს, არ იცოდნენ. მაშინ მე, რუსმა, შემოვძახე ქართული სიმღერა, თქვენთან რომ ვისწავლე „კურდღელი ჩამოცანცალდა“, მაგრამ ვერაინ მომყვა. მხოლოდ ერთი სოფრომ მგალობლიშვილი თითქოს ჯერ ამყვა, მაგრამ მერე ვეღარ მოახერხა. უნდა გითხრათ, რომ ამ გარემოებამ ძალიან შემაწუხა.

რა გამოაშქარავდა ვახშამზე: თურმე თქვენ, ქართველებს, ქართული სიმღერა დაგვიწყებიათ, აღარ გახსოვთ!... ტანისამოსი თქვენებური აღარ გაცვიათ. ვინ იცის, იქნება თქვენ ქართული ლაპარაკიც არ გეხერხებათ, ან ისეა შერყენილი, რომ ქართულს აღარ ჰგავს!.. ქართველებო, დასაფიქრებელ მდგომარეობაში ყოფილხართ!“

ღირექტორი პატარა ხანს შედგა, ლაპარაკი შეწყვიტა, მიგვათვალა. მოგვათვალა, თითქოს დასაფიქრა ჩვენმა მდგომარეობამ, მომავალი მასწავლებლების სამწუხარო მდგომარეობამ, და დაიწყო ჩვენი გამხმნეება:

— „მაგრამ თქვენ, მომავალ მასწავლებელნო, თქვენ გვეალებათ თქვენი ხალხის მდგომარეობას ჩაუკვირდეთ, აილ-დაილოთ და შეუდგეთ (უდი მდგომარეობის გამოსწორებას.. აღიქურვენიოთ ცოდნით, რაშიც ჩვენ ხელს მოგიმართავთ. გაიფანტენით თქვენს ხალხში, გადაეცით მას ის, რაც აქ განათლების კერაში შეიძინეთ და უშველეთ, ქართველებო, თქვენს თავს. შეისწავლეთ მოხუცებულებისაგან სიმღერები და თქვენს მოწაფეებს შეასწავლეთ. ენასაც თქვენსას ასევე უურადლება მიაქციეთ.“¹

სემინოვის ასეთი გულთბილი დამოკიდებულება ქართველ მოსწავლეებთან, მიხეილ ყიფიანისა და ნიკო ლომოურის მიერ გრძნობით ჩატარებული ქართული ლიტერატურის გაკვეთილები, რომლებზეც ახალგაზრდები ეცნობოდნენ ჩვენი სამშობლოს მძიმე მდგომარეობას, უჩვენებდა მათ მომავალ სამოქმედო გზას და ამავე დროს იმათში იმუშავებდა ხალხისადმი თავდადებული სამსახურის სპეტაკ გრძნობას.

1855 წელს ივ. ავალიშვილმა დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსი და იმავე წლის აგვისტოში დაინიშნა სოფ. მარტყოფის დაწყებით სკოლაში მასწავლებლად. ახალგაზრდა პედაგოგმა საქმეს ბეჯითად მოჰკიდა ხელი, მაგრამ დასაწყისშივე მარცხი განიცადა.

„21 წლის კაცი წრფელის გულით, მხურვალედ შევეუდექი მასწავლებლობას,— წერს ი. ავალიშვილი,— მაგრამ როგორც გამოუც-

¹ „მოგონებანი“, გვ. 43—45. იხ. ი. ავალიშვილის არქივი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმი, № 242.

დელს, გამიჭირდა მასწავლებლობა, მეძძიმა. იქამდის მივიდა საქმე, რომ ბავშვებსაც დაუწყო ცემა. ამ ფაქტის შემდეგ ი. ავალიშვილმა გადაწყვიტა, რომ მას როგორც მასწავლებლობისათვის გამოუსადეჯარ აღამიანს, სკოლისათვის თავი დაენებებინა და ასეც მოიქცა. ყოველგვარი ოფიციალური გაფორმების გარეშე დატოვამარტყოფი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ არასოდეს იქ არ დაბრუნებულყო.

მაგრამ ერთმა უბრალო შემთხვევამ თბილისში მას ეს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. შემთხვევით დაესწრო ცირკში გაწრთვნილი ცხოველების გამოსვლას. გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ავალიშვილზე ამ სანახაობამ და ათქმევინა: თუ კი ცხოველის გულისმონადირება და გაწრთვნი ისე შეიძლება, რომ ის მწვრთნელს ყველაფერს უჯერებს, მე რა დამემართა ისეთი, რომ ბავშვებთან საერთო ენა ვერ გამოვნახე და ვერაფერი ვასწავლეო. სრულიად სხვა განწყობილებით დაუბრუნდა მარტყოფის სკოლას ახალგაზრდა მასწავლებელი.

„კლასში გაკვეთილზე ჩემი გაკვირება თურმე ჩემი ბრალი იყო, ჩემი გამოუცდელიობით გამოწვეული, — იგონებდა ამ ამბავს 47 წლის შემდეგ ი. ავალიშვილი, — მასწავლებლობაზე დავამყარე გული და მალე როგორც მოწაფეების, ისე მათი მშობლების და მთელი სოფლის პატივისცემა და სიყვარული მოვიპოვე“.

მარტყოფის შემდეგ ის მასწავლებლად გადაიყვანეს სოფ. რუისში, სადაც დარჩა 1892 წლამდე. ამ წელს მას შეტაკება მოუხდა სახალხო სკოლების დირექტორ დარსკისთან, რომელიც თავგამოდებული დამცველი იყო სკოლებში ლევიციის მუნჯური მეთოდის გავრცელებისა. მიუხედავად არაერთი წინადადებისა, ი. ავალიშვილი ან მეთოდით სწავლებას გაუბრუნდა და დარსკის ყოველთვის ეუბნებოდა: გორის სამასწავლებლო სემინარიაში სემიონოვს ეს მეთოდი ჩვენთვის არ უსწავლებია და არ ვიცი იმით როგორ უნდა ვასწავლო ბავშვებსო. ამიტომ დარსკი ავიწროებდა ი. ავალიშვილს და მიზეზს ეძებდა იმის თავიდან მოსაშორებლად. ამის შემთხვევაც მალე მიეცა მას.

— „ჯამაგირი თავის დროზე არ გვეძლეოდა მასწავლებლებს და ამის შესახებ სახალხო სკოლების დირექტორთან მომიხდა შეხლა. ბუთი თუ ექვსი თვე ჯამაგირი არა მქონდა მიღებული და მასთან სათხოვნელად რომ მივედი, ასე მიპასუხა: აკი გითხარით უწინაც, როცა ფული იქნება, მაშინ მოგეცემათ, ისე როგორც ჩაფრებს, არის ფული — ეძლევათ, არ არის — არ ეძლევათ.“

ამაზე მე ვუპასუხე:

„თუ ჩვენ ჩაფრები ვართ და როგორც ჩაფრებმა ისე უნდა მივიღოთ ჯამაგირი, მაშინ თქვენ როგორც ჩაფრების უფროსი ურიადნიკი ყოფილხართ და ჩვენსავით უნდა მიიღოთ ჯამაგირი, მაგრამ ვგონებ ეს ასეა არაა“.

ამაზე დარსკი გაცეცხლებულა და ი. ავალიშვილისათვის წინადადება მიუცია დაეწერა განცხადება მასწავლებლობიდან განთავისუფლების შესახებ. 1892 წლიდან ი. ავალიშვილმა მასწავლებლობას თავი დაანება და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ შრომას მიჰყო ხელი.

1907 წლიდან ი. ავალიშვილი მსახურობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. ჯერ ითვლებოდა ამ საზოგადოების დამხმარე წევრად გორში, იძენდა და აგროვებდა ძველ ხელნაწერებსა და საისტორიო ნივთებს და უგზავნიდა საზოგადოებას, ხოლო 1909 წლიდან, როდესაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მალაზიის გამგე შიო მღვიმელი სხვაგან გადავიდა სამსახურში, მის ადგილზე ივ. ავალიშვილი დანიშნეს. ივანე ავალიშვილი მწერლობაშიც ღებულობდა მონაწილეობას. ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა წერილებსა და კორესპონდენციებს, რომლებშიც უმთავრესად გლეხობის ყოფაცხოვრებაზე და ქართული ენის ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხებზეა საუბარი.

სხვათაშორის იგი ქართული ენის შესანიშნავ მცოდნედ ითვლებოდა და ბევრი მწერალი თუ გრამატიკოსი მის მოსაზრებებს სერიოზულ ანგარიშს უწევდა. კერძოდ, საინტერესოა სახელოვანი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პირადი წერილი (სამწუხაროდ უთარილო) ივანე ავალიშვილისადმი: „ბატონო ვანო! თუ თქვენ არ აპირებთ იმ საგრამატიკო შენიშვნის დაწერას და დაბეჭდვას, რომლის შესახებ გვქონდა ლაპარაკი, გთხოვთ მე მომაწოდოთ თქვენს მიერ აღნიშნული მასალა, დასახელებით თვითეულის თხზულებისა და მისი გვერდისა. აგრეთვე კარგი იქნება „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ძველი თხზულებანი გადაათვალიეროთ, გამოიკვლიოთ და აღნიშნოთ, სად არის ნახმარი მშვენიერი და სად შვენიერი. უკეთესი კი იქნება, თუ თქვენ თვითონ დასწეროთ შენიშვნას ამ ფორმების შესახებ. თქვენი იაკობ გოგებაშვილი.“

ჩვენი დიდი პედაგოგი, რომელიც უსაზღვროდ იყო დაინტერესებული, რათა მისი სახელმძღვანელოები სანიმუშო ყოფილიყო ენის მხრივ, ბევრი სიტყვის სი სწორეს ივანე ავალიშვილთან ერთად ამოწმებდა.

ივანე ავლიშვილის ღვაწლია ქართულ სალიტერატურო ენაში შემოტანა რამდენიმე სიტყვისა, რომლებიც ხალხში იხმარებოდა. კერძოდ ეს ითქმის ტერმინ „ხარვეზის“ შესახებ. ძალიან საინტერესოა ის ცნობა, რომელსაც ი. ავლიშვილი გვაწვდის. „ბრეთის მინდორში ვართ ერთი მიწის ფართობის გასაგებად რამდენიმე პირი, მიწისმზომელი ხოლნიც ჩვენთან არის. უნდა გაიზომოს ერთი ფართობი — ხარვეზიანი ხნული. ამ დროს ხოლნიმა სთქვა:

— ა ზაჩემ ნაეტოი ზემლე პრობელ, ნედოსპაშკა?

ჩვენ აუუხსენით, რომ მაგარი ადგილი იყო და გუთანმა ვერ ნოხნა და ხარვეზი ამიტომ გაჩნდა. ამ დროს ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორმა ალ. მდივანმა ტაში ტაშს შემოჰკრა და დაიწყო: „ოჰო, რა კარგი გავიგონე, რა კარგ დროს მოვედი! „პრობელ“ ქართულად არ ვიცოდი და ახლა გვაქვს, ვიცი — ხარვეზი. აბა, ვანო, დამიწერე ეგ სიტყვა და მომეცი. დღეს უფროს კლასში ქართულის გაკვეთილი მაქვს და ეგ სიტყვა „ხარვეზი“ (რუსულად „პრობელ“) უნდა შემოვიღოთ“.

გადატანითი მნიშვნელობით ეს სიტყვა ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა და სათანადო გამოყენებაც აქვს.

ი. ავლიშვილი ჩვენს საზოგადოებას რამდენიმე ათეული წელი უანგაროდ ემსახურებოდა და თანამედროვეთაგან დიდი პატივისცენა ჰქონდა დამსახურებული. იგი გარდაიცვალა 1950 წელს.

ლიტერატურა: I. ი. ვ. ავლიშვილი, მოგონებანი და წერილები (იხ. მისი პირადი არქივი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმი, ფონდი № 1—14); „ნენ“ დაბოლოების შესახებ, ჟურნ. „განათლება“, 1912 წ., № 1;

II. ი. გოგებაშვილი, „სახ. ვახეთი“. 1910 წ.: ე. ხოლა, მაღაროებში მომუშავენი, თარგმანი ი. ვ. ავლიშვილისა, ჯორი, 1913 წ. (ეს თარგმანი მეორედ გამოიცა სახელგამის ნიერ 1926 წელს).



ალექსანდრე გარსევიანი

(1864—1936)

ალექსანდრე გარსევიანიშვილი ეკუთვნის გორის ხალხოსან მოღვაწეთა იმ პლედას, რომლის წევრთა უმრავლესობამ შესამჩნევი კვალი დააჩნია საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისა და ქართულ ლიტერატურას.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევიანიშვილი დაიბადა 1864 წელს ქ. გორში. ქართული წერა-კითხვა მშობლებმა ასწავლეს პატარა სანდროს, რომელმაც დაწყებით სკოლაში ბეჯითობა და სწავლისადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინა; 1876 წელს ეს შედის თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის კურსიც 1883 წელს დაასრულა. იმავე წელს ჩაერიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მიუხედავად იმისა, რომ ის საშუალო განათლებას დედა-ქალაქში ლეზულობდა და პანსიონშიც ცხოვრობდა, მაინც მკიდრო კავშირი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლეებთან და სხვა რევოლუციურ და ხალხოსნურ ჯგუფებთან; ამ ჯგუფთა წევრებიდან მასზე ძალზე დიდსა და წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ცნობილი ხალხოსანი მასწავლებელი მიშო (მიხეილ ქაიხოსროს-ძე) ყიფიანი და სემინარიის მაშინდელი მოსწავლე ლუკა რაზიკაშვილი (შემდეგში პოეტი ვაჟა-ფშაველა).

ალ. გარსევანიშვილი თავითონვე აღნიშნავს ერთს თავის მოგონებაში, რომ „მიშო ყიფიანის სათნოოიანმა ხასიათმა და განსაკუთრებით მოსწავლეებისადმი ჰუმანიურმა მიდგომამ მალე მიიზიდა ახალი თაობა. ყველა ჩვენთაგანი აშკარად ხედავდა, რომ ეს ახალგაზრდა მასწავლებელი ბოჰრესული მიმართულების ადამიანია... ყოველი ახრი მინო ყიფიანისა ჩვენ ნამდვილ ჭეშმარიტებად მიგვანდა“ (ს. ყუბანეიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“ გვ. 121). ალ. გარსევანიშვილი იქვე აღნიშნავს მ. ყიფიანის როლს ახალი თაობის პოლიტიკურად გათვითცნობიერების სფეროში, რომ მან ნელ-ნელა კრიტიკის მიანიჭა ახალგაზრდებს, რომელთაგან პირველად გოლა ჩიტაძემ და ლუკა რაზიკაშვილმა გაბედეს წრეში კრიტიკით გამოსვლა. „მათი შენიშვნები სშირად საფუძვლიანი იყო და ჩვენც ნელ-ნელა ვერკვეოდით სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებში“-ო, — დასძენს ის. „ერთი სიტყვით, — წერს ალ. გარსევანიშვილი, — მიშო ყიფიანმა ისეთი ატმოსფერო შექმნა, რომელმაც ჩვენი განვითარება რამდენიმე წაბიჯით წინ წააწია“ (იქვე).

80-ან წლებში გაძლიერებულმა რევოლუციამ გორის ამ მოწინავე ახალგაზრდობას ეს საყვარელი და ღირსეული სელმძღვანელი არ შეარჩინა. 1883 წლის 4 მარტს გიგის ჯალათებმა ის დააპატიმრეს და ციხეში გადაასახლეს.

ნართალია, მ. ყიფიანის გადასახლების შემდეგ, როგორც თვითონ ალ. გარსევანიშვილი აღნიშნავს. „სურათი გამოიცვალა“, ჩქარი ტემპით მიმდინარე საზოგადოებრივი და რევოლუციური მოძრაობა, რასაც ქალაქში დიდი სიცხოველე შეჰქონდა, რამდენადმე მოღუწნდა. „ზოგიც სულით დაეცა და კეთილი მომავლის იმედი სავსებით დაჰკარგა“, ნაგრამ გორი, იმდროის სხვა სამაზრო ქალაქებთან შედარებით „მდიდარი იყო ინტელიგენტური ძალებით“. ამ მოქმედებებზე საზოგადოებრივი მიმართულების უკეთესნი წარმომადგენელნი. ასეთები იყვნენ: ნიკო ჯიბნელი (აიხანიშვილი), შიო დავითაშვილი, ანტონ ფურცელაძე. ექვმი ქაიხოსრო ფურცელაძე,

მიშო ყიფიანის ზემდეგ ნიკო ლომოური და სოფრომ შვალაბლიშვილი. ეს უკანასკნელი იყო სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მან დააარსა „მოწაფეთა ლიტერატურული წრე“ და მისი ხელმძღვანელობაც თითონვე იკისრა“. (იქვე).

ეს წრე წარმოადგენდა გორის ხალხოსანთა ჯგუფის მიერ წინა წლებში ჩამოყალიბებულ „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოების“ განყოფილებას. როგორც თვითონ გარსევანიშვილი გვაცნობს, ეს „ლიტერატურული წრე მ. ყიფიანის დაპატიმრებანდე შეკრებებს თავისუფლად აწყობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს აქტი მოხდა, წრემ კონსპირაციული ხასიათი მიიღო.

აქვე აღსანიშნავია ის ვარემოებაც, რომ ახალგაზრდა გიმნაზიელს, ალექსანდრე გარსევანიშვილს ცხოვრება, თვითგანვითარების მიღება და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა უხდებოდა იმ დროს, როცა გორის საოსტატო სემინარიას უანაგებდა დ. დ. სემიონოვი, რომელიც ხელს არ უშლიდა მოსწავლეებს ჩაბმულიყვნენ სკოლის გარეშე არსებულ წრეებში, დაკავშირებოდნენ ცნობილ ხალხოსან მოღვაწეებსა და სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეებსაც. თვით ალ. გარსევანიშვილი ვეამცნობს, რომ მას, გიმნაზიელს, ზქიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა დ. სემიონოვიან, რომლის პატარა ვაჟს ლათინური ენის ვაკუევილებსაც კი აძლევდა.

იპდროინდელი გორის ინტელიგენციისა და ნოწინავე საზოგადოებაში შექმნილი ატმოსფეროს ნიკოლედ დასახატავად საქიროდ მიმანჩია თვითონ ალ. გარსევანიშვილს მოვუსმინოთ. ერთს თავის გვიანდელ მოგონებაში ის წერს: „იმ დროს გორის ინტელიგენციამ საერთოდ დიდი და ფასდაუღებელი აღმზრდელობითი როლი ითამაშა ახალთაობის განვითარების პროცესში. ლიტერატურული და ფარული კრებების საშუალებით ამ ინტელიგენციამ ახალი ძალები აამოძრავა. მოსწავლეები დროის შესაფერი ცოდნით გაამდიდრა და ამასთანავე ცდილობდა, რომ მომავალი მოქმედების პერსპექტივებიც გაეთვალისწინებინა.

მიუხედავად ზოვიერთი დეფექტებისა, ჩვენმა ხელმძღვანელებმა თავის შინანს მიიღწიეს: ახალგაზრდობამ შეისწავლა ქართული ენა, რომელსაც მაშინდელ სკოლებში არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მოსწავლეებმა ხალისით დაიწყეს ქართულად წერა; წერდნენ რეფერატებს, თარგმნიდნენ ბროშურებს და შეძლებისამებრ აშუქებ-

დნენ სხვადასხვა პოლიტიკურ-ლიტერატურულ საკითხებს. ყველა ჩვენთაგანი ცდილობდა თვითმოქმედების უნარი გამოეჩინა (იქვე, 158).

როგორც ვხედავთ, თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე ალექსანდრე გარსევანიშვილი აქტიურად არის ჩაბმული გორის წრეების საქმიანობაში. 19 წლის ქაბუჯი, საკმაოდ გათვითცნობიერებული, 1883 წ. გაემგზავრა მოსკოვში. იგი იქაც საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლით იყო გატაცებული. სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებსა და რეფერატებს სტუდენტებს შორის, რითაც ხელს უწყობდა მოსკოვში მყოფ ქართველი სტუდენტების გათვითცნობიერებას.

1888 წელს ალექსანდრე გარსევანიშვილმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და სამშობლოში გამოეშურა. იმავე წლის 1 სექტემბრიდან ის დაინიშნა ქუთაისის ქართულ პროგიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აქ მან ხუთი წელიწადი დაჰყო და, როგორც პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, გარკვეული წვლილი შეიტანა მაშინ ქუთაისში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე გარსევანიშვილი მთელი ორი წლის განმავლობაში უფასოდ ასწავლიდა რუსულ და ქართულ ლიტერატურასა და ენას იმ ხანებში ქუთაისში დაარსებულ „საკვირაო სკოლაში“, რომელშიც ჩაბმული იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ღარიბი ფენის სკოლის გარეშე დარჩენილი და სასკოლო ასაკგადაცილებული ახალგაზრდა ვაჟები და ქალები. ალექსანდრე გარსევანიშვილი იყო აგრეთვე ერთი აქტიური წევრთაგანი იმ ჯგუფისა, რომლის ინიციატივითა და ღონისძიებების საშუალებით ქუთაისში ჩამოყალიბდა „ქართული წიგნის გამომცემელი აპანაგობა“. ეს ამხანაგობა წებმდეგ დიდხანს არსებობდა და მან ბევრი შესანიშნავი წიგნიც გამოცა.

აღ. გარსევანიშვილის ქუთაისში მოღვაწეობის ამ პერიოდიდან აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ ჩამოყალიბებული „ქალ-ვაჟთა წრე“, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხების გარკვევას. იმ დროს, როცა საქართველოში არსებულ თითქმის ყველა სკოლაში ეს საგნები არც კი ისწავლებოდა, თვითმპყრობელობის დაგეშილი აგენტები რუსიფიკაციის სრული განხორციელებისათვის იბრძოდნენ, საქართველოში ამგვარი წრეების დაარსებას, ცხადია, დიდი ინტერესის გამოწვევა შეეძლო; მართლაც აღ. გარსევანიშვილის ამ წრემ და მისში წაკითხულმა ლექციებმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

კრებები ეწყობოდა თვით გარსევანიშვილის ბინაზე კვირაობით. რა თქმა უნდა, წრის ამგვარმა საქმიანობამ ადგილობრივი პოლიციის ყურადღებაც მიიპყრო. პოლიციამ კატეგორიულად მოსთხოვა ალ. გარსევანიშვილს დაშლა იმ წრისა, სადაც რაღაც „იზმებს“ სწავლობენო. ერთ-ერთმა ნაცნობმა პოლიციელმა „მეგობრულადაც“ ურჩია თურმე ალექსანდრეს ამგვარი წრის დაშლა, ხოლო წრის ხელმძღვანელი და მთავარი ინიციატორი „ყოველ შემთხვევისათვის“ არაკეთილსაიმედო პირთა სიაში ჩასწერა, რის შედეგად, სხვა დროს და სხვა შემთხვევაში, ალ. გარსევანიშვილმა სამიოდე ღამე გაატარა „მეგობრულად“ ქუთაისის საპატიმროში. ამ გარემოების გამო ხშირად ხუმრობდა თურმე ალექსანდრე: „და ვიყავი, ვითარცა წინასწარ-პეტყველი იონა, ვეშაპის მუცელსა შინა სამი ღამეო“ (ეურნ. „განათლების მუშაკი“, 1929 წ., № 41).

1892 წელს ალექსანდრე გარსევანიშვილი გადადის თბილისის აათავად-აზნაურო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად. მან აქაც მისთვის ჩვეული ხალისით, ენერგიით და პედაგოგიური ალლოთი დაიმსახურა მოსწავლეებში საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრებში საუკეთესო ადამიანისა და კოლეგას სახელი. ალ. გარსევანიშვილმა თბილისში გააჩალა საზოგადოებრივი ზეშაობა. ამ ხანებში თბილისში გაიხსნა რამდენიმე საკვირაო სკოლა. აქედან ერთი სკოლა ჩააბარეს ალექსანდრეს. ის იყო ამ სკოლის გამგეცა და მასწავლებელიც.

საკვირაო სკოლების ნაყოფიერება დამოკიდებული იყო სწორედ ისეთ ენთუზიასტ და საქმით გატაცებულ პატრიოტ მასწავლებელზე, როგორც ალექსანდრე გარსევანიშვილი იყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალ. გარსევანიშვილის საზოგადოებრივი საქმიანობა საკვირაო სკოლით არ შეჰფარგლულა. მან ჩამოაყალიბა თბილისში აგრეთვე „მოზრდილ მოსწავლე ქალთა წრე“, სადაც სისტემატურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიიდან.

თბილისის სააზნაურო სკოლაში წარმატებით და კარგი მუშაობის შედეგად ალ. გარსევანიშვილი დაწინაურებულ იქნა. 1897 წელს ის გადაყვანილ იქნა ქუთაისში, იქ არსებული ქართული სკოლის გამგედ. როცა ეს სკოლა ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა (1898), ალექსანდრე გარსევანიშვილი იქვე იქნა დატოვებული რუსული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად.

ალ. გარსევანიშვილმა, როგორც ხელოვნების დიდმა მოყვარულმა, თავისი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით შემოიღო, ჯერ თბილისისა და შემდეგ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მუსიკის

სწავლება. პირველ ხანებში, სანამ საგნის სპეციალისტს მოიწვევდნენ, თვითონვე ასწავლიდა მუსიკას სრულიად უფასოდ და ეფექტიც შესამჩნევი ჰქონდა.

ქუთაისში ხელმეორედ დაბრუნებული ალ. გარსევანიშვილი ხანგრძლივად დარჩა.

საზოგადოებრივ მუშაობაშიც ალექსანდრე კვლავინდებურად ჩაება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში, რომელიც 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობის ნაყოფი იყო. როგორც რუსეთის სხვა დიდი საგუბერნიო ქალაქები, ქუთაისიც ეღირსა სახალხო უნივერსიტეტს, რომელმაც 1915 წლამდე იარსება. ამ ხნის განმავლობაში ამ უნივერსიტეტის ერთერთი წამყვანი ლექტორი, მამოძრავებელი და სულისჩამდგმელი ძალა იყო ბუნებით „ხალხოსანი“, გორის ხალხოსანთაგან გაწრთენილი და ხალხის საქსახურისადმი სიმპათიებით აღქურვილი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ერთი ცნობის მიხედვით, როცა 1912 წელს სახალხო უნივერსიტეტის ერთგვარი დათვალიერება და შემოწმებაც კი ჩატარებულა, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს მთელს რუსეთის იმპერიაში მეორე ადგილი დაუჭერია (პირველობა სამარისას რგებია). ყველაფერი ეს მომხდარა „ისეთი დაულალავი და შრომისმოყვარე პიროვნების წყალობით, როგორიც იყო ალექსანდრე გარსევანიშვილი — ამ უნივერსიტეტის ჯერ გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი და შემდეგ თავმჯდომარე“ („განათლების მუშაკი“, 1929, № 41).

მშრომელი ხალხის კეთილდღეობით და მისი კულტურული დონის ამაღლებით გატაცებულმა ალ. გარსევანიშვილმა ძალზე გააფართოვა სახალხო უნივერსიტეტის სამოქმედო არე. მოწვეულ პირთა საშუალებით ის ახერხებდა ლექციების ციკლი ჩაეტარებია ფოთში, სამტრედიისში, ახალ-სენაკში, ძველ-სენაკში, ზუგდიდში, საჩხერეში, ყვირილასში, გორში, ქიათურაში და სხვაგან, სადაც ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ მას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ალექსანდრე გარსევანიშვილი სიხარულით შეეგება. ის ამ დღეებიდანვე სამუშაოდ გადადის თავის მშობლიურ ქალაქ გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში და თავისი მდიდარი გამოცდილებით, იზვიათი პედაგოგიური უნარიანობით და ხალისით ებმება ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ის ჯერ კიდევ საკმარისი ენერჯისა და შრომის უნარის მქონე, პედაგოგიურ შრომაში კიდევ ახალ-ახალ-

ლი მიღწევების სურვილით აღსაესე გარდაიცვალა 1936 წელს თავის მშობლიურ ქალაქ გორში.

ალექსანდრე გარსევანიშვილის საგანმანათლებლო-პედაგოგიური მოღვაწეობის ამგვარ აღნუსხვას არ შეიძლება ჩამოვაშოროთ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მით უფრო ისინი ორგანულ კავშირში არიან ერთმანეთთან. სამწერლო სარბიელზე ალ. გარსევანიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოვიდა, როცა მის მიერ ნათარგმნი ეკ. გაბაშვილისა და დუტუ მეგრელის მოთხრობები გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ და აკაკის „გამზრდელი“ და „გოგია მეჩონგურე“ — „ეოზროედენიეში“ დაიბეჭდა. მათ მოჰყვა ეგაატე ნინოშვილის „მოსე მწერლის“ თარგმანი და შემდეგ ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი და ქუთათურ გაზეთ „მეგობარში“ დაბეჭდილი ედგარ პოს მოთხრობები („შავი კატა“, „წითელი სიკვდილი“, „ძთვრალი ბრალმდებელი“ და სხვ.). მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქართულ და რუსულ პრესაში გაბნეული რამდენიმე კრიტიკული ეტიუდიც, როგორც არის: „ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედება“, „დუტუ მეგრელი როგორც ლირიკოსი“, „მარიამ გარიყულის შემოქმედება“, „გლები პოეტი იოსებ დავითაშვილი“ და სხვა. ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური ხასიათის წერილებიდან აღსანიშნავია: „მე-19 საუკუნის საშუალო სკოლა ევროპასა და რუსეთში“, „სახალხო სკოლა იაპონიაში“, „სახალხო სკოლა და საგლებო უნივერსიტეტები შვეცია-ნორვეგიაში“, „სათეიქრო სკოლა ფინეთში“, „სწავლა-განათლება შვეიცარიაში“ და ა. შ.

ალექსანდრე გარსევანიშვილი ავტორია აგრეთვე რამდენიმე წიგნისა. მათ შორის აღსანიშნავია: „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია“, 1915 წელს პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოცემული ქართულ და რუსულ ენებზე. „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“ — 1912 წ. გამოცემული ქუთაისში; „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული“ (მე-18 საუკ. საქართველოს ისტორიიდან), 1915 წ. ქუთაისში დაბეჭდილი და სხვ.

ალ. გარსევანიშვილი რედაქტორობდა აგრეთვე სხვადასხვა გამოცემებს. მაგალითად, მისი რედაქტორობით არის გამოცემული 1889 წელს ქუთაისში ლიტერატურული კრებული „ცდა“, სადაც მოთავსებულია თვითონ ალ. გარსევანიშვილის ისტორიული მონოგრაფია „მეფე ერეკლე II როგორც სარდალი“. აღსანიშნავია აგრეთვე ალ. გარსევანიშვილის დაინტერესება მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარებით. მან ჟურნალი „კვალის“ 1895 წლის ნომრებში (5, 6, 8, 17, 19, 49, 50, 51, 52, 53 და სხვა.) გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა „ქართლ-კახეთის შეერთების ისტორია“. სახალხო მასწავლებლები.

რადან". სადაც მთელი რიგი საგულისხმო დებულებაა წამოყენებული, რომელთა ანგარიზგაუწველობა დღესაც არ შეიძლება.

ასეთია მოკლედ ნახევარსაუკუნოვანი დვაწლი ალექსანდრე ვარსევანიშვილისა, რომელმაც ქართული კულტურის მშენებლობას თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი მიუძღვნა და ამით ღირსეული ხსოვნაც დაიმკვიდრა.

ლიტერატურა: ჯორჯ. „განათლების მუშაკი“, 1929 წ., № 8, 41; გახეთი „კომუნისტური განათლება“, 1936 წ., № 21 (154); იაკ. გოგებაშვილი, თბილულებანი, ტ. II, გვ. 100, 102; სოფო. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ.; ალ. ვარსევანიშვილის მოგონებანი, დაბეჭდილი ს. ყუბანეიშვილის კრებულში „ვაჟა-ფშაველა“.



ლუარსაბ ბოშვაძე

(1865—1919)

ლუარსაბ გერასიმეს-ძე ბოცვაძე დაიბადა 1865 წელს სოფელ ნოლაში (სამტრედიის რაიონი). ლუარსაბს ბავშვობიდანვე ეტყობოდა დიდი ნიჭი და მისწრაფება სწავლისადმი.

მკვირცხლი და თავაზიანი პატარა ლუარსაბი პირველად მშობლებმა მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ის დიდხანს არ დარჩენილა. სასულიერო სასწავლებლიდან მამამ ლუარსაბი ხონის საოსტატო სემინარიაში გადაიყვანა. აქ იგი გულმოდგინედ დაეწაფა თვითგანვითარებასა და არაღლეგალური ლიტერატურის კითხვას.

ხონის საოსტატო სემინარია ლუარსაბმა წარჩინებით დაამთავრა 1888 წელს. ამავე წლის სექტემბერში ის დაინიშნა სოფელ წყალტუბოს სამინისტრო სკოლის მასწავლებლად.

წყალტუბოს სკოლაში იგი პირველად შეუდგა მასწავლებლობის მძიმე ტვირთის ზიდვას. აღნიშნულ სკოლაში ლუარსაბ ბოცვაძის სამი წლის დაუღალავმა და შრომისმოყვარეობით აღსავსე საჭიიანობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და იმის გამო, რომ სკოლა სასურველ ნიადაგზე დადგა, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიყვარა და დააფასა როგორც სასწავლებელი, ისე მისი დიდად მოქირნახულე ახალგაზრდა მასწავლებელიც.

წყალტუბოში ლ. ბოცვაძე არა მარტო კარგი მასწავლებლის სახელით იყო ცნობილი, არამედ მისაბამ საზოგადო მოღვაწედ იქნა აღიარებული. „თავის დღეში არ დამავიწყდება, — წერს მოგონებაში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ალექსანდრე შიქაბერიძე, — ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი ლუარსაბისა და ჩემი ცხოვრებიდან.

ეს ის დრო იყო, როცა უმაღლესი სწავლის მისაღებად პირველად რუსეთში მივემგზავრებოდი. განსვენებულს მაშინ არ ვიცნობდი, თუმცა წყალტუბო, სადაც ლუარსაბი ამ დროს მასწავლებლობდა, ჩემი სამშობლო სოფლის მეზობლად მდებარეობს. რუსეთში გამგზავრების რამდენიმე დღის წინათ ჩემი სოფლის ეკლესიის გალავანში ნაცნობმა წერილი და 25 მანეთი გადმომცა და მითხრა — წყალტუბოს მასწავლებელმა გამოგიგზავნაო. ჯერ კიდევ გაუცნობელი ლუარსაბი მწერდა: „მიიღეთ ჩემგან ეს ოცდახუთი მანეთი, თუმცა მცირე დია, მაგრამ სულით და გულით მოძღვნილია, როცა სწავლას დამთავრებთ, ვიმედოვნებ, თქვენ სხვას გაუწევთ დახმარებას და ამრიგად გადავისდით ერთიმეორის ვალსაო“. მე არ ვიტყვი, რამდენად გავამართლე განსვენებულის იმედი, ხოლო ის კი აშკარაა, რომ ლუარსაბი მაშინაც კი, როცა თვითონ იღებდა არა უმეტეს ოცი მახეთისა, ლუკმა პურს იკლებდა და მოსწავლე ახალგაზრდობას იშვიათ მზრუნველობას უწევდა. ეს ფაქტი კი მეტად საგულისხმეირო და დამახასიათებელია განსაკუთრებით ლუარსაბის საზოგადო მოღვაწეობის დაფასების დროს“.

წყალტუბოდან ლუარსაბ ბოცვაძე ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1892 წელს ის კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლად მიიწვიეს.

კავკავის ქართულ სკოლაში, რომელიც „ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა 1888 წელს ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანის მეცადინეობით, ფართოდ გაიშალა ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობა და მან სამართლიანად დაიმსახურა საყვარელი

პედაგოგის სახელი იქაურ ქართველთა შორის.

ლუარსაბ ბოცვაძე მიღალი პედაგოგიური შეგნებით, ცოდნითა და დაკვირვებით ასწავლიდა ქართულ ენას. მას რუსული ენის სწავლების საქმეც იშვიათად ჰქონდა დაყენებული კავკავის ქართულ სკოლაში.

„ქართული ენის ცოდნა ხომ საუცხოო ჰქონდა მის მოწაფეებს. რუსულ ენასაც საგანგებოდ ასწავლიდა ლუარსაბიო, — აღნიშნავს გ. ნათაძე თავის მოგონებაში და ამის საილუსტრაციოდ მას ერთი შემთხვევა მოჰყავს: — ერთხელ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი ეწვია ქართულ სკოლას. დაესწრო ლ. ბოცვაძის რუსული ენის გაკვეთილს მე-4 განყოფილებაში. მზრუნველს კმაყოფილება ეტყობოდა ბავშვების ცოდნით. ერთი მოხვევის გოგონა ააყენა და ჰკითხა მზრუნველმა, კრილოვის რომელი არაკი იცი ზეპირადაო. გოგონამ დაუსახელა. მზრუნველმა ათქმევინა ზეპირად, მერე უთხრა — აბა გადი, ეს არაკი საკლასო დაფაზე დაწერეო. გოგონამ მშვენიერი სწორი ხელით, გარკვეულად დაწერა არაკი რაც დაეტია დაფაზე და მხოლოდ ერთი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. პატარა ქალის რუსული ენის ასეთმა ცოდნამ განცვიფრებაში მოიყვანა მზრუნველი. იგი, როგორც ეტყობოდა, მოელოდა, რომ „ინოროდცების“ სკოლაში რუსული ენის სწავლების სისუსტეს იპოვიდა და მასწავლებელს შეახურებდა, უბრძანებდა რუსული ენის სწავლების ადრე დაწყებას და გაკვეთილების რიცხვის მომატებას. ზავადსკის „ცნობილი“ სლაინსკიც ახლდა. რეალური სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ზავადსკის ეთქვა — გამაკვირვა ქართული სკოლის მოწაფეთა რუსული ენის კარგად ცოდნამაო. თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუშევსკი სუსტ მასწავლებლებს ეტყოდა ხოლმე: „Идите в грузинскую школу, поучитесь у учителя Бוצвадзе“ და გზავნიდა ლუარსაბ ბოცვაძის გაკვეთილებზე დასასწრებად რუს მასწავლებლებს“.

ლუარსაბმა 14 წელი დაჰყო კავკავში. კავკავის ქართული სკოლა მისი შრომითა და უნარით გაიზარდა და დიდ სასწავლო-კულტურულ დაწესებულებად გადაიქცა. სკოლის კეთილდღეობისათვის ლუარსაბ ბოცვაძის დაუშრეტელმა მოღვაწეობამ ისეთი დიდი ნაყოფი გამოიღო, რომ ბოლოს „კავკავის ქალაქის გამგეობამ, — როგორც გადმოგვცემს გიორგი ნათაძე, — კავკავის ქართველებს მისცა ქალაქის საუკეთესო მალლობზე საკმაოდ დიდი ფართობი მიწისა. აქ აშენდა გრანდიოზული შენობა. ზაფხულობით ლუარსაბი დასვენების მაგიერ თვალყურს ადევნებდა ამ სკოლის მშენებლობას. ამ შენობაში მოთავსებული იყო ქართული სკოლა, საკრედიტო საზო

გადოება, თეატრი და ქრა-კერვის პროფესიული სკოლა. ხალხი ამბობდა: „ამ შენობის კედლები ლუარსაბის ფილტვებით არის გა-
მომწვარი“.

ლუარსაბ ბოცვაძის მიერ კავკავში მოწყობილი საკვირაო სკო-
ლის კარგ დონეზე დაყენება, სამხატვრო-სალიტერატურო დილა-
სალამოებისა და წარმოდგენების გაპართვა ყველას უდიდეს კვაყო-
ფილებას ჰგვრიდა.

ლუარსაბმა კავკავში მდიდარ სამკითხველოს მოწყობასთან ერ-
თან, მუზეუმშიც გახსნა, რისთვისაც მისი მცირე ხელფასის ფონდი-
დან იძენდა ძველ ხელნაწერებს, წიგნებს და სამუზეუმო ნივთებს.

კავკავის საზოგადოებამ ლუარსაბ ბოცვაძეს მისი პედაგოგიურ-
საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავად ასეთი წე-
რილი მიაართვა: „საუკეთესო დღენი ცხოვრებისა და უმეტესი დრო
თქვენი სასარგებლო მოღვაწეობისა კავკავის ქართველებში გაატა-
რეთ. თქვენ თოთხმეტი წელიწადი ეწეოდით მძიმე უღელს მასწავ-
ლებლობისას კავკავის ქართულ სკოლაში. იმ დროს ის იყო კავკა-
ველი ქართველები გამოდიოდნენ თავდავიწყების ბურუსიდან, მაშინ
ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდნენ განათლებისა და დედა-ენის საკი-
როებას და მნიშვნელობას. აი, ამ დროს თქვენ მხნედ და დაუღალა-
ვად აღვიძებდით ჩვენში როგორც მოზარდ თაობაში, ისე მდაბიო
ხალხში, მაძულიშვილურ გრძნობებს. თქვენი მხნეობით და მეცადი-
ნეობით შეიყვარა კავკაველმა ქართველმა ქართული სკოლა, დედა-
ენა და ქართული წიგნი. თქვენ მოაგონეთ და შეაყვარეთ კავკაველ
ქართველებს დავიწყებული სამშობლო. ჩვენი პატარა სკოლა თქვენ
თვალწინ და თქვენი დიდი ღვაწლით გადაიქცა დიდ ეროვნულ-გან-
მანათლებელ საქმედ. თქვენს დროს ჩაიყარა პირველი საძირკველი
ჩვენი სკოლის საკუთარის შენობისა, და თქვენის მონაწილეობით
ეს შენობა გაიზარდა, გაფართოვდა და გადაიქცა აქაურ ქართველე-
ბის საერთო ეროვნულ კერად“.

1906 წლის სექტემბერში დატოვა ასე დიდად ღვაწლმოსილმა
ლ. ბოცვაძემ კავკავი და გადმოვიდა მასწავლებლად ქ. თბილისის
ქართულ გიმნაზიაში.

საქართველოს დედაქალაქში ლუარსაბ ბოცვაძის მასწავლებ-
ლად მოწვევა მისი მრავალფეროვანი საქმიანობის კიდევ უფრო გა-
ღრმავება-გაფართოების მკვიდრი საფუძველი გახდა.

როგორც ყველგან, ისე თბილისის ქართულ გიმნაზიაშიც ლუ-
არსაბ ბოცვაძემ მასწავლებლობა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმი-
ანობას შეუთავსა.

ლუარსაბი თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო, როცა მას მადლიერმა ერმა ოცდახუთი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მადლობა გადაუხადა.

აღნიშნული გიმნაზიის მასწავლებლობამ ლ. ბოცვაძის ღვაწლი მოკლედ ასეთი შინაარსის წერილით დაახასიათა:

„ჩვენო ძვირფასო ამხანაგო ლუარსაბ! დღეს ჩვენ, შენი ამხანაგები, ერთსულად და ერთგულად გილოცავთ 25 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას საზოგადო და პედაგოგიურ ასპარეზზე. გისურვებთ კვლავაც გაგვეგრძოს ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა ჩვენი ერის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. გვჯერა, რომ შენს მიერ ნათესს პატიოსან და ადამიანურ გრძნობებზე აღზრდილია და აღიზრდება მრავალი თაობა, რომელიც აღიბეჭდავს გულში უკვდავ ძეგლად შენდამი ღრმა სიყვარულს, რაიცა საუკეთესო ჯილდოდ უნდა ჩაითვალოს ყველა პატიოსან მოღვაწისათვის“.

ლუარსაბ ბოცვაძე თავისი პედაგოგიური მუშაობის პროცესში მართლაც რომ უხეად თესდა პატიოსან და ადამიანურ გრძნობებს მოწაფეთა შორის და აყვარებდა მათ სამშობლოს. ამას ადასტურებს ლ. ბოცვაძის ყოფილი მოწიფის აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მოგონება: „ის იყო განათლებული პედაგოგი, — წერს ნ. კეცხოველი, — განუწყვეტელი ექსკურსიების ჩამტარებელი. მან წაგვიყვანა ბეთანიას, საგურამოს, კრწანისს. აქ გვათქმევინა ლექსები. აქ გვიამბო საქართველოს ტრაგედიის ყველაზე საშინელი ფურცლები. მან შეგვაყვარა სამშობლო და აგვიხილა თვალი.“

ერთ დღეს ლუარსაბმა კლასში შეშოიტანა ხელით დიწერილი რამდენიმე ფურცელი და დაურიგა ხუთსა თუ ექვს მოწაფეს. „ეს ლექსები ისწავლეთ. ლექსები ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ნაწყვეტები იყო.“

მეორე თუ მესამე დღეს ლუარსაბმა დავალება ჩაიბარა. ყველამ ძალიან კარგად იცოდა. განსაკუთრებით ბოეუონა იმ მოწაფის კითხვა, ვისაც დავალებული ჰქონდა „დაჰკრეს ნალარა, გული შეზარა“, და ერეკლეს მიმართვა: „ამ დროს აღმოჩნდა სამხრეთით მტერი“, „მწყემსო კეთილო“...“

10 სექტემბერს გამოგვიცხადა, რომ ხვალ წიგნებს ნუ მოიტანთ. ცოტ-ცოტა საუზმე ჩაიდეთ ჯიბეში და ისე გამოცხადდითო. მეორე დღეს, ე. ი. 11 სექტემბერს, ჩვენი ძვირფასი ლუარსაბი უკვე გიმნაზიის ეზოში იდგა. გაგვამწყრივა და გვითხრა: „აბა წყნარად იყავით, კრწანისში უნდა წავიდეთო“.

ყოფ. ერეენის მოედნამდე ვკონებ ტრავებით წაგვიყვანა — იქიდან კი ფეხით. შეგვაჩერა სიონის ტაძართან, ცოტაოდენი გვესა-

უბრა. უფრო დიდხანს ვიყავით ნარიყალას ციხესთან და ბევრი რამ გვიამბო მის შესახებ. მეტეხის ხილთანაც შეგვაჩერა. ჩავედით კრწანისში. მშვენიერი დღე იყო, შეგვიყვანა ერთ ბაღში, რომლის პატრონი ქუდმოხდილი და პირზე ღიმილით შეგვხვდა. მშვენიერ მწვანეზე მიგვითითა — „აი, ბაღებო, აქ მოისვენეთ და მეც ხილს მოგიტანთ“. მშვენიერია შემოდგომით კრწანისი, მისი ბაღები ათასნაირი ხილით თვალწარმტაცია. ჩვენმა მასპინძელმა მოგვითანა ხილი, ლღვი, ატამი და სხვა, ცოტა როდი იყო. ან რა ცოტა გვეყოფოდა! 50 მოწაფეზე მეტი ვიყავით... დიდი ეივილ-ხივილი შეგვექნა. ლუარსაბიც ჩვენში ტრიალებდა, გვესაუბრებოდა.

ბაღებმა რომ გული ვიჯერეთ, გვითხრა: „აბა ახლა დასხედით და უური მიგდეთო“. ჩვენც პირდაპირ მიწაზე, ხის მორებზე თუ სხვა რამეზე მოვეწყეთ და უურები ვცქვიტეთ. მან პატარა წიგნი ამოიღო და დაიწყო... „მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს“ და სხვ.

გავინაბეთ, სმენად გადავიქეციით. ნელა და დინჯად ისმოდა მასწავლებლის ხმა. სანამდე ის კითხულობდა, კრინტი არავის დაუძრავს, არ მახსოვს ბოლომდე წაგვიკითხა, თუ მხოლოდ პირველი ნაწილი. მახსოვს კი, რომ გული ბავშვური სევდით აივსო.

„იცი თუ დღეს რა დღეა? 11 სექტემბერია. ამ დღეს აიღო თბილისის ალა-შაჰმად-ხანმა... და გვიამბო საქართველოს მაშინდელი ამბავი... „აი, ეს მიწა ის მიწაა, სადაც 300 არაგველი დაიღუპა, სადაც საქართველოს თავისუფლებისათვის ჩვენი მამაპაპათა სისხლი იქცეოდა.“

— აბა, პავლე, ბიჭო, შენებურად წაგვიკითხე შენი ლექსი. აქ პავლემ სთქვა „მწყემსო კეთილო“, მეორემ „დაჰკრეს ნალარა“ და სხვა...

დავიარეთ მთელი კრწანისი. ფეხს ფრთხილად ვადგამდით, თითქოს არ გვინდოდა მეტად შეგვეწუხებინა ის მიწა, რომელმაც ამდენი უბედურება გადაიტანა“.

სამწერლო-პედაგოგიურ ასპარეზზე ლუარსაბ ბოცვაძე 1893 წლიდან გამოვიდა. მისი პედაგოგიური წერილები თავიდანვე მტკიცე დებულებებით ადასტურებდა იმას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ჩვენში სწავლა-აღზრდის საქმე დაყენებული, რომ ქართველ მოსწავლეს ახალგაზრდობას სკოლებიდან ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა და განათლება გამოეტანა.

ლუარსაბის პირველი წერილი „პედაგოგიური შენიშვნები, სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ (პირველი დღე სკოლაში)“, დაიბეჭდა 1893 წლის ჟურნალ „მწყემსში“. 1895 წლის

სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა მეტად საინტერესო ფელეტონი: „მეთვალყურის შენიშვნები (ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსები), ბ-ნი ბალტაზარი — „მშიშარა მისწავლებლები“ და მათი აზრი ბ-ნ გოგებაშვილის ანბანისა და დედა-ენის შესახებ“).

დაუღალავი პედაგოგი და მწერალი ლუარსაბ ბოცვაძე „ივერიაში“ და „მწყემსში“ თანამშრომლობით არ დაკმაყოფილდა და 1896-97 წლების „მოამბეში“ გამოაქვეყნა წერილი: „პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიენინოვგოროდში“. საერთოდ არ ყოფილა ჩვენში არც ერთი, ცოტად თუ ჩვერად საინტერესო, სასკოლო-საგანმანათლებლო საკითხი, რომ ლუარსაბის კალამი არ შეხებოდეს.

არა ერთხელ გამოუთქვამს მას თავისი აზრი ჩვენს სკოლებში უცხო ენის სწავლების შესახებაც. მისი წერილი სათაურით: „რავნება მოაქვს უცხო ენის ადრე სწავლებას (მშობელთა და მისწავლებელთა საყურადღებოდ)“ 1898 წლის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა და დასმული საკითხისადმი ეს წერილი ლუარსაბის დაკვირვებული მიდგომის საუკეთესო დამადასტურებელია.

ლუარსაბ ბოცვაძეს არც საყმაწვილო ჟურნალები ავიწყდებოდა. ის ხშირად იხილავდა და არჩევდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

1908 წ. ლ. ბოცვაძემ დააარსა სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონვე იყო.

ლუარსაბმა თავისი ძირითადი პედაგოგიური პრინციპი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ჟურნალ „განათლების“ პირველი ნომრის მოწინავეში: „უმთავრესი ძირი კულტურულ ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი, ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და იმასთან ძირითადი მოთხოვნებიან ამ დროის და, თუ გნებავს, ყველა დროის პედაგოგისა“.

ლუარსაბის წერილს „დედა-ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა“, შემდეგი სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული: „არც ერთ საგანს, რასაც სკოლები ასწავლიან. არა აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობა, როგორც სამშობლო ენას“.

არსებულით გულგატეხილი, მხოლოდ მომავლის იმედით გაციკროვნებული ლ. ბოცვაძე 1908 წელს ასე წერდა: „უეჭველია,

ნაცვ. დადგება ის დრო, რომ მშობლიურ ენას ყველა სკოლებში მიენაცვება უპიროველესი და ღრმა აღმზრდელობითი მნიშვნელობაო.

ნაატრულ ლიტერატურას ლ. ბოცვაძე დიდ საშუალებად თვლიდა ენის დაავეწისა და ბავშვთა სწორად აღზრდისათვის. „სამშობლო პოეზიის ნაწარმოები შესწავლა, — წერდა იგი, — პატარაობიდანვე საჭიროა და დიდად სასარგებლო, ამას ამტკიცებს ბელინსკის ცუცებიც: „დეე. ბავშვის ყური პატარაობიდანვე მიეჩვიოს მშობლიური ენის პარმონიას. გული აღივსოს მშვენიერების ვრძნობით; დეე, პოეზიამ მუხიკალურად იმოქმედოს ბავშვებზე“-ო.

ლუარსაბ ბოცვაძე თავს ევლებოდა ქურნალ „განათლებას“, როგორც მისი რედაქტორი და სულისჩამდგმელი.

ლუარსაბი იყო არა მარტო რედაქტორ-გამომცემელი ამ ქურნალისა, არამედ ყველა ტექნიკურ საქმიანობასაც ის ასრულებდა.

თითქმის ყველა, ვისაც კი თაიმე დაუწერია ან უთქვამს ლ. ბოცვაძის შესახებ. ერთხმად აღიარებს, რომ იგი ენერგიით აღსავსე მუშაკი იყო და აი, სწორედ ამ თავგანწირულმა შრომამ და მოწვევებმა სოციალმზრივმა საქმიანობამ უდროოდ ვატებს, დაასწავლა და გაპოასაღმა იგი სიცოცხლეს.

ქართული კულტურისა და სწავლა-განათლების დარგის გამოწეწილი მოღვაწე და სავაგალოთო ადამიანი ლუარსაბ ბოცვაძე 219 წლის 24 ივნისს გარდაიცვალა.

ქურნალმა „ჯეჯილმა“ ლ. ბოცვაძის გარდაცვალებას ასეთი კრიტიკონები უძღვნა: „მოკვდა ლუარსაბი და მაშინვე გრძნობთ, რომ მოგვაკვდა დიდი ძალა, რომელიც ამოძრავებდა სასოგადო საქმეს... ლუარსაბ ბოცვაძე დიდი მუშაკი იყო... ის აკეთებდა დიდ საქმეს, აწინებდა ივენს სკოლას. ის იყო ნამდვილი პედაგოგი-მასწავლებელი“.

„ნაკადულმა“, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი ლუარსაბი იყო, განსვენებულის შესახებ ასე დაამთავრა თავისი წერილი: „უიახ, ლუარსაბ ბოცვაძემ პირნათლად შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა საზოგადოების წინაშე და ნაღლიერი ერი არასოდეს არ დაივიწყებს თავის უანგარო მოღვაწეს“.

ლიტერატურა ა. ა. ბუნდაძე, „ლუარსაბ ბოცვაძე“, საბალო განათლების მცხეულის გამოცემა; „სახალხო საქმე“, 1919 წ., 25/6; „ჯეჯილი“, 1919 წ. № 1; „ნაკადული“, 1919 წ. № 3-4; „განათლება“, 1919 წ., 15/2; „კრებული, იაკობ გოგებაშვილის სასოგადო“, გვ. 251-252; ლ. ბოცვაძის შრომების ბიბლიოგრაფია, საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები „პედაგოგია“, 1, 1944 წ.



იოსებ ოცხელი

(1865 — 1919)

ხშირად სცენის გამოჩენილი კორიფეები დაეიწყებას მისცემიან იმის გამო, რომ მათი თეატრალური შემოქმედების თავისებურება თავისი დროზე შესაფერისი წერალობითი ფორმით ანკინოეკრანზე არ ყოფილა გამოხატული. სიტყვა და ეკრანიც როდი იძლევა ყველაფერ იმას, რასაც სცენაზე დიდი მსახიობები ქმნიან.

ასევე იკარგება ის ნაყოფიერი და ორიგინალური შემოქმედებითი პედაგოგიური პრაქტიკა, რასაც ხელოვანი პედაგოგები სკოლაში ახორციელებენ, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ პრაქტიკის ბუნებრივ შედეგებს აღზრდილი და განათლებული ადამიანების სახით, — რადგანაც ცოცხალი პედაგოგიური პროცესის ეკრანიზაცია ფაქტიურად მოუხერხებელიც არის, ხოლო დამსწრეთა და მოსწავლეთა მოგონებანი კი, რანდენადაც მიახლოებითი და გულთბილი

არ უნდა იყვნენ ისინი, თითქმის უძღურნი არიან სრულყოფილად წარმოგვიდგინონ ამ ტიპის პედაგოგთა ცოცხალი პედაგოგიური შემოქმედება და თავისებურებანი. გამოჩენილ ქართველ პედაგოგთაგან ეს უპირველეს ყოვლისა იოსებ ოცხელისა და მისი პედაგოგიური შემოქმედების შესახებ ითქმის.

იოსებ ოცხელი ჭეშმარიტად დიდი შესაძლებლობისა და მასშტაბის შემოქმედი პედაგოგი იყო. მისი ყოველდღიური პედაგოგიური ქცევა-საქმიანობა მრავალფეროვანი ორიგინალური შემოქმედების ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო მეტად ძნელია მის მოფიქრებულ და ტაქტიან პედაგოგიურ მოქმედებათა ცალკეული ფორმის სავსებით ისე წარმოდგენა, როგორც მათ შემოქმედი პედაგოგი პრაქტიკაში ახორციელებდა. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენი პედაგოგიური საზოგადოების ფართო ფენები საფუძვლიანად არ იცნობენ სახელოვანი ქართველი პედაგოგის მრავალნაყოფიერ პედაგოგიურ მოძღვრება-შემოქმედებას.

იოსებ ივანეს-ძე ოცხელი დაიბადა ქ. ქუთაისში 1865 წლის 29 სექტემბერს. დაწყებითი სწავლა მან ქუთაისის კათოლიკურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომლის კურსი 1885 წელს დაასრულა. იმავე წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ი. ოცხელი ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. უნივერსიტეტის კურსი ი. ოცხელმა დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით და სამოღვაწეოდ თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. მის ახალგაზრდულ სტიქიას მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელი იტაცებდა, მაგრამ „არაკეთილსაიმედოობისა გამო“ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მას ამ ნხრივ ყველა გზა დაუხშო. ი. ოცხელი - იძულებული შეიქნა დროებით სხვა დარგში ემუშავნა: იყო ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის მმართველად და თბილისის სახელმწიფო ბანკის თანამშრომლადაც, მაგრამ იგი ვერც ერთ ამ ჩინოვნიკურ თანამდებობას ვერ შეეგუა.

სახელმწიფო სასწავლებლებში რომ ვერ ვღირსა მასწავლებლობის საყვარელ თანამდებობას, იგი ახლა კერძო სასწავლებლის დაარსების გზით შეეცადა პედაგოგიური მოღვაწეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ მიზნით, ისარგებლა რა შედარებით ხელსაყრელი გარემოებით, მან 1892 წელს ქ. ქუთაისში დააარსა დასავლეთ საქართველოში პირველი ქართული საჩვენებელი საბავ-

შეო ბალი მოსამზადებელი კლასით, რომელსაც დიდი გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა.

1900 წელს ი. ოცხელს „ბედმა გაუღიმა“. ამ წელს „ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც უკმაყოფილო იყო ქუთაისის ქართული სკოლის ინსპექტორის მუშაობით, სპეციალური კომისია გაგზავნა სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესამოწმებლად. კომისიის მიერ წარმოდგენილი დეტალური მოხსენების საფუძველზე საზოგადოების გამგეობამ გაათავისუფლა სკოლის ძველი ხელმძღვანელი და ცოტა ხნის შემდეგ ამ თანამდებობაზე უკვე საკმაო პედაგოგიური გამოცდილების მქონე იოსებ ოცხელი დაამტკიცა (ეურ. „კვალი“, 1900 წ., № 49).

აქედან დაიწყო ი. ოცხელის პრაქტიკული პედაგოგიური შემოქმედებითი მუშაობის სრულყოფილად გაშლა. ი. ოცხელი თავიდანვე შეუდგა ქუთაისის ქართული სკოლის მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნას. მან განიზრახა ამ სკოლის ქართულ კერძო გიმნაზიად გადაკეთება და თუმცა ამ მიმართულებით სასწავლო ოლქის მზრუნველის (ზავადსკის) სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდა, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დღეებში მაინც შესძლო თავისი სურვილის განხორციელება. ქუთაისის ქართული სკოლა კერძო ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა და ეს იყო ისტორიულად პირველი ქართული საშუალო სასწავლებელი ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში.

ი. ოცხელმა ქართული გიმნაზიის ირგვლივ შემოიკრიბა პროგრესულად განწყობილი ყველა გამორჩენილი ქართველი პედაგოგი და მათგან ახალი ქართული სკოლის შექმნის მაღალი საბრძოლო იდეებით აღქურვილი და დარაზმული ერთიანი პედაგოგიური კოლექტივი შექმნა. სამართლიანად წერს მწერალი დ. კლდიაშვილი: ქუთაისის „ქართული გიმნაზია თავის გამგვიდან, დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან, უკანასკნელ მასწავლებელამდის შეგროვება იყო ერთგვარი იდეით გატაცებული, ერთგვარი ფანატიკოსების, რომელნიც თავდადებით მუშაობდნენ მომავალი თაობის აღსაზრდელად“ („მემუარები“, გვ. 323). ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ი. ოცხელის უშუალო ხელმძღვანელობით ძველ უკვე საკმაოდ გამოჩენილ ქართველ ენთუზიასტ პედაგოგებთან (ს. ყიფიანი, სილ. ხუნდაძე, გ. ცაგარეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ალ. გარსევანიშვილი, დ. ოყრეშიძე, სიმ. ოცხელი, ს. დათეშიძე, ს. რობაქიძე, თ. მთავრიშვილი და სხვ.) ერთად ახალგაზრდობის დაუშრეტელი ენერჯით სხვადასხვა დროს ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას ამჟამად სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები და პედაგოგები საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები: დიმ. უზნაძე, ილ. ჯანელიძე, გ. ახვლედიანი და სხვ.

ოცხელისა და მია მაერ შექმნალი პედაგოგიური კოლექტივის სისტემატური მზრუნველობისა და ხელოვნებად შედეგად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ჩაყრილმა მეცნიერულმა საფუძვლებმა ნიადაგი მოუზადა შემდგომი ნაკოფიერა სწავლა-განათლებლისათვის მრავალ ათეულ ახალგაზრდას, მათ შორის აქამად გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, მწერლებს და სხვა დარგის მოღვაწეებს—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას და სხვ.

ოცი წელი (1900 — 1919 წ. წ.) ედვა სათაეში ი. ოცხელი ქუთაისის ქართულ გიმნაზიას და ავ ხნის განმავლობაში იგი უჩვეულო ენერჯითა და უდიდესი პედაგოგიური ერუდიციით ეწეოდა ახალგაზრდობის ახალ პრინციპზე აღზრდას. როგორც მასწავლებელი იგი ხომ შეუდარებელი ოსტატი იყო თავისი საქმისა, მაგრამ კიდევ უფრო შეუდარებელი შემოქმედი იყო იგი როგორც საშუალო სკოლის ნიქიერი და გამოცდილი ხელმძღვანელი. ი. ოცხელი უაღრესად გულისხმიერი ხელმძღვანელი და აღმზრდელი იყო. მას ოსტატურად შეეძლო მოსწავლეებთან დაახლოება, მათი ქარვარამის გაგება, საპრობების შექთხვევაში ენერჯიული დახმარება. იცოდა მოფერება, გამხნეება, მაგრამ სამართლიანი დატუქსვაც. იგი სასტიკად მკაცრიც იყო და ლობიერიც, მრისხანეც და გულჩვილიც, მოქთხოვნიც და დახმარეც. ხელმძღვანელიც და მეგობარიც. მისი გული ბავშვებისადმი მამაშვილური სიყვარულის უმწიკვლო გრძნობით იყო ანთებული.

„იოსები ჩენი სიყრმის მეკობარია, ჩენი გამზრდელია: იოსებმა დაგვაფრინა მრავალი ათასი ახალგაზრდა, გაგვითბო გული, გვასწავლა ცხოვრება, შეგვაყვარა საზოგადოება, სწორედ ამ საზოგადოებას შეტრფოდა ეგ დიდი იდამიანი და ამიტომ იყო, რომ ამ ძლიერმა კაცმა თავისი ნიქი მის სამსახურს შეალია“ — ამბობდა ოცხელის დასაფლავების დღეს მისი ყოფილი მოსწავლე. ამჟამად პროფ. ვ. დონღუა („ჩენი ქვეყანა“, 1919, № 58).

ი. ოცხელი გრძნობდა, რომ დიდი სახალხო მნიშვნელობის საქმეებარა და ამიტომ ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას. „შეიძლება მე ვერ ვერევი საქმეს, — წერდა იგი ერთ თავის ყოჯილ მოსწავლეს, — შეიძლება ამ თანამდებობისათვის სხვანაირი, სხვა ხასიათის, სხვა ნერვების აღამიანი იყოს საყრო, მაგრამ მასწავლებლებთან კეთილ განწყობას რომ უხედავ,

და ზოგიერთ, ჩემის აზრით, რიგიან ყმაწვილებს ლაპარაკს რომ დაეუწყებ, ყველაფერი მავიწყდება“.

ი. ოცხელს თავდავიწყებამდე უყვარდა მისი მოსწავლეები; მას უმძიმდებოდა შემდეგ მათგან განშორება. „უხედავ, რომ თანდათან მეცლებიან, მიდიან ის მოსწავლეები, — წერდა იგი ერთ-ერთ კურსდამთავრებულს, — რომელთაც მე ახლო ვიცნობდი. ესენი იყვნენ ის მოსწავლეები, რომელნიც, შედარებით უფრო დაახლოებულნი იყვნენ ჩემთან, რადგანაც მაშინ, როცა ისინი პირველსა და მეორე კლასში იყვნენ, სკოლაც პატარა იყო და მეც მეტი დრო მქონდა გავცნობოდი მათ“. ი. ოცხელის მოსწავლეები გრძნობდნენ მათი აღმზრდელის უსაზღვრო გულკეთილობასა და სიყვარულს და ამიტომ თავიანთ კერძო ბარათებში უდიდესი პატივისცემით იხსენიებდნენ მის ამაგს. მადლიერ პედაგოგსაც სიხარულისაგან თვალი ცრემლებით ევსებოდა. „ბევრი მოწაფე მყოლია, ბევრი მათგანი მამაშვილივით მიჩნეული მყოლია, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს წვინდა გრძნობა ისე უცვლელი დარჩენია როგორც შენ“ — წერდა იგი საპასუხოდ ერთ ყოფილ მოსწავლეს. „შენმა წინანდელმა ერთმა წერილმა გრძნობები ამიშალა ისე, რომ კითხვის დროს რამდენჯერმე შევჩერდი. უკანასკნელმა შენმა ღია ბარათებმა კვლავ აღიძვრა გულში გამოუთქმელი სიტყბოება. მეტი სასყიდელი, თუ ამის ღირსი ვარ, ჩემთვის საჭირო არ არის“ — პასუხობდა იგი მეორეს.

ი. ოცხელმა, როგორც ადამიანმა, აღმზრდელ მასწავლებელმა და დირექტორმა ყველა მოსწავლის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მისი ენერგიული მოქმედებით, მისი მზრუნველობით. ი. ოცხელი თავდადებულად იბრძოდა ბავშვთა სწავლა-აღზრდისა და მათი მოვლა-პატრონობისათვის. ერთი მოწაფე გაგვიხდა ავად უიმედოდ — გადმოგვეცემს ვ. დონდუა. მოწაფე ბინათ სადღაც მივარდნილ უბანში იდგა. მის ცხოს გზა არ ჰქონდა და საჭირო იყო მისი მეზობლების ეზო გადაგელახათ მასთან მისასვლელად. თოვლი მაღალი იდგა, იოსებმა ბავშვის მშობლებთან ნუგეშიანი სიტყვა დაგვაბარა და გადაგვაცემინა: საღამოს ნებახვ ავად-მყოფსო. პატარა მოწაფეები გაქირვებულ ზღვომარეობაში ვიყავით, რადგან ვერ წარმოგვედგინა, თუ როგორ გადაიარდა სამ ლობეს და გაუკვალავ გზებს ჩვენი დიდი სტუმარი, მაგრამ ჩვენს გაფრთხილებას ყური არ ათხოვა. საღამო ჟამს თანჯრებიდან მოვავლეთ თვალი, რომ იგი მოიკვლევდა გზას მაღალ თოვლში. შემოვიდა პატარა ფიცრულში თოვლში ამოსერილი და ცალი კალღით, რადგან ცალი თოვლში დარჩენოდა. სახეზე წამოწითლებული დაღალეას

ოდნავადაც არ იმჩნევდა. მშვიდად ეცნობოდა ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობას“. („ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 58).

განსაკუთრებით დიდი ენერჯია დასჭირდა ი. ოცხელს მისი მოსწავლეების ინტერესების დასაცავად სასწავლო ოლქის წინაშე, რონელიც ყოველწლიურად გზავნიდა თავის დეპუტატებს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლეების გამოსაცდელად სიმწიფის ატესტატზე. ყველასათვის ცნობილია ი. ოცხელისა და სილ. ხუნდაძის ინცინდენტი ოლქის დეპუტატ ვილაც კორიციკისთან 1914 წელს. ამ უაღრესად ბიუროკრატიზმ და კარიერისტმა მოხელემ მოინდომა გიმნაზიის მთელი კურსდამთავრებულების „ჩაგდება“, რასაც ენერჯიულად წინააღმდეგა გიმნაზიის მთელი კორპორაცია და განსაკუთრებით მისი დირექტორი ოცხელი და ინსპექტორი ს. ხუნდაძე. მათ ხელიც კი არ ჩამოართვეს სამასწავლებლოში შემოსულ ამ აღვირაბსნილ დეპუტატს, რამაც მათი სამსახურიდან გადაყენება გამოიწვია, მაგრამ საზოგადოების მოწინავე ნაწილის მხარის დაქვერით ამ ენერჯიულმა ბრძოლამ მაინც შედეგი გამოიღო და ჯერ ი. ოცხელი და ორი წლის შემდეგ ს. ხუნდაძე ისევ აღდგენილ იქნენ თავიანთ უფლებებში. ასე იცავდა იოსებ ოცხელი მისი სკოლისა და საყვარელ მოსწავლეთა ინტერესებს.

ი. ოცხელი არა მარტო პედაგოგიური პრაქტიკის ნიჭიერი ოსტატი იყო. მას ამავე დროს შემუშავებული ჰქონდა მოწინავე პედაგოგიური მოძღვრებაც, რასაც უდებდა საფუძვლად თავის ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობას და იმ სახელმძღვანელოებს, რომელნიც მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით არის შედგენილი ასეთებია „ქართული ანბანი“, „მნათობი“ (ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნი), „გუთანი“ (ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი), „ქართული ქრესტომათია“ საშუალო სასწავლებლის პირველი, მეორე და მესამე კლასისათვის. როგორც მათემატიკის სპეციალისტმა თავის ძმასთან ს. ოცხელთან ერთად შეადგინა ალგებრის, გეომეტრიისა და ფიზიკის სახელმძღვანელოებიც. ამ სახელმძღვანელოებით აღიზარდნენ მთელი რიგი თაობები ქართველი მოღვაწეებისა. ი. ოცხელის ხელმძღვანელობით ქ. ქუთაისი გადაიქცა ქართული სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის დიდ ცენტრად საქართველოში. ამავე მიზნით დააარსა მან წიგნების გამომცემელი საზოგადოებანი „განათლება“ და „სკოლა“, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ქართული სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცენა-გავრცელებას და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს საშუალო სკოლისათვის ქართული სახელმძღვანელოების შექმნის დიდ საქმეს ჩვენში. „იოსები იყო — წერდა დ. ოყრეშიძე — ცენტრი და მამოძრა-

ვებელი ძალა იმ დიდი კულტურული საქმისა, რომელმაც ახალი ქართული სკოლისათვის რიცხვით მრავალი სახელმძღვანელო შექმნა“ (გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 51).

საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოებში იოსებ ოცხელი იყენებდა დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის ძირითად პრინციპებს და ამ ნიადაგზე ცდილობდა ახალი საინტერესო სასწავლო ნასაღების შერჩევას. ამას სავსებით სწორად ესმოდა სახელმძღვანელოთა დანიშნულება და ღირსება. „გუთნის“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ჩვენი განზრახვა იყო, ქართველთა ოჯახისა და სკოლისათვის ისეთი სახელმძღვანელო მიგვეწოდებია, რომ მას შესძლებოდა: 1. განვეითარებია მოზარდთა გონება ცხოვრებისა და ბუნების გაცნობით; 2. აღეძრა და განემტკიცებია მათს გულსა და გონებაში უძვირფასესი კაცობრიული გრძნობანი: სიყვარული, ძმობა, სიბრალული, თანაგრძნობა ცხოვრებისაგან დაჩაგრულთა და უბედურებისა და ტანჯვაში ჩავარდნილთადმი; 3. მიეცა მათთვის იმ მოვალეობის შეგნება, რომ გულწრფელად ემსახურონ თავის სამშობლოს, ყოველ საზოგადოებას და, შეძლებისამებრ, მთელს კაცობრიობას; 4. შთაენერგა მათში პატივისცემა და სიყვარული პატიოსან შრომისა და მშრომელთადმი, მეცნიერებისა და მის გამავერცელებელთადმი და 5. მოემზადებინა მოზარდთა გონება სწორი და ნტიკელოგიკური აზროვნებისათვის, რომ მათ სკოლნოდათ აზრთა სისწორით გაგება, შეთვისება და ლოგიკური თანამიმდევრობით და შეკავშირებით გადაცემა, ჯეროვანის სისწორით განზოგადება და დასკვნა“ („გუთანი“, გვ. II).

„გუთანი“ ი. გოგებაშვილის „ბუნებისკარის“ ანალოგიით იყო შედგენილი; მასში მდიდარი სასწავლო მასალა იყო მოთავსებული და საინტერესო სისტემითაც. ამის გამო იყო, რომ ი. გოგებაშვილი 1909 წელს წერდა: „ბუნებისკარი“ ბოლო წლებამდე მოწყენით გახლდათ, რადგან მარტოობას გრძნობდა, ეხლა კი ამხანაგები გაუჩინდნენ და მოილხინა“ (ი. გოგებაშვილი, ჩრეული პუბლიცისტური და პედაგოგიური ნაწერები, 1910 წ., გვ. 527).

ი. ოცხელი თავის პედაგოგიურ პრაქტიკასა და სახელმძღვანელოებს ჯანსაღ პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ პრინციპზე ამყარებდა. მისი აზრით, ალ. ვარსივანიშვილის გადმოცემით, „უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავავითაროთ მოწაფეებში თავისუფალი მსჯელობის უნარი, ჩაუუნერგოთ მათ სწავლისადმი ინტერესი, გავავითაროთ აზროვნული ჰორიზონტი და კრიტიკული უნარი“ (გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 79).

ოცხელი ქართული ენის სიწმინდის დაცვა და მის ღრმად დაუფლებასთან ერთად რუსულ ენასაც უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართულ სკოლაში. „მნათობის“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ჩვენი სკოლა, სადაც მარტო ქართველი ყმაწვილები სწავლობენ, მოკლებულია რუსული ენის პრაქტიკას, და საქიროა ვეცადოთ, რომ, რამდენადაც შეიძლება, ეს ნაკლი შევამციროთ“.

ი. ოცხელის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი იყო. თავისი მოღვაწეობის ყველა უბანზე იგი არა ტრაფარეტისა და შტამპის მოყვარული და მიმდევარი იყო, არამედ ზუღამ ორიგინალური, ნაძიებელი და შემოქმედი მოღვაწე. ი. ოცხელის პედაგოგიური საქმიანობა თავისებური პედაგოგიური შემოქმედება იყო. ამ განუწყვეტელ ძიებასა და შემოქმედებაში ი. ოცხელმა მრავალი ძვირფასი აზრი აღბეჭდა როგორც მისი მოსწავლეების გულში, ისე ქართული პედაგოგიური პრაქტიკისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში.

იოსებ ოცხელი გარდაიცვალა 1919 წელს.

ლიტერატურა: I. ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი და ს. ყიფიანი, „გუთანი“, (ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი), 1933 წ.; ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი და ს. ყიფიანი, „ქართული ანბანი“, 1915 წ.; ი. ოცხელი, „ქრესტომათია“, საშუალო სასწავლებლის I კლასისათვის, 1918 წ.; ი. ოცხელი, ი. ნიკოლაიშვილი და მამფორია, „ქართული ქრესტომათია“, საშუალო სკოლის II კლასისათვის, 1918 წ.

II. ჟურ. „კვალი“, 1900 წ., № 49; დ. კლდიაშვილი, მემუარები, გვ. 323; გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919 წ., № 1051, 56, 79; ი. გოგებაშვილი, რჩეული პუბლიცისტური და პედაგოგიური ნაწარები, 1910 წ., გვ. 527; ვ. ქაჯაია, „შემოქმედი პედაგოგი ვ. ა. საბქოთა მასწავლებელი“, 1945 წ., № 10.



ილია შუკაძე

(1866—1928)

ილია ივანეს-ძე ფერაძე დაიბადა 1866 წლის 10 ივლისს სოფელ ნებოძირში, ყოფილ შორაპნის მაზრაში (ამჟამად ზესტაფონის რაიონი). პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1875 წელს მშობლებს იგი შეჰყავთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1882 წელს. ამავე წელს ილია ფერაძე შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1889 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ფერაძე სახელმწიფო ხარჯზე იგზავნება კიევის სასულიერო აკადემიაში, რომლის სიტყვიერების დარგს იგი ამთავრებს კანდიდატის ხარისხით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე. 1893 წელს ბრუნდება სამშობლოში და ამ დროიდან ებმება აქტიურ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

პარველად ი. ფერაძე მასწავლებლად ინიშნება გორის სასუ-
ლაერო სასწავლებელში. პეტრე კაპანაძე თავის წიგნში „ბელადის
ბავშვობა და ყრმობა“ საკმაო წარმოდგენას გვაძლევს სწავლა-აღ-
წარმის იმ მახინჯ მეთოდებზე, რომლებიც გამეფებული იყო მაშინ
გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც 1894 წლამდე სწავლობ-
და ი. ბ. სტალინი; ამასთან პ. კაპანაძე გვისურათებს იმ კეთილის-
მყოფელ გავლენას, რომელიც მოუხდენია ზოგიერთ მასწავლებელს
ყრმა სოსოს ზრდა-ვანვითარებაზე.

ძველი სკოლის მოწაფეს გაკვეთილის მომზადებას ნტიციდ
ეზოვდნენ. ხოლო გარეშე ლიტერატურის კითხვას მასწავლებლო-
ბის უმრავლესობის თვალში ფასი არ ჰქონდა, — წერს პ. კაპანა-
ძე. — პატარა სოსოს ბავშვობიდანვე უყვარდა კლასკარგზე ყოგნე-
ბის კითხვა. ზოგმა მასწავლებელმა კარგად იცოდა, რომ სოსო და
ზოგი სხვა თვითგანვითარების გზაზე დამდგარი მოწაფე გარეშე
ლიტერატურას ეტანებოდნენ. იცოდნენ და ხელს არ უშლიდნენ,
ხშირად რჩევა-დარიგებითა და საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნებით
მოწაფეებს ხელსაც უწყობდნენ. ასეთი იყო, მაგალითად,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ილია ფერაძე“¹. (ნახვასმა ჩენია — ა. თ.)

ეს მეტად საგულისხმო ფაქტია ი. ფერაძის როგორც პედა-
გო-აღმზოდლის დასახასიათებლად.

1896—1907 წლებში ფერაძე მასწავლებლად მუშაობდა თბი-
ლისის სასულიერო სემინარიისა და ქალთა საეპარქიო სასწავლე-
ბელში. 1903 წლიდან იგი საქუთაოდ გადადის ბათუმში, სადაც
რჩება 1918 წლამდე. თბილისიდან მისი წასვლა დაკავშირებული
იყო იმ ედეურ ბრძოლასთან, რომელსაც 1905-ან წლებში ეწეოდა ი.
ფერაძე ცარიზმის გამარჯსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის
შედეგად ფერაძე მიჩნეულ იქნა პოლიტიკურად საეკეო პიროვნე-
ბად და პედაგოგიურ ასპარეზიდან ჩამოცილების მიზნით „გადაგ-
დებულ იქნა“ პროვინციაში.

1908—18 წლებში ფერაძე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავ-
ლებლად მუშაობასთან ერთად ითვლებოდა აგრეთვე აქარის სახალ-
ხო სკოლების ინსპექტორად. 1918 წელს იგი დანიშნულ იქნა
ოზურგეთის (ამჟამად მახარაძე) გიმნაზიის დირექტორად. ამ თა-
ნანდებობაზე რჩება 1922 წლამდე; ამ წელს გადაყვანილ იქნა ხა-
შურის ჰუმანიტარული ტექნიკუნიის გამგედ. 1924—25 სასწავლო

კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა, საბლიტგამი, 1945 წ.

წელს მუშაობდა ველისციხის (გურჯაანის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორად, 1925—26 წელს სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად, ხოლო 1926 წლიდან სამუშაოდ კვლავ გადმოდის თბილისში, სადაც განაგრძობს ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ი. ფერაძე გარდაიცვალა 1928 წლის 4 აგვისტოს.

თავისი დროის პედაგოგებს შორის ი. ფერაძეს ერთ-ერთი თავალსაჩინო ადგილი ეჭირა და საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას ხელს უწყობდა საგნის ღრმა ცოდნა, ფართო ზოგადი განათლება და ის კეთილშობილური თვისებანი, რაც ასე დაჰახასიათებელი იყო ფერაძისათვის, როგორც მასწავლებლისა და მოქალაქისათვის. ი. ფერაძე პრაქტიკულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში; იგი იყო მოზარდი ათაობის არა მარტო უბრალო რიგითი აღმზრდელი-მასწავლებელი, არამედ ავტორი მთელი რიგი სახელმძღვანელო წიგნებისა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული და სხვა ხასიათის ნაშრომებისა. 1880-ან წლებიდან, ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდან, იგი სისტემატურად თანამშრომლობდა რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა საკითხზე თავის დროისათვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო წერილები.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებისათვის უქვეყლად მნიშვნელოვანი იყო პედაგოგიკის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ი. ფერაძის წერილების ის ციკლი, რომელიც ქვეყნდებოდა ჟურნალ „მწყემსში“. ეს იყო ქართულ ენაზე უძველეს დროიდან დაწყებული ვიდრე მე-5 საუკუნემდე (ჩ. წ. ა.) სწავლა-აღზრდის ისტორიის გადმოცემის პირველი ცდა. მასში გადმოცემული იყო ბავშვთა აღზრდის ისტორია ჩინეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ებრაელთა შორის, საბერძნეთში, სწავლა-აღზრდის საქმეზე ქრისტიანობის ზეგავლენის საკითხები და სხვა. ცოტა უფრო ადრე, სანამ ამ წერილების ბეჭევა დაიწყებოდა, როცა ფერაძე ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა მისი საყურადღებო წერილი „იან ამოს კომენსკი და მისი პედაგოგიური მოღვაწეობა“ („მწყემსი“, 1892 წ., № 13—14, 15—16). მასში ჩვენს სინამდვილეში პირველად აყო გაშუქებული დიდი ჩეხი პედაგოგის ძირითადი პედაგოგიკური

წებედულებანი და დიდაქტიკური პრინციპები, დახასიათებული იყო ის ეპოქა, რომელშიაც წარმოიშვა კომენსკის პედაგოგიკური სისტემა, მისი მოწინავე პროგრესულ-პედაგოგიკური იდეები.

სხვა მოწინავე ქართველ პედაგოგებთან ერთად რევოლუციამდელ პერიოდში ილია ფერაძე აქტიურად იბრძოდა ეროვნული-კულტურის ინტერესების დაცვის, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელების, მოზარდი თაობის სწორ პედაგოგიურ საფუძველზე აღზრდის სასარგებლოდ. ის იყო ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ-პედაგოგიკური იდეების დამცველი და გამტარებელი. სწორედ ამ ნიადაგზე უხდებოდა მას შეჯახება ეგზარქოსებთან და სხვა სასულიერო პირებთან, რომელთა ხელში იყო მეტწილად მაშინ სწავლა-განათლების საქმე.

1900-ან წლებში შავრაზმული რეაქციული პოლიტიკით განსაკუთრებით ცნობილი იყო ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის მეთვალყურე დეკანოზი ვოსტორგოვი. ი. ფერაძეს სასტიკი შეჯახება მოუხდა სწორედ ამ ვოსტორგოვთან და პრესაში დაუნდობლად ამხილა მისი რეაქციული პოლიტიკის გაიძვერული ბუნება. ვოსტორგოვი იყო ერთ-ერთი ინიციატორთაგანი ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ აკრძალვისა 1900-ან წლებში. ქართველი ახალგაზრდობისათვის ეს იყო ერთადერთი, ყოველმხრივ სწორად შედგენილი სახელმძღვანელო, რომლის საშუალებით ახალგაზრდობა ადვილად ითვისებდა რუსულ ენას. ი. გოგებაშვილი რუსული ენის შესწავლისას მშობლიური ენის გამოყენებას სავალდებულოდ და პედაგოგიურად სავსებით გამართლებულად თვლიდა. ვოსტორგოვი და მისი ჯგუფი ეწინააღმდეგებოდნენ ამ პრინციპს და მოითხოვდნენ ყოველგვარი მშობლიურის, ნაცნობი ენობრივი ელემენტების განდევნას რუსული ენის შესწავლის პროცესში. ეს იყო ქართველთა გარუსების ყველაზე რეაქციული შავრაზმული პოლიტიკა. 1905 წელს „ივერიის“ დამატებაში № 3 მოთავსებული იყო ილ. ფერაძის საკმაოდ ვრცელი კრიტიკული რეცენზია ცნობილი რეაქციონერის კორხანიდის რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნზე („Живое слово“), რომელიც ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს ნაცვლად გამოცემული იქნა 1903 წელს. ეს წიგნი შედგენილ იქნა უშუალოდ ვოსტორგოვის წინადადებით. ვოსტორგოვს, როგორც ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის მეთვალყურეს, მისი თავმჯდომარეობით შეუდგენია კომისია კორხანიდის წიგნის განსახილველად. კომისიაში შედიოდა ი. ფერაძეც, როგორც ამავე სკოლის მასწავლებელი, მაგრამ კომისიას ფაქტიურად არ განუხილავს წიგნი. იგი დაბეჭდილ იქნა ვოსტორგოვის პირდაპირი განკარგულე-

ბით და მიჩნეულ იქნა რუსული ენის ოფიციალურ სახელმძღვანელოდ არარუსი ბავშვებისათვის.

ამ გამცემლურ-ფარისევლური ფაქტით აღშფოთებული ფერადე „ივერიის“ ფურცლებზე მოჭრიდებლად ამჟელს რუსიფიკატორული პოლიტიკის აღვირახსნილ დამცველებს და ააშქარავენს მათს საზიზღარ ბუნებას, ამასთან მტკიცედ იცავეს გოგებაშვილის შეხედულებებს რუსული ენის შესწავლაში მშობლიური ენის გამოყენების ოუცილებლობის შესახებ. ფერადე საფუძვლიანად აანალიზებს გოგებაშვილისა და კორხანიდის სახელმძღვანელოებს და აკეთებს საგულისხმო დასკვნას:

„აქედან ცხადად ჩანს, თუ რომელი პედაგოგი უფრო ზრუნავს ქართველი ერის ბავშვების ჯეროვანი განვითარებისათვის, ბ-ნი კორხანიდი თუ ბ-ნი გოგებაშვილი. გოგებაშვილის იდეალი იყო „ეროვნული სკოლა“. ამ იდეალმა, 25 წლის წინ აღიარებულმა, გაიმარჯვა“. კორხანიდის წიგნში, პირდაპირ აღნიშნავდა იქვე ფერადე, ქართული ხასიათისა არა არის—რა. რუსული სიტყვების შესაბამისი ქართული თარგმანი ძალზე დამახინჯებულია. ყოველივე ამის შემდეგ აყენებდა კითხვას ფერადე:

„როგორ გაბედა კორხანიდიმ, რომ თავისი წიგნი ასეთი ცუდი თარგმანით ქართული სკოლებისათვის დაბეჭდა და მის გავრცელებას ცდილობდა? ეს ქართველის დიდი შეურაცხყოფაა, მისი აბუჩად აგდება, მისი ენის შელახვა“. და ბოლოს ფერადე იქვე ამხელდა ვოსტორგოვის გაიძვერულ ბუნებას: „საბჭოს კომისიას (ლაპარაკია ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლის საბჭოს კომისიაზე, რომელსაც ვოსტორგოვის მიერ ფორმალურად ჰქონდა დავალებული წიგნის განხილვა), რომელშიაც მეც ვიყავი დანიშნული, ეს წიგნი არ განუხილავს. დეკ. ვოსტორგოვმა მოიწონა იგი და დიდის სიჩქარით დაბეჭდა“. ყველაფერი ეს ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მიზნებით. ამ სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ვოსტორგოვისა და მისი ჯგუფის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ქართული ენის სწავლების, მისი უფლებების კიდევ უფრო შესუსტებას. „მშობლიურ ენას განცალკევებული გაკვეთილებიც კი არ დაუნიშნეს და საღმრთო სჯულის გაკვეთილთა რიცხვში მოათავსეს. ეს გარემოება ქართული ენის სრულ მოსპობას უდრის“,—წერდა იქვე ფერადე. ასეთი იყო ვოსტორგოვ-კორხანიდის ბინძური მიზანი, მიმართული ქართული ენის გადაშენებისაკენ, ქართველთა გარუსებისაკენ, ქართული ეროვნული კულტურის გადაგვარებისაკენ. ფერადის ერთ-ერთი დამსახურება ამ დარჯში ის არის, რომ მან ასეთი გაბედული კრიტიკული გამოსვლებით

ხელა შეუწყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დარაზმვას მშობ-
ლიური ენას უფლებების დასაცავად, რის საფუძველზეც შესაძლე-
ბელა შეიქმნა ჩაშლილიყო ვოსტორვოვთა და სხვა მის მიმდევართა
პოლოტი გეგმები. ასეთმა იდეურმა ბრძოლამ, როგორც აღვნიშნეთ,
ბევრი უსიამოვნება წააყენა ფერაძეს პირად ცხოვრებაში.

ფერაძის კალამს ეკუთვნის სასკოლო ჰიგიენისა და ფსიქო-
ლოგიის, აზარდის ფიზიკური აღზრდისათვის სპორტის მნიშვნე-
ლობას, პროფესიული განაალებების შემოღებისა და სხვა საკითხებ-
ზე დაწერილი მთელი რიგი საყურადღებო სტატიები, რომლებიც
ქვეყნდებოდა ჟურნალ „განათლებაში“ 1910—14 წლებში. წერი-
ლებში „ბავშვის ფიზიკური აღზრდა“ („განათლება“, 1911 წ., №
7), „ქაბუჯის ფიზიკური აღზრდა“ (იქვე, № 8) მოკეპულია საგუ-
ლისხმო მითითებანი მშობელთათვის და მასწავლებელთათვის ბავ-
შვთა ვონებოივი და ფიზიკური აღზრდის შესახებ. ეს საკითხი
ავტორს დამუშავებული აქვს ოჯგოლუციაშდელი საინდიცინო ლი-
ტერატურის ფართოდ გამოყენებით და შეიცავს ბავშვთა ჰიგიენის
დაცვის უბრუნველსაყოფად მთელ რიგ საინტერესო მასალებს.

1918 წელს სკოლებისათვისა სახელმძღვანელოდ გამოქვეყნდა
ილ. ფერაძის შიერ შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორია“
ხოლო 1927 წელს მისივე თანაავტორობით ქართული ენის სახელ-
მძღვანელო წიგნი „ენის დაკვირვება“.

ილ. ფერაძე წერდა ლიტერატურულ წერილებს, ლექსებს, პოე-
მებს, მოთხრობებს, თარგმნიდა უცხოეთისა და რუსეთის მოწინავე
მწერლების ნაწარმოებებს.

ლიტერატურა: საქართველოს მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918 წელი;
გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი, ისტორიულ-
ლიტერატურული მონოგრაფია, 1919, ქუთაისი; ენის
დაკვირვება, თბილისი, 1927 წ.; იან ამოს კომენსკი
და მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, ჟურ. „მწყემსი“,
1892 წ., № 13-14, 15-16; პედაგოგიკის ისტორიიდან
(ბავშვთა აღზრდა ჩინეთში, ევოპტეში, ებრაელთა შო-
რია, საბერძნეთში) „მწყემსი“, 1892 წ., № 17, 1893 წ.,
№ 4, 5-8, 9, 10, 15-16, 17, 22; ქრისტიანობის ზეგავლენ-
ანი სწავლა-აღზრდის საქმეზედ, „მწყემსი“, 1895 წ.,
№ 3, 4, 16; ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჟურ.
„განათლება“, 1912 წ., № 9, 10, 1913 წ., № 3, 4, 5,
8, 10; კორხანიდის რუსული ენის სახელმძღვანელოს
შესახებ, „იფეოისი“ დამატება № 3, 1905 წელი; მოკლე
ქართული გრამატიკა, შედგენილი და გამოცემული ქუ-
თაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის,
ანდრია ბენაშვილის მიერ 1894 წელს; „მწყემ-
სი“, 1895 წ., № 13-14; ი. გოგებაშვილი, „რუ-
სკოე სლოვო“, „განათლება“, 1915 წ., № 6.



ნიკო კაზიკაშვილი

(1866—1928)

ნიკო კაზიკაშვილი დაიბადა 1866 წლის 11 მაისს სოფ. ჩარგალში. ოჯახში ვატარებულმა ბავშვობის წლებმა მას გულში ღრმად ჩაუნერგა ხალხური პოეზიისა და ლიტერატურისადმი სიყვარული. პირველდაწყებითი სწავლა ნიკომ მშობლიურ სოფელში, ჩარგალში, მიიღო. შემდეგ მშობლებმა ის გორის სამასწავლებლო სემინარიაში შეიყვანეს, სადაც იმ დროს სწავლობდა მისი უფროსი ძმა ვაჟა-ფშაველა. ვაჟამ გააცნო ნიკოს უფროსი კლასების ნიკიერი და განვითარებული მოსწავლეები, რომლებმაც ის თავიანთ წრეში შეგობრულად მიიღეს და საზოგადოებრივი საქმიანობის წყურვილი გაუღვიძეს.

ნიკომ აქტიური მონაწილეობა მიიღო გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის „რაქრაქის“ გამო-

ცემანი (1881 წ.). აღ. ნათაძის სიტყვით, ამ ჟურნალის გადამწერად ნიკო რაზიკაშვილი აერჩიათ, რადგანაც მეტად კარგი წერა იცოდა.

1882 წელს მოსამზადებელი კლასის დამთავრების შემდეგ ნიკოსემინარიაში მიიღეს. აქ იგი ითვლებოდა ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლედ. სემინარიის კურსი წარმატებით დაასრულა 1885 წელს. ნიკო რაზიკაშვილის საცდელი გაკვეთილები სემინარიის მასწავლებლებმა საუკეთესოდ შეაფასეს. 1884—85 სისწავლო წელს გორის სემინარიაში მოსწავლეთა მიერ გადაცემული გაკვეთილების შეფასების ოქმში ვკითხულობთ:

„მასწავლებელმა გარაყანიძემ რაზიკაშვილის გაკვეთილი სცნო ძლიერ დამაკმაყოფილებლად, რასაც დაეთანხმა ბ. დირექტორიცი, რომელიც ამ გაკვეთილს ესწრებოდა. გარდა ამისა, ბ. დირექტორმა აღნიშნა, რომ მას არ შეუძლიან არ შეაქოს რაზიკაშვილი იმ დაინტერესებისათვის, რომელსაც ის იჩენს სწავლების წარმატებით ჩატარების საქმეში“ (1884 წ.), ხოლო 1885 წლის 13 აპრილის ოქმში აღნიშნულია:

„რაზიკაშვილის გაკვეთილის შესახებ ბ. ლომოურმა განაცხადა: რაზიკაშვილს გაკვეთილი მიჰყავდა ძლიერ სწორად, არავითარი ნაკლი მე არ შემიმჩნევია და მის გაკვეთილს ვაფასებ ძლიერ დამაკმაყოფილებლად.“¹

ჩვენი სახელოვანი პედაგოგისა და მწერლის ნ. ლომოურის ეს სიტყვები შესანიშნავად ახასიათებს ნ. რაზიკაშვილის შრომისმოყვარეობას და მომზადებას. 1885 წელს მან დაამთავრა სამასწავლებლო სემინარია და განზრახვა ჰქონდა უპალესი ცოდნის მისაღებად რუსეთში წასულიყო, მაგრამ უსახსრობის გამო მიზანს ვერ მიაღწია.

ახალგაზრდა პედაგოგი სულით და გულით მიეცა მისთვის საყვარელ საქმეს. გულწრფელი დამოკიდებულება ჰქონდა მოსახლეობასთან და გლეხობას ყველაფერში ეხმარებოდა. მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც ნიკოს დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ სრულებით არ უყვარდათ ის სოფლის ბობოლებსა და „წარჩინებული წოდების“ ზოგიერთ წარმომადგენლებს, რადგანაც „პირში მთქმელი კაცი იყო და ამხელდა მათ ფუქსავატურ ცხოვრებას და უსაქმურობას. ვეჯინის სკოლის მხრუნველი მიხაკო ანდრონიკაშვილი და ნაოფიცრალი სოსო აბაშიძე ბაჩანას უცქეროდნენ, როგორც მთის კაცს. მათი შეხედულებით მთიელს მათთვის კჳა როგორ უნდა

¹ ბაჩანა, ლექსები და პოემები, 1938 წ. ს. გუბანეიშვილის რედაქციით.

ესწავლებინა. ბაჩანას რადგან მკლავიც ძალიან უჭირდა და კალამიც, მათ ცოტა ამის ეშინოდათ, თორემ ცოცხალს არ გაუშვებდნენ.¹

უხიჯათოდ მაინც არ დამთავრებულა ნ. რაზიკაშვილის სოფ. ვეჯინში მასწავლებლობა. ერთ-ერთ ოჯახში, ლხინის დროს, მას ს. აბაშიძემ მოკვლის მიზნით ხანჯალი დაჰკრა. ნიკო მძიმედ დაიჭრა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შორჩა.

შემდეგ ბაჩანას შეტაკება მოუხდა ერთ-ერთ ჩაფართან, რომელიც სკოლიდან გამოავდო. ამის გამო ბაჩანა მასწავლებლობიდან გაათავისუფლეს.

ეკონომიურად ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ნიკო რაზიკაშვილი, გაჭირვებით ცხოვრობდა უკვე ოჯახს მოკიდებული, მაგრამ 1890 წლიდან სოფ. ბარისახოში (ხევსურეთი) ისევ შეუდგა მასწავლებლობას „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ მიერ გახსნილ სკოლაში.

„ხევსურეთში ბაჩანას პირველად დიდი ბრძოლა დასჭირდა მოწაფეების მისაზიდად... მაინც თავისი გაიტანა. იმან ისე შეაყვარა მოწაფეებს სწავლა, რომ სულ იმის მზესა ფიცულობდნენ. დაუახლოვდნენ თვით ხევსურებიც, რადგან ბაჩანა მათ უხსნიდა სწავლა-განათლების საჭიროებასა და სარგებლობას. ვისაც კი რაიმე გასაჭირი ჰქონდა, ან დასაწყერი თხოვნა-არზები, ბაჩანა მათ სულ უუპასოდ უკეთებდა და ეხმარებოდა.“ (იქვე, გვ. 55).

არაჩვეულებრივად უყვარდა ნიკო რაზიკაშვილს თავისი მოსწავლეები. უგზობის გამო სოფ. ბარისახოში ჩაკეტილი მთელ დროს ბავშვებთან ატარებდა. სამშობლოს საყვარულით არა ერთი და ორი პატარა ხევსურის გული აუძგერებია. მოსწავლეები იყვნენ მისი გამამხიარულებელი და მოსაუბრენი. მათთან პოულობდა ის შეგებას, როცა მძიმე დარდები შემოაწვებოდა. აი რასა სწერს ის თედო რაზიკაშვილს: „ვზივარ ბევრჯერ ჩემთვის საცოდავად ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონაკნესისას და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოდის ცრემლები. ესეც ნუგეშია ტანჯულის მგონისა — არა ძმაო?... წიგნები მაინც მქონდეს ბევრი-ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდევ აღარას ვიტყვოდი, იმეებით მაინც ვიცხოვრებდი... დიახ... ჩემი მოწაფეები, კაცო, ის ჩემი საყვარელი ძმები და შვილები... ისინი რომ არ მართობდნენ, კიდე, აქამდე ან გავვიტყებოდი, ან სხვა რამე უფრო უარესი დამემართებოდა... დაეჯდები, გარს შემოვისხამ ჩემს ბარტყებს, ვკითხულობთ და ხშირად მეც ვტირი ჩემს მოწაფეებთან“.

სოფ. ბარისახოში ბაჩანა სრული 10 წელიწადი მასწავლებლობდა. 1900 წელს ფშავში, სოფ. მალაროსკარის სკოლაში დაი-

¹ ს. რაზიკაშვილი, მოგონება ბაჩანაზე, ლიტ. მატრიანე 1948 წ. ნაკვ. I გვ. 53.

ყოველწლიურ პედაგოგიურ კონფერენციებში, სკოლა კარგად მოაწყო, მდიდარი ბიბლიოთეკა შეიქმნა, მაგრამ 1909 წელს სკოლის შენობაც და წიგნებიც ხანძარმა შთანთქმა. მალე ეს სკოლა გადატანილი იქნა ბაჩანას მშობლიურ სოფ. ჩარგალში. შემდეგ სოფ. აფხეშონში (1912 წ.), ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ სოფ. შალაროსკარში. ამ ხნის განმავლობაში ბაჩანა მოსწავლეებს არ მოწონებია. 1918—1919 წლებში ბაჩანა ქ. დუშეთის პირველ დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა. 1920 წ. სიღნაღში გადავიდა და იქ განაგრძო პედაგოგიური მუშაობა, მაგრამ ნძიპე ავადმყოფობის გამო მალე თავი დაანება. 1924 წელს ცოტახანს კიდევ იმასწავლებლა შვიდწლიან სკოლაში, მაგრამ ავადმყოფობით ისე იყო დასუსტებული, რომ თავის საყვარელ პროფესიას საშუალებად დაანება თავი.

ნიკო რაზიკაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1928 წლის დეკემბრის 17-ს. იგი ბრუნოვანობაში ცნობილი იყო ბაჩანას ფსევდონიმით და ჩვენს ლიტერატურას შესანიშნავი მხატვრული ქმნილებანი შესძინა.


პირად ცხოვრებაშიაც ბაჩანა გულწრფელი, პირდაპირი, ძმებისა და ოჯახის უსაზღვროდ მოყვარული და კეთილი ადამიანი იყო. ეს სისპეტაკე და გულწრფელობა მის პოეზიაში შესანიშნავად ჩანს.

ბაჩანას პირადი მწუხარება, ისე როგორც მისი ძმების ვაჟასი და თედოსი, სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრში ქრებოდა და ათქმევინებდა:

„ვინა პოქვა საქართველოზე:
„გ არის ლომი კედებო,
ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი,
მალე მზე გაუქრებო,
თავს დაპტრიალებს ყორანი
დაპხავის ზედიზედაო?“
თვალთამც დაპხარვენ ყორანნი,
გამაგრდი ქართველის დედაო.“

ასეთი რწმენით ემსახურებოდა ნიკო რაზიკაშვილი თავის ერსა ჯა მის ნორჩ თაობას.

ლიტერატურა: ბაჩანა, ლექსები და პოემები, 1938 წ., ს. ყუბანე-
ი შვილის რედაქციით; ს. მგალობლი შვილი.
მოგონებანი, 1938 წ.; წერილები თედო რაზიკაშვილის-
სადმი, ს. ყუბანეშვილის რედაქციით; ლიტერატურის
მატიანე, 1949 წ., ნაკვეთი 1; ალ. ხახანაშვილი,
ქართული სიტყვიერების ისტორია, 1917 წ.; ს. ყუ-
ბანეშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937 წ.



პარმენ თვალჭარიძე

(1866—1919)

ნიკიერი მგოსანი და მასწავლებელი პარმენ ივანეს-ძე თვალჭარიძე, რომელიც ცახელის ფსევდონიმიტაა ცნობილი, დაიბადა 1866 წლის 14 მაისს სოფ. ცახში, რაჭაში. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა. 9 წლისა იყო, როცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მხოლოდ 1 წელი დაჰყო.

1876 წელს პარმენი მისმა უფროსმა ძმამ ანტონ თვალჭარიძემ, რომელიც სტავროპოლის გუბერნიაში ქ. მოზდოკის ექვსკლასიან სამოქალაქო სკოლაში მასწავლებლობდა, თავისთან წაიყვანა და აღნიშნული სკოლის კურსი დაასრულებინა. 1881—1882 წლებში პარმენი რაჭაში დაბრუნდა.

1883 წელს ეურნ. „ნობათში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი.

ლიტერატურული დებიუტი წარმატებით ჩატარდა. „დედა ენის“ დაუფიწვარმა ავტორმა, დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკოვ ვოგებაშვილმა, საფუძვლიანად გაარჩია „ნობათის“ პირველი და მეორე ნომერი და ცახელის ლექსს მაღალი შეფასება მისცა.

მალე ახალგაზრდა მგოსანი, რომელსაც აკაკი წერეთელი დიდ მზრუნველობას უწევდა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და სისტემატურად თანამშრომლობდა „ნობათსა“, „დროებასა“, „თეატრსა“, „კვალსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

თბილისში ყოფნის პერიოდში პარმენს განუზრახავს მასწავლებლობის უფლების მისაღები გამოცდების ჩაბარება, მაგრამ რაღაც მიზეზებით ეს მიზანი ვერ განუხორციელებია. შემდეგში, როდესაც მისი ძმა ანტონი სტავროპოლის სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნეს, პარმენი ძმასთან გაემგზავრა და მისი დახმარებითა და მზრუნველობით ჩააბარა სათანადო გამოცდები, რითაც მასწავლებლობის უფლება მოიპოვა. პედაგოგიური მოღვაწეობა პარმენ თვალქრელიძემ დაიწყო სტავროპოლის გუბერნიის სოფ. ბეშპაგირის სკოლაში, სადაც 1 წელი მასწავლებლობდა. 1 წლის შემდეგ ის გაემგზავრა ქ. მოსკოვს და პეტროვ-ვახუშოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შევიდა უმაღლესი აგრონომიული ცოდნის მისაღები. ოჯახური პირობების გამო კურსი არ დაუსრულებია და სამშობლოში დაბრუნდა. პირველ ხანებში ის სხვიდასხვა სამუშაოს ასრულებდა. 1903 წლიდან კი სიკვდილამდე მასწავლებლობდა ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში. ასწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას.

პარმენ თვალქრელიძეს 1919 წლის 31 აგვისტოს, ქუთაისის მახლობლად, თავს დაესხნენ ბოროტმოქმედი და ჯერ კიდევ ენერგიით სავსე მგოსანი და მასწავლებელი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცახელი თავის დროზე პროგრესულ იდეებს ქადაგებდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. კერძოდ, 1905 წლის რევოლუციის დროს თავის ბინაში მალავდა რევოლუციონერებს, ავრცელებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებსა და წიგნებს, ინახავდა იარაღს და სხვ.

რეაქციის დროს, როდესაც გაბოროტებული მეფის მთავრობა თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ საშინელ რეპრესიებს მიმართავდა, ცახელიც არ დაუტოვებიათ დაუსჯელი. გენ. ალიხანოვ-ავარსკის სისხლისმსმელმა რაზმებმა სოფ. ცახში პოეტის სახლი და სხვა ნაგებობანი დასწვეს და ფერფლად აქცვეს. მაგრამ პარმენ თვალქრელიძეს არასოდეს არ უღალატნია თავისი შეხედუ-

ლებებისათვის და სიკვდილამდე სამშობლოსა და ხალხის საკეთილ-
დღეო სამსახურს ეწეოდა.

მას, როგორც მასწავლებელს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებში უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

1915 წელს პოეტის ერთი ნამოწაფარი გაზ. „სამშობლოში“ იკონებდა: „ერთხანს როცა კლასიკურ გიმნაზიაში გამეფებული იყო რეაქცია და მთელი მოწაფეები განვიციდით ტანჯვას და სული-
ერ წამებას, აი ამ დროს მოგვევლინა ქართული ენის მასწავლე-
ბელი ცახელი, რომელმაც მალე მოხიბლა ქართველი მოსწავლეების
გული. იმ დროს იშვიათი იყო ისეთი მასწავლებელი, რომელსაც
შეძლებოდა რაიმე საუბარი გაემართა მოწაფეებთან, რადგან დიდი
შიში ჰქონდათ გიმნაზიის მთავრობისა. თვით ქართული ენის მას-
წავლებელნი გიმნაზიის მმართველის დანახვაზე გაკვეთილების დროს
კანკალებდნენ და შიშისაგან ნერვები ეშლებოდათ (აქ მხედველო-
ბაში არ მყავს განსვენებული მელიტონ ჩოგოვაძე). აბა, მითხარით
ამგვარ მასწავლებელს მაშინ, კუსტინოვიჩის ხანაში, როგორ შეეძ-
ლო ხმა აზოგლო და სხვა კერძო რამეზე დაეწყო საუბარი მოსწავ-
ლეებთან.

თუმცა ცახელს კუსტინოვიჩის ხანაში მოუხდა მოღვაწეობა,
მაგრამ, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, ის მაინც უშიშრად ას-
რულებდა თავის მოვალეობას.

კვირა-უქმეებში ქართველ მოსწავლეებს უყრიდა თავს ხან გიმ-
ნაზიის დარბაზში; ხან თავის სახლში და წყნარად, ქართულ ტკბილ
ენაზე ესაუბრებოდა ქართველი ერის წარსულზე, აწმყოზე და მო-
მავალზე. მისმა ასეთმა მოქცევამ მთელი მოსწავლეები აამოქმედა,
აამოძრავა და ყველამ სამშობლოს ენისა და ლიტერატურის შეს-
წავლას მოჰკიდა ხელი“.¹

იმავე გაზეთმა (1915 წ., № 206) გამოაქვეყნა ქუთაისის კლასი-
კური გიმნაზიის მოსწავლეთა ერთი ჯგუფის წერილი. სხვათა შო-
რის მოსწავლეები წერდნენ: „განა მარტო იმისათვის გვიყვარს
პოეტი, რომ გრძნობით სავსე ლექს-პოემებს გვაწვდის? არა, მარტო
ამისათვის არ გვიყვარს იგი. უნდა ნახოთ ცახელი, როდესაც ბავ-
შეები სიყვარულით გარს ეხვევიან მას და ისიც ნელის ღიმილით,
წყნარი სასიამოვნო ხმით ებაასება მათ.

უნდა ნახოთ, რა სულგანაბულად უგდებენ მას ყურს მოსწავ-
ლეები, როდესაც იგი ხსნის ახალ გაკვეთილს, რა ციცხლი ბრწყინ-

1. იხ. 1915 წ., № 203.

ნავს ეის თვალეზში, როდესაც ის ვრძნობს, რომ აფართოებს ბავშვების შეგნებას.

ყველაფერი ეს უნდა ნახოთ და, მაშინ შეგიყვარდებათ პოეტი, მაშინ დაათასებთ მას როგორც პედაგოგსა და ადამიანს.“

ბავშვების ასეთი გულწრფელი სიყვარული, ექვს არაა, მგოსანს ზნეობრივად ამაღლებდა.

პარმენ თვალკრელიძეს სპეციალურად პედაგოგიურ საკითხებზე არ უწერია. ის იყო პრაქტიკულად მომუშავე მასწავლებელი, დახელოვნებული და თავისი საგნისა და საქმის გულწრფელად მოყვარული. მაგრამ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას შეეხებოდა, მას ყოველთვის გამოუთქვამს თავისი აზრი და პროგრესულად მოაზროვნე და მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს გვერდში ამოსდგომია ხოლმე.

ერთ-ერთი ასეთი მტკივნეული საკითხი თვითმპყრობელობის დროს იყო ქართული ენის ღირსების დაცვა, სკოლებში მისი განმტკიცება და ქართულ ენაზე სწავლების უფლებათა მოპოვება. ცახელს, როგორც მასწავლებელსა და საზოგადო მოღვაწეს, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

1912 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის „მასწავლებელმა“, შვერაზმელმა კუსტინოვიჩმა გაკვეთილზე ქართულ ენას „ძალის ენა“ უწოდა. გიმნაზიის მოსწავლეები, აგრეთვე ქართველი და პროგრესულად მოაზროვნე რუსი მასწავლებლებიც აღაშფოთა ამ გახრწნილი პიროვნების ასეთმა საზიზღარმა გამოსვლამ. ცახელის მეთაურობით მთელი გიმნაზია ისე აუმხედრდა კუსტინოვიჩს, რომ იგი იძულებული შეიქნა სკოლა მიეტოვებინა და ქუთაისიდან გაქცევით ეშველა თავისათვის.

შემდეგში მოხდა უფრო სამწუხარო ამბავი, რომლის ირგვლივ ქუთაისის ქართულ-რუსულ გაზეთებში 1916—17 წლებში დიდხანს წარმოებდა პოლემიკა. ამ პოლემიკის ერთი მონაწილეთაგანი შემდეგს გადმოგვცემს:

„1916 წელია. ამავე სასწავლებელში (კლასიკურ გიმნაზიაში) სწავლობდნენ ერთ-ერთი გადაგვარებული ქართველი ექიმის შვილები. აღნიშნულმა პირმა ოფიციალურად შეიტანა განცხადება გიმნაზიაში და სთხოვა პედაგოგიურ რჩევას გაენთავისუფლებინათ მისი შვილები (ორი ჰყავდა) „მეტი დატვირთვიდან“ — ქართული ენის სწავლისაგან.

ამის წინააღმდეგ გაილაშქრა განსვენებულმა პარმენ ცახელმა. ეს ამბავი გამოქვეყნდა ქუთაისის გაზეთებში. ადგილობრივმა ექი-

მებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამ გადაგვიარებულ ქართველს და ქუჩაში სალამს აღარ აძლევდნენ“.¹

„დაზარალებულმა“ თავის მართლება სცადა და ცახელის წინა-აღმდეგ ცილისწამებლური წერილი გამოაქვეყნა რუსულ გაზეთში („კუტაისკიე ვესტი“).

პოეტის არქივში შენახულია წერილი, რომელშიც ნათქვამია: „მე მზათა ვარ მას ყველგან შესაფერისი პასუხი გავცე. იცოდეს მან (ე. ი. ხსენებულმა ექიმმა), რომ იმ საგანს, რომელსაც მე სიყმაწვილიდან სინერგმდე ვემსახურები, არაეის მურტალ ფეხს არ გავათელინებ“. ხოლო რუსულად დაბეჭდილ თავის სტატიაში ამ ამბებთან დაკავშირებით ცახელი წერს: „ჩემი ბუნებით მე არ შემიძლია შური ვიძიო მტერზე, მაგრამ როცა ჩემი მტერი ამავე დროს მტერია ჩემი სამშობლოსი, როცა ჩემი მტერი ჩირქს ცხებს მოსწავლე ახალგაზრდობასაც, ჩემი სამშობლოს მომავლის ამ ნიტიციე დასაყრდენს, მაშინ მე ძალა არ მყოფნის თავი შევიკავო.... ჩვენი მსაჯული ქართველი ხალხია და ის — დღეს თუ არა — ხვალ მაინც გავასამართლებს ჩვენ. მე ვდვავარ მის წინაშე როგორც ცახელი, მის ზვილებს კი ვიცავ როგორც თვალქრელიძე.“

ასე უნწიკვლოდ და თავდადებით ემსახურებოდა ის ქართველ ახალგაზრდობას. ცახელი მკითხველებისათვის ცნობილია აგრეთვე როგორც ნაყოფიერი პოეტი, რომელმაც ვანსაკუთრიბული ამაგი დასდო კერძოდ საბავშვო ლიტერატურას.

ბავშვთა სულიერი საწყაროს საუკეთესო მცოდნე, დიდი პატრიოტი ქართველი იაკობ გოგებაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძიარკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრმო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა აღდამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საჭარლო. როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“.

ქართულ ენაზე არსებობს მდიდარი საბავშვო ლიტერატურა. ილია ქავქავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟაფშაველას, შიო მღვიმელის, იროდიონ ევლოშვილის და სხვათა

1. აკ. ნიშნიანიძე, „მოვონება ცახელზე“ (გამოუქვეყნებელია, ინახება პოეტის ჭალიშვილის თაშარ თვალქრელიძე-გელოვანის ოჯახში).

კლავა შექმნა მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლებიც ჩვენი საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში სამუდამოდ დარჩება.

ცახელი უდავოდ თვალსაჩინო საბავშვო მწერალია. ზოგ თავის ნაწარმოებს პოეტი საგანგებოდ წერდა ბავშვებისათვის. ზოგიც არ იყო ამ მიზნით დაწერილი, მაგრამ ბავშვებისათვის და მოზრდილებისათვისაც ერთნაირად საინტერესო გამოდგა.

კერძოდ, ჩვენ ამ შემთხვევაში მსედველობაში გვაქვს ცახელის პოემა „საბრალო ბაბუა“.

პოეტის კლავს ეკუთვნის აგრეთვე ლექსები და პოემები: „მარინე“, „ზაალი“. „გურგენ რაინდი“, „ოცნება“ „შალვას თავგადასავალი“ და სხვა.

თავის ნაწარმოებებში ცახელი ნორჩ მკითხველებს გულში უნერგავს სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობასა და შრომისა და სწავლისადმი პატივისცემას.

ლიტერატურა: პ. ცახელი, 'შალვას თავგადასავალი, 1885 წ.; გურგენ რაინდი, 1898 წ.; უკუდავი სარდალი (ლეგენდა) და რჩეული ლექსები. 1898 წ.; ლექსები და პოემები, 1918 წ.; რჩეული, 1950 წ.; ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, 1910 წ.; გრ. ჯაფარიძე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., № 741; ა. წერეთელი, „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 520; შ. დადიანი, გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 192; ა. კვა, გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 203; ი. იმედაშვილი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 წ., № 11; მ. კეკელიძე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1949 წ., № 35.



არსენ მამულაიშვილი

(1866—1918)

არსენ მამულაიშვილი 30 წლის განმავლობაში ერთგულად და უზადოდ ემსახურებოდა სახალხო განათლების საპატიო საქმეს როგორც მასწავლებელი, იშვიათი ზნეობის ადამიანი და ჩუმი საზოგადო მოღვაწე. ამავე დროს იყო ნიჭიერი ბელეტრისტი. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „ლალიონი.“

არსენ ანტონის-ძე მამულაიშვილი დაიბადა 1866 წლის 23 იანვარს (ძვ. სტ.) მეტად ღარიბ ოჯახში, სოფ. დეაბზუში (ოზურგეთის მაზრა). მამით ადრე დაობლებულ არსენს წერა-კითხვა მისმა უფროსმა დამ ასწავლა. ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის ჯიძემ ეკონომიური პირობების გამო, მხოლოდ 1885 წელს ახერხებს თბილისის სამასწავლებლო

ანსტიტუტში შესვლას, რომლის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1889 წ. დანიშნულ იქნა აზერბაიჯანში, ქ. შენახის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად.

იპდროინდელი პოლიტიკური ვითარების წყალობით ახალგაზრდა არსენი იძულებული შეიქნა, მისი სურვილის წინააღმდეგ, სამშობლოს გარეთ ემსახურა, თუმცა საქმითა და გრძნობით ის სამშობლოს არასოდეს მოშორებია. 1893 წელს მთავრობის განკარგულებით არსენი გადაყვანილ იქნა ნახჭევანის იმავე ტიპის სკოლის მასწავლებლად, სადაც 1897 წლამდე დაჰყო. ხელმოკლეობით, მძიმე შრომითა და მისთვის აუტანელი კლიმატური პირობების გამო ჯანგატეხილი პედაგოგი და უკვე ცნობილი მწერალი, ავტორი საუკეთესო მოთხრობისა „ფირალი დავლადე“ („მომამე“, 1895 წ.), მეგობრებისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების დახმარებით ეწყობა თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად.

ამის შემდეგ არსენს შეეძლო ნაწილობრივ მაინც ბედნიერად ეგრძნო თავი. მისი მოწოდება, — შესაძლებელი წვლილი შეეტანა ქართველთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებაში, მომავალი თაობის სათანადოდ აღზრდაში, ქართულ მწერლობაში და საზოგადოებაში, — ნელ-ნელა ფრთებს ისხამდა, ასპარეზს იხვეჭდა და სენისაგან შეპყრობილი არსენიც თანდათან იკურნებოდა, მეტი ენერჯით ივსებოდა და გარაკეცებული მუშაობის ხალისით იჭურვებოდა.

900-ან წლებში ცნობილი სახალხო მასწავლებლის ივანე გომელაურის თანამშრომლობითა და თანამემწეობით ა. მამულაიშვილმა თბილისში დააარსა კერძო სკოლა პანსიონით, რომლის მიზანი იყო სკოლის მხოლოდ ქართველი ბავშვებით დაკომპლექტება და ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე. არსენმა ეს თავისი მიზანი განახორციელა, მაგრამ დიდი ბრძოლებითა და შეხლა-შემოხლით. ცარისტულმა პოლიტიკამ მებოკე აღნიშნული სკოლა-პანსიონის ყოველგვარი უფლებები და სამი წლის ბრძოლისა და სისტემატური შევიწროების შემდეგ ის დახურულ იქნა, ხოლო არსენი დატოვეწული უადგილოდ. მხოლოდ 1906 წლის 1 აგვისტოს, სამი წლის უადგილოდ ყოფნის შემდეგ, მოხდა არსენის მასწავლებლის უფლებაში აღდგენა. იგი დიდი გაფრთხილებისა და მეთვალყურეობის ქვეშ დანიშნულ იქნა თბილისში, ვერის პირველ უშალღეს-დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ამ სკოლას კი ის სიკვდილამდე აღარ მოსცილებია.

არსენ მამულაიშვილი (ლალიონი) გარდაიცვალა თბილისში 1919 წლის 18 სექტემბერს, 52 წლისა, ჯანღონით აღსავსე და შემოკმედებითი მუშაობის გაფურჩქვნის ასაკში. ის შესაფერისი პატივითა და

თანაგრძნობით დაკრძალულ იქნა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. ქართველმა მოზარდმა თაობამ დაკარგა სამაგალითო აღმზრდელი და მასწავლებელი, საზოგადოებამ ჩუმი, უანგარო და საზოგადოებრივი საქმეებისათვის თავდადებული მუშაკი, ხოლო მთელმა საქართველომ — ნიჭიერი ბელეტრისტი, რომლისაგან კიდევ ბევრს მოელოდნენ.

იაკობ გოგებაშვილისა და გ. ჯალადიდელის არ იყოს, ვინც ლალიონის მოთხრობა „ჩაქვიანა“ და „ფირალი დავლაძე“ ორი ათეული წლის მანძილზე ქრესტომათიაში (იე. გომელაურის „ქართველი მწერლები“) შეიტანა და ქართველ მოზარდებს აკითხა, პოპულარული მწერლის სახელიც იმან შეუქმნა ლალიონს. მაგრამ მას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უსწრებდა, რომელსაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესაძინევი ადგილი უჭირავს.

ლალიონის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენა მოთხრობა „ფირალი დავლაძის“ გამოქვეყნებით („მოამბე“, 1895 წ., № 4, 5) დაიწყო, რომელმაც მიიქცია ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ყურადღება. ჯერ კიდევ 1896 წ. გრ. ყიფშიძემ „ფირალი დავლაძე“ „მშვენიერი ქართულით დაწერილ“, „ჩვენი საქარბოროტო საგნისა“ და „ახალი ტიპის დამხატველ“ მოთხრობად აღიარა, ხოლო მისი ავტორი, გურული ხალხის უბადლო მესიტყვის — ეგნატე ნინოშვილის ღირსეულ შემკვიდრედ მიიჩნია („მოამბე“, № 3).

1898 წელს კი, ჩვენმა ცნობილმა ნიჭიერმა პუბლიცისტმა, დიდი სტალინის უახლოესმა და სახელოვანმა თანამებრძოლმა ალექსანდრე წულუკიძემ თავის პირველ კრიტიკულ წერილში ლალიონის ეს პირველი ნაწარმოები გააჩნია. ალ. წულუკიძის ეს წერილი — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ („კვალი“, 1898 წ., № № 44, 45, 48), — რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული ქართული მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის პირველ კლასიკურ ნიმუშად, საფუძვლიანად არჩევს ლალიონის ამ მოთხრობას. იგი ახალი ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო მაგალითად არის აღიარებული. ალ. წულუკიძის აზრით, ლალიონის ეს თხზულება „ჩვენი ცხოვრების გულის-პასუხეს გამომთქმელი“ და „საყურადღებო და შინაარსიანი მოვლენის აღმნიშვნელი“ ნაწარმოებია.

მოთხრობის მთელი შინაარსის გადმოცემისა და პერსონაჟის ცალკეული ხასიათების ჩამოყალიბების შენდევ კრიტიკოსი მთავარ მოქმედ პირად და იმდროინდელი „ცხოვრების ახალ ტიპად“ სთვლის ნიკოს, რომლის შესახებ ალ. წულუკიძე წერს: „ნიკო კაპიტალისტური წესწყობილების მომასწავებელია, იგი ახალი დროის პერცხალია, რომელიც ასე მშვენიერად დახატა „ფირალი

დავლადის ავტორმა (ა. წულუკიძე, თბულებანი, გვ. 70, 1927 წ.). „ხოლო ნოთხრობის მეორე მოქმედი პერსონა ივანე დავლადი“, — ამტკიცებს კრატიკოსი, — „ნაშთი ძველი დიდებისა, თუმცა კანონიერი შვილია ანაუი გიორგისა“, მაგრამ „თანამედროვე ცხოვრების პირობებზე გერი“. მათი შერიგება და შეთანხმება, — ასკენის ავტორი, — ყოველად შეუძლებელია.

ამგვარად, ლალიონის თბულებებში პირველად ალ. წულუკიძემ წვანინა ის მკვეთრი ხაზები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების სინამდვილენი ნიჰილისტური კლასობრივ ბრძოლას საკმაო მხატვრული სიძლიერით ასახავდნენ.

„ფიზიკალი დავლადის“ ავტორს ეკუთვნის აგრეთვე პოპულარული ნოთხრობები „რაქვიანა“ (1904), „მშობლები“ (1902), „ფეფიას ოცნება“ (1901), „დამშვიდება“, „ბეუჟას ხვედრი“ „სამკურნალო-ნი“, „ეს არის ჩვენი ბელნიერი დღე“, „შემთხვევა“ და სხვა. ყველა ეგენი მხატვრულად გასაოთულ, გონებასამხვილურად და მკვეთროვალისტურ ფერებში ასახვენ ჩვენი ხალხის, და განსაკუთრებით გურიის ცხოვრების ორ პერიოდს — 90-ან წლებიდან 1905-მდე და რევოლუციის დროებითი დამარცხების (1905) შემდგომ ხანას.

ნათალია, რევოლუციის ეს დროებითი დამარცხება მწვავედ იკრძნო მწერალმა, მაგრამ მას გული არ გასტეხია. ის გრძნობდა, რომ ამით ხალხში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა თვითშემეცნება და უნარი მომავალი ბრძოლისა და გამარჯვებისა. თავისი ნოთხრობა „შემთხვევის“ ერთ-ერთ გმირს ავტორი ათქმევინებს: „ნიხედ-მოიხედე გარშემო... ახლა ყველას ეზიზღება მონური ყოფა. შეიგნეს ადამიანური უფლება, მედგრად ებრძვიან მხაგვრელებს უკეთესი მომავლისათვის და დღეს თუ ხვალ კიდევ მიიღწევენ მიზანს“.

ეს ნიშანი მიღწეულია.

გამარჯვებული მშრომელები დღეს შესაფერი პატივით იგონებენ თავიანთი წარსულის დუბჰირი ცხოვრების ნიჰიერ აღსახველსა და „უკეთესი მომავლისათვის“ მებრძოლ მწერალს, მასწავლებელსა და მოქალაქეს.

ლიტერატურა: ალექსანდრე წულუკიძე, თბულებანი; „კვალი“, 1933 წ., № 44, 45, 46; ნოამბე“. 1933 წ., № 4-5; ლალიონი, თბულებანი, 1918 წლის გამოცემა; ივანე გომელაური, „ქართველი მწერლები“; „ახალბო განათლება“, 1948 წ., № 28.



ია კარგარეთელი

(1868—1939)

ცნობილი ქართველი მუსიკოსი ია კარგარეთელი მთელი რიგი წლების მანძილზე ჩვენს სკოლებში სიმღერა-გალობის მასწავლებლად მუშაობდა. მის ყოფილ მოსწავლეებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ია კარგარეთელის გაკვეთილები, რომლებიც ყოველთვის ტკბილი სიმღერითა და მომზიბლავი საუბრებით ტარდებოდა.

ია (ილია) გიორგისძე კარგარეთელი დაიბადა 1868 წელს სოფ. ერთაწმინდაში. მამამისს სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და მღვდლად მუშაობდა ერთაწმინდასა და მის ახლომახლო სოფლებში. შესანიშნავი ხმის პატრონი ყოფილა და მუსიკა ძლიერ ჰყვარებია. მუსიკისადმი სიყვარული და ნიჭი მის ვაჟებს: უფროსს—კოტესა და უმცროსს—იასაც გამოჰყოლიათ.

ია კარგარეთელის სიტყვით გიორგი „შვილებსაც სამღვდლოდ გვამზადებდა. და ჩვენ რომ მღვდლები არ გამოვსულიყავით, ეს პირ-

დაპირ ვეარეულონის დაღუპვა და შერცხენაც კი იქნებოდა, ვინაიდან თითონ გვარში მეცხრამეტე დეკანოზი იყო და მეოცე ჩვენგანი ვინმე უნდა ყოფილიყო“.

მაგრამ ია კარგარეთელმა მამის ეს „იმედი“ ვერ გაამართლა. გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე კურსიდან ია კარგარეთელი გარიცხეს „ბერძნული ენისადმი უკუზადლებობის გამო“. ი. კარგარეთელი ცოტა ხანს სწავლობდა თბილისის საპოქალაქო სასწავლებელში და შემდეგ შევიდა სამასწავლებლო ინსტიტუტში.

ამ პერიოდის შესახებ თვითონ ია კარგარეთელი შექდეცსა წერს: „ინსტიტუტში ყოფნის დროს მე კარგად გავეცან მაშინდელი საზოგადოების განსაკუთრებულ გულმტკივნეულობას და ნატვრას. გავიცან აგრეთვე ილია, აკაკი, შევიყვარე და შემეყვარდა მათთან ყოფნა; ცხვედაძე და გოგებაშვილი დიდი მფარველები მყავდნენ, მათ ბევრი რამ მომცეს, თვალი ამიხილეს, ჩამაიედეს, მაგრძობინეს, დიდ რამეს მოელოდნენ ჩემგანთ და ეხლა რომ ვგრძობ, რომ მათი ნაკარნახევი ცოტათი მაინც ვერ ავასრულე, მე მრცხვენიან“.

1886 წელს ი. კარგარეთელი შევიდა ლადო აღნიაშვილის ქარაველ მომღერალთა გუნდში. იმავე წელს გუნდი ეწვია ქ. გორს. სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც მაშინ გორში მასწავლებლობდა, იგონებს: „მთელი ხორო დავაბინავე ჩემთან. ელვასავით მოედო მათელს ქალაქს ხოროს მოსვლის ამბავი. მომღერალთა ქულაჯებმა ხალხი მთლად ააბორგა. უნდა მოგახსენოთ, რომ იმისთანა აღფრთოვანებას ხალხისას, როგორც მაშინ იყო, ჯერაც არ მოვსწრებიავარ. სცენაზე მოიწვედა ხალხი, აღარ ესმოდა მას რას ჩადიოდა, იქამდე ღრმად ჩასწვდა მის სულსა და გულსა საერო ხმები. კონცერტის გათავეების შემდეგ ხალხი კიდევ ერთ საათამდე ჯარათ იდგა, არ იშლებოდა. ია ხომ მოლაღეს „ურმელის“ განმეორებით“.¹

თვითონ ია ლ. აღნიაშვილის გუნდში ჩარიცხვის ამბავს შექდეგნაირად გადმოგცემს: „1886 წელს მე 15—16 წლისა ვიქნებოდი; სასულიერო სასწავლებლიდან დამითხოვეს იმ წელს და, მეტი გზა არსაიათ იყო საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელს შევაუარე თავი. ერთ მშვენიერ დღეს გავიხედე, დიდი დასვენებას ღროა შემოცვიდნენ კლასში ამხანაგები და მეუბნები-

¹ ს. მგალობლიშვილი, მოგონება ია კარგარეთელზე, გაზ. „ლომისი“, 1923 წ., № 23. სოფ. მგალობლიშვილს შეცდომით აღნიშნული აქვს, რომ ეს 1884 წელს მოადა.

ან: ვილაყანი გეძახიანო. გამოველ და გავიყანით ერთმანეთი; ესენი იყვნენ განსვენებულნი ვ. აღნიაშვილი და გ. ჩაგუნაეა. აღნიაშვილმა ღიმილით მომმართა: „კარგი სიძლერა გცოდნია და უნდა გამღეროთო; თქვენი ტოლი ბიჭები უნდა შევყაროთ და თუ არ დაიზარებ, მოდი უშველეო“. ცოტა არ იყოს, აღნიაშვილის სიტყვებმა გამაწითლეს, მაგრამ მაინც თავჩაღუნულმა ვუთხარ: კარგი, გეახლები, მაგრამ ვაი თუ დაგიშალოთ; ვმღერი დელია-დელიასა და სხვისა კი რა მოგახსენოთ-მეთქი.

...მეორე დღეს, საღამო ეამს, მოვედი რატილის ბინაზედ; იქ დამხვდა ოცდაათ კაცამდე, მომეტებულად სემინარიელები, კონცერტისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ კონცერტს ბევრი დავიდარაბა უნდოდა, მერე უფრო ქართულს კონცერტს. თვით მოთავე საქვისა — აღნიაშვილი ხელმოკლე კაცი იყო და რასაც მასწავლებლობით შოულობდა, სულ საქმეს ახმარებდა. ისე მოიტანა გარემოება, რომ არც რატილი და არც განსვენებული აღნიაშვილი უჩემოთ ფეხს არ სდგამდნენ და ყოველს თავის განზრახულს მეც მიზიარებდნენ“ („სახალხო გაზეთი“, 1910 წ., № 5).

ამის შემდეგ ია კარგარეთელი მთლიანად მიეცა ქართული მუსიკის შესწავლის საქმეს.

1889 წელს ი. კარგარეთელი მოსკოვში გაემგზავრა და სწავლობდა უმაღლეს ფილარმონიულ სამუსიკო სკოლაში. აქ დაჰყო 1895 წლამდე. მეოთხე კურსიდან იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1896 წლიდან შევიდა საოპერო დასში მომღერლად, ხოლო 1905 წელს დასის რეჟისორად მიიწვიეს.

ფრიად ნაყოფიერად მუშაობდა ია კარგარეთელი ამ წლებში, მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ მას სასტიკი დევნა დაუწყეს და ჟანდარმერიამ მასი მოკვლაც განიზრახა. საქმე იმაში იყო, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ ოპერაშიც ჰპოვა გამოსახულება. თეატრის დასისა და ტექნიკური პერსონალის მღელვარების მიზეზად ჟანდარმერია ია კარგარეთელს თვლიდა.

თავის ავტობიოგრაფიაში ია წერს: „როგორც გადმომცეს ბოლოს, შირინკინი და გენ.-გუბერნატორი ტიმოფეევი თეატრის მუშაობის უკმაყოფილების მიზეზად, თურმე, მე მთვლიდნენ. ერთ მშვენიერ ღამეს თეატრიდან შინ მოვდიოდი, ალექსანდრეს ბაღთან დამხვდნენ „ოხრანკის“ სამი თანამშრომელი, გუბერნატორის სახელით ჩამისვეს ფაიტონში და ციხეში გამაქანეს. აქ, საგუბერნიო საპურობილისთან გადმოვედი ეტლიდან. როგორც გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, ერთმა მათგანმა უკნიდან მესროლა რევოლვერი;

ზე დავეცი მკვდარი; ბოლოს მიპოვა „გარადავოიმ“ და მიმიტანა საავადმყოფოში¹. ეს მოხდა 1906 წელს. დიდხანს ებრძოდა ია კარგარეთელი სიკვდილს. ბოლოს როგორც იყო, გამოკეთდა, მაგრამ სამუდამოდ დაავადმყოფდა (ფეხი და მარჯვენა ხელი გაუფუჭდა).

ია თავის საყვარელ საქმეს მაინც არ მოშორებია. სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა წერილებს ქართული მუსიკის შესახებ, აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ჰქენიდა თავის შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ამავე დროს ის შეუდგა მასწავლებლობას და ქართველ მოსწავლეებს გულში უნერგავდა ქართული ხალხური მუსიკის სიყვარულს. მასწავლებლობდა თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში, ხოლო ბოლო დროს ყოფილ მეცხრე შრომის სკოლაში.

ია კარგარეთელს კარგად ჰქონდა შეგნებული მუსიკის მნიშვნელობა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ სკოლებში სიმღერა-მუსიკის გაკვეთილებს სათანადო ადგილი დათმობოდა და მის სწავლებას სერიოზული ყურადღება მიეცეოდა.

1910 წელს გაზ. „ღროებაში“ (№ 45) მან გამოაქვეყნა ძლიერ საყურადღებო წერილი: „სკოლა და სიმღერა“. საფუძვლიანად არკვევს რა მუსიკის გავლენას საერთოდ ადამიანებზე და კერძოდ მის მნიშვნელობას ბავშვების აღზრდის საქმეში, ავტორი წერს: „პირადად მე გასაკვირველადაც მიმაჩნია, რომ დღემდე სიმღერა-გალობას ის საპატიო ადგილი არ უჭირავს, რომელიც სამართლიანად უნდა ჰქონდეს მინიჭებული. გასაკვირველია აგრეთვე, რომ მას ყრმათა აღზრდის საქმეში არა აქვს დათმობილი თავისი კუთვნილი როლი, ხოლო ამ საშუალების უკან დაყენება აღზრდაში ჰბადავს იმას, რომ ათასს და ორი ათასს ფრიად განსწავლულ პირთ იგი უცხო ხელად მიაჩნიათ.“

...მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს შეუვანებლობაა, ხოლო შეუვანებლობა ესე წარმავალია. დავისახოთ გულს იმედი, რომ მოვა დრო, როცა სიმღერა-გალობა შემოვა სახლში თუ სკოლაში არა როგორც საშუალება გართობისა და ქეიფისა რჩეულთა და ბედნიერთათვის ამა ქვეყნისა, არამედ როგორც ფრიად საყურადღებო ელემენტი ყრმათა აღზრდა-გათვითცნობიერებისა და სოციალურ ურთიერთობის, კაცობრიობის სულიერი გარდაქმნის და გადახალისებისა. ამის-

¹ იხ. ჯერ. „განათლების მუშაკი“, 1928 წ., № 13.

თანა ეამის მოახლოებას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ... უნდა ფართოდ გაეღოს ამ სხივს ოჯახისა თუ სასწავლებლის კარი და დაჰგმოს, მოღალატედ ჩასთვალოს ყველა ის, რომელიც აამღვრევს სამშობლოსა და ხალხისადმი განმამტკიცებელს და ადამიანის გრძნობათა განმასპეტაკებელ წმინდა ხალხურ სიმღერა-გალობის ხმათა ელერას“.

ამ წერილში ი. კარგარეთელი ამხილებს აგრეთვე იანოვსკისა და მისი მიმდევრების შავრაზმულ დამოკიდებულებას ქართული მუსიკისადმი და მათ ცდას აღეკვეთათ სკოლებში ქართული სიმღერების შესწავლა. ამიტომაც ავტორი ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით მასწავლებლობას მოუწოდებს ღირსეულად დაიცვან და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ქართული სიმღერების შესწავლას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდობის იღზრდის საქმეში.

თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ი. კარგარეთელი ამ აზრების მხურვალე განმახორციელებელი იყო. გაკვეთილზე მას უყვარდა საუბარი მუსიკის დარგში მოღვაწეთა შესახებ. ჰყვებოდა საინტერესო ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან, რომელთაც მოსწავლეებზე დიდი აღმზრდელობითი ზეგავლენა ჰქონდათ. ხშირად ახსენებდა საქართველოს, მის ისტორიას, შესანიშნავ ქართველ მწერლებს, იგონებდა მათთან შეხვედრის მომენტებს და ბავშვებს მიმართავდა, რომ მათ სამშობლო ესახელებინათ.

მას ღრმად სჯეროდა საქართველოს აღორძინება და აყვავება. ასეთ რწმენას გამოსთქვამდა ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს.

„საქარაველოს თავზე ოცს საუკუნეზედ მეტს გადუვლია ელვა-ქექითა და გრგვინვა-ქუხილით და ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ყოფილა დაჩაგრული და განწირული ბედისაგან; ბევრჯერ გასპირვებია უმწვერვალესად, ბევრჯერ მოოხრებულა და იავარქმნილა მისი გარემო-მიდამონი, მაგრამ ქარი ჩავარდნილა, შავ-ბნელი ღრუბლები გაფანტულა, ცას გამოუხედნია და ცხრათვალა მზეს კვლავ. განუცოცხლებია მკვდარი ქვეყანა, კვლავ ფენიქსებრ განუახლებია, კვლავ აღუდგენია მკვდრეთით დატანჯული და წამებული გული, რომელსაც დაუწყია ისევ ცემა, ისევ ავსება გრძნობებითა, კვლავ გაცოცხლებულა სიმღერა-გალობაცა, ჰანგები და მელიოდები“ (ქურნ. „მოამბე“, 1895 წ., № 2, გვ. 54—69).

ია კარგარეთელი არის ავტორი შესანიშნავი ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოებებისა. გარდა ამისა მას ეკუთვნის მთელი რიგი ოპერების ლიბრეტოების თარგმანი („ტრაეიატა“, „ოტელო“, „ფა-

უსტი“, „სევილიელი დალაქი“, „ლიბოლექტო“, „ჯაშაშხები“ და სხვ.) ეს თარგმანები იმით იყო გამოწვეული, რომ ი. კარგარეთელის აზრით ქართულ საოპერო სცენაზე მასობრივ მსმენელებს საშუალება უნდა ჰქონოდათ ქართულ ენაზე მოესმინათ სხვადასხვა ოპერა.

ორიგინალური ქართული ოპერის შექმნაზე თვითონაც მუშაობდა. ამინათვის შერჩეული ჰქონდა მასალაც („თავფარავნელი ქაბუკი“). ეს ხალხური პოემა ია კარგარეთელმა თითქმის ზეპირად იცოდა. სოგიერთ ადგილებს მოსწავლეებსაც ამღერებდა გაკეთილებზე. სამწუხაროდ, ი. კარგარეთელს აღნიშნული ოპერის დამთავრება აღარ დასცალდა.

ია კარგარეთელი გარდაიცვალა 1939 წელს.

ლიტერატურა: I. ი. კარგარეთელი, ქართული მუსიკა, ჟურ. „მომბე“, 1895 წ., № 2; ქართული საეკლესიო გალობა, „კვალი“, 1900 წ., № 27; „თავო ჩემო, ბუკი, არ გიწვიოია“, მუს. ი. კარგარეთელისა, 1897 წ.; მშვენიერთა ხელმწიფავ, მუს. ი. კარგარეთელისა, 1897 წ.; შევიშრობ ცრეხლსა, მუს. ი. კარგარეთელისა, 1897 წ.; შევიყვარდა ვგ ხმა ტკბილი, მუს. ი. კარგარეთელისა, 1897 წ.; ქართული სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადმოღებული ი. კარგარეთელის მიერ, 1899 წ.; ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები, წგარებ. ი. კარგარეთელის მიერ, 1909 წ.; სიმღერა-მუსიკის სასწავლ-მძღვანელო სახ. სკოლებისათვის, 1921 წ.; მოკლე სა-მუსიკო ენციკლოპედია, 1930 წ.; ჩემი ვინაობა, ჟურ. „ჯანათლების მუშაკი“, 1928 წ.; № 13:

II. სოფ. შგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ.; აკად. ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორია, 1935 წ.; შ. კაშმაძე, ია კარგარეთელი, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ.



თედო რაზიკაშვილი

(1869—1922)

ბავშვების საყვარელი მწერალი, სახალხო მისწავლებელი და ხალხური შემოქმედების დაუღალავი და ნაყოფიერი შემკრები თედო პავლეს-ძე რაზიკაშვილი დაიბადა 1869 წლის 13 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფელ ჩარგალში, თშავის იმ საამაყო ოჯახში, რომელმაც საქართველოს და მის მწერლობას მისცა პოეზიის არწივი ვაჟა-ფშაველა და ცნობილი პოეტი ბაჩანა.

თედო მშობლების მეხუთე ვაჟი იყო. ის მამისა და უფროსი ძმების წაქეზებით აღრე ჩაება სწავლაში. ექვსი წლის თედო ქართულ ანბანს გაცნობილი და წერა-კითხვაში ფეხადგმული შეიყვანეს ჩარგალის დაწყებითი სკოლის პირველ განყოფილებაში; მისი პირველი შინაური მისწავლებელი იყო უფროსი ძმა ნიკო (ბაჩანა), რომელსაც ძლიერ უყვარდა თურმე თავისი პატარა, მკვირ-

ცხლი ვონების, ნიკიერი ძმა. თედო დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ გორში წაიყვანეს; აქ ის სამასწავლებლო სემინარიის მოსაწავლებელ განყოფილებაში მოაწყეს. თედომაც შესაფერისი ბეჯითობა გამოიჩინა და 1889 წელს აღნიშნული სემინარიის სრული კურსი დაამთავრა და, ამგვარად, სოფლის სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდება მიიღო. იმ ხანებში თედო რაზიკაშვილი დაუახლოვდა თავის საყვარელ მასწავლებელს, ცნობილ მწერალს ნიკოლომოურს და მაშინ გორში მცხოვრებ ხალხოსნებს. მათი გავლენით თეიფონაც გახდა ამ მოძრაობის ერთი აქტიური მონაწილე და თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი.

1890 წელს ახალგაზრდა, პროგრესული იდეებით გატაცებულ თედო რაზიკაშვილს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ნიშნავს მასწავლებლად სოფელ ხელთუბანში, სადაც იმ ხანებში გახსნილ იქნა დაწყებითი სკოლა. თედოც დიდი მონდომებითა და საქმის სიყვარულით ჩაება პედაგოგიურ მუშაობაში. 1891 წელს ის საბოლოოდ დასახლდა გორის მახლობლად, სოფ. ხელთუბანში და, ვიდრე ცოცხალი იყო, ამ სკოლასა და სოფელს არ მოსცილებია. ხალხოსნური იდეებით გატენილი იგი ხალხს დაუახლოვდა, მათი შვილების აღმზრდელი და მასწავლებელი შეიქნა, მათთან ცხოვრობდა, მითი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო, მათი ყოველდღიური მსახური, დამხმარე, გზის მაჩვენებელი და მრჩეველი.

თედოს არც ისე იაფად დასჯდომია ხალხის ამგვარი სამსახური. სოფელ ხელთუბანში პროპაგანდისტებისა და ცნობილ რევოლუციონერთა ხშირმა ჩასვლამ, თედოსთან სისტემატურმა შეხვედრამ და ბოლოს 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მთელი ამ სოფლის აქტიურად ჩაბმამ, ჟანდარმერიის მწვერავებს ექვი თედოზე ააღებინეს. გაბრაზებულმა ბიუროკრატიულმა მთავრობამ 1905 წელს ხელთუბნის სკოლა დახურა და მის მასწავლებელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის 13 წლით გადასახლება მიუსაჯა რუსეთის შორეულ გუბერნიაში. მაგრამ 1906 წელს ცარიზმის გადასარჩენად გამოსულმა მანიფესტმა ციმბირისაკენ მიმავალი თედო გზიდან დააბრუნა.

პატიმრობიდან განთავისუფლებული თედო სოფელ ხელთუბანს, თავის ნაამაგარ სკოლას და თავის საყვარელ ოჯახს ეწვია. სოფელი დარბეული და გაჩანაგებული დახვდა, სკოლა პარტახად ქცეული, ხოლო სახლკარი ზარბაზნებით დანგრეული და ვადამწვარი.

თვითმპყრობელობის ამგვარი საქციელით თედოს გული არ ვასტეხია. ის თითქოს ამის მოლოდინში იყო კიდევ. მტერმა თავისი არსი და ბუნება გამოამჟღავნა მხოლოდ, თორემ ახალს, მოწინავეს და უკვდავ იდეებს რას დააკლებდა მისი მსახვრალი ხელი, რომელიც დღეს თუ ხვალ მაინც უნდა დამსხვრეულიყო? თედომ კვლავ აღადგინა თავისი ოჯახი და სკოლა, რომელსაც დაუცხრომელ მოამაგედ აღმოუჩნდება ჩვენი ცნობილი მწერალი ქალი, საბავშვო ლიტერატურის დიდი მოამაგე — „ჯეჯილის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. თედოც კვლავ თავისი სკოლისა და მთელი სოფლის მუდმივი მზრუნველი და მოამაგე ხდება.

თედო რაზიკაშვილი სამწერლო ასპარეზზე ლექსებით გამოვიდა. მისი პირველი ლექსი „გუთნისდედის სიმღერა“ 1890 წელს დაბრუნებულ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა. მას მოჰყვა მთელი ციკლი ლექსებისა და მისი ბრწყინვალედ შესრულებული საბავშვო მოთხრობათა სერია. როგორც ნიქიერმა მწერალმა, მან მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. განსაკუთრებით ჩვენი დიდი პოეტი აკაკი აღმოჩნდა თედოს პოეზიისა და პროზის ნამდვილი და სწორი დამფასებელი. მისი მხატვრულად გამართული მშვენიერი მოთხრობები, ლექსები, მოხდენილი და საგულისხმო ხალხური არაკები და ლეგენდები იბეჭდებოდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში („იფერია“, „ჯეჯილი“, „კვალი“, „ძველი საქართველო“ და ა. შ.), მაგრამ ყველაზე მეტი პოპულარობა და საყვარელი მწერლის სახელი მოუხვეჭა თედოს მისმა მომხიბლავმა ბრწყინვალე ქართული ენით დაწერილმა საბავშვო მოთხრობებმა.

სულ მალე, მისი სამწერლო სარბიელზე გამოსვლიდან, თედო რაზიკაშვილი ხდება უახლოესი თანამშრომელი იმდროინდელი საბავშვო ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულისა“. ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ანასტასია წერეთელი თავის ერთ-ერთ კერძო ბარათში თედო რაზიკაშვილსა სწერდა: „მოუთმენლად მოველი საახალწლო მოთხრობას პატარებისათვის, იქნება როგორმე მომისწროთ. მასალა მაქვს, მაგრამ უფრო უკეთესი ეკადრება იანვრის ნომერსო“... ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ნათელყოფენ თედო რაზიკაშვილის მეტად თვალსაჩინო ღვაწლს საბავშვო ლიტერატურაში.

თითქმის ამგვარადვე სწერს თედო რაზიკაშვილს მეორე საბავშვო ჟურნალის — „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურიაძე: — „გულითადად გთხოვთ თქვენ, რაცკი შეიძლება ბევრი მასალა გვიგ-

ზენოთ. თქვენი აითქმის სველაფერი დაიბეკდება, „მამლაყინწა“
აებერვლის ნომერში იბეკდება. მარტისათვის თქვენი აღარაფერი
გვაქვს. შენი ქირივე, როგორც კი ჩემი წერილი მოგივთ, მოთ-
არობებიც და ლექსებიც გამოგვიგზავნეთ. ძალიან გთხოვთ. მე მინ-
და უფელ ნომერში თქვენი მოთხრობები იყოს“...

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებისა და ლექსების მაღალიდე-
ურობა, მხატვრული სიმარაღე, აზრის სინათლე და სიზუსტე, ენის
ხალხურობა. ცხოვრების დაკვირვება და ცოდნა, მისი მწერლური
ხედვის სიმახვილე ამქლავებდა მასში მოცემულ დიდ ნიჭსა და ენერ-
გიას, რომელიც აღნაფლობას განიცდიდა და დღითი-დღე იფურ-
ჩქნებოდა. ამიტომ ცხადია ნიქიერი და კვიანი რედაქტორების
სურვილი და ცდა ამ სურვილის განხორციელებისა, რომ თედო
მათი გამოცემის მუდმივი თანამშრომელი ყოფილიყო. თედოც ბე-
ჯითად ასრულებდა მათ დაკვეთას. მას იმდენი ძალა შესწევდა, რომ
უფელ რედაქციისათვის უხვად მიეწოდებინა თავისი მაღლიანი კალ-
წის ნაღვაწი.

ამავე დროს საგელახშია თედოს დაუღალავი ბუნების. მისი
წრომინმოყვარეობის მეორე მხარეც. ნარტო საბავშვო მოთხრობე-
ბითა და ლექსებით როდი ამოწურულა თედოს ნიჭი, მისი მხატვრუ-
ლი აზროვნება და ერუდიცია. მან უხვად განოაქვეყნა ქართულ პე-
რიოდიკაში აგრეთვე ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშე-
ბი. მის მიერ შეკრებილია უამრავი ხალხური ლექსი, ზღაპარი. ან-
დაზა, განოცანა, ლეგენდა და ისტორიული თქმულებანი. ის ზედ-
მიწევნით იცნობდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ადამ-ჩვეულებას და
ან მხრივ მან ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორისტიკას შეს-
ცინა მრავალი ხალხური ნაწარმოები. თ. რაზიკაშვილი ნიჭისა და
უნარის გაფურჩქნის პერიოდში, 1922 წლის 19 იანვარს გარდა-
იცვალა 53 წლის ასაკში.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებით —
ნისი მოთხრობების, ზღაპრებისა და ლექსების კრებულებით — უხ-
ვად არის მოფენილი ქართული საბჭოთა სკოლა, წიგნთსაცავები
და ოჯახები. იგი ბავშვებისა და ახალგაზრდების მეტად საყვარელი
მწერალია, რომელმაც, მისივე სიტყვებით „რომ ვთქვით, ქართველი
ხალხის გულში „დაიდგა ძეგლი უკვდავი, თვით უმაგრესი რვა-
ლისა“...

ლიტერატურა: „ლიტერატურის მატინე“, ტ. 1—2; ს. ყუბანეი-
შვილი, „ვუა ფშაველა“ (მასალები); „ძველი საქარ-
თველი“, ტ. III; „ლიტერატურული ძიებანი“, წ. VI;
მ. ი. ხელთუბნელი, „საბავშვო ლიტერატურის
მოამაგე: განხილვა საბჭოთა მასწავლებელი“, 1933 წ.,
ქ. 45; თედო რაზიკაშვილი, „საბავშვო მოთ-
ხრობები. საბლიტვაში, 1947 წ.“



ნიკო ჯანაშია

(1872—1918)

ცნობილი სახალხო მასწავლებელი, თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე, ნიქიერი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი ნიკო სიმონის-ძე ჯანაშია დაიბადა 1872 წელს აფხაზეთის სოფელ აძვიბეაში.

ნიკო ჯანაშიამ პირველდაწყებითი სწავლა სუხუმის მთიელთა სკოლაში მიიღო. აქედან ის გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა.

აღნიშნულ სასწავლებელში ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ბელეტრისტი ნიკო ლომოური, რომლის გავლენის ქვეშ სხვებთან ერთად ნიკო ჯანაშიაც მოექცა.

გორის საოსტატო სემინარიის კურსი ნიკომ 1891 წელს დაამთავრა; იმავე წელს იგი დაინიშნა მასწავლებლად სუხუმის მთიელთა სკოლაში.

ახალგაზრდა მასწავლებელს პარველსავე წელს სუხუმში ბრალ-
დებად წაუყენეს გაქართველების პოლიტიკის მიმდევრობა და მო-
ინდომეს მისი დასჯა, მაგრამ ნიკომ მტრებს დაასწრო და 1892
წელს გადავიდა მასწავლებლად ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკ-
ვანეთში.

ჯერ კიდევ გამოუცდელი მასწავლებელი ნიკო ჯანაშია, მაკვა-
ნეთში მასწავლებლად მისი დანიშვნის გამო, შემდეგსა სწერს თე-
დო სახოკიას: „ვიყავი მაკვანეთში და, როგორც ჩანს, კარგი სო-
ფელი უნდა იყოს. მიღებით კარგად მიმიღეს, თუ როგორ გამის-
ტუმბობენ, — ეს კი არ ვიცი, მაგრამ ეს ჩემზე უნდა იყოს დამოკი-
დებული. ყველაფერში დრო დაგვარწმუნებს“... რამდენიმე ხნის
შემდეგ მაკვანეთიდან ნიკო ჯანაშია იმავე თედო სახოკიას ატყო-
ბინებს: „აქ მე კარგად ვარ და, თუ ვივარგებ, კარგად წავა სკო-
ლის საქმე“.

სოფ. მაკვანეთში ნიკო ჯანაშიას უნარისა და ენერჯის წყა-
ლობით სკოლის საქმე მართლაც კარგად წავიდა, და ხალხმაც შეი-
ჯვარა და დაათასა თავისი მოამაგე მასწავლებელი.

მაკვანეთიდან ნიკო ჯანაშია გუდაუთის სამინისტრო სკოლის
გამგედ გადაჰყავთ. „ნიკო ჯანაშიას მოსვლის შემდეგ, — წერს თედო
სახოკია, — გუდაუთის სკოლაში სურათი რადიკალურად შეიცვალა.
ჩამორჩენილი სკოლა მან მალე მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. ამასთან,
გუდაუთში იგი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ენერჯი-
ულად ეწეოდა, გაზეთებში წერდა მამხილებელ წერილებს და ად-
გილობრივ ჰკვიდრთ იცავდა აღვირახსნილ მოხელეთაგან, უფლიდა
და ხელს უწყობდა სამკითხველოს და თანაც ხშირად მართავდა
ხალხში სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე ბაასს“.

1894 წლიდან 1899 წლამდე დარჩა ნიკო გუდაუთის სკოლაში.
მისგან დიდად დავალებულმა გუდაუთის საზოგადოებამ თავის მას-
წავლებელსა და მოღვაწეს საგანგებო წერილი მიუძღვნა და შემდეგი
სახის მადლობა გადაუხადა გამოთხოვების დროს: „ამ დღეებში, —
ვკითხულობთ ზემონახსენებ წერილში, — გამოეთხოვა აქაური ქართვე-
ლი საზოგადოება ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებელს
ბ. ნიკო ჯანაშიას, რომელიც თავისი სურვილით გადაყვანილი იქნა
სუნაქის სკოლის მასწავლებლად. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ჯა-
ნაშია გადმოიყვანეს გურიიდან მასწავლებლად, მაგრამ ამ მცირე
დროის განმავლობაში მან საკმაოდ დაამჩნია კვალი და თვალსაჩინოდ
წასწია აქაური სკოლის საქმე. თუმცა ეს სკოლა მის მოსვლამდე
არსებობდა, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მიღწეულ ავადმყოფს წა-
იგავდა და რომელ საათში დაღევდა სულს არავინ იცოდა, რის

გამო საზოგადოებასაც გაუტყდა გული... სწორედ ამ გაკვირვების დროს მოუსწრო ჯანაშიამ სკოლას და თავისი შრომით, მხნეობით და ერაგულად საქმის ასრულებით საუკეთესო ნიადაგზე დააყენა დღეს გუდაუთის სკოლის საქმე. განსაკუთრებით დიდი ხალისით ეტანებოდნენ სკოლას მეგრელების და აფხაზების პატარა ყმაწვილები და ქალები... გარდა თავის პირადი მოვალებობისა, თავისუფალ დროს ნ. ჯანაშია ახმარდა საზოგადო საქმეებს... ხშირად ამხილებდა გაზეთების შემწეობით ზოგიერთ აღვირახსნილ კაკარდოსნებს, მათ მოქმედებას და შეძლებისდაგვარად აწვდიდა ჟურნალ „კრებულს“ მკითხველებს ეთნოგრაფიულ წერილებს აფხაზეთიდან. აქ ბოლომდე განაგებდა გუდაუთის სამკითხველოს საქმეს და საზოგადოების დახმარებით აცოცხლებდა მას. დიდის პატივისცემით ვიხსენიებთ აგრეთვე ქ-ნ ელენე ჯანაშიასაც, რომელიც თავის ხელოვნურ ცოდნას არაეის არ ამადლიდა და უფასოდ ასწავლიდა პატარა მოწაფე ქალებს ქსოვას, ქარგვას და სხვა ხელსაქმეს. დიდად საწყენად დარჩა საზოგადოებას ასეთი მასწავლებლის მოშორება*.

ნიკო ჯანაშია გუდაუთიდან სენაკის ქართული სკოლის მასწავლებლად გადაიყვანეს. ნიკომ ამ სკოლაშიც საქმისადმი დიდი სიყვარული და დაუშრეტელი ენერჯია გამოიჩინა. აქ იგი გაიზარდა, პედაგოგიურად დაეაყვაცდა, საკმაო გამოცდილება მიიღო და მასწავლებელთა რიგებში საპატიო ადგილიც დაიკირა.

იაკობ გოგებაშვილი დიდად კმაყოფილი დარჩა სენაკის სკოლის ნაყოფიერი მუშაობით და ამ კმაყოფილებამ მხცივან პედაგოგს ათქვევინა: ერთი წლის წინათ ამ სასწავლებლის ბედი ბეწვზე ეკიდა, ამ მოკლე ხნის განმავლობაში თქვენი ნაყოფიერი მუშაობით (ასე მიმართავს ი. გოგებაშვილი სენაკის სკოლის მასწავლებელს — ა. ხ.) წელში გამართულა და მომავალში, უნდა ვითქვით, მას საშიშროება არ მოეღისო.

ძველი სენაკის სკოლაში ნიკომ მოსწავლეთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. „ბავშვები მუდამ ფუტკარივით ვეხვეოდით ძვირფას აღმზრდელს. ჩვენ მისგან გვესმოდა არა მარტო საგნის დაუფლებაზე ლაპარაკი, არამედ ზნეობაზეც, როგორც სკოლის, ისე მშობლებისა და უფროსების მიმართ, ჩვენი ერის სიყვარულზე და დაჩაგრულ-დაბეჩავებული ადამიანის დაცვაზე“ — იგონებს ნიკო ჯანაშიას სენაკის სკოლის ყოფილი მოსწავლე ექიმი ელ. შურღაია.

ნიკო ჯანაშიასთან და ანდრო შუბლაძესთან ერთად სენაკის სკოლაში მასწავლებლობდა პოლიკარპე ლორთქიფანიძე, რომლის მოგონების ერთი ნაწილი ასე იკითხება: „სასკოლო მუშაობის შემ-

დევ ნიკო წერდა. ან კითხულობდა უფრო ჟურნალ-გაზეთებს. მას მოსდებოდა რუსეთის დიდტანიანი ჟურნალები: „Русское государство“, „Мысль“, „Новая мысль“ და სხვ. ჩვენს შორის ყველაზე უფრო ნაკითხი ნიკო იყო, მაგრამ თავმდაბლობის გამო ამ უპირატესობას არ ამჟღავნებდა.“

როგორც ყველგან, ისე სენაკშიაც ნიკო ერთ-ერთ საუკეთესო აღმზრდელ-მასწავლებლად ითვლებოდა. მან ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწის სახელი მოიხვეჭა ხალხში და ამხანაგ-მეგობრებსა და მოსწავლეებში დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ნიკო ჯანაშიას მიერ გაწეული დიდი მუშაობა 1910 წლიდან სუხუმის სკოლაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლებისა და ბიბლიოთეკების მეთვალყურე მგრიგოლ ბურჭულაძენ შემდეგი სიტყვებით გააცნო ფართო საზოგადოებას: „სკოლის გამგე ნიკო ჯანაშია ფრიად გამოკდილი და დახელოვნებული მასწავლებელია: ყველაფერში ეტყობა, რომ ის პირნათლად და თავგამოდებით ასრულებს თავის მძიმე მოვალეობას, რისთვისაც ქები: და მძღობის ღირსია... მასწავლებლები თანხმობით მუშაობენ და ანიტომაც სუხუმის სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე კარგად არის დაყენებულიო.“

სახალხო განათლების დარგში დიდად წაყოფიერ მოღვაწეობასთან ერთად ნიკო ჯანაშიას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვნეს ფოლკლორული მასალების შეკრებასა და ისტორია-ეთნოგრაფიის საკითხების კვლევა-გაშუქებაში.

ასეთი დაუცხრომელი, მოუსვენარი და მრავალფეროვანი შრომის შედეგად ნიკო ჯანაშია 1918 წლის 6 აპრილს გარდაიცვალა. მისმა უღროლოდ სიკვდილმა პროფესორ იოსებ ყიფშიძეს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „ქართველ მუშაკთა მცირერიცხოვან ჯგუფს კიდევ ერთი წევრი დააკლდა... განსვენებულმა ნიკომ თავისი წვლილი მიიტანა საქმეცნიერო სამსახერპლობე. ამ ღვაწლს მეცნიერება არ დაივიწყებს.“

ლიტერატურა: არკ. ხუნდაძე, „ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ჯანაშია“, საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა; თედო სახოკია, „ნიკო ჯანაშია“, „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ.; ნახეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., № 219.



შიო ჩიკაბიძე

(1873—1906)

გამოჩენილი ქართველი მებრძოლი პედაგოგი, პუბლიცისტი, ნიჭიერი ლიტერატორი - კრიტიკოსი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე შიო ალექსის-ძე ჩიტაძე დაიბადა 1873 წლის 4 (16) თებერვალს ქ. გორში, ხელმოკლე ხელოსნის ოჯახში. დაწყებითი განათლების მისაღებად პატარა შიო მშობლებმა 1880 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც მისი უფროსი ძმა, შემდეგში რევოლუციონერი გოლა ჩიტაძე სწავლობდა. შიო ჩიტაძე ბავშვობიდანვე გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით. იგი მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა გორის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულ მოსწავლეთა ხელნაწერ ეურნალ „ზრომაში“.

გორის სასულიერო სასწავლებლის კურსი შიო ჩიტაძემ წარმატებით დაამთავრა 1887 წელს. ღარიბი მშობლების სურვილი იყო, რომ შიო სადმე სამსახურში მოეწყოთ, მაგრამ უკვე გონებაგახსნილმა და სწავლა-განათლებას მოწყურებულმა ნიქიერმა ყმაწვილმა, უფროსი ძმის რჩევა-დარიგებით, თბილისის მეორე გიმნაზიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები და მესამე კლასში ჩაირიცხა.

თბილისის გიმნაზიაში შიო ჩიტაძე, კლასიკურ ცოდნასთან ერთად, ენერგიულად დაეწაფა თვითგანვითარების გზით ფართო განათლების მიღებას და მხურვალედ ჩაება საზოგადოებრივ-რევოლუციურ მუშაობაში. შიო ჩიტაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა უფროსმა ძმამ გოლა ჩიტაძემ, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდანვე ახლოს იცნობდა და დაკავშირებული იყო თბილისში მოწინავე რუს და ქართველ რევოლუციურ ინტელიგენციასა და მუშებთან. გოლა ჩიტაძეს თბილისში მოწყობილი ჰქონდა არალეგალური წიგნთსაცავი, რომლის საშუალებითაც მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში ვრცელდებოდა რევოლუციური ლიტერატურა. ამ ლიტერატურით პირველრიგში უხვად სარგებლობდა გიმნაზიელი შიო ჩიტაძე. იგი საფუძვლიანად გაეცნო XIX საუკუნის 60-ანი წლების რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა—ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის და სხვ. პროგრესულ იდეებს.

თბილისის „გიმნაზიაში შიო ჩიტაძემ ბევრი ქირ-ვარამი გამოიარა, მოუკვდა ძმა (გოლა ჩიტაძე—ვ. ქ.), დარჩა მარტოდ მარტო. თავის-თავის ანაბარად, მაგრამ ძალუმი ენერგიის პატრონი ახალგაზრდა არ შეუშინდა სოფლის სიღვეს: კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავსა და მშობლებსაც აწვდიდა“ (სოფ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 227). მიუხედავად ასეთი პირობებისა, კულმოდგინე მეცადინეობის შედეგად გიმნაზიის კურსი შიო ჩიტაძემ ოქროს მედლით დაასრულა 1892 წელს.

1892 წელს შიო ჩიტაძე მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა სამედიცინო განათლების მისაღებად, მაგრამ, იმის გამო, რომ მას ეს დარგი არ იზიდავდა, თავი გაანება მოსკოვის უნივერსიტეტს და კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერიცხა 1893 წელს. კიევის უნივერსიტეტში იგი საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა; ერთბაშად მიიქცია მოწინავე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. მალე შ. ჩიტაძე ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, რომელშიც მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

კიევის უნივერსიტეტის კურსი შ. ჩიტაძემ ბრწყინვალედ დაასრულა 1897 წელს. იგი, როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული და საფუძვლიანი სამეცნიერო მომზადების მქონე, მიწვეული იქნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად კიევის გიმნაზიებში, მათ შორის ფუნდკლეევის ცნობილ ქალთა კერძო გიმნაზიაში. პედაგოგიურ სარბიელზე შ. ჩიტაძემ უდიდესი ნიჭი და ერუდიცია გამოიჩინა. იგი შესანიშნავ მასწავლებლად იქნა აღიარებული კიევის სასწავლო ოლქში. როგორც საუკეთესო და უკვე საკმარისად გამოცდილი პედაგოგი, ის ზაფხულობით ხელმძღვანელობდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს და სანიმუშო გაკვეთილების მიცემით არა ერთსა და ორს სახალხო მასწავლებელს უნერგავდა გულში სკოლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სიყვარულს.

შ. ჩიტაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა კიევის პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებშიც სისტემატურად ათავსებდა ფსიქოლოგიურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატია-ნარკვევებს.

შიო ჩიტაძე კიევში, სადაც 1904 წლამდე მოღვაწეობდა, რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა.

1904 წლის შემოდგომაზე თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტმა პედაგოგიურ წრეებში უკვე საკმაოდ სახელმძოხვეჭილი შიო ჩიტაძე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოიწვია. სამშობლო ქვეყანასა და თანამოძმეთა შორის ყოფნას მოწყურებული ახალგაზრდა ქართველი მოღვაწე აღფრთოვანებით შეეგება ამ მოწვევას. კიევის მოწინავე საზოგადოებისაგან ზეინით გამოსტუმრებული და ძვირფასი ნივთებით დასაჩუქრებული შიო ჩიტაძე სექტემბრის დამლევს ჩამოვიდა მშობლიურ დედაქალაქში და მთელი თავისი მეცნიერულ-პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებით შეუდგა თბილისის ქართულ გიმნაზიაში შემოქმედებით პედაგოგიურ მოღვაწეობას. მალე შიო ჩიტაძე ქართული გიმნაზიის ინსპექტორად იქნა დანიშნული. ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ქართულ გიმნაზიაში მმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებასა და სწავლა-აღზრდის ახალ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე დამკვიდრებას შეუდგა. ამ მიზნით აამოქმედა გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი, დაამყარა მასთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა, შეიმუშავა „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაციის“ პროექტი, გამოაქვეყნა იგი პრესაში (გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 89) და წარუდგინა სკოლის გამგე-კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის ამ პროექტის განხილვას სკოლის განგეობის რამდენიმე სპეციალური სხდომა მოუწია, რომელზედაც მაშინდელი ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობის მრავალმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ საკითხზე გამართულმა საჯარო კამათმა იმდენად დიდი მნიშვნელობა და ხასიათი მიიღო, რომ მან პრესაშიც კპოვა ფართო გამოხატულება. კამათის შედეგად, საბოლოოდ შ. ჩიტაძის „პროექტმა“ გაინარჯვა და ქართული გიმნაზიის ნუშაობა ახალი გზით წარიმართა.

თბილისის ქართულ გიმნაზიაში ნუშაობის პერიოდში შიო ჩიტაძემ უფრო ფართოდ გაშალა რევოლუციური ნუშაობა. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო 1905 წლის 13 (26) აპრილს მოწინავე მასწავლებელთა ყრილობა თბილისში, სადაც იგი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ „თავისუფალ სკოლას“ მოითხოვდა.

შ. ჩიტაძე უშუალო მონაწილეობას იღებდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა მიტინგზე 1905 წლის სექტემბერში.

შიო ჩიტაძე თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით არ იყო მარქსისტი, თანმიმდევრული რევოლუციონერი და არასდროს არ ამბულბებულა მარქსისტულ-დიალექტიკური მატერიალიზმის დონეზე. თავისი პოლიტიკური რწმენით იგი სოციალ-ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა და მისი ორგანოების „ცნობის ფურცლისა“ და „შრომის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივი თანამშრომელი იყო (1904-1906 წწ.). მას ეკუთვნოდა ამ გაზეთებში შ. ჩ-სა და „ყვავის“ ფსევდონიმებით მოთავსებული მრავალი წერილი და საპოლემიკო-პოლიტიკური სტატიები. შიო ჩიტაძის ნაწერებში და განსაკუთრებით მის პრაქტიკულ რევოლუციურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში მაინც აშკარად ჩანდა მისი იისწრაფება ცარიზმის რეჟიმის დამხობისაკენ. ამას ნათლად გრძნობდნენ ცარიზმის შავრანზმული ოხრანკის დაგეშილი აგენტები, რომლებიც ემზადებოდნენ მასთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად.

მეფის ოხრანკის ეს სანატრელი დღეც მალე დადგა. 1906 წლის 4 (17) ივლისს თბილისის ქართული გიმნაზიის შენობიდან ვილაცამ პოლიცემისტერ მარტინოვს ყუმბარა ესროლა და დასკრა იგი. ეს შემთხვევა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცარიზმის აგენტებს გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შ. ჩიტაძე გამოეძიებლად და განუკითხავად მხეცური წამებით მოეკლათ გიმნაზიის შენობაში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში.

ცნობილმა ქართულმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებაში“, რომელიც დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა, თბილისის ქართული გიმნაზიის აკლემბისა და შ. ჩიტაძის მკვლევლობის შედეგები მეტად სრულყოფილად აუწყა საზოგადოებას. „შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს სასწავლებელი. მთელი შენობა დაბლა სართულიდან მესამე სართულამდე აოხრებული და განადგურებულია. აოხრებულია როგორც კერძო პირების — შვეიცრისა და სხვების ბინა, აგრეთვე სასწავლო ნიეთებიც. დანგრეულია სასწავლებლის წიგნსაცავი, წიგნები სულ ერთიანად დახეულია. მთელს შენობაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ემჩნევა სისხლის წვეთები, ეტყობა დაქრილ მასწავლებელთ ბევრი ურბენიათ, რომ როგორმე თავისათვის ეშველნათ. ყველაზე უფრო გულისმომკვლელია შიო ჩიტაძის სადგომი. სასადილო ოთახი, სადაც განსვენებული მოუკლავთ, სისხლით არის მოსვრილი. იატაკზე დამხმარი ტბაა სისხლისა. მოსვრილია სისხლით კედლები და კერიც, ეტყობა სისხლის კამარას კერში აუხხამს. სტოლზე დევს სისხლით გასვრილი დანა, ალბად ამ დანით გამოსჭირეს შიოს ყელი ტყვიით დაქრის შემდეგ. დახეულია და სისხლში ყრია განსვენებულის წიგნები, რვეულები და სხვა; სისხლში ყრია ნაკუწ-ნაკუწად დახეული განსვენებულის სურათებიც. დაღწილი და დამსხვრეულია შკაფები, ყუთები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი რამ ყოფილა სანღში“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., № 14).

ამავე გაზეთმა პატარა ნეკროლოგში ასე შეათასა შ. ჩიტაძის როლი და მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: „თვითმპყრობელობის ავკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა, სტუდენტობის დროს, თავისი იდეალისტური მისწრაფიით და გაღვიძებული თეორეტიული ინტერესით საყოველთაო პატივისცემა ქონდა დამსახურებული როგორც ქართველ, ისე რუს სტუდენტობაში და განსაკუთრებით თავის თანამემამულეებზე ნაყოფიერ გავლენას ახდენდა. ამავე დროს სერიოზულად სანდო ადამიანის სახელი ჰქონდა დამსახურებული კიევის მოწინავე საზოგადოებაში. უნივერსიტეტს შემდეგ პედაგოგიური სარბიელი აირჩია და ყველგან, დიდსა და პატარაში, ღრმა და გულწრფელი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული, მუდმივად თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“ და „ვოზროკდენიეში“. თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ თანამოაზრეთა შორის უკანასკნელად არ ითვლებოდა და, თუმცა ის ჩვენი იდეური მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მისი მოკვლა ჩვენც არა ნაკლებ გვივ-

სებს გულს შურისძიების გრძობით. დეე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუ-
შორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვი-
წოდებდეს“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., № 14).

ასე უდროოდ დასრულდა შიო ჩიტაძის ახალგაზრდული ენერ-
გიით აღსავსე სიცოცხლე. იგი მსხვერპლად შეეწირა უსამართლობისა-
და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლას.

შიო ჩიტაძე არა მარტო პოლიტიკური მოაზროვნე და პუბლი-
ცისტი-ჟურნალისტი იყო, არამედ მხატვრული ლიტერატურის თვალ-
საჩინო კრიტიკოსიც. იგი საფუძვლიანად იცნობდა დასავლეთი ევ-
როპის, დიდი რუსეთისა და საქართველოს ლიტერატურასა და ფი-
ლოსოფიას. შიო ჩიტაძის კრიტიკული, ისტორიულ-ლიტერატუ-
რული ნარკვევები: „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება“ („ცნობის
ფურცელი“, 1905-1906 წ. წ.). „ანტონ ჩეხოვის ხსოვნას“ („ცნო-
ბის ფურცელი“, 1905 წ. № 2857), „ნიცშეს იდეალი“ („ცნობის
ფურცელი“, 1905 წ.), „Жертва безвременья“ (1906 წ.) ამჟამადაც
იპყრობს მკითხველთა და სპეციალისტთა ყურადღებას. მასვე ეკუ-
თვნის საინტერესო სტატიები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმე-
დების შესახებ: „მწუხრის მგოსანი“ („ცნობის ფურცელი“, 1905 წ.
№ 2906) და „სამწუხარო მოვლენა“ („ცნობის ფურცელი“, 1905).

შ. ჩიტაძე მრავალმხრივ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ, პრაქ-
ტიკულ-პედაგოგიურ და პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეო-
ბასთან ერთად თვალსაჩინო თეორიულ-პედაგოგიკურ მუშაობასაც
ეწეოდა. შ. ჩიტაძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქარ-
თველოში პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. ფართო და
საფუძვლიანი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მომზადება საკ-
მაო საშუალებას აძლევდა მას ღრმად დაემუშავებინა იმ დროისა-
თვის აქტუალური პედაგოგიური საკითხები.

ძირითად პრობლემას, რომელსაც შ. ჩიტაძის პედაგოგიკური
შეხედულებანი ემყარებოდა, აღზრდის პროცესის ბუნებისა და აღზრ-
დელის როლის გათვალისწინება წარმოადგენდა. ამ პრობლემის
გადაწყვეტას იგი თანამედროვე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის
მეცნიერული მონაცემების საფუძველზე ცდილობდა.

შ. ჩიტაძის აზრით პედაგოგს, რომელიც ბავშვთა აღზრდის
პროცესის რაციონალურად წარმართვისათვის არის მოწოდებული,
ფართო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონ-
დეს. მისთვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი ადამიანის შინაგანი ფსი-
ქოლოგიური ცხოვრების მხარეები. ეს გარემოება პედაგოგიკურ მუ-
შაობას მეტად ძნელ საქმედ ხდის, რომელიც საგანგებო ნიქსა და-
დიდ მეცნიერულ ცოდნას მოითხოვს.

მასწავლებლის პედაგოგიური მუშაობა სკოლაში ხორციელდება. ამიტომ სკოლის მუშაობის სწორ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე აგება ბავშვთა და მოზარდთა რაციონალური სწავლა-აღზრდის ძირითადი საფუძველია. ამის გამო, შ. ჩიტაძე უდიდეს ყურადღებას აქცევდა საერთოდ თანამედროვე სკოლების მუშაობის პრინციპების კრიტიკას და კერძოდ თბილისის ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის არსებით საკითხებს.

სკოლა შ. ჩიტაძეს, XVII-ს. სახელგანთქმული ჩეხი პედაგოგის ი. ა. კომენსკის მსგავსად, „ხელოვანის სანუშაო ოთახად“ მიაჩნდა, „სადაც ადამიანის სულმა უნდა მიიღოს შესაფერისი ფორმა და შინაარსი“ (გახ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2604).

სკოლაში სწავლების დაახლოვება ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ მომზადებას მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, ამავე დროს მოსწავლეებში აძლიერებს ინტერესს სწავლისადმი და ამალღებს სწავლების ხარისხს.

სწავლების შინაარსი ზოგადი განათლების საშუალო სკოლაში, შ. ჩიტაძის აზრით, ზუსტად უნდა შემოიფარგლოს. იგი არ უნდა იყოს სავესე „ერთგვარი წვრილმანებით, როგორც ახლად და რასაც დღეს ბევრი ღრო უნდება“, არამედ შეიცავდეს „საგნიდან არსის ამოღებას“ და უზრუნველყოფდეს „მის ჯეროვანად შესწავლას“. ასეთია სწავლებაში ინტერესის გამოწვევის ძირითადი პირობა. მოსწავლეთა ინტერესს არა ნაკლებ იწვევს და აძლიერებს, აგრეთვე, მასწავლებელი და მის მიერ სწავლების პროცესის სწორად წარმართვა. მასწავლებელი სწავლებისას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს მოსწავლეთა ინტერესს, როდესაც იგი სწავლების მეცნიერულ შინაარსს ბუნებრივად შეუფარდებს მოსწავლეთა მომზადების დონეს. და ასაკობრივ თავისებურებას, რადგან „ყოველ ასაკს სათანადო მასალა სჭირია.“

შ. ჩიტაძეს კარგად ესმოდა ის ძირითადი პედაგოგიური დებულება, რომ მიღებულ ცოდნას მაშინ აქვს მკვიდრი საფუძველი, იგი მაშინ არის მტკიცე და ადვილად განოიყენება პრაქტიკაში როდესაც დამოუკიდებელი გზით, საკუთარი დაკვირვებით არის მოპოვებული.

ამავე დროს შიო ჩიტაძე დარწმუნებული იყო, რომ სწავლების პროცესის რაციონალიზაცია, სწავლების ხარისხის ამაღლება არსებითად არის დაშოკიდებული სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელებისაგან. „ხალხი და სკოლა განუყოფელია, — წერდა შიო ჩიტაძე, — სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვ-

რებისა, მისგან საზრდოობს და ცხოვრობს“. ამიტომ, მისი აზრით, — დამტკიცება არ არის საჭირო იმ აზრისა, რომ ყოველ ეროვნებას თავისი სკოლა უნდა ჰქონდეს: ქართველს — ქართული, პოლონელს — პოლონური და სხვ. ეს აუცილებელი პირობაა არა მარტო იმიტომ, რომ სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აგებული, დაცავს ეროვნების ფიზიანომიას, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ სწავლება, განათლების მიღება, განვითარება უფრო ადვილია სამშობლო ენაზე“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2636). მეორე ადგილას იგი წერდა: „ქართველი ერი არ არის რუსის ერი; ქართველი ერის ცხოვრება განსხვავდება რუსი ერის ცხოვრებისაგან, და ამიტომ შეუძლებელია ერთი, საზოგადო სკოლა ორივე ერისათვის: საქართველოსათვის საჭიროა ქართული სკოლა და თხოვლობს კიდევ ასეთ სკოლას“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2804). ამ პოზიციაზე დაყრდნობით ეწეოდა შიო ჩიტაძე მეფის რუსეთის სკოლების კრიტიკას, ამიტომ მოითხოვდა იგი თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლების მოსწავლეთა დედაენაზე განხორციელებას. „ქართველებისათვის რუსული ენა, — წერდა იგი, — სამშობლო ენა არ არის და მასზე სწავლა სალი პედაგოგიკის წინააღმდეგაა“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2836). ამავე დროს, შიო ჩიტაძისათვის უდავო იყო, რომ რუსული ენის დაუფლების გარეშე მოსწავლენი ვერ მიიღებენ საფუძვლიან მეცნიერულ განათლებას. „ურუსულენოდ კი სწავლა სკოლაში შეუძლებელია, — წერდა იგი. — რუსულ ენაში ცუდად გავარჯიშებული მოსწავლენი ძნელად ითვისებენ საგნებს“ (იქვე). თვითონ შიო ჩიტაძე, როგორც რუსული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი პედაგოგი, მისი საუკეთესო მცოდნე და რუსული ენისა და ლიტერატურის შეუდარებელი მასწავლებელი, ყოველთვის ცდილობდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას როგორმე უფრო საფუძვლიანად და სრულყოფილად შეეთვისებინა მდიდარი რუსული ენა და ლიტერატურა.

ამრიგად, ბავშვთა ბუნების, მათი ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინება სწავლებაში, სწავლების შინაარსის საფუძვლიანი გარდაქმნა ახალ მეცნიერულ მოთხოვნათა შესაბამისად, თავისუფალი სახალხო სკოლის შექმნა, მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელება, თვალსაჩინო, სისტემატურ - თანმიმდევრული და შეგნებული სწავლება, სწავლების პროცესში ინტერესისა და სტიმულის გამოწვევა-გაძლიერება მოსწავლეებში და მასწავლებლის შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობა — აი, ის ძირითადი საფუძვლები, რომლებზეც აგებული უნდა იყოს, შიო ჩიტაძის აზრით, სწავლება.

შიო ჩიტაძე საგანგებო ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. თავის პრაქტიკულ-პედაგოგიურ მუშაობაში იგი ზნეობრივი ქცევის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდა და სისტემატურ მუშაობას ეწეოდა იმისათვის, რომ ქცევის ეს ნიმუშები დაენერგა მოსწავლეებში. ამ მხრივ იგი ყველასათვის მისაბაძი აღმზრდელი პედაგოგი იყო. თავის თეორიულ-პედაგოგიურ ნაშრომებში შიო ჩიტაძე ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას აღიარებდა მთლიანი პედაგოგიური პროცესის ძირითად და ორგანულ ნაწილად.

შიო ჩიტაძე იყო უაღრესად მოწინავე საზოგადო მოღვაწე პედაგოგი. იგი სასტიკად ებრძოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიური რუტინის და კონსერვატიზმის ყოველგვარ საფუძვლებსა და გამოვლინებას. შიო ჩიტაძე მებრძოლი ბუნებისა და ნათელი პერსპექტივის ადამიანი იყო და საზოგადოებას ყოველთვის ბრწყინვალე მომავლისაკენ მოუწოდებდა. „სინათლე ძლიერია სიბნელეზე, — წერდა იგი, — და ნურვინ იფიქრებს, რომ იგი ოდესმე დანარცხდეს, არის დრო, როდესაც სინათლის სხივები ოდნავ ბუუტავენ, როცა უკუნით არის მოცული არე-მარე, მაგრამ სხივები შეერთდებიან, გააპოზენ სიბნელეს, დააბრმავებენ სიბნელეში სიარულის მოსიყვარულეთ და განუბრწყინებენ გზას იმათ, ვისაც ლამპარი ხელში უჭირავს“.


დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი „ლამპარის სინათლით“ გაბრწყინებული და გამარჯვებული ქართველი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით მოიგონებს შიო ჩიტაძის დიდ ღვაწლს და ამაგს.

ლიტერატურა: I. შ. ჩიტაძე, სათავად-ახნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № № 2534, 2536, 2837, 2840 და 2841; დიდი რიზი და სუსტი ღონე, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № № 2816 და 2848; უცნაური შეღავათი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1915 წ., № 2860; სამჯრი საქმე, იგივე გაზეთი, № 2864; უცნაური ექიმი, იგივე გაზეთი, № 2865; სამარცხეინო ბორკილი, იგივე გაზეთი, № 2867; ახალი წესწყობილება, № 2885; ერთი ნაკლ-თაგანი, № 2884; ხალხის ხმის გადამეგები, № 2885; თავისუფლების ღირსნი არა ვართ? № 2958; გუშინდელი წარსული, № 2971; მომავალი ტაქტიკა, № 2972; პატარა ამბების მაგიერი, № № 2975, 2979, 2985 და 3001; გამოძახილი, № № 3019, 3025 და 3031; *Керпеш* *ნეპрехижен*, 1906 წ.; მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № № 2906, 2912 და 2964 და 1906 წ., № 2977; ანტონ

ჩეხოვის სახსოვრად, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2857, ნიკმეს იდეალი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № № 2868, 2871 და 2875; მწუხრის ბგოსანი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2908; სამწუხარო მოვლენა, გაზ. ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2930; ფსოქოლოგიური წერილები (სულის ცხოვრება), ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება, „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 5, ინტერესი სწავლებაში, „პედაგოგიური ფურცელი“. 1905 წ., № 3; საქართველოსათვის ქართული სკოლა, გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1905 წ., № 2804; რაგვარი წიგნებია სასურველი მობარდ თაობისათვის, „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 2 და სხვა.

II. ი. გოგებაშვილი, ჩვენი მოვლენობა ობლების წინაშე, გაზ. „შრომა“, 1906 წ., № 87; სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938; ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ.; სიმ. ხუნდაძე, მაქსიმ გორკი საქართველოში, „სალიტერატურო გაზეთი“, 1932 წ., № 27; Л. Кашев, Горький в Тифлисе; ლ. ასათიანი, გორკი საქართველოში, „წიგნები ლიტერატურაზე“, 1946 წ.; ანა ნიკოლაძე, გორკი და საქართველო, ჟურ. „მნათობი“, 1945 წ., № 4; იაკ. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ.; ვ. იმედაძე, ლესია უკრაინკა საქართველოში, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., № 30; ი. გოგებაშვილი, შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 3014; ა. ლულაძე, თბილისის სათავად-ახნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზეთი „ივერია“, 1905 წ. № № 99, 100 და 101; გერ. გორგაძე, ქართული ენა თბილისის სათავად-ახნაურო სკოლაში, გაზ. „ივერია“, 1905 წ., № № 99, 97 და 103; მისივე, თბილისის სათავად-ახნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2847; გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ.; გაზ. „ანალი ცხოვრება“, 1906 წ., № № 13 და 14; გაზ. „შრომა“, 1906 წ.; № № 76 და 77; გაზ. „სიმართლე“, 1906 წ., № 2; ჟურნ. „ნიშადური“, 1908, № 51; შ. სიხარულიძე, შიო ჩიტაძის ბიოგრაფიის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 12; მისივე, შიო ჩიტაძე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., № 35, В. Каджаш, Шко Чптадзе, (к 40-летию со дня смерти), газ. „Заря Востока“, 1946 г.; № 142; ვ. ქაჯაია, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ჩიტაძე (მონოგრაფია), 1948 წ.

სახელსო მენეჯმენტები



სტეფანე ძიმისჯაკიშვილი (1847—1912)

სტეფანე შიოს-ძე ძიმისჯაკიშვილი დაიბადა 1847 წელს სენაკის მაზრის სოფელ კვაუთში. იმ დროს მთელ სამეგრელოში მხოლოდ ერთი სკოლა — მარტვილის სასულიერო სასწავლებელი — არსებობდა.

ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტეფანე ძიმისჯაკიშვილი შევიდა ქუთაისის I გიმნაზიაში. სწავლის მოყვარული, ბეჯითი და ნიჭიერი სტეფანე, ამთავრებს რა გიმნაზიის კურსსაც, მიუხედავად ნივთიერი ხელმოკლეობისა, ახერხებს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლას.

ინსტიტუტის კურსის დასრულების შემდეგ სტეფანე ძიმისჯაკიშვილი მასწავლებლობს ხან მარტვილში, ხან სენაკში და უკანასკნელ ხანებში ქუთაისში. როგორც ღირსეული პედაგოგი და საზოგა-

დო მოღვაწე, იგი ყველგან იმსახურებს თავის მოსწავლეებისა და ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას.

როგორც იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესიდან („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“) ირკვევა, ს. ძიმისტარი შვილი ერთი მოწინავე პედაგოგი და საზოგადო მოღვაწეთაგანი იყო. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ იგი თავგამოდებით და უშიშრად იცავდა სკოლებში ქართული ენის სწავლებას, იმ ენის სწავლებას, რომელსაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მეფის მთავრობა სავსებით უპირებდა განდევნას საქართველოს სკოლებიდან.

ამგვარი ბრძოლისა და შეუპოვრობისათვის სტეფანე ძიმისტარი-შვილი არაერთხელ დასჯილა სხვადასხვა ადგილას გადაყვანით, ან სამსახურიდან სრულიად მოხსნით, მაგრამ ეს დევნა-შევიწროება მას არ აშინებდა და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ცარიზმის რუსიფიკატორი აგენტებისა და მოხელეების წინააღმდეგ.

ოთხმოცდაათიან წლებში, შავრაზმელი ხუცის ვოსტორგოვისა, სკოლების ზედამხედველ ლევიცკის და მათი ადგილობრივ დამქაშთა გადაწყვეტილებით სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და რუსული ასოებით მეგრული ენის სწავლების დანერგვის წინააღმდეგ ამატყდარ სახალხო მოძრაობაში სტეფანე ძიმისტარი-შვილი ერთი თვალსაჩინო მებრძოლი იყო. სტეფანემ ხმა აღიმალა ამ „უკუღმართობის“ წინააღმდეგ როგორც პრაქტიკულად, ისე პრესაშიც. აღნიშნული უკუღმართობის წინააღმდეგ არის მიმართული აკრეთვე მისი ლექსი „ჩემს მტარვალს“, რომელიც ავტორმა უძღვნა თავის მეგობარს, ცნობილ ქართველ ბელეტრისტს სოფრომ მგალობლიშვილს.

სტეფანე ძიმისტარი-შვილი აქტიური მონაწილე იყო თითქმის ყველა კულტურული საქმიანობისა და წამოწყებისა. ის ერთი დამაარსებელთაგანია ქუთაისის სკენის მოყვარეთა იმ წრისა, რომელმაც შემდეგ საფუძველი დაუდო ქუთაისის მუდმივ სკენას.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე სტ. ძიმისტარი-შვილმა საკუთარი ინიციატივითა და ენერგიით შესძლო კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ და დაშორებულ მთელ რიგ სოფლებში დაეარსებინა სამრევლო სკოლები, სადაც ხერხდებოდა ქართული ენის სწავლება და ამ საგნის დამცველ მასწავლებელთა მიწყობაც. ამ საქმეში ძიმისტარი-შვილს ხელს უწყობდა მისი პირადი მეგობარი და იმ ხანებში (1898—1909) სამრევლო სკოლების ზედამხედველი ცნობილი პედაგოგი და ისტორიკოსი თედო ქორღანია.

სტეფანე ძიმისტარიშვილს ქართულ ლიტერატურაშიც როგორც მწერალს, პოეტსა და ჟურნალისტს, გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი. მან ჯერ კიდევ სკოლის კედლებში, მოსწავლეობისას, 1866 წელს დაიწყო ლექსების წერა. მას შემდეგ ძიმისტარიშვილს, ვიდრე ცოცხალი იყო, კალამი არ დაუდვია. წერდა ლექსებს, სცენებს, ფელეტონებს, კორესპონდენციებს სხვადასხვა საკიბო-ბოროტო საკითხებზე. მისი ნაწერები „კორტობას“ ფსევდონიმით სისტემატურად თავსდება მამინდელს ისეთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში როგორც იყო „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ნაკადული“, „ისარი“, „ნიშადური“ და სხვა.

როგორც პოეტი, იგი აკაკის სკოლის მიმდევარია. მისი ლექსების უმეტესობა, შთაგონებული სამშობლოს სიყვარულით, ცარიზმის ბორკილებიდან მშობლიური ქვეყნის განთავისუფლებასა და გლეხის დუხჭირი ყოფის საკითხებს დასტრიალებდა. მართალაა, კორტობას ლექსებში არ იგრძნობა აკაკის ლირიკის მომხიბვლელი სისილადე და არც იმისი აზრის სიღრმის ნაკადი, მაგრამ მას ჩრდილქვეშ მორცხვად მდგარი, შესაძლებლობის ფარგლებში, თავისი სუსტი ლექსებით იგი იმავე საკითხებსა და რწმენას ევლებოდა თავს, რისთვისაც იღწვოდნენ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის კარიფეები.

მისი ნაწერების პირველი კრებული გამოიცა 1904 წელს „კორტობას“ ფსევდონიმით, ხოლო მეორე კრებულის გამოცემა, რომელსაც ის 1912 წლისათვის აპირებდა, ვერ მოასწრო და უმთავრესად, როგორც თვითონ გადმოგვცემს ერთს წერილში, ეს მთელი კრებული დაეღუპა ე. ხელაძის სტამბის ხანძრით განადგურების დროს. რაც შეეხება მის ცნობილ ზღაპარ-პოემა „ჩიტბელურას“, რომელიც 1913 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა (1920 წ.). ავტორს თავის სიცოცხლეში გადაუცია ამ ჟურნალის რედაქციისათვის.

ამ ზღაპრის შესახებ სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს, რომ იგი სტ. ძიმისტარიშვილს ჯერ კიდევ 1893 წელს ჰქონია ლექსად დაწერილი. და როცა აკაკი სტუმრებია მას სენაკში, მისთვის გადაუკითხვინებია. აკაკისაც მოსწონებია და უთქვამს: „მშვენიერია ბავშვების საკითხავადაა“.

სტეფანე ძიმისტარიშვილმა როგორც საზოგადოებრივ-პედაგოგიურს, ისე სამწერლო ასპარეზზე საკუთარი ძალისა და შესა-

ქლებლობის მიხედვით „აღზექდა თვისი ნავალი“, რომელიც ყოველ-
წლის იქნება გახსენების ღირსი.

სტეფანე ძინისთავიშვილი გარდაიცვალა 1912 წლის ნოემბრის
ოვეში და დაკრძალულ იქნა მშობლიურ სოფელ კვათში.

ლიტერატურა: „ფრთხობა“. 1865 წ. № 67 (კორტობა); 1883 წ.
№ 58; 1872 წ. № 22; 1877 წ. № 177; 1875 წ. № 104;
1888 წ. № 16; 1874 წ. № 431; 1875 წ. № 44; 1877 წ.
№ 169; 1869 წ. № 23. სოფრომ მგალობლი-
შვილი, მოგონებანი; ზუგდიდის ნუზეუმის შრო-
მები ტ. I: ვახ. კომუნისტური განათლება, 1938 წ.,
№ 15.



გიგო შახაშიძე

(1848—1932)

გიგო (გიორგი) დავითის-ძე შარაშიძე სახალხო განათლების დარგის თავდადებულ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გიგო შარაშიძეს მუდამ ამოძრავებდა ხალხისადმი სამსახურის სურვილი და პედაგოგიურ დარგში მუშაობით შეძლებისდაგვარად ცდილობდა სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისათვის.

გიგო შარაშიძე დაიბადა 1848 წელს სოფ. საყვავისტყეში (ჩოხატაურის რაიონში). ქართული წერა-კითხვა დედის ხელმძღვანელობით შინ შეისწავლა. 12 წლისა იქნებოდა, როდესაც ქუთაისის საბალოსნო სასწავლებელში მოეწყო, სადაც მხოლოდ 7 თვემდე დაჰყო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოახერხა რუსული წერა-კითხვის საკმაოდ შესწავლა. შემდეგ სწავლა განაგრძო ოზურგე-

თის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც დედის სიკვდილის გამო არ დაუმთავრებია.

ამის შემდეგ გ. შარაშიძემ გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი თვით-განვითარებას, სახალხო მასწავლებლობისათვის მოემზადა და 1869 წლიდან მუშაობა დაიწყო სოფ. ძიმითის სკოლაში. ამ პერიოდში ის გაეცნო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მასწავლებელს პეტრე უმიკაშვილს, რომელმაც ახალგაზრდა გიგო შარაშიძეზე დიდი გავლენა მოახდინა. პ. უმიკაშვილი სისტემატურად აწვდიდა მას სხვადასხვა წიგნებსა და გაზეთებს.

სოფ. ძიმითის სკოლაში გ. შარაშიძე დარჩა 5 წელიწადს, რის შემდეგაც იგი მასწავლებლად ვადავიდა სოფ. ბახეში, სადაც საკლთარი სახსრებით გაბრიელ ქიქოძემ გახსნა სკოლა. სოფ. ბახეში ყოფნის დროს გ. შარაშიძე აქტიურად ჩაება ბალხოსნურ მოძრაობაში და მისი ინიციატივით ბახესა და სოფ. ლიხაურში ხალხოსანთა წრეები ჩამოყალიბდა. მას მკიდრო კავშირი ჰქონდა ცნობილ ხალხოსან ის. ქიქოძესა, მიხ. ყიფიანსა და სხვებთან, რომელთა დავალებითაც რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან მიღებულ რევოლუციურ ლიტერატურას ბახვის ტყეში სპეციალურად ამისათვის ჩამარბულ ქვევრებში ინახავდა და შემდეგ ხალხში ავრცელებდა.

გ. შარაშიძის რევოლუციური მუშაობა ყურადღებიდან არ გამოჰპარვიათ თვითმპყრობელობის აგენტებს. 70-იან წლებში გ. შარაშიძე გაჩხრიკეს და რამდენიმე ხნით დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ ახალგაზრდა მასწავლებელი სამი წლის განმავლობაში პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ბახვის სკოლაში მუშაობას, თავის მეუღლე ნინოსთან ერთად, გ. შარაშიძემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი. 1875 წელს გაზ. „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „ეს სკოლა (ბახვის სკოლა-მ.კ.) ითვლება საუკეთესო სასწავლებლად ყველა სოფლისა და, მე მგონია სამაზრო სკოლებშიც. შენობა ორსართულიანია და იტევს 138 მოწაფეს ერთი გონიერი მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც ახალი მეთოდის საშუალებით ასწავლის.“

სოფ. ბახეში მასწავლებლობის პერიოდში გ. შარაშიძეს ხშირად მოსვლია უსიამოვნება მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებთან (მაგ. ლევიცი და სხვ.), რომლებაც მტკიცედ მოითხოვდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას და ე. წ. „მუნჯური მეთოდით“ ქართველი ბავშვებისათვის საგნების სწავლებას.

მაგრამ მოწინავე იდეებით გამსჭვალული გ. შარაშიძე ყოველთვის საღი პედაგოგიური მეთოდის გამოყენებით ასწავლიდა მოსწავლეებს და, მიუხედავად სასტიკი დევნისა, სახელმძღვანელოებად

სკოლებში იყენებდა ი. გოგებაშვილისა და კ. უშინსკის წიგნებს
გ. შარაშიძეს სოფლის მოსახლეობაში უდიდესი სიყვარული
და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. მიუხედავად ამისა, ყოფი-
ლა შემთხვევა, როდესაც ხალხისათვის თავდადებულ მასწავლე-
ბელს დიდ უსიამოვნებას აყენებდნენ და სრულიად დაუმსახურებ-
ლად ცილს წამებდნენ, მაგრამ გ. შარაშიძეს ამის გამო სოფლის
სკოლაში მუშაობა არ მიუტოვებია და „მყუდრო ადგილის“ ძებნა
არ დაუწყია.

1899 წლის „კვალის“ მე-8 ნომერში დასტამბულია კორესპონ-
დენცია, რომლის ავტორიც ლაპარაკობს ბახვის მამასახლისის
უმსგავსო საქციელზე და სხვათა შორის კიცხავს ბახვის სკოლის
მასწავლებელსაც (გვარის დაუსახელებლად).

როგორც გ. შარაშიძის პასუხიდან ჩანს („კვალი“, 1899 წ.,
№13), კორესპონდენტი თურმე მას გულისხმობდა, და წერს: „ნიშან-
ში ამოღებული ბახვის სკოლის ერთი პედაგოგი მას გამოჰყავს
მეტად უსაქციელო პირად. მართლაც, ვინ იტყვის, რომ გაკიცხვისა
და დაძრახვის ღირსი არ იყოს ის სოფლის მასწავლებელი, რომელ-
საც ისე დაუმცირებია თავისი წმინდა მოვალეობის ღირსება, ისე
დაუმდაბლებია მასწავლებლის მაღალზნეობითი სახე, რომ სოფლის
მოხელეთა ურიგო საქციელის დამცველ-მუარველი გამხდარა.“

მაგრამ მთელი ბრალდება გ. შარაშიძის წინააღმდეგ პირად
ნიადაგზე ყოფილა აგებული, რასაც „კვალის“ რედაქციის შენიშვნა
მოწმობს: „წერილი ბახვის სკოლის შესახებ უკვე მივიღეთ. შიგ
მოთხრობილი ფაქტები ისეთი ხასიათის არიან, რომ ჩვენ საჭიროდ
დავინახეთ მისი შემოწმება კერძო გამოძიებით. ამ გამოძიების
შედეგია ის, რომ წერილი აღარ დაიბეჭდებოდა.... ფარდას იქით ამბა-
ვი ჩვენს კორესპონდენტს, როგორც გარეშე პირს არ ცოდნია და
მით შეცდომაში შეუყვანიათ.“

მაგრამ ასეთი უსიამოვნო შემთხვევები სოფლის მასწავლებელ-
თა შორის მართო ერთეულებს როდი ხვდებოდათ. მათი უმრავლეს-
ობა ხშირად განიცდიდა დევნას ბიუროკრატიული მმართველობი-
საგან. ეს იმ დროს, როდესაც სოფლის სკოლებში მასწავლებლობა
არც თუ ისე სახარბიელო და მიმზიდველი იყო თვითმპყრობელობის
შეუზღუდველი ბატონობის პირობებში.

გ. შარაშიძე 1905 წელს მასწავლებლობდა ახალციხის სამოქალაქო
სასწავლებელთან გახსნილ დამატებით კლასებში, ხოლო შემდეგ ჭია-
თურის ქალთა სასწავლებელში. მისი ერთ-ერთი ბიოგრაფის სიტყვით
„გიგოს ზრუნვა მოწაფეებზე მართო სასწავლებლის კედლებით არ
ისაზღვრებოდა. ბახვის სკოლაში სწავლა-დამთავრებულ ნიჭიერ

მოწათფებს გზას უკვლევდა, ხშირად თვითონვე ამზადებდა უსასყიდლოდ და სწავლის გაგრძობაში შეელოდა!.”

გ. შარაშიძე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1932 წელს. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, გ. შარაშიძე პრესაშიც იღებდა მონაწილეობას. უმათერესად წერდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. გ. შარაშიძის ორი ნაშრომი „გაზის ექვსი საუკეთესო გურული ჯიშის ამპელოგრაფია“ და „გურიაში შეგროვებული სალექსიკონო მასალა“ თავის დროზე ვრცლად გამოიყენა აკად. ივ. ჯავახიშვილმა და ამ ნაშრომთა დიდი ღირსება აღნიშნა².

გ. შარაშიძის „გურული ლექსიკონი“ დაიბეჭდა პროფ. ვ. ბერიძის რედაქტორობით გამოსულ კრებულში „გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი“ (1938 წ.). გ. შარაშიძის ნაშრომის შესახებ პროფ. ვ. ბერიძე საგანგებოდ შენიშნავს: „გ. შარაშიძემ მთელი თავისი ხანგრძლივი მუშაობა პედაგოგიურ ასპარეზზე (თითქმის სამოცი წელი) გურიაში გაატარა. ამ გარემოებაში ხელი შეუწყო მას ვასცნობოდა გურიის ყველა კუთხეს და მის მეტად საგულისხმო ენობრივ ფაქტებს მრავალი ათეული წლისას მის ლექსიკონშიაც მოცემული ენობრივი მასალა სწვდება თითქმის მთელ საუკუნეს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ შიგ მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც დროთა ვითარებაში, ძველი ყოფის შეცვლასთან დაკავშირებით, დავიწყებულია, უკვე არ იხმარება, მაგრამ ენის ისტორიისათვის მინც უდიდესი მნიშვნელობისაა“ (გვ. VII).

გ. შარაშიძეს აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს საინტერესო წერილები გურიის სახალხო სკოლების ისტორიიდანაც, რომლებიც სახალხო განათლების ისტორიის მკვლევარისათვის საგულისხმო მასალებს შეიცავს.

ლიტერატურა: 1. გ. შარაშიძე, ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან, შ. „განათლება“, 1916 წ., № 1, 2, 8-9; გურული ლექსიკონი, იხ. კრებული გურული, ზემო-იმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი, 1938 წ.;

11. ნ ა რ ი ნ ი, სახალხო განათლების მოღვაწენი—გ. შარაშიძე, ჟურ. „განათლება“, 1915 წ., № 4: „კვალი“, 1899 წ., № 13; ლ. ი.—გ. შარაშიძე, (ბიოგრაფია), „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925 წ., № 2; ნინო და გიგო შარაშიძეები, „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925 წ., № 6.

² შ. „განათლება“, 1915 წ., № 4, გვ. 304.

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1935 წ., გვ. 455-462.



გიორგი უთუგაური

(1851—1897)

გიორგი გრიგოლის-ძე უთურგაული დაიბადა 1851 წელს სოფ. ახილში, ხევსურეთში. მშობლებს გადაუწყვეტიათ პატარა გიორგისათვის სწავლა-განათლება მიეცათ და ამ მიზნით მიუბარებიათ თიანეთის პირველ დაწყებით სკოლაში, რომელიც დაუმთავრებია 1863 წელს.

1864 წელს გიორგის სწავლა განუგრძია თბილისის სასულიერო სასწავლებელში. აღნიშნული სასწავლებელი უთურგაულმა დაასრულა 1867 წელს. იმ ხანებში სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იყო დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც სწავლა-აღზრდის საქმე მტკიცე ნიადაგზე დააყენა. უქველია, გიორგიმ განიცადა „დედა ენის“ ავტორის კეთილისმყოფელი გავლენა. იმავე წელს (1867) გ. უთურგაული შევიდა სასულიერ-

რო სემინარიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ თომა ტურიაშვილი, გიორგი იოსელიანი, ნიკოლოზ ცხევიძე და სხვ., რომლებმაც მოსწავლეებს ქართული ლიტერატურა შეაყვარეს და საქართველოსა და ხალხის სამსახურის კეთილშობილური გრძნობა გულში ჩაუნერგეს.

გ. უთურგაული ნიქიერი ახალგაზრდა იყო. კითხულობდა ძალიან ბევრს, დაახლოებული იყო მოწინავე მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან და მუუამ მათ წრეში ტრიალებდა. იაკობ გოგებაშვილის ბინაზე ის სხვა ქართველ მოსწავლეებთან ერთად გაეცნო ჩვენი ქვეყნის ბევრ შესანიშნავ მოღვაწეს, რომლებმაც, ექვი არაა, სემინარიელი ახალგაზრდები სალიტერატურო ასპარეზზე მუშაობისათვის წააქეზეს.

მათი გავლენით ახალგაზრდებმა დაიწყეს ხელნაწერი ჟურნ. „შრომის“ გამოცემა. გ. უთურგაული ამ ჟურნალის რედაქტორი იყო. მასში თანამშრომლობდნენ აგრეთვე შემდეგში ცნობილი მოღვაწეები: სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე და სხვ.

სასულიერო სემინარია გ. უთურგაულს არ დაუმთავრებია. მეოთხე კლასში ყოფნის დროს, მას ერთ-ერთ მასწავლებელთან წერითი ნამუშევრის (თხზულების) ირგვლივ მოსვლია მწვავე შეტაკება, რასაც უთურგაულის სემინარიიდან გარიცხვა მოჰყვა (1871 წელს).

ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდა სასოწარკვეთილებას არ მისცემია და იმავე წელს შევიდა თბილისის სამასწავლებლო სკოლაში.

ამ სკოლაში მაშინ მასწავლებლად იყო ნიკოლოზ ისაკისძე ცისკარიშვილი, რომლის დახმარებით უთურგაული შევიდა სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა 1875 წელს.

სამასწავლებლო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ დაიწყო მასწავლებლობა მოზდოკის (ჩრდილო კავკასია) საქალაქო სამასწავლებლოში და მაშინვე გამოკდილი პედაგოგის სახელი დაიმსახურა. ამავე დროს აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, რიშ გამოც მოზდოკში მას ყველა პატივს სცემდა.

1878 წელს ხალხოსანთა მეორე დაპატიმრების დროს გ. უთურგაული მოზდოკში გაჩხრიკეს და დაატუსაღეს. უთურგაული ჩრდილო კავკასიაში რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. საქართველო მეოფე ხალხოსნებს მასთან მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამისი ნეშვეობით დაკავშირებული იყვნენ ჩრდილო კავკასიაში მოღუშავე რევოლუციონერებთან.

როგორც ჩანს, გ. უთურგაული ცოტა ხნით ყოფილა დაპატიმრებული, მაგრამ მასწავლებლობიდან მაინც მოხ.ნეს.

1878 წელს უთურგაული თბილისში დაბრუნდა. 1878-79 წლებში ის აქტიურად თანამშრომლობდა ნ. ნიკოლაძის „ობზორ“-ში და გაზ. „დროებაში“. უმთავრესად აშუქებდა სწავლა-განათლების საკითხებს. ამავე დროს მას არ შეუწყვეტია რევოლუციურ—ხალხოსნური მუშაობა.

გ. უთურგაული 1879 წელს „პარტველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრობის კანდიდატად აირჩიეს, ხოლო 1880 წლის 20 იანვარს გამგეობის წევრად.

1881 წელს გ. უთურგაული დანიშნეს ნახიჩევანის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად. ხოლო 1884 წლის სექტემბრიდან გადავიდა ხონის საოსტატო სემინარიაში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას 1897 წლამდე.

ამ წელს გულით დაავადებული უთურგაული იძულებული შეიქნა ხონში მასწავლებლობისათვის თავი დაენებებინა და თელავში გადასულიყო საცხოვრებლად. მაგრამ დიდხანს აღარ უტოცხლია და იმავე წელს ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა (46 წლისა) გარდაიცვალა. დასაფლავებულია სიღნაღში.

გ. უთურგაული, როგორც ხევით აღვნიშნეთ, თავის წერილებში სწავლა აღზრდის საკითხებს ეხებოდა და მათ პროგრესული თვალსაზრისით აშუქებდა.

1878 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის ვრცელ ანგარიშებს გ. უთურგაული აქვეყნებდა ნ. ნიკოლაძის გაზ. „ობზორში“. მაგრამ ეს იყო არა უბრალო ანგარიშები, არამედ კრატიკული განხილვა ყრილობის მთელი საქმიანობისა (გაკვეთილები, გეგმები, პროგრამები). ყრილობაზე წამოქრილ და განხილულ ყოველ საკითხს გ. უთურგაული მახვილ ანალიზს უკეთებდა და ფრიალ მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამდა.

ის მკაცრად აკრიტიკებდა მასწავლებელთა შაბლონურ მუშაობას და მოითხოვდა ყოველი გაკვეთილი შემოქმედებითი ყოფილიყო. ამასთან ერთად, გ. უთურგაული სასტიკად ილაშქრებდა უაზრო ზეპირობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ სკოლებში.

ამ საკითხზე ის შემდეგს წერს: „არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ძლიერ მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომელსაც ადგილი აქვს სხვა საგნების სწავლების დროსაც ჩვენს სოფლის სკოლებში, საბელდობრ: გაკვეთილების ზეპირად დასწავლა — არა ლექსებისა, ან სხვა რამ ნაწყვეტებისა, არამედ მთელი ისტორიისა. დაგვეთანხმებოთ, რომ სიტყვა-სიტყვით განვიორება ყოველგვარი თვალ-

საინოვების გარეშე მოცემული ისტორიისა მშრალია და საზიანო გავლენას ახდენს ბავშვებზე. მთელი საათი დაჰკარგა მასწავლებელმა იმისათვის, რათა ბავშვებს ზეპირად დაესწავლათ 6 წინადადება“.

დასასრულ, გ. უთურგაულის მისწრაფებათა და შეხედულებათა დასახასიათებლად საინტერესო მასალას წარმოადგენს მისი წერილი „К вопросу о семинарских историях“ („ობზორ“, 1878 წ., № 319, 325). წერილი მიმართულია შავრაზმელ კერსკის წინააღმდეგ, რომელმაც 1873-74 წ. წ. ჩაატარა სასულიერო სემინარიის რევიზია, რასაც მოჰყვა სემინარიიდან ი. გოგებაშვილის დათხოვნა. კერსკი, სხვათაშორის, სარევიზიო ანგარიშში, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა, აბუჩად იგდებდა ქართველ მასწავლებლებს და უდიდეს დანაშაულად თვლიდა, რომ სემინარიელები კითხულობდნენ პისარევის, ბელინსკის, დარვინის, ბოკლის, დრეპერის თხზულებებს.

გ. უთურგაული სასტიკად ილაშქრებს კერსკის წინააღმდეგ, დადებით მოვლენად მიაჩნია, რომ სემინარიელები პროგრესულად მოაზროვნე ავტორების წიგნებს კითხულობენ და აკრიტიკებს სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის სქოლასტიკურ გაკვეთილებს.

აი რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით გ. უთურგაული: „სერიოზული წიგნების კითხვის გაძლიერებას, მათ გავლენას სემინარისტების კჟუა-გონებაზე და უარყოფითი დამოკიდებულების გამოშუშავებას სკოლური სქოლასტიკისადმი, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მაშინდელი რუსული ეურნალისტიკის ერთი ფრთა, განსაკუთრებით ორი ეურნალი.“

კრიტიკული, პუბლიცისტური და ეკონომიური სტატიები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკითხების პოპულარიზაცია, ხარბად იკითხებოდა, რაც ნხოლოდ იმათთვისაა გასაგები, ვინც თავის თავზე გამოსცადა სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის „ლექციების“ ზემოქმედება. სემინარიელები „სოვრემენნიკ“ის ნიჭიერ თანამშრომლებს თავისიანებს უწოდებდნენ, გატაცებული იყვნენ მათი აზრებით, ცხოვრობდნენ მათი ტრადიციებით. ამ მწერალთა ზეგავლენით მათ დააარსეს თავისი ორგანო სასკოლო ეურნალი „ხმა უდაბნოდან“ („Глас из пустыни“), რომელშიც ათავსებდნენ თავიანთ წერილებს და შექმნეს საკუთარი ბიბლიოთეკა. მე აქამდე არ შემიძლია დავივიწყო ერთი საინტერესო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პისარევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. თითქმის ყველა მოსწავლე შეიკრიბა ერთ დიდ ოთახში. ერთი იმათთაგანი შეხტა მაგიდაზე და დაიწყო ხმა-

მაღალი კითხვა, მგონი „დელო“-დან პისარევის დასაფლავების აღწერისა. მან ვერ შესძლო დამთავრება—ცრემლები მოადგა თვალებზე და შემდგ, როცა მეორე მოსწავლემ დაამთავრა ეს კითხვა, ყველა მსმენელი უმოძრაოდ და გაუჩივრებულ მდგომარეობაში იდგა დაახლოებით სეოთხელი საათის განმავლობაში“.¹

გ. უთურგაულის აზრით სემინარიელების მიდრეკილება და საქციელი სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც „გაბრუებული მასწავლებლის ლექციებით, რომლებიც შეეხება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფილოსოფიის ყველაზე უფრო მაღალ საგნებს, მოთავსებული ყველაზე უფრო ღარიბულ და ბინძურ გარემოში, სემინარიის მოსწავლე მისდევს სერიოზული, შინაარსიანი წიგნების კითხვას და ამაში პოულობს სასიამოვნო მოსვენებას, უმაღლესს, გონებრივ და ზნეობრივ დაკმაყოფილებას“.

გ. უთურგაულს, როგორც უაღრესად ობიექტურ და კეთილსინდისიერ პედაგოგს, საუკეთესოდ ახასიათებს ერთი საინტერესო ფაქტი, რომელსაც გადმოგვცემს მისი ყოფილი მოსწავლე ხონის სამასწავლებლო სემინარიიდან, შემდეგში ცნობილი პოლიტკატორღელი მასწავლებელი ალ. (სანდრო) ჩხეტია.

ალ. ჩხეტიას ძალიან გამწვავებული ურთიერთობა ჰქონია თავის მასწავლებელთან. ა. ჩხეტიას საცდელ გაკვეთილს სხვებთან ერთად გ. უთურგაულიც დასწრებია, მაგრამ ავადმყოფობის გამო გაკვეთილის გარჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. ალ. ჩხეტიას გაკვეთილი სხვა დამსწრე მასწავლებლებმა და მოსწავლეთა უმრავლესობამ სუსტად შეაფასეს. ალ. ჩხეტიას განუცხადებია, რომ ქართული ენის მასწავლებლის გ. უთურგაულის დასკვნის გარეშე მათ შეუასებას დამაჯერებელი ძალა არა აქვსო და მოუთხოვიათ მოესმინათ მასწავლებლის აზრი. „თუმცა, წერს ა. ჩხეტია, არც მე და არც სხვა დამსწრეები არ ვვარაუდობდით, რომ გ. უთურგაული დადებით შეფასებას გამოგზავნიდაო“.

გ. უთურგაულისაგან გამოგზავნილმა შეეცარმა კომისიის თავმჯდომარეს გადასცა შემდეგი წერილი: „აზრი გ. უთურგაულისა ა. ჩხეტიას გაკვეთილზე“.

„ჩხეტია მ დაუშვა ორი მეთოდური და ერთი დიდაქტიკური შეცდომა. დანარჩენში გაკვეთილი იყო საინტერესო. მოწაფეები გაკვეთილით ძლიერ დაინტერესებულნი იყვნენ, გადასვლები ხდებოდა თავის დროზე, არც ერთი განყოფილება არ ყოფილა ცოტა ხნი-

¹ დ. ი. პისარევი—ცნობილი რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ეურ. „სოვრემენნიკს“ და „ოტჩინესტვენნიო ზაპისკის“ თანამშრომელი, ბალტიის ზღვაში დაიბრხო 1868 წლის 4 ივლისს. მამასადავებ გ. უთურგაულის მიერ აქ აღწერა მემთხვევას სემინარიამი ადგილი უნდა ჰქონოდა 1868 წლის ივლისში ან აგვისტოში.

თავი კი უყურადღებოდ დატოვებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ I განყოფილებაში წერა ტაქტის ქვეშ პირველად იყო წარმოებული ამ გაკვეთილზე. რაც კარვად იქნა შესრულებული.

ჩემი აზრით ჩხეთიას გაკვეთილი ღირსია შეფასდეს ნიშნი „4.“ - შედეგში ეს ნაწილი. აღნიშნავს მოკონებას ავტორი, მე ჩავიგდე ხელში და დღესაც ვინახავ, როგორც საბუთს გამოჩენილი პიროვნებისა და მასწავლებლის მიუღდგომლობისასა“.

ასეთი შესანიშნავი თვისებებითა და პროგრესული შეხედულებებით იყო აღტურვილი ნიჭიერი მასწავლებელი გიორგი უთურგაული, რომელმაც პირველი თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურს შესწირა.

ლიტერატურა: I. გ. უთურგაულის წერილები, იბ. გახ. „ობზორ“, 1878 წ. № 159, 241, 245, 319, 325; გახ. „დროება“, 1873, წ. № 205, 206; 1879 წ. № 95, 96, 97; გახ. „ავერია“, 1897 წ., № 213;

II. ს. ო. თ. მცალთბლიძევილი, ვაიკანა, 1933 წ. ს. ხუნდაძე. სოციალიზმის რსტორიისათვის საქართველოში. II. 1936 წ.: აღ ჩხეთია. პოლიტიკური აღმშენებელი, 1916 წ. (საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო ექსპედიციის ბელნაწერთა ფონდი, № 1-917); გ. ბ. უ. ლაძე. გ. უთურგაულას ცხოვრება და მოღვაწეობა, 1918 წ. (გამოუქვეყნებელია. დაკრულია სახალხო განათლების ბიბლიოტეკაში)



იოსებ მხვიდარი

(1855—1934)

იოსებ ზებედეს-ძე ცხვედაძე დაიბადა 1855 წლის 20 მარტს სოფ. კავთისხევში. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის მიღების შემდეგ ის თავისი ძმების ნიკოლოზისა და ალექსანდრეს კვალს გაჰყვა და სრულიად ახალგაზრდა შეუდგა მასწავლებლობას.

სემინარიაში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა მოწინავე იდეებით განმსჭვალულ ახალგაზრდებს და მათთან ერთად გადაწყვიტა მშრომელი ზალხისათვის სამსახური გაეწია. მასწავლებლობა ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე საუკეთესო გზას წარმოადგენდა. ერთი ცნობით პედაგოგიური მუშაობა მას პირველად დაუწყია საგარეჯოში. დანამდვილებით ვიცით, რომ ის წარგა ხანს მასწავლებლობდა სოფ. ხოელეს კერძო სკოლაში, რომელიც ქართველ ინტელიგენტ-

თა ერთი ჯგუფის მიერ იყო გახსნილი ნარიაშ იოსების ასულ ჯავახიშვილის სახელზე.

მთავრობის საწინააღმდეგო აზრების ქადაგების გამო იოსებ ცხვედაძეს ხშირად დევნიდნენ. მას ხშირად უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. ბევრი შევიწროებისა და შეურაცხყოფის გადატანაც, მაგრამ ერთხელ არჩეული გზისათვის მას მაინც არ უღალატნია და ბავშვებთან მეცადინეობა არ შეუწყვეტია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუმცა თვითმპყრობელობის დროს სახელმწიფო სკოლებში წერა-კითხვისა და საგნების სწავლება ოფიციალური განკარგულების თანახმად რუსულ ენაზე წარმოებდა, მაგრამ ნოწინავე ქართველი მასწავლებლები ამ შემთხვევაშიც, პირადი ინიციატივით, ხშირად სწავლებას ქართულ ენაზე ატარებდნენ.

ასე იქცეოდა იოსებ ცხვედაძე კავთისხევის სკოლაში, სადაც მას მასწავლებლობა 1878-79 წლებში დაუწყია.

აღნიშნულ სკოლაში ი. ცხვედაძე დიდხანს დარჩენილა. 1894-95 სასწავლო წელს კავთისხევის სკოლა შეუმოწმებია თბილისის გუბერნიის მეორე რაიონის სახალხო სკოლების ყოფ. ინსპექტორს. იმის ვაშო, რომ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, მას გულისწყრომა გამოუთქვამს და ი. ცხვედაძისათვის ძლიერ უარყოფითი დახასიათება მიუცია.

აი რას წერს თავის სარევიზიო ანგარიშში რუსიფიკატორი ინსპექტორი: „სკოლას ხელმძღვანელობს უკიდურესად ჩამორჩენილი, მცირემცოდნე ბატ. ცხვედაძე; სკოლაში სულ ორი უმცროსი განყოფილებაა, რომლებშიც მასწავლებელი სწავლებას მხოლოდ დამხოლოდ ქართულ ენაზე აწარმოებს. ბავშვებს სრულებით არ ესმით ყველაზე უფრო უბრალო კითხვებიც კი რუსულ ენაზე.

...ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში დანიშნულია მონდომებული და განვითარებული მასწავლებელი კანდელაკი, სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე, რომელსაც წინადადება მიეცა ყველა საგანი სკოლაში რუსულად ასწავლოს“¹.

მაგრამ სრულიად სხვანაირი შეფასება მისცა ქართულმა პრესამ იოსებ ცხვედაძის კავთისხევის სკოლიდან მოხსნის ფაქტს. ენერგიული მასწავლებლის შევიწროებამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში,

ილია ქავჭავაძის გაზ. „ივერია“ (1895 წ., № 20A) ამ ფაქტთან დაკავშირებით აღმფოთებით წერდა: „კავთისხევიდან გვატყობინებენ, რომ იქაური სკოლის მასწავლებელი ბ. იოსებ ცხვედაძე სამსა-

¹ ისტ. არქივი, ფონდი 422/107, საქმე № 5156.

ხურიდგან დაუთხოვნიათ. იოსებ ცხვედაძის თაოსნობით და მეცადინეობით ჩვიდმეტის წლის წინათ დაარსდა ს. კავთისხევში სახალხო სკოლა და დაარსებულგანვე შეიქმნა ამ სკოლის მასწავლებლიდ.

თავის მასწავლებლობის დროს სახალხო სკოლების დირექციისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დახმარებით უყიდა სკოლას ცარიელი ადგილი და აქ ააშენა მთელის გუბერნიის სადირექციოში ერთი უკეთესთაგანი სადგომი. ამ ხუთის წლის წინათ შეადგინა სამეურნეო განყოფილების პროექტი, რომელიც მოწონებული იქნა საოლქო მზრუნველისაგან და ეს განყოფილება დააარსა სკოლასთან.

ამ სამეურნეო განყოფილების შესახებ გაზეთებში არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი. თვით მთავრობის გაზ. „კავკაზი“ წერდა, რომ სოფ. კავთისხევის სიმშვენიერეს და მის სიამაყის საგანს ჭეშმარიტად რომ შეადგენს მისი პირველდაწყებითი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. თვით სკოლის შენობა, რომელიც არის აშენებული გლეხებისაგან მასწავლებლის მეცადინეობითა და დირექციის დახმარებით, როგორც გეგმით და სილემზით, ისე ყოველგვარის შესაფერის მოწყობილობით, ჩაითვლება თავანჯარ სკოლად მთელი ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლებში.

...სწორედ სამწუხარო ამბავია, რომ ამგვარიდ მოწყობილ საქმის პატრონს იძულებულს ხდიდნენ ხელი აილოს იმაზედ, რაც ჩვიდმეტის წლის განმავლობაში საზრუნველად და საფიქრებლიდ ჰქონია“.

მიუხედავად ამისა, იოსებ ცხვედაძე სახალხო განათლების დარგში მაინც მთელი ენერგიით განაგრძობდა მუშაობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მზრუნველობა, რომელიც ი. ცხვედაძემ გამოიჩინა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ სოფ. წინარეხში გახსნილ სკოლისადმი.¹

დიდხანს ეს სკოლა კერძო ბინაში იყო მოთავსებული და სივიწროვეს განიცდიდა. მოსახლეობის მონდომებისა და „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ დახმარების შედეგად აშენებულ იქნა ახალი სასკოლო შენობა.

¹ წინარეხის სკოლა ფაქტიურად დაარსდა 1879 წელს, მთავრობამ სკოლის გახსნის შესახებ ნებართვა გასცა 1881 წლის 30 ივნისს, ხოლო სკოლა ოფიციალურად გაიხსნა 1882 წლის 1-იანვარს (სკოლის გასახა დაგვიანდა უბინაობის გამო).

წინარეხის სკოლის პირველი მზრუნველი იყო იოსებ ცხვედაძე, რომელიც სოფ. კავთისხევში მასწავლებლობდა.

წინარების სკოლის მზრუნველი იოსებ ცხვედაძე 1890 წლის თებერვლის 6-ს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას აცნობებს: „მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მოვახსენო მმართველობას, რომ ეხლა წინარების სკოლის შენობა, კაი კოპწია რამ გამოვიდა: მასწავლებელი და მოსწავლენი განთავისუფლდნენ სკოლაში ტალახის ზელის. ამ შენობას მხოლოდლა აკლია სახურავის შეღებვა, ოთახების გალესვა და ლამფის გაკერა და თუ ეს ნაკლიც შეუსრულდა (რომელზეც დაიხარჯება არა უმეტეს 50 მანეთისა), მაშინ თქვენ საზოგადოებას ექნება ძალიან ლამაზი და კობტა შენობა, რომელიც გარედან მტერს დაუყენებს თვალებს და შიგნიდან მოკეტეს გაამხიარულებს, გააშხნევებს“.

იოსებ ცხვედაძე სხვებთან ერთად მხურვალე მონაწილეობის იღებდა კავთისხევის, მეტეხის, ხოვლის, ახალქალაქის, ქვემოგომის და წინარების პირველდაწყებითი სკოლების დაარსებაში. ამავე დროს ის გლეხებში ტრიალებდა და ადგილადგასაგები საუბრებით მათში განათლების შუქი შეჰქონდა. 1880 წელს ი. ცხვედაძეს სოფ. კავთისხევეში „დეპო“ ანუ სამომხმარებლო კოოპერატივი დაუარსებია; იგი ხელს უწყობდა აგრეთვე ადგილობრივი სათეატრო დასის ჩამოყალიბებას და წარმოდგენების გამართვას, რასაც თავის დროზე სოფლის ცხოვრებაში სიხალისე და განათლება შეჰქონდა.

იოსებ ცხვედაძე კორესპონდენციებსაც ათავსებდა ქართულ გაზეთებში და სკოლისა და სოფლის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს ეხებოდა.

ღრმად მოხუცებული იოსებ ცხვედაძე გარდაიცვალა 1934 წელს.

ლიტერატურა: I. ი. ცხვედაძე, ორიოდ სიტყვა ხოვლის სასწავლებელზედ, „ივერია“, 1877 წ., № 11; წერილი რედაქტორთან, „იმედი“, 1881 წ., № 10.

II. ი. გულისაშვილი, „ჩემი მოგონება“, ჟურნ. „საქართველ. განათლების მუშაკი“, 1925 წ., № 9; ქ. ჯავახიშვილი, მოგონება, 1949 წ. (ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში). პ. ჯ. ი. ცხვედაძე, „საქართველის მუშაკი“, 1927 წ., № 16.



სამსონ ყიფიანი

(1855—1937)

სამსონ გიორგის-ძე ყიფიანი დაიბადა 1855 წელს ტყიბულის რაიონის სოფ. ხორჩანაში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ის შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც მან წარმატებით დაასრულა 1880 წელს. მაშინ ახლად გახსნილი იყო ქუთაისის სააზნაურო ოთხგანყოფილებიანი სკოლა, რომელსაც ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე ხელმძღვანელობდა 1886 წლამდე. ალ. ჭიჭინაძის მოწვევით ს. ყიფიანმა, რადგან ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება უმალღეს სასწავლებელში მაშინ ვერ მოახერხა, მასწავლებლობა ამ სკოლაში დაიწყო, სადაც მან ორი წელი დაჰყო. აქ, ქუთაისში, აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ფეხს იკიდებდა ქართული მუდმივი თეატრი, და აკაკის თხოვნით ს. ყიფიანი მონაწილეობას იღებდა ახალ-

ჩანოყალიბებულ დასში როგორც მსახიობი. ქუთაისში ს. ყიფიანი
ორ წელიწადს დარჩა; 1882 წელს ის ახერხებს პეტერბურგს გამ-
გზავრებას და შედის სასულიერო აკადემიაში (იმ პერიოდში სე-
მინარიელებისათვის აღკვეთილი იყო უნივერსიტეტში შესვლა).
ს. ყიფიანი რუსეთში მხოლოდ ორ წელიწადს დარჩა და ავადმყო-
ფობის გამო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა აღარ გაუგრძელებია.
სამკურნალოდ ესენტუჟში მყოფ ყიფიანს ი. გოგებაშვილი წინადადე-
ბას აძლევს თბილისში ჩამოვიდეს და მასწავლებლობა დაიწყოს თბილი-
ის სააზნაურო სკოლაში. ეს იყო 1884 წელს. აქ ს. ყიფიანი, გარდა პედა-
გოგიური მუშაობისა, მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე როგორც მსახი-
ობი და უახლოესი თანამშრომელი იყო გაზ. „დროებისა“, სანამ ის მთა-
ვრობამ არ დახურა 1885 წელს. „დროებასა“ და შემდეგ „ივერიაში“
ს. ყიფიანი ათავსებდა კრიტიკულსა, მხატვრულს, იუმორისტულ
წერილებს, არჩევდა სახელმძღვანელოებს, შემდეგ სამეგრელოდან
აგზავნიდა კორესპონდენციებს საკიბროროტო საკითხების შესახებ.
ზოგ წერილს ის სახელს ან გვარს აწერდა, სხვებს ფსევდონიმებით
წერდა: ს. ყ-ნი, ს-ნი, მეგობარი, ს-ნ ყ-ნი, საფამსიფონი და სხვ.

მაგრამ ს. ყიფიანის ნაყოფიერი და მეტად სასარგებლო მოღ-
ვაწეობა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე იმ დროი-
დან დაიწყო, რა რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მესვეურებმა—
ი. ქაქავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ივ. მაჩაბელმა და ნ. ცხვედაძემ მას
შესთავაზეს ძველ-სერაქში განზრახული სააზნაურო სკოლის ხელ-
მძღვანელობა, რაც ს. ყიფიანმა სიამოვნებით მიიღო.

1880-ანი წლების დასაწყისიდან ცარისტულმა ხელისუფლებამ გა-
აძლიერა აგრესიული პოლიტიკა ქართველი ხალხის მიმართ. სხვა
ლონისძიებათა შორის, ქართველი ხალხის გადასაგვარებლად, მისი
კულტური ის დასასუსტებლად და აღმოსაფხვრელად მთავრობამ გა-
ნიზრახა მეგრელი ხალხის ჩამოშორება მთლიანი ქართული ეროვ-
ნული ორგანიზმისაგან. ამ მიზნის მისაღწევად სამეგრელოს სკო-
ლებში გააუქმა ქართული ენა და შეეცადა ეკლესიებიდანაც გაეღვე-
ნა ის. ამ საქმეს სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი და ქუთაისის
გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი ლევიტსკი ხელმძღვანელო-
ბდნენ. იანოვსკიმ აკადემიიდან გამოიწერა „ენათმეცნიერი“ გრენი,
რომელმაც მეგრული ანბანი შეადგინა ექვსი თვის განმავლობაში. იანოვ-
სკიმ თვით სამეგრელოში გაიჩინა ამ მიზნისათვის აგენტები, — ეს იყო
მასწავლებელი თადა აშორდია, რომელმაც სხვა ვარიანტის მეგრუ-
ლი ანბანი შეადგინა და იანოვსკი-ლევიტსკის პოლიტიკის უშედეგო
ექადაგებელი გახდა სამეგრელოში. მთავრობის ამ ვერაგულმა პოლი-
ტიკამ სამეგრელოს მოსახლეობის ყველა ფენაში ღრმა აღშფოთება

გამოიწვია. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გადაწყვიტა ქუთაისის სააზნაურო სკოლასთან არსებული განყოფილების პარალელური კლასები ძველ სენაკში გაეხსნა და ამით წინააღმდეგობა გაეწია მთავრობის პოლიტიკისათვის, რამდენადაც დამტკიცებული დებულებით სააზნაურო სკოლის მოსამზადებელ განყოფილებებში ქართული ენა ისწავლებოდა და პირველ ორ წელიწადს ქართულ ენაზე მიმდინარეობდა საგნების სწავლება. ეს სასწავლებელი 1884 წ. 28 ოქტომბერს გაიხსნა და მის ხელმძღვანელად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „წ. ქ. საზოგადოების“ გამგებამ სამსონ ყიფიანი დანიშნა.

სამსონ ყიფიანი ენერგიულად შეუდგა სასწავლებლის მოწყობისა და გახსნის საქმეს. სასწავლებლის საზეიმო გახსნას ესწრებოდა ქართველი ინტელიგენცია და ძველი სენაკის მახლობელი სოფლების მოსახლეობა. მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე სიტყვები წარმოუთქვამთ ალექსი კიკინაძეს, მაშინ ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნ. ტ. დადიანს, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ბოლოს სამსონ ყიფიანს, ახლად დაარსებული სკოლის ინსპექტორს, რომელსაც დამსწრეთა ყურადღება სასწავლებლისათვის ნივთიერი სახსრების გაძლიერებაზე გაუმახვილებია. ს. ყიფიანის სიტყვას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ დამსწრეთა შორის 15 წუთის განმავლობაში 530 მანეთი შეუგროვებიათ და კომისია შექმნილა ახალგახსნილი სკოლის ნივთიერი ბაზის გასაძლიერებლად, კერძოდ, სკოლის საკუთარი შენობის ასაგებად. მართლაც, მალე ს. ყიფიანის ენერგიული ხელმძღვანელობით ძველ სენაკში სკოლისათვის ადგილობრივი სახსრებით აშენდა ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, ცხრა თვალისაგან შემდგარი, რომელშიც გარდა საკლასო ოთახებისა, ბიბლიოთეკისა და მასწავლებელთა ბინებისა, ერთი დარბაზი განკუთვნილი იყო სცენისათვის; აქ სისტემატურად მასწავლებელთა ძალებით წარმოდგენები იმართებოდა. სასწავლებელთან მოწყობილი იქნა აგრეთვე საფუტკარე, სანერგე, გაშენდა ვენახი, რომლითაც მოსწავლენი სოფლის მეურნეობას ეცნობოდნენ. მალე ძველი სენაკის სკოლამ, რომელშიც აზნაურთა გარდა გლეხთა შვილებსაც იღებდნენ, პოპულარობა მოიპოვა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. აქ ოთხი მოსამზადებელი განყოფილების დასრულების შემდეგ ბავშვები ქუთაისის სააზნაურო პროგინაზიული სკოლის პირველ კლასში გადადიოდნენ უგამოცდოდ და ამრიგად გზა ეხსნებოდათ საშუალო და უმაღლესი განათლებისაკენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქუთაისის სააზნაურო სკოლა 1904 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა.

ძველი სენაკის ქართული სკოლის სასწავლო ნაწილს, ისე როგორც ქუთაისის სკოლისას, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა ხელმძღვანელობდა, და მისი წარმომადგენლები, უფრო ხშირად იაკობ გოგებაშვილი, ჩამოდიოდნენ ძველ სენაკში სკოლის დასათვალისწინებლად და უშუალოდ მითითებებს მისაცემად.


ძველი სენაკის სააზნაურო სკოლა ქართული კულტურის პატარა კერას წარმოადგენდა, საიდანაც ნაპერწკლები მთელ სამეგრელოს სწვდებოდა. ამ კერის შემქმნელი და ხელმძღვანელი სამსონ ყიფიანი იყო; ამიტომ სასწავლო უწყება, პირადად სახალხო სკოლათა დირექტორი ლევიტსკი ცდილობდა სახელი გაეტეხა ს. ყიფიანისათვის სხვადასხვაგვარი დამატებლებელი წერილებით, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოება, ქართველი და ინტელიგენცია, წ. კ. -ის საზოგადოების შეხვეუტრები იცნობდნენ სამსონ ყიფიანს როგორც ქართველ პატრიოტს, ფართო განათლების ადამიანს, მთავრობის მოხელეებისაგან დამოუკიდებელს და შეუდრეკელს, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა ქართული კულტურის საქმეს. ს. ყიფიანი ძველი სენაკის ქართული სკოლის გამგის თანამდებობაზე დარჩა 1898 წლამდე. ამ წელს ის გადმოვიდა ქუთაისის სააზნაურო სკოლაში, სადაც ის პირველად მომამზადებელ კლასებში, შემდეგ პროგიმნაზიულ კლასებში ასწავლიდა რუსულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. 25 წელზე მეტი ხანი გაგრძელდა ს. ყიფიანის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქუთაისში. ქართული გიმნაზიის საქმეებიდან ირკვევა, რომ ას დამსახურებული პატივისცემა ჰქონია მოპოვებული სასწავლებლის პედაგოგიურ შენადგენლობაში. გიმნაზიის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდებოდა ს. ყიფიანის მონაწილეობის გარეშე. ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტაში, რაც 1905 წელსა და მომდევნო წლებში ისმებოდა, ს. ყიფიანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ს. ყიფიანმა ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ერთჯგუფთან (თ. მთავრიშვილი, ი. ოცხელი, დ. ოყრეშიძე) შეადგინა და გამოცა ქართული ენის სახელმძღვანელოები ოცხივე მოსამზადებელი კლასისათვის—„მნათობი“, „გუთანი“ და სხვა.

სამსონ ყიფიანი, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, ახალგაზრდული ჩნერგით განაგრძობდა მუშაობას საბჭო-თა სკოლაშიც.

მთავრობამ და საზოგადოებამ დაათვათა მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე და 1923 წელს იუბილე გაუშართა ქუთაისში და სათანადო პენსია დაუნიშნა.

ს. ყიფიანი გარდაიცვალა 1937 წელს და დაკრძალულია ქუთაისში.

ლიტერატურა: ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი და ს. ყიფიანი, „გუთანი“, თბილისი და სკოლაში საკითხავი წიგნი, 1908 წ.; ი. ოცხელი, თ. მთავრიშვილი და ს. ყიფიანი, „ქართული ანბანი“, 1915 წ.



იასონ კაპანაძე (1857—1931)

სახალხო მასწავლებლის სახელოვანი გზა განვლო იასონ კაპანაძემ (მწერლობაში „თავბერა“). 55 წლის განმავლობაში ენერგიულად ემსახურებოდა იგი სოფლად სწავლა-განათლების გავრცელების დიდ საქმეს. დასაველეთ საქართველოს იმ სოფლების მცხოვრებნი, სადაც იასონ კაპანაძეს მეფის დროს მოღვაწე-მასწავლებლის მძიმე მოვალეობა პირნათლად შეუსრულებია, დღესაც უდიდესი პატივისცემით იგონებენ ვალმოხდილი პედაგოგის ფასდაუღებელ შრომას.

იასონ ლუკას-ძე კაპანაძე დაიბადა 1857 წლის 7 (19) დეკემბერს სოფელ ბოსლევში (შორაპნის მაზრა). დაწყებითი განათლების მისაღებად იგი 1869 წელს შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის კურსი ზრწყინვალედ დაამთავრა 1876 წელს.

ოჯახური ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება მან ვერ შეძლო; ჩააბარა გამოცდები მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად, გაიარა მოკლევადიანი პედაგოგიური პრაქტიკა ხონში და 1876 წლიდანვე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფ.საქილაოში (სამტრედიის მახლობლად), მარნის დაწყებით სკოლაში, სადაც სრული 22 წელი მუშაობდა. მისი დაულალავი შრომის შედეგად მარნის სკოლა ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა და გაფართოებულ შენობაში მოთავსდა. ი.კაპანაძის თაოსნობით და ი. გოგებაშვილის დახმარებით სკოლასთან ქართული წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა შეიქმნა. იმდენად მრავალმხრივი და ნაყოფიერი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობა ჩაატარა ი. კაპანაძემ საქილაოში, რომ იგი ყველასთვის საყვარელ ადამიანად გადაიქცა და როდესაც ავადმყოფობის გამო ი. კაპანაძე იძულებული შეიქნა სოფ. ნიკორწმინდაში (ჩაქა) გადასულიყო მასწავლებლად, საქილაოს მშრომელი საზოგადოება დიდი გულისტკივილით გამოემშვიდობა მას. ადგილობრივი კორესპონდენტი ამის გამო წერდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“: „ეს გარემოება მეტად სამწუხაროდ შეექმნათ ყველა საქილაოელებს. სწორედ უნდა ვსთქვა: იმისთანა მშრომელი, შეგირდების მოყვარული, მშვიდი და მუყაითი სწავლებაში მეტად იშვიათია ჩვენს დროში“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 317).

ნიკორწმინდის სკოლაში ი. კაპანაძე დიდხანს არ დარჩენილა. ერთი წლის შემდეგ იგი სოფ. კიცხის (შორაპნის მაზრა) სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად.

კიცხის სკოლა, რომელსაც მანამდე მოსახლეობაში ავტორიტეტი არა ჰქონდა, ი. კაპანაძემ თავისი დაუშრეტელი ენერჯიული შრომითა და მოღვაწეობით ერთ-ერთ სანიმუშო სასწავლებლად აქცია. აქ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

თავისი წარჩაბებით აღფრთოვანებული ი. კაპანაძე ახლა მშობლიურ სოფელ ბოსლევში სკოლის დაარსებისათვის ზრუნვას შეუდგა, თუმცა ამ საქმეში იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ადგილობრივი მღვდლებისა (რომელთაც ადგილობრივად სამრევლო სკოლა ჰქონდათ „გამართული“) და მეფის ბიუროკრატი მოხელეების მხრივ, მაგრამ მან მაინც მოახერხა 1901 წლისათვის ბოსლევში დაწყებითი სკოლის გახსნა, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. ი. კაპანაძის მონდომებული შრომით ბოსლევის ახლადგახსნილი სასწავლებელი მოკლე დროში იმდენად გაიზარდა და მოღონიერდა, რომ იგი ამ დიდი სოფლის ძირითად კულტურულ კერად გადაიქცა.

ი. კაპანაძე სოფლის მოსახლეობაში ცოდნა-განათლების გავრცელებას შეუდგა. მისი მოღვაწეობის შედეგად გაუმჯობესდა ბოსლევის რკინიგზის სადგურის მუშაობა. მასთან შეიქმნა საფოსტო განყოფილება, დაარსდა შემნახველი სალარო, სოფლის საურთიერთო ამხანაგობა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

30 წელი იმორავნა ი. კაპანაძემ ბოსლევის სკოლაში, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ჯერ სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი გახდა, ხოლო შემდეგ—საბჭოთა პერიოდში—შეიდწლიან სკოლად გადაიქცა. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ასეული ახალგაზრდა გამოზარდა გამოცდილმა პედაგოგმა და სწორი მიმართულება მისცა მათ ნიქსა და უნარს. მისი ყოფილი მოსწავლეები, რომელთა საგარდნობი ნაწილი ამჟამად მეტად ნაყოფიერ კულტურულ, სამეცნიერო და სამეურნეო მოღვაწეობას ეწევა ჩვენს ქვეყანაში, დღესაც უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებენ თავიანთ პირველ აღმზარდელ-მასწავლებელსა და გულისხმიერ მეგობარს.

ი. კაპანაძე მარტო პრაქტიკულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობით არ კმაყოფილდებოდა. იგი იმავე დროს ნაყოფიერი ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა ჩვენს პრესაში. მისი საყურადღებო წერილები, რომლებიც მაშინდელ ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, ჩვენი პედაგოგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს შეეხებოდა.

ი. კაპანაძის პირველი საყურადღებო წერილი „სოფლის მასწავლებლის შენიშვნები რუსული ენის სწავლების შესახებ სოფლის სკოლებში“, რომელიც გაზეთ „ობზორში“ დაიბეჭდა 1878 წელს, საქართველოს სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების ძირითად ღონისძიებებს შეეხებოდა (იხ. გაზ. „ობზორ“, 1878 წ., №80). წერილის ავტორის მოსაზრებებს სივსებით მოემხრო ცნობილი ქართველი პედაგოგი ალ. კიკინაძე (იხ. გაზ. „დროება“, 1878 წ., № 66 და 67).

ი. კაპანაძის მეორე მნიშვნელოვანი სტატია „სოფლის მასწავლებლის შენიშვნები ქართული ენის სწავლების შესახებ ჩვენს სკოლებში“ მოითხოვდა საქართველოს დაწყებით სკოლებში ყველა სასწავლო საგნის სწავლების დედა ენაზე განხორციელებას და იმავე დროს რუსული ენის, როგორც ცალკე სასწავლო საგნის, სწავლების გარდაქმნის აუცილებელ ღონისძიებებსაც სახადა.

ყველაზე საყურადღებოა ი. კაპანაძის („თავერას“) ბროშურა „სოფლის მასწავლებლის ხმა“. რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყ-

ნა (იხ. „გოლოს სელსკოგო უჩიტელია“, ქუთაისი, 1906) და
თვალნათლივ ააშკარავენ სოფლის მასწავლებელთა მატერიალურ
დაბეჩავენას მეფის რუსეთში. ეს ბროშურა უსასტიკეს საბრალმდებ-
ლო აქტს წარმოადგენდა მეფის ხელისუფლების მიმართ და საზო-
გადოებას სახალხო მასწავლებელთა უფლებების დაცვისათვის
ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ი. კაპანაძის ამ მოწოდებას ფართოდ
გამოეხმაურნენ საზოგადოების მოწინავე ფენებში.

ი. კაპანაძის ეკუთვნის მეტად საინტერესო საისტორიო - ეთნო-
გრაფიული ნარკვევი „სოფელი საქილაო“ („სელო საჩილაო“), რომე-
ლიც დაიბეჭდა ცნობილ „სბორნიკ მატერიალოვ დლია ოპისანია
მესტნოსტიე ი პლეზიონ კავკაზა“-ში (XXVII გამოშვება). ეს ნარ-
კვევი საქმის ისეთი ცოდნით და სიყვარულით არის შედგენილი,
რომ დღესაც იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას. თავის დროზე
ეურ. „მოგზაურმა“ მას ფრიად მაღალი შეფასება მისცა (იხ. „მოგ-
ზაური“, 1901 წ. №1., გვ. 52).

ი. კაპანაძე მებრძოლი სახალხო მასწავლებელი იყო. იგი ააშკა-
რავენდა მეფის ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეთა ყველა იმ
ლოზისძიებებს, რომლებიც ქართველი ხალხისა და მისი დედაენის
წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ამ ბრძოლაში არ უშინდებოდა
თვით უსასტიკეს რეპრესიებსაც კი. და როდესაც დიდი ოქტომ-
ბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, საბჭოთა ხელისუფლე-
ბის ყოველდღიური მმართველობის პირობებში შეიქმნა დედაენაზე
დამყარებული ნამდვილი სახალხო სკოლა და მასწავლებელთა მი-
მართ ლენინურ-სტალინური დამოკიდებულება განხორციელდა, ი.
კაპანაძე დიდი გამოცდილებითა და განახლებული ენერჯით შეუდ-
გა საბჭოთა მოზარდებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური
სწავლა-აღზრდისათვის თავდადებულ ზრუნვას.


ნისი კეთილშობილური პედაგოგიური შრომითა და საზო-
გადოებრივი მოღვაწეობით კმაყოფილმა და მადლიერმა საბჭოთა
საზოგადოებამ ღვაწლმოსილ სახალხო მასწავლებელს იასონ ლუკას-
ძე კაპანაძეს 1928 წლის 29 იანვარს გადაუხადა 52 წლის პედა-
გოგიური მოღვაწეობის იუბილე.

მშობლიური ხალხის წინაშე ვალმობილი მსცოვანი პედაგოგი
ი. კაპანაძე გარდაიცვალა 1931 წლის 28 დეკემბერს.

ი. კაპანაძის, როგორც მოწინავე სახალხო მასწავლებლის, პე-
დაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საპატიო ადგილს
დაიკავებს საქართველოში სახალხო განათლების განვითარებისა
და პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

ლიტერატურა

ი. კაპანაძე (თავებრა), სოფლის მასწავლებლის
წვნიწვნები რუსული ენის სწავლების შესახებ სოფ-
ლის სკოლაში, გაზ. „Обзор“, 1878 წ., № 80, Голос
сельского учителя из Кутаисской губернии, გაზ.
„Кавказ“, 1891 წ., № 250; село Сачхლა, „Сборник
материалов для описания местностей и племен
Кавказа. Выпуск XXVII“, № 66, 67; ვლ. არეში-
ძე, იასონ კაპანაძე, ეურ. „განათლების მუშაკი“,
1928 წ., № 5; დამსაუბრებელი მასწავლებლის ხსოვ-
ნას, გაზ. „კომუნისტი“, 1931 წ., № 1.



ერმილე შაკაშიძე

(1860—1939)

ერმილე დავითის-ძე შარაშიძე დაიბადა 1860 წელს სოფელ დაბლაციხეს (ჩოხატაურის რაიონი). ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ შევიდა ხონის საოსტატო სემინარიაში. ამ სასწავლებლის სრული კურსის დამთავრება მან ვერ მოასწრო. 1885 წელს სემინარიის „რკინის ღირეკტორად“ წოდებული შავრაზმელისა და ახალგაზრდების ჯალათ სოკოლოვის წინააღმდეგ მოსწავლეთა გალაშქრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ერმილე იძულებული შეიქნა სემინარიის უკანასკნელი კურსიდან გასულიყო.

ამ სამწუხარო შემთხვევის გამო ერმილეს სამი წლით დააგვიანდა პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლა. 1888 წელს მან ჩააბარა გამოცდა საქალაქო და სამრევლო სკოლების მასწავლებლობის

უკლებაზე და დაიწყო მუშაობა ზუგდიდის მაზრაში. მუშაობდა ჯერ სოფელ კორცხელში და შემდეგ წალენჯიხაში და ბოლოს თვით ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში, სადაც მაშინ მოღვაწეობდა რუსიფიკატორთა აგენტი, ცნობილი თადა ამორტია. ეს ის წლები იყო, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის განკარგულებით ამორტიასა და მისთანა ჯაშუშებისა და ხალხის ნოღალატეთა დახმარებით იწყებდნენ სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის სავსებით განდევნას, როგორც „არამშობლიური“ ენისას და ლამობდნენ „ნამდვილი მშობლიური ენის“ — მეგრული ენის შემოღებას, რისთვისაც ამორტიამ კიდევაც იკისრა „სათანადო სახელმძღვანელოს“ შედგენა.

„ქართული ენისა და ქართველების სწავლა-განათლების სფეროში“ ამგვარი შევიწროების გამო იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე წერდა: „ქართული ენა სკოლებში ისე მივიწყებული და მიფუჩეჩებულია, რომ არა ვგონებ ახლა რომელიმე სხვა ენა იყოს ამიერკავკასიაში ასე აბუჩად აგდებული... ზოგიერთ სკოლებში ქართული სასტიკად არის აკრძალული და ქართული წიგნის გაქაჭანება ასეთ სკოლებში სასწავლო მთავრობას ნამდვილ დანაშაულობად მიაჩნია. ასეთ ყოფაშია სკოლები საქართველოს დასავლეთ პროვინციებში — სამეგრელოსა და სვანეთში“ (ტ. II, გვ. 457). ყოველივე ეს გამოჩენილ პედაგოგს ქართველი სახალხო მასწავლებლის „უკიდურეს გაქირვებად“ მიაჩნდა, რადგან იმავე ი. გოგებაშვილის აზრით „იმოდენა დაბრკოლება ხალხის განათლებაში არც ერთ კავკასიელ ხალხს არ გადალობებია, რამდენიც გადაელობა ქართველ ერს ჩვენი „კურთხეული“ ბიუროკრატის წყალობით“ (ტ. II, 481).

მიუხედავად მაშინ არაებული რეპრესიებისა, სახალხო განათლების დარგში მოპოვებული მიღწევების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იაკობ გოგებაშვილს სახალხო სკოლების მასწავლებელთა უმეტესი ნაწილის სამშობლოსადმი ერთგულება და ხალხის სამსახური მიაჩნდა. „მხოლოდ მათი (სახალხო მასწავლებლების — ს. ც.) წყალობით, — აღნიშნავს ი. გოგებაშვილი, — დაწინაურდა ქართველი ხალხი წიგნის ცოდნაში და ბევრად მეტი მონაწილეობა მიიღო გამანათლებელ მუშაობაში, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხებმა მიიღეს“... (ტ. II, გვ. 483).

გოგებაშვილის ამ დებულების ფაქტიური დადასტურებაა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში სამეგრელოში ატეხილი მოძრაობა შავრაზმელი დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტის წინააღმდეგ. სწორედ ერშილე შარაშიძის, გ. ბოკეროის, პ. ქარაიას, ი. გეგიას, ვლ. გაგუას, ესტ. ზუშანიას, თ. კიკინაძის და სხვა მათ თანამებრძოლ

და თანამოაზრე სახალხო მასწავლებლებმა ჩააგონეს სამეგრელოსა და სამურზაყანოს მოსახლეობას ამ გეგმის მანებლური შინაარსი და მოღალატური ზრახვები. ხალხიც აღსდგა, ერთბაშად დაჰკმო პროვოკატორები და მათი „საგანმანათლებლო გეგმა“, სკოლაში არ შეუშვა იგი. სწორედ ამ დღეებსა და წლებს დაემთხვა ერმილე შარაშიძის მუშაობა ზუგდიდის მაზრაში. სოფელ კორცხელში მისი მასწავლებლობის დროს, მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით იქნა აგებული სკოლის ის ახალი შენობა, რომელიც ამჟამადაც არსებობს.

ერმილე შარაშიძის მოღვაწეობაჲ თვალსაჩინო კვალი დატოვა სოფელ წალენჯიხაშიც. თავისი მასწავლებლობის პერიოდში (1890-ანი წლები) მან იქაც ააგებინა ახალი სასკოლო შენობა, რომელიც იმდროის კვალობაზე იმ ტიპის სკოლისათვის სავესებით შეფარდებული და დამაკმყოფილებელი იყო.

1891-98 წლებში ერმილეს განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული ზუგდიდის საქალაქო სკოლაში. მან და იმ ხანებში იქ მომუშავე ცნობილმა სახალხო მასწავლებელმა სტ. გაგუამ, დიდი გამათვითაცნობიერებელი მუშაობა ჩაატარეს ამ თითქმის გადაგყარების გზაზე დამდგარ სკოლაში.

1899 წელს ერმილე შარაშიძე მშობლიურ სოფელ დაბლა-ციხეში ბრუნდება. აქ თავის ძმა ალექსანდრესთან ერთად ხსნის ორკლასიან კერძო სასწავლებელს, რომელსაც ძმები საკუთარი მამულის შემოსავლით ინახავენ. სკოლას ჰქონდა სამეურნეო განყოფილება; იგი ადგილობრივ მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევდა აგრომინიმუმის შესწავლაში და მის პრაქტიკულად გამოყენებაში.

ერმილემ ამ სკოლაში 1903 წლის ბოლომდე დაჰყო. ამ წლიდან ის ბათუმის ქალაქის თვითმმართველობამ მიიწვია ბათუმის მეორე ქართული სკოლის გამგედ. დაბლა-ციხის სასწავლებელი ერმილემ თავის ძმას ალექსანდრეს ჩააბარა და თვითონ ბათუმში წავიდა და დასახლებული სკოლა ჩაიბარა. აქ ერმილეს დიდი მუშაობის ჩატარება უხდებოდა არა მარტო სკოლაში, არამედ აქარის მოსახლეობაშიც. ის ფართო აგიტაციას ატარებდა აქარელთა შორის ეროვნული თვითშეგნების დასანერგად და მათი კულტურის დონის ასამაღლებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქართულ სკოლასთან, რომელსაც მაშინ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მფარველობდა, ერმილეს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა სპეციალური განყოფილება აქარელი მოზრდილი ახალგაზრდობისათვის, სადაც წერა-კითხვის უცოდინარნი და ან მცირემცოდნენი იყვნენ ჩაბმული. ცხა-

დია, მოზრდილთა განათლების ამგვარი ტიპის განყოფილება იმ პერიოდში მეტად ახალი მოვლენა იყო, რაც მეფის მოხელეებს უცნაურ და საშიშ მოვლენად ეჩვენებოდათ. ბათუმის სინამდვილეში კი ის პირველი კულტურული კერაც იყო, რომელსაც თანაგრძობით ეკიდებოდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები.

ამგვარი კეთილსინდისიერი მუშაობით, მოსწავლეთადმი გულისხმიერებით და მშრომელი ხალხის ერთგული სამსახურით ერმილე შარაშიძემ დიდი სიყვარული, პატივისცემა და ფრიად სასარგებლო ადამიანის უმწიკვლო სახელი მოიხვეჭა ყველგან, სადაც კი მას უმსახურია. მას არ ემადლიერებოდა მხოლოდ მეფის მთავრობა, რომელსაც ერმილე „არაკეთილსაიმედო“ და მავნე „პიროვნებად“ მიაჩნდა. მაგრამ ერმილე მათს ამგვარ დახასიათებას არასოდეს არ შეუშინებია. პირიქით, ის რევოლუციურ მოძრაობაშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

გაძლიერებულმა რეაქციამ ერმილე შარაშიძეს ამგვარი მოღვაწეობისათვის სამაგიერო მიუზღო. 1906 წელს ქართველი ხალხის ჯალათმა ალიხანოვ-ავარსკიმ გადასწვა დაბლა-ციხეში არსებული ერმილე შარაშიძის აგრონომიული სასწავლებელი. („რევოლუციის მატინე“, 1928 წ., № 2).

ერმილე შარაშიძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მთელი ორი ათეული წელი იმუშავა საბჭოთა სკოლაში და ამით ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეშიც მისთვის შესაფერი წვლილი შეიტანა. უკანასკნელ ხანებში ის დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და მასწავლებლობასაც თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში განაგრძობდა. საბჭოთა მთავრობამ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მას, როგორც ვალმოხდილ მოამაგეს, პერსონალური პენსია დაუნიშნა მისი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავზე. მეკობრეებმა კი მხცოვან მოამაგეს ამ თარიღის აღსანიშნავი საღამოც მოუწყვეს.

ერმილე შარაშიძის კალმის მცირე ნაღვაწთაგან აღსანიშნავია ორი პიესა „ძლიერი ლომისკარელი“ და „აღმასხან ბედინეიშვილი“. ორივე ეს პიესა, როგორც იმდროინდელი სოულისა, სოფელელთა ყოფაცხოვრებისა და სოციალური უთანასწორობის გამომხატველი, დიდი წარმატებით სარგებლობდა სასოფლო თეატრებსა და კლუბებში.

ერმილე შარაშიძე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში, 1936 წლის 30 ნოემბერს.

ლიტერატურა: „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1925 წ., № 2; „განათლების მუშაკი“, 1928 წლის № 12; 1929 წლის № 11—12; იაკობ გოგებაშვილი, თბილუბაძე I და II ტ.



ივანე გეგია

(1860 — 1941)

მეცხრამეტე საუკუნის აფხაზეთის სკოლების ისტორიაში საპატიო ადგილი ეკუთვნის სახალხო მასწავლებელს ივანე კონსტანტინეს-ძე გეგიას.

ივანე გეგიამ 1880 წ., დაამთავრა თუ არა სასულიერო სასწავლებლის კურსი და რაკი სწავლის გაგრძელების სახსარი არა ჰქონდა, დაბა ოჩამჩირეში კერძო სკოლა გახსნა და მასწავლებლობა დაიწყო. ეს იყო პირველი სკოლა ოჩამჩირეში, რომელიც შემდეგში ივანეს ენერგიული შრომითა და მეცადინეობით ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა.

მიღებული ცოდნით უკმაყოფილო ივანე გეგიამ თვითგანვითარებას მიჰყო ხელი. ის შეუდგა თავის თავზე მუწაობას, რისთვისაც მას ხშირად ქუთაისსა და თბილისს უხდებოდა წასვლა. აქ, „ქარ-

თველთა შორის წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ მეშვეობით ის გაეცნო და დაუახლოვდა ისეთ ცნობილ ქართველ მწერლებს; როგორც იყვნენ: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ყაზბეგი, ცაბელი, ი. დავითაშვილი და სხვ. უფრო გვიან ის რევოლუციურ მუშაობაშიც ჩაება,

1890 წელს ივანე თავის სოფელ ოქუშის ორკლასიან სკოლაში ვადავიდა. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ, როგორც პოლიტიკურად შემჩნეული, სკოლიდან გააძევეს. ივანე გეგია ამით არ შეშინებულა. ის ჩაება სოფლის მეურნეობაში და ამ გზით უფრო დაუახლოვდა ხალხს. მოაწყო სამაგალითო მეურნეობა და მოსახლეობას ეხმარებოდა — უსასყიდლოდ ურიგებდა ნამყენი ხეხილის ნერგებს, სანამყენო ტოტებს და ამერიკული ჰიბრიდის ვაზის სხვადასხვა ჯიშებს. ი. გეგია სოფლის პირველი მეურნეა, რომელმაც ჩაის ბუჩქი შემოიტანა და გაავრცელა სამურჩაყანოში. ამ გარემოებისათვის თავის დროზე უკრადღება მიუქცევია ამ დარგის ცნობილ მეცნიერს პალბინს თავის შრომაში — *Труды по ботанике, генетике и селекции*, ტ. XV (1922 წ.).

ამ პერიოდში ივანე გეგია მარტო მეურნეობით როდი კმაყოფილდება. ის ოქუშში ხსნის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, აგებს იმისთვის საკუთარ შენობას, „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაამარებთ იძენს სათანადო ლიტერატურას და თვითონ ეწევა ბიბლიოთეკარის მოვალეობასაც და მის მიერვე აქვე ჩამოყალიბებული დრამატული წრის ხელმძღვანელობასაც.

ივანე გეგიას მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში ბლომად მოიპოვებოდა ჩვენი სახელოვანი ქართველი მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, რაფ. ერისთავისა და სხვათა თხზულებანი, რომელთაც მოსდევდა 500 კიდევ სხვადასხვა წიგნი, და მათ შორის 200 თვითონ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებლისაგან იყო შემოწირული.

ქართული ლიტერატურის გარდა ბიბლიოთეკაში რუსული წიგნებიც იყო ცალკე განყოფილების სახით, სადაც მკითხველი იშოვიდა ლ. ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, პუშკინის, ალფონს დოდეს და სხვათა ნაწერებს.

წიგნოსაცავით სარგებლობა უფასო ყოფილა, ხოლო ძირითადი წყარო მისი არსებობისა, — საწევრო გამოსაღები და შემოწირულებანი.

საინტერესოა მკითხველთა მოთხოვნილებისა და წიგნთა გავრცელებულობის შესახებ ცნობა, რომლის მიხედვით ადგილობრივ მკითხველთა შორის კანზულსიტყვაობაზე მეტი მუშტარი ისტორიულ

ნარკვევებსა და ისტორიულ თემებზე დაწერილ წიგნებსა ჰყოლია; მაგალითად, იაკ. გოგებაშვილის „თავდადებული ქართველები“, რომელშიც ნაცნობი გმირი ცოტნე დადიანი იტაცებდათ, თურქე ხელიდან ხელში გადადიოდა.

ივანე გეგიას ამგვარი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა სუხუმის ოლქის ეანდარმერიას. 1904 წელს ივანე გეგია, როგორც „გაუსწორებელი და მავნე ელემენტი“, სამუდამოდ იქნა გადასახლებული რუსეთის შორეულ გუბერნიაში.

მაგრამ იაპონიასთან ომისა და 1905 წლის რევოლუციური მოძრაობით დასუსტებული თვითმპყრობელობის ზოგიერთი შედეგათვის პოლიტიკურ ტუსაღებზე გაიკეცილების გამო, სხვებთან ერთად, ივანეც ბრუნდება სამშობლოში და კვლავ თავის საქმიანობას ახახლებს. ის კვლავ ებმება ხასკოლო მუშაობაში უფრო როგორც აგრონომი-მასწავლებელი და სოფლის მეურნეობაშიც კიდევ ახალი დარგი შეაქვს — მეთამბაქოობა და მებაბრეშუმეობა. ცრუმორწმუნეხალხს აბრეშუმის ქიის სახლში ყოლა დიდ ცოდვად მიაჩნდა და მის წინააღმდეგ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ივანეს პროპაგანდამ ეს დაბრკოლებაც დაძლია.

ამგვარად, ივანეს ავტორიტეტი სოფლის მოსახლეობაში თანდათან გაიზარდა. ის ხდება ყოველგვარი კულტურული წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი, თეატრი იქნება ეს თუ კოოპერატივი, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, სკოლა, სამკითხველო თუ რაიმე სამეურნეო საქმიანობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე გეგია მიწვეულ იქნა გალის 9-წლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად, რომლის მუშაობა, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, სანიმუშო და სამაგალითო იყო. ის პირველი ჩაება აგრეთვე მთელი თავისი მეურნეობით საკოლმეურნეო მშენებლობაში. მან საკუთარი შრომით მოაწყო კოლმეურნეობაში მექათმეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა და მეფუტკრეობა. მრავალფეროვანი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მხტოვანი მასწავლებელი რამდენჯერმე იქნა დაჯილდოებული სიგელით, ფულადი საწარგებით და სხვა სახის პრემიებით.

ივანე გეგია თავის დროზე კალმითაც ემსახურებოდა ხალხს. ის იყო მულმივი კორესპონდენტი გაზ. „დროებისა“, „ივერიისა“, „ციცკრისა“, „მოგზაურისა“, „ჯეჯილისა“, „ცნობის ფურცლისა“ და სხვათა, როგორც პირდაპირი ხელმოწერით, ისე „ოდიშელის“ ფსევდონიმითაც. წერდა, როგორც ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ხასიათის წერილებს, აგრეთვე ლექსებსაც.

ნისა ლექსები შეტანილია ზაქ. კვიციანიძის მიერ გამოცემულ „ქართველი პოეტების ლექსთა კრებულში“ (1890 წ.), „ციცინათელაში“, 1892 წ. სამსონ ლონდაძის მიერ გამოცემულ „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ და აგრეთვე ცალკე წიგნადაცაა გამოცემული — „ლექსთა კონა“ (თბილისი, 1890 წ.).

ივანე გეგია გარდაიცვალა 1941 წელს.

ლიტერატურა: თედო სახოკია, ნოგზაურობა სანურბაყანოში, „მოამბე“, 1896 წ., № 12; გაზეთი „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 41; ივანე გეგია, „ლექსთა კონა“ — თანდარი ივანე გეგიას მიერ, თბილისი, 1890 წ.



ნიკო ჯავახიძე

(1862—1929)

უნებურად გვაგონდება ჩვენი წარსულის ზოგიერთი ისტორიული ფაქტი, როცა ხმლის მოქნევით განთქმული პრივილეგიური წოდება სავსებით უგულვებელყოფდა ქვეყნის მასაზრდოებელი წოდების—მშრომელი ხალხის სამსახურს. ახალმა დრომ ახალი იდეები წარმოშვა. წინაპრების ამ წრიდან გამოსული ნიკო ჯავახიძე წიგნით, კალმით, ცარციტ, გლობუსითა და რვეულებით აღჭურვილი გავიდა სოფლად როგორც სახალხო მასწავლებელი, ახალი თაობის აღმზრდელი და განმანათლებელი.

მასში საბოლოოდ იყო განმტკიცებული შეგნება: „სადაც აქამდინ ჩმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!..“ და ისიც ჩადგა იმ პერიოდის (1880) სახალხო განათლების სახელოვან ქართველ მოღვაწეთა რიგებში და ეროვნული სკოლის მშენებლობაში არა ერთი და ორი ღირსეული და იკვრივი აგური შეიტანა. ეს ის აგურებია, რომელნიც

შემდეგ საფუძვლად დაედო ნამდვილ ეროვნულ სკოლას.

„ნიკო ჯაყელს ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა ისეთ დროს, როდესაც ძველი, მეფის რუსეთის შავბნელი რეაქცია განაპირა ქვეყნებს უსპობდა თავისუფალი კულტურული აღორძინების საშუალებას. ნიკო მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ღირსეულად ატარებდა მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის საპატიო დროშას“ („კომუნისტი“, 1929 წ., №102).

ნიკო (იგივე თეოფანე) ვახტანგის-ძე ჯაყელი დაიბადა 1862 წლის 1(13) იანვარს ოზურგეთის მაზრის სოფ. საყვავისტყეში (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი). ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ იგი შევიდა თბილისის ე. წ. ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის კურსი 1884 წელს წარმატებით დაამთავრა და გამწესებულ იქნა მასწავლებლად ქ. შუშაში.

მაგრამ ნიკოს გული სამშობლოს სამსახურისათვის უძგერდა. ის უფრო აქ იყო საჭირო, ვიდრე სხვაგან და მართლაც სულ მოკლე ხანში ის ახერხებს გადასვლას ქ. ბათუმში, სადაც ხდება არა მარტო მასწავლებელი, არამედ დაულალავი საზოგადო მოღვაწე, ყოველგვარი კულტურული საქმიანობის წამოწყების ენთუზიასტი, აქტიური წევრი, მოქმედი და მონაწილე ყველა საქველმოქმედო წრისა და საზოგადოებისა. ის მოექცა მაშინ ბათუმში მოქმედ ქართველ ინტელიგენტთა იმ საუკეთესო წრეში, რომლის მამოძრავებელი და სულისჩამდგმელი იყვნენ: მწერალი დავ. კლდიაშვილი, პოეტი გრ. ვოლსკი, ლ. ასათიანი, მ. ნაკაშიძე, ივ. და ლ. ანდრონიკაშვილები, ივ. მესხი და სხვ.

დავით კლდიაშვილის ცნობით, 80-ანი წლების ბათუმში არავითარი გასართობი და კულტურული დაწესებულება არ არსებობდა, გარდაერთი სამოქალაქო სასწავლებლისა და „წ. კ. საზოგადოების“ სკოლისა. ამ უკანასკნელისათვის შესაფერი შენობა ნიკო ცხველადის ხელმძღვანელობით იქნა აგებული, მისი ერთ-ერთი განმახორციელებელი ნიკო ჯაყელი იყო.

90-ან წლებში ბათუმის მოსახლეობა გინნაზიის გახსნას ითხოვდა. საკითხიც მომწიფებული იყო და ქალაქის თავი (ლ. ასათიანი) დატრიალდა, თუმცა ხელისუფლება წინააღმდეგი იყო და თავის აგენტებისათვისაც დავალებული ჰქონდა მისი ჩაშლა. ამის შესახებ ოლქის მზრუნველი იანოვსკი ქალაქის თავს საიდუმლოდ სწერდა, რომ „არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტთა რიცხვს, რაც სასურველი არ არის. მით უფრო, რომ გიმნაზია უსათუოდ გაივსება მზარეულების, პა-

რიკმახერების, მეეტლეების, თერძებისა და ამათი მსგავსი ხალხის შეილებითო“.

მიუხედავად ამგვარი „რჩევა-დარიგებისა“ და ღონისძიებათა ჩატარებისა, ეს გიმნაზია მაინც გაიხსნა. ამ დიდ საქმეში შესამჩნევი წვლილი აქვს გაღებული ნ. ჯაყელს, რომელიც შემდეგ ამავე სასწავლებლის ინსპექტორიცა და მუდმივი მოამაგეც იყო.

მაგრამ მარტო სასწავლებლების გამრავლებით არ წყდებოდა საკითხი. მთავარი იყო სწავლების დაყენება და ბრძოლაც აქედან რთულდებოდა და მწუვადებოდა. შოწინავე ქართველი პედაგოგები, ინტელიგენცია და მოსახლეობა სკოლისაგან მოწინავე აზრების მატარებელი და თავისი ქვეყნის გულშემატკივარი ქართველის აღზრდას მოითხოვდა, მეფის ერთგული მოხელეები კი, რომელნიც ამავე დროს სახალხო განათლების „მესვეურებიც“ იყვნენ, მხოლოდ „ქემმარიტი რუსის“ აღზრდას მოითხოვდნენ. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა დავ. კლდიაშვილის მიერ თავის მემუარებში მოხდენილად აღწერილი ერთი: ინცინდენტი—მომხდარი იმ ხანებში ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში ოლქის მზრუნველ ზავადსკის სტუმრობისას:

„—ვინ ხარ შენ? — შეეკითხა ბავშვს ზავადსკი.

—აქარელი! — მიუგო მოსწავლემ.

—აქარელი, აქარელი — სხვა არაფერი? — ბავშვი დაიბნა.

—თათარი! — თქვა გაჩუმების შემდეგ.

—თათარს აქ რა უნდა? — მოღუშვით წარმოსთქვა ზავადსკიმ.

—მუსულმანი ქართველი! — გაისწორა მოსწავლემ.

—შენ არ გცოდნია შენი ვინაობა! მოიტა ხელი!..

ზავადსკიმ გადაუბრუნა აღმა ხელისგული, ზედ დაადო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი...

—გაიპოვრე ჩემთან: მე ვარ რუსი!.. მე ვარ რუსი!.. რუსი!.. რუსი!.. და ბავშვი რომ თრთოლვით იმეორებდა ამ სიტყვებს, ზავადსკი ხელის გულზედ უკაცუნებდა თავის საჩვენებელ თითს.

—ახლა ხომ გაიგე ვინცა ხარ?! დაიმახსოვრე კარგად და სხვებსაც გააგებინე! გესმის! — ჩასძახა მან შეშინებულ ბავშვს“ (ტ. II, გვ. 230).


ამგვარი იყო ის ატმოსფერო და უკულმართობა დროისა, რომლის წინააღმდეგაც მუდმივი და დაუცხრომელი ბრძოლა უხდებოდა კოლეგებთან ერთად ნიკო ჯაყელს. თავის მოწოდებისათვის მას ზურგი არასდროს შეუქცევია, ის მედგრად მიიკვლევდა ვხას წინ და თანდათან სამოქმედო არესაც იფართოებდა. სხვადასხვა დროს მას თავისი შრომის წარუშლელი კვალი დაუჩნევია

საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც. აღსანიშნავია მისი ღვაწლი ჰიათურაში, ქუთაისში, კულაშში, კობულეთში და სხვაგან, სადაც მას წეუსრულებია: მისწავლებლობა, სკოლის ინსპექტორობა, დირექტორობა, სახალხო სკოლების ინსპექტორობა და ა. შ.

მთელი ეს მისგან გავლილი ეკლიანი გზა ხალხის სიყვარულით არის ნოსილი. ნიკოს სამსახურსა და მოქმედებას თან სდევდა მისდანი დიდი სიყვარული და პატივისცემა ყველაზე მეტი წილი მისი ხანგოდლივი მოღვაწეობისა ბათუმზე მოდის. შეიძლება ითქვას, რომ სახალხო ვანათლების აქარის მოღვაწეთა შორის ნიკო ჯაყელი პირველი ინტელიგენტი იყო თურქთა მონობიდან ახლად გამოსსნილ ამ კუთხეში განათლებისა და წ. კ. გამავრცელებელი, რომელიც აქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისაგან დასახული ჯეზით ნოქმედებდა. აქ იღწვოდა ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, აქვე მოესწრო ნანატრ დღეებსაც ხალხის საყოველთაო განათლებისა და კულტურული აღმშენებლობის უჩვეულო გაშლას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებს ნეცოვანი ნოღვაწე განახლებული ენერგიით მიეგება — დაინიშნა ლენინის სახელობის ბათუმის საშუალო სკოლის გამგედ. ამ მოვალეობას იგი ღირსეულად ასრულებდა. დამსახურებული პედაგოგი, ნეცოვანი საზოგადო მოღვაწე და ახალი თაობის საყვარელი აღმზრდელი ნ. ჯაყელი უეცრად გარდაიცვალა 1929 წლის 5 მაისს.

ლიტერატურა: დავით კლდიაშვილი, მემუარები: გაზეთი „კომუნისტი“, 1929 წ., № 112; გაზეთი „სახალხო ვანათლებელი“, 1917 წ., № 32.



ვლადიმერ გოგუა

(1864—1944)

ვლადიმერ იესეს-ძე გაგუა დაიბადა 1864 წელს ახალსენაკის მაზრის სოფელ კოტიანეთში. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის (რომელიც მაშინ მარტვილში იყო) კურსის დამთავრების შემდეგ ის თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, მაგრამ იქ გამეფებულ საშინელ რეჟიმთან შეუგუებლობის გამო ტოვებს ამ სასწავლებელს და შედის ხონის საოსტატო სემინარიაში, რომლის კურსიც 1884 წელს დაასრულა. ამით ახალგაზრდა ლადი გაგუამ შეისრულა თავისი საწადელი — გზა გაიკვლია სახალხო მასწავლებლობისა და მშრომელი ხალხისაკენ.

1884 წელს ლადი გაგუა ინიშნება მასწავლებლად სოფელ ნოსირის დაწყებით სკოლაში, სადაც მოსწავლეთა სიყვარულს და ხალხის დიდ პატივისცემას იმსახურებს.

ორმოც წელზე მეტ ხანს: იმუშავა ვლადიმერ გაგუამ სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში და ყველგან დაუღალავად იბრძოდა ქართველი პატრიოტების აღსაზრდელად, ყველგან შეჰქონდა ეროვნული გრძნობისა და თვითშეგნების გამოსაღვიძებელი სიტყვა, როგორც სკოლაში, თავის მოსწავლეებში, ისე მათი მშობლების შეგნებაში. სად არ უმუშავია მას: ნოსირში, კვათანაში, წალენჯიხაში, ჩურუქსუში (აქარა), სუჯუნაში, ხობში, ყულევში, ფოთში და სხვაგან. ყველგან წარუხოცელი შთაბეჭდილება, ახალი აზრი და პატრიოტული სულისკვეთება გაუფრცხვლებია. „ის ყოველგან თავისი ნიჭიერი, ენერგიული და ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობით სკოლას უხვეჭდა საზოგადოებაში სიყვარულსა და ავტორიტეტს.“ (განათლების მუშაკი, 1928 წ., № 12).

შეზახმელმა დეკანოზმა ვოსტორგოვმა, მოისურვა რა ქართველი ახალგაზრდების „წარმატება“, სამრევლო სკოლები სამწლიანის ნაკვლად ოთხწლიანი გახადა და მასში ყველა საგნის სწავლება მოითხოვა რუსულ ენაზე; რუსული წერა-კითხვის სწავლებაც პირველი წლის დასაწყისიდანვე უნდა ყოფილიყო. ცხადია, ეს პროექტი გულისხმობდა ამ სკოლებიდან ქართული ენის სავსებით განდევნასა და რუსული ენის მახინჯი, „მუნჯური“ მეთოდით სწავლებას. მოწინავე ქართველი საზოგადოება, დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით, მთელი ძალადობით შეებრძოლა რუსიფიკატორთა ამ სასტიკ შემოტევას და ნაწილობრივ მაინც ჩაშლილ იქნა მტრის გეგნები. ქართულმა პრესამ ხმა აღიმალა ამ სიმახინჯის წინააღმდეგ. იაკობ გოგებაშვილი აშკარად წერდა გაზეთი „ივერიის“ 1901 წლის (145, 148, 150) ფურცლებზე: „დეკანოზ ვოსტორგოვის სამრევლო სკოლები ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანენ ჩვენს დაცემულ ხალხსა, უფრო კიდევ ძირს დასწევენ,—და ბევრად უკეთესი იქნება დაიკეტონ ისინი ჩვენში. მოგეხსენებათ, რომ სკოლა ორპირი ხანჯალია: აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკულმართობის გზაზედ არის დაყენებული“.

ლადი გაგუას სწორედ ამ უკულმართობასთან უხდებოდა ფართული თუ აშკარა ბრძოლები თითქმის ყველა იმ რაიონში, სადაც კი მას უმოღვაწია. და ეს იმიტომ, რომ იმ ხანებში, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, „ჩვენში გამოჩნდნენ იმისთანა კჳუით გლახაკნი, რომელთაც ვაჰბედეს და წარმოსტკვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილოკაეს ხმარობსო“ („ივერია“, 1902 წ., № 186).

იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი ნამდვილი მოწოდება იყო რუსიფიკატორთა და ყოველგვარ შავრაზმელთა წინააღმდეგ, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ქართველი ერის დაშლა და საბოლოო გადაგვარების გზაზე შეყენება. გოგებაშვილის ამ მოწოდების ერთგული შემსრულებელი ჯარისკაცები იყვნენ ლადი გაგუა და მისი მსგავსი სახალხო მასწავლებლები, რომელთა რიცხვი არც ისე მცირე იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი ერთგულებისა და გულწრფელი ბრძოლების შედეგად ილია ქაეჯავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მესაქეობით დაწყებული ბრძოლა მოგებულ იქნა. ვლადიმერ გაგუას ამ ისტორიულ ბრძოლაში არც ისე მცირე წვლილი აქვს შეტანილი, რომ ის არ შევამჩნიოთ. გიორგი ბოკერიას გადმოცემით ლადი გაგუა „განსაკუთრებული ენერჯით იცავდა ქართული ენის უფლებებს იმდროინდელს სამეგრელოს სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებით რა ამორტიკელთა ნეოხებით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან იდევნებოდა, ვლადიმერ გაგუასა და ერწილე შარაშიძის გამბედაობით და მოხერხებით, მათს სკოლებში ყველგან ისწავლებოდა ქართული ენა, ყველგან ნახავდით მოსწავლეთა ბოხჩებში „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“. ამრიგად, ვლადიმერი ქართული ენისა და კულტურის დამცველი იყო. მას ხალხს აყვარებდა („განათლების მუშაკი“, 1928, №12).

ამასვე ადასტურებს თავის მოგონებებში დასავლეთ საქართველოში კარგად ცნობილი მოღვაწე ქალი, ქალთა პირველი პროფესიული სკოლის დამაარსებელი ნოტიო ლოლუა. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, ვიდრე ლადი გაგუა ფოთში მოღვაწეობდა, მას თავისი კერძო სკოლისათვის ქართული და რუსული ენებისა და ისტორიის მასწავლებლის დაქირავება არ დასჭირვებია. ამ მოვალეობას ქალთა ამ თავისუფალ პროფესკოლაში ლადი ასრულებდა სრულიად უსასყიდლოდ, დიდი ხალისითა და სიყვარულით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ის აქტიურად ებმება ახალი, საბჭოთა სკოლის მშენებლობის დიდ საქმეში როგორც ხელმძღვანელი და გამოცდილი პედაგოგი, რომელსაც მაზრის სკოლების ინსპექტორობა ჰქონდა დაკისრებული.

1929 წელს მადლიერმა ხალხმა, სენაკის მაზრის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და განათლების მუშაკებმა ვალმოხდით პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს მისი 45 წლის მოღვაწეობის იუბილედ გადაუხადეს. ლადი გაგუა გარდაიცვალა 1944 წლის 25 ივლისს, დაკრძალულია სოფ. კოტიანეთში (ეხაკაიას რ.)

ქართულ მწერლობაშიც შეინიშნება ლადი გაგუას მიერ გაღებული წვლილი. „ხაკო უჩარდიის“ თსევედონიშით ჯერ კიდევ 80-ანი

წლებიდან დაიწყო მან თანამშრომლობა ქართულ პრესაში. გაზეთი „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა სისტემატურად ბეჭდავდნენ მის კორესპონდენციებსა და სტატიებს სხვადასხვა საკითაზე, სადაც უმთავრესად სახალხო განათლების, მშრომელი გლეხობის უმწეო ნდგომარეობა და სხვა სოციალური უკუღმართობანი იყო გამოხატული. მაგალითად, „კვალის“ 1893 წლის № 52-ში „სოფლის ვითარების“ სათაურით მოთავსებულ წერილში ის ეხება სოფლის საერთო სოციალურ, ეკონომიურ-კულტურულ ვითარებას, კერძოდ, იმას თუ როგორ არის იქ დაყენებული სახალხო განათლების საქმე, მასწავლებელთა უფლება-მოვალეობას და ზოგიერთ უმაღლეს განათლებამიღებულ ინტელიგენტს, რომელსაც „სოფლის ცხოვრება არ მოსწონება და თავი ქალაქში შეუფარებია, თავის სოფელს, მშობლიურ მოსახლეობას გამიჯნვია“.

ანავე სტატიაში ვლადიმერ გაგუა ნეტად საინტერესოდ სვამს სოფლისადმი დახმარების საკითხს ამა თუ იმ სოფლიდან გამოსულ იმ სპეციალურ უმაღლეს განათლებამიღებულ ინტელიგენტისაგან (ექიანი, აგრონომი, ინჟინერი და სხვა.), რომელთაც ქალაქში შეუფარებიათ თავი და სოფელს არ ეკარებიან. ამის გამო ლადი გაგუა წერს: „მაშ რა უბედურებაა ასეთი მამულიშვილობა? თუ კი სოფელს არავინ გაეკარება, არავინ დაეხმარება?“ „ქატას თევზი ჭყვარდა, მაგრამ წყალში ფეხის დასველება ეხარებოდაო“ — ვისაც მოძმის მიშველება და სიკეთესურს, იმან სოფელში უფრო ნეტაც უნდა იტრიალოსო“.

ჩვენ არ ვავაგრძელებთ ლ. გაგუას საგაზეთო სტატიებიდან სხვა აღვიღების მოყვანას. მისი ჟურნალისტური კრედიო. მოყვანილიდანაც ცხადია. ის ამგვარ სტატიებს ზედი-ზედ ათავსებდა ჟურნალ „კვალში“, მანამდე კი სერგეი მესხის გაზეთ „დროებასა“ და ილია შავჭავჭავაძის „ივერიაში“. „ხაკო უჩარდიას“ (ლადი გაგუას) ეს სტატიები და კორესპონდენციები უეჭველად ატარებდა იმდროინდელს ქართულ პერიოდულ პრესაში აქტუალურ ხასიათსა და საზოგადოების ყურადღებასაც იმსახურებდა.

ლადი გაგუა ავტორია აგრეთვე რამდენიმე ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომისა. მის მიერ არის ნათარგმნი რუსულიდან 1898 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდილი „საოცარი სასტუმრო ანუ უცნაური სიზმარი“, „ბრძენი ელ. პასკალი და მისი ცხოვრება-მოღვაწეობა“ (1908 წ.); 1908 წელს ფოთში განოცემულია მის მიერ შედგენილი წიგნაკი „დაავდეთ თუთუნის წვეა, იგი ღიდად მავნებელია“ და სხვა.

ლიტერატურა: „განათლების მუშაკი“, 1928 წ., № 12; ი. გოგებაშვილი, ტ. I: ჟურნ. „კვალი“, 1993 წ., № 31, 41, 44, 52; 1894 წ., კვ. 5, 14.



ალექსანდრე მგელაძე

(1864—1932)

რევოლუციამდელი ქართული სკოლის სახალხო მასწავლებელთა რიგს ეკუთვნოდა ალექსანდრე ბუჭუას-ძე მგელაძე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის რთულ, მაგრამ საპატიო საქმეს.

ალექსანდრე მგელაძე დაიბადა 1864 წელს სოფ. ბახეში (ოზურგეთის მაზრა), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ამავე სოფელში მიიღო, რის შემდეგ სწავლა განაგრძო გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც 1885 წელს დაამთავრა წარჩინებულის ყოფაქცევითა და კარგი აკადემიური წარმატებით. აღნიშნული სემინარიის დამთავრებით ალ. მგელაძეს მიენიჭა „დაწყებითი სახალხო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება“.

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1885 წლის 1 აგვისტოს ალ. მგელაძე დაინიშნა მასწავლებლად სოფ. დვაბზუს (ოზურგეთის მაზრა) სასწავლებელში. აქედან ის 1889 წლის

15 იანვარს გადაიყვანეს სოფ. ხვარბეთის (ოზურგეთის მაზრა) სკოლაში, 1892 წლის 20 იანვარს კა—სოფ. ბახვის სასწავლებელში. მშობლიურ სოფელში ალ. მგელაძემ ექვსი წელი იმასწავლებლა. ეს ის პერიოდია, როცა მოწინავე მასწავლებლობა აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. ალ. მგელაძეც ცხოვლად ეხმაურებოდა ახალი ცხოვრების დაწყების ვითარებას, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდათ შავრაზმელ დირექტორ-ინსპექტორებს.

„ამ მიზეზით მოაცილეს ის გურიას და „მოსარჯულებლად“ აპარაში სოფ. ხულოში გადაიყვანეს“¹, სადაც ამ დროს არსებობდა ორკლასიანი სასწავლებელი. აქ ალ. მგელაძე დაინიშნა ამ სკოლის ზედამხედველად 1898 წლის 15 იანვარს. აქ მან იმუშავა 1901 წლის იანვარამდე.

„ვერც აქ დაიძალა მისი არასაიმედო“ საქმიანობა და გამოაძევეს კიდევ აჭედან, საიდანაც ის გადმოვიდა ქალაქ ბათომში, დაიწყო მეკადინეობა ერძო მოწაფეებთან და იმავე დროს საკვირაო სკოლაში მუშებთან“ (იქვე).

1903 წლის 9 სექტემბერს ალ. მგელაძე მასწავლებლად დაინიშნა იმ სკოლაში, რომელსაც ის ემსახურებოდა სიკვდილამდე. 1920 წლამდე ეს იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ქართული დაწყებითი სკოლა, რომელიც 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა. 1921 წლიდან მხცოვანი პედაგოგის გარდაცვალებამდე (1932 წლამდე) აქ არსებობდა რვაწლიანი შრომის სკოლა, შემდეგ ოთხწლიანი შრომის სკოლა და ბოლოს, 1930 წლიდან ზვიდწლელი.

ალ. მგელაძემ ისე, როგორც ყველა მაშინდელმა პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელმა თავის თავზე გამოსცადა რეაქციული სასწავლო ხელისუფლების მთელი სისასტიკე. ამის ნათელსაყოფად საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელსაც ალ. მგელაძე იგონებს ბათომის „წ.ჯ. გ. საზ.“ ქართულ სკოლაში მუშაობის პერიოდიდან. ის წერს

„დავარდა ხმა, რომ ბათომის სკოლების დასათვალისწინებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი მოდისო. ის ისეთი ვეშაპი კაცი იყო, რომ მის წინაშე თრთოდა და ძრწოდა მისი უწყების ყოველი მოსამსახურე. მაშინდელი მიმდინარეობის მიხედვით მეფის მთავრობა საქართველოში მასწავლებელთა დასათრგუნაჲდ განსაკუთრებით მწატე ჩინოვნიკებს ჰგზავნიდა. ბათომში ზავადსკიმ... სლავინსკი გამოგზავნა... ესეც ერთი ...ქართველთ მოძულე, გაიძეკრა, შელა კაცი“².

¹ გახეთი „ლიტერატურული ტრიბუნა“, აპარის მწერალთა ორკვირეული ორგანო, 1925 წლის 31 მაისი.

² ალ. მგელაძის პირადი არქივიდან „ქ. შ. წ. ჯ. გ. ს.“ ბათუმის სკოლის შესახებ, გვ. 11.

ამის შემდეგ ალ. მგელაძე აღწერს სლავინსკის მისვლას ბათუმის ქართულ სკოლაში. როცა გაცოფებულმა სლავინსკიმ ყველა-ჯგუფი შემოიარა, სკოლის გამგე-მასწავლებელს ივლ. გოგოლაშვილს მიმართა სასტიკი საყუედურებით იმის გამო, რომ სკოლაში ქართულად ასწავლიან. მოთმინებიდან გამოსულმა ივლ. გოგოლაშვილმა სლავინსკის მიმართა:

„- რა გახდა! ჩვენ გყავს გამგეობა. ის არის ტფილისში. ეს მშვენიერად თქვენც იცით. იცნობთ მშვენიერად გამგეობის თავმჯდომარეს ი. კიეჟავაძეს. ჩვენ გამგეობის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქციით ვმუშაობთ, იმის გარეშე, რაც უნდა მცირედი მომთხოვოთ, მაინც არ შევასრულებ. თუ არ მოგწონთ ეს ჩვენი მუშაობა, მოსთხოვეთ ჩვენს გამგეობას, რომელიც თქვენი კანცელარიის პირდაპირ არის ტფილისში და ის აგებს პასუხს“¹.

ასეთი შებრძოლებანი ქართველ მასწავლებლობასა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ხშირი მოვლენა იყო.

ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლები და მათ შორის ალ. მგელაძეც აშკარად გამოხატავენ უკმაყოფილებას არსებული წყობილებით. მათმა ასეთმა განწყობილებამ გამოხატულება პოვა 1905 წლის რევოლუციურ დღეებში. როგორც ცნობილია, სიერთო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას ბათუმში თავისი განზოგადებული მასწავლებლობამ გაფიცვა გამოაცხადა. ამ გაფიცვას შეუერთდნენ ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლებიც. „ბათუმის სკოლის საარქივო მასალებში დაცულია ბათუმის სკოლის მასწავლებლის ივლიანე გოგოლაშვილის, ალექსანდრე მგელაძისა და ბარნაბ გელაზანიას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ბათუმის სკოლის კომიტეტის თავმჯდომარისადმი, რათა ამ უკანასკნელმა აცნობოს საზოგადოების გამგეობას, რომ ჩვენ ბათუმის სკოლის მასწავლებლები ვუერთდებით ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის ოლქის სახალხო სკოლების მასწავლებელთა დადგენილებას სწავლის შეწყვეტის შესახებ, სანამ ახლანდელი პირობები არ შეიცვლება. ბათუმის სკოლის მასწავლებელთა ეს განცხადება გამგეობას ეცნობა“².

საზოგადოების სკოლაში შექმნილი ვითარების გამო გამგეობამ ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორს აცნობა, რომ „ввиду

¹ ალ. მგელაძის პირადი არქივიდან—ქ. შ. წ. კ. ს.“ ბათუმის სკოლის შესახებ.

² საქართველოს ცენტ. არქივი, ფონდი 481, საქმე № 961.

„შროშენი უმთვრესი უმთვრესი“ და აგრეთვე
კვაკვილის გაჩენის გამო, საზოგადოებამ გადაწყვიტა სწავლა შეაჩე-
როს ხელსაყრელ დრომდე¹.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაზეთებულმა
რეაქციამ დიდად შეაფერხა სკოლებში მუშაობა. ალ. მგელაძე იგო-
ნებს: „რეაქცია მძვინვარებს, ბათუმი და მისი არე-მარე საალყო
წესების ქვეშ თრთის. ბინდის შემდეგ სახლიდან გარეთ გამოიხედვა
სახიფათოა. არ იცი ვინ და რა დროს შემოგეპრება ოჯახში და რა
იარაღის მსხვერპლი გახდები, — ხანჯლის თუ დამბაჩის... საალყო
წესებში ცხოვრების მაჯისცემა შესწყვიტა... სკოლებში სწავლა კარ-
გახნობით შეჩერებულია. არავინ იცის, როდის განახლდება“².

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ბათუმის ქართულ სკოლა-
ში რამდენიმე ხნის შემდეგ სწავლა განახლდა. ამ ხანებში სკოლა
დაუთვალეირებია დავით კარიკაშვილს, რომელიც ასკენის, რომ
მასწავლებელთა ენერგიული მუშაობის შედეგად სურათი კატასტ-
როფული არ არისო. ამ სკოლაში ალ. მგელაძე ასწავლიდა II გან-
ყოფილებაში რუსულ ენასა და ანგარიშს, ხოლო მესამე და მეოთხე
განყოფილებაში — ქართულ ენას, სამშობლოს აღწერას და ბუნების-
მეტყველებას.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების გამო
ბათუმის სკოლაში სწავლა შეწყდა და ალ. მგელაძე დროებით თა-
ვის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

1915 წლის სექტემბერში, როცა ბათუმის სკოლამ კვლავ
განახლა მუშაობა, სკოლის გამგედ დანიშნა ალ. მგელაძე. ამ
დროიდან სიკვდილამდე ის ამ სკოლის გამგედ ითვლებოდა.

1920 წელს ალ. მგელაძისაგან, როგორც „წერა-კითხვის გამავ-
რცელებელი საზოგადოების“ სკოლის ხელმძღვანელისაგან, ბათუმის
ქართული სკოლა სათანადო აქტით გადაიბარა ქალაქის მმართვე-
ლობამ.

პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ალ. მგელა-
ძეს ბევრი უმუშავნია ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოე-
ბის შედგენაზე. ეს სახელმძღვანელოები, რომლებიც დაცულია მის
პირად არქივში, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს თავისი შინაარ-
სითა და შედგენის პრინციპებით. შევჩერდეთ ამ სახელმძღვანე-
ლოებზე.

¹ გ. ნ ი თ რ ა ძ ე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, ბათუმი, 1950, გვ. 66.

² ალ. მ გ ე ლ ა ძ ე ს პირადი არქივიდან, ბათუმიდან ქობულეთამდე, გვ. 5—6.

საანბანო წიგნები. ხელნაწერებში ოთხი რვეულია, რომლებშიც ალ. მგელაძე იძლევა ცდას საკუთარი საანბანო წიგნის შედგენისას. ჩვენი აზრით ამათგან ყველაზე ძველი უნდა იყოს რვეული, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ლამპარი“ პირველი ნაწილი. ქართული ანბანი. შედგენილია. მგელაძის მიერ. წიგნის სიძველეს მისი ლექსიკური მასალაც ამტკიცებს (ჯვარი. საყდარი). ამის შემდეგი უნდა იყოს საანბანო რვეული, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი. მცირე წლოვანთათვის“. შემდეგ საანბანო რვეულს სათაურად აქვს „პირველი ბიჯი“. ხოლო უკანასკნელ რვეულს, რომელსაც „კოკორი“ ეწოდება, ასეთი თავფურცელი აქვს: ალ. მგელაძე.. „კოკორი“, ქართული ან-ბანი და პირველი საკითხავი წიგნი I ჯგუფისათვის, ქ. ბათომი, 1931 წ“.

გარდა საანბანო წიგნებისა, ალ. მგელაძის ხელნაწერებში ინახება ხუთი საერთო რვეული, ამათგან ოთხი რვეული უჭირავს ანბანის შემდეგ საკითხავ მასალას. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს საანბანო რვეულის „ლამპარის“ დამთავრების შემდეგ გასავლელი მასალა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ალ. მგელაძისა და მამფორიას მიერ 1924 წელს შედგენილი ხელნაწერი ნაშრომის შესახებ, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ლექსიკური გაკვეთილები ქართული ენის შესასწავლათ, არა ქართული სკოლებისათვის, წელიწადი პირველი, შედგენილი ალ. მგელაძისა და ბ-ნ მამფორიას მიერ, ბათომი, 1924 წ“.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ალ. მგელაძე თანამშრომლობდა ქართულ იუმორისტულ ჟურნალ „ემმაკის მათრახში“, სადაც იგი ალ. ბლიკვადის ფსევდონომით ხშირად ათავსებდა სახუმარო სცენებს, ლექსებსა და შარადებს სხვადასხვა საკირბოროტო საკითხზე. მის პირად არქივში შენახულია ორი სხვადასხვა ზომის რვეული (ერთი 56 გვერდიანი, მეორე 16 გვერდიანი), რომელშიც მოთავსებულია მისი იუმორისტული შემოქმედების 44 ნიმუში.

ალ. მგელაძის არქივში არის აგრეთვე 1905 წელს გურიაში გავრცელებული ლექსი, რომელშიც გამასხარავებული არიან გურიის აზნაურობა და მეფის მოხელეები.

1925 წლის 7 ივნისს 61 წლის მხცოვან პედაგოგს, ალ. მგელაძეს ბათუმის მშრომელებმა გადაუხადეს პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. იუბილარს მრავალი მისალოცი დეპეშა მიუვიდა. იუბილარმა თავის სიტყვაში მოსწავლე ახალგაზრდო-


ბას ასე მიმართა: „ჩე მუდამ ბედნიერად ვთვლიდი ჩემს თავს, იმი-
ტომ რომ ჩემი საქმიანობა თქვენთან იყო დაკავშირებული... და
დღეს, როცა ჩემდა პატივსაცემად მოზღვავებულ ამ ჩემს საყვარელ
ახალგაზრდობას ვხედავ, ჩემი ბედნიერება გაათასკეცებულია... მე
ვერ შევძელი ჩემი ვალი მომეხადა, მაგრამ გისურვებთ თქვენ ცხო-
ვრებაში ვალმოუხდელი არ დარჩენილიყოთ“.

40 წლის იუბილესთან დაკავშირებით აპარის ასსრ სახალხო
კონისართა საბჭოს 1925 წლის 6 ივნისის დადგენილებით ბათუ-
მის პირველი საფეხურის მეორე ქართულ სკოლას ეწოდა ალექსან-
დრე მგელაძის სახელი“.

ალ. მგელაძის იუბილეს ჩატარება აღინიშნა „უჩიტელსკაია
გაზეტას“ (1925 წლის 16 ივნისის), გაზეთ „კომუნისტის“ (1925 წლის
4 ივნისის) და აპარის წვერალთა გაზეთის „ლიტერატურული ტრიბუ-
ნის“ (1925 წლის 25 მაისი) ფურცლებზე.

ვალშობილი ნსკოვანი პედაგოგი გარდაიცვალა ქალ. ბათუმ-
ში 1932 წელს.

ლიტერატურა: გაზეთი „ლიტერატურული ტრიბუნა“. 1925 წ., 31
მაისი; საქართველოს ცენტრ. არქივის ფონდი 483,
საქმე № 951; ალ. მგელაძის არქივი (დატულია სახ.
ჯანათლების მუზეუმში); გ. ნიორაძე, პირველი ქარ-
თული სკოლა ბათუმში, 1951 წ.



გიორგი თაბუკაშვილი (1866—1926)

ტიორგი თაბუკაშვილი იკუთვნის ხალხის სწავლა-განათლები-სათვის თავდადებულ პედაგოგთა იმ ჯგუფს, რომელმაც, თავისი საზოგადოებრივი მოწოდება — მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების გამო, არაერთხელ იგემა და განიცადა უშუალოდ მე-ფის შავრაზმული ხელისუფლების მთელი სუსხი და სიმკაცრე, და-უსრულებელი რეპრესიები და უღმობელი მსჯავრი, მაგრამ, მიუხე-დავად ამისა, არათუ შეანელა მუშაობა მშობლიურ ენაზე სახალხო განათლების ხალხში გავრცელების დიდი საზოგადოებრივ-ეროვნუ-ლი საქმისათვის, არამედ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ამ მაღალი იდეის განხორციელებას შესწირა და ერთხელ აღებულ სა-ზოგადოებრივ ვალდებულებას ბოლომდე უანგაროდ ემსახურა.

ტიორგი რომანოზის-ძე თაბუკაშვილი დაიბადა 1866 წლის 1 თებერვალს, შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალში. დაწყებითი 25. სახალხო მასწავლებლები.

სწავლა მან ადგილობრივ სოფლის სკოლაში მიიღო. საშუალო პედაგოგიური განათლების შესაძენად იგი ხონის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში შევიდა. უკვე საკმარისად გაცნობიერებული იყო ახალგაზრდა ტრიფონ თაბუკაშვილი, როდესაც ხონის სემინარიის ცნობილი შავრაზმელი სოკოლოვი მოეველინა დირექტორად. სოკოლოვმა იმდენად მკაცრი და სასტიკი რეჟიმი გაამეფა სემინარიაში, რომ საკადრისი ფიზიკური შეურაცხყოფაც მიიღო მოსწავლეებისაგან. ტრ. თაბუკაშვილი სემინარიის მოსწავლეთა ამ „რევოლუციური“ ჯგუფის აქტიური წევრი იყო და სასწავლებლიდან გამორიცხვას ძლივს გადაურჩა.

1886 წელს ტრ. თაბუკაშვილმა დაასრულა ხონის საოსტატო სემინარიის კურსი. ახალგაზრდა პედაგოგი სოფელ ძიმიტის (გურია) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. მხოლოდ ორი წელი ემსახურა ტრ. თაბუკაშვილი გურიაში ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საყვარელ საქმეს, მაგრამ ამ მეტად მოკლე ხნის განმავლობაშიც მოსწავლეთა და მოსახლეობის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

1888 წელს ტრ. თაბუკაშვილი ხარაგოულის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად გადმოიყვანეს. სრული რვა წელი დაჰყო მან ხარაგოულის სასწავლებელში და თავისი ენერგიული და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობით იმდენად გაითქვა სახელი საზოგადოებაში, რომ 1896 წელს იგი ხონის საოსტატო სემინარიაში წინაწივს მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად და სემინარიელთა საცდელი გაკვეთილების ხელმძღვანელად ქართულ ენაში.

ხონის სემინარიაში ფართოდ გაიშალა ტრ. თაბუკაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი არა მარტო მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა, არამედ თვით სემინარიელთა ყველაზე საყვარელი აღმზრდელი პედაგოგი იყო.

ტრ. თაბუკაშვილის ავტორიტეტის ზრდას სემინარიის მოსწავლეებში ვერ ითმენდნენ სემინარიის შავრაზმელი მესვეურები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ დირექტორი დევიციკი, კაცის მკვლელი ნიკოლაევი, ჟანდარმთხუცესი ზემსკი და სხვ. ამათ შექმნეს სემინარიაში სულისშემხუთველი რეჟიმი, ჯაშუშური წრეები და სასტიკი დევნა დაუწყეს ქართულ ენას. ტრ. თაბუკაშვილი ერთი პირველთაგანი შეებრძოლა დევიციკის ამ რეაქციულ რეჟიმსა და რუსიფიკატორულ მოქმედებას და კიდევ ემსხვერპლა ამ საქმეს. სემინარიის დირექტორმა დევიციკიმ ტრ. თაბუკაშვილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე დააბეზლა, რუსეთის იმპერიის დამაზინებელად ასწავლის და რყვნის მოსწავლეებსო. ამის შედეგად

ტრ. თაბუკაშვილი 1904 წელს, პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო-ობის გამო, მზრუნველმა დაითხოვა ხონის სემინარიიდან და დას-ჯის მიზნით ახალქალაქში გადაიყვანა მასწავლებლად.

ტრ. თაბუკაშვილი იმდენს ეცადა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისევე აღიდგინა თავი ხონის სემინარიაში. იგი ისევე ჩვეული ენერ-გიითა და კიდევ უფრო მეტი პრინციპულობით შეუდგა სემინარიის აბაღაზრდობაში პროგრესული იდეების გავრცელებასა და მათი სწავლა-აღზრდის ჯანსაღ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარები-სათვის ბრძოლას. ტრ. თაბუკაშვილმა სასტიკად ამხილა (1910—1911 წ. წ.) კაცისმკვლეელი მასწავლებლის — ნიკოლაევის ბოროტ-მოქმედება, რითაც სასწავლო ოლქის ადმინისტრაციას ხელშეორედ მიეცა საბაბი მეტბრძოლი პედაგოგის ხონის სემინარიიდან მოშო-რებისა. „თქვენი მუშაობა ქართველთა შორის შეუძლებელიაო“ — მოახსენა მას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლ-ფმა და განჯაში გადაისროლა რუსული ენისა და ისტორიის მას-წავლებლად. ტრ. თაბუკაშვილს არც განჯაში შეუწელებია პედა-გოგიური მოღვაწეობა. იგი საუკეთესო პედაგოგად იქნა აღიარე-ბული აზერბაიჯანელ მოსახლეობასა და მოწინავე საზოგადოებაში.

მხოლოდ 1917 წელს, რევოლუციის გარიჟრაჟზე, გახდა შესაძ-ლებელი ტრ. თაბუკაშვილის გადმოყვანა საქართველოში სამუშა-ოდ. იგი ახლა, ხარაგოულის საზოგადოების მოთხოვნით, ხარაგო-ულის სკოლის გამგედ იქნა დანიშნული. აქ იგი უდაღესი პოპულა-რობით სარგებლობდა. აქედან ტრ. თაბუკაშვილი ქ. თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. უკანასკნელად იგი თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში ეწეოდა მოღვაწეობას.

ტრ. თაბუკაშვილი გარდაიცვალა 1926 წლის 11 იანვარს.

თავისი მდიდარი პედაგოგიურ-მეთოდური გამოცდილება ტრ. თაბუკაშვილმა არა მარტო ყოველდღიურ პედაგოგიურ პრაქტი-კაში გამოიყენა და ნაყოფიერად დანერგა, არამედ საფუძვლად და-უდო იმ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და მეთოდოლოგიურ ნაშრომებ-საც, რომლებიც მის კალამს ეკუთვნის.

ტრ. თაბუკაშვილის შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობა მთელი ძალით მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გა-იშალა. იგი დიდი ენერჯიითა და გულმოდგინებით შეუდგა ახალ-გაზრდა საბჭოთა ქართული სკოლისათვის სახელმძღვანელო წიგნების შედგენას. იგი იყო ავტორი ერთ დროს ჩვენს სკოლებში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ქართული ენის სახელმძღვანელოები-სა — „განთიადისა“ და „აისისა“. „განთიადი“ შედგენილი იყო ორ ნაწილად (გამოიცა 1923 და 1924 წ. წ.) და განკუთვნილი იყო

შრომის სკოლის III და IV ჯგუფებისათვის. ამავე დანიშნულებას ენახებოდნენ „აისიცი“ (გამოიცა 1924 და 1925 წ. წ.), რომელიც აგრეთვე ორი ნაწილისაგან შედგებოდა.

ის მეთოდური გამოცდილება, რაც ტრ. თაბუკაშვილს ქართული ენის სწავლების დარგში ჰქონდა დაგროვილი, მან საუკეთესოდ ჩამოაყალიბა და დაალაგა თავის ცნობილ მეთოდოლოგიურ ნაშრომებში („მეთოდოლოგიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ“, 1923 წ. და „სასვენი ნიშნების ხმარება“, 1925 წ.).

ტრ. თაბუკაშვილის მთელი პრაქტიკული და თეორიული პედაგოგიური მოღვაწეობა ემყარება მის ძირითად დებულებას, რომ „ყოველი შეგნებული და პატიოსანი მასწავლებელი თავის უდიდეს, სათაყვანო მიზნად ისახავს შოწაფეთა ზნეობრივ-გონებრივ განვითარებას და სწორ გზაზე დაყენებას, რომ შემდგომ, როცა ისინი სკოლის კედლებს გასცილდებიან, დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებენ, იმათ შეეძლოთ საკუთარი შრომით გააფართოვონ. გააღრმავონ სკოლაში შეძენილი ცოდნა, გაასპექტაკონ თავისი სული და გული და იმ დონემდე ამაღლდნენ, რომ ღირსეულად ატარებდნენ საზოგადოების კეთილშობილი და სახარბიელო წევრის სახელს“ („სასვენი ნიშნების ხმარება“, 1927 წ., გვ. 3).

ადამიანის სწავლა-განათლების ამ უმთავრესი მიზნის მიღწევის არსებითს და უპირველეს საშუალებას სკოლაში შეგნებული სწავლების განხორციელება შეადგენს. „მთელი ჩვენი ძალდონე უნდა ტრიალებდეს იმის გარშემო, რომ სწავლა შეგნებით წარმოებდეს, მოწაფეების ქვეყნობა მუშაობდეს და რაღაც ნიშნების მიხედვით ზეპირობას ადგილი არ ჰქონდეს... ჩვენც შეუდრეკელის ნებისყოფით ვეცადოთ ავიცდინოთ თავიდან და ავაცდინოთ ჩვენს მოწაფეებს ყოველივე ის, რაც მექანიკურ მუშაობას ქმნის, და მუდამ გვეკეროს ენაზე, რომ სწავლისათვის საკიროა სამი რამ: შეგნება, შეგნება და შეგნება!!!“ — სწერდა ტრ. თაბუკაშვილი მასწავლებლის საყურადღებოდ (იხ. „მეთოდოლოგიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ“. 1923 წ., გვ. 78—79). შეუგნებელი სწავლება „აჩლუნგებს ადამიანის გონებას, მის აზროვნება-მოსაზრებას და, ცხადია, ხელს უშლის როგორც განსაზღვრული საგნის შესწავლას, ისე საერთოდ მის განვითარებას“ (იქვე, გვ. 3); ხოლო შეგნებული სწავლება პირიქით ცოდნის საფუძვლიანად და ღრმად შეთვისების პირობაც არის და მოსწავლის ძალებისა და უნარის სრულყოფილი განვითარების საშუალებაც. ამიტომ მიაჩნია ტრ. თაბუკაშვილს შეგნებულობა სწავლა-განათლების ძირითად კანონად.

შეგნებული სწავლების ამოცანას მოსწავლეთა „შემოქმედებითი ნიჭის გაღვივება და ამუშავება“ შეადგენს, რაც მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც „მოწაფეების აქტივობას ყოველთვის და ყველაფერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი“ („აისი“, ნაწ. 1, წინასიტყვაობა, გვ. 1V), როდესაც მოსწავლეთა „აქტივობა, თვით-მოქმედება და შრომის უსარი“ კაცობრიობის მიერ დღემდე დაგროვილი ცოდნის საფუძვლიანად შეთვისებას მოხმარდება. ამიტომ მასწავლებელმა სწავლების პროცესში უნდა მიაღწიოს იმას, რომ „თვითეული სიტყვა, ყოველი ფრაზა ადვილად, ნათლად გაგებულ იყოს მოწაფის მიერ და მისი ცოდნის სალაროში დარჩეს თავის ადგილზე სახმარებლად და ბურუსში არ იყოს გახვეული ტვინი“ — წერდა ტრ. თაბუკაშვილი („მეთოდოლოგიური შენიშვნები“, გვ. 4).

პედაგოგიურ მუშაობაში შეგნებული სწავლების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობას სწავლების თვალსაჩინოების პრინციპზე დამყარება შეადგენს. ამიტომ, „სადაც კი შესაძლებელია, ფართოდ უნდა ვხმარობდეთ თვალსაჩინოებას როგორც შინაგანს, აგრეთვე გარეგანს: საგნებისა და მოქმედების ჩვენება, აზრთა და საგანთა სხვადასხვა მხრით შედარება, წერა და სხვ“ (იქვე. გვ. 76). ამისათვის ისიცაა საჭირო, რომ სასწავლო „საგნებს შორის კავშირი არსებობდეს და ერთი საგნის სწავლება მეორეს ეხმარებოდეს“, რომ მოსწავლეებმა გამთლიანებული და სისტემაში მოყვანილი ცოდნა მიიღონ, რომლის გამოყენებაც მათ ადვილად შეეძლებათ.

ტრ. თაბუკაშვილი თავის პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობასა და მის მიერ შედგენილ სასკოლო სახელმძღვანელოებში ყოველთვის ცდილობდა ამ ძირითადი პედაგოგიურ — დიდაქტიკური პრინციპების განაღებებს. იგი ისეთ სასწავლო მასალებს აარჩევდა სახელმძღვანელოებისათვის, რომლებიც მოსწავლეებს გონებრივად განავითარებდა და ზნეობრივად აამაღლებდა და გაასპექტაკებდა.

ყველაზე მეტი ღვაწლი ტრ. თაბუკაშვილმა ჩვენს სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეს დასდო. „ერთ მთავარ მიზნად სკოლაში ენის შესწავლა უნდა იყოს დასახული, რადგან ის არის საუკეთესო იარაღი ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის“ — სწერდა იგი („აისი“, II ნაწ., გვ. 1). ამიტომაც იგი გულმოდგინედ და დაწვრილებით ამუშავებდა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების გადაუდებელ საკითხებს. თავის მეთოდოლოგიურ ნაშრომში მან საფუძვლიანად ჩამოაყალიბა ჩვენს სკოლებში გრამატიკის სწავლების ძირითადი კანონები და წესები. ამოსავალ პრინციპად გრამატიკის სწავლებაში ტრ. თაბუკაშვილმა მიიღო დებულება: „საუკეთესო მეთოდად უნდა ჩაითვალოს ის გზა, როცა


თეორია და პრაქტიკა დაკავშირებულია და ერთმანეთს ეხმარება („მეოლოგიური შენიშვნები“, გვ. 7), და მის ნიადაგზე დაასაბუთა, რომ „გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს არა განყენებულად, მოწაფეებისათვის გაუგებარი წესების ზეპირობის შემწეობით“, არამედ „პრაქტიკული ვარჯიშობის გზით“. გრამატიკული თეორია უნდა ეწარებოდეს „პრაქტიკულ მეთოდს“. „ჯერ მაგალითები, დიდი ხნის კარჯიშობა და შემდეგ დასკვნა“ — ასეთი უნდა იყოს გრამატიკის სწავლების მართებული გზა. „ყოვლად მიუღებელია პირველ ხანებში გრამატიკული ტერმინების ხმარება: ის ნელნელა უნდა შედიოდეს ხმარებაში, ნაოლოდ მის შემდეგ, რაც დასმული საკითხი ნათლად აქვთ გაგებული და შესწავლილი მოსწავლეებს და ხანგრძლივი ვარჯიშობით იმის გასაგებადაც შემხადებულნი არიან, თუ საიდან წარმოსდგა ტერმინი“. „ცოტა გვიან შეიძლება მოვთხოვოთ მოწაფეებს ვადმოცემა ზოგიერთი მარტივი განმარტებისა, მაგრამ პირველ ხანებში უფრო ვოცლად მოწაფეთა სიტყვარიდან ამოღებული სიტყვებით: შეადგე უფროს კლასებში უფრო მოკლე ფრაზებში; მაგრამ სიტყვა-სიტყვით განმარტების გაზეპირება არ არის საჭირო“ (იქვე, გვ. 76-77) და სხვ.

ტრ. თაბუჯაშვილის ეს მეთოდოლოგიური შენიშვნები იმდენად ხანგრძლივ პედაგოგიურ დაკვირვებას და მდიდარ გამოცდილებას ემყარება, რომ ამჟამადაც გამოდგება იმ ძირითად საშუალებად, რაც უნდა უზრუნველყოს ფორმალისმის აღმოფხვრა გრამატიკის სწავლებაში, რომელსაც ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ძალზე დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ახალგაზრდობას ტრ. თაბუჯაშვილის მეორე მეთოდოლოგიურმა ნაშრომამაც სასვენნი ნიშნების ნართებულად ხმარების წესების შეთვისებაში.

ტრ. თაბუჯაშვილი პრინციპული და მებრძოლი სახალხო მასწავლებელი იყო. იგი ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქართველ საზოგადოებას, ახალგაზრდობაში სწავლა-განათლების დანერგვა-გავრცელების საშეილიშვილო საქმეს. მისი ენერგიული, გულთბილი და გულისხმიერი შემოქმედებითი პედაგოგიური მოღვაწეობით ტრ. თაბუჯაშვილმა მოსწავლე თაობებსა და საზოგადოებაში საყვარელი აღმზრდელი პედაგოგის უქკნობი სახელი მოიხვეჭა და ქართული პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური აზროვნების სალაროშიც მოკრძალებით შეიტანა თავისი არც თუ მცირედი წვლილი.

ლიტერატურა ტრ. თაბუჯაშვილი, „განთიადი“, შრომის სკოლის II და III ჯგუფებისათვის, 1923 წ.; „აისი“, 1924 წ.; მეთოდოლოგიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ, 1923 წ.; სასვენნი ნიშნების ხმარება, 1925 წ..



ივანე გომელაუკი

(1867—1951)

ივანე გომელაური ძველი თაობის ქართველი სახალხო მასწავლებლების ვალმოხდილი წარმომადგენელია. იგი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დაუსრუტელი ენერჯითა და საქმისადმი უანგარო სიყვარულით ემსახურებოდა მოზარდი თაობის სწავლა-განათლებასა და აღზრდას.

ივანე გომელაური ქართული სკოლისა და ნაციონალური კულტურისათვის დაუღალავი მებრძოლი სახალხო მასწავლებელი იყო. თავისი ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური შრომით ივ. გომელაურმა სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სახალხო განათლების მუშაკთა მოწინავე რიგებში.

ივანე ნიხეილის-ძე გომელაური დაიბადა 1867 წლის 10 (22) სექტემბერს სოფელ მირზაანში (ყოფ. სიღნაღის მაზრა). დაწყებითი განათლების მისაღებად მშობლებმა იგი სოფ. ზემო მაჩხაანში გაგზავნეს. მალე ახალგაზრდა ყმაწვილი სოფ. მირზაანის ახალგაზრდა პირველდაწყებით სასწავლებელში გადმოიყვანეს. 1879 წლის შეპოღდგომაზე ივ. გომელაური სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში შევიდა, ხოლო 1885 წელს — თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის კურსი წარმატებით დაამთავრა 1890 წელს.

1890 წლის სექტემბრის დასაწყისს ივ. გომელაური ოზურგეთის საქალაქო სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ დაინიშნა და ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე პირველი გამოცდიდანვე იგრძნობოდა, რომ ი. გომელაური ნიჭიერი, უნარიანი და მუყაითი პედაგოგი იყო. მთელ თავის ენერგიას იგი იქითკენ მიმართავდა, რომ მის მოსწავლეებს, რაც შეიძლება, მეტი ცოდნა-ჩვევა და გამოცდილება მიეღოთ. მან შეაყვარა ახალგაზრდებს ლექსი და სამშობლო მხარე. ივ. გომელაური დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა სკოლის გარეშე სწავლა-განათლების საქმეს. აწყობდა საზოგადოებისათვის საჯარო კითხვებს, მართავდა ქართულ წარმოდგენებს და სხვ.

1896 წელს ივ. გომელაური ზუგდიდის საქალაქო სკოლის შტატის მასწავლებლად დაინიშნა. იგი შეუდგა ამ სასწავლებელში ქართული ენის უფლებისათვის ენერგიულ ბრძოლას. ეს არაფრად ექანნიკა გაიძვერა თ. აშორტიას, რომელიც მაშინ ზუგდიდის ამ სასწავლებელში ეწეოდა „პედაგოგიურ მოღვაწეობას“, და თავის „თანამოაზრეთა“ ერთი ჯგუფი აამხედრა ივ. გომელაურის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მასწავლებელმა ვერ მოითმინა პირწავარდნილი წავარდნილის ასეთი მოქმედება, დემონსტრაციულად დატოვა სასწავლებელი და სოფ. ტირმისის (ყოფ. გორის მაზრა) მეორე კლასიან სამრევლო სკოლაში გადავიდა მასწავლებლად.

1898 წლის დასაწყისიდან ივ. გომელაური თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიიწვიეს აღმზრდელ-მასწავლებლად. იგი ჩვეული ენერგიულობით შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. ივ. გომელაური გიმნაზიის მისწავლეთა უახლოესი მეგობარი შეიქმნა. ამ პერიოდში იგი ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას ეწეოდა: უსასყიდლოდ ასწავლიდა მუშათა საკვირაო სკოლაში, მართავდა საჯარო კითხვებს, ღებულობდა მონაწილეობას წარმოდგენებში ე.წ. აქქალის აუდიტორიაში, ასწავლიდა სასკოლო საგნებს რკინიგზის

მუშათა ერთ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ვანო სტურუა, მიხა ბოქორიძე და სხვ.

1898-1899 წლებში ივ. გომელაური ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1899 წლის სექტემბრიდან იგი თბილისში გადმოვიდა და ქართველ კათოლიკეთა ორკლასიან სკოლაში დაიწყო მუშაობა. 1900 წელს ივ. გომელაურმა და მისმა მეგობარმა არსენ მამულაიშვილმა (ბელეტრისტი ლალიონი) დააარსეს კერძო სასწავლებელი, სადაც ორივენი ეწეოდნენ პედაგოგიურ მუშაობას. 1902-1904 წ. წ. ივ. გომელაური სოფ. წინამძღვარიანთქარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში იყო მასწავლებლად, ხოლო 1904-1905 წ. წ. ბაქოს საზღვაო სკოლაში.

1905 წლის შემოდგომიდან ივ. გომელაური დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად ქიათურის შავი ქვის მრეწველთა ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში, სადაც მას გამოცდილ მასწავლებელთა კოლექტივი დახვდა. ივ. გომელაური ამ პედაგოგიური კოლექტივის ღირსეული წევრი იყო. იგი აშკარა თანაგრძნობით ვეგებებოდა ადგილობრივი მშრომელებისა და მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობასა და მის აღმავლობას და ამიტომაც განსაკუთრებული დაფასებითა და პატივისცემით სარგებლობდა მშრომელებსა და მოსწავლეებში. ამან გამოიწვია ივ. გომელაურის დენვა-შევიწროება მეფის მთავრობის ადგილობრივი ორგანოებისაგან. 1906 წლის გაზაფხულზე გახხრიკეს მისი ბინა და სამსახურიდანაც მოხსნეს; მხოლოდ წლის დასასრულს აღადგინეს თავის უფლებებში. გამოცდილი მასწავლებელი და მოღვაწე-პედაგოგი ივ. გომელაური ისევე ალტაცებით შეუდგა თავისი კეთილშობილური მოვალეობის შესრულებას.

ივ. გომელაური ქიათურაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფილიალში, დრამატიულ საზოგადოებაში და სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში. ქიათურის საქალაქო სკოლაში სრულყოფილად იგრძნო ივ. გომელაურმა უანგარო პედაგოგიური შრომის სიტკბოება და საზოგადოების დამსახურებული პატივისცემა.

1917 წელს მასწავლებელთა ყრილობამ ივ. გომელაური თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად აირჩია. მან დაწვრილებით შეისწავლა სკოლების უნუგემო მდგომარეობა მენ-შევიკების დიქტატურის პერიოდში და თავის წერილში „ჩვენი სახალხო სკოლა“ (ეურნ. „განათლება“, 1919 წ., № 1) გამოაანჟარავა სახალხო განათლების დაცემის ნათელი სურათი. ამის შედეგად 1919 წლის გაზაფხულზე მოახდინეს რალაც „რეორგანიზაცია“ და

დანსახურებული პედაგოგი სრულიად უადგილოდ დატოვეს. ივ. გომელაური ძლივს მოეწყო თბილისის მაზრის ერობის სკოლათა ინსპექტორად. საიდანაც მალე გაათავისუფლეს.

1920 წელს ივ. გომელაურმა დაიწყო მუშაობა ქართული ენის მასწავლებლად თბილისის VII ქალთა გიმნაზიაში (შემდეგში V ტექნიკუმი), სადაც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას 1926 წლამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას იგი ამ სკოლაში შეეგება. დადგა ივანე გომელაურის დიდი ხნით ნანატრი დრო. განთავისუფლდა ქართველი სალხი. თავისუფლად ამოისუნთქა მასწავლებლობამაც. მასობრივად გაიხსნა ახალი საბჭოთა სკოლები. სწავლება ყველა ტიპის და საფეხურის სკოლებში განხორციელდა მშობლიურ-ქართულ ენაზე. დაიწყო ქართული საბჭოთა კულტურისა და ნამდვილი სახალხო განათლების არსახული აღმავლობის დიადი პერიოდი.

ივანე გომელაური ახალგაზრდული ენერგიითა და ვატაცებით წეუდგა საბჭოთა სკოლაში ახალგაზრდობის კომუნისტური სწავლა-აღზრდის დიადი ამოცანების განხორციელებას.

ეს უკანასკნელი წლები იყო ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ივ. გომელაურის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ყველა ტიპის საბჭოთა სკოლის მუშაობაში შეიტანა მან თავისი წვლილი. ასობით და ათასობით მცოდნე, გამოცდილი და უნარიანი ახალგაზრდა ალუზარდა ივ. გომელაურმა საყვარელ სამშობლოს.

ივ. გომელაური მარტო პრაქტიკული მოღვაწე პედაგოგი როდი იყო. იგი ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-პედაგოგიურ მუშაობას ქართულ პრესაში. მისი სტატია-ნარკვევების უმრავლესობა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ისეთ მეტად საჭირობოროტო და ანტიკულტურ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა დედაენის როლი სწავლაში, ბრძოლა ქართული სკოლისა და მისი სახელმძღვანელოებისათვის, სახალხო მასწავლებელთა უფლებები და ცვა, სკოლის გარეშე განათლების გავრცელება საზოგადოებაში და სხვა.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ივ. გომელაურს იაკობ გოგებაშვილის სწორუპოვარი სახელმძღვანელოების ღირსების დაცვის საქმეში. 1897 წელს ალ. ნათაძემ გამოსცა საქართველოს სკოლებისათვის შედგენილი ანბანი და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი — „ბავშვის მოკეთის“ სახელწოდებით. ივ. გომელაურმა ამ სახელმძღვანელოს გამოსვლისთანავე უძღვნა საფუძვლიანი რეცენზია (გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 128), რომელშიაც ააშკარავებდა მის უფარვისობას. „ბავშვის მოკეთე“, რასაკვირველია ვერ შედრებოდა ი. გოგებაშვილის „დედაენას“.

იმავე 1897 წელს არ. ქუთათელაძემ ხელშეორედ გამოსცა სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო „წყარო“. ივ. გომელაურმა ყოველმხრივ გაარჩია ეს სახელმძღვანელო და ბევრი სამართლიანი პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური და ფაქტიური შენიშვნა მისცა, რომელთა გამოსწორება საგრძნობად გააუმჯობესებდა ამ სახელმძღვანელოს (ეურნ. „კვალი“, 1900 წ., № 51).

ივ. გომელაური ყველა მომენტსა და შემთხვევას ეძებდა იმისათვის, რომ მტკიცედ დაეცვა ქართველი ბავშვებისა და ქართული ენის ინტერესები. ამ მიზნით მან მოხდენილად გამოიყენა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის გარდაცვალების 30 წლისთავი და პირველად ქართულ პრესაში მეტად საინტერესო სტატია მოათავსა წის შესახებ, რომელშიც იგი მიუთითებდა, რომ კ. დ. უშინსკის „დიდი დეაწლი მიუძღვის რუსულ პედაგოგიკაში, სხვათა შორის იმითი, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება დედაენას, მეცნიერულად დაასაბუთა მისი დიდი მნიშვნელობა მოზარდი თაობისათვის და მთელი ერისათვის საზოგადოდ“.

ყველაზე მეტი სამსახური ჩვენს სკოლებს ივ. გომელაურმა გაუწია იმით, რომ 1906 წელს შეადგინა და გამოსცა ცნობილი სახელმძღვანელო „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“; რომელსაც იმთავითვე მაღალი შეფასება მისცეს ნ. ლომოურმა და ლ. ბოცვაძემ (გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., № 4).

ივ. გომელაურის „ქართველი მწერლები“ სისტემატურად იბეჭდებოდა 1-19 წლამდე ორ წიგნად, 1919 წელს გამოიცა სამ წიგნად, ხოლო 1920 წლიდან 1926 წლამდე — ოთხ წიგნად. სულ მისი ტარაჯი 200 ათას ცალამდე აღწევდა. ამ სახელმძღვანელოზე აღიზარდა მრავალი თაობა ქართველი ახალგაზრდებისა. მან დიდი როლი შეასრულა ჩვენს ახალგაზრდობაში ქართული ენისა და ლიტერატურისადმი მშობლიური სიყვარულის და პატივისცემის გრძნობის აღზრდაში. გარდა ამ სახელმძღვანელო წიგნისა, ივ. გომელაურის თანაავტორობით შედგენილ და გამოცემულ იქნა აგრეთვე „სამოუწიტელ გრუზინსკოგო იაზიკა“ (1925 წ.), „ქრესტომათია არაქართველთათვის“. „ტალღები“ (1927 წ.) და სხვ.

ივ. გომელაური ამავე დროს ეწეოდა პედაგოგიურ-ლიტერატურულ თხზულებათა თარგმნას ქართულ ენაზე და წერდა საბავშვო მოთხრობებსაც.

ივ. გომელაურის შემოქმედებით პედაგოგიურ მუშაობას მხოლოდ ჩვენს ეპოქაში მიეცა ყოველმხრივად გაშლა-გაფართოებისა და გაფურჩქვნის სრული შესაძლებლობა. თავისი ნაყოფიერი სიცოცხლის უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში მიაღწია მსოფლიან

პედაგოგმა მაქსიმალურ შედეგებს პედაგოგიურ მუშაობაში. ნხოლოდ საბჭოთა პერიოდში შესძლო დაულალავმა პედაგოგმა სრულყოფილად და გულშეურვალედ განებორციელებინა მისი დიდი ხნის იდეალები და სანუკვარი სურვილები ფიზიკურად ჯანსაღი, გონებრივად ვანეთარებულ-განათლებული და ზნეობრივად სპეტაკი ქართველი ახალგაზრდა პატრიოტების მრავალი თაობის აღზრდისა.

ივ. გომელაურის მოავალმხრივი და ესოდენ ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად იქნა დაფასებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ. სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით, სახალხო განათლების დარგში სანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ივანე მიხეილის-ძე გომელაურს მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის შრომის გმირის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ივანე მიხეილის-ძე გომელაურს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ივ. გომელაური გარდაიცვალა 1951 წლის 8 ნოემბერს.

ლიტერატურა: I. ივ. გომელაური, საჩუქარი (ლექსები), 1955 წ.; ახალი სასწავლებელი თბილისში, ჟურ. „კვალი“, 1900 წ., № 18, გვ. 286; სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები, წიგნი პირველი, 1906 წ.; სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები I, II, III და IV წიგნები, 1926 წ.; პედაგოგიური ახრები ილია ქავჭავაძის თხზულებებში, ჟურ. „განათლება“, 1908 წ., № 1, გვ. 29-40; სწავლა-განათლების ისტორიიდან საქართველოში, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამაწავლებლო ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, გვ. 323-326; იაკობ გოგებაშვილის შესახებ, ჟურ. „განათლება“, 1913 წ., № 8, გვ. 448; და „იაკობ გოგებაშვილი“ (საიუბილეო კრებული), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ. გვ. 255-294 და სხვ.

II. ე. ქაჯაია. ივანე გომელაური (მონოგრაფია), საქ. სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, 1947 წ.



ივანე გუქავაძე

(1869—1943)

დამსახურებული სახალხო მასწავლებელი და გულწრფელი საზოგადო მოღვაწე ივანე ალექსის-ძე ბუქურაული — შინაურობაში ვანო, ნაციონ-მეგობრებში „ვანო-თუში“, ანუ მხოლოდ „თუში“, დაიბადა 1869 წლის 4 აპრილს (ძვ. სტ.) სოფელ ზემო ალვანში (ამჟამად ახმეტის რაიონი). დაწყებითი განათლება მიიღო საცხენისის სკოლაში. შემდეგ თელავის საქალაქო სასწავლებელში და თბილისის ე. წ. ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში, რომლის კურსის დასრულების შემდეგ 1886 წელს შევიდა თბილისის საფერშლო სკოლაში. ვანომ ეს სკოლაც წარმატებით დაამთავრა და 1888 წელს, როგორც ფერშალმა, მუშაობა დაიწყო თბილისში, მაშინდელს ე. წ. მიხეილის სახელობის საავადმყოფოში.

ორი წლის მუშაობის შემდეგ ვანომ იგრძნო, რომ ის მედიცინის მუშაკად არ იყო დაბადებული. მისი გული სხვა ასპარეზისაკენ მიიწევდა. ამისათვის კი უფრო ფართო და ზოგადი განათლება იყო საჭირო და ვანოც მალე ახერხებს თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლას.

1894 წელს, 25 წლის ასაკში მყოფი ივანე ბუქურაული ამთავრებს სამასწავლებლო ინსტიტუტის სრულ კურსს და იმავე წელსვე იწყებს მასწავლებლობას თბილისის ერთერთ სკოლაში. ვანო საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელი გამოდგა. ამავე დროს ის მოწინავე იდეებით აღჭურვილი პედაგოგი და მწერალიც იყო, რომელმაც როგორც თავის მოსწავლეებში, ისე კოლეგებსა და ქართველ საზოგადოებაში სიყვარული, ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ივანე ბუქურაული, როგორც მოწინავე მასწავლებელი და მწერალი, ადფრთოვანებით შეეგება. ის განახლებული საბჭოთა სკოლის ერთი საუკეთესო მასწავლებელთაგანი იყო და კიდევაც განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში.

მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა ივანე ბუქურაული მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. მას სიკვდილამდე არ დაუნებებია თავი მასწავლებლობისათვის, როგორც მისთვის საყვარელი პროფესიისათვის. ის იყო მეტად უბრალო, სადა და გულკეთილი ადამიანი, თავის სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ხალხის გულწრფელი მოყვარე და უანგარო მსახური.

ივანე ბუქურაული გარდაიცვალა 1943 წლის 23 მარტს თავის მშობლიურ სოფელ ზემო ალვანში.

ივანე ბუქურაულის უანგარო შრომა და ღვაწლი მშობლიური ხალხის წინაშე მარტო მასწავლებლობით არ ამოწურულა. მისი სახელი ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია როგორც ეთნოგრაფი მწერლის, მკვლევარისა და ბელეტრისტის. მისი სამწერლო მოღვაწეობა ემთხვევა მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის პირველ ოციან წლებს, როცა ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადო მოღვაწენი და გამოჩენილი მწერლები გააფთრებით ებრძოდნენ ცარიზმს, მის გამარუსებელ პოლიტიკასა და ცდილობდნენ ქართველ ეშრომელ მასებში ეროვნული შეგნების შენარჩუნებას, მის განმტკიცებასა და გაღვივებას.

ივანე ბუქურაულს—პედაგოგს, საზოგადო მოღვაწესა და მწერალს შესამჩნევი წვლილი აქვს გაღებული ამ ბრძოლაში, ის გასული საუკუნის 90-ან წლებიდან იწყებს თანამშრომლობას გაზეთ

„ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, ჟურნ. „მოამბეში“, „კვალში“, „აკაკის კრებულში“, შემდეგ „ჯეჯილსა“, „ნაკადულში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ამ გამოცემებში ივანე სისტემატურად ათავსებდა პატარ-პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო თემებზე აგებულ მოთხრობებს, ისტორიული ხასიათის ნარკვევებს, ფოლკლორულ მასალას და ზეპირგადმოცემებს, სადაც დამაჯერებელი სახეებით და თითქმის დოკუმენტურადაც გადმოცემულია ამა თუ იმ ეროვნული და სახალხო გმირის დახასიათებანი და საგმირო საქმეები. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯისი „ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი“ („მოამბე“, 1898 წ., № 4, 5), რომელიც ხალხურ თქმულებებზეა აგებული და გაშლილია ხალხური პოეზიის საფუძველზე. ასევე აღსანიშნავია მისი მშვენიერი ნარკვევი — „ტბათანიდან წოვათამდინ“ („მოამბე“, 1897 წ., № 8, 9), რომელიც მგზავრის შენიშვნების სახით არის დაწერილი; ან კიდევ „ხევსურეთი და მისი აწინდელი მდგომარეობა“ — პროვინციის ცხოვრების სახით მოთავსებული 1896 წლის ჟურნ „მეურნის“ № 34 და 35-ში.

განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ივანე ბუქურაულის დაულალავი და ენერგიული შრომა თუშური ფოლკლორის შეკრების საქმეში. ის სისტემატურად, ყოველ ზაფხულზე მოგზაურობდა თავის მშობლიურ კუთხეში და ჰკრეფდა თუშურ ლექსებს. მის მიერ შეკრებილ თუშურ ლექსებს დიდი აღვილი უკავია ისეთ მნიშვნელოვან გამოცემებში, როგორც იყო „ძველი საქართველო“, „ივერია“, „აკაკის კრებული“, „მოამბე“, „კვალი“ და სხვ. მთელი ეს მის მიერ შეკრებილი თუშური ლექსები ამჟამად უკვე შესულია ქართული ხალხური პოეზიის დიდ საგანძურში და მისი გულმოდგინედ შემკრებიც ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში ერთი თვალსაჩინო და მარადსახსენებელი ფიგურაა.

როგორც აღვნიშნეთ, ივანე ბუქურაული თავის დროისათვის საკმაოდ ნაყოფიერი მოკალმე იყო. მისი ლამაზი ენით დაწერილი ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევები და მოთხრობები დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას. ისინი ინტერესით იკითხებიან და სიამოვნებასთან ერთად მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობების გადმომცემიც არიან. ივანე ბუქურაულის ნაწერებში მოხდენილად, ღრმა გულწრფელობით და უშუალოდ არის გადმოცემული საქართველოს ამ მეტად საინტერესო კუთხის, თუშეთის მცხოვრებთა გმირული ბრძოლები წარსულის სიდუხჭირესთან, მათი პატრიოტული გრძნობები, ხალხის ტრადიცია და ზნე-ჩვეულებანი.

ივანე ბუქურაული, როგორც ჟურნალისტი და ქართული პერიოდული პრესის უახლოესი თანამშრომელი, დაახლოებული იყო განაწინილ ქართველ მწერლებთან. ამის შედეგად მან ქართულ მემორალულ ლიტერატურაშიც შეიტანა ერთგვარი წვლილი. ლიტერატურული ღირებულებისა და მნიშვნელობის მატარებელია მისი მშვენიერი ქართულით დაწერილი მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, შოთა მღვიმელზე და ცნობილ კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილზე. განსაკუთრებით კი ვაჟა-ფშაველასთან ჰქონდა დიდი მეგობრობა და ახლო ურთიერთობა, რაც თვით ვაჟას პოეზიაშიც არის ასახული (იხ. ვაჟას ლექსი „ფშაური მუხამბაზი“).

ივანე ბუქურაულს საკმაოდ მდიდარი არქივი დარჩა. მასში დაცულია მრავალი დაუბეჭდავი ხელნაწერი და თვით მწერლის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია თავისი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ნაწერებისა.

ივანე ბუქურაულმა თავისი მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე როგორც პედაგოგმა და მწერალმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის საგანძურში. მან თავის ამ უანგარო და სასარგებლო შრომით სამუდამო სსოვნა დაამკვიდრა ქართველი მშრომელი ხალხის გულში და მისი მდიდარი კულტურის ისტორიაში.

ლიტერატურა: სოლ. ყუბანჯიშვილი, ვაჟა-ფშაველა, 1937 წ.; ი. ბ. ნიკოვანი, ქართული ფოლკლორი. „ლიტერატურის მატარებელი“, ტ. I-II, 1940. „მოამბე“, 1996 წ. № 5, 10, 11; 1997 წ. № 8, 9; 1998 წ. № 4. ნ: „მეურნე“, 1996 წ. № 34, 35; „აკაკის კრებული“, 1999 წ. № 11.



ALEXANDER CHKHENKELI

(1873—1949)

სანდრო ჩხეტია, როგორც მას საერთოდ ეძახდნენ, დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ცნობილი სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე იყო. რაც მთავარია და რამაც მისი შეგნებული სიცოცხლის თითქმის უმეტესი ნაწილი შეიწირა, ის იყო აგრეთვე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი — რევოლუციონერი, დიდხანს არალეგალურად მცხოვრები და უშიშარი მუშაკი.

სანდრო დავითის-ძე ჩხეტია დაიბადა 1873 წელს სოფელ კორცხელში (ზუგდიდის მაზრაში), საკმაოდ შეძლებული აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ქ. ზუგდიდის ე. წ. ნორმალურ ორკლასიან (5 წლის კურსით) სასწავლებელში. სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ, 1890 წელს ხონის საოსტატო სემინარიაში შევიდა.

1895 წელს სანდრომ დაასრულა სემინარიის სრული კურსი და იმ წელსვე სოფელ ქვალონის (ზუგდიდის მ.) დაწყებითი სკოლის ხასწავლებლად დაინიშნა. ალ. ჩხეტია 1897 წელს გადაყვანილი იქნა სოფელ ხორგის ორკლასიან სკოლაში. სანდრო ნამდვილად მასწავლებლობისათვის აღმოჩნდა დაბადებული. პროგრესული იდეებით აღჭურვილი იგი ყოველდღიურად ეუფლებოდა პედაგოგიურ ტექნიკას — ახალ-ახალ მეთოდებსა და სწავლების ხერხებს, მაგრამ მისი ცხოვრების გზები მალე სულ სხვაგვარად წარიშართა.

1898 წელს, ლევიტცკის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახალხო მასწავლებელთა გაერთიანებულ ყრილობაზე გამოირკვა, რომ ალექსანდრე ჩხეტია თავის სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა გაშლილი პროგრამით და თანაც ამ სწავლებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. აქვე ისიც გამომჟღავნდა, რომ მის სკოლაში რუსული ენის სწავლებაში ასეთი კარგი მიღწევები შედეგი იყო არა ლევიტცკის „ნატურალური“ მეთოდის გამოყენებისა, არამედ თარგმნითი და სხვა ხელსაყრელი მეთოდების მომარჯვებისა, რამაც გამოიწვია ლევიტცკის რისხვა ჩხეტიას მიმართ. რამდენიმე თვის შემდეგ, 1900 წლის იანვარში, ლევიტცკიმ ურჩი პედაგოგი დააქვეითა, — გადაიყვანა შორაპნის მაზრის ერთ-ერთ სკოლაში. სასწავლო წლის ბოლოს სახალხო სკოლების ინსპექტორი ნოვოსპასსკი სკოლაში შესვლის უმაღლეს შეეკითხა მასწავლებელ ჩხეტიას — თუ რა მეთოდით ასწავლიდა ის სკოლაში და როცა მიიღო პასუხად, თარგმნითი მეთოდით, წინადადება მისცა „ოტსტავკა“ შემოეტანა. ამ შემთხვევის შემდეგ ს. ჩხეტია იძულებული შეიქნა მიეტოვებინა მთავრობის სკოლა და თავი ქუთაისში შეეფარებია. აქ ის მოეწყო მასწავლებელ ე. მატარაძის კერძო სკოლაში უფროს მასწავლებლად.

1902 წელს ს. ჩხეტია, ქუთაისის ქართველ ინტელიგენციაში ჭკვე საკმაოდ ცნობილი პედაგოგი, იანოვსკისაგან იღებს სათანადო ნებართვას და თვითონვე ხსნის კერძო სასწავლებელს ქუთაისში. მასწავლებლად იწვევს ისეთ გამოჩენილ პედაგოგებს, როგორც იყენენ სამ. დათეშიძე (არითმეტიკის სახელმძღვანელოს ავტორი), ვარლამ ბურჯანაძე (ეურნალისტი, ობჩელის ფსევდონიმით), გიორგი ბოკერია (პედაგოგი და მწერალი) და სხვ. ამ სკოლას დიდ დახმარებას უწევენ ცნობილი მოღვაწე ქალები ეკატერინე და ანა ნიკოლაძენი (ნიკო ნიკოლაძის დები), რომელთაც თავის საკუთარ სახლში დაუთმეს სკოლას ბინა. ამ სკოლაში ხშირად სდგებოდა ქუთაისის მოწინავე მასწავლებელთა თათბირები. აქვე გადაწყდა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის მოწვევა. კრება, ცხადია, არა-

ლევალური იყო, სადაც გადაწყდა გაფიცვების გამოცხადება და არჩეული იქნა საგაფიცვო კომიტეტიც, რომელსაც დაეწალა მასწავლებლებს მიეღო მონაწილეობა კარზე მომდგარ რევოლუციასში.

ს. ჩხეტიას ამ პერიოდის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე მისივე ინიციატივით ქ. ხუგდიდში ქალთა კერძო პროგიმნაზიის გახსნა 1903 წელს. ზუგდიდელ მოქალაქეთა თხოვნის შედეგად სანდრო შეუთანხმდა ერთ მის ნათესავსა და მახლობელს, მის ქახელზე აეღო დასახელებული პროგიმნაზიის გახსნის ნებართვა ზუგდიდში, რადგან იმ ხანებში უკვე პოლიტიკურად არაკეთილ-საიმედოდ მიჩნეულ სანდროს არ შეეძლო თავის-თავზე მიეღო მეორე კერძო სასწავლებლის გახსნაც. 1903-4 სასწავლო წელს ეს პროგიმნაზიაც კაიხსნა, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი და პატრონი სანდრო იყო. ზუგდიდის მაშინდელი მაზრის უფროსი კელამოვი არ ცხრებოდა. მას სკოლა რევოლუციონერთა ბუდედ მიაჩნდა და ყოველ თავის მოხსენებაში გუბერნატორთან მის დახურვას მოითხოვდა. სკოლამ 1906 წლამდე იარსება. ამ წელს, სანდროს დაპატიმრების გამო, იგი დახურულ იქნა.

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული სანდრო 1906 წლის 6 აგვისტოს დაპატიმრებულ იქნა და მოთავსებული ქუთაისის საპატიმროში, სადაც მან კარგა ხანს დაყო. 1908 წელს ქუთაისის საპატიმროდან საიდუმლო გვირაბის გაყვანის შემდეგ, სხვა აქ მოთავსებულ ცნობილ პოლიტპატიმრებთან ერთად, სანდრო ჩხეტიაც გაიპარა ციხიდან და არალევალურ მდგომარეობაში გადავიდა. ის მთელი თავისი შეგნებით და ძალღონით მონაწილეობს არალევალურ შეკრებასა და ორგანიზაციაში, როგორც პროპაგანდისტი და თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი.

1911 წელს, მაისის თვეში სანდრო ჩხეტია კვლავ იქნა შეპყრობილი. იმავე წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს 4 წლის საკატორლო მუშაობა და შემდეგ ციმბირში — ირკუტსკის გუბერნიაში სა-მუდამო ცხოვრება.

1917 წლის გაზაფხულზე ის სამშობლოში დაბრუნდა.

სანდრო ჩხეტია, როგორც მენშევიკებას აშკარა მტერი და მათი პოლიტიკის სასტიკი მოწინააღმდეგე, მუდამ ოპოზიციაში ედგა მათ და ხელისუფლების საქმიანობაში არ ჩაბმულა. ის კვლავ თავის საყვარელ პროფესიას, მასწავლებლობას დაუბრუნდა, და ვიდრე ძალღონე შესწევდა და ციმბირიდან გამოყოფილი გულის მძიმე დაავადება ხელს საბოლოოდ არ დარევდა, განაგრძობდა მუშაობას ზუგდი-

დის საშუალო სკოლებში, როგორც საუკეთესო მასწავლებელი და ლექტორი ზაფხულის თვეებში მოწყობილ პედაგოგიური კურსებისა.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში დაფასდა სანდროს ღვაწლი და ამაგი. 1935 წ. მას პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს, ენერგიული და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის სიგელით დააჯილდოვეს და პერსონალური პენსიაც დაუნიშნეს.

ამის შემდეგ სანდროს მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას, უკვე გულის ასტმით დაავადებულს, მასწავლებლობა არ შეეძლო. მსცოვანი მოღვაწე 1940 წელს სწყვეტს სკოლაში მუშაობას.

სკოლაში მუშაობის შეწყვეტის შემდეგი დღეებიც სანდროს უქმად არ გაუტარებია; მან დაწერა და საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმს გადასცა თავისი ვრცელი მოგონებები. ამ მოგონებებში ასახულია 1895—1920 წლებს შუა საქართველოს სინამდვილეში მომხდარი ამბები, რომლებშიც კი ავტორს მონაწილეობა მიუღია, მასში შეძლებისდაგვარად აღწერილია სახალხო განათლების მაშინდელი მდგომარეობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება.

სანდრო ჩხეტია გარდაიცვალა 1949 წლის 23 სექტემბერს ქ. ზუგდიდში.

ლიტერატურა: ჟურნ. „განათლების მუშაკი“. 1926 წ., № 9, 10, 17; გაზეთი „სახალხო განათლება“, 1950 წ., № 38; საქ. სახ. განათლების მუზეუმი, № 2351.

წინასიტყვაობა

3

პ რ ო ფ. გ ი ო რ გ ი თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი :

- 1. სოლომონ დოდაშვილი . 7
- 2. ალექსი პეტრიაშვილი 29
- 3. ილია კავეკავაძე 75

ა კ ა კ ი თ ო ფ უ რ ი ა :

- 4. ილია ფერაძე 291

მ ი ხ ე ი ლ კ ე კ ე ლ ი ძ ე :

- 5. დიმიტრი ყიფიანი 43
- 6. დიმიტრი ბაქრაძე . 55
- 7. მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი . . 69
- 8. ანა ლოლობერაძე—მუსხელიშვილისა 169
- 9. მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი . 181
- 10. გიორგი იოსელიანი . 157
- 11. მოსე ნათაძე . 193
- 12. სოფრომ მგალობლიშვილი . 199
- 13. ნიკო ლომოური . 219
- 14. მოსე ჯანაშვილი 231
- 15. ივანე ავალიშვილი . 261
- 16. ნიკო რაზიკაშვილი . 297
- 17. პარმენ თვალქრელიძე . 301
- 18. ია კარგარეთელი . 311
- 19. გიგო შარაშიძე . 341
- 20. გიორგი უთურგაული . 345
- 21. პეტრე ჭმიკაშვილი . 163
- 22. იოსებ ცხევედაძე . 355

პ რ ო ფ. დ ა ვ ი თ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე :

- 23. იაკობ ვოგებაშვილი . 159

გ ი ვ ი ნ ი ო რ ა ძ ე :

- 24. ალექსანდრე ნანეიშვილი . 241
- 25. ალექსანდრე მგელაძე . 379

უ შ ა ნ გ ი ო ბ ო ლ ა ძ ე :

- 26. აკაკი წერეთელი . 111

ვარლამ ქაჯაია:

27. ნიკო ცხვედაძე .	173
28. ალექსი კიკინაძე	205
29. სილოვან ხუნდაძე	251
30. იოსებ ოცხელი .	283
31. შიო ჩიტაძე	325
32. იასონ კაპანაძე . .	359
33. ტრიფონ თაბუკაშვილი	385
34. ივანე გომელაური	391

სოლომონ ცაიშვილი:

35. პლატონ იოსელიანი	33
36. დავით ჩუბინაშვილი	37
37. ივანე კერესელიძე	49
38. დანიელ კონჭაძე .	59
39. ბესარიონ ლოლობერიძე	63
40. გერასიმე კალანდარიშვილი	157
41. ივანე როსტომაშვილი	211
42. თევდორე უორდანი	227
43. ვასილ ბარნოვი	235
44. ალექსი მირიანაშვილი	247
45. პეტრე კარაია	255
46. ალექსანდრე გარსევანიშვილი	267
47. არსენ მამულაიშვილი .	307
48. თედო რაზიკაშვილი	317
49. სტეფანე ძიმისტარიშვილი .	337
50. ერმილე შარაშიძე	363
51. ივანე გეგია	367
52. ნიკო ჯაყელი .	371
53. ვლადიმერ გაგუა .	375
54. ივანე ბუჭურაული	397
55. ალექსანდრე (სანდრო) ჩხეცია	401

პროფ. ტროფიმე ხუნდაძე:

56. სამსონ ყიფიანი	358
--------------------	-----

არკადი ხუნდაძე:

57. ლუარსაბ ბოცვაძე	275
58. ნიკო ჯანაშია	321

გვართა ანბანური საკითხელი

ავალიშვილი ივანე 261
ბარნოვი ვასილ 235
ბაქრაძე დიმიტრი	55
ბოცვაძე ლუარსაბ 275
ბუქურაული ივანე 397
გაგუა ვლადიმერ 375
გარსევანიშვილი ალექსანდრე 267
გეგია ივანე 367
გოგებაშვილი იაკობ 139
გომელაური ივანე 391
დოდაშვილი სოლომონ	7
თაბუკაშვილი ტრიფონ	385
თვალჭრელიძე პარმენ 301
იოსელიანი პლატონ	33
იოსელიანი გიორგი 187
კალანდარიშვილი გერასიმე 157
კარგარეთელი ია	311
კაპანაძე იასონ 359
კერესელიძე ივანე	49
ლომოური ნიკო	219
მამულაიშვილი არსენ	307
მგალობლიშვილი სოფრომ	199
მგელაძე ალექსანდრე 379
მირიანაშვილი ალექსი 247
ნანეიშვილი ალექსანდრე 241
ნათაძე მოსე	193
ოცხელი იოსებ 283
პეტრიაშვილი ალექსი	29
ყორდანი თევდორე 227
რაზიკაშვილი თედო 317
რაზიკაშვილი ნიკო	297
როსტომაშვილი ივანე 211
ჟღერგაული გიორგი 345
უმბიკაშვილი პეტრე 163
ფერაძე ილია	291
ლოლობერიძე ბესარიონ	63

ლოლა ლეოიფე-მუსხელიშვილისა ანა	169
ყიფიანი დიმიტრი	43
ყიფიანი მიხეილ ხაალის-ძე	64
ყიფიანი, მიხეილ ქაიხოსროს-ძე	. 181
ყიფიანი სამსონ	. 355
შარაშიძე გიგო	341
შარაშიძე ერმილე	. 363
ჩიტაძე შიო	325
ჩუბინაშვილი დავით	37
ჩხეტია, ალექსანდრე (სანდრო)	. 401
ცხვედაძე ნიკო	. 173
ცხვედაძე იოსებ	351
ძიმისტარიშვილი სტეფანე	. 337
წერეთელი აკაკი	. 111
ჭავჭავაძე ილია	75
ჭარაია პეტრე	. 255
კიკინაძე ალექსი	. 205
კონჭაძე დანიელ	59
ხუნდაძე სილოვან	. 251
ჯანაშვილი მოსე	. 231
ჯანაშია ნიკო	. 321
ჯაყელი ნიკო	. 371

რედაქტორი ვ. ქაჯაია

ტექ. რედაქტორი ხ. ლორთქიფანიძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-53 წ., ანაწყოების ზომა 6×10, ქაღალ-
დის ზომა 60×92; ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 25,5, სააღრიცხველ-საგამომ-
ცემლო 21,31, სააგტორო 18,24.

შეკვეთის № 286.

ტირაჟი 5.000.

უე05956.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიკულ-საბეჭდო, გა-
ვამრეწველო და წიგნთ ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2,
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.